ინგა ღუტიძე

# ქართველები თურქეთში - ენობრივი ვითარება

თანამედროვე მსოფლიოში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციოლინგვისტურ კვლევებს და ამ კვლევათა შედეგებს სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირებისა და პოლიტიკის სწორი დაგეგმვისათვის. განსაკუთრებული ადგილი სოციოლინგვისტურ კვლევებში ენობრივი სიტუაციის აღწერასა და ანალიზს უკავია. წინამდებარე ნაშრომი დღეს თურქეთის საზღვრებში მოქცეული ისტორიული სამხრეთ საქართველოს, სამხრეთ შავიზღვისპირეთისა და მარმარილოს ზღვის რეგიონებში მცხოვრებ ქართველთა ენობრივ ვითარებას შეეხება, რომელთაც, მიუხედავად დიდი წნეხისა, დღემდე შემოინახეს ეთნიკური ენა. ქართული ენა დღემდე რჩება თურქეთში მცხოვრებ ქართველთათვის თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და გამოხატვის მძლავრ იარაღად, ეთნიკური ჯგუფის შეკავშირების ძლიერ საშუალებად და თაობიდან თაობისათვის ეთნოკულტურული ინფორმაციის გადაცემის უნიკალურ წყაროდ.

წიგნი განკუთვნილია სოციოლინგვისტური, ეთნოლინგვისტური და ქართველოლოგიის საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტების, სტუდენტებისა და აგრეთვე ამ პრობლემატიკით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

სამეცნიერო რედაქტორები:
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი მანანა ტაბიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი მერაბ ბერიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი

რეცენზენტები:
ფილოლოგიის დოქტორი,
პროფესორი მაკა ბერიძე-კაჭკაჭიშვილი
ფილოლოგიის დოქტორი
რუსუდან ჩხენკელი

© ი. ლუტიძე, 2016

გამომცემლობა „საუნჯე“ 2016
ISBN 978-9941-469-06-0

*ეძღვნება მეგობრის, ეთნომუსიკოლოგის -*
*გიორგი (გიგი) გარაყანიძის ნათელ ხსოვნას*

*გარეკანის I გვერდზე - ბანა, ფოტო გ. ჩანადირისა*

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინგა ღუტიძე

# ქართველები თურქეთში - ენობრივი ვითარება

თბილისი
2016

# შინაარსი

შესავალი.....9
იმერჴევის ენობრივი ვითარება.....19
ენობრივი ვითარება ნიგალის ხეობაში - ბორჩხისა და მურღულის სოფლები.....61
ენობრივი ვითარება თურქეთის რესპუბლიკის შავი ზღვის სანაპიროს რეგიონების ქართულ მოსახლეობაში (გირესუნის, ორდუს, სამსუნის, სინოპის, კასთამონუს პროვინციები).....88
ენობრივი ვითარება ისტორიულ ტაოში - ქობაჲ (Kobak), ბალჯი (Balcili), ჴევაჲ (Biçakçilar).....177
ტოპონიმები - არტანუჯის ისტორიული რეალობის ერთადერთი მოწმენი.....187
ენობრივი ვითარება მარმარილოს ზღვის რეგიონში.....205
ლექსიკის სესხების ერთი თავისებურების შესახებ თურქეთის ქართველთა მეტყველებაში.....289
ეთნიკური ენის შენარჩუნების ფაქტორები თურქეთის ქართველებში.....297
Georgians of Turkey – Language Situation (Resume).....306
გამოყენებული ლიტერატურა.....311
მთხრობელები და ინფორმატორები.....320
საძიებელი.....323

# შესავალი

ნებისმიერი ეთნოსის განვითარების ისტორიას საკუთარი კანონზომიერებები გააჩნია. მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს პოლიტიკა, საშინაო და საგარეო ურთიერთობები შეპირობებულია სახელმწიფოს ეთნიკური, ენობრივი და კულტურული მოზაიკით.

ეთნოსების თანაცხოვრებას რეალურად არსებული და საყოველთაოდ აღიარებული ბევრი ფაქტორი - ენა, ისტორია, რელიგია, სოციალური კლასი და ა. შ. - განაპირობებს.

ვორდჰოფი აღნიშნავს: „ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში ერთი ან ორი, ზოგჯერ კი რამდენიმე ფაქტორი ხდებოდა მნიშვნელოვანი. დღევანდელმა მსოფლიომ ეთნიკურობის ფაქტორი წამოსწია წინა პლანზე, რომელიც კიდევ უფრო მეტ აქტუალობას შეიძენს, თუკი სხვა ფაქტორებს და განსაკუთრებით კი ენას, რასას ან რელიგიას დაუკავშირდება“ (Wardhaugh, 1987:43).

დე ვოსი მიუთითებს: „ეთნიკური ჯგუფი - ეს არის ჯგუფი ხალხისა საერთო თვითშეგნებით, იმ ტრადიციებით, რომლებიც არ არის დამახასიათებელი სხვა ხალხისთვის. ამგვარ ტრადიციებს, ჩვეულებრივ, მიეკუთვნება ხალხური და რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, ენა, ისტორიული მახსოვრობა, საერთო წინაპარი ან კიდევ საერთო თავდაპირველი საცხოვრისი. ეთნიკური ჯგუფის ისტორია ლეგენდებსა და მითოლოგიაშიც ხორცშესხმულია, რომელიც თაობათა ბიოლოგიურ-გენეტიკური უწყვეტობის კონცეფციას მოიცავს და ზოგჯერ ეთნიკური ჯგუფის მთავარ მახასიათებლად მიიჩნევა (De Vos, 1975:9).

ფიშმანის დაკვირვებით: „ეთნიკურობის ცნება დრო-ჟამით გამოცდილ ცენტრალურ კონცეფციას მოითხოვს, რომლის გარშემო ჯგუფდება, თავს იყრის ყველა სხვა საკითხი. ეს ცენტრალური კონცეფცია კი ეთნოსის წარმომავლობის

კონცეფციაა, რომელიც უკავშირდება ბიოლოგიურ წარმომავლობას და ამდენად იმ მემკვიდრეობას, რომელიც დაკავშირებულია *სისხლთან, ხორცთან, გრძნობასთან, მენტალობასთან, პროდუქტიულობასთან,* რომლებიც კოლექტივის ბიოლოგიური წინაპრებისგან მომდინარეობს და თაობიდან თაობას მემკვიდრეობითი გზით გადაეცემა (Fishman, 1977:17).

იქვე ავტორი მიუთითებს, რომ *ბიოლოგიურ წარმომავლობას, მემკვიდრეობას* შეძლება რეალური საფუძველი ჰქონდეს, ან კიდევ მითი ედოს საფუძვლად; რა სარჩულიც უნდა დავუდოთ მას, ის მაინც ეთნოსის მთავარ მახასიათებლად მიიჩნევა. ბიოლოგიური მემკვიდრეობა ნაირგვარი ფორმებით - ფიზიკური ჩვევებით, ენითა და კულტურით ვლინდება.

ეთნოსი ობიექტური და სუბიექტური ატრიბუტებით ხასიათდება. ობიექტურ ატრიბუტებს ენა, რელიგია, კულტურული მახასიათებლები, უპირველეს ყოვლისა, მკვეთრად ჩამოყალიბებული ინსტიტუციური ატრიბუტები და ამავე დროს აუცილებელი ისტორიული ტრადიცია მიეკუთვნება, სუბიექტურს კი - ეთნიკურ იდენტობასთან დაკავშირებული გრძნობები და საერთო ინტერესები.

ზემოთ გამოთქმული თვალსაზრისებიდან გამომდინარე, ენა ხალხს თავის წინაპრებთან აკავშირებს. ენა კულტურის უდიდესი ნაწილია. ხალხის, ეთნოსის ცნობიერებას, თვითშეგნებას ენის მეშვეობით ვარკვევთ. ენა აკავშირებს ეთნოსს, ეთნიკურ ჯგუფს თავის ისტორიასთან, ხალხსა და კულტურასთან.

ენა ეთნოსის ერთ-ერთი ძველი და არსებითი ნიშანია, რომელიც ყველაზე მძლავრ და უნიკალურ იარაღად მიიჩნევა ეთნოსის შესაკავშირებლად. ენა ეთნოსის კულტურის განვითარების იარაღიცაა.

როგორც ცნობილია, ქართველები, მძიმე ისტორიული წარსულის გამო, დიდი რაოდენობით ცხოვრობენ თურქეთში, აზერბაიჯანსა და ირანში.

ეს ნაშრომი მოკრძალებული ცდაა თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ენობრივი ვითარების აღწერა-ანალიზისა. ჩვენ შევეცადეთ აღგვენიშნა ენის იმ როლის შესახებ, რომელმაც მთელ რიგ ფაქტორებთან ერთად აქ ქართული ეთნიკური კულტურის - მატერიალურისა და სულიერის - გადარჩენა უზრუნველყო.

ძალზე არსებითი და მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თურქეთში მცხოვრებმა ეთნიკურმა ქართველებმა დღემდე შეინახეს ქართული ენა. ეს ფაქტი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, თუკი გავითვალისწინებთ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, როდესაც არატიტულოვან ეთნოსთა, მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფთა ან კიდევ უმცირესობათა ენები ელვის სისწრაფით გაქრა ან ქრება.

თურქეთის რესპუბლიკაში ეთნიკურ ქართველთა ერთი დიდი ნაწილის ცხოვრება გვიან შუა საუკუნეებსა და მთელ შემდგომ პერიოდში საქართველოს ისტორიულ მხარეებში (რომლებიც დღეს უკვე თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაშია) მიმდინარე მთელ რიგ მძიმე ისტორიულ და პოლიტიკურ მოვლენებს უკავშირდება, ხოლო მეორე დიდი ნაწილისა კი მუჰაჯირობის უმძიმეს და ტრაგიკულ ისტორიას. საუკუნეთა განმავლობაში მიმდინარე მთელი რიგი პროცესების მიუხედავად, ქართული ენა მყარი, დაურღვეველი ორგანიზმი აღმოჩნდა, რომლის მოშლა და დარღვევა აქ ვერც მწვავე პოლიტიკურმა ვითარებამ და ვერც დრომ მოახერხა, რადგანაც ეს იყო ეთნიკურ ქართველთა ერთობისა და კულტურის უწყვეტობის განმაპირობებელი. თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა ქართული ენა საუკუნეებს გამოატარეს და დღემდე შემოგვინახეს, როგორც ეთნოკულტურული ინფორმაციის უნიკალური წყარო.

თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ზუსტი რაოდენობის შესახებ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები არ გაგვაჩნია. ისინი დიდი რაოდენობით ცხოვრობენ როგორც ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში (იმერჴევი, ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, ერუშეთი, კოლა, არტაანი), ასევე მთელ სამხრეთ შავიზღვისპირეთსა და მარმარილოს ზღვის რეგიონებში.

ისინი მოსახლეობენ ურბანულ და ინდუსტრიულ ადგილებში: სტამბოლში, ანკარაში, საქარიას პროვინციაში: ჰენდეკის რაიონში (Hendek), ადაფაზარის რაიონში (Adafazarı), კარასუს რაიონში (Karasu), ქოჯაალის რაიონში (Kocaali), არიფიეს რაიონში (Arifiye), საფანჯას რაიონში (Sapanca), გეივეს რაიონში (Geyve), აქიაზის რაიონში (Akyazı), ყარაფურჩეყის რაიონში (Karapürçek), ბურსას პროვინციაში: ინეგოლის რაიონში (Inegöl), გემლიქის რაიონში (Gemlik), იზნიქის რაიონში (Iznik), ქოჯაელის პროვინციაში: იზმითში (Izmit), გოლჩუკის რაიონში (Gölçük), ბალიქესირის პროვინციაში: გონენში (Gönen), გირესუნის პროვინციაში: საკუთრივ გირესუნის რაიონში (Guresun), გიორელეს რაიონში (Görele), თირებოლუს რაიონში (Tirebolu), ესპრეში (Espre), ბულანჯაკში (Bulancak), ფირაზისის რაიონში (Pirazis), ორდუს პროვინციაში: ორდუს რაიონში (Ordu), გიოლქოის რაიონში (Gölköy), ქორგანის რაიონში (Korgan), ფაცას რაიონში (Patsa), უნიეში (Ünye), ჩაიბაშში (Çaybaš), სამსუნის პროვინციაში: თერმეს რაიონში (Terme), სალიფაზარის რაიონში (Salı Pazar), ჩარშამბას რაიონში (Çarşamba), თეფექოის რაიონში (Tepeköy), სინოპის პროვინციაში: საკუთრივ სინოპის რაიონში (Sinop), გერზეს რაიონში (Gerze), ერფელექის რაიონში (Erfelek), აიანჯიკის რაიონში (Ayancik)...

თურქეთში მოსახლე ყველა ეთნიკური ქართველი ორენოვანია, ისინი ქართულ და თურქულ ენებზე მეტყველებენ.

*თურქეთის საქართველოზე,* თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების, მათი ისტორიის, ყოფა-ცხოვრების,

ტრადიციების, ენის შესახებ ბევრი დაიწერა, მაგრამ დღემდე ვერ ამოივსო ის უფსკრული, რომელიც მათზე დაწერილ გამოკვლევებსა და იმ უნიკალურ ინფორმაციას შორის არსებობს, რომელიც დიდი ხნის წინ უნდა ჩაწერილიყო და სამუდამოდ შემონახოდა ისტორიას. ამიტომ თურქეთის საზღვრებში მოქცეული ისტორიული საქართველოსა და ზემოჩამოთვლილ და ჩამოუთვლელ ადგილებში დამკვიდრებულ უამრავ ქართველთა შესახებ წერა რთულია.

ართვინის პროვინციაში შემავალ შავშეთის სოფლებს XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა. ყველა ავტორი მის მიერ ჩაწერილ, შეგროვებულ მასალას წარმოგვიდგენს ამა თუ იმ კუთხით, რომელსაც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სოფელში იწერდა ამ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში. ბუნებრივია, ჩაწერილი მასალები დიდწილად ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ უკვე წლიდან წლამდე, სოფლების მუდმივი მოსახლეობის შემცირების გამო, თვით ერთსა და იმავე სოფლებში სხვადასხვა ინფორმატორი, მთქმელი უკვე განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის სხვადასხვა მიზეზთა გამო: შავშეთის სოფლების მოსახლეობის დიდი ნაწილი უკვე თურქეთის დიდი თუ სწრაფად მზარდი პატარა ქალაქების მაცხოვრებელია და სოფლებში მხოლოდ ზაფხულობით თუ ჩადის, ამიტომ ადგილზე დარჩენილთაგან განსხვავებით მათ ცნობიერებაში ბევრი რამ დავიწყებას ეძლევა; ამას ემატება ახალგაზრდა თაობის დიდი ნაწილის მიერ ეთნიკური ენის არცოდნა. აქედან გამომდინარე, მათი ცოდნა ისტორიული ქართული მიწა-წყლის შესახებ, ბუნებრივია, ნაკლებია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყოველწლიურად ჯერ მთქმელთა პოვნას და შემდეგ მათგან ჩაწერილ მასალას. ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალაში შესაძლოა ბევრი რამ მეორდება და იგივეა, რაც ადრე სხვა მკვლევრებს ჩაუწერიათ, მაგრამ საჭიროდ მივიჩნიეთ

შერჩეული მთქმელებისგან ყველა შესაძლო ინფორმაცია ჩაგვეწერა, არ გამოგვრჩენოდა არცერთი ტოპონიმი, არცერთი ლექსიკური ერთეული, რომლებიც მათ მეხსიერებას დღემდე შემოუნახავს, რათა ისტორიას სამუდამოდ შემორჩეს ყველა ის სახელი და ლექსიკური ერთეული, რომლებსაც აქ ეთნიკური ქართველები მუდმივად ქმნიდნენ, თავიანთ ისტორიას აქსოვდნენ შიგ, ესათუთებოდნენ და დღემდე შემოინახეს. ადვილი წარმოსადგენია, რა მდიდარი მასალა ექნებოდათ, ამ მხრივ, ქართველ მეცნიერებს XX საუკუნის მიწურულამდე ჩვენს ისტორიულ მიწა-წყალზე მუშაობის საშუალება რომ ჰქონოდათ.

XIX საუკუნის 70-იან წლებში თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიები მოინახულა გიორგი ყაზბეგმა, რის შედეგადაც შეიქმნა ფასდაუდებელი ნაშრომი *სამი თვე თურქეთის საქართველოში*. ამ წიგნს განუზომელი მეცნიერული ღირებულება აქვს აჭარის, შავშეთ-იმერხევის, არტანუჯის, ნიგალის, ლაზეთის ისტორიისათვის. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ გ. ყაზბეგის მოგზაურობის პერიოდში მუჰაჯიროზა ჯერ დაწყებული არ იყო და ის ისტორიული საქართველოს მკვიდრ ქართველებს ხვდებოდა.

„1874 წლის გაზაფხულზე ვისარგებლე ხელსაყრელი შემთხვევით და თურქეთის საქართველოში ვიმოგზაურე. ჩემი მარშრუტი აბასთუმნიდან იწყებოდა და ჩვენს სასაზღვრო სოფელ დერცელზე გავლით ქვაბლიან-ჩაის ხეობაში მიემართებოდა, იქიდან კი ზემო აჭარაში. თურქეთის ამ პროვინციაში დიდხანს არ გავჩერებულვართ, სხალთის ხეობით გავემართეთ შავშეთში, საიდანაც არტანუჯისა და ართვინის გავლით გადავედით ლაზისტანში. ამ მოკლე ცნობებიდან ჩანს, რომ შევძელით ჩავსულიყავით თურქეთის საქართველოს იმ კუთხეებში, რომლებიც ჩვენს რუკებზე ან სულ არაა აღნიშნული, ანდა მხოლოდ ზოგადაა მოცემული. ამ მხარეში ჩვენს მიერ ნახული მრავალი კუთხის შესახებ ევროპამ არაფერი იცის, სხვათა შესახებ კი მხოლოდ სტრაბონის და

არიანეს მონათხრობს იმეორებს. გეოგრაფიულმა მეცნიერებამ უნდა აღიაროს, რომ თურქეთის საქართველოს ზოგიერთი ნაწილის, მაგალითად, შავშეთის, ან მთიანი ლაზისტანის შესახებ უფრო ცოტა იცის, ვიდრე შიდა აფრიკაზე“ (ყაზბეგი, 1995:29).

ეს ვითარება დღეს მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოსწორებული, რადგან დღემდე ვერ მოხერხდა ახალი რუკების შედგენა, სადაც დაწვრილებით იქნებოდა აღნიშნული ყველა ქართული დასახლებული პუნქტი. დღემდე ყველა მეცნიერი მხოლოდ ფრაგმენტულად გვაწვდის იმ დასახლებულ ადგილთა ჩამონათვალს, რომლებშიც თვითონ ყოფილა, ზოგიერთი კი თავისი შეხედულებისამებრ ანაწილებს ხეობებსა და დასახლებულ პუნქტებს. დღემდე ვერ მოხერხდა ვერც გეოგრაფიული და ვერც დიალექტური სრული და ზუსტი რუკის შედგენა.

აქედან გამომდინარე, გიორგი ყაზბეგის მიერ ჩაწერილ მასალას, რომელიც დღიურების ფორმითაა მოწოდებული, დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის პროფესიონალის მიერ არის შედგენილი და ზუსტი დეტალებია მოცემული.

ბოლო წლებში რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებითა და ხელშეწყობით ტაო-კლარჯეთი, მარმარილოს ზღვის რეგიონი და სამხრეთ შავიზღვისპირეთის რეგიონები მეცნიერთა ფართო პროფილით წარმოდგენილმა ჯგუფმა *(საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტით დაფინანსებული პროექტი „თურქეთის ქართველები: ისტორია, სულიერი და მატერიალური კულტურა, ენობრივი ვითარება“, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, №17/03(01.12.2011) საგრანტო ხელშეკრულება. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე))* განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში მეტ-ნაკლები სისრულით შეისწავლა, რაც შესაბამის სამეცნიერო პუბლიკაციებში აისახა.

სამეურნეო-ყოფითი კულტურის შესახებ შავშეთ-იმერხევში ნ. შოშიტაშვილი მიუთითებს: „მეურნეობის ტრადიციული დარგებიდან შავშეთ-იმერხევში ერთ-ერთი მთავარია მიწათმოქმედება. მეზობლად მდებარე კოლასა და არტაანისაგან განსხვავებით, ეს რეგიონი არ გამოირჩევა სავარგულების ვრცელი ფართობებით. ამიტომ ახალი მიწების ათვისება ტყეებისა და ბუჩქნარების გაკაფვის ხარჯზე ხდებოდა. ასეთი გზით მოპოვებული სახნავ-სათესები წარმოდგენილი იყო ახოებისა და ხოდაბუნების სახით. სავარგულების შედარებითი ნაკლებობა განაპირობებდა მეურნეობის წარმოების ინტენსიურ ხასიათს.

მიწათმოქმედების დარგობრივ სტრუქტურაში წამყვანი ადგილი მემინდვრეობას ეკავა. შავშეთ-იმერხევში გავრცელებული იყო მარცვლეული კულტურების ტრადიციული სახეები, შემუშავდა მათი მოყვანისა და დაბინავების საინტერესო ხერხები. ბოლო ათწლეულებში მოხდა სტრუქტურული ცვლილებები მეურნეობის ამ დარგში.

მესაქონლეობა მიწათმოქმედებასთან ერთად სიმბიოზური ხასიათის იყო. ძირითადად გავრცელებული იყო მთა-ბარული მესაქონლეობა, ისევე როგორც მეზობელ აჭარაში, აგრეთვე ტაოში, ართვინ-ბორჩხას რეგიონსა და ნიგალში. წლიურ ციკლში იგულისხმებოდა სასოფლო-საბაზო ეტაპი (რომელიც ბაგურ კვებასაც ითვალისწინებდა და და ე. წ. „მემთევრეობაც“ გვიანი გაზაფხულიდან ადრეულ შემოდგომამდე ((მ)თა, აგარა, იაილები). ამ უკანასკნელის საყოველთაო საზოგადოებრივ ტრადიციას წარმოადგენდა „შუამთობა-მარიობა“, რომელიც ამჟამად „ფესტივალების“ ფორმით ტრანსფორმირდა.

შავშეთ-იმერხევის სამეურნეო-ყოფითი კულტურიდან საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა მეფუტკრეობა. თუმცა, თავისი მასშტაბებით და პროდუქტის თვისებებით ვერ გაუტოლდებოდა მთელ თურქეთში განთქმულ ნიგალის და განსაკუთრებით ზედა მაჭახლის მეფუტკრეობის მასშტაბებს. აქ

გავრცელებული იყო ტრადიციული სკის ორივე სახე: ბუკიც და გეჯაც“ (შოშიტაშვილი, 2014:83-84).

შესავალ ნაწილს დავასრულებთ იმის აღნიშვნით, რომ ენობრივი ვითარების აღწერა და ანალიზი გარკვეული სქემის მიხედვით ხდება. ეს სქემა მეტ-ნაკლებად სრულ წარმოდგენას გვიქმნის საკვლევ ენაზეც და მისი ფუნქციონირების არეალზეც. ჩვენც საკვლევი რეგიონების ენობრივი ვითარების აღწერა-ანალიზისას ამ სქემით ვხელმძღვანელობდით, კერძოდ, ენის იდენტიფიკაცია-ენის თვითსახელწოდება, ეთნიკური ჯგუფის თვითსახელწოდება, გეოგრაფიული მონაცემები - საკვლევი ტერიტორიის გეოგრაფიული აღწერა, ტერიტორიის სიდიდე, ლანდშაფტის ძირითადი მახასიათებლები, მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემები-ეთნიკური ჯგუფის საერთო სიდიდე (რაოდენობა) რეგიონების მიხედვით, ამ ენაზე მოლაპარაკეთა საერთო რიცხვი, იმ მოლაპარაკეთა რაოდენობა, რომელთათვისაც მოცემული ენა მშობლიურია; უმთავრესი ლინგვისტური მახასიათებლები - ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი; ენობრივი კონტაქტები; სტატუსი მიიჩნევენ თუ არა ამ ენის მატარებლები თავიანთ ენას საკმარისად განვითარებულად და სხვა ენებისაგან მკაფიოდ განსხვავებულად; იციან თუ არა წერა-კითხვა, არსებობს თუ არა ტექსტები, იქმნება თუ არა ლიტერატურა. მოცემული სქემიდან ზოგიერთი კომპონენტის გამოყენებას ვერ ვახერხებდით გარკვეულ ობიექტურ მიზეზთა გამო.

# იმერჴევის ენობრივი ვითარება

ისტორიულ შავშეთს მოიცავს დღევანდელი შავშეთის რაიონი. მასში შედის მთიანი მხარე იმერჴევი. შავშეთის ცენტრია დაბა შავშეთი, რომელიც 1921 წლის 28 თებერვალს გამოცხადდა ქალაქად და არდაგანის (არტაანის) სანჯაყს შეუერთდა. იმავე წლის 7 ივლისს კი - ართვინის ვილაიეთს, სადაც შედის ისტორიული ქართული მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი: - ტაო, კლარჯეთი, ლივანი (ნიგალი), ზედა მაჭახელი, ოლთისი, შავშეთი, იმერჴევი.

გ. ყაზბეგის აღწერით, „შავშეთის სახელით იგულისხმება სივრცე, რომელიც მოთავსებულია არსიანის, კარჩხალისა და იალანუსჩამის მთის ქედებს შორის. ყველა ეს მთა მნიშვნელოვნად მაღალია ზღვის დონიდან. ამ მთებს შორის ჩაკეტილი სივრცე, თუ ზოგადად ვიტყვით, წარმოადგენს ერთ დიდ ქვაბულს და შესაძლოა გავყოთ ორ ნაწილად: მთიანი და დაბლობისა. პირველი შედგება იმერხევის ხეობისაგან, ხოლო მეორე სათლელის წყლის აუზის, ან საკუთრივ შავშეთისაგან“ (ყაზბეგი, 1995:74).

გ. ყაზბეგი ბაკოდან შავშეთის პირველ სოფლად ყვირალას ასახელებს: „ყვირალას ხეობას დასავლეთი მიმართულება აქვს და მიეკუთვნება იმერხევს. იქვე ხეობის სამხრეთით იწყება საკუთრივ შავშეთი“ (ყაზბეგი, 1995:75).

„სოფელ ჯინალიდან გზა მდ. ყვირალას გასწვრივ გრძელდება. მდინარის კალაპოტი არსიანის ტყიანი კონტრფორსებით (გოდლებით) ვიწროვდება. ისინი ქვემოთ, ექვსი ვერსის დაშორებით, სოფელ მიქელეთთან, მდინარეს კეტავენ ორი დიდი დაკიდული კლდით... სოფელ მიქელეთთან გზა, რომლითაც ჩვენ ვმოგზაურობთ არსიანის ერთ-ერთ კონტრფორსზე აღმართდება და შედის სოფელ გარყლობაში, შავშეთის ვაკე ნაწილში“ (ყაზბეგი, 1995:76)... „სოფელ გარყლობიდან იწყება შავშეთის ვაკე ნაწილი. იგი ტერასებად

მიემართება სამხრეთ-დასავლეთით და სოფლების უწყვეტ რიგებადაა განფენილი. სოფლები ძალზე დაფანტულია, ამიტომ ისინი რამდენიმე სახლის ერთიანი რიგებითაა წარმოდგენილი. პირველ ტერასზე მდებარეობს სოფლები: გარყლობა, უხედი, წეთილეთი, ჩვარები (ზემო და ქვემო) და კარავათი; მეორეზე: ციხისძირი თავისი 50 კომლით; მესამეზე ტბეთი და დაბაკეთილი და, ბოლოს, ქვემოთ, მდინარის პირას სოფლები - ველი და სათლელი შეყუჟულან“ (ყაზბეგი, 1995:77).

სოფელ სათლელიდან იმერხევის მთავარ ხეობაში შეიძლება შეხვიდე მდინარე სათლელისწყალის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით. ამ მდინარის შესართავთან მისვლამდე, სამი ვერსის დაშორებით, უნდა ახვიდე სოფელ სინგოთის გვერდით ვაკე შემაღლებაზე, რომელიც ტბეთის ზეგანის გაგრძელებაა. ამის შემდეგ გზა კვლავ ქვემოთ კლდოვან დაღმართზე ეშვება სოფელ ფხიკიურთან, რომელიც მდინარე იმერხევის ნაპირზეა განლაგებული. მეორე გზა მიდის სათლელიდან სოფელ ახალდაბის და იმავე ტბეთის ზეგანის გავლით და სოფელ ჭალეთთან ეშვება... (ყაზბეგი, 1995:85)... სათლელის ხიდის იქეთ იმერხევის გზა საქარავნოს გამოეყოფა, ადის ტბეთის ზეგანზე და გაივლის სოფელ ახალდაბას (90 კომლი), რომელიც სოფლების ჩვარებისა და კარავათის სიმაღლეზე მდებარეობს. სწორი იქნება აქ ერთჯერ კიდევ თუ ვიტყვით, რომ მდინარე ყვირალას მარცხენა ნაპირსა და სათლელისწყლის მარჯვენა ნაპირს შორის არსებული სივრცე წარმოქმნის სწორ შემაღლებას, რომელიც ძალზე დამრეცად ეშვება მდინარე ყვირალას ჩრდილოეთით, მდინარე სათლელის სამხრეთით და მდინარე იმერხევის ჩრდილოეთით. განსაკუთრებით მკვეთრია დაღმართი იმერხევისაკენ. ახალდაბიდან ორ ვერსზე გამოჩნდა სოფელი სურევანი... სოფელ ჭალეთთან (10 კომლი) ახლოს ორ საათზე შუადღისას გადავედით მდინარე იმერხევის მარჯვენა ნაპირზე, ისეთივე აგებულების ქვის ხიდზე, როგორც სათლელში ვნახეთ. ორ ხიდს შორის მანძილი 4 საათში გავიარეთ. სოფელი სურევანი

იმერხევის გასასვლელთან დევს და 20 კომლს ითვლის (ყაზბეგი, 1995:86).

„კარჩხალის ხეობათაგან ყველაზე დიდია ბაძგირეთი. იგი იწყება ამავე დასახელების მდინარით, რომელიც სოფელ ფხიკიურის ქვემოთ მდინარე იმერხევში ეშვება... მოსახლეობა დაჯგუფებულია ხეობის ზემო ნაწილში, ზედ ქედთან, რომელიც აქ ფართოვდება. ამ ხეობაში, კერძოდ, ზემო ნაწილში ათამდე სოფელია: ზიოსი, ბაძგირეთი, აგარა, ანდრიაწმინდა და ჩიხორი. ხუთი სოფელი განლაგებულია შუა ნაწილში; ამას მიეკუთვნება: დაბა, უბე, ზაქიეთი, დევაძე და ხევწვრილი. სხვებზე დიდია სოფლები: ბაძგირეთი, ზიოსი, უბე და ზაქიეთი. ხეობის სიგრძე თორმეტ ვერსს აღწევს“ (ყაზბეგი, 1995:87).

შეიძლება ითქვას, რომ ზემომოყვანილი ამონარიდი ერთ-ერთი საუკეთესო გეოგრაფიული აღწერილობაა ამ მხარისა და რაოდენ საშური იქნებოდა ქართველებით დასახლებული ყველა ხეობისა და სოფლის მსგავსი გეოგრაფიული დახასიათება დღეს.

„შავშეთში ყველამ იცის, რომ მათი მხარე ძალით მოწყვეტილია საქართველოზე და რომ მათი წინაპრების რელიგია ქრისტიანული იყო. ოქრობაგეთის ეკლესია, ორი-სამი გურული ქალის მეცადინეობით, ბოლო წლებამდე მოქმედებდა. ეს ქალები ცოლად ჰყავდათ შავშეთის ბეგებს. აქაური ქართული ტაძრის ტრადიციული პატივისცემა ხალხში ახლაც ცოცხლობს. ოქრობაგეთის ძველი ეკლესიის ნანგრევებთან არის სასაფლაო. ქვის ფილებზე ჩვენ ვნახეთ სანთლებიც, რომლებიც ვიღაცას მიცვალებულთა სულის საოხად აენთო. ეს არის ძველი კეთილმოსაგონარი დროის და გვარის პატივისცემა“ (ყაზბეგი, 1995:94).

„შავშეთის მოსახლეობა ორი ეროვნებისაგან შედგება: ქართველებისა და სომხებისაგან. იმერხევის ჩათვლით აქ 58 სოფელია, რომელთაგან საკუთრივ შავშეთისაა 36. ხელისუფლების აღწერით კომლთა რიცხვი 1740-მდე აღწევს,

სინამდვილეში 2000-ზე მეტია. თითოეულ კომლზე 6-7 სულს თუ ჩავთვლით, შავშეთის მთელი მოსახლეობის რიცხვი 12-დან 14 ათასი სული იქნება. ეს მოსახლეობა, 145 კომლი სომეხის (900-მდე სულის) გამოკლებით სუფთა ქართველურ რასას მიეკუთვნება. საოჯახო ყოფაში ისინი სუფთა ქართულით, მთიანი საქართველოს მოსახლეობის, ე. ი. კავკასიის მთიულების აქცენტით ლაპარაკობენ. გარდა ამისა აქაურ მეტყველებაში ხევსურული კილოსათვის დამახასიათებელ მრავალ სიტყვას შეხვდებით. საკუთრივ შავშეთში ქართულად ყველა არ ლაპარაკობს. მრავალ სოფელში ეს ენა სრულიად გაქრა და მის ადგილას პროპორციულად განვითარდა თურქული ენა, რომელმაც სხვათა ენისაგან მიიღო მრავალი სიტყვა. საჭიროა აღინიშნოს, რომ დიდი გზის გასწვრივ განლაგებული სოფლების მცხოვრებლებმა მთლიანად დაივიწყეს ქართული ენა, თუმცა ყველა მათგანი დაუფარავად ამბობს, რომ მათი მამები გურჯები იყვნენ. რაც უფრო ვუახლოვდებით არტანუჯს, მით უფრო ნაკლებად გვხვდებოდა ქართული ენის მცოდნე, თუმცა გობიხვეწიას მთის შემოგარენში მდებარე 12 სოფელს ხალხი გურჯისტანს უწოდებს (ყაზბეგი, 1995:90).

ამ ვრცელი ამონარიდის მოყვანა საჭიროდ მივიჩნიეთ, რადგან გვეჩვენებინა რა მასშტაბის სამუშაოს ჩატარება შეძლო გიორგი ყაზბეგმა უმოკლეს დროში და შეგვედარებინა ის ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალასთან.

„იმერხევი შავშეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. იმერხევში მიმავალი გზა მდინარე ფაფართის (მდ. იმერხევის) ღრმა ხეობას მიჰყვება ისე, რომ გზიდან მხოლოდ რამდენიმე სოფელი მოჩანს. დანარჩენი სოფლები ან ვიწრო ხეობების სიღრმეშია შემალული, ანდა მთების მაღალ კალთებზეა გაშლილი, გზიდან არ ჩანს. იმერხევი იწყება მდ. ყვირალას სათავეებიდან (ერთვის მდ. ფაფართს), სოფელ ყვირალადან (თურქ. დემირქაფი//დემირყაფი) და გადაშლილია მთელი ხეობის სიგრძეზე სოფელ შერთულამდე. აქ ხეობა მთავრდება, მდ. ფაფართი უერთდება შავშეთიდან მომდინარე

სათლელის წყალს, რომელიც აქედან მოყოლებული ჭოროხის ხეობამდე იწოდება შავშეთის წყლად“ (ფუტკარაძე, 1993:32).

შავშელთა მეტყველების შესახებ დიდი საზოგადო მოღვაწე და მწერალი იაკობ გოგებაშვილი წერდა: „შავშელები ლაპარაკობენ, წმინდა ქართულს ენაზედ და გამოთქმით ძლიერ ემსგავსებიან ხევსურებს“ (გოგებაშვილი, 1958:643).

„შავშეთ-იმერხევი ეთნოგრაფიულად ძალიან ჰგავს მთიან აჭარას. პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ სამეურნეო ყოფა თითქმის ანალოგიურია. ხნავდნენ ხის სახვნელით, რომელსაც აქ „არუნას“ უწოდებდნენ. მასში უღელ ხარს აბამდნენ (კორდის ხვნის დროს - ყევარს). მესაქონლეობა ყიშლების და იაილების სისტემის იყო... (თოფჩიშვილი, 2010:143). „მაჰმადიანობის მიუხედავად, იმერხევში შემორჩენილი იყო ზოგიერთი ქრისტიანული ტრადიცია. მაგალითად, სოფელ ბაზგირეთში აპრილის ბოლო რიცხვებში ბებიები შვილიშვილებს კვერცხებს წითლად უღებავდნენ. „ახალ წელს ვებნევით. ახალ წელს მოიკრიბებოდნენ ბაღნები და ერთად ჭამდნენ. ხოჯები გვიშლიდნენ: ახალ წელიწადი გიაურების არისო. ნაძვის ტოტს ახორში მივიტანდით, ახალ წელს ბევრი საქონელი წამოვიდესო“. იმერხეველებს სცოდნიათ „ბერობის“ დღესასწაული: „კაცს შეკაზმავდნენ ვირად, ცხენად, ყოჩად, გახდება ბერობანა, ისამებდნენ (ე.ი. იცეკვებდნენ - რ. თ.)“ (თოფჩიშვილი, 2010: 145).

ინფორმატორთა გადმოცემით, შავშეთში 65 სოფელია. აქედან 45 სოფელი დღეს უკვე თურქულად ლაპარაკობს, ხოლო 20 ქართულად, *„ამ 20 სოფელ იმერჯევ ეტყვიან“ ჩიჯისჯევი (Yanıklı), უსტამისი (Eski Kale), ჩიჯორი (Çukur), დასამოგი (Dereiçi), უბე (Oba), დაბა (Demirci), ჯევწვრილი// ჯევწვრული (Çağlayan), ზაქიეთი (Yağı), ბაზგირეთი (Maden), ზიოსი (Tepebaşı)* – „ესენი *ჯევწვრული ღელეს სოფლებია, ჩვენი ჯევწვრული მერქეზია* (ცენტრია), *ყველა სოფელში გზა ჯევწვრულიდან დეიფანტვის“.*

*„ახლა სერგადაღმა დიობნის მხარე რაბათიდან წავყვეთ, დასამხიდან პირდაპირ მივდივართ: სურევანი (Dutlu), აგარა (Erikli), წყალსიმერი (Balıklı), იფკრევლი (Taşköprü), ივეთი (mısırlı), დიობანი (Meidançık), ჯოჯლევი (Çağlı pinar), მანატბა (Yeşilce), ჯვარისჯევი (Sebzeli), მაჩხატეთი“.*

იმერჯეველთა თქმით, *აქაურობას იმერჯევ ეტყვიან, შერთულ აქეთ. აქ მცხოვრებელი ბათუმიდან მოსული არავინ არის. ჩვენ აქაურები ვართ.*

როგორც ვხედავთ, იმერჯეველები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ აქ ბათუმიდან მოსული არავინ არის, რითაც თავს მიჯნავენ მუჰაჯირებისგან და მიუთითებენ თავიანთ ოდინდელ მკვიდრობაზე ამ ტერიტორიაზე.

ზოგი სოფელი დღეს უკვე უბნად იქცა, მაგალითად, დიობანი, ივეთი და იფკრევლი გაერთიანდა და მეიდანჩიკის (Meidançık) მუნიციპალიტეტში შედის, ასევე დღეს სოფელი მაჩხატეთი მანატბას (*Yeşilce)* შეუერთეს.

ართვინის ვილაიეთის შავშეთის რაიონის სოფელ ჯევწვრილში, ეთნიკურ ქართველთა გადმოცემით, 200 კომლი ცხოვრობს, რომელთაგან ზამთარში 30 კომლამდე რჩება, უფრო ზუსტად, როგორც ადგილობრივი ქართველები იტყვიან: „ნოემბერი განახევრდება, წავლენ“. სოფელი რვა უბანს მოიცავს: ღელეგაღმით 1. *მიკელჯმიენთისა* და 2. *აბრამიენთის* უბნებია, ხოლო ღელეგამოღმით: 3. *მეგრელიენთი*, 4. *რევაზიენთი*, 5. *მეჩეთი უბანი*, 6. *ჯიმუჯიენთი*, 7. *გოჩიენთი უბანი*, 8. *ბელტიეთი*.

ადგილობრივთა თქმით: *„ჩვენ ჯევწვრულ ვიტყვით, მაჭახლელები, ბორჩხალები ჯემწრილ იტყვიან“.*

სოფელში ჩამოდის ბაზგირეთის, ბელტიეთისა და ზაქიეთის ღელეები (მდინარეები), რომლებიც აქ ერთმანეთს უერთდება და ჯევწვრილ ღელედ (მდინარედ) იქცევა, რომელიც შემდეგ იმერჯევის ღელეში (მდინარეში) ჩაედინება.

ჯევწვრილში უფროსი თაობის ყველა ეთნიკური ქართველი კარგად ლაპარაკობს ეთნიკურ ენაზე.

წყალსიმერში ძირითადად თურქები ცხოვრობენ დღეს, შოლტისჯვრი (60 კომლი) და ბზათა (70 კომლი) კი კვლავაც ქართველთა სამკვიდროა (*შოლტისჯვრი* და *ბზათა* დღეს წყალსიმერის უბნებია). წყალსიმერსა და დიობანში თურქები სპეციალურად ჩაუსახლებიათ, რომ ქართველებს თურქული ესწავლათ. წყალსიმერში ეთნიკური ენა არ იციან; ოჯახში ურთიერთობის ენა აქ ძირითადად თურქულია - შიგადაშიგ გამოურევენ ქართულ წინადადებებს, მ. ფაღავა მიუთითებს: „აღმოჩნდა, რომ თვით წყალსიმერში ქართული არ იციან. ზოგს ესმის ქართული, მაგრამ ლაპარაკს ვერ ახერხებს. მათ თურქულ მეტყველებაში ქართულის ელემენტებიც შესამჩნევია, რაც არაა გასაკვირი. ჩანს, დიდი ხანი არაა, რაც წყალსიმერში ქართული თურქულმა შეცვალა“ (ფაღავა, 2013:180-181). ბზათასა და შოლტისჯვრში კი ეთნიკური ენა მეტ-ნაკლებად ყველამ იცის, იმ ახალგაზრდების ჩათვლით, რომლებიც ზაფხულობით სოფელში ჩამოდიან. წყალსიმერის მკვიდრთაგან, განსაკუთრებით საშუალო ასაკის წარმომადგენლებიდან მხოლოდ ზოგიერთმა თუ იცის ენა არცთუ სახარბიელოდ. როგორც სხვა სოფლებში, ისე აქაც *აქაურები ხვდებიან, ვერ ლაპარაკობენ.*

მანატბა *თელი გურჯი სოფელია* (მთლიანად ქართველების სოფელია). მანატბაში 30 კომლი ცხოვრობს, ზამთარში აქედან მხოლოდ 15 კომლი რჩება. შედარებით დიდი *გვარიზოგაა* (გვარი): ჯაჯანიძე, კოსოლიძე, დარბაძე, შავთეთლიენთი//შავქეთლიენთი.

მანატბაში უფროსი თაობის ადამიანები, შეიძლება ითქვას, წმინდა ქართულით ლაპარაკობენ: მე ქართულა ლაპარაკში თურქულა არ უურევ, ქერდიკა (არეულ-დარეული) არ უნდა გაჭადო; მაგრამ წუხან, რომ: *არევლია ჩვენი ენა, თქვენი გურჯიჯა ზოგი ეწყობა, ზოგი არ ეწყობა.*

მაჩხატეთში, რომელიც მანატბას შეუერთეს, 20 ოჯახი ცხოვრობს.

სურევანში, რომელიც იმერჯევის სხვა სოფლების მსგავსად ქართველების სოფელია, ადგილობრივებმა ვითარება ასე დაგვიხატეს: აქ სხვა გორი არ არი, ქართული მეზრებია (საფლავებია). საფლავები ერთ-ერთი უტყუარი საბუთია ამა თუ იმ ტერიტორიაზე ისტორიული ვითარებისა და იმ ეთნიკური ჯგუფების დასადგენად, რომლებიც აქ მოსახლეობდნენ. მიუხედავად გეგმაზომიერი პოლიტიკისა და დიდი მონდომებისა, მაინც რჩება ფაქტები, რომლებიც საუკუნეების შემდეგაც ღაღადებენ ისტორიული სიმართლის შესახებ.

სურევანში *ბაჯალიძეები, გორაძეები, ზაღლაძეები, დაჩიძეები...* ცხოვრობენ.

ივეთში *იხშიენთები, გაბელიენთები, ქაშკალიენთები, ზოზიენთები, კავჯიენთები, ზემოენთები, წიკათიენთები, მუხამედიენთები, ჭალაიპირიენთები...* ცხოვრობენ. სოფელ ივეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ბერლინშია, რადგანაც ხანძრის შედეგად ყველა სახლი დამწვარა და მთავრობასაც ნება მიუცია გერმანიაში წასვლისა. აქვე აღნიშნეს, რომ ვინც გერმანიაში წავიდა, არ გამოცვლილა, როგორიც სოფელში იყო, იქაც ისეთივე დარჩენილა. მიუთითებენ იმასაც, რომ „რადიკალი ისლამი“ ევროპიდან შემოვიდა, უფრო სწორად, ევროპაში წასული ხალხისგან დაიწყო.

ეთნიკური ქართველები წუხან ენის მომავლის გამო: *ძველები დეიკარგნენ, ახალები არ ისწავლიან. მიხვდება და ვერ ულაპარაკნია.* ენობრივი ვითარების შეფასებისას არც ახალგაზრდები ალამაზებენ რეალურ ვითარებას: *ძველებმა იციან და ჩვენ არ ვიცით. ძველები მორჩნენ* (გარდაიცვალნენ), *არავინ აღარ არი.* მანატბაში ზამთრობით რომ რჩებიან, ის ბავშვებიც არ ლაპარაკობენ ურიგოდ ეთნიკურ ენაზე.

ისევე როგორც თურქეთის საქართველოს სხვა ეთნიკური ქართველები, იმერჯეველები თავიანთ თავს *გურჯებს* და *თურქეთის ვათანდაშს* (resp.: *თურქეთის მოქალაქეს*) უწოდებენ: „გურჯები გურჯი ვარო იტყვიან, თურქი ვათანდაში

მეჯბური ვარ". *ქართველი* მათთვის ქრისტიანი ეთნიკური ქართველი იყო. დღეს კი უკვე *ქართველსაც* და *ქართულსაც* ქართველის აღსანიშნავად ხშირად ხმარობენ: *„მე რაცჯა ვარ იმას ვიტყვი, ამა* (მაგრამ) *თურქი ვათანდაში ვარ", „მე ქართულები მიყვარან, მე ქართული ვარ"; აქ სხვა გორი არ არი* (სხვა ხალხი არ არის)//*აქ სხვა მილეთი არ არი, ბითევი გურჯები არიან* (აქ სხვა ხალხი არ არის, სულ გურჯები არიან).

საინტერესოა ერთი ეთნიკური ჯგუფის მიერ მეორის შეფასება, რაც ყოველთვის იწვევს ინტერესს. ამ მხრივ, გამორჩეულია ქართველების მიერ რუსების დახასიათება: *ვინცჯა ფინთი ინსანი იქნება, რუს ვეტყვით.*

ენას კი *გურჯიჯას* უწოდებენ. იმერჯევის ქართველებისთვის *გურჯიჯა ანა დილიმია* (resp.: მშობლიური ენა), *თურქჩე მილი დილიმია* (resp.: სახელმწიფო ენა): *დედის ენა ქართულია. ჩვენ აქაურები ვართ. ჩვენ აქა ქართულა ვლაპარაკობთ, შავშეთში არავინ არ იციან; ჩვენ დევიბადენით, ჩვენი დედის ენა ქართული იყო. მექთებში* (resp.: სკოლაში) *თურქული იყო.*

საინტერესოა ის ფაქტი, რომ იმერჯევში შემორჩა განსხვავება *წმინდასა* და *სუფთას* შორის. ეთნიკურმა ქართველებმა ეს ენასთან დაკავშირებით საუბრისას გამოამჟღავნეს. ეს სხვაობა უკვე დიდი ხანია თითქმის დაკარგა თანამედროვე ქართულმა. ჯევწვრილის მკვიდრებმა საუბრისას შენიშვნის სახით ჩაურთეს: *წმინდად არ ვიცი გურჯიჯა.*

როდესაც ქართველებს სურთ მიუთითონ ამა თუ იმ ტრადიციის, სამზარეულოს ან ყოფაცხოვრების ქართული ხასიათის ან დეტალის შესახებ, ყოველთვის ამბობენ: *ეს გურჯისტანულია.*

რამდენადაც კვლევა თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში მოქცეული ისტორიული საქართველოს ენობრივ ვითარებას ეხება, უნდა განვსაზღვროთ, ერთგვარია თუ არა ენობრივი ვითარება ართვინის ვილაიეთის შავშეთის რაიონის დღეს ქართულად მეტყველ სოფლებში. შეიძლება ცალსახად

ითქვას, რომ ენობრივი სიტუაცია ქართულად მეტყველ ყველა სოფელში მეტ-ნაკლებად ერთგვარია. აქაც ისევე შეიძლება გამოიყოს ასაკობრივი ჯგუფები ენის ცოდნის ხარისხის მიხედვით, როგორც ტაოს, კლარჯეთის, სამხრეთ შავიზღვის-პირეთისა და მარმარილოს ზღვის რეგიონების სოფლების ენობრივი სიტუაციის აღწერისას:

1. 70 წელს გადაცილებული ქართულ სოფლებში დაბადებული და გაზრდილი ეთნიკური ქართველები. მათი საკომუნიკაციო ენა ეთნიკურ ქართველებთან და ოჯახში *გურჯიჯაა* (ქართულია). მათ თურქული გვიან ისწავლეს და უკვე აქტიურად იყენებენ ყოველდღიურად თურქეთში მცხოვრებ სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას. ამ თაობის ადამიანები თვითონ ასე აფასებენ თავიანთ ენობრივ კომპეტენციას: *გურჯიჯა უფრო ვლაპარაკობ. ჩვენი სოფელი, მემლექეთი გურჯია.* ახალგაზრდები კი აღნიშნავენ რომ *დაბერებულები გურჯიჯად ქოლად ლაპარაკობენ* (*ასაკოვანი ადამიანები ქართულს ადვილად ლაპარაკობენ*).

2. 50-60 წლის ეთნიკური ქართველები, რომლებიც ისტორიულ ქართულ სოფლებში არიან დაბადებული და ენა ქართულად აიდგეს. ამ ასაკის ეთნიკურმა ქართველებმა განათლება თურქულ სკოლებში მიიღეს, მცირე ნაწილმა უმაღლეს საწავლებლებში; მათ სამსახურებსა და თურქულენოვან საზოგადოებაში უწევთ დროის დიდი ნაწილის გატარება. ისინი თავიანთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან და ოჯახში კარგად ლაპარაკობენ *გურჯიჯა* (ქართულად), თუმცა ბევრი თურქული ნასესხობით: *ჩემთვინ გურჯიჯა დაჰა ქოლაია ჩემთვის ქართული უფრო ადვილია).* მათი დიდი ნაწილი უკვე თურქეთის ქალაქებში ცხოვრობს.

3. 30-40 წლის თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში დაბადებული ეთნიკური ქართველები, რომელთაც სკოლებიც ქალაქში დაამთავრეს, ამ ასაკის ქართველთა დიდ ნაწილს უმაღლესი სასწავლებლები აქვთ დამთავრებული; გაფანტულად

ცხოვრობენ თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში, მუშაობენ სხვადასხვა დაწესებულებებში, ჰყავთ თურქი მეგობრები. ქართველების ეს ნაწილი დამტვრეული ქართულით საუბრობს. მათი საურთიერთო ენა ოჯახშიც და საზოგადოებაშიც უკვე თურქულია. ისინი, ისევე როგორც ყველა სხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები, თავს *გურჯად* აღიქვამენ და ქართული ენის მცოდნე *გურჯებისგან* თავს ასე გამოიცალკევებენ: *ის ჩემზე გურჯია*, რითაც მიანიშნებენ ეთნიკური ენის როლსა და მნიშვნელობაზე.

4. 30 წლამდე ასაკის ეთნიკური ქართველები, რომლებიც ვეღარ ლაპარაკობენ ქართულად. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ახალგაზრდა ქართველი მოწადინებულია უმაღლესი განათლება მიიღოს. კითხვაზე, იცოდა თუ არა ქართული ენა, პასუხი ყველა შემთხვევაში ცალსახა იყო: *გიგვიგნია და ვერ გვილაპარაკნია.*

როდესაც უფროსი და საშუალო ასაკის ეთნიკურ ქართველთა საუბარს ყურს ვუგდებდით, ისინი გაბმულად საუბრობდნენ ქართულად, რასაკვირველია, თურქული ლექსიკური ერთეულების შერევით და არ ანაცვლებდნენ მას თურქული ენით. კითხვაზე, თუ რა სიხშირით საუბრობდნენ ქართულ ენაზე, ასეთ პასუხს ვღებულობდით: *ქართულს ვერ (არ) ვლაპარაკობ მევრს, მერე თურქული გვიჭირს.* აღსანიშნავია ისიც, რომ ეთნიკურ ენაზე ძირითადად ზაფხულობით, სოფელში ლაპარაკობენ: *მე აქ ვლაპარაკობ გურჯიჯას, იქ არ ვლაპარაკობ.*

ზემოთქმულის მიხედვით, ენობრივი სურათი იმედის მომცემი არ არის. თურქეთის ეთნიკურ ქართველთა შეფასებით *„ათი წლის ქვემოთ არ იციან ქართული, ათი წლის ზედაც არევლ ლაპარაკობენ, მემრე და მემრე დეიკარგვის“*. 20-30 წლის შემდეგ აქ ქართული ენის ცოდნის თვალსაზრისით სავალალო ვითარება იქნება, რასაც ბუნებრივად მოიტანს დღეს არსებული ცხოვრების წესი; მაგრამ ყველა ეთნიკური ჯგუფის შემთხვევაში ენისადმი დამოკიდებულება უნიკალური და

განუმეორებელია და, აქედან გამომდინარე, დაბეჯითებით ძნელია თქმა, თუ რა შეიცვლება ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის ცხოვრებაში, როგორ შეცვლის ის თავის დამოკიდებულებას ენისადმი. ამის თქმის საფუძველს უკვე თურქეთის რესპუბლიკის მიერ მიღებული კანონი იძლევა, რომლის თანახმადაც სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკურ ქართველებს და ასევე თურქეთის ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლიათ დაეუფლონ ქართულ ენას. ერთ-ერთ ნიმუშად სოციალური ქსელებიც გამოდგება, რომლის საშუალებითაც დღეს თურქეთის მკვიდრმა არაერთმა ეთნიკურმა ქართველმა თავის თანამოძმეებთან ურთიერთობით ეთნიკური ენა ისწავლა ან გაიმყარა ენის ცოდნა.

ზემოთქმულის გარდა, ზაფხულობით მშობლიურ სოფლებში ჩამოსულ ეთნიკურ ქართველებს როცა ვკითხეთ, ოჯახში, თავშეყრისას, ქორწილებში, დღესასწაულებზე... რომელ ენაზე უფრო ხშირად ლაპარაკობდნენ, მოგვიგეს: *რა ძალი გვაქ, თურქჩაზე ვლმიჭოთ ტიტვირები* (ტუჩები)?

დღეს სტამბოლში მცხოვრები ქართველები რომ არ დაიფანტონ, ქართული ენის ცოდნა განიმტკიცონ და თან მამა-პაპათა საცხოვრებლის სახელები არ დაივიწყონ, საზოგადოებებს ასე ანაწილებენ: ბეიკოზი აჭარიდან წამოსული ქართველების კულტურის ცენტრია, სეფარქოი - შავშელი და იმერჯეველი ქართველების, ხოლო შირინევლერი (ბაჰჩევლერის უბანია) - მაჭახლელებისა.

„ტოპონიმიკური მასალის შეგროვება საშური საქმეა. ადგილის სახელთა ცხოვრება ორი უკიდურესობით გამოირჩევა. შეიძლება ისე გავიდეს ათასწლეულები, რომ ამა თუ იმ სახელმა ნირიც კი არ შეიცვალოს, ისე გადაიტანოს ხალხთა მოძრაობები, ისტორიის ქარტეხილები, რომ პირველქმნილი მოვიდეს ჩვენამდე.... ეს არის ტოპონიმთა ცხოვრების ერთი მხარე - მათი გამძლეობა, თუმცა გვაქვს სხვაგვარი ბედის მქონე ადგილთა სახელებიც“ (ბერიძე, 2012:5). ამიტომ ჩვენც იმ

ტოპონიმებით დავიწყებთ, რომლის ჩაწერის საშუალებაც სოფლებში გვქონდა.

თურქეთის ქართველები კი ტოპონიმთა მნიშვნელობას საკუთარი ისტორიისთვის ასე აფასებენ: *ყვალა ადგილის სახელი არის ქართული, ამიტომ მე ვფიქრობ, ეს მიწა არის ქართული. ამას იქით ჩემ შვილებმა იცოდენ, ვინა ვართ.*

შ. ფუტკარაძე იმერჯევის სოფლების აღწერისას ტოპონიმთა ვრცელ ჩამონათვალს გვაწვდის: ხოხლევი: მესხიეთი, გორგიეთი, ქომიენთი, ჯენიგლიენთი, ლომიენთი, ხევრიენთი, წყაროტანა ყანა, გვიანურ, გუერდაი, ხერცუათ, ბაკათ, ეკლუანთ... (ფუტკარაძე, 1993:195), ჯინალი, ველათ, უზნარეთ, მელუსკუდან, მეროზან, აბანო, შაქაროღლი, ბახჩიენთი, ბაკათი, ზაქარეთი, ბუჯანათი, ჭიაჭიმურეთი, ხოშათი, ბარდულეთი... (ფუტკარაძე, 1993:223), მიქელეთი: დოლაბი ყანა, ნაფუზი თავ, ციიყელ, ჭუნტა, წმინდა, ნაფუზარ, გუნდუგეთ, ველთ, ზუარეთ, ვაშლიჯელ, ლაორმან, იანნალა... (ფუტკარაძე, 1993:223), ჩიხორი: თეთრაკეთი, ლიბანი, არდიასწმინდა, პაწა ჩიხორი, აგარა, ბერიეთი, გიგიეთი... (ფუტკარაძე, 1993:227), ხევწრული: მიქელყმაზე, გუერდაი, სხანნარი, ჩაკიდულო, ნაჭიბულო, ნაგუთნი, სავლიანე, ნაოსპარი, ნატუსალა, ნაქილისავი, სარიკალა, თეთრობი თავი, ციალეთი... (ფუტკარაძე, 1993:229), წეთილეთი: იხტრიენთი, ახალჭალა, წისქვილი გზა, გოგაშაური, საზამთრო, ნა-ფურნევი... ბაზგირეთი: საუბნო, სინგურთი, ვაკიბოლოთი, ხერთვისი, სიონზითი, ჯანჯირი... (ფუტკარაძე, 1993:249), (ფუტკარაძე, 1993:253), მაჩხეტეთი: ზელქედ, პატარა წუერ, დიდღელე, ქატრუანი, კარჩხალეთხევ, ფიქლუან, გუერდ, საინითავ, ზიზანავრ... (ფუტკარაძე, 1993:257), მანატბა: დოღლანური, ხეობა, ნაჭარლები, ავაზანყანა, ნასახლევი, შავტყე, რობანეთი, სანაფოტე... (ფუტკარაძე, 1993:266), შოლტისხევი: სომეხეთი, ხვალიეთი, ქურდიკეთი, ბათიენთი, ხოჯიენთი, თათუენთი, მიქელეთი, შოლტისხევის ღელე, ნარვალა რუ, კორტოხი, კლდეკარი... (ფუტკარაძე, 1993:278),

იფხრევლი: ბოჯანური, სათრიპირი, სელავრი, წიახტი, გოგლაზირი, ზემონაგვარი, ვაკე-ვაკი, კრიჭასერი, არჩილა-წყარო, ცივწყარო... (ფუტკარაძე, 1993:279), ივეთი: საზეპელი, საბუქე ჭალა, წყაროები, ციკატისერი, სამწყავი, წამოსახედავაი... (ფუტკარაძე, 1993:283), დასამობი: წიქრიენთი, ციალეთი, ქოქლიეთი, სანებათი, ჭედრაულაი, მორჩვნალათი, სამარილო, მელისსაკუნტარაი... (ფუტკარაძე, 1993:284), აგარა: კაკაბავრი, სათხარა, თეთროზეთი, კოწარუხი, ყორითავი, ყიშლები, თათელვანი, ქვიტავრი, აბაშიეთი, მოსიეთ ყანები... (ფუტკარაძე, 1993:284), ზიოსი: გოხოვრა, სექვაწალა, ჭიდილა, ტბეთი, ჭალათი, ტაბიკოვრა, ჭერულა, კუნდრათი, მიქიეთური, უკანეთი, ელიაწმინდა... (ფუტკარაძე, 1993:289).

ნ. ცეცხლაძე, რომელმაც, შეიძლება ითქვას, ყველაზე სრულად აღწერა და შეისწავლა საზღვრის გახსნის შემდეგ ჭოროხის აუზის ტოპონიმია, თავის მონოგრაფიაში „ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმიიდან“ შავშეთის ტოპონიმებს წარმომავლობის მიხედვით ოთხ ძირითად ჯგუფად ყოფს: „1.ქართული ტოპონიმები; 2. თურქული სტრუქტურისა და სემანტიკის ტოპონიმები; 3. ქართულ-თურქული სიტყვებით გაფორმებული ტოპონიმები; 4. ზანური ტოპონიმები; სულ საკვლევი რეგიონის ხუთ ათეულზე მეტი სოფლისა და ნასოფლარის გეოგრაფიული სახელების რაოდენობა აჭარბებს სამი ათას ერთეულს. რეგიონის ქართული ტოპონიმიური სახელები ძირითადად ისევე იწარმოება, როგორც ეს დამახასიათებელია საქართველოს სხვა კუთხეების გეოგრაფიული ნომენკლატურისთვის. ასევე მაღალია ქართული ტოპონიმების პროცენტობრივი მაჩვენებელი არაქართულ გეოგრაფიულ სახელებთან შეფარდებით (71, 7%)“ (ცეცხლაძე, 2004:29).

მოგვყავს ნ. ცეცხლაძის მიერ წლების განმავლობაში ჩაწერილ ტოპონიმთა ნაწილი, რომელიც მას წარმოების მიხედვით აქვს დალაგებული:

„ახო სათესები (ზიოსი, უბე, ჯინალი, დასამობი, წეთილეთი, ხევწრული), ბოლო სათიბი (დაბაწვრილი), ბრილი

ტყე, სოფ. უბანი (სხლობანი, დასამობი), დუბე სათიბი (ზაქიეთი), ვაკე სათიბები (დაბაწვრილი, დიობანი, კუჭენი, სვირევანი), ვან სათიბი, სათესი (დაბაწვრილი, სინკოთი), ველი სოფელი (შავშეთი), ვენახი სათესი, სათიბები (დასამობი, ჩაქველთა, წეთილეთი), ზეგანი სოფ. უბანი (ჩიხორი), კალო ტყე (ხევწრული), კონცხი საძოვარი (დიობანი), ლარ, ლაშე სათიბები (დაბაწვრილი, კარავათი), მერე სათესები (წყალსიმერი, დიობანი), მითი სოფ. უბანი (ოქრობაგეთი), მურყანი ტყე (კუჭენი), ტევრი ტყე (ტბეთი), ფაცხა სათიბი (წყალსიმერი), ფონ სათიბი (ჩართულეთი), ქარაფი სათიბი (დაბაწვრილი), ქედ მწვერვალი (კუჭენი), ღელე სათიბი, ღელე, ტყე (მამანელისი, ჭუარები, დაბაწვრილი), ყანა სათესი (ხოხლევი), ციალი ტყე (უბე), წალკოთი//წალკოტი სათესი, სათიბი (ზაქიეთი, დაბა), წიახტი წყარო, საძოვარი (წეთილეთი, იფხრევლი), ჭოლო სოფ. უბანი, სათიბი (ქვ. სულისი, დაბაწვრილი), ჭოჭე სათიბი, საძოვრები (მაჩხატეთი, ჩაქველთა, დაბა, უბე), ხევი ღელე (იფხრევლი), ჯვარი//ჯუარი სათიბი, ეკლ. ნანგრ. (სვირევანი, დიობანი, ზიოსი, მიქელეთი“ (ცეცხლაძე, 2004:30).

ჩვენ კი ქვემოთ იმ მასალას დავიმოწმებთ, რომლებიც ენობრივი ვითარების აღწერისას ჩავიწერეთ:

ჰევწვრილის ტოპონიმები: *გვერდწმინდა* ჰევწვრილის მთისა და საძოვრის (იაილას) სახელია; *უმუშაკარი, ფიქალეთი* - მთების სახელებია; *შაქვათლიენთი* - ადგილის სახელია.

ტყეების სახელები: *დიდტყია, გონიეთი, ასამბიეთი, შავტყე, ინაწმინდა,...*

მდინარეების (ღელეების) სახელები: *ტყიავრი ღელე, დოდოფალა ღელე, ბორცუნათი, წალკოტა* (ადგილის სახელიც არის), *უღელტეხილი ღელე, გორაღელე* (დიობან (Meydancık) გასავალშია).

ინფორმატორთა გადმოცემით, ჰევწვრილს ორი ყიშლა აქვს: *ჰევაი* და *აბურთული.*

სერების სახელები: *თარანგელა სერი, ფიჭვნარა, კარეთიფერდი, ნაფურნევი, ნაქურთევი...*

*თარანგელა სერი* მთავარანგელოზის სერისგან უნდა მომდინარეობდეს.

ჭალების სახელები: *სამზიარები, ღობეკარი, აჭუები, ფუსკოვრისერი, მერბედავი//მერბედავლი, აჭალშენი, ჭალათი, ნასიმინდვარი, ღეჭავრი//ხეჭავრი, ნასაბზევი, ჭალებიციხე, შუაჭალები, ბერავლი, ნაცერცვალი, ბუჭე, ნაბოსტნი, ნაყორანგლევი, გორჩივაკე//გოჩივაკე, ნაფლატი, ხაფავრა, წისქვილიკარი, ახალჭალა, ჭანკურა სერები//ანკურასერი, განაყოფური, ჟავეთვაკე, ჭენჭაძირი, აჭო, ნაოსპარი, კვირისთავათი//კვირისთავი, ფაშოკარები, გამრეკლიეთი, ჯავრიეთლები, დოღლანურები, ნასახლევები, ვაკეები, ფილანევი, კლანცააჭო, სოჭა, წყაროწინა, სხალნარი, მარანათი, უქუჩთილა, ჯიმიჭოვრა//ჯიმუხორა, დანგრეულები//საკრიღელე, ტყიათი, იფქრუვანა, სანგლიაფერდი, დათვისორე, ჯიმფულასერი, ოჭოთი, კურკულაჲ, სინათი, ბენდები, საყანებელა, აბუშაქარი, სავლინე, ჭიყოვრა, ტარიაძირი//წარიაძირი//სარიაძირი, ღვიძლაძირი, ღეჯაძირი//ღიჯაძირი, პანტნავი, ნაბუკვარათი, ვაჩალეთი, ავაზანყანები, კოდის წყალი, ქვაბიკარი, ტუზური, ნასაბძლევი, გზელა, სახლუკანა, ბილკევრი, ჭედელავრი, ჭვაჯრევლაჲ, ჯურღმულათი, ლოდნარა, დარითავი, წყაროთვალი, ნარვანი, ქედიკარი, ჭაია, ქუნჩა, ქათავრა, ჭავრა, განაყოფური, ნაჯიელთი, მარანათი, სართლუა, დედოფლიწყარო, სადევაჭევი, მოღობილი, ულეველა...*

საბოვრების სახელები: *გალგოთი, ჭალათი, ბარელთა, ცხრაწყაროთი, კოთელაჲ, მერიგადასაველი, საბუთიათი, ბოსტანათი, წიქარული, გადაჭრილი, სახუნდარი, კატრიანსერი, ფიქლები, სათივრები, ბულულაჲ, ფაფაქი, გენაჯევრი.*

*სავლინე* - ტოპონიმია ჭევწვრილში; *ჭიღორა* - ტოპონიმია ჭევწვრილთან ახლოს; *სანეგვიათი* - ადგილის სახელია, ვაკე ადგილის სახელია, სოფელ დაბისა და სოფელ ჭევწვრილის საზღვარზეა; *აკვანა* ადგილის სახელია, აკვანივით არის

ჩავარდნილი, სოფელ სურევნისა და ჴევწვრილის საზღვარზეა - ერთ მხარეს სურევანია, მეორე მხარეს ჴევწვრილი.

სოფელ ზიოსის ტოპონიმები: ზიოსში გამოყოფენ *ზემო ზიოსსა* და *ქვემო ზიოსს*. ზემო ზიოსის უბნებია: *ლოლო-ოღლების მაჰალე, იზეთ-ოღლები*, ქვემო ზიოსში კი *ბალაზე მაჰალე* (ბალაძის უბანი); *ზიოსური ღელე* - სოფელ ზიოსის ღელე (მდინარე), რომელიც ჴევწვრილის ღელეში (მდინარეში) ჩაედინება.

მანატბის ტოპონიმები: *ნაფლატი, დიდღელე - ღელეების* (მდინარეების) *სახელები; ქათიჯვარი//ხატიჯვარი* მთის სახელი; *საბადური, გზელქეთი, ზედვაკე* - სერების სახელებია; *სათიჭიწვერი* (*ტალახიანი ადგილია, ქალამნებ გაგაძროს ფეჭიდან*), *ძაღლიპირა, ნაკალოებ, ძნელი* - ტყეების სახელებია; *ნაფლატითავი* - ადგილის სახელია (*ერთი დიდი ადგილი არი, დაფლატულა ძველად*); *ჯავრიეთი, ნიკაწმინდურები, ნაფუზრითავი, ვაჩანეთური, ავაზანყანა, ასკილვანა, ოფუები, გვალეები, ჭოჭე, ნაჭავლები, ნაჭარვალი, საკაჯე* (საკაჟე), *ზედა ვაკე, სანაფეტვრე* (*მაგრამ ახლა სანაფოტე ვეტყვით*), *ნასახლე-ვი, სანელიენთი* (*მელაჲ ყოფილა იქ*), *შავტყე* - ყანებისა და ჭალების სახელებია. ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალას შევავსებთ მ. ფაღავას მიერ ჩაწერილი საინტერესო და მრავალფეროვანი ტოპონიმებით: „ოქროს საწველები (საწოლები?), საყინაური, უხერეთი, ჩხავრიეთი, ღურღულეთი, სამათვარიელო, ყამჩი-ეთი, სარტყელაჲ, რობანეთი, თუთნები, შავტყელაჲ, ღმაღელი-თავები“ (ფაღავა, 2013:191).

სოფელ ბაზგირეთის ტოპონიმები: ბაზგირეთის უბნებია: *გამეშეთი, შუაჲ მეჰელე (შუა უბანი), ქვედაჲ მეჰელე*. ეს ჩვენი ექპედიციისას ჩვენ მიერ ჩაწერილი და შემოწმებული მასალაა, მ. ფაღავა ბაზგირეთის უბნებს შემდეგი ფონეტიკური ნაირსა-ხეობით წარმოგვიდგენს: „სოფელი სამი ნაწილისაგან შედგება: ქომო სოფელი, შუა სოფელი და ზემო სოფელი - გამიშეთი//გა-მეშეთი (ფაღავა, 2013:15).

სოფელ უსტამისის ტოპონიმები: უსტამისის უბნებია: *ზედაჲ სოფელი, შუა მეჰელე, ტეფთიბარ.* მ. ფაღავას მიერ ჩაწერილი მიკრო და მაკრო ტოპონიმებით შეიძლება შევავსოთ ჩვენი მასალა: „ადგილის სახელები აქ სულ გურჯიაო, მიხსნის ეუბი: ხანდალოს წვერი, მინდორი, საბურთია, სამალავთი, ხარი ჲათაღი, წიფელა, ყვაირანჯვარი, ბუღა გჲოლი... (ფაღავა, 2013:142); სხვა სახელებია: ფეფელა, დიდნაზვი, სავათა თავი...“ (ფაღავა, 2013:143).

წყალსიმერის ტოპონიმები: მდინარე *მერესწყალი; საცხვრე* - ადგილის სახელია წყალსიმერში.

სოფელ ზაქიეთის ტოპონიმები: *ჩაქვიზე მეჰელე* (ჩაქვიძის უბანი), *ჰევ მეჰელე, ჯამი მეჰელე, ჯიროღლები, შობელა მეჰელე.*

სოფელ ჩიჯორის ტოპონიმები: ჩიჯორის უბნებია: *ლიბან მეჰელე, თეთრაქეთ, დიდ ჩიჯორ, აგარა, ბრილი, დასამობი, დიგიეთი, დავლათი, ნიოლეს.*

სოფელ უბის ტოპონიმები: *ჯამი მეჰელე, იბიშა მეჰელე, გორგაძე მეჰელე.*

*დიდველი* - ვაკე ადგილის სახელია უბეში; *საბეგიჯვარი* - ადგილის სახელია უბეში; *უბური ღელე* - სოფელ უბის ღელე, რომელიც ჰევწვრილის ღელეში ჩადის; *შავწყალათი* - სოფელ დაბასა და სოფელ უბეს შუა ღელეს (მდინარის) სახელია.

სოფელ დაბის ტოპონიმები: *ჯამი მეჰელე, ზემო მეჰელე, დევაძეები, დევიეთი* სოფელ დაბის უბანია; *დევიეთღელე* - დაბას გაივლის და ჰევწვრილის ღელეში ჩადის; *ბოსელთა* - სოფელ დაბის საძოვრის სახელი.

სოფელ სურევნის ტოპონიმები: *ჯამი მეჰელე, დავითიძე, კოწალეთი, ჯვარიჰევი, ფარნუხი, ოტკილდე* (ოთხკლდე) კლდეებს შორის მოქცეული ადგილი; *დღვაბიე, ჰარის-საკლავი, ახო, ნაფუზრები, ნიფხაურა* - ადგილების სახელებია სურევანში; *კოპიზურა* ტყის სახელი, *ფარნუჰი* - ტყის სახელიც არის და უბნისაც სურევანში; *სურევნი თა* - სურევნის

მთა; ღელეების სახელები: *შვიდელა ღელე, ორსულა ღელე, გადაღმა ღელე.*

ისტორიულ სამშობლოს მოწყვეტილი ჯგუფი ლექსიკურ ერთეულთა სესხების პარალელურად საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს, ერთი მხრივ, ქართული ლექსიკური ფონდის შენარჩუნებისა და, მეორე მხრივ, სიტყვაქმნადობის თვალსაზრისით ქართული ენისთვის დამახასიათებელი მოდელებისა და მაწარმოებელი აფიქსების საშუალებით.

ეთნიკურ ქართველთა მეტყველებაში დღემდეა შემორჩენილი ქრისტიანობასთან დაკავშირებული ლექსიკის კვალი, როგორც ეს ზემოთ ტოპონიმების შემთხვევაში ვნახეთ (ქათიჯვარი//ხატიჯვარი, თარანგელა სერი, საბეგიჯვარი, ჯვარიჭევი, სამზიარები, ინაწმინდა, ნიკაწმინდურები, გალგოთი...). ქართველები გარდაცვლილზე ცხოვნებულიო იტყვიან: *ჩემი ცხოვნებული დედეი იტყოდა-ქი, მე ოცდაათი სახლი გავაკეთეო.*

იმერჯევში შემოგვრჩა ლექსიკური ერთეული ბუჭულა პატარა წისქვილი.

სოფელ ქოქლიეთში (დიობანი) ხბოს ეძახიან როგორც თუმბულას, ასევე დარჩენაის.

პირველ ნათიბს თივას უწოდებენ, მეორე ნათიბს კი მორჩვს: *ჩატენავ ჯვალში მორჩვ და ქორში მეიტან. ხელით მოთიბულ მოვკრეფავთ, იმას ჭოროში ქვია.*

*მე-* პრეფიქსის საშუალებით შეუქმნიათ ისეთი საინტერესო სიტყვა, როგორიცაა მეშველაი, შეურქმევიათ ქვეწარმავლისთვის, რომელიც *ქვებზე დავა.*

*ნა-* პრეფიქსითაა ნაწარმოები ნამდუღი - ნამგალს რომ მოუსვამ, ხელში რაც მოჭრილი ბალახი მოჰყვება ადამიანს, იმას უწოდებენ.

*სა-* პრეპიქსითაა ნაწარმოები გასასუქებელი საფუარი; საქედური - *ჯარის შესაბმელი;* სასაქმურა (საქმისთვის): *სასაქმურა იქ წევიდოდენ.*

იმერჯეველი ქართველები *ნენეს -ულ* სუფიქსით ნაწარმოებ ნენულასაც უწოდებენ: *ნენულაი ვერ ჩავა იქა;* მიდგმული - შენახული საჭმელია.

*-ურ* სუფიქსით საშუალებით შეუქმნიათ თხის ნაზი ბეწვის აღმნიშვნელი სიტყვა თჯისური.

უმცროსი თაობის, განსაკუთრებით კი პატარების აღსანიშნავად გამოიყენეს ლექსემა *წვრილი* და მასზე *-ელ* სუფიქსის დართვით შექმნეს წვრილელები, ხოლო უფროსი თაობის აღსანიშნავად *-იან* სუფიქსის საშუალებით დიდრიანები: *დიდრიანებმა იცოდენ* (ძველებმა, უფროსი თაობის წარმომადგენლებმა იცოდნენ).

იმერჯეველთა მეტყველებაში *-ობა* სუფიქსის დართვით *ახალ* ლექსიკურ ერთეულზე გვხვდება **ახალობა**, რაც *ახალგაზრდობას* ნიშნავს: *მემედის **ახალობა*** (მემედის ახალგაზრდობა).

*-აკა* სუფიქსითაა ნაწარმოები ქილაკაი - *კროჭი დიდია, ქილაკაი სულ დიდი იყო.* ქილაკაიში საკვებს ინახავდნენ.

საინტერესოა, რომ თვით იმერჯევის სოფლებიც განსხვავდება მცირედ ლექსიკის თვალსაზრისით: რასაც ბაზგირეთსა და ივეთში **კროჭს** უწოდებენ, მანატბაში კასრს ეძახიან: *მანატბაში **კასრ** ვეტყვით, ბაზგირეთში, ივეთში **კროჭია.***

*და-* ზმნისწინათაა ნაწარმოები ერთმანეთზე დაწყობილი ნივთების აღსანიშნავად გამოყენებული ლექსემა დაჭახული: *ლოგინებ ერთმანეთზე დავაწყოფ, დაჭახულ ვეტყვით;* ასევეა ნაწარმოები დავცოტავდით; *ფარა დაუცოტავეს.*

*მო-* ზმნისწინითაა ნაწარმოები მოცივდება, მოცივდა (აცივდება, აცივდა); ***მოცივა*** (აცივდება), *ავანთებ სობას* (resp.: ღუმელს).

*ა-* ზმნისწინით ნაწარმოები აბუზანკლება მოუსვენრობას ნიშნავს.

*-ობა* სუფიქსით ნაწარმოებია მწვანობა: *მწვანობა არი* (სიმწვანეა).

*ფუძის გაორმაგებით* არის ნაწარმოები ***ფეჴდაფეჴით*** (ფეხით): *ფეჴდაფეჴით წახვიდე მაჰალედან, ორმოც წუთში აბვალ.*

კოკუები ქართველებისთვის ცომის პატარა გუნდებია; ქუნჩალი სიმინდის ფოჩვებია; კოკორი პატარა გუნდებია მჭადისა, პურისა: *ჭადსა კოკორ ჩავდებდით.*

სარჩო-საბადებლის მნიშვნელობით ქართველები სიტყვა პურს იყენებენ, რასაც დიდი დატვირთვა აქვს ქართული ენის ლექსიკურ ფონდში. პური ქართველებისთვის მთავარ საარსებო საშუალებას უკავშირდება. ის კეთილდღეობის გამომხატველიცაა, ***პურ-მარილიანი, პურ-ღვინიანი*** ქართველისთვის ერთ-ერთი საუკეთესო შეფასებაა ადამიანის, ოჯახის დახასიათებისას. ამ მხრივაც, ისევე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, იმერჴეველი ქართველები არ განსხვავდებიან საზღვრის აქეთა ქართველებისგან: *შეჰირში წევიდე, ვინ უნდა მოგართვას პური? (ქალაქში რომ წავიდე, ვინ უნდა მარჩინოს?). პურ მოგართვამთ* (საჭმელს მოგართმევთ); *ჰაიდე, პური დიგიდვა* (საჭმელს მოგართმევთ); ***პური მემემშია*** (მომშივდა), შევადაროთ ქართული ენის აღმოსავლური დიალექტებისთვის დამახასიათებელ ***პური მომშივდა,*** ან ***პური ვჭამოთ.***

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მზესა და ბზეს ერთი ლექსიკური ერთეულით - ბზეთი - გამოხატავენ; ასეთივე ვითარება გვაქვს სულისა და სუნის შემთხვევაში, ორივე მათგანი სულით გამოიხატება.

თავისებურად (თავისი შესაფერისი) *ვერ ნახა.*

კარგის მნიშვნელობით იყენებენ კეთილს: *გზა კეთილი აკეთეს* (გზა კარგი აკეთეს).

პკიალა ნიშნავს კაშკაშას: *იმას ჯიბაში ჩაუდვია ქვა, პკიალა რამე ყოფილა.*

გაბრაზების მნიშვნელობით გაბრაწდებას იყენებენ: ***გაბრაწებული იქნებიან.***

თურქეთის საქართველოში დღემდეა შემორჩენილი ფეხობის ტრადიცია. ახალი წლის მეორე დღეს ოჯახში იმ ადამიანს,

რომელიც პირველად შეაღებდა კარს და ოჯახში შეაბიჯებდა, ამ ოჯახის კეთილდღეობა და წინსვლა უკავშიდებოდა. საუკუნეების განმავლობაში ისტორიული სამშობლოს დიდ ნაწილს მოწყვეტილი ქართველები ამ ტრადიციას ფერჯობით გამოხატავენ: *არვისთან არ უნდა შეხვიდე, უფერჯებ.*

გაყინვა ზმნა გახიპვა სიტყვითაა გადმოცემული: გუხიპავს (გაუყინავს).

ცხოვრების მნიშვნელობით იყენებენ სიცოცხლეს: *ვინცკა მდიდარები არიან, ცოცხლობენ* (ცხოვრობენ), *ღარიბები ღარიბად ცოცხლობენ* (ცხოვრობენ).

განათებას მათ მეტყველებაში ლექსიკური ერთეული განათლება ენაცვლება: *ამდენ ხანი ჩეგეცვა და ამდენ ხან გეგვენათლებინე* (გაგვენათებინე).

ტკივილის აღსანიშნავად იყენებენ წვა ზმნას: *წელი მეწვის.*

*ამჯერად* ზმნიზედის ნაცვლად შექმნეს ამპირა; ბაროზალაი (ამიტომ).

ბიჭს რომ გოგო მოეწონება, საქართველოში იტყვიან: ბიჭს თვალი უჭირავს გოგოზეო, თურქეთის ქართველებმა ეს ერთი ლექსიკური ერთეულით - თვალნაჭირით გამოხატეს: *ღარჭი რომ მეეწონება, თვალნაჭირია.*

ფრაზეოლოგიზმებია: თავბრუ სხმა; ყურ გდება (მიხედვა//მოხედვა): *ბაღვი გეყოლვის, ყურ გიგდებ* (ბავშვი გეყოლება, მოგხედავს, მოგივლის); ძიმე გული: *ზოგი ძიმე გულიდან არი* (დამძიმებულია).

მანატბელი კარგი მოქართულისგან ჩავიწერეთ ხატოვანი თქმა: ზრუგი რომ მოგეფხანება, დარბაზი კარში მიადგი (თუ შეატყობ, რომ უნდა გაილახო, გასაქცევად მზად უნდა იყო).

ჰქონიათ, როგორც თვითონ ამბობენ, წყევლის გამომხატველი სიტყვები, რომლებიც ერთობ უცნაური აღმოჩნდა ჩვენთვის: შე ლეზგო, შე მალაკანო, რომლებიც სოფელ ივეთში ჩავიწერეთ. ორივე მათგანი ეთნონიმია. საიდან გაჩნდა მათ მეტყველებაში ეს ეთნონიმები, უცნობია: *დედა მწყევლიდა, შე*

*ლეზგო, შე მალაკანოო, ალბათ, იმათაც უცხოვრიათ აქ, ფაფართის ტყესთან, საიდან იცოდა?*

იმერჴევში მზე კი არ ჩადის, არამედ მზე ძვრება: ***მზე ჩაძვრა.***

მზე როცა შუბის ტარზეა, იმერჴეველი ქართველები ამბობენ: ***გზემ*** (მზემ) ***პირი დამწვა.***

ადამიანი, რომელიც ძალიან უყვართ, თურქეთის ქართველებისთვის თვალი კაკალია: ჩემი თვალი კაკალია (შდრ.: ჩემი თვალისჩინია).

შედარებებიც, რომლებსაც ქართველები მიმართავენ, სამუდამოდ აღიბეჭდება მეხსიერებაში: ჯინჭვლიეთ ნუ სწერავ (პატარ-პატარა ასოებით ნუ წერ).

დავაფიქსირეთ პარონომაზიის შემთხვევები: ***სხვილი წვიმა გაწვიმდა; თოვლი გათოვლდა.***

იმერჴეველ ქართველთა მეტყველებაში დღემდე შემონახულია უძველესი ლექსიკური ფონდი:

ბუნების მოვლენებისა და ციური სხეულების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: *გზე* (მზე), *თვარე, მასკულავები;* მეიდგა, მეიდგა *ხოშკოკოლაი ქარიშხალი; გათოვლდა.*

სამუშაო იარაღების სახელებად დასტურდება: *კევრი, ცულ, მანგალი, თოხ, გუთან, ჯილღა...*

ხის ჯიშებისა და სხვადასხვა მცენარეთა სახელებად დღემდეა შემონახული შემდეგი ლექსიკური ერთეულები: *ვერჴვი, ცჴემლაი//ცხრემლაი, თჴმელაი, ცაცჴვი, ძეწანი, რკო//კო (მუხას ეძახიან), თელა, იფანი, ჭანდარი, არყი, წიფელაი, დგნალი, ნაზვი, სოჭი, კატარი (ფიჭვს უძახიან), პანტა, ლეკი, ქორაფი, კაკალი, ტყიმალი* (ტყემალი), *გზიზუმზურაი, გოგრა...*

მარცვლეულის აღმნიშვნელად გვაქვს: *ჴორბალი//ჴორბოლი, პური, სიმინდი, ქერი, ქერდიკა, ჭვავი, ფეტვი, ცერცვი, ნუხუდო* (მუხუდო)... მ. ფაღავას ხორბლის ჯიშების აღმნიშვნელი ლექსიკიდან დადასტურებული აქვს: *ბუდაი, წმინდა,* ხოლო სიმინდის სახეობიდან *შვიდკვირაი* (ფაღავა, 2013:45).

მსხლის ჯიშების სახელებად დავადასტურეთ: *თავრეჯულაი, დარისხალი, კუტალაი, კალოსხალი (კალოობის დროზე სხალი მოვიდოდა, იმ სხალითვინ კალოსხალი დურქვან), კვირისთავა* (რთველში მოდის, გვიან), *მარიობა* (აგვისტოში მოდიოდა), წითელაი, *ბათმანაი, მაჭარულაი, თავრაჯული...*

ვაშლის ჯიშებიდან დავადასტურეთ: *ბუმბულა, ფქვილაი ვაშლი, წოწოლაი, ვეჯანავაშლი, შექერვაშლი, ბერვაშლი, ჯიჯნაურა//ზიზნაური, ნაბადა, სამჟაო, საქერაი, ნესვაი, გზელაი, წარია...*

დღემდე დაცულია სხვა ხილის აღმნიშვნელი სახელები: *ყურძენი, ატამი, ქლიავი, დოდოფალა ქლიავი, ბალი, შინდი, თუთა...* მ. ფაღავას მასალაში დამატებით გვხვდება: *თიყურძენაი (მერცხალი//მოცხარი)... უხრავი* (ფაღავა, 2013:143).

ბალახების სახელებად აღვნუსხეთ შემდეგი ლექსიკური ერთეულები: *ღვალო, თელახარშა, იფკრი, ანწლი, დონჯა, ფოთოთო, სამყურაი, ნაცარქათამა, ქერაბალაჯ, ქუბაი, ზინჭარი//ჭინჭარი//ჯინჭარ, ქონდარი, ნეკერი...*

ცხოველების სახელებად დასტურდება: *დათვი, ცხვარი, კრავი, თიკანი, ზროჯა, ჯბო, ჯარი, კამეჩი, მოზვერი, ჭედელა, დეკევლი, ბუღა//კურო...*

მწერებისა და ქვეწარმავლების სახელებია: *ფუტკარი, ბუზანკალი, წურბელი (იარებზე დაადებიენ, ზველად ვინცჯას ფეჯი ტკიოდა, დაადებდენ და ფინთ სისხლს წოვს), ჯინჭველი, ჩიჩი* (ჩრჩილი), *ლოქორაი (წყალშია), ბობოლი* (გველი), *ყურბელაი (თუთის ხეებზეა), ტირბი (ადამიანს დააჯდება, ცხენ დააჯდება, კვდება), მუმლი, კოღო...*

თამაშობების სახელებია: *კოჯო, ჭელგულა...*

დილით მისაღებ საკვებს *სადილს* უწოდებენ, შუადღის საკვებს - *ზარმელს*, ხოლო საღამო ხანისას - ვახშამს: *დილაზე - სადილი, შუადეხან - ზარმელი, საღამოზე - ვახშამი.*

ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა სრულად არის შემონახული: *ნენე, დედე, შვილი, ღარჩი, ბახალა, ბაღანე, ბადიში, და, ძმა, ბაბა, მული, მაზლი, სასიძო, სიძე, რძალი...*

აღსანიშნავია, რომ *შვილს* უწოდებენ ბიჭს, როგორც გვარის გამგრძელებელს: *შვილი ვინ მომცა, ბახლები მყავს.*

საცხოვრისის, სამეურნეო ნაგებობისა და საყოფაცხოვრებო ნივთების აღმნიშვნელი და სხვ. ლექსიკა: *სახლი-კარი* (სახლი), *ქორი, მარანი, ბეღელი, ჭერი* (ჭიშკარი), *ბარო, კალო, კევრი, ღვედი, მარჭილი, ტაბიკი, კოფო, ჭეფენგი* (ხაფანგი), *დანდალი, მუჯლი, მატყლი, ჩოხა, ყაბალახი, ლაჩაგი* (ლეჩაქი), *ქუდი, წინდა, ქალამანი, კვირისთავი, ჭელსაფქვავი, ცკრილი, კეცი, ქვაბი, ჭიბონი//ჭიმუნი, ძივები* (მძივები).

თურქეთში მცხოვრები ქართველები სიტყვა „კარს“ იყენებენ *სახლის* აღსანიშნავად: *ჩემი კარი* (სახლი) *არ დეინახე?* (შდრ.: კარ-მიდამო).

ანატომიური ლექსიკა: *პიწი* კისერი, *ყია* ყელი, *ტიტვირები* (ტუჩები), *წარბი, წამწამი, თვალის კაკალი, ღრძილები, ფეხიგული ტერფი, მხარი, კლავი (მკლავი), ზრუგი* (ზურგი), *მუხლი, ფეხი, ჭლიკი, მენჯი, კოჭი, ფჩხილი, ძვალი, სისხლი...*

წელიწადის დროების აღმნიშვნელი ლექსიკა: *გაზაფხული, ზაფხული, თველი* (შემოდგომა): *თველი შემოდგომა თქმა არი,* ზამთარი.

ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: *შავი, თეთრი, წითელი, წვანე...*

საკვები პროდუქტების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებიდან აღსანიშნავია: წანდილი: *ჰმელ სიმინდს მოვჯარშავთ, იმას წანდილ ვეტყვით;* ნაღები, ყველის აღმნიშვნელი ფშვნილაი, რომლის მიღებაც ქართველებს ძალას მატებს: *ამას რომ ვჭამ, ძალა მემატება;* ერბოკვერსჯი: *ერბოში გამომსკვარ კვერსჯსა ერბოკვერსჯს ვეტყვით;* ჩირი - დაჭრილი გამხმარი ხილია, ფურუნჯი უდუჭრელი ჩირია; ტყლაპი...

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეთნიკურ ქართველთა მეტყველებაში შეიძლება ყველა სიტყვა, ყველა მეტყველების ნაწილი შეიცვალოს, მაგრამ ზმნა უიშვიათესად. ამიტომ ქარ-

თული ზმნის უძველესი ძირები მთელი სისრულითაა წარმოდგენილი ქართველთა მეტყველებაში.

რაც შეეხება ინტერფერენციის ხარისხს, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ამდენი საუკუნის შემდეგაც ერთიანი საქართველოს ორგანიზმს მოწყვეტილი ხალხის მეტყველებაში ის იმ ხარისხის არ არის, როგორც ეს მოსალოდნელი იყო; ყველა შემთხვევაში მათი გაქართულების ცდაა მოცემული სხვადასხვა აფიქსის, თანდებულის, ზმნისწინის, თემის ნიშნის დართვის გზით:

მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი *-ებ* სუფიქსია დართული თურქულ ლექსიკურ ერთეულზე: *ჩიჩეგებია დარგული, წყალ აძლევ* (resp.: ყვავილებია დარგული, წყალს უსხამს);

თურქულ ლექსიკურ ერთეულს აფორმებენ ქართული ენის *-ში* და *-ზე* თანდებულებით; *ჭლიკი მეიტეხა, ართვინ იწვა ჰასთანეში* (resp.: საავადმყოფოში); *ჯენაზეზე არიან* (resp.: დაკრძალვაზე არიან);

- თურქულ ზმნას ქართული *-ავ* თემის ნიშნით აფორმებენ: *ამბებ უდინგლავ* (resp.: ამბებს ვუსმენ).

თურქულის გავლენით ფორმები კალკირებულია: აღებული სხალია? (ნაყიდი მსხალია?); არაბა დ̄უჭირავან (მანქანა აუყვანიათ); *ტელევიზორი გავსჭენით* (ჩავრთეთ).

მოკლე ტექსტი ინტერფერენციის პროცესზე დაკვირვებისთვის, როდესაც ეთნიკურ ენაზე მეტყველი თურქეთის ქართველები, ქალები, რამეს გადმოგცემენ, დაახლოებით შემდეგი სახისაა:

*იეშილი* (მწვანე) *ლობიო მოვკრიფე, გავარჩიე ლამაზათ, ავადულე წყალი, იჩი* (შიგნით) *ჩავყარე, ტანი მოვხარშე, ამოვყარე სიმზე, ახლაც სამურსაღი* (ნიორი) *მოვკრიფე, ფასულიე* (ლობიო) *ჟავეზე უნდა დავაყარო, მარილიანი წყალი ფასულიე ჟავეზე უნდა დავასხა, მემრე უნდა მ̄უჭირო ყაფაი* (თავსახური).

*...დაკრა ყაფაღ, სისხლი ჩეექცა, ჰასთანეში* (საავადმყოფოში) *წევიყვანეთ, ირმი დოქტურ იწვა, მემრე მოკტა; ქალი გენჯი დარჩა, ღარჭი წვრილ-წვრილი; ახლა კონტროლზე დავდივარ, არაფერი აღარ გაქო; ორჯერ ამელიათი* (საოპერაციო) *გავხდი; სოგა* (ღუმელი) *ანთია; აქ ქილისე* (ეკლესია) *არ არი ქი; ჩემ სოფელში მუღელიმი იყო* (მასწავლებელი).

თურქული ნასესხობები მათ მეტყველებაში ძირითადად საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებულ მოვლენებსა თუ პროცესებს, პროფესიის აღმნიშვნელ ტერმინებს ეხება: *მეემურია* (მოსამსახურე), *იშჩია* (ხელოსანია), *ემექლია* (პენსიონერი), *მუღელიმი* (მასწავლებელი) იყო.

თუ ეთნიკური ქართველები ქართველთა ყოფა-ცხოვრებასთან, ტრადიციებთან დაკავშირებულ თემებზე საუბრობენ, ბუნებრივად ნაკლებად იყენებენ თურქულ სიტყვებს:

*ანაღ თივიდან ხორომ გააკეთევდა, მოვკრეფდით ერთად, გადავბღუზევდით* (გადავაბრუნებდით), *გადმოვბღუზევდით, ქორში შევდევდით, ჩომას* (საქონელს) *მივართმევდით.*

*საპონ დათვიქონით აკეთებდენ. ნაცარ თენექეში* (ქვაბში) *ჩააყენებდენ, ჩაყრიდენ, ზედედამა წყალ დაასხემდენ, ქვეშედან დაჭიჭნული* (დახვრეტილი) *იქნებოდა.*

*ჩემი ანაღ არაბაზე დამჯდარი არ იყო* (მანქანაში ჩანაჯდომი არ იყო), *არსად წასულიც არ იყო, მეც შორ არ გამგზავნა საკითხავად და ასე დავრჩი. ახლა ჩემი ფარა მექნებოდა, კაცის ხელში არ ვიყურებოდი* (კაცს არ შევყურებდი ხელში).

ინტერფერენცია კარგად ჩანს ანდაზებში, რომლებსაც ქართველები იყენებენ: *მეზობელი მეზობლის ნაცარზე მუხთაჯიაო* (მეზობელს მეზობლის ნაცარი სჭირდებაო).

კალკირებულია ბევრი ფრაზეოლოგიზმი: *შენი თავი გელო* (გელოდები);

*ჯოხის ჭამა* - ცემას, გალახვას ნიშნავს.

კარგი მოქართულეებისგან ჩაწერილი ტექსტის მოკლე მონაკვეთი იმერჴევში შემდეგი სახისაა:

*იმერჴევში ერთი ლეგენდისავით არის. ვინცჴა ცხოვრობს იმერჴევში, ყველამ იცის. რაცჴა არი, არ ვიცი რა არი, ქვია ჩამჩირაქთაში, იმას უძახიან. ღამით დადის, ქვა აქვს, ყელში მალავს იმ ქვას, გეიქნევს იმ ქვას, ამოიღებს, სინათლეს აძლევს და გზას პოვნილობს იმ ქვით (ადამიანი). მერე თვითონ ჩაყლაპავს იმ ქვას, ყიაში დაიჭირავს, გაიქნევს. ჩემი დედე იმერჴევში, ივეთში ყოფილა და ღამით წასულა სურევანისკენ. ტუალეტი მოსვლია და ღელეს პირში წასულა. იმის ქვა გამოქნეულა ღელის პირისკენ. დედეს ჯიბაში ჩაუდვია. ჰკიალა (კაშკაშა) რამე ყოფილა. მერე იქიდან გაქცეულა თავის სოფლისკენ. სახში რომ მისულა, ცოლისთვის უთქვამს, რაცჴა ამბავი მოხთა. ის ქვა დამალეს ბუხარში. მერე ცოტა დრო გასულა და სახლი დაწვილა. იმან დაწყევლა. სახლი დაწვილა, ის ქვაც დაწვილა.*

*იხშიენთის გველიყლაპიას უძახიან, რადგან ერთხელ ბაბუას მამა ყანაში იყო წასული, ჩასძინებია და ორი პატარა გველი ჩაუყლაპია, ნიშადური უსმია და უკან ამ̄ღია. ჩვენ უკან გვიძახიან გველიყლაპიას* (ზურგს უკან გვეძახიან).

*ახლა რომ მთებში დავდივართ, იაილებში, ცუდი რაცჴა რომ იყო, გაფუჭულ ხეებთან დადგებოდენ, ქვას შემოივლებდენ თავზე და იტყოდენ: ჩემი ჭირი შენ, ჩემი ჭირი შენ, ჩემი ჭირი შენ, სამჯერ იტყოდენ.*

*აჭალი წელი რომ მოდიოდა, კუთხეებში ნაძვი ტოტებ აკეთებდენ, სულ აკეთებდენ, პირდაპირ ხეს არ დადგემდენ, ნაძვი ტოტებ აკეთებდენ* (აიჰან იშიკი-იხშიენთი, 41 წლის, იმერჴევი, სოფელი ივეთი).

*იმერჴევში თეთრ ჯორბალსა თესევდენ, იქაური ჯორბალი ჩვენზე კარგი იყო. ჩვენი კარგი არ იყო, გაწყდებოდა. აქა ცივი ადგილია, ზამთარი გრძელი. უგიანდებოდა მოსლა. აქა ძველათ კალოს რომ გავლეწავდით, გაათოვლებდა. ერთ თვეს უკან აქა ერთი ტკაველი თოვლი მოიდა.*

*ძიმე მიწაში ჯილღას იხმარებ, იმას ბევრი ჯარები უნდა, ძალა ბევრი უნდა. ერთ კევრსა მოვაბემდით ცკენსა, ხანდახან პაწა ბიჭსა მოვაჯდუმლებთ ცკენზე. ზოგი შუა ლეწდა, ზოგი გარედან ლეწდა, კარგა დავალეწევდით შუა მზეში (კარგად გავლეწავდით შუა მზეში). ჯორბალს ჯვალში ჩავყრიდით, ლამაზი მარცვალები იყო. ჯვალ თჯის ბალანისგან ვქსოვდით. ათ-თხუთმეტ ჯვალსა დავფქვევდით, ზამთარში ყინევდა, გაზაფჯულამდინ გვეყოფოდა. საჭმელსა ფულით არ ევიღებდით, გვყოფნულოდა. ფქვილები დალევნამდინ ჯაროში იყო. ჭად გამუაცხობდით. ჭადის ფქვილი მალე გამწარდება, სამოთხ დღეს ვერ გადაარონიებ იმას. კეცის პური თხელ-თხელი იყო, ლამაზად გამოცჯვებოდა.*

*ტლაპოსა მოზელდენ, იმას უკან გატყლაპენ, გააშრობენ, ცეცხლში გამოიწვის. ერთ კეცს ზემოდან მეორეს დააბურებენ. კეცს კვამლის სიშავე წუდიოდა, მივჯდებოდით, ჭადსა კოკორ ჩავდებდით, სველი შიგანაე ეიბეროსო.*

*ოცი წელიწადი გახდა, კალო აღარ გვილეწავს. ძველათ ერთობა იყო, გერმელობა იყო. აღარ შუა უკან ის წასული დღეები* (ნური გუნეში, იმერჯევი, სოფელი მანატბა).

ასეთი ქართული ისმის ასწლეულების შემდეგაც ისტორიული სამშობლოს დიდ ნაწილს მოწყვეტილი უფროსი თაობის ქართველთა მეტყველებაში დღეს.

დასკვნად ენობრივი ვითარების შესახებ ქართველების სიტყვებს დავიმოწმებ, სადაც ლაკონიურად და რეალურად არის შეფასებული ვითარება: „თურქული მექთებში დავისწავლეთ. ძველათ სხვა ენა, ლაპარაკი შესცჯვებოდენ, ეს რას ლაპარაკობსო, დეეჯიქებოდენ, ახლა ვინსჯაც როგორსჯა უნდა, ისე ილაპარაკოსო. ბავშვებმა არ იციან, მამამ უნდა ასწავლოს.

ამ ხეებს, თეებს (მთებს) ჩვენი ქართულა ლაპარაკი გაგონილი აქვენ. მერე იტყვიან, სა წავიდენ ესენიო“.

როგორც ცნობილია, ეთნიკური ენის შენარჩუნებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გადაეცემა თუ არა იგი

მომავალ თაობას, ამაზე იმერჯევის ქართველები, მიუხედავად ზემოთ ასახული ვითარებისა, შემდეგ პასუხს იძლევიან: *„ვლა-პარაკობთ გურჯიჯას, ბალვებმა რო დაისწავლონ“.*

დიალექტური მეტყველების შესწავლა ყოველთვის საშური საქმე იყო ენის სრული კორპუსის წარმოსაჩენად. ქართველი ენათმეცნიერები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ამ მხრივ და ქართული სალიტერატურო ენის ყველა დიალექტის შესახებ დაიდო მონოგრაფია თითქმის ნახევარი საუკუნის წინ. უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, პრიორიტეტის კვლევის სხვა მიმართულებებისათვის მინიჭების გამო, ამ მიმართულებით მუშაობა ცოტათი შენელდა. ამ თვალსაზრისით ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს თურქეთის ქართველთა, როგორც ისტორიული საქართველოს შემადგენლობაში შემავალი მხარეების მკვიდრთა, ისე მუჰაჯირობის დროს ძალით აყრილ და გადახვეწილ ქართველთა მეტყველების შესწავლა.

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, „ნებისმიერი დიალექტის წარმოქმნის საფუძველი ისტორიულია. წარმოქმნის მიზეზები კი შეიძლება სხვადასხვა იყოს: ა) საკუთრივ ენობრივი ფაქტორი - ენის შინაგანი პოტენციის ნაირგვარი გამოვლინება მისი გავრცელების ტერიტორიაზე; ბ) ეთნიკური ფაქტორი; გ) ისტორიულ-პოლიტიკური ფაქტორი“ (ჯორბენაძე, 1989:27). „იმერხევში, მაჭახელსა და ლივანაში არსებული ქართულის ნაირსახეობათა განმსაზღვრელი ენობრივი ნიშანი ემთხვევა ეთნიკურ ნიშანს“ (ფუტკარაძე, 1993:9-10).

იმერჯეული დიალექტი დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ნ. მარის მიერ ჩაწერილი უნიკალური მასალების, ტექსტების მიხედვით იყო ცნობილი (Н. Марр, 1910), ხოლო მოგვიანებით იგი მონოგრაფიულად შეისწავლა შ. ფუტკარაძემ (შ. ფუტკარაძე, 1993).

ა. შანიძე და ა. მარტიროსოვი იმერჯეულს სამხრულ-დასავლურ დიალექტურ ჯგუფს მიაკუთვნებდნენ (Шанидзе,

1972:16; მარტიროსოვი, 1972:16). ი. გიგინეიშვილის, ვ. თოფურიას, ი. ქავთარაძის აზრით, „ტერმინი იმერხეული ვიწროა და პირობითი. ფართო გაგებით, იგი წარმოადგენს ქართული ენის კილოს, რომელიც იმერხევის გარდა გავრცელებული უნდა ყოფილიყო კლარჯეთის დანაჩენ ნაწილში და ალბათ შავშეთშიც და რომელსაც შეიძლებოდა კლარჯული ან შავშურ-კლარჯული დარქმეოდა“ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961:371). შ. ძიძიგურის აზრით, „იმერხეული უნდა მიეკუთვნოს დასავლური კილოების ჯგუფს, უმთავრესად აჭარულ-გურულს“ (ძიძიგური, 1970:152). შ. ფუტკარაძე იმერჯეულის დაწვრილებითი შესწავლის შემდეგ დაასკვნის, რომ „იმერხეულზე დაკვირვებით ნათელი გახდა, რომ იგი უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებს მესხურ-ჯავახურთან და ქართლურთან, ვიდრე დასავლურ ქართულ ენობრივ სამყაროსთან. ეს ადრეც იყო შემჩნეული ჩვენი ენათმეცნიერების მიერ. ვ. თოფურიას, ივ. გიგინეიშვილის, ივ. ქავთარაძის ავტოროზით შექმნილ „ქართულ დიალექტოლოგიაში“ ვკითხულობთ: „იმერხეული კილო აჭარულთან ძალიან ახლოს დგას, მაგრამ მასში შემორჩენილი ზოგი ფონეტიკური გრამატიკული მოვლენა (ბგერა ჯ) და ლექსიკური ერთეულები (პაშტა, ნეკერი...), რომლებიც დამახასიათებელია აღმოსავლური კილოებისა (ქართლურისა, კახურისა და სხვ.), ადასტურებს მასში ქართლურის ფენის არსებობას, როგორც ეს ისტორიული ცნობების თანახმად მოსალოდნელი იყო“. ახლა, როცა ნ. მარის ჩანაწერებთან შედარებით იმერჯეულის შესახებ ვრცელი მასალაა მოპოვებული და დასკვნების გამოსატანად მეტი შესაძლებლობაა შექმნილი, თამამად შეიძლება ზემოთ თქმულის გაზიარება. ჩვენც იმერხეულის მონაცემების გაანალიზების შედეგად დავრწმუნდით, რომ იმერხეული, ტაოს მეტყველებასთან ერთად, უფრო მეტ სიახლოვეს აჟღავნებს აღმოსავლურ ქართულ ენობრივ სამყაროსთან, ვიდრე დასავლურთან. ამიტომ ზოგიერთი ადრინდელი

მოსაზრება დღეს გადასინჯვას მოითხოვს“ (ფუტკარაძე, 1993:34-35).

ჩვენი მიზანი საველე ექსპედიციის განმავლობაში ენობრივი ვითარების შესწავლა იყო, რომლის დროსაც, ბუნებრივია, შესაძლებელი იყო მათ მეტყველებაში არსებული ფონეტიკური და გრამატიკული თავისებურებების აღნუსხვა.

ფონეტიკური თვალსაზრისით საინტერესო იყო საშუალო ასაკის იმერჯეველთა დაკვირვება: *დედა* **f**-*ს არ ამბობს,* **ფ**-*ს ამბობს.* **F**-ს გაჩენა ქართულში სხვა ენათა გავლენის შედეგია, რისგანაც იმერჯეული მეტყველება დაცული აღმოჩნდა.

ბრუნვის ნიშანთაგან ამჯერად ყურადღებას სახელობითი, მიცემითი, ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ფორმანტებზე შევაჩერებთ:

სახელობით ბრუნვაში ხმოვანფუძიან სახელებთან გვაქვს -*ი* დართული ფორმები: *რაი ქენი იქა?*

მიცემითი ბრუნვის ნიშანი:

ყველა შესაძლო შემთხვევაში იკარგება: *ჩემი კაცი ხენჩრეფი ქვიან; მოდით, თქვენ პური მიგართვამთ: ათათურქი იმითვინ ალაგი მ̄უცემიან; ჩაი* (ჩაის) *გასვამთ.*

საერთოდ, -*ს* იკარგება სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში და ეს თანაბრად ეხება როგორც მიცემითი ბრუნვის ნიშანს, ისე III სუბიექტური პირის ნიშანს: *მემრე ხახვი (ხახვს) მოხრაკავ, წყალი (წყალს) დაასხამ, ოთხ საათი (საათს) ადუღებ; ყურმან გაირამ ჭედელაი დაკლენ, ზროჯაი დაკლენ, ცხვარი დაკლენ, მოზვერი, კამეჩი დაკლენ; ყველაფერი არ ჭამი (ყველაფერს არ ჭამს); დღესასწული ქნეი* (ქნეს).

იკარგება ნათესაობითი ბრუნვის -*ის* ფორმანტის თანხმოვნითი -*ს* ნაწილიც: *ორ დღეი უკან* (ორი დღის წინ).

მოქმედებითი ბრუნვის -*ით* ფორმანტს ენაცვლება ამავე ბრუნვის -*იდან* თანდებული: *მე ლაპარაკიდან* (ლაპარაკით) *არ მევიღალვი,* რასაც კალკი იწვევს.

პირველი პირის ნაცვალსახელი ხშირად წინადადების ბოლოშია მოქცეული: *აველი იქა მეც; ბორჩხას ჩამოდით, იქა*

*ვარ მე; გამო ერთი, გევიარო მე; იქ მიველ მე, გზა ფინთი იყო, შეგვეშინა ჩვენ; ოთხი დანი, ერთი ძმანი ვართ ჩვენ.*

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის ***ერთის*** მნიშვნელობით ეთნიკური ქართველები იყენებენ ***და***-ს, რომელიც, ჩვეულებრივ, წინადადების ბოლოში დგას: *ევიდე, პური ევიღო* **და** (*ავიდე ერთი, პური ავიღო*).

არცთუ იშვიათია *ნარ-თანიანი* მრავლობითის ფორმების გამოყენება; როცა *ნარ-თანიან* მრავლობითში მდგარ სახელს რიცხვითი სახელით გამოხატული მსაზღვრელი ახლავს, ის მსაზღვრელთან *-ნ* ფორმანტითაა წარმოდგენილი: *ოთხი დანი...*

რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ განუსაზღვრელი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელებით გამოხატულ მსაზღვრელებთან საზღვრული მრავლობით რიცხვშია: ***ბევრი რაცქეიჭი*** *გამევიარე,* ***ბევრი სიმწარეები.***

შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობის თვალსაზრისით იმდენად ჭრელი სურათია, რომ რაიმე კანონზომიერებაზე საუბარი პირობითია: ***ჩემი ნათქვამ*** *არ მეიწონებს;* ზოგჯერ საზღვრული ამოვარდნილია: *ეს* ***ჩემი მოწონებული ო*** *იმა არ უნდა.*

შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრულის შერწყმის შედეგად ახალი კომპოზიტებია მიღებული: ***ყოვდღლი*** (ყოველ დღე) *საქონელ ვაძუებდით.*

მართული მსაზღვრელ-საზღვრულის შერწყმის შედეგადაც მიიღება ახალი კომპოზიტები: ***ნაძვიკევი*** (ნაძვის კევი) *ენ წინ კბილებზე დეგეკვრი;* ***საპონ დათვიქონით*** (დათვის ქონი) *აკეთებდენ.*

იცის ზმნასთან შეწყობილი III პირის *ეს* ნაცვალსახელი მრავლობით რიცხვში მოთხრობითი ბრუნვის ფორმანტითაა წარმოდგენილი: ***ამათმა*** *ძალიან* ***ბევრი იციან.***

ჭრელი ვითარება გვაქვს ზმნაში მასთან შეწყობილ სახელთა რიცხვის გამოხატვის თვალსაზრისით:

1. გარდაუვალ ერთპირიან ზმნას მხოლობით რიცხვში წარმოდგენილი სახელი (სუბიექტი) მხოლობით რიცხვში ითანხმებს: *ძველი იყო სახლი, სამსართულიანი; ჩემი ანაც ამ გალიფას გაბას და იყო; აიშე ეზგიზე სამი თვით დიდი არი.*

2. გარდაუვალ ერთპირიან ზმნას მხოლობით რიცხვში მდგარი სახელი (სუბიექტი) მრავლობით რიცხვში ითანხმებს: *ჩემ კაც ბენჩრეფი ქვიან; ჩემი კაცი (კაცის) წენეი ემე რუსიადან მოსული არიან.*

3. გარდაუვალ ერთპირიან ზმნას მრავლობით რიცხვში მდგარი სახელი (სუბიექტი) მრავლობით რიცხვში ითანხმებს: *ბორჩხას ჩუენთანაც მ̄უციეთ* (შემოიარეთ); *მერქეზში (resp.: ცენტრი, რაიონი) დგახართ თბილისში?*

4. გარდაუვალ ერთპირიან ზმნაში კრებითი სახელით წარმოდგენილი სუბიექტი ზმნას მრავლობით რიცხვში შეითანხმებს: ***ბალბი დაიმალოდენ; სოფლებში ბალბი დავოტავდნენ; კრეფენ და ბალბი ყიდიან კაკალ.***

5. გარდაუვალი ერთპირიანი ზმნა, თუ მასთან შეწყობილი სუბიექტი წარმოდგენილია განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელით ***ზოგი,*** მრავლობითი რიცხვის ფორმით გვხვდება: *დედები აღარ დარჩნენ, **ზოგი მოკვდენ.***

6. გარდაუვალ ერთპირიან ზმნაში განუსაზღვრელობითი ***ყველა*** ნაცვალსახელით წარმოდგენილი სუბიექტი ზმნას მრავლობით რიცხვში ითანხმებს: *მაშინ **ყვალა*** (ყველა) სახლში ***იყვნენ.***

7. თუ გარდაუვალ ერთპირიან ზმნასთან შეწყობილ სუბიექტს მსაზღვრელად ახლავს რაოდენობითი რიცხვითი სახელი, ზმნა წარმოდგენილია მრავლობითი რიცხვის ფორმით: *ბევრი, ბევრი, **ოცდაათი კვამლი რჩებიან; ორი ძმა ყოფილან.***

8. გარდაუვალი ოპირიანი ზმნა (ინვერსიული), თუ მასთან შეწყობილია განუსაზღვრელობითი ***ზოგი*** ნაცვალსახელით გამოხატული სუბიექტი და მხოლობით რიცხვში მდგარი

ობიექტი, გვხვდება მრავლობითი რიცხვის ფორმით: *ზოგ სახლი აქვან აქა, 5-6 წელში მოდიან...*

9. გარდაუვალი ორპირიანი ზმნა (ინვერსიული), თუ მასთან შეწყობილია მხოლობით რიცხვში მდგარი სუბიექტი და მრავლობით რიცხვში წარმოდგენილი ობიექტი, გვხვდება მრავლობითი რიცხვის ფორმით: *მე ქართულები* (ქართველები) *მიყვარან.*

10. გარდაუვალ ორპირიან ზმნაში (ინვერსიული), თუ მასთან შეწყობილია მესამე პირის მრავლობით რიცხვში მდგარი სუბიექტი და მხოლობით რიცხვში მდგარი ობიექტი, მესამე სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნად მოსალოდნელი *-თ* ფორმანტის ნაცვლად გვაქვს *-ან* ფორმანტი: *ჩვენი გურჯიჯა მოწონან; ამათ ექნებიან სიმინდი; ჩემ დედებ ქონებიან.*

11. გარდაუვალი ორპირიანი ზმნა, თუ მასთან შეწყობილია მხოლობით რიცხვში მდგარი სუბიექტი და მხოლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილი ერთზე მეტი ობიექტი, დასტურდება მხოლობითი რიცხვის ფორმით: *იქ დედამთილი, მამამთილი მყავს, იმას უკან წავალ.*

12. გარდამავალ ორპირიან ზმნაში, თუ მასთან შეწყობილია მესამე პირის მრავლობით რიცხვში მდგარი სუბიექტი და მხოლობით რიცხვში მდგარი ობიექტი, მესამე სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნად III სერიაში (ინვერსიულ ფორმებში) *-თ* ფორმანტის ნაცვლად გვაქვს *-ან: ძმები გაყრილან, ძველი სახლი დუნგრევიან;.*

13. გარდამავალი ორპირიანი ზმნა, თუ მასთან შეწყობილია მესამე პირის მრავლობით რიცხვში მდგარი სუბიექტი და ასევე მრავლობით რიცხვში მდგარი ობიექტი, დასტურდება მრავლობითი რიცხვის *-ან* ფორმანტიანი ფორმით: *მათ ჩვენი ქართველები დუჭანჯლავან, მუკლავან.*

14. სამპირიან გარდამავალ ზმნაში წარმოდგენილია ირიბი ობიექტის მრავლობითობა: *ათათურქ იმითვინ* (იმათთვის) *ალაგი მუცემიან; მოდით, თქვენ პურ მოგართვამთ, ჩაი გასვამთ.*

მწკრივთა ფორმებიდან იშვიათი ხმარებისაა კავშირებითებისა და II თურმეობითის ფორმები. III კავშირებითის მწკრივის ფორმები სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებშიც დალოცვის ფორმულებსა და სადღეგრძელოებში გამოიყენება.

რაც შეეხება თემის ნიშნებს, თემის ნიშნის დართვის ტენდენციას იჩენს როგორც ერთთემიანი, ისე ფუძედრეკადი ზმნები:

1. *ჩვენ ვერ უწერავთ, წყენულობს; წერვა არ იციან; მე დეგიწერავ; რაზე წერავხარ? ღმერთი თელი ერთია, თელი ჯეროზენ* (ყველას სჯერა//სწამს); *აღარ ეცხელება, დაგრილავს;*
2. *არ მიყვარს, მწყენულობს* (მწყენს).

-ავ თემის ნიშანი -ევ სუფიქსით იცვლება: *მაშინ რაცკას უკრევდენ, ახლაც იმას უკრევენ.*

-ავ თემის ნიშანი იკარგება: ტყეს *მოვკაფდით* (გავკაფავდით).

-ამ თემის ნიშანი -ემ სუფიქსით იცვლება: *ურტყემდენ.*

-ემ თემის ნიშანი საერთოდ იკარგება: სასმელაჲ მეიტანეს, თორემ წყალი ვინ *მოქვცოდა* (მოგვცემდა).

მეორე სერიის მწკრივებში გვაქვს -ევ სუფიქსიანი წარმოება: *რად წეიღევით* (წაიღეთ) *აკვანები? ბისიკლეტი* (resp.: ველოსიპედი) *აუღევი* (ავუღე).

„ევ-ი“ სუფიქსი დადასტურებულია ქართლურში, კახურში, მესხურ-ჯავახურში, მთარაჭულში, აჭარულსა და ზემოიმერულში (Марр, 1910:64; იმნაიშვილი, 1988:213; ძიძიგური, 1970:142); ძოწენიძე, 1973:106; ბერიძე, 1988:121; ხუბუა, 1932:18). ამ სუფიქსის წარმოშობის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ერთი შეხედულებით, „ევ“ აორისტის არქაული სუფიქსია, ხოლო „ე“ მისგან მომდინარე (როგავა, 1945:648-652), „ი“ კი ანალოგიითაა გაჩენილი (ჩიქობავა, 1936:137), მეორე მოსაზრებით, „ევ“ მიღებულია „დავწევი, გავყევი, დავდევი“... და მათი მსგავსი ზმნების ანალოგიით (თოფურია, 1925:143).

ბრძანებითის ფორმა თემისნიშნიანია: *გაგდევ! ნუ სწერავ!* (მიატოვე, ნუ წერ!).

საინტერესოა -ამ თემის ნიშნის ნაწილობრივი მოკვეცის შედეგად მიღებული ფორმა, რომელსაც აწმყოს ხოლმეობითის ფუნქცია აქვს: *იქავრი წყალი ვერ მისმის* (მისვამს), *გერმელი არ არი.*

*გაგება* ზმნის პირიან ფორმებში როგორც ფორმის თავში, ისე ფორმის ბოლოს თავს იჩენს *-ნ* სუფიქსი: *ამან არ იცის გურჯიჯა, ისე გნებულობს; იმათი ლაპარაკი (ბორჩხელებისა) ვერ გემიგნია, მაჭახლურისა (მაჭახლელებისა) გეიგნება.*

მათ მეტყველებაზე დაკვირვებისა და ჩაწერილი მასალის ანალიზისას ცხადია, რომ ჭრელი ვითარება გვაქვს, მაგრამ საჭიროდ მივიჩნიეთ ყველა არსებული ფორმის დაფიქსირება. როცა ეთნიკური ენა მხოლოდ საოჯახო და ეთნიკური ჯგუფის წევრთა შორის ურთიერთობისთვის გამოიყენება და არ იზღუდება ნორმითა და სტანდარტიზაციის პროცესებით, ფორმაწარმოების შესაძლებლობები უსაზღვროა.

ეთნიკურ ქართველთა მეტყველებაში ფართოდ გავრცელდა შედგენილ-შემასმენლიანი ფორმები, რაც თავიდანვე, ბუნებრივია, არ იყო დამახასიათებელი მათი მეტყველებისთვის: *ქალამანი მეც ჩასმული მაქვს* (ჩამიცვამს).

ყურადღებას იპყრობს მათ მეტყველებაში დადასტურებული ვნებითი გვარის ფორმები. ქართველები ქართულში გავრცელებულ დონიანი ვნებითის ფორმებს ინიანი ვნებითის ფორმით ცვლიან: *წყალი არ მეიდუღება* (*ადუღდება*).

ინიანი ვნებითის ფორმებს კი საშუალ-მოქმედებითი გვარის ფორმებს უნაცვლებენ: *ტყვილობ* (იტყუები).

იმერჯეულში „ინიანი“ და „ენიანი“ ვნებითის მრავლობითი რიცხვის ფორმები მეორე სერიის მწკრივებში „ენ“ /ნ/ სუფიქსითაა ნაწარმოები. ეს წესი ძველ ქართულშიც მოქმედებდა და ამჟამადაც დაცულია მესხურ-ჯავახურსა და აღმოსავლურ კილოებში (მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956:95; იმნაიშვილი,

1974:212; ბერიძე, 1988:122; იმნაიშვილი, 1982:239), გვხვდება ზემოაჭარულშიც (ნიჟარაძე, 1961:90).

ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი სუფიქსიანი ვნებითის -ნ/ენ მაწარმოებელი უნდა ჩანდეს ეთნიკურ ქართველთა მეტყველებაში, რის შედეგადაც ზმნის ფორმაში ვნებითის ორმაგი წარმოება გვაქვს როგორც პრეფიქსული, ისე სუფიქსური: *არ მეილალენით? გევიკრიფენით, აქაურობაში საქმე არ იყო.*

გვაქვს ვნებითის ორმაგი სუფიქსური დონიანი და ნ/ენიანი წარმოება: *შიგან დაჰოცდენ ფუტკარი* (შიგნით ფუტკარი დაიხოცა).

ვნებითი გვარისთვის დამახასიათებელი -ებ თემის ნიშანი ხშირად იკარგება: *ბაღვი გეყოლვის* (გეყოლება), *ყურ გიგდებ.*

საშუალ-ვნებითი გვარის ზმნა ცხელა ნაკლულ მწკრივებს მოსალოდნელი უნიშნო ვნებითის ნაცვლად ენიანი ვნებითის ფორმებით ივსებს: აღარ *ეცხელება*, დაგრილავს.

ქართულ ენაში მწკრივნაკლად ცნობილი ზმნები და აგრეთვე მათ მეტყველებაში სახელისგან ნაწარმოები ზმნები (რომლებიც სალიტერატურო ქართულში არ გვაქვს) დონიანი ვნებითი გვარის ტიპის წარმოებას გვიჩვენებს: *სახლი გვსურდება, კარ-მიდამო, თოვლდება; ზამთარში დავცოტავდით, ველარ გვიქნია, დავბერდით.*

საინტერესოა უშუალო კონტაქტის ფორმის წარმოება. უშუალო კონტაქტის *-ევ* მაწარმოებელს *-ამ* სუფიქსი ენაცვლება, რომლის გამოყენების არეალი თემის ნიშნად დღეს სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში მხოლოდ თხუთმეტიოდე ზმნით შემოიფარგლება: *მოდით, თქვენ პურ მოგართვამთ (პურს მოგართმევთ); ჩაი გასვამთ (ჩაის გასმევთ).*

რაც შეეხება თანდებულებთან დაკავშირებულ ცვლილებებს:

1. -ში თანდებულიან ფორმას ცვლის: 1. სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმა მიმართულების ან სადაობის აღსანიშნავად: *ბათუმში გასვლა მინდა, ვერ გავსულვარ; ბორჩხას ჩამოდით, მე*

*იქა ვარ; მე **ბორჩხას** ვარ; ეს იქა, **გეზეს**, ფაბრიკაში საქმობს;* 2. ან სახელი წარმოდგენილია ფუძის სახით: ***დიობან*** (დიობანშია) *არი გათხოვილი.*

2. -თვის თანდებული -თვინ ფორმით გვხვდება: *იმითვინ მუწერია.*

3. ნათესაობითი ბრუნვის -გან თანდებულიანი ფორმის ნაცვლად იყენებენ მოქმედებითი ბრუნვის -იდან თანდებულიან ფორმას: ამპირა შენიდან (შენგან) მესმის.

საინტერესოა ზმნისწინთა გამოყენებისას მომხდარი ცვლილებები:

1. ა- ზმნისწინს მო- ზმნისწინი ცვლის: *მოვივა, ავანთებ სობას.*

2. გა- ზმნისწინს და- ზმნისწინი ცვლის, რასაც თითოობის ფუნქცია აქვს: *რაცკეტი ჩნდება **დასაკეთებელი*** (გასაკეთებელი).

3. მი- ზმნისწინს: ა) *მიდის* ზმნაში რეგულარულად ენაცვლება წა- ზმნისწინი: *ზამთარში წადიან ისინი;* ბ) ენაცვლება შე- ზმნისწინი: *ანაა შესახედი არია* (მისახედია).

4. მო- ზმნისწინსაც და- ენაცვლება: *დევინახო დაქსოვილი.*

5. შე- ზმნისწინს გა- და და- ზმნისწინები ენაცვლება: *ბევრი ვილაპარაკე, **გაგაწუხე**; **რაზე დაწუხდი?*** (რატომ შეწუხდი?)

არსებითი ცვლილებები არ გვაქვს ზმნიზედების გამოყენების მხრივ: *ქვეშ, აქ, იქ//იქა, ორჯერ, ადრე, მაშინ, ძალიან, ისე...*

წინათ ზმნიზედის მნიშვნელობით გვხვდება ***წინდაწინა***: *აქ მოხველი წინდაწინა?*

ში- თანდებულიანი ფორმით გადმოცემული ზმნიზედა შემდეგი ფორმით გვხვდება მეტყველებაში: ***ზამთრი*** (ზამთარში) *იზმითში წადი.*

წინ ზმნიზედა ***წინაა*** ფორმით გვაქვს: *მანქანების წინაა სახლი ჩემია.*

წეღან ზმნიზედა ***წაღან*** ფორმად არის სახეცვლილი: *წაღან ვსვი.*

ზემოთ ზმნიზედა **ზედაე** ფორმით გვხვდება: *ახლა იქ არი,* ზედაე (ზემოთ).

ძალიან ზმნიზედის პარალელურად სულ უფრო და უფრო მეტი სიხშირით გვხვდება მათ მეტყველებაში შეჭრილი **ფენა**: *ბათუმი ღამეში ფენა ლამაზია? მეც ფენა კარგი ვარ; ფენა ბევრია, იმათი ლაპარაკი ვერ გემიგნია.*

დროის აღმნიშვნელ ზმნიზედას ღამით ენაცვლება -ში თანდებულიანი ფორმა: *ბათუმი ღამეში ფენა ლამაზია?*

**საერთოდ** ზმნიზედას ენაცვლება ამავე მნიშვნელობის თურქული **ჰიჩ**: *ზექიეს ჰიჩ პურ არ უჭამია, პურ ჭამ ახლა? ამან არ იცის ჰიჩ გურჯიჯა.*

ვითარების ზმნიზედის მაწარმოებელ სუფიქსს -ნაირად ენაცვლება -**დენ** სუფიქსი: *ჩვენდენ* (ჩვენნაირად) *ლაპარაკობენ.*

როგორც ცნობილია, ზომა-ოდენობის ზმნიზედათა ერთი ნაწილი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმისგან არის მიღებული: *იმდენად, ამდენად...* იმერჯვეში მოცემული ზმნიზედები წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით: *იმდენი ლამაზი გახდა იმ წელიწად, ვერ იცნეს ხალხმა, ღმერთმა უნა წეიყვანოსო.*

საინტერესოა ადგილის *სად* ზმნიზედისა და *უნდა* ნაწილაკის შერწყმით მიღებული ფორმა სანა (სად უნდა): *ხვალ სანა იარო?*

ყურადღება მიიქცია დროისა თუ ჯერობის აღსანიშნავად გამოყენებულმა ზმნიდედამ - ამპირა: **ამპირა** (ახლა, ამჯერად) *შენიდან მესმის.*

დროის აღმნიშვნელი ზმნიზედის შემდეგ მნიშვნელობით მხოლოდ **უკან** ზმნიზედას იყენებენ: *იქ გახალა მყავს, იმას უკან წავალ.*

მშვიდად ზმნიზედის ნაცვლად იყენებენ **გულდებრი**: *გულდებრი (მშვიდად) იყავი.*

ყურადღებას იპყრობს კავშირის საკითხი ეთნიკურ ქართველთა მეტყველებაში. კავშირის გამოყენების თვალსაზრისით

მათი მეტყველება ყველაზე მეტად სხვაობს ჩვენი მეტყველებისგან. აგებულების მიხედვით განსხვავებულ არც შერწყმულ, არც რთულ თანწყობილსა და რთულ ქვეწყობილ წინადადებებში კავშირები არ გვხვდება:

1. სრულიად უკავშიროა: *გათუმში გასვლა მინდა, ვერ გავსულვარ; მზე გამუა, ძალიან ცხელა, მზე წავა, ძალიან ცივა; ყველაფერ არ ჭამ: კარტოფილ დაბრაწებული, ძველი ლობიო.*

2. მაგრამ კავშირს ცვლის თურქული *ამა (amma - მაგრამ)*: *ჩვენ მანქანით ავედით, ამა არ შეგვიშვეს; თელი გურჯია, ამა წერვა-მერვა არ იციან.*

3. რომ კავშირს ცვლის ამავე მნიშვნელობის თურქული კავშირი *ქი (ki - რომ)*, რომელიც, ჩვეულებრივ, ზმნას ახლავს და წინადადების ბოლოშია მოქცეული: *აქ ქილისე არ არი ქი* (აქ რომ ეკლესია არ არის); *ჩვენ არ ვიცოდით ქი (ჩვენ რომ არ ვიცოდით).*

4. რომ კავშირის ფუნქციას მეტყველებაში ასრულებს პაუზა, ინტონაცია, ხოლო წერისას სასვენი ნიშანი მძიმე: *შენ გამოხვალ, დიგინახავ* (შენ რომ მოხვალ, გნახავ); *მე ჩამევიარე, წამეველ, აღარ დავმჯდარვარ, ჩემთან ამოსულიყავ, ამდენ გასწავლიდი* (ჩემთან რომ ამოსულიყავი, რამდენს დაგასწავლიდი).

5. რომ კავშირის ფუნქცია მათ მეტყველებაში შეთავსებული აქვს სხვათა სიტყვის ნაწილაკებს: *ეზგი შენ უთხარი, მარტო დავწუხთები-თქო; მითხრა გალიბამა, იქ არიანო; ქალები ყვიროდენ, დაგვიანდაო, ესენი აქ დგანან.*

კავშირები, რომლებიც მათ მეტყველებაში დავადასტურეთ, და და *თუ* კავშირებია, და უფრო ხშირად, თუ კი ძალზე იშვიათად: *ჩაი გავაკეთოთ და ვლიოთ-მეთქი და არა ქნეს; ჩავაყრი, თუ გცივა.*

საუბრისას ხშირად იყენებენ სხვათა სიტყვის ნაწილაკებს: *ჩეიაროს-მეთქი, არ ჩავარდეს კიბეზე; ანაჯან დაბრუნდიო, არ დავბრუნდები-მეთქი.*

ასევე ზმნას ხშირად მოსდევს თურქული *-ია* ნაწილაკი *-ხომ* ნაწილაკის მნიშვნელობით: *მე ვსაქმობ-ია* (*მე ხომ ვსაქმობ*).

თურქული -ია ნაწილაკი მეტყველებაში მოდალურ უნდა ნაწილაკთანაა შერწყმული: *ოსმანმა წაგასხა უნაია?* (ოსმანმა უნდა წაგიყვანოთ?).

აი და მაინც შორისდებულთა ნაცვლად რეგულარულად იყენებენ თურქულ *იშტე*-ს: *გაირამი გათავდა და იშტე სახლში არ ილევა საქმე.*

სიტყვაწარმოების თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს უქონლობა-უყოლობის სახელთა წარმოება. უქონლობა-უყოლობის სახელებს თურქეთის ეთნიკური ქართველები უ- პრეფიქსით აწარმოებენ: უდუქორწიალებელი (დაუქორწინებელი), უდუუკვლელებსა (დაუკლავი) მისცემენ; უგუუტეჯავი (გაუტეჯავი), უჩუმალაი (ჩუმად), უდუჭრელი (დაუჭრელი), უჯერტლოი (ხერტალის გარეშე).

წიგნის ამ ნაწილს შ. ფუტკარაძის სიტყვებით დავამთავრებთ: „ჩვენ მიერ მოპოვებული „ზღვაში წვეთის“ ტოლია. ისტორიულ ტაო-კლარჯეთში ჯერ კიდევ ბევრგანაა დარჩენილი ისეთი ხეობა და თემი, სადაც ქართველ მეცნიერს დღემდე ფეხი არ დაუდგამს. ვინ იცის, რამდენი საინტერესო ენობრივი ფორმა ელოდება მკვლევარს მთების კალთებზე არწივის ბუდესავით გაშენებულ სოფლებში. საგულისხმოა ისიც, რომ ყოველწლიურად ამ ქვეყნიდან მიდიან აქაურ მკვიდრთა უხუცესი წარმომადგენლები და თან მიაქვთ არა მარტო წინაპართა ხელიდან ხელში ნაგოგმანები ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, არამედ ამ ხალხის ისტორიის ქარცეცხლში მახვილივით ალესილი ქართული სიტყვებიც. ამიტომ მეტად საშური, გადაუდებელი საქმეა ტაო-კლარჯული ცოცხალი ქართული მეტყველების ნიმუშების დროულად შეგროვება, მისი მეცნიერული შესწავლა“ (ფუტკარაძე, 1993:12).

# ენობრივი ვითარება ნიგალის ხეობაში - ბორჩხისა და მურღულის სოფლებში

ნიგალის (//ლივანის//ლიგანის) ხეობა ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონია ფეოდალური ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მდინარე ჭოროხის ქვემო დინებაში. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ლივანის ხეობა მოიცავდა მდინარე ჭოროხის ხეობის იმიერ და ამიერ მხარეს ართვინის სანახებითურთ: „და ართვინის სანახებითურთ, ვიდრე ერგეს საზღვრამდე, ჭოროხის ჴეობის იმერი და ამერი იწოდების ლიგანის ჴეობად. და არს ეს ლიგანის ჴეობა თჳნიერ სივიწროვისა, ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით, თურინჯით, ლიმონით, ზეთისხილით... (ვახუშტი ბაგრატიონი, 1941:136). შემდგომში ლივანად მიაჩნდათ მდინარეების აჭარის წყლისა და ჭოროხის შესაყართან მდებარე ტერიტორია. 1549 წელს ლივანა ოსმალებმა დაიკავეს. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ტერიტორიებთან ერთად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა... დღეს ლივანის მხოლოდ მცირე ნაწილს ფლობს საქართველო, დიდი ნაწილი კი თურქეთის საზღვრებში რჩება (Taoklarjeti.com/index.php, history/geography-of-tao-klarjeti).

გიორგი ყაზბეგი თავის ფასდაუდებელ ნაშრომში მცირე ადგილს არ უთმობს ართვინისა და ბორჩხის დახასიათებას და იქვე გვთავაზობს მისეულ შეფასებას:

„ქალაქი ართვინი მდებარეობს პონტოს ქედთან კარჩხალის შემაერთებელ ნაპრალში, რომლის შესახებ ქვემოთ ვიტყვით. სულ ქალაქში 2000 სახლია. რომელთაგან 100-მდე სომეხ გრიგორიანელებს, ხოლო 600 სომეხ კათოლიკებს, დანარჩენი მაჰმადიანებს ეკუთვნის. ასეთი განაწილების მიხედვით მცხოვრებლებს აქვს 5 მეჩეთი, 4 კათოლიკური და 1 გრიგორიანული ეკლესია. ქალაქში არის 8 ყავახანა და 250 დუქანი.

სახლები მკვეთრად დამრეც ფერდობზე, ერთი-მეორეზე მიჯრითაა განლაგებული. ქალაქის განაპირა ნაწილებში, ზეთისხილისა და ლეღვის ბაღებში გაფანტულია ადგილები, რომლებიც სოფლებად იწოდებიან. ქალაქის ქუჩები ძალზე ვიწრო, დაკლაკნილი და დამრეცია. სახლების დიდი ნაწილი ხისაა, მაგრამ აქ რამდენიმე ქვის სახლსაც ნახავთ... მოსახლეობის ხასიათით ართვინი ამიერკავკასიის ქალაქ შუშას მოგვაგონებს. ისეთივე სიმჭიდროვე, ისეთივე ჭუჭყი და ისეთივე წვრილი ვაჭრობა სახლში და მსხვილი ქალაქგარეთ. ართვინში განლაგებულია რედიფთა ბატალიონის შტაბ-ბინა, რომელზეც მიწერილია შავშეთი, ზემო აჭარა და ლივანა... ქართული ლაპარაკი ართვინში იშვიათია, სამაგიეროდ გარეუბნებში თითქმის ყველა ქართულად ლაპარაკობს..." (ყაზბეგი, 1995:110).

„ქალაქის დათვალიერება ეკლესიით დავიწყეთ. ჩვენთან ყველაზე ახლოს იყო გრიგორიანული. იგი 60 წლის წინ ძველ ნანგრევებზე აუშენებიათ. ეკლესიაში ჩვენ მნიშვნელოვანი ვერაფერი ვნახეთ, გარდა ერთი ქართული სახარების ხელნაწერისა. ეს ძალზე ძველი წიგნი მოიცავს ფსალმუნებსა და ძველ ქართულ ქორონიკონს. წიგნს გვერდებზე აქვს მოგვიანო პერიოდის მინაწერები. საერთოდ ეს ეგზემპლარი ისტორიკოსისა და არქეოლოგიისათვის ძალზე საინტერესოა. სახარებაზე ვერცხლის ძეწკვით მიმაგრებულია ვერცხლისავე ჯვარი, რომელზეც არის ნახევრადწაშლილი ქართული წარწერა..."დ მარია" (ყაზბეგი, 1995:111).

„სხვა საინტერესო ამბების გარდა, სომეხ-გრიგორიანი ხუცესისაგან ჩვენ გავიგეთ, რომ ზოგჯერ ართვინში ძველი სახარების წასაკითხად მოდის ერთი ქართველი მღვდელი, რომელიც პარხალის მახლობლად, ქალაქიდან 20 საათის სავალზე ცხოვრობს. იქ ჯერ კიდევ არის რამდენიმე ქართული ოჯახი, რომლებიც მართლმადიდებლურ აღმსარებლობას მისდევენ. შემდგომში ჩვენ გავიცანით ეს ფენომენალური

მღვდელი, რომელიც ართვინში მოდის მხოლოდ იმიტომ, რომ ძველი სახარება წაიკითხოს“ (ყაზბეგი, 1995:112).

„ართვინიდან ბორჩხამდე ჭოროხი მიედინება კლდოვან კედლებს შორის, რომელთა გვერდით მოჩანს კარგი ტყეები და მრავალი სოფელი. მდინარის ნაპირზე ჩვენ დავთვალეთ 6 სახერხი, 6 აგურ-კრამიტის და ერთი კირის ქარხანა. ამ მასალების მთელ მარაგს ბათუმი ლივანიდან ღებულობს.

გარეგნულად ბორჩხა სოფელს არ ჰგავს. აქ 80-მდე კოხტად აშენებული სახლია, რომელთაც არავითარი ხის სამეურნეო მინაშენი არა აქვს. რქიანი პირუტყვი და ცხენი აქ სულ არ არის. ყველა მცხოვრები ნავთმშენებლობას, მენავეობას და თიხის ჭურჭლის დამზადებას მისდევს. მცხოვრებთაგან არავინ თესავს და მკის, რის გამო პურის მთელ მარაგს ფულით ყიდულობენ. ყველა ოჯახს აქვს თავისი ნავი, რომელიც სასაპალნე და შესაბმელ პირუტყვს ცვლის. ჩვენ ვნახეთ რამდენიმე სახელოსნო, სადაც თიხის ჭურჭელს ამზადებენ. ერთ სახლში მუშაობდნენ მამა, შვილი, და შვილიშვილი, რომლებმაც ჩვენს თვალწინ ხელით, დაზგის დახმარების გარეშე გამოძერწეს რამდენიმე ჭურჭელი“ (ყაზბეგი, 1995:116).

ენობრივი თვალსაზრისით ბორჩხა და მურღული, ისევე როგორც ისტორიული საქართველოსა და ეთნიკური ქართველებით დასახლებული თურქეთის დანარჩენი ქალაქები თუ სოფლები, გამორჩეული რეგიონებია. ბორჩხა ოთხი ხეობის - ჭოროხის, დევსქელის, ჩხალასა და მურღულის შესაყარზე, კარჩხლისა და პონტოს ქედებს შორის მდებარეობს, ამიტომ აქ თავს იყრის ყველა ახლომდებარე სოფლის, მურღულის, ქლასქურის, ხება-მარადიდის, დევსქელის, ჩხალას ხეობებსა და ართვინში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველთა დიდი ნაწილი.

რა და როგორ შემოგვინახეს ისტორიული სამშობლოს დიდ ნაწილს მოწყვეტილმა ქართველებმა, ამის გადმოცემას ნაწილობრივ 2012 წელს ჩატარებული სამეცნიერო-საველე ექსპედიციისას ჩაწერილი მასალების ანალიზის საშუალებით შევეცდებით, მანამდე კი ისევ გიორგი ყაზბეგის სიტყვებს

მოვიყვანთ იმის საჩვენებლად, თუ რა ვითარება გვქონდა ენობრივი თვალსაზრისით თითქმის საუკუნე-ნახევრის წინ აქ: „ჭოროხის სანაპიროს მცხოვრებლები სუფთა ქართულს ლაპარაკობენ. ისინი ლამაზი ტიპით და კარგი გონებრივი თვისებებით გამოირჩევიან. ეს ქვეყანა ოდითგანვე სუფთა ქართული რასის აკვანს წარმოადგენდა და ახლა, ბედის უკუღმართობის მიუხედავად, შეინარჩუნა თავისი ძველი ღირსება“ (ყაზბეგი, 1995:116).

თუ ენობრივი ვითარების შესწავლას ეთნიკური ენის გეოგრაფიული საზღვრებით დავიწყებთ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს საზღვრები მთლიანად მოიცავს ჩვენი კვლევის ობიექტის - 1. ბორჩხის სოფლებს: დევსქელი, ოხვათი, ზედა მარადიდი, ქლასქური, ავანა, აგარა, ახალდაბა//ადაგული, არჰავეთი, ბაგინი, ყურდიდი, ოთიგი, სამზორე, ბანაკნა, ბეღლევანი, ბეშაპული, დამფალი, ებრიკა, ვაზრია, ვალაშენი, კვინტა^ული, ზედუბანი, ზელიეთი, თხილაზორი, კატაფხია, კვარჩხანი, კინცხურეთი, კირსა, მურკივეთი, ნიგია, ომანა, ორჯი, ოფუჯა, ოჯორჯი, საბავრი, უზრუმა, უკარნერე, ქართლა, ღვია, შუახევი, ჩარბიეთი, ჭინკური, ხება, ხინწკანა... 2. მურღულის სოფლებს: არჯვა, ბაგა, ადუჩა, აგარა, ბუჯური, ბაშქოი, გურბენი, დურჩა, დიალეთი, გევლი, გოგლიეთი// გოგილიეთი, ერეგუნა, ისკები, კაბარჯეთი, კასიმეთი, კორიდეთი, ლომეკეთი, ოზმალი, ტრაპენი, ქვამჭირეთი, ქობეკეთი, ქამილეთი, ფოროსეთი, ჩხალა, ქორთუკეთი, ქურა, ყავრიეთი, ჭილავრი, ძანცული, წყალყა, ბუდიეთი, ხახური, ხორსოლო, ჯანსული... რადგან ეს ტერიტორია ყოველთვის ქართველების სამკვიდრო იყო (დღეს ქართული ტოპონიმების უდიდესი ნაწილი, რასაკვირველია, თურქული ტოპონიმებითაა შეცვლილი). ზემოჩამოთვლილი სოფლები მურღულის წყლის ორივე მხარესაა განლაგებული. უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეგიონის პირველი მკვლევრებიდან დაწყებული დღემდე სოფლების ჩამონათვალი და და, შესაბამისად, რაოდენობაც განსხვავებულია. ზ. ჭიჭინაძე მურღულში 31 სოფელს ჩამოთ-

ვლიდა და მიუთითებდა, რომ ლივანა მურღულის ხეობასთან ერთად სამუსლიმანო საქართველოს ერთ-ერთი იმ ნაწილთაგანია, სადაც ქართული ენა ყველაზე კარგად არის შემონახულიო (ჭიჭინაძე, 1912:148). ჩვენი ექსპედიციის პერიოდში კი ადგილობრივებმა სოფლების რაოდენობა ოცდაერთით შემოფარგლეს, რადგან ბევრი სოფელი უკვე სხვა სოფელს შეუერთდა, მის ერთ-ერთ უბნად იქცა, მაგალითად, კასიმეთი, ნიგია და პეტრული, რომლებიც ადრე ცალკეული სოფლები იყო, დღეს იბრიქლის (Ibrikli) (ადგილობრივი მოსახლეობა მას *ებრიკა//იბრიკას* უწოდებს) უბნებია.

აქ მკვიდრი ქართველები იდენტობას ეთნონიმ *გურჯითა* და ისტორიული მახსოვრობის შედეგად შემორჩენილი გვარებით, ოღლებით გამოხატავენ: სარიშვილები, ჯამბაზ-ოღლები, ჩილალ-ოღლები, უზუნეძინ-ოღლები, მუსტაფ-ოღლები (სოფელი ბაგინი, ბორჩხა); როინიძეები (სოფელი ოხვათი, ბორჩხა), ქიქვაძე, ბოლქვაძე, ჯიმშერაძე, სალე-ოღლი, ხოჯ-ოღლი, ბექირ-ოღლი... სუბაშები (სუბაშები ალიაღასანები არიან), ბაიახტრები, ოსმანჩაუშები, ჩიტოსანი, ფაშალისანი, მელეგოსანი, გედუგისანი, ალიჯანისანი, ემინაღასანი, მემიშ-ოღლები, ჰაჯი-ოღლები, ხოჯ-ოღლები (სოფელი დურჩა, მურღულის ხეობა), ლამაზიშვილები, ყადირ-ოღლები, ეფენდ-ოღლები, მემიშ-ოღლები (სოფელი კორიდეთი, მურღულის ხეობა), კალინჯ-ოღლები, მეშაჲ-ოღლები, ქემალ-ოღლები, დურები, მევლუდ-ოღლები, ჯინოები (დოლაბიძის უბანი, სოფელი ქართლა, ბორჩხა), ხალი იბრაიმ-ოღლები, ალტაჲ-ოღლები, ნუმემედ-ოღლები, დილბერ-ოღლები, კუტუმ-ოღლები (ვასაჯის უბანი, სოფელი ქართლა, ბორჩხა), თეთრუები, იმამ-ოღლები, იდრის-ოღლები, მედეგ-ოღლები, ზენგინ-ოღლები, ხოჯ-ოღლები (გუგუცურის უბანი, სოფელი ქართლა, ბორჩხა), ქემალ-ოღლები, არდანთ-ოღლები, დილბერ-ოღლები (თრიმლების უბანი, სოფელი ქართლა, ბორჩხა); თაფლიძე (სოფელი თხილაზორი, ბორჩხა), ბოლქვაძეები, იუსუფ-ოღლები (სოფელი დამფალი, ბორჩხა); ზაქარაძეები, ფუტ-

კარაძეები, ბოლქვაძეები (სოფელი ტრაპენი, მურღულის ხეობა), სულთანიშვილები (სოფელი გოგლიეთი//გოგილიეთი, მურღულის ხეობა); ხოლო *თურქეთის ვათანდაშობა* გარდაუვალი ვალდებულებაა იმ სახელმწიფოს წინაშე, რომელმაც თავის საზღვრებში მოაქცია ისტორიული საქართველოს უდიდესი ნაწილი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბორჩხასა და მურღულში შემორჩენილია ხსოვნა ფაქტისა: *ჩვენი დიდვანები ჰრისტიანები ყოფილან,* რასაც თურქეთის საქართველოს სხვა ადგილებში ვერ გაიგებთ ობიექტურ მიზეზთა და ისტორიის არცოდნის გამო.

ენობრივი ვითარების აღწერისას მნიშვნელოვანია ეთნიკურ ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა და შობადობის ხარისხი. თურქეთში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის წევრთა სიდიდე-სიმცირის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მოპოვება ძალიან ძნელია, მაგრამ ეს ტერიტორია ოდითგანვე ქართველთა ისტორიული სამკვიდრო იყო და არის, ამიტომ აქ ეთნიკურ ქართველთა რაოდენობა დიდია, ასევე ბოლო პერიოდამდე მაღალი იყო შობადობის ხარისხი.

ქართველები ჯერ კიდევ 15-20 წლის წინ ძირითადად სოფლებში ცხოვრობდნენ, რაც ძალიან უწყობდა ხელს ეთნიკური ენის შენარჩუნებას იმ პირობებში, რომლებშიც ისტორიული სამშობლოს დიდ ნაწილს მოწყვეტილი აღმოჩნდნენ. დღეს განუზომლად დიდია ურბანიზაციის მასშტაბი. ბორჩხა და მაინც მურღულია (მოსახლეობის დიდი ნაწილი მურღულიდან აჰყარეს, მცირე ნაწილი კი თვითონ გადასახლდა) ამ თვალსაზრისით გამონაკლისი. ბორჩხისა და მურღულის მოსახლეობის დიდი ნაწილი ზამთარში ადგილზე რჩება. თითქმის ყველა სოფელი ქართველებისაა, მხოლოდ ორ სოფელში არიან ქართველთა იმ ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთ თავს ლაზებს//ჭანებს უწოდებენ - გურბენსა//გურბინსა და ჯევულ-ქორუჯულარში; ბუჯურში (მურღულის ხეობა) ერთი-ორი ოჯახია ლაზებისა//

ჭანებისა, ღობერკეთის მაჰალეში (სოფელი ბუჯური, მურღულის ხეობა) კი ჰემშინები ცხოვრობენ. ქლასქურში თუ ზაფხულობით 300 ოჯახზე მეტია, ზამთარში აქ მხოლოდ 100 ოჯახი რჩება; დევსქელში ზამთარში 340 კომლიდან 200 კომლამდე რჩება, იგივე შეიძლება ითქვას ჩხალას ხეობის შესახებაც.

ქართველები ამ ტერიტორიაზე კონცენტრირებულად ცხოვრობენ. ეთნიკური ენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორია გარემო - მონოეთნიკური თუ პოლიეთნიკური. ბორჩხისა და მურღულის სოფლები, ქლასქური, ხებამარადიდი, დევსქელი, ჩხალას ხეობები უმეტესწილად ისევ მონოეთნიკურია. ეთნიკურ ქართველთა გვერდით აქ დღეს უმნიშვნელო რაოდენობით ცხოვრობენ და საქმიანობენ სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებიც. აქაური ქართველები ჯერაც ცდილობენ თავიანთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელზე დაქორწინდნენ, რომ *გურჯობა* და *გურჯიჯა//გურჯიჯე* არ მოიშალოს, მაგრამ მიგრაციის მაღალი ხარისხი სოფლებიდან ქალაქში ამ პროცესს დიდხანს ვეღარ შეუწყობს ხელს. ერთმა კარგმა მოქართულემ ხაზგასმით აღნიშნა: ***ჩვენგან გოგო ვერ წავიდოდა*** (ვერ გათხოვდებოდა სხვაზე), ***ენა რომ შეგვენახა***. ჩვენი წინაპრები ასე იტყოდნენ.

მნიშვნელოვანი ფაქტორია ეთნიკური ჯგუფის ცხოვრების წესი. ბუნებრივია, მიგრაციის მაღალი ხარისხი, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან ურთიერთობა და ინტეგრაციის პროცესი დიდწილად ცვლის ცხოვრების წესს. ეს პროცესი შეუქცევადია ქალაქში გადასახლებულ ქართველთა შემთხვევაში, ხოლო ადგილზე დარჩენილ ეთნიკურ ქართველებთან, ამ მხრივ, არსებითი ცვლილებები არ გვაქვს, ისინი ცდილობენ საგულდაგულოდ დაიცვან ეთნიკური ჯგუფისთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი. აქ ასევე დიდია მშობლების როლი და გავლენა, რაც ერთ-ერთი პირობაა ეთნიკური ენის შენარჩუნებისთვის.

რაც შეეხება სოციალურ სტატუსს, ქართველები, თავიანთი ისტორიისა და კულტურის გათვალისწინებით, მაღალი სოციალური სტატუსის მოპოვებისკენ ისწრაფვიან.

ბორჩხის, მურღულის, ქლასქურის, ხება-მარადიდის, დევსქელის, ჩხალას ხეობების ქართველების აზრით, აქაურებმა ყველაზე კარგად იციან ქართული. ჩვეულებრივ, როცა თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველები თავიანთ ენობრივ მდგომარეობას აფასებენ, რეალურ სურათს არ ალამაზებენ. ამ შემთხვევაშიც ზემოაღნიშნულ შეფასებას იქვე დაურთავენ: *ერთი თაობის შემდეგ ბორჩხისა და მურღულის სოფლების, ქლაქურის, ხება-მარადიდის, დევსქელის, ჩხალას ხეობებში ქართული არ იქნება.*

ბორჩხისა და მურღულის სოფლების, ქლასქურის, ხება-მარადიდის, დევსქელის, ჩხალას ხეობებში მცხოვრები ყველა ეთნიკური ქართველისათვის, ასაკისა და ცოდნის ხარისხის მიუხედავად, გურჯიჯა, ქართულა//ქართველა მშობლიურია, დედის ენაა. *ქართული* საოჯახო ენაა აქ მცხოვრებ ქართველთა უმეტესობისთვის: *სახლში სულ ქართულა ვლაპარაკობთ დიდვანები*, მაგრამ დასძენენ: *მართალი ქართული არ ვიცით.* სოფელში ვინც ცხოვრობდა (საუბარია არა უფროსი, არამედ საშუალო თაობის ქართველებზე), თურქული არ იცოდა, დედა, მამა, ბებია-ბაბუები ყველა მათგანს მხოლოდ ქართულად ელაპარაკებოდა. თურქული იცოდა მხოლოდ იმან, ვინც სოფელში არ გაზრდილა. ჩვენმა ერთმა მთხრობელმა, არაჩვეულებრივმა მოქართულემ ეიუფ უზუნმა (სულთანიშვილმა, 53 წლის) გვითხრა, *ართვინში გავიზარდე და ვიცოდი თურქულა, ჩემ პერიოდში სოფელში ვინც იყო, არ იცოდა.*

ეთნიკური ქართველები წუხან, რადგან ამბობენ: *ჩვენი გურჯობა თურქობაზე გადავატრიალეთ.* აქ ცხადია, ისინი მხოლოდ ენობრივ ვითარებას არ გულისხმობენ, საუბარია მათ ყოფა-ცხოვრებაში შეჭრილ თურქულ ელემენტებზე. ქართველები აღნიშნავენ, თუ როგორი მნიშვნელობა ჰქონდა საზღვრის გახსნას ენის შენარჩუნებისთვის: ჩვენც დავიწყებული

გვქონდა ენა, საზღვარი რომ არ გახსნილიყო. წერა-კითხვა უკანასკნელ პერიოდამდე, რასაკვირველია, არავინ იცოდა, რამდენიმე უიშვიათესი გამონაკლისის გარდა. დღეს კი ეთნიკურ ქართველთა გარკვეული რაოდენობა ცდილობს ქართული ენის ანა-ბანას, წერა-კითხვას სხვადასხვა საშუალებებით საზღვრის გახსნის შემდეგ ინტენსიური ურთიერთობით, სპეციალურად მათთვის დაწერილი წიგნებით, სოციალური ქსელებით - დაეუფლოს: *ასო-ენა უნდა დევსწავლოთ.*

რადგანაც ბორჩხისა და მურღულის სოფლები, ქლასქურის, ხება-მარადიდის, დევსქელის, ჩხალას ხეობები ქართველებითაა დასახლებული, აქ ქართული ისმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე - ქუჩებში, სავაჭრო დაწესებულებებში, თავშეყრის ადგილებში: ჩვენი გურჯიჯა უხმარი არ არის (გამოუყენებელი არ არის).

ყველაზე მნიშვნელოვანია, იციან თუ არა ბავშვებმა *გურჯიჯა*, ასწავლიან თუ არა ქართულ ენას ბავშვებს, მომავალ თაობას; ამ ფაქტორის გათვალისწინებისას შემდეგი სურათი გვაქვს: *ბავშვები ქართულად არ ლაპარაკობენ. სკოლაში ვერ ისწავლიან და აკვნიდან რომ გადმოვარდება, თურქულად ლაპარაკობენ.* ეთნიკური ენის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანია ის გარემოება, თუ სად იზრდებიან ბავშვები და ვინ ზრდის მათ, ოჯახში იზრდებიან თუ ოჯახს გარეთ. ოჯახური გარემო ეთნიკური ენის ათვისებას აადვილებს, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ ბავშვები ბებია-ბაბუებთან იზრდებიან. სკოლა-ინტერნატის სისტემას დამანგრეველი ეფექტი აქვს ეთნიკური ენისთვის. თურქეთის რესპუბლიკამ კი ამგვარი კეთილმოწყობილი სკოლებით უზრუნველყო სოფლის ბავშვები, რომლებიც უკვე მთელ სასწავლო წელს ასეთ სკოლებში ატარებენ, რის შედეგადაც ეთნიკური ენის გადაცემა, ჩვეულებრივ, წყდება: ქართულად ველაპარაკები, ესმის, მაგრამ ვერ ლაპარაკობენ. პირველ მექთებში (დაწყებითი განათლების მიღებისას, დაწყებით სკოლაში  ი.ღ.) სახლში იყო, მეორე მექთები (საშუალო განათლების მიღებისას, საშუალო სკოლაში ი.ღ.) სკოლაში იზრდებოდა. სკოლაში მიდიან, ვეღარ

ლაპარაკობენ; მექთებში გურჯობა არ ალი (resp.: სკოლაში ქართული არ არის); შვილს ქართულად ველაპარაკები, შვილიშვილს თურქულად.

ამ მხრივ, გამორჩეული და დასამახსოვრებელი იყო სოფელი ბაგინი და მთელი დევსქელის ხეობის სიტუაცია, ასევე სოფელი ქართლა, სადაც სოფელში გაზრდილმა თითქმის ყველა ბავშვმა იცის ეთნიკური ენა 4 წლის ბავშვებიც ლაპარაკობენ ქართულად. უფროსები ბავშვებს ქართულად ელაპარაკებიან და პასუხსაც ქართულად იღებენ: *სოფელში გაზრდილი ბავშვი მალე ეჩვევა ლაპარიკს.*

ხეობებში მუდმივად მცხოვრებმა 17-20 წლის ახალგაზრდებმა თავიანთი ენობრივი კომპეტენცია ასე შეაფასეს: *სახლში გურჯულად ვლაპარაკობთ, ამხანაგები რომ ვიკრიბებით, ხან თურქულად, ხან გურჯულად ვლაპარაკობთ.*

ეთნიკური ენის სწავლების თვალსაზრისით ხშირად ბებიებს უფრო მეტი გავლენა აქვთ ბავშვებზე, ვიდრე სხვებს. სწორედ ისინი გადასცემენ ენას ბავშვებს, რასაც ბორჩხისა და მურღულის სოფლების, ქლასქურის, ხება-მარადიდის, დევსქელის, ჩხალას ხეობების ქართველებიც ადასტურებენ თავიანთივე სიტყვებით: *ბაბაანე* (resp.: ბებია) *ელაპარაკება, გურჯიჯა იცოდნონო; ქართული ნენეისგან, ბაბოისგან დევსწავლეთ.*

რაც შეეხება სახელმწიფო ენას, განათლების ენას, ძირითად ენას, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან ურთიერთობის ენას, ეს საკითხი დიდი ხანია თურქული ენის სასარგებლოდ არის გადაწყვეტილი.

მ. ჩოხარაძე ამ საკითხისადმი მიძღვნილ ნაშრომში, რომელიც XIX-XX საუკუნეებს მოიცავს, დაასკვნის: „სამწუხარო რეალობაა, მაგრამ თანამედროვე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მშობლიურმა ენამ აშკარად დათმო პოზიციები. იმერხევსა და ლივანაში, ასევე ტაოს ორიოდ სოფელში ქართულად მეტყველებენ მხოლოდ საშუალო ასაკს გადაცილებულნი, იშვიათად ახალგაზრდებიც. პრაქტიკულად,

ენის მცოდნე ბოლო თაობა ცხოვრობს იქ. ბავშვებმა და ახალგაზრდების უმრავლესობამ თითქმის აღარ იცის წინაპრების ენა“ (ჩოხარაძე, 2009:91).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბორჩხისა და მურღულის სოფლების მკვიდრი ქართველები ბილინგვები არიან, გამიჯნული აქვთ ენობრივი ვარიაციები და იციან, ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში რომელი ენობრივი ვარიაცია გამოიყენონ.

მასალის ჩაწერისას საინტერესო იყო ერთი შენიშვნა დერგთან დაკავშირებით: დიდვანი დერგები იყო, დერგში ღვინოს ვასხამდით. მხოლოდ ამ წინადადებითაც კი აშკარაა, რომ ეთნიკური ენა თურქეთის საქართველოში დღემდე იმ უნიკალური ინფორმაციის მატარებელია, იქ მცხოვრები ქართველები დღეს რომ ბოლომდე ვერ აცნობიერებენ. ამ წინადადებით ისინი იმ პერიოდზე მიუთითებენ, როცა ყურძნის დაწურვა და ღვინის დაყენება აქ ეთნიკურ ქართველთა ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. ეს დღეს მხოლოდ ენამ შემოგვინახა.

მურღულისთვის, ისევე როგორც დღეს თურქეთის საზღვრებში მოქცეული ისტორიული საქართველოს ყველა კუთხისათვის, სოფლისათვის, თამარ მეფის ხატებას განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება. მურღულის სოფელ გოგლიეთის//გოგილიეთის მკვიდრისაგან ჩავიწერეთ ამბავი, რომელიც მის ბავშვობაში მომხდარა და თამარ მეფის სახელთანაა დაკავშირებული: *სოფელში ერთი გიჟი იყო. დედას რომ ვუთხარი, რატომ არი ასეო, მითხრა, მურღულში თამარ დედოფლის საფლავი ნახა და იმიტომ არი ასეო. იქ საფლავი იყო ერთი მურღულში. ამბობდენ, თამარასიაო.*

აქვე უნდა ითქვას კეცზე დაკრულ მჭადზე ჯვრის გამოსახვის შესახებ, რაც საერთოქართული ფაქტია და დამახასიათებელი იყო აქ მცხოვრებ ქართველთათვისაც.

აღსანიშნავია დაძმობილების ტრადიცია, რომელსაც შემდეგნაირად გადმოგვცემენ: *ძუძუ მააწოვე სხვა ვინმესა, შენ*

*გოგო იმ ბიჭ ვერ მიცემ, ძმა არი. შენი ძუძუ მოწოვა, ძმა გახდა. გოგო დობილი გახდება, ბიჭი ძმა გახდება. არიან დობილები ავსილი. აღნიშნავენ იმასაც, რომ ადრე გურჯების ადათი არ იყო ნათესავების ერთმანეთზე დაქორწინება: მაშინ ადეთი არ იყო, მემრე გამააშენეს აქრაბაზე* (resp.: ნათესავზე) *მიცემა.*

ზემოთქმულს თვით ბორჩხისა და მურღულის სოფლების მკვიდრი ქართველები ამგვარად აფასებენ: წინ სხვანაირი კულტურა იყო, ახლა გედეიცვალა.

ბორჩხისა და მურღულის ტოპონიმია ცალკე კვლევის საგანია, ამიტომ აქ მხოლოდ ჩამოვთვლით იმ ტოპონიმებს, რომელთა აღნუსხვის საშუალება დროის მცირე მონაკვეთში მოგვეცა:

*შაქარეთი, ბუღარეთი, ნაძუნარა, კვინტაური//კვინტალი, ვანი* (სოფელ ბაგინის (უბნები, ბორჩხა); *ნაბეღლავი, ლოთავი* - ტოპონიმები სოფელ ბაგინში (ბორჩხა); *გალმობანი, ქომობანი, უკანმერე, ტყემალათი, ჩიტაური, ოქვათი, შუაკვეი* (დევსქელის /უბნები, ბორჩხა); *ჯღელიფეთი, ქოსქაია, მურკივეთი, ხება* (მარადიდის სოფლები, ბორჩხა); *მურკივეთი, ცოცხობა, ბოსელთა* (სოფელ მურკივეთის უბნები, ბორჩხა); *კონტაკვეი, ნაქერავი, შალიკიშვილების მაჰალე, ზეით მაჰალე, ქეით მაჰალე* (სოფელ თხილაზორის უბნები, ბორჩხა); *კაკლოვანი, მერლოვანი, ეწერი//იმჯრი, კაირანკილტე* (ტოპონიმები სოფელ თხილაზორში, ბორჩხა); *ვასაკე, დოლაბიძე, გუგუცური, ჯუანკე, თრიმლები, დიდმაჰალე* (სოფელი ქართლა, ბორჩხა); *ჭილვანი, ზელიეთი* (სოფელ ავანის უბნები); *ზეგანი, ზომოდ მაჰალე* (სოფელ ორჯის უბნები, ბორჩხა); *სამარცხო, დაყრილი* (სოფელი ადაგული//ახალდაბა, ბორჩხა); *ჭინკასკვეი* გადმოცემით, ძველად მურღულს ჰრქმევია *ჭინკასკვეი, ბაგაი, ჯამეკარი, გურბენი* (სოფელ გურბენის უბნები, მურღულის ხეობა); *ღოღობეთი, გზაკეთილი, შველაური, ქილისეთეფე* (სოფელი ბაგა, მურღულის ხეობა); *საკვარეთი* ადგილის სახელია (მურღულის ხეობა); *ზემო ქურა, ქურა, ჭილაური* (რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ ცალკე ადმინისტრაციული

ერთეული იყო) (სოფელ ბაგას უბნები, მურღულის ხეობა); *ჩხალეთი, გოგლიეთი, ქოროსეთი, ზემო ქოროსეთი, ლომიკეთი* ცალკე სოფლები იყო, დღეს კი სოფელ ბაშქოის უბნებია (მურღულის ხეობა); *კაკლოვანი, ადუჩა, მადენი, აგარა* (სოფელ ისკების უბნები, მურღულის ხეობა); *წიქარეთი, საკმელეთი, ბახვილეთი, ჯიმშერეთი, ქვადიდი* (სოფელ ჯანსულის უბნები, მურღულის ხეობა); *ზემბადეთი, ხოსროლოღლი, ღობერკეთი, ქომო უბანი* (სოფელ ბუჯურის უბნები, მურღულის ხეობა); *ჭადუკეთი, ქეთქეთი//თეთქეთი, შუაგულე, ჭელო, გაღმა მეჰელე, ქომო მეჰელე* (სოფელ დურჩას უბნები, მურღულის ხეობა); *გამორჯიკა, შუამაჰალე, ჩამაჭეთი, კალავატი, აბანო* (სოფელ ტრაპენის უბნები, მურღულის ხეობა); *ვაშლოვანი, შუღლიეთი, კანწალიეთი, ფაში მაჰალე, კაკვენოღლი მაჰალე, თიოღლი მაჰალე* (ამ უბანში ჭანები ცხოვრობენ (სოფელი არჭვა, მურღულის ხეობა)...

„ნიგალის ხეობაში, კონკრეტულად სოფლებში: სეტსა და იბრიქლში/ებრიკაში შემორჩენილია როგორც მატერიალური კულტურის ძეგლები, ისე სოფლის უბნების დღევანდელი ქართული სახელწოდებანი: *პეტრული, მამაწმინდა, ნიგია, ნიგალა, ელიაწმინდა, სოტი, ლომაშენი* და სხვა ქართული სახელები: *ალვანა, ლელვიყანა, ქედიბირი, ახალშენი, ნაცარაბოლო, წითელმიწა, კოკოლაქვა, ფონიყანა, ფარფაშა ყანა* და ა. შ.“ (ბერიძე, 2009:78).

მდინარეების (ღელეების) სახელებად გვაქვს: *სამთაწყარო, ნაფარაჭევი, ჭევაღელე, ვაჭთივღელე, ჭმელი ღელეები* (სოფელი ადაგული//ახალდაბა, ბორჩხა); *ქლასქურის წყალი, წიქვავი ღელე* (ქლასქურის ხეობა, ბორჩხა); *ბაგინის ღელე, დიდღელე, ვარაჯიბული, დარგულა, ყურდიდი, სამზორე* (სოფელი ბაგინი, ბორჩხა); *ჩიტაპური ღელე, უკანმერე, საჭვეწელი, ჯუხუმერე, ჩიბოღელე* (დევსქელის ხეობა, ბორჩხა); *ჭომათჭევ ღელე* (სოფელი ტრაპენი, მურღულის ხეობა), *გონთჭევის ღელე, ნაქერავის ღელე, ციდვაკეს ღელე, ქოქირდიღელე* (სოფელი ბაგა, მურღულის ხეობა); *კარანჩხიეთ*

*ღელე//კალანჩხიეთ ღელე, ლომიკი ღელე, არია ღელე, ნაგომავი ღელე* (სოფელი ქვამჭირეთი, მურღულის ხეობა); *ნაბრინჯევი* (სოფელი ლომიკეთი, მურღულის ხეობა); *ღალიმკარი* (ჩხალეთი, მურღულის ხეობა); *ბაშქოი ღელე* (სოფელი ბაშქოი, მურღულის ხეობა); *ჩამოყარო ღელე* (სოფელი გოგლიეთი, მურღულის ხეობა); *კაბარჯეთის ღელე* (სოფელი კაბარჯეთი, მურღულის ხეობა), *ისკების წყალი* (სოფელი ისკები, მურღულის ხეობა), *კორიდეთის ღელე* (სოფელი კორიდეთი, მურღულის ხეობა)...

ტყეების სახელები: *ვანითავი, ჯორატყე, ზეგანთი, სამზორე* (სოფელი ბაგინი, ბორჩხა), *ახარშენი, ბარდნალი* (სოფელი ბაგა, მურღულის ხეობა), *წუმპო, დიდი ტყე* (დევსქელის ხეობა, ბორჩხა), *კოდელა* (სოფელი ადაგული//ახალდაბა, ბორჩხა); *ფოტოჯირი* (მურღულის ხეობა), *ტბეთი* (სოფელი კორიდეთი, მურღულის ხეობა)...

მთების, ქედების, ზეგნების სახელები: *ტალახლო ქედი, ბოგილი, ახალშენი, პირდაპირი* (ქედების სახელები ბაგინში, ბორჩხა); *ფიქალის მთა, თენარა, პატინა მთა, დიდი მთა* (მთების სახელები დევსქელის ხეობაში, ბორჩხა); *ლექსა, უღელტეხილა, ტევრი, ბურდნალი, ტრეალი, საჭალიმეთი, თეთრუბი, კერწენი, კურტუმელა* (სოფელი ქართლა, ბორჩხა); *თხილაზორის თა* (სოფელი თხილაზორი, ბორჩხა); *ყორნალი, ნაჭვავი, გუზე* (სოფელი ავანა, ბორჩხა); *ბუდიეთი* (მურღულის ხეობა); *გულიყანა* (მურღულიდან ქობაქში გადასასვლელი მთის სახელი); *კარანჩხიეთის მთა;* კარანჩხიეთის მთის გვერდით არის *ნაბეღლავის მთა*, ნაბეღლავის მთის ქვემოთ არის *ჯიდილ ქვაბი* (სოფელი ქვამჭირეთი, მურღულის ხეობა); *ფარეკი* (მურღულის ხეობა), *ჯარშოვანი//ჯაშროვანი, მოჭვენა, ნაკირავლები, თეთრობი, ნაყვია თა* (მთა), *მაღლა ზეგანი, დაბლა ზეგანი* (სოფელი დურჩა, მურღულის ხეობა); *ჭინჭორა ქედი, კუნძავლი ქედი, საბადური ქედი* (ქედების სახელები, სოფელი პეტრული, სოფელი ნიგია, მურღულის ხეობა)...

*სავარცხალა, კილდიზირი* - კლდეების სახელია (სოფელი ქართლა, ბორჩხა).

ყანების (ჭალების, სათიბების, საძოვრების) სახელები: *მაღრიყანა, ზეგანი, ბოსელთი, ცკემნარა* (სოფელი ბაგინი, ბორჩხა); *ჯარათი, ქურდიეთი* (ქლასქურის ხეობა, ბორჩხა); *გორგიწმინდა, წუმპო, ნასელვარი, მოდული, საწურათკევი, ჭენჭიკალო, ნატირიფევი, კილდიანი, ცხილვანი, ქოცანაკეთი, ჰიტაური, საცირავი, ცხადაური, ქველა, ნამუკვარი, თავკალი, ბითავკალო, გზელყანა* (სოფელი ქართლა, ბორჩხა); *თოკინეთი* (საძოვრის სახელია - სოფელი ქართლა, ბორჩხა); *ნამყნარა, ნაბოკვარი, ნალიკარი//ნარეკალი, ციდვაკე, აგარა, ჭეცვიკალი, ველიწვერი* (სოფელი თხილაზორი, ბორჩხა), *სამხოსლო* (საძოვრის სახელია - სოფელი თხილაზორი, ქართლა); *ბელეშავრი, კალობალი, ვადიყანა, მიღმაყანა, ჭალა, ჭელი* (სოფელი დამფალი, ბორჩხა); *ღნია, ტანაჯრო, ნადიკვარა, ლალიყანა, ცაცხვიძირი, კონტრობი, ლეგთა, კასრათი, კაკლები, ჭაბუკთი, ნაბუკვარი, ნაკალოვები, სასილაძირები, სასულუძმე, ნაკირები, ბუმბულიწვერი, ნაჭოები, ყურწყალი, ჭანურაძირი, წითურიძვალი, ზედვაკე, ნასკეთი, თჯილვანა, საბულთე, ნასერსვალი, სინდვრი, კარზევენახი, ქურთნარა სადგომარი, დიდნაკვერავი* (სოფელი ადგული//ახალდაბა, ბორჩხა); *კალოყანა, ფაჩვიეთი, ანიეტი, კარტნალი, საყავრიეთი, სხოლოფუნა, გულიყანა, კუზიეთი, წითელმიწა, ქარაფიზირი, წყალჩხური...* (სოფელი გურბენი, მურღულის ხეობა); *ნალიკარი, ნასახლევი, ზენეფეთი* (სოფელი ბაგა, მურღულის ხეობა), *ბუღნალი, წყაროთი, არტანი, ზედვაკე, ალაზნიკარი, ბარნოვალი, საკანაფე, საყავრიეთი, მესაბუდარა, ახარშენი, კატროვანი* (სოფელი ბაგა, მურღულის ხეობა); *ეგრისო//ეგრისუ* - საძოვრის სახელია (სოფელი ბაგა, სოფელი დურჩა, მურღულის ხეობა); *სატურეთი, არია* (სოფელი ქვამჭირეთი, მურღულის ხეობა); *ქოქლითი* (საძოვრის სახელია სოფელი ბაშქოი, მურღულის ხეობა); *გორიკვი, გორა, ახალმეიდანი, თიკალთა, კურტუმელა* (საძოვრების

სახელები - სოფელი ისკები, მურღულის ხეობა); *ჩჯამარეთი, ჯაჩიკეთი, თეჯჩიეთი, აშამეთი, სოჭებიძირი, დამჯალყანა, საძირე ყანა, მიღმა ყანა, ვაკეყანა, მიქელავი, ნაფეტვარი, დანანიყური//დანალიყური, ჯამყური, ოჯორჯიეთი, ყურმელაძირი, ჭანდრებიძირი, წისქვილიყანა, ბარცკუნა, გულიყანა, შოვალი, აბანო, კოდლიყანა, ბარდნალი, წუბლივაკე, წიფლიზირი, აბალმეიდანი, დიდჩაირი* (resp.: დიდი ჭალა) (სოფელი დურჩა, მურღულის ხეობა); *ბულალეთი, ჭუბუნა* (სოფელი კორიდეთი, მურღულის ხეობა), *ზიარეთი* (საძოვრის სახელია - სოფელი ბუჯური, მურღულის ხეობა); *შალამეთი, ფიჭნარი, ქვაშედებულ, ზედვაკე, ჯანევლა, ვაშლიყანა, ბაბუშკარი, შავრუფი* (სოფელი ტრაპენი, მურღულის ხეობა); *ნაფუზარი, დიბე კიბაბური* (სოფელი პეტრული, მურღულის ხეობა); *ჭიჭო, ჯამი, ზომოჯამი, სერი, ჭალიმნარი, ზომოთხილები* (სოფელი კასიმეთი, მურღულის ხეობა)...

ძირითად ლექსიკურ ფონდში შემავალი ერთეულები აღნიშნავენ ადამიანთა ცხოვრებისა და ურთიერთობისთვის მნიშვნელოვან საგნებსა და მოვლენებს, მათ თვისებას, რომლობას, მოქმედებას, ურომლისოდაც შეუძლებელია ადამიანთა ურთიერთობა. ამ ფონდში შედის ენის ყველა ძირეული სიტყვა, როგორც მისი ბირთვი. ეს ფონდი გამძლეა და ეთნიკურ ჯგუფის მთელი ისტორიის მანძილზე ცოცხლობს. „ქართული ენის ისტორია გვეუბნება, რომ წყალი, მიწა, მთა, ტყე, თევზი, კაცი, ქალი, სიარული, კეთება, ჭამა, სმა, ვაჭრობა უხსოვარი დროის წინ შექმნილა როგორც ქართული ენის ლექსიკის უცვლელი ბაზა და ცოცხლობს საუკუნეთა განმავლობაში. ეს სიტყვები აღბეჭდილია V-X სს. ქართულ ძეგლებში. მათი გაჩენის შემდეგ მრავალი საუკუნე გავიდა, ბევრმა წყალმა ჩაიარა, ქართველი ხალხის ცხოვრებაში დიდი ისტორიული ძვრები მოხდა, მაგრამ ეს სიტყვები, როგორც ენის ლექსიკის საფუძველი, დარჩა უცვლელი, დარჩა როგორც ენის ლექსიკის განვითარების ბაზა“ (ღლონტი, 1983:53).

გამძლეა ქართული სიტყვის ძირითადი ფონდი საუკუნეთა განმავლობაში ისტორიულ სამშობლოს მოწყვეტილი ხალხის ცნობიერებაში, ყოველდღიურ ურთიერთობაში, რასაც ადასტურებს კიდეც შემდეგი ლექსიკური ერთეულები: *ნენე, დედა, მამა, დედამთილი, მამამთილი, და, ძმა, ცოლი, ქმარი, მაზლი, რძალი, ბადიში, დობილი*... საცხოვრებელი და სხვა დანიშნულების ნაგებობათა აღმნიშვნელი სახელები: *სახლ-კარი, კარმიდამო, ჭერი, საბძელი, მარანი, ბეღელი*... შემონახულია ლექსემა წიქვილი და მასთან დაკავშირებული ლექსიკა: სარეკელი - წისქვილის ქვა, ჯიმირი - ჯიმირში ჩაყრი და დააფქვევიებ, ჩინჩაჯვი - *სიმინდის მარცვალი ჩავარდება*, ჭელსაქვავი - ქვა, ტრიალებს, ჩარჯი - *ჩარჯი გაწიწინდება* (დატრიალდება), *წყალიც გაწიწინდება; ქვილის ძერი ჭაროა.*

ფლორა: *კო* (მუხა), *ცაცხვი, წაბლი, თჴმელა, კაკალი, ლელვი, დათვიჴალა, ლობიო, ხაპი//აყირო, სიმინდი, ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ტყია წყავი* (ტყის წყავი), *მაყვალები* (მაყვალი), *ატამი, წიპუნტური//სიპუნტური* (ზღმარტლი), *თჴილი*...

ყურძნის ჯიშების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: *ჩხაველა* (სოფელი თხილაზორი, ბორჩხა), *ადესა ყურძენი, თეთრი ყურძენი, ჯინები*...

ვაშლის ჯიშების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: *ბათუმელა* (სოფელი ბაგინი, დევსქელის ხეობა, ბორჩხა), *ქვავაშლი* (სოფელი გურბენი, მურღულის ხეობა), წარმოების მიხედვით გაქართულებული: *დემირელა, შაქარაძ//შექერა* (ახალდაბა//ადაგული, დევსქელის ხეობა, ბორჩხა)...

მსხლის ჯიშების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები თავისი მრავალფეროვნებით განსაკუთრებით გამორჩეულია: *შაშჴანა სხალი, გუმუშჴანაძ, ბორბალა* (სოფელი ახალდაბა//ადაგული, ბორჩხა), *ხეჭეჭური//ხეჭეჭურა* (ქლასქურის ხეობა, დევსქელის ხეობა, ბორჩხა), *სხალთლო* (სხალთაფლა), *ქოთანა, სასელა, წოწოლა, ისტამბოლელა* (დევსქელის ხეობა, ბორჩხა); *გულაბი, ბანგარი* (სოფელი თხილაზორი, ბორჩხა); *პანტა სხალი, სხალოქრო, სხალსაკმელაძ, პეტრულაძ, კოხაძ*

(სოფელი გურბენი, მურღულის ხეობა), *ჭანურაჲ, ვენაჭისხალი* (სოფელი ბაგა, მურღულის ხეობა); *თეთრი ჭანურა, შავი ჭანურა, ურჯუმალა, ხეჭეჭურა, თეთრი ბანგაჲ* (სოფელი ისკები, მურღულის ხეობა)...

ტყემლის ჯიშების აღმნიშვნელი ლექსემები: *ძაღლის ტყემალი, ტყუბა, დოდოფალა, ჭიანჭურ*...

ქლიავის სახეობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული: *დოდოფალა ქლიავი, წყალქლიავი* (თეთრი ფერისაა)...

ბალახების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: *მოლა-ზარღვა* (მრავალძარღვა), *ქათამნაცარა, ჭინჭარი//სუსხი, ლი-ონჯა, სამყურამოლი, კატარამოლი, იმჭვრი, მოლოქვამოლი, ბერათოკვი, სურო, თუთუნამოლი, ბებერამოლი* (სოფელი ისკები, მურღულის ხეობა)...

სოკოს ჯიშების აღმნიშვნელი ლექსემები: *ჭიჭკნარა, თირკ-მელა, მარქვალა.*

ცხოველების, ფრინველების, მწერების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: *ცკენები, თკები გვყავდა, ძროკები, ბუღა, ვირი, ტურა, მელი, კურდღელი, ქათამი, კროკი* (კრუხი), *ჭუჭული, სავარცკალა* (ოფოფი), *მერცკალი//მერცკალა ჩიტი, გულწითელა, შაშვი, ჩხიკვი, ჩხართვი, სკვინჩკაჲ, ტრედი, ქედანი, ყორანი, ძერა, ქორი, ბულბული, გუგუყუში* (გუგული), *კოდალი, მამალი, რწყილი, ტილი, გზიკი ორ პირ, სამ პირ ჩაგასობს, ფუტკარი ერთ პირ ჩაგასობს; ლეკვი ძაღლის დას-მულია* (შვილია), *ხბო ფურის დასმულია, ბურვაკი დათვის დასმულია, თაჲ ცხენის დასმულია.*

ანატომიური ლექსიკა: *შუბლი, ცხვირი, თვალი, თვალის კაკალი, წარბი, წამწამი, ყური, ყურის ბიბილა, მუცელი, ჯიგერი, ჭაჭა* (თირკმელი), *წელი, თითი, ფჩხილი, დიდაყვი, გვერდები* (ბარძაყები), *ჭლიკები* (წვივები), *ქუსლი, კოჭები, კიბილი*...

საკვები პროდუქტების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთე-ულები: *თაფლი, რძე, კვერცხი, ყველი, ხაჭო, მაწონი, ფხალი, ღერღილი, ლობიო, ჭადი, პილპილაჲ*...

სამუშაო იარაღების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: *საკნეველი, საკნისი, ცული, თოხი: კორდის თოხი, სამარგელის თოხი...* საყოფაცხოვრებო ნივთების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: *გიდელი, გოდორი, დერგი, გობი, ციცკვი, საკვეწავი (კობზებ ვკვეწდით ამით, გავაკეთებდით), ნიჩაბი, ლაფერი - ქვილს იმით ამეილებ, მაშა (შიშასთვის, გამორევნისთვინ, ჯელ ვერ გამოურევ და მაშას ვიხმართ), ქვეშაგი//ლოგინი, ბალიში, ბალიშის წამოსაცმელი...*

ბუნების მოვლენების, ციური სხეულების აღმნიშვნელი და მათთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები: *ქარი, წვიმა, თოვლი, ქუხვილი, თვარე, ღურბელი* (ღრუბელი)...

ტრადიციის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: ***ახალი წელი*** (საინტერესოა ახალი წლის აღნიშვნასთან დაკავშირებული ტრადიციები: *აჯალ წელს კარიკარ დადიოდენ და თხილ მოაგროვებდენ. ახალ წელ კვერცხებ ვღებავდით ჯმელი ფურცლებისგან;* ***ნადი****: პური ჭრაში ნადი იქნებოდა, გოგობიჭები მეიყრებოდენ;* ცეკვა-თამაშის აღმნიშვნელი: ***ფერჯული****: ენ წინ ლამაზა ფერჯულობდა;* დაავადებათა სახელები: ***კოწიწა//კვაწიწა*** (ყივანახველა) - *კაკლის ფესვში გააძვრენდენ.*

ჩავიწერეთ მასალა, რომლის მიხედვითაც მცირედ, მაგრამ მაინც სხვაობს ერთი კუთხისა თუ სოფლის მეტყველება მეორე სოფლის მეტყველებისგან; მაგალითად, დევსქელში თუ იტყვიან გველს, მურღულში ბობოლს ამბობენ, რაც დევსქელში ხაპია, მას მურღულელები აყიროს ეძახიან, რაც დევსქელელებისთვის მიწიხაპია, ის მურღულში კარტოფაა (კარტოფილი), რასაც დევსქელში კალათს უწოდებენ, ის მურღულელებისთვის გოდორია.

საინტერესოა ისიც, რომ აქაურთა მეტყველებაში გაკრთა ისეთი ბარბარიზმები, როგორებიცაა *ვაფშე* და *პაჭკა*: *დედაჩემი ხმარობდა ვაფშეს, მამაჩემი ხმარობდა პაჭკას; ართვინში ერთი უბანია - ხაიფეთი, სომხები არიან, ჰემშინები არაა, ჩუმათ არიან. ისინი* (მათ) *ვაფშე არ იციან სომხური.*

საფიქრებელია, რომ ეს ბარბარიზმები რუსების მიერ ქართველებისთვის დატოვებული *„დიდი მემკვიდრეობის“* ნაწილია, რომელიც, ისევე როგორც ყველა სხვა მძიმე მემკვიდრეობის კვალი, ჟამთა გამძლეა.

მორფოლოგიური თავისებურებებიდან აღსანიშნავია:

ბორჩხისა და მურღულის სოფლები, ქლასქურის, ხებამარადიდის, დევსქელის, ჩხალას ხეობებში, სხვა ტერიტორიული ერთეულებისგან განსხვავებით იყენებენ *თუ* კავშირს, ოღონდ წინადადების ბოლოს, რომელსაც კითხვითი სიტყვის ფუნქცია ეკისრება: *ერთი გუკითხო* (ვკითხო), *მიდიან თუ?*

კითხვით წინადადებაში კითხვითობის ფუნქციას ასრულებს, კითხვას კითხვით სიტყვასთან ერთად გამოხატავს კითხვითი *-ა* ნაწილაკი: *რა დაწერვა გინდანა?*

მიცემითი ბრუნვის *-ს* ფორმანტის დაკარგვას აქ რეგულარული ხასიათი აქვს: *ჩემ შვილეფ უკერევდი; კვარ დავაპობდი*, თუმცა ერთსა და იმავე წინადადებაში მიცემითი ბრუნვის *-ს* ფორმანტიანი და ბრუნვის ნიშანდაკარგული ფორმები შეიძლება გვერდიგვერდ შეგვხვდეს: *დათესთვისთვინ გამოუღებთ კიტრებსა თესლებ.*

მეტყველებაში შემორჩენილია *-ა* სავრცობი: *დავძახევდი ძაფსა.*

*-ში* თანდებული დაცულია ძველი შიგან ფორმით: *სახლის შიგან პურსა, ფრინჯსა მოვაბზავებდით.*

თითოობის და- ზმნისწინი: *წინდებსა ბევრ დავქსოვდი.*

ლოკალურობის, სადაობის აღმნიშვნელი სახელი *-ში* თანდებულიანი სახელის ნაცვლად წარმოდგენილია ფუძის სახით: *მაჭახელ* (მაჭახელში) *აკეთებენ გობებს; ჩემი ბიჭი გოლჩუკ* (გოლჩუკში) *საქმობს.*

ქონა-ყოლას *-იან* სუფიქსი აწარმოებს: *თვალიანი ბეჭედი.*

ქართული ზმნის უძველესი ძირები აქაც შეუცვლელია, მაგრამ:

1. ზმნათა ორგანულ ფორმებს თურქული ენის გავლენით ენაცვლება აღწერითი ფორმები: *გოგო ნიშანში მყავს* (დანიშნულია);

2. გარდაუვალ ზმნათა ერგატიული კონსტრუქცია ჩვეულებრივი მოვლენაა აქ მკვიდრთა მეტყველებაში: *ერთი კვირემა გეიარა; ამანაც მივიდოდა*;

3. II და III სუბიექტური პირების მრავლობითობა ზმნის ფორმაში გამოხატულია *-ნ/-ენ* სუფიქსით: *რისი დაწერა გინდანა? ავადობა არ ქონდენ;*

4. დასტურდება ხოლმეობითის ფორმები შესაბამისი მაწარმოებლით: *ზდია, ზდია და მოკლიან* (ზრდიან, ზრდიან და ბოლოს კლავენ//მოკლავენ); *ამათმა უყურიან* (უყურებენ), *ვინმე არ მოჭრასო*;

5. ინტერესს იწვევს ზმნის II სერიის წყვეტილის ფორმაში დასტურებული *-ევ* სუფიქსი, რომელიც აქ ერთგვარად წყვეტილის მაწარმოებლად გვევლინება: *გუგდევით* (მიუგდეთ, მიეცით), *ითამაშევით* (ითამაშეთ), *ჭამევით* (ჭამეთ), *მევიყვანევით* (მოვიყვანეთ) წყლები;

6. III სერიის I თურმეობითის მწკრივში *უქნიათ* ფორმის ნაცვლად წარმოების მიხედვით საინტერესო *იქმილან* ფორმა შეუქმნიათ: *ასე იქმილან*;

7. *შე-* ზმნისწინს ენაცვლება *მო-* ზმნისწინი: *ვიარებოდი ღამეში, მომეშინა* (შემეშინდა);

8. საინტერესოა თემის ნიშანთა შენაცვლება: *-ებ* თემის ნიშანს ენაცვლება *-ობ* თემის ნიშანი: *ტყვილობს* (იტყუება)... ენაცვლება *-ავ* თემის ნიშანი: *ჩვენ მოვინდომავთ*, თემის ნიშნის შენაცვლებით მიღებულია შემდეგი ლექსიკური ერთეულები: *გეიქუხნავს* (იქუხებს), რომელიც საწყისად *ქუხვილს* გვიჩვენებს; *გეიელვავს* (გაიელვებს)... *-ავ* თემის ნიშანს ენაცვლება *-ევ* სუფიქსი: *ჩემ შვილეფ უკერევდი, დავძახევდი ძაფსა*... *-ობ* თემის ნიშანი იცვლება *-ავ* თემის ნიშნით: *ძვალებს არ ვიხმარავთ* (ვხმარობთ); *-ი* თემის ნიშანს *-ავ* სუფიქსი ენაცვლება:

*აყიროს გაჰრავ... ჩხუბობს* ზმნის საწყისი *ჩხუბვა* ფორმითაა წარმოდგენილი: *თქვენი ჩხუბვაც იმან გამოიღო;*

9. ფუძედრეკადი ზმნები *-ევ* თემის ნიშანს ირთავს: *მე ვაჩინევდი* (ვაჩენდი).

მიმღეობის წარმოება დღემდე სალიტერატურო ქართულისა და დიალექტებისათვის დამახასიათებელი ყალიბის მიხედვით ხდება: *საძულველი* ქალი;

ხშირია სხვათა სიტყვის *-ო* ნაწილაკის გამოყენება: *ფაშა ჩემი გულისა ამ დუნიაში შენ ბარო;*

ერგატიული კონსტრუქციის *იცის* ზმნასთან სუბიექტი სახელობით ბრუნვაში დგას: *ისინი არ იციან სომხური* (მათ არ იციან სომხური).

უარყოფით ნაცვალსახელს *არავინ* ქართველთა მეტყველებაში ენაცვლება განუსაზღვრელობითი *ვინმე* ნაცვალსახელი: *ვინმე არ მისმენენ* (არავინ მისმენს), ხოლო ნაცვალსახელს *არაფერი* ცვლის *რამე*: *რამე უჭმელი მიჴვალთ?* (არაფერი გიჭამიათ, ისე მიდიხართ?).

*შემდეგ* ზმნიზედის მნიშვნელობით იყენებენ *მას უკან*: *მას უკან ვწიკევდით შეშას.*

ამ არეალშიც, ისევე როგორც ქართველებით დასახლებულ ბევრ ადგილას თურქეთში, ჩვეულებრივია ზმნისა და მოდალური ნაწილაკის ან სახელისა და მოდალური ნაწილაკის შერწყმის შედეგად მიღებული ფორმები: *სამზე ავდგენა* (უნდა ავდგე), *ცქვარ დავკლანა* (უნდა დავკლა); *აბლა ემექლინა გახდეს* (პენსიონერი უნდა გახდეს), *სახლინა გააკეთოს* (სახლი უნდა გააკეთოს).

ლექსიკის თვალსაზრისით ბევრი ერთეული იპყრობს ყურადღებას. ყოველგვარი ნორმისა და სტანდარტისგან თავისუფალი ენა შეუზღუდავია სიტყვაწარმოების თვალსაზრისით ან კიდევ ბევრი ლექსიკური ერთეული სემანტიკურად სახეცვლილია:

რთული სიტყვების საინტერესო წარმოებაა პურ-ხორბალი ან პურ-მარცვალი; კარისლობი ზღურბლის აღმნიშვნელია;

ცუდებრალოდ (ტყუილუბრალოდ): *ცუდებრალოდ ღარჩები კტებიან.*

*-ობა* სუფიქსით არის ნაწარმოები ღარჭობა, რომელიც *ბავშვობის* აღმნიშვნელია: *ღარჭობაში წევდოდი კორიდეთ, ჩემ ნენეს სოფელში*, ბოსტნობა: *ბოსტნობა მაქვა* (ბოსტანი მაქვს).

საქოლავი ყავრის სახურავია, გოგორაას კი ნალიის დაფერდებულ ადგილს უწოდებდნენ, თაგვი რომ არ ასულიყო.

*სიმინდს რომ ვთესავთ, ლობიოს რომ ვთესავთ, ვენაჯს ვეტყვით, ვენაჯი დიდია, ბოსტანი პაწაა, შორს რომ სთესია, იმას ყანას ვეძახით.* ეს მაგალითი სხვა მხრივაც არის საინტერესო, რადგან **რომ** კავშირის გამოყენების შემთხვევას გვიჩვენებს, რასაც სხვაგან ვერ ან ძალზე იშვიათად ვადასტურებთ. სადაც თხილი და თუთუნი აქვთ დათესილი, იმ ადგილსაც *ვენახს* უწოდებენ: *თხილის ვენახი მაქვს.* მარანი თივის, ჩალის შესანახი ადგილი იყო, ხოლო ბეღელი კი საკვებისა: *სახლი თუ დეიწვოდა, ბეღელი არ დეიწვოდა, ცალკე იყო.*

გული ფქვილი დაფქული სიმინდის გაცრილი, წმინდა ფქვილია: *ღერღილ გამოვცრიდი, ღერღილი ცოტა სხვილია, გული ფქვილი კაი ფქვილია.*

კორკოტანი სიმინდის ტაროა; დედაბერი კიტრი სათესლე კიტრია; წენწი ლობიოს ნაქუჩალია, მუჯუჯი კი სოკოს ანათალია; მიწყნარება მოსავლის დაბინავებაა: *ჩვენ ლობიო, სიმინდი მივაწყნარევით.*

ერცხაჯერ ნიშნავს ოდესმე: *ერცხაჯერ ისინი დააჩუმოს უნა* (ოდესმე, ისინი უნდა გააჩუმოს).

ორსულ ქალს მუცლიანს უწოდებენ, ხოლო ბებიაქალს, რომელიც მშობიარეს ეხმარებოდა, ბებერას უწოდებდნენ; მაწაკი ხალია; მალიანი ძლიერს ნიშნავს; გატლიკული უწვერულვაშო ადამიანია: *გატლიკული ვიყავი*, ხარების ჭედვა ხარების ბრძოლაა.

კაკვენა გზა მიხვეულ-მოხვეული გზაა.

ჭალიმი მიწა წითელი მიწაა, უქნელი მიწა კი ჭამი (გამოუყენებელი) მიწაა.

ფრაზეოლოგიზმებია: თვალები დემიღამდა (თვალები დამიბნელდა), კვამლი ადგა, ტყე გახშირდა (გაუდაბურდა, გაუკაცრიელდა); სული მევისვენე (სული მოვითქვი); ქვას (ფ)ქვავს (არაფერი აქვს, არაფერი გააჩნია); ბევრ რაღაცაზე მაკეა (ბევრ რამეს გააკეთებს). აქვე უნდა მოვიყვანოთ თურქეთში მცხოვრებ ქართველთა შორის გავრცელებული რუსი ჩხიკავს (რუსი ცეცხლს ანთებს, შუღლს აღვივებს,), რომელიც დღეს უკვე ფრთიანი გამოთქმა და ფრაზეოლოგიზმია.

დალოცვის ფორმულები: ღმერთმა გიჩუქოს! (ღმერთმა გაგიზარდოს! ღმერთმა გიცოცხლოს!); ღმერთმა კარგობით განყოფლონ! ღმერთმა ერთჴელა გაგახარონ, ერთჴელა განყოფლონ! (ღმერთმა ერთად გაგახაროთ, ღმერთმა ერთად გამყოფოთ!); ღმერთმა კარგაი მოგასწროს იილბაშიო! (ახალი წელი); თელი ერთჴელა მოქვცეს! (ყველაფერი ერთად მოგვცეს!).

წყევლის ფორმულები: ღმერთმა გამოგიწყვიდოს! ღმერთმა დუშვას თავში (ღმერთმა სადარდებელი გაუჩინოს, ღმერთმა დიდი დარდი გაუჩინოს!).

მიმართვის ფორმებია - გო (ქალის) და ჭო (კაცის).

ეთნიკური ქართველები ცდილობენ მათ მეტყველებაში შემოჭრილი თურქული ლექსიკური ერთეულები გააქართულონ მშობლიური ენის მოდელების ამუშავებით და, შესაბამისად, სათანადო აფიქსების დართვით: გა-ყირმიზ-ებ-ულ-ა - *გაწითლებულა.*

დღემდე შემოუნახავთ ერთსტროფიანი ლექსები, რომელსაც მოყრილობაში (ერთად შეკრების ჟამს) ამბობდნენ: *რწყილი ჭარ ამუშავებ, /ტილი მიდევდა კვალშიო, /ამ მოყრილობაში / საყვარელია თელშიო; /მუსლიმნობა იჩხუტესა, /არც ლოცვა არი, არც დუა, /ვირ მუცელი ეტკინა, /არც იცოკნა, არც ძოვა.*

გათვალვისას, თვალის ცემისას სცოდნიათ შემდეგი შელოცვა, რომელიც არასრული სახით ჩავიწერეთ:

*ალელისა, მალელისა,*
*თვალი გეცა ქალებისა,*
*გარეჯულისაც, შინაჯულისაც,*
*წითელისაც, ყვითელისაც,*
*თეთრისა თუ შავისა...*

ჩაწერილი ტექსტების ნიმუშები:

ჩავიწერეთ ტრადიცია, რომელიც დედოფლის//პატარძლის ქმრის სახლში მიყვანისას სრულდებოდა. ტექსტი მოგვყავს უცვლელად: *დედოფალი მოვა ცხენიდან სახლში. დედამთილს თაფლი უჭირავს ხელში, ხელში მისცემს თაფლს. დედამთილი ხელში მისცემს ნახშირს, დედოფალი ნახშირით ჯვარს აკეთებს კარის თავზე; ჩიქას ტეხს, დედოფალი ტეხავს. დედამთილი (დედოფალს) ჭერზე ცომ გამოასვევიებს* (ჭერზე ცომს წაასმევინებს).

აგერთვე ჩავიწერეთ ტრადიცია, რომელიც ახალი წლის დადგომისას სრულდებოდა: *აჯალწელიწადზე* (13 იანვარს) *სახლში, აჯორში წყალ შამოვაკმევდით, სახლის კაცი მოვდოდა, მააქცევდა წყალსა, ცჯვარ მოვარუნიავდით სახლ, აჯორ* (სახლის, ახორის ირგვლივ). *მურ წეისვემდენ, თვალებზე ქალ წინდა ჩეიცვემდენ, ერთი ტყვილი ქალი აჯლავან, ქურთების ქალია ის. იილბაშში მეიყრებოდენ კაცები, მეიარდენ სოფელში მეზობლები, სახლებიდან სახლებში. აჯალ წელს კარიკარ დადიოდენ და თხილ მოაგროვებდენ. თუ რამე არ მიცემდი, მიგიბრაჯუნებდენ კარებზე. გურიელა გამოდი კარში, - ისე მღეროზდენ. აჯლა არ ეჯსოვნებიენ გურიელა. ღმერთმა კარგაჲ მოგასწროს იილბაშიო, - იტყოდენ.*

*ნადის აკეთებენ, სიმინდის ნადის მურღულში. მღეროზენ, ერთი ბიჭი, ერთი გოგო, ორმოცი წელიწადი ადრე* (ორმოცი

წლის წინ). *ცეკვობდენ, კიდე აკეთებენ* (ახლაც აკეთებენ). *გარმონი დაიწყოს, დედაჩემი კიდო ცეკვობს, სისხლში გაქვს.*

*ძეს ჩავასხავთ ქვაბში, დავდებთ სობაზე* (resp.: ღუმელზე), *გათბება, შრატი ჩავასხავთ, მეიყრება შუაში ლამაზად, მრგვალი ყველი იქნება, მარილსაც შავაყრით. ორ წელიწად შეინახე, რამე არ იქნება (არაფერი არ დაემართება). ამ მარილწყალ რავა გავაკეთავ იცი? არც სული* (სუნი) *ექნება ყველსა. ეს წუთხე არ არი, რამე არ დეიჭირავს (თუ მარილწყალს არ გააკეთებ, არ შეინახება).*

*ჩემი ერთ თანე* (resp.: ცალი) *და ზემო სოფელში გათხოვილი იყო. ჩემზე ათი და ერთი წელიწადით დიდი იყო. ჩემი დის მამამთილი მოვიდა, იმან მოვიდა. ორ წელიწად ნიშანლი ვიყავი, ჰიჩ არ დემინახია, მემრე დუგუნი ვქენით. ორ თანე დადე მოვიდენ. დილაზე დუგუნის ხალხი მოვიდენ, საჭმელი მივართვით. ჰადმე არ გამოჩნდებოდა სიძე მაშინ.* რაცა კი დედოფლობაში წიმისვეს (ფერუმარილი - ი. ღ.), იმის მერე არ წიმისვია. კირსავით გაათეთრებდა.

სტამბოლში დღეს ბევრი ბორჩხელი ცხოვრობს. მუსტაფა იელკენჯიმ (Mustafa Yelkenci, ქართული გვარი - დიასამიძე), რომელიც ბორჩხის სოფელ ხებადანაა და დღეს სტამბოლში ცხოვრობს, აღნიშნა, რომ ბორჩხის ასოციაცია ჩამოაყალიბა, რათა ართვინელები, *ართვინის ხალხი* არ დაფანტულიყო და ადგილი იყიდეს ბაჰჩევლერში (სტამბოლში). ბარათაშვილებიც და ბევრი სხვა აქ მცხოვრები, სხვადასხვა გვარის წარმომადგენლები ხებადან, ბორჩხადან არიან. სეზენ გონენჯ ოქჯანი, რომელიც დღეს სტამბოლში ცხოვრობს და წარმატებული იურისტია, ამბობს, რომ თავისი წინაპრები ბორჩხადან, სოფელ ტრაპენიდან წამოსულან. მთელი სოფელი წამოსულა და უკან აღარ დაბრუნებულან. თავდაპირველად ცენტრალურ ადგილებში გაჩერებულან, შემდეგ კი მაღლა ასულან და იზმითში, გოლჩუკის რაიონის სოფელ ჰამიდიეში დასახლებულან. დღეს სოფელში 50-მდე ოჯახია.

მურლულიდან წასული ქართველებით 3 სოფელია ბურსაში დასახლებული: ალაჩამი, ბაიდინი და ორჰანიე. ოსმანიესა და სეიდაბადში ხატილადან წასული ქართველები ცხოვრობენ. საინტერესოა ის გარემოება, რომ ხატილადან ბურსაში წასულმა ქართველებმა იციან ეთნიკური ენა, ხოლო ადგილზე დარჩენილებმა არა, ისევე როგორც სოფელ ნაჯვიადან სინოპში წასულმა ქართველებმა იციან ენა, ხოლო ართვინის ნაჯვიელებმა არ იციან.

ეთნიკური ენის მდგომარეობა, მისი შენარჩუნება, ისტორიულ სამშობლოს მოწყვეტილი ხალხის შემთხვევაში, ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად დიდწილად არის დამოკიდებული თვით ამ ხალხზე, ეთნიკურ ჯგუფზე. იქ მცხოვრები ქართველების აზრით, ენა არ არის პრობლემა, მომავალში ეს ვითარება გამოსწორდება, პრობლემა *გარეკლობა* (შერეული ქორწინება) იქნება.

ვფიქრობთ, გურჯიჯას//ქართულას შენარჩუნებაშიც გადამწყვეტი თურქეთის ეთნიკურ ქართველთა დამოკიდებულება იქნება, რომელთაც არასდროს ავიწყდებათ, რომ ერთი ვართ, თქვენ იქ დარჩენილხართ, ჩვენ აქ; შენი გურჯიჯა არ უნდა გამოწვინდო (მოშალო).

# ენობრივი ვითარება თურქეთის რესპუბლიკის შავი ზღვის სანაპიროს რეგიონების ქართულ მოსახლეობაში (გირესუნის, ორდუს, სამსუნის, სინოპის, კასთამონუს პროვინციები)

თურქეთის რესპუბლიკის შავი ზღვის სანაპიროს ქართველებით დასახლებული რეგიონები, ისევე როგორც ეთნიკური ქართველებით დასახლებული სხვა რეგიონები, მრავალმხრივ გამორჩეულია. თურქეთში მცხოვრები ქართველების შესახებ დაწერილი უამრავი გამოკვლევის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ეს რეგიონები, ფაქტობრივად, ყოველმხრივ შეუსწავლელია, თუ არ გავითვალისწინებთ აქ ჩაწერილი ტექსტების მცირე რაოდენობას, რაც დღემდე განუზომელი მნიშვნელობის მატარებელია. მე-20 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში თურქეთ-საქართველოს საზღვრის გახსნის შემდეგ ეს ტექსტები იქაურ ქართველთა მეტყველების პირველი ფიქსაცია იყო.

თურქეთის რესპუბლიკის შავი ზღვის სანაპიროს ქართველებით დასახლებული რეგიონები - გირესუნის პროვინცია, ორდუს პროვინცია, სამსუნის პროვინცია, სინოპის პროვინცია, კასთამონუს პროვინცია 2014 წლის ზაფხულში (12 აგვისტოდან 5 სექტემბრის ჩათვლით) პირველად გახდა ქართველ მეცნიერთა კომპლექსური კვლევის საგანი. სამხრეთ შავიზღვისპირეთში გვხვდება ბათუმიდან (იგულისხმება *ბათუმის ოკრუგი*), ქობულეთიდან, მაჭახლიდან, იმერჯევიდან, კლარჯეთიდან... წამოსული ქართველები. ეთნიკური ქართველები აქ მუჰაჯირობის დროს, 1879-1882 წლებში არიან წამოსული, როგორც თვითონ ამბობენ, *დედე ასი და ოცდაათი წელია მოსულა; დოქსან უჩის მუჰაჯირები* არიან.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველთა უმეტესობა სამხრეთ შავიზღვის-

პირეთში - სინოპში, სამსუნსა და ორდუში ცხოვრობს, რაც ერთგვარად მოულოდნელიც კი აღმოჩნდა ჩვენთვის.

სამხრეთ შავიზღვისპირეთის რეგიონის, კერძოდ, სინოპის მკვიდრმა, ტუფან ლომინაძემ, რომელიც ამ ექსპედიციის წევრთა ერთ-ერთი მეგზური, გზამკვლევი და თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ისტორიისა და ცხოვრების თითქმის ყველა დეტალის მცოდნეა, შემოგვთავაზა, ისინი (ამ რეგიონების ქართველები) ანატოლიელ ქართველებად მოგვეხსენიებინა.

სირთულის წინაშე აღმოვჩნდით სამხრეთ შავიზღვისპირეთის რეგიონების ქართველებით დასახლებული სოფლების აღწერა-აღნუსხვისას. ეს რეგიონები საგანგებოდ არავის უკვლევია და, შესაბამისად, არც რუკა მოგვეპოვება, სადაც ქართველთა განსახლების არეალი იქნებოდა ასახული. აქედან გამომდინარე, ჩვენ აქ იმ რაიონებისა და სოფლების სახელებს მივუთითებთ, რომლის ჩაწერაც ამჯერად შევძელით და რომელთა დაზუსტება შემდგომი მუშაობის შედეგად იქნება შესაძლებელი. ამჯერად კი მხოლოდ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ სამხრეთ შავიზღვისპირეთში ქართველებით დასახლებული 200-მდე სოფელია.

დიდ ინტერესს იწვევდა ყოველთვის ერთი ეთნოსის მიერ მეორის დახასიათება, ერთი ხალხის მიერ მეორე ხალხის, ქვეყნის შიგნით ერთი ეთნოგრაფიული მხარის წარმომადგენელთა მიერ მეორე ეთნოგრაფიული მხარის წარმომადგენელთა დახასიათება; იშვიათი და უჩვეულოა ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში გადახვეწილ და დღეს უკვე თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრებ ქართველთა შეფასებები და მათ მიერ გაკეთებული დასკვნები; ეს ეხება დღეს თურქეთის საზღვრებში მოქცეული ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებსაც.

შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ქართველები მიიჩნევენ, რომ მათი კულტურა უფრო მაღალია, ვიდრე სხვა რეგიონებში დასახლებული ქართველებისა, რასაც ასე გადმოსცემენ: *შავი*

*ზღვის სანაპიროზე კაცი იმამი იყოს, მაინც ჰალსტუხს და კოსტუმს ჩაიცვამს.* სამხრეთ შავიზღვისპირეთის სოფლებში *ქალაქური წესით* ცხოვრობენ. ისინი ახასიათებენ თურქეთის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ქართველებს და მათი ცხოვრების წესს ორიოდე სიტყვით ასე გადმოსცემენ: *ბორჩხის ქართველები უფრო მოჩხუბარ ხალხად მიიჩნევა, იმერ-ჴეველები სიტყვით დადიან, ანუ მშვიდი ხალხია, თუ სიტყვა არ გაუვიდათ, მაშინ იჩხუბებენ. იმერჴეველები ამავე დროს უფრო განათლებით არიან ცნობილი, ხოლო ბორჩხისა და მაჭახელას ქართველები ვაჭრობაში არიან გაწაფული; სინოპში აჭარიდან წასულებს, აჭარლებს ჩვენებურების დათვებს ან ქართველების დათვებს უწოდებენ.* სამხრეთ შავი-ზღვისპირეთის ქართველები ასევე ამბობენ, რომ არტაანსა და თორთუმში ვინც ამბობს, რომ *ჲერლია* Yerli (resp.: ადგილობრივი), ის ქართველია. *ჲერლები* არიან თორთუმში, ყარსში, იშხანში, ფოცხოვში, ნარმანში (ერზრუმში), ოლურში. ფოცხოვის ხალხი, მათი აზრით, შავშეთის ხალხს ჰგავს, იმათი კილოკავიც შავშეთის მცხოვრებთა კილოკავს ჰგავს. თორთუმში ორი საუკუნის წინ საუბრობდნენ თურმე ქართულად. აქ მოხუცებს ახსოვთ, რომ *ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ, ჩვენ გურჯები ვართო.* ხახულის მოსახლეობაც სულ ქართულია, იქ თურქი არავის არის ეთნიკურად. ისინი ამბობენ, რომ *ჲერლები* არიან და შეხედულებითაც ჰგვანან ქართველებს. იუსუფელის ქართველობის უდიდესი ნაწილიც გათურქდა და დღეს მათი ოდინდელი ქართული წარმომავ-ლობის მოწმე მხოლოდ მეტყველებაში შემორჩენილი რამ-დენიმე სიტყვაა (ყანა, ხინკელი...). მათ ასევე კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ სადაც ეკლესია-მონასტერი ბევრი იყო (ანუ ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე), იქ გათურ-ქების პოლიტიკა თავისი სავალალო შედეგებით ეთნიკური ქართველებისთვის უფრო ინტენსიური იყო.

დაკვირვების, გამოცდილებისა და შედარების შედეგად ისინი ამბობენ, რომ *ერმენლები* (resp.: სომხები) უქონელი და

მშიშარა ხალხი იყო. მათი აზრით, თურქებიც მოშიშარი (მშიშარა) ხალხია: *თურქებიც მოშიშარი კაცები არიან. იმფერი მოშიშარი რავაჲ უნდა იყო?* სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქართველები ამბობენ, რომ ქართველები და სომხები ერთმანეთზე არ ქორწინდებოდნენ.

სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქართველები მიიჩნევენ, რომ უნიეში ყველაზე მორწმუნეები არიან, ფაცას მორწმუნეობა გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, რადგან აზარტულები არიან. სინოპი, ამ მხრივ, ყველაზე თავისუფალია. აქვე აღნიშნეს, რომ ქართველი, რომელიც კომუნისტი, ანუ სოციალისტი არ არის, მაღალი კულტურისაა, ხოლო, რომელიც კომუნისტობს, მას კულტურა არა აქვს (მაღალი კულტურით არ გამოირჩევა). დიდხანს ვფიქრობდით ეს შეხედულება, რომელიც წლებისა და ხანგრძლივი დაკვირვების შედეგადაა გაკეთებული, აქ მოგვეყვანა თუ არა, მით უფრო, რომ ჩვენს საკვლევ ობიექტს პირდაპირ არ უკავშირდებოდა; რადგან დიდწილად ეს კვლევა თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ისტორიის დაფიქსირებაცაა დროის კონკრეტულ მონაკვეთში, ბოლოს მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ დამოწმება.

უფროსი თაობიდან ყველამ იცის ქართული, საშუალო თაობამაც იცის, ახალგაზრდები ძირითადად ქალაქში არიან და ენის მოსაბრუნებლად საკმარისი ქართული იციან, ხოლო *ბალღებმა პაწა იციან.* ზოგიერთ სოფელში ქალები უფრო კარგად საუბრობენ ქართულად, ვიდრე კაცები. სახლში საქმიანობით შემოფარგლული ქალები, ბუნებრივია, ეთნიკურ ენას გაცილებით უკეთ ინახავენ, ვიდრე სახლის გარეთ დასაქმებული კაცები.

ეს არის ზოგადი სურათი, რომელიც შეიძლება ენობრივი ვითარების შესწავლის შედეგად წარმოვადგინოთ; თუმცა როდესაც ვამბობთ, ახალგაზრდა თაობამ ენის მოსაბრუნებლად საკმარისი ქართული იცისო, ცხადია, აქ უკლებლივ ყველა მათგანს არ ვგულისხმობთ. ჩვენ კვლევის შედეგად ჯერ-ჯერობით მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ენის მცოდნე

ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა რიცხვი სახარბიელო არ არის სოფლებიდან ქალაქებში საცხოვრებლად გადაბარგების გამო. მათი რაოდენობრივი წილი ძალიან მცირეა. ცხოვრების ურბანული წესი ყველგან ამცირებს ეთნიკურ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვს, მაგრამ გვაქვს საპირისპირო ვითარებაც, როდესაც ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის წევრები აცნობიერებენ ეთნიკური ენის მნიშვნელობას და სწავლობენ მას.

ამის დამადასტურებლად შეიძლება გავიხსენოთ შეხვედრა სტამბოლის ქართული კულტურის ცენტრში (ხელმძღვანელი ფეჰმი უსტიაშვილი-უზალი) 2014 წლის 27 აგვისტოს, სადაც ისტორიული საქართველოს ძირძველი კუთხეებიდან გადმოსახლებულმა უფროსი და საშუალო თაობის ქართველებმა გვითხრეს, რომ სკოლაში წასვლის დროს არცერთმა მათგანმა თურქული არ იცოდა, მასწავლებლები მკაცრად აფრთხილებდნენ, რომ სახლშიც არ ელაპარაკათ ეთნიკურ ენაზე. ქართულად საუბრისას ქართველებს თხილის ჯოხით წკეპლავდნენ მასწავლებლები: *მეშინია ჯოხი არ ვჭამო* (მეშინოდა, არ გავეწკეპლეთ): *ჩვენ იმდონ მაბეჩებდენ ბავშვობაში* (ჩვენ ისე გვაშინებდნენ ბავშვობაში).

დაშინების სხვა ფორმაც ჰქონდათ შემუშავებული. თუკი ზაფხულში სამხრეთ შავიზღვისპირეთში ბორჩხიდან გადმოსახლებულები მშობლიურ კერას დაუბრუნდებოდნენ, ბავშვები სათამაშოდ ჭოროხს მიაშურებდნენ ხოლმე. იქითა, ანუ დღევანდელი საქართველოს მარადიდის ბავშვებიც მოაშურებდნენ ჭოროხს და ერთმანეთს თამაშ-თამაშით ქვებს ესროდნენ; მაგრამ ისინი რას ამბობდნენ, ჩვენ არ გვესმოდაო. უფროსები ბავშვებს აფრთხილებდნენ, *თითი არ გეიშვიროთ, დიგილპებათო*. მათი შიში გასაგები იყო: საკუთარ სამშობლოდან აყრილ ხალხსა და მათ შთამომავლებს თავიანთ ნებაზე არავინ მიუშვებდა. გარდა ამისა, იცოდნენ ის, რომ სარფის იქით რუსეთი იყო და მხოლოდ საზღვრის გახსნის შემდეგ ვნახეთ, რომ ცხვირი, ნიკაპი ერთნაირი ყოფილაო.

ნიჭიერი ქართველები ძალიან სწრაფად ითვისებდნენ თურქულს, რაზეც მათი ბებია-ბაბუები წუხდნენ და ამ ვითარებას ასე აფასებდნენ: *ორი დღეა ოქულში* (resp.: სკოლაში) *წავიდა და თურქი გამხდარაო.* ენის შეცვლა მათთვის ქართველობისგან მიქცევად აღიქმებოდა.

თვითონ კი შემდეგ რცხვენოდათ, რომ ქართულს *ვერ გაარიგებდენ* (ქართულად ვერ ლაპარაკობდნენ). ქართულად წერა-კითხვა მათმა ნაწილმა, როგორც თვითონ ამბობენ, 50 წლის შემდეგ ქართული კულტურის ცენტრებსა და საზოგადოებებში გახსნილ კურსებზე ისწავლა, რადგან შერცხვათ ეთნიკური ენაზე წერა-კითხვის არცოდნისა და ქართული კულტურის შესახებ მწირი ცოდნის გამო: *ვიფიქრე, სირცხვილია-მეთქი, ქართული კულტურა არ ვიცი-მეთქი.*

40-50 წლის შემდეგ ისწავლეს ეთნიკური ენა იმ ქართველებმა, რომელთაც დედა თურქი ჰყავდათ. ორჰან ბერიძე, რომელიც სამხრეთ შავიზღვისპირეთის გირესუნის პროვინციის ბულანჯაკის ილჩეს სოფელ დამუდერედანაა და დღეს უკვე თვითონ ასწავლის ქართულ ენას ენის არმცოდნე ქართველებს და მთელი *ვეფხისტყაოსანი* ზეპირად იცის, აღნიშნავს, რომ ქართულ სოფელში გაიზარდა, მაგრამ *დედა რომ თურქი ჰყავდა, თურქული ხაზით მიდიოდა. სიტყვები ვიცოდი, მაგრამ ლაპარაკი არა.* მან ქართული ენის სწავლა 45 წლის ასაკში დაიწყო. ქართველები, რომელთაც დედა თურქი ჰყავთ, ასევე ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ დედამდე თურქი არავინ ჰყოლიათ: *დედამდე თურქი სისხლი არ არი ჩვენ ისტორიაში.*

სავარაუდოდ, ასეთი ვითარება გვექნება აქაური ახალგაზრდა ქართველების შემთხვევაშიც, რომელთა უმეტესობა, ქართული ენის არცოდნის მიუხედავად, თავს უკვე მხოლოდ ქართველად გაიცნობიერებს.

აქ ეთნიკურ ქართველთა ახალგაზრდა თაობის (და არა მხოლოდ მათი) შემდეგი ჯგუფები უნდა გამოიყოს:

1. სამხრეთ შავიზღვისპირეთის რეგიონების ახალგაზრდების ნაწილმა იცის ეთნიკური ენა და იცის საკმაოდ კარგად, ისე, როგორც ეს წინაპრებისგან გადმოეცა. ისინი თავიანთ ისტორიულ სამშობლოში ჯერ არ ჩამოსულან ან სულ რამდენჯერმე არიან ნამყოფი მცირე ხნით.

2. ახალგაზრდები, რომლებიც მამა-პაპათაგან ნამემკვიდრევ ქართულ ენას ახალი ლექსიკური ერთეულებით, ფრაზეოლოგიზმებით ივსებენ, იმდიდრებენ ენას ყოველდღიურად საქართველო-თურქეთის საზღვრის გახსნის, მისვლა-მოსვლის, იქ არსებულ ქართველთა საზოგადოებებში ქართული ენის კურსების გახსნის, სოციალური ქსელებისა და საზღვრის აქეთ მცხოვრებ ქართველებზე დაქორწინების შედეგად, თუმცა ეს ჯერ მხოლოდ თითო-ოროლა შემთხვევაა.

ამ ორი ჯგუფის წარმომადგენელთა ენა, ბუნებრივია, განსხვავებულია.

3. მესამე ჯგუფი, რომელთაც ესმით და ვერ ლაპარაკობენ და

4. ერთი დიდი ნაწილი ქართველი ახალგაზრდებისა, რომელთაც ქართული ენა საერთოდ არ იციან.

გირესუნის (Giresün) პროვინციის გიორელეს ილჩეში (რაიონში) 7 სოფელია ქართული, თირებოლუს ილჩეში 2 სოფელია ქართული, ესპრეში 3, ბულანჯაკის ილჩეში 7 სოფელია ქართველებით დასახლებული, გირესუნის პროვინცია ფირაზისის ილჩეთი მთავრდება, სადაც ქართველებით დასახლებული 2 სოფელია: თეფექოი და ჩამბაში.

გირესუნის პროვინციის ფირაზისის (Pırazıs) ილჩეს სოფელ თეფექოიში (Tepeköy), როგორც ეთნიკური ქართველები აღნიშნავენ, *აჭარიდან, ქედადან მოვდენ.* ქედადან 37 კომლი წამოსულა. სოფელში 200 კომლი ცხოვრობს, ყველა ქართველი, ზამთარში 50 კომლი რჩება სოფელში, დანარჩენები კი ქალაქში მიდიან. 100 კომლი სოფელ თეფექოიდან სოფელ იუნუს ემრეში წასულა, რომელიც აქედან 5 კილომეტრში მდებარეობს, სოფელში ცხოვრობენ მედელაშვილები, აილოშვილები,

ბაირახტარები, ზელზელ-ოღლები, გენჯალ-ოღლები, ჩხაკ-ოღლები, კამბულები...

სამხრეთ შავიზღვისპირეთის რეგიონის ქართველები თავიანთ თავს *გურჯებს* უწოდებენ: *ჩვენ ვიტყვით გურჯი ვარ.* ეთნონიმი *ქართველი* აქაც გაბრაზების ჟამს გამოსაყენებელი ლექსიკური ერთეული იყო: *ჩემი დიდი ნენე რომ გაბრაზდებოდა, შენ ქართველიშვილოო.*

ეთნიკურ ენას უკვე ძირითადად *ქართულას* უწოდებენ და შესამჩნევად გაიშვიათებულია *ჩვენებური//ჩვენებურას* გამოყენება. თუმცა ამ უკანასკნელს ყოველთვის ექნება ის სიმბოლური დატვირთვა, რომელიც არსებობის დღიდან დღემდე აქვს.

ენობრივი ვითარებას, პირველ რიგში, თვით ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები აფასებენ, რაც კვლევის აუცილებელი და ანგარიშგასაწევი კომპონენტია: *ქართულა ლაპარაკობდენ, წინ-წინ თურქჩა არ იცოდენ, ახლა ქართულა არ იციან. მოყრილობაში ჩვენებურა ვლაპარაკობდით.*

სოფელი და, შესაბამისად, რეგიონი საინტერესო იყო არა მხოლოდ აქ დამოწმებულ ლექსიკურ ერთეულთა თვალსაზრისით, არამედ მათი ახსნა-განმარტებითაც:

ფუჩია - ძროხის პაწაჲ, ძროხის ბაღვი, ხობო.

*თეთრ ხაპს წაბლა ხაპს* უწოდებენ: *ხაპი დიდიც იჯება, პაწაც იჯება, ზოგი ამისიხვანი დეიზდება. თეთრ ხაპ წაბლა ხაპ ვეტყვით.*

ღვალო მრავალძარღვაა; კაკანა ბატკანია; მოკუმპული მოკუზულს, წელში მოხრილს ნიშნავს.

უარყოფითი ნაცვალსახელი *არაფერი* გადმოიცემა ფიათი: *ერთი ძოხა გამატანეს, სკივრი, სხვა ფია* (resp.: არაფერი).

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი *ბევრი* სახეცვლილი ბოვლი ფორმითაა გადმოცემული: *ბოვლი სალამი წეიღეთ აქედან.*

ადგილის ზმნიზედა *წელს* ქართველების მეტყველებაში წრეულ ფორმითაა შემონახული: *აქაური ვაშლია, წრეულ არ ალი.*

დროის ზმნიზედა *შემდეგ* ჩანაცვლებულია უკან ზმნიზედით: *ერთ თვეს უკან უნდა მოვკრიფო.*

ვითარების ზმნიზედა *ასე* გადმოცემულია ლექსიკური ერთეულით *ამფათ*: *ეს სოფელი ამფათ განზე იყო* (ეს სოფელი ასე განზე იყო); *ამფათ გეიშალა და ველარ მოვხარ.*

ვითარების ზმნიზედა *ხშირად, ძალიან* ყველა შემთხვევაში გამოხატულია ლექსიკური ერთეულით ნამეტან: *აქედან ჩვენ პარაბოტში ნამეტან არ წავიდოდით.*

შემორჩენილია თვეთა ქართულისათვის დამახასიათებელი სახელდება: მარტი, აპრილი: *როდის დავრგევი? მარტში მოვთხარე, აპრილში დავთესე.*

ენობრივი თავისებურებებიდან, რაც არსებითი ნაწილია ენობრივი ვითარების შესწავლისას, აღსანიშნავია:

1. *რ* ბგერის დაკარგვა როგორც სიტყვის თავკიდურ, ისე შუა და ბოლოკიდურ პოზიციაში: *ზამთარში დეიცლება, აქ ალაჲვინ აჲ ჲჩება.* მოყვანილი მაგალითი *რ* ბგერის დაკარგვის კარგი ნიმუშია სამივე პოზიციაში. თუ სიტყვაში *რ* ბგერის წინამავალი *ა* ხმოვანია, *რ*-ს დაკარგვის შემდეგ ეს *ა* ხმოვანი გრძელდება. სხვა მაგალითები *რ* ბგერის დაკარგვისა:

*ფხალის ლობია ალაჲ იჯება* (მოდის); *იქ რაფეჲ იყო იცი? სიმინდი იზჲდება; დუაღი დამხუჲეს თავზე; ერთი ძჲოხა გამატანეს; ბაზაჲაში* (ბაზარში) *ვიაჲები* (დავდიოდი) და *მითხრა, ბაღნები გყავსო...*

თუ *რ* ბგერა ხმოვნების შუაშია მოქცეული სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში, მისი დაკარგვისას იქმნება დიფთონგი: *ყუი გუგუნობს, შენ ლაპაკოი* (ლაპარაკობ), *ჩემი ყუი გუგუნობს.*

2. *ს* ბგერის დაკარგვა სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში: *ახალ წელიწადჲ სიმინდჲ მოვხარშავდით; ზოგ თქვენჲ სიტყვებჲ ვერ ვხთენულობ; თხილი ა (არ) გვაქჲ, საქმე არ გვაქჲ.*

3. *ვ* ბგერის დაკარგვა: *ახლა ჩემი კაცი მოჲა და თლათ მიგახდენ.*

4. სიტყვის ბოლოკიდურად დ ყრუვდება: *იქ რაფე იყო იცი, ავათ გახდებოდენ; აქაური ალაგი თლათ მათი იყო.*

5. ყრუვდება გ ბგერა: *სამი გონჯი ყოფილა და გაიქცეს იქიდან, ორიც დაკარქულია.*

6. ო→ე, ა→ე: *ჩამეიკიდა* თოფი და *გეიქცა; ვინცხა წევდოდა, მაყარი იქნებოდა.*

7. ე→ო, ო→ა: *მოზაბელი* (მეზობელი), *დიდნენეი ქართულა ლაპარაკობდენ; ლობიას ფურუნში შევყრით.*

8. *რ* ბგერის მეზობლად *რ* და ლ სონორთა მონაცვლეობა: *ერთი გასატეხელი ხილი არ ალი.*

9. *მ* და *ვ* სონორთა მონაცვლეობა: *ამ ეზო-კარში თხილები ამსილი იყო; ჩერქეზი უფრო წვინდა არი.*

10.განსაზღვრებით ნაცვალსახელში *ყველა* განვითარებულია *მ* ბგერა: *სუმყველამ იცის ქართული.*

11. დროის ზმნიზედაში *როდის* იკარგება დ თანხმოვანი, ო და ი ხმოვნები ქმნიან დიფთონგს: *როის მოვდენ, იმდონი არ ვიცი.*

12. ზოგჯერ იკუმშება *ვიდ* ბირი: *აჭარიდან, ქედადან მოვდენ, როის მოვდენ, იმდონი არ ვიცი.*

მორფო-სინტაქსური თავისებურებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

1. კუმშვადი არსებითი სახელები ზოგჯერ შეუკუმშავი ფორმითაა წარმოდგენილი: *სოფელები ქონდენ; ოცდაბუთი წელის წინ ქორწილი რომ იქნებოდა...*

2. ურთიერთობითი ნაცვალსახელი *ერთმანეთი* წარმოდგენილი გვაქვს მრავლობითი რიცხვის ფორმით: *ერთმანეთებთან არ მივიდოდით* (ერთმანეთთან არ მივიდოდით);

3. მსაზღვრელ-საზღვრულის შერწყმა: დიდნენეი (დიდი ნენე); თხილბაღჩა (თხილის ბაღი);

4. მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის გამომხატველი ახალი სალიტერატურო ქართულის *-ნენ*

სუფიქსის ნაცვლად გვაქვს *-ენ*: *რუსიადან გამოიქცენ; პარაბოტით მოვიდენ გირესუნში, ცხენზე შეგაჯდუმლებდენ; ქვემოთ თოფს სროულობდენ, იუნანები* (resp.: ბერძნები) *იქ იყვენ; ცულით ჭრიდენ, ძელ გააკეთებდენ, ჩააწყობდენ, დაბურავდენ;*

5. ერთპირიან ზმნასთან სახელის ნომინატიური კონსტრუქციის ნაცვლად ერგატიული კონსტრუქცია: *ამათ კიდო წამევიდენ;*

6. ქვემდებარე, რომელსაც მსაზღვრელად ახლავს რაოდენობითი რიცხვითი სახელი, შემასმენელს მრავლობით რიცხვში ითანხმებს: *ხუთ ძმა იყვენ;*

7. ნიშანდობლივი და აღსანიშნავია კითხვის გამოხატვა სამხრეთ შავიზღვისპირელი ქართველების მეტყველებაში. კითხვით წინადადებაში კითხვის გამოხატვის ფუნქციას ასრულებს თუ ნაწილაკი, რომელიც ყოველთვის წინადადების ბოლოშია მოქცეული: *მკითხავ თუ?* (მეკითხები?); *იციან თუ?* (იციან?); *ჩვენ თუ?* (ჩვენ?);

8. კითხვით წინადადებაში კითხვითობა ორმაგადაა გამოხატული, კითხვით სიტყვასთან - *რატომ* - ერთად გვხვდება თურქულის *ია*: *თქვენ ამას რატომ იკითხავთ-ია?* (resp.: თქვენ ამას რატომ კითხულობთ?);

9. სახელის მოსალოდნელი *-გან* თანდებულიანი ნათესაობითი ბრუნვის ნაცვლად გვხვდება თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფორმა: *ფხალის ლობია აღა იჯება, ამიდან, წვანე ლობიადან დავამწიფებთ,*

10. *რომ* კავშირის ფუნქციას ასრულებს თურქული ენის *ქი*: *რუსებმა უთხრეს ქი, ნუ წახვალთო, ამათ კიდო წამევიდენ,*

11. კიდეც ნაწილაკს ენაცვლება თურქული ჰემ (hem) ნაწილაკი: *ჩვენ ჰემ თურქებს ვაძლევთ, ჰემ ვართვამთ,*

12. იქნებ ნაწილაკი ყველგან თურქული ბელქი (belki) ნაწილაკითაა ჩანაცვლებული: *ბელქი გონჯი ფეხი ექნებაო.*

გირესუნში (სოფელ თეფექოიში, ფირაზისის რაიონი) ჩაწერილი ტექსტების ნიმუშები:

*აჭარიდან, ქედადან მოვდენ, როდის მოვდენ, იმდონი არ ვიცი. ოცდაათი და შვიდი ხაანე წამოსულა. (საქართველოში) ოსმალობა გააგდეს. რუსია მოვიდა, რუსიადან გემეიქცენ. ლენინმა იქაურობაია დეიკავა. რუსებმა უთხრეს ქი, ნუ წახვალთო, ამათ კიდო წამევიდენ, პარახოტით მოვიდენ გირესუნში. ხუთ ძმა იყვენ ჩემი დიდვანები. კაცი მოკლეს პარახოტში, პარახოტი გადააბრუნეს, სამი გონჯი ყოფილა და გაიქცეს იქიდან, ორიც დაკარქულია, ვერ ნახეს. იქ (გირესუნში) რაფე იყო იცი? ავათ გახდებოდენ, სიცხე იყო, ბუზი კბენდენ. ეს სოფელი ამფათ განზე იყო, აქ ამოვიდენ. ქვემოთ თოფს სროულობდენ. პაწაი ქალაქი იყო, იუნანები იქ იყვენ, ხუთი სოფელები ქონდენ. თოფალ-ოსმანმა, იმან ისინი გადენა აქედან. აქაური ალაგი თლათ მათი იყო, შვიდი სახლი იყო თურქების. მოგვყიდეს. რაფერ მოგვყიდეს, იცი? ზურგით რაცხა წამოიღეს, იმით ალაგები იყიდეს.*

*ჩემი ნენეი და ჩემი ეშის (resp.: ქმრის) ბაბაი და-ძმა იყვენ. გამათხუეს, ერთი ლოგინი გამატანეს, ერთი ზოხა გამატანეს, ერთი სკივრი, სხვა ფია. დუაღი დამხუეს თავზე, ყირმიზი (resp.: წითელი) დუაღი იყო, ცხენზე შეგაჯდუმლებდენ.*

*ჩვენ ვიტყვით, გურჯი ვარ. მოზაგელი, დიდნენეი ქართულა ლაპარაკობდენ, თურქჩა არ იცოდენ. ახლა ქართულა არ იციან. მოყრილობაში ჩვენებურა ვლაპარაკობდით. ზოგ თქვენ სიტყვებ ვერ ვხთენულობ.*

*ზამთარში დეიცლება, აქ ალავინ (ალარავინ) ა (არ) ჩება (რჩება). დავბერდი, ალაი (ალარაფერი) მინდა. ზამთარში დ̄უკლიტავ, წავალთ.*

*მოწვა, გეიყინა. ერთი გასატეხელი თხილი არ ალი. შარშან ამ ეზო-კარში თხილები ამსილი იყო. მარტში მოვთხარე, აპრილში დავთესე სიმინდი. ერთ თვეს უკან უნდა მოვკრიფო. წრეულ ვაშლი არ ალი. ხაპი დიდიც იჯება, პაწაც იჯება, ზოგი ამისისხვანი დეიზდება. თეთრ ხაპ წაბლა ხაპ ვეტყვით.*

*ფხალის ლობია აღა (აღარ) იჯება (მოდის). ამიდან (წვანე ლობიადან) დავამწიფებთ. ლობიას ფურუნში შევყრით, დავტეხავთ ლამაზათ.*

*ახალ წელიწად სიმინდ მოვხარშავდით, ერთმანეთებთან ა (არ) მივიდოდით, ბელქი გონჯი ფეხი ექნებაო.*

გირესუნის პროვინციის ბულანჯაკის ილჩეს (resp.: რაიონის) სოფელ დამუდერეში ემინ-ოღლები, ბაირახტარ-ოღლები, ჭუმბურ-ოღლები, ოდაბაშ-ოღლები, არმან-ოღლები, გეჩიჯ-ოღლები... ცხოვრობენ. ემინ-ოღლები, დელ იმაილ-ოღლები, როგორც ორჰან ბერიძემ გვითხრა, წინაპრების გადმოცემით, ქედას რაიონის სოფელ წუნიარისიდან არიან. შვიდი კაცი წამოსულა წუნიარისიდან, ოთხი ორდუში დარჩენილა, სამი სოფელ დამუდერეში დასახლებულა. ადრე სოფელში სამასი კომლი ქართველი ცხოვრობდა, ახლა უკვე უმეტესობა ქალაქებში ცხოვრობს.

გირესუნის პროვინციის ბულანჯაკის ილჩეს (რაიონის) სოფელ ყარაყადიში სოფელ წყაროთადან, ჭვანადან წამოსული ქართველების თხუთმეტი გვარია: ჯინ-ოღლები, ველი-ოღლები, ყადაღი-ოღლები, თოფალ-ოღლები, კობალ-ოღლები, ელიბ-ოღლები, ჭოკი-ოღლები, პაპი-ოღლები...

ლექსიკიდან აღსანიშნავია:

წამობარგულა: ზემოთ ბევრჯერ გამეორებული ისტორიების გვერდით, რომლებიც ქართველთა სამშობლოდან აყრასა და თურქეთში გადმოსახლებას ეხება, შეიძლება უკვე ზედმეტია რამის თქმა, მაგრამ ამ სიტყვაში მთელი ისტორიაა ჩატეული. წამობარგულა ზუსტად აღგვიწერს ამ პროცესს: *თლათ თელი სოფელი წამობარგულა* (მთელი თავიანთი ავლადიდებით წამოსულან), *ზოგი ფეხებით წამოსულა.*

ფაცია, რომელიც *პატარძალს* ნიშნავს: *ფაციას ქალები მუღმერებდენ.*

მორფოლოგიიდან აღსანიშნავია:

თანაობის გამოსახატავად *თან*-თანდებულიანი მიცემითი ბრუნვის ნაცვლად ნათესაობითი ბრუნვის გამოყენება: *მე დედაბერის ერთად ვარ* (მე დედაბერთან ერთად ვარ).

ყარაყადიში ჩაწერილი ტექსტების ნიმუშები:

*მუა ხმა? სამი ძმა წამოსულან. მე ახმედას სოიდან* (resp.: შტოდან) *ვარ, მეოთხე ბადიში ვარ ახმედასი. ყარაყადის სოფელში ვარ. ჩვენ ამ სოფელში დავრჩენილვართ. ბადიშებმა ამ სოფელში გამეიზარდენ. მე დედაბერის ერთად ვარ. წყაროთადან, ჰვანადან ვართ. იმ სოფლების გვარები თლათ ამ სოფელში არიან. იქაურობა რუსისთვის მ̄უცემია იქაურ ფადიშაჰს, რომ მ̄უცემიან, ჩვენი დედეები შეწუხებულან. იქიდან წამოსულან. ამ სოფელში თხუთმეტი გვარია. აქაური ჯუმჰურიეთის* (resp.: რესპუბლიკის) *კანონი რომ გამოსულა, მაშინ გუდ̄უცლიათ გვარები.*

*ქართულა ვიცი მარტო. ყური პაწაი მაკლია. ახლა ნადვა, ქართული დუგუნი გადავარდა. ფაციას მოყვანამდი ღვინოს სვამდენ, ზოგი სვამდენ ღვინოსა, ტყვილს ვერ ვიტყვი. ქალები მ̄ულმერებდენ; როგორ მ̄ულმერებდენ, იმდონი არ მახსოვს. ერთი ციცაი მყავ, ერთი არდაბადულია.*

გირესუნის რაიონის სოფელ თეფეორენში (Tepeoren) სოფელ წყავნარიდან, ბათუმიდან წასული კირპიჩ-ოღლების, ხილაზების, თონი-ოღლების 300 ოჯახი ცხოვრობს. ზამთარში 50 კომლი რჩება. აქ აღნიშნავენ, რომ *ჩვენი ქართველები შესაბრალი არ არიან; ჩვენ გონჯი არ ვართ. სოფელშიც ქერი* (resp.: ადგილი) *გვაქვს.*

ლექსიკიდან აღსანიშნავია ყარიბანი, რომელიც *ღარიბს* ნიშნავს: ოცი-ოცდაათი წლის წინ ყარიბანი იყვენ.

რამეთი *რამდენია*: *რამეთი იქნება* (რამდენი იქნება?).

გირესუნის რაიონის სოფელ თეფეორენში (Tepeoren) ჩაწერილი ტექსტის ნიმუში:

*იქ თხილია ბევრი. თხილი ბევრი ფარას იჯება, სახლებ აკეთებენ, მობილის* (resp.: ავეჯს) *ყიდიან. ჩვენი ქართველი ზოვლი არიან, შესაბრალი არ არიან. ოცი-ოცდაათი წლის წინ ყარიბანი იყვენ.*

*ახლა დასახლდებიან* (დაქორწინდებიან, დაოჯახდებიან), *სამ თვე, ოთხ თვე, მერმე გარიგდებიან* (იყრებიან).

*ენ წინ ანაი, ბაბოი შეხედავდა, იმისი გოგონა ვითხოონა, თამამ, ბითთი* (resp.: გათავდა). *ბიჭები, გოგვები ერთმანეთ ხედვენ, ამა მალე რიგდებიან* (იყრებიან). *ენ წინ ბიჭმა, გოგომ ერთმანეთი ჰიჩ არ დეინახევდენ, მარტო დუგუნში დეინახევდენ. ახლა ინტერნეტით ნახულობენ. სხვა ქალს ნახულობს, სხვა კაც ნახულობენ, ერთად არიან, ამა არ სახლდებიან. კაცი საქმობს, ქალი საქმობს, დურუმი* (resp.: მდგომარეობა) *კაი აქვენ. აქაც კაი ვართ ჩვენ, გონჯი არ ვართ. სოფელშიც ძერი გვაქვს. ერთიც მე ვამბობ, ერთი ოფისი გავაღო, ამა ფექ ვერ ვენდობი. კაი არ გამოდგებიან.*

ორდუს (Ordu) პროვინციის გიოლქოის ილჩეში (რაიონში) ქართველების 4 სოფელია: ერთი მაჭახლელების, სამი იმერჯეველების, ქორგანის რაიონში 6 სოფელია ჩაქველების (ჩაქვიდან წამოსული ქართველების), უნიეში 17 სოფელია, ხოლო ფაცაში ქართველებით დასახლებული სოფლების რაოდენობა 12-დან 16-მდე მერყეობს.

უნიეს (Ünye) ილჩეს (რაიონის) მოსახლეობა 128.000-ია. უნიეში დაახლოებით 35-40 ათასამდე ეთნიკური ქართველი ცხოვრობს. უნიეში 2014 წელს ოფიციალურად გაიხსნა ეთნიკურ ქართველთა საზოგადოება, რომელსაც *უნიეს აჭარელ ქართველთა მეგობრობისა და კულტურის საზოგადოებას* უწოდებენ, რადგანაც აქ ძირითადად აჭარიდან არიან წამოსულები.

უნიეს ილჩეს (რაიონის) ეთნიკური ქართველებით დასახლებული სოფლებია: იუჯელერი (Yüceler), გუზელიალი (Güzelyalı), ჯევიზდერე (Cevizdere), ბაშქოი (Başköy), თეფექოი (Tepeköy), იაილალი (Yaylalı), ააჩდერე (Ağçdere), ელმალიქი

(Elmalık), ჩათალ პინარი (Çatal Pinar), ჰიზარბაში ყუმარლი (Hızarbaşı Kumarlı), ჰიზარბაში გუნლუქი (Hızarbaşı Günlük), ინკურ ფატიჰ მაჰალე (İnkur Fatih mahale), თექქირაზი (Tekkiraz), ექინჯიკი (Ekincik), აიდინთეფე (Aydıntepe), ჩათალთეფე (Çataltepe), სოილემეზი (Söylemez.

უნიეში ცალკე გამოყოფენ ჩაიბაშის (Çaybaşı), რომელიც 6 სოფელს მოიცავს: ქოქლუკი (Köklük), აქბაბა (Akbaba), სარიჯარიკი (Sarıcarik), თექე (Tekke), ეირიბუჯაკი (Eyribucak), ქუშუდერე (Kusudere). ამ სოფლებიდან 4 მთლიანად ქართველებითაა დასახლებული, ხოლო ორში - ქოქლუკსა და ქუშუდერეში ქართველებთან ერთად თურქებიც ცხოვრობენ, ანუ *სოფელი გადარეულია.*

უნიეში ჩერქეზების ორი სოფელია: გულპინარი (Gülpinar) და დოშემედიბი (Döşemedibi).

უნიეს ქართველები ეთნიკურ ცნობიერებას შემდეგნაირად გამოხატავენ: *„ჩვენ ჩვენებური ვართ ვიტყვით"*.

უნიე და უნიეს სოფლები, ისევე როგორც სამხრეთ შავიზღვისპირეთის დანარჩენი რეგიონები, გამორჩეულია კარგი ქართულით; მაგრამ აქ აღსანიშნავია ახალგაზრდების ერთურთში საუბარი ქართულად, რომელიც უნიეში ფეხის დადგმისთანავე მოგვესმა ქუჩაში.

ასევე საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის დამსახურება, რომელიც უნიეში დაბადებულ ქართველს და არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, გამორჩეულ და ნაყოფიერ პოეტს, პროზაიკოსს, მთარგმნელს, მკვლევარს ფარნა-ბექა ჩილაშვილს (Fahrettin Çiloğlu) მიუძღვის. ფარნა-ბექა ჩილაშვილის სახელთანაა დაკავშირებული ჟურნალების *მამულისა* და *ფიროსმანის* დაარსება და გამოცემა. მის მიერ დაწერილ „ქართველების ისტორიაში" ერთი თავი თურქეთის ქართველებს ეხება; სწორედ ამ წიგნის საშუალებით შეიტყო თურქეთის ქართველთა დიდმა ნაწილმა სიმართლე ქართველების თურქეთში მოხვედრის შესახებ. ფარნა-ბექა ჩილაშვილმა გააცნო თურქეთის ქართველებს, და არა მხოლოდ მათ, ნოდარ დუმბაძე,

ოთარ ჭილაძე, ერლომ ახვლედიანი და დათო ტურაშვილი, ხოლო საქართველოში მას თავისი პოეტური, მოთხრობებისა და პუბლიცისტური კრებულებით - „სასაზღვრო ფიქრები“, „სანამ თოვს“, „ერთი წვეთი ლიმონი“ - იცნობენ.

ენის ცოდნას უნიეში განსაკუთრებული ფრაზეოლოგიზმებით - დამწიფებული ქართველითა და ჭახე (უმწიფარი) ქართველით - აფასებენ: *ეს დამწიფებული ქართველია, ეს ჭახე ქართველია.* დამწიფებულ ქართველს ენის კარგ მცოდნეს უწოდებენ, ხოლო ჭახე ქართველს ენის ცუდად მცოდნეს ან არმცოდნეს.

უნიეს ქართველები, ქართული ენის ცოდნის მიუხედავად, თვითკრიტიკულები არიან და ამბობენ: „ბერები უფრო ლამაზად ლაპარაკობენ, ოცდასამის ხდომილობენ და ვერ ლაპარიკობენ ჩვენ მოვლა არ ვიცით (ენის), ჩვენ ვერ ვლაპარიკობთ, ბავშვებს როგორ დავასწავლოთ“.

შემდეგი გარემოება, რის გამოც ქართველები წუხან, შერეული ქორწინებაა: „თურქის ქალებში გარევამ ენა მოსპო“.

ლექსიკა მთელი სისრულით არის შემონახული ქართველთა მეტყველებაში: *სოფელი, ყანა, ნადი, სახლი, ხე, ძელი, ბეღელი, პური, ჩალა, ბალახი, იონჯა, წისქვილი, ნათესავები, კაცი, ქალი, გოგო, ბიძაშვილი, ქორწილი, მაყარი, სტუმარი, დილა, დათესვა, დაფქვა, წასვლა, მოსვლა, გაკეთება, დაწყობა, მღერა...*

საინტერესოა ის ფაქტი, რომ იმ ქართველთა მეტყველებაში, რომლებიც საქართველოში მიდი-მოდიან და თან საქმიანი ურთიერთობაც აქვთ, ახალი ლექსიკური ერთეულების გარდა, რუსულიდან შემოსული ბარბარიზმებიც აქაც გვხვდება, მაგალითად *მებელი.*

გახდა, შესრულდა ზმნების მნიშვნელობა იქნა ფორმათია გამოხატული: რამდენი წელი იქნა? (რამდენი წელი გახდა?); ოცი-ოცდახუთი წელი იქნა (ოცი-ოცდახუთი წელი გახდა).

ფონეტიკური თავისებურებებიდან აღსანიშნავია შემდეგი: *მ* ბგერის დაკარგვა: *ყველაზე დიდრები ქართველებია.*

*-ე* ფუძეხმოვნიანი სახელების მრავლობითი რიცხვის ფორმაში ორი *ე*-ს თავმოყრისას გვაქვს დისიმილაცია: ***ბიებსა*** *დააწყობდენ, ჩააწყობდენ ერთმანეთში.*

მორფო-სინტაქსური თავისებურებებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

1. ხმოვანფუძიანი სახელები სახელობით ბრუნვაში დაირთავენ *-ი* სუფიქსს, რაც წინამავალ ხმოვანთან ქმნის დიფთონგს: *ბალანაი ასკერში წევიდა დღეს.*

2. იკარგება მიცემითი ბრუნვის ნიშანი, სუფიქსი *-ს*: *გოგოს კუთხეი მაყარი ვეტყვით; გევიაროთ ჩემი მალაზიაში; ჩემი ბავშვობაში ხორონი ისამებდენ; თოქუმი* (resp.: თესლს) *ჭამდენ.*

3. აღმატებითი ხარისხის აღწერითი წარმოებისას ლექსიკური ერთეული *ყველა ზე* იცვლება თურქული ენის შესაბამისი *-ენ* ერთეულით: *სახლსა ბიდან აშენებდენ, ენ კარგი წაბლი იქნებოდა; ენ ბევრი ორი სართული იქნებოდა.*

4. ერგატიული კონსტრუქციის იცის ზმნასთან სუბიექტი სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი: ***ბაბაი*** *ძალუ -ან ქართული იცოდა.*

5. ზემოთქმულის საპირისპიროდ ერთპირიან მედიოპასივთან ნომინატიური კონსტრუქციის ნაცვლად ერგატიული კონსტრუქცია გვაქვს: *თექერ გააკეთებდენ, თაგვმა არ ევიდესო.*

6. *გაგ ზავნა* ზმნაში წყვეტილის პირველი სუბიექტური პირის ფორმაში ბოლოკიდური *ვნე* მიმდევრობა გვაძლევს *ჲ*-ს: *ჯამეს უკან მდინარეო, / გოგო ვნახე მძინარეო, / დაუკარ ფები, გავაღუძე, / შინ გავაგ ზაი მტირალეო.*

7. ინვერსიულ ზმნებში იკარგება მესამე სუბიექტური პირის ნიშანი *-ს* სუფიქსი და მასთან ერთად წინამავალი *ვ* თანხმოვანი: *მე აქ მალა ზია მაქვი.*

8. *-ავ* თემის ნიშანი *-ევ* სუფისით იცვლება მყოფადის ხოლმეობითის მწკრივში; ერთსა და იმავე წინადადებაში მყოფადის ხოლმეობითის მწკრივში ერთი -ავ თემისნიშნიანი ზმნა *-ავ* თემის სუფიქსითაა მოცემული, ხოლო მეორე კი *-ევ-*

*ით: პურსაც დავთესავდით ჩვენ სოფელში, დავაფქვევდით სოფელში.*

საინტერესოა, რომ *-ავ* სუფიქსი უცვლელად იმ ზმნაშია წარმოდგენილი, რომელმაც თემის ნიშანი გვიან დაირთო, ხოლო ოდითგანვე ამ ფორმანტით ნაწარმოები ზმნები სავრცობიან მწკრივებში სისტემატურად *-ევ* სუფიქსს გვიჩვენებს.

9. დროის ზმნიზედები, რომლებიც ფორმაუცვლელი სიტყვებია, ქართველთა მეტყველებაში *-ზე* თანდებულს დაირთავს: *დილაზე იქიდან წამოსლისას გოგო წევდა იქითა სოფელში.*

ორდუში (ქალაქ უნიეში) ჩაწერილი ტექსტების ნიმუშები:

*დედე ასი და ოცდაათი წელია მოსულა. ჩვენ ჩვენებური ვართ ვიტყვით. იქაურ სოფელში ვინცხა არის, მივსულვარ. რამდენი წელი იქნა? (ოთხმოცდათერთმეტში) პირველად წავედი იქა. ბაბაჲ ძალუნ ქართული იცოდა.*

*ყველაზე დიდრები ქართველებია, სტუმარი უყვარს. ჩერქეზი უფრო წვინდა არი, ჩერქეზი უფრო კაჲა*

*ოცდახუთი წელის წინ ქორწილი რომ იქნებოდა, ჩვენ სოფლიდან გოგო წევდა იქითა სოფელში, იქ გავათენებდით, გოგოს არ მივცემდით. გოგოს კუთხე მაყარ ვეტყვით: ნათესავები, მეზობლები. გოგოს კუთხეჲდან ვინცხა წევდოდა, მაყარი იქნებოდა. მაყარი იმღერებდა:*

*ჯამეს უკან მდინარეო,*
*გოგო ვნახე მძინარეო,*
*დაუკარ ფეხი, გავაღუძე,*
*შინ გავაგზაჲ მტირალეო.*

*სახლსა ხიდან აშენებდენ. ენ კარგი წაბლი იქნებოდა. ერთ წელში ორჯერ მეიჭრებოდა, შუბათში (resp.: თებერვალში) და მაისში. ცულით ჭრიდენ, ხიზარებით (resp.: ხერხით). ძელ გააკეთებდენ, ასე დააწყობდენ ხიებსა, ჩააწყობდენ (ერთმანეთში), დაბურავდენ. ენ ბევრი ორი სართული იყო. ქვეშ საქონელი*

*იყო, ახორ ვებნებოდით. ქვებ დააწყობდენ, მერე ოთხ ხეს ასე (სიგრძეზე) გააწყობდენ, მერე ოთხ ხეს თექერ გააკეთებდენ, თაგვმა არ ევიდესო. სიმინდ, ლობიას ვინახავდით.*

*ბელელში ჩალას, გალახს შევყრიდით. ყანაში რომ მუშაობდენ, ჩვენებურა ბევრ იმღერებდენ. ნადი იყო. ყანაში მუშაობდენ, ნად გააკეთებდენ. სიმინდის ნადი იყო, მე შენთან მოვდიოდი, შენ ჩემთან მოდიოდი. თხუთმეტი კაცი იქნებოდა. პურსაც დავთესავდით ჩვენ სოფელში, დავაფქვევდით წისქვილში.*

იმ ქართველების მეტყველება, რომელთაც საქართველოსთან საქმიანი ურთიერთობა აქვთ, შემდეგი სახისაა:

*მე აქ მაღაზია მაქ. სახლში რაცხა დაგჭირდება, მებელი, მაცივარი, გევიაროთ ჩემ მაღაზიაში. იქაურ სოფელში ვინცხა არის, მივსულვარ. ოთხმოცდათერთმეტში პირველად წავედი იქა.*

უნიეს ილჩეს (რაიონის) სოფელი ჩათალ პინარი (Çatal Pinar) გამორჩეულია იმით, რომ აქ მცხოვრებ ქართველთა დიდი ნაწილი ქობულეთიდან, ციხისძირიდან, ხუცუბანადან წამოსულა, რაც დასტურდება კიდეც მათი მეტყველებით. ჩათალ პინარში მცხოვრებ ქართველთა მეტყველება გურული მეტყველების ტიპური ნიმუშებია. ბევრი ქედადანაც წამოსულა.

ჩათალ პინარში მჟავანაძეები, შუბლაძეები, კილაძეები, საფილიშვილები, ბეჟანიძეები, ხოხოტაიშვილები... ცხოვრობენ.

ჩათალ პინარში თათრული, როგორც თვითონ უწოდებენ თურქულ ენას, უფროსი თაობის ქართველებმა ქალაქში ჩამოსვლამდე და სკოლაში წასვლამდე არ იცოდნენ: *მე ქალაქში რომ ჩამოვედი, თათრული არ ვიცოდი.* ხოლო მათზე, ვინც ამბობს, რომ სკოლაში წასვლის დროს თურქული იცოდა, ამბობენ, რომ *ისინი ტყვილობენ* (იტყუებიან). თუმცა გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ სასკოლო ასაკის დადგომისას თურქული ენა არ იცოდა 40 წლის ახალგაზრდების

დიდმა ნაწილმაც. ეს ვითარება შენარჩუნდა მანამ, სანამ სოფელი არ მოიშალა და ქალაქში არ გადმობარგდნენ საცხოვრებლად.

ამ პერიოდში კი გაიხსნა საქართველო-თურქეთის საზღვარი, რამაც ენა, ქართველების აზრით, დავიწყების საფრთხისგან იხსნა: *ენის დავიწყობის დროზე გეისხნა საზღვარი.* საქართველოში მცხოვრები ქართველების საუბარს ყურს რომ უგდებენ, ამბობენ, *თქვენ ლაპარაკში ასი სიტყვიდან ორმოცს ვგნებულობთო.* უფროსების აზრით, ახალგაზრდებს ქართული არ აინტერესებთ, შვილებმა არ იციან, მაგრამ ცდილობენ შვილიშვილებს დაასწავლონ.

დღეს როცა თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველები ამბობენ, ახალგაზრდებმა ქართული არ იციანო, ეს შეიძლება გადაჭარბებულ შეფასებად მიიჩნიოს ბევრმა; მაგრამ ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა არ იცის ეთნიკური ენა ისე, როგორც ის იციან მათმა მამებმა და მეორეც, მათი წილი საგრძნობლად მცირეა უკვე. ეს არის მათი გულისწუხილი და საფიქრალი. მართალია, დღეს ბევრი ცდილობს ქართულის სწავლას, მაგრამ მათი რაოდენობა იქ მცხოვრები ახალგაზრდა ქართველების ნახევარიც არ იქნება. ზემოთქმული სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მათი ეთნიკური ცნობიერება, თვითაღქმაც ამ ციფრის პირდაპირპროპორციული იქნება. მათი უდიდესი ნაწილი, ენის არცოდნის მიუხედავად, თავისი შთამომავლობით ქართველი//გურჯი იქნება.

შავიზღვისპირეთის ქართველთა მეტყველებაში ზემოთ დამოწმებულ ლექსიკას შეიძლება დავუმატოთ შემდეგი ლექსიკური ერთეულები:

ფუმფლი მატყლია, ფუმფლის ლოგინი მატყლის ლოგინი, მატყლის საბანი და ლეიბი: *ფუმფლს წყალში აგდებდენ.*

ეწერი გვიმრაა, რომელზეც თურქები წვებოდნენ, სანამ ქართველებისგან მატყლის საბანსა და ლეიბს შეითვისებდნენ: *ეწერზე წვებოდენ, ეწერის ლოგინი იცოდენ.*

მონავალი *მოსავალს* ნიშნავს: *მონავალი არ ალი.*

ასევე გვხვდება შემდეგი ლექსიკური ერთეულები: ზაფრანა, ჩაშპრამი, პრასა, ქინძი, მაკიდო, პიტნა, პამიდორი, კარაქი, ყველი, მაწონი...

მეტყველებაში გვხვდება კალკირებული ფორმები: დასვენებაზე არიან (resp.: ისვენებენ); თხილობაზე მოდიან (resp.: თხილის კრეფის დროს მოდიან); იმან (კარტოფილი) არ დეიკარგა (resp.: არ იხარა, არ გაიხარა, არ მოვიდა); ჩვენ ამის ბაირაღში ვართ (resp.: ამათი დროშის ქვეშ, ამ სახელმწიფოში ვცხოვრობთ).

ფონეტიკური პროცესებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

იკარგება *მ* ბგერა სიტყვის თავში: *ჩემი სოფელი მაღლაია, Მთაში* (მთაში).

ე→ა: *კრაჭევდენ* (კრეჭდნენ).

მორფო-სინტაქსური პროცესებიდან აღსანიშნავია:

1. იკუმშება საკუთარი სახელი და, რაც ნიშანდობლივია, ფუძიდან ვარდება *-უ* ხმოვანი: *ქობᲛლეთი. ქობლეთიდან არიან წამოსული.*

2. *-ა* ხმოვანფუძიანი სახელი *-ებ*ან მრავლობითში უკვეცელი ფუძითაა წარმოდგენილი: *მიწაები აართვეს.*

3. ერთპირიან ზმნასთან სახელის ნომინატიური კონსტრუქციის ნაცვლად ერგატიული კონსტრუქცია: იმან (კარტოფილი) არ დეიკარგა (არ იხარა, არ გაიხარა, არ მოვიდა).

4. მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის გამომხატველი მოსალოდნელი *-ნენ* სუფიქსის ნაცვლად გვაქვს *-ენ*: *ეწერზე წვებოდენ, ეწერის ლოგინი იცოდენ; კაც კლავდენ, აქაურები მამტყუნებდენ.*

5. ინვერსიულ ზმნაში იკარგება სუბიექტური პირის ნიშანი *-ს* სუფიქსი: *ქვაბი, ჯაჭვები გვაქᲛ.*

6. შედგენილი შემასმენელი, რომლის ზმნური ნაწილი *არის* ზმნაა, სახელთან შერწყმისას *ია* ფორმითაა წარმოდგენილი: *ჩემი სოფელი მაღლაია* (მაღლა არის).

7. უთემისნიშნო ზმნა უწყვეტლის მწკრივში *-ევ* სუფიქსს დაირთავს: *ცხვარს კრაჭევდენ.*

8. *და-* ზმნისწინს აქვს თითოობის ფუნქცია: *თურქები ჭუჭყიანი ხალხია, ჩვენ დავასწავლეთ.*

9. *გამო-* ზმნისწინი ჩანაცვლებულია *გადა-* ზმნისწინით: *თქვენი პრეზიდენტი გედეიცვალა.*

10. თემისნიშნიანი ზმნისგან ნაწარმოებ ვნებითი გვარის წარსული დროის მიმღეობაში ამოვარდნილია თემის ნიშანი: *საბუთები ყველაფერი გამზადული მაქვს.*

11. *აქ* ზმნიზედა წარმოდგენილია დასავლური დიალექტებისთვის დამახასიათებელი *აქანა* ფორმით: *აქანა ქობლეთიდან არიან წამოსული.*

ჩათალ პინარში ჩაწერილი ტექსტის ნიმუში:

*აქანა ქობლეთიდან არიან წამოსული, ციხისძირი, ბუცუბანა. ბევრი ქედადანაც წამოსულა. თქვენ ლაპარიკში ასი სიტყვიდან ორმოცს ვგნებულობ. ჩემი სოფელი მაღლაია, თაში. პურსა დათესავენ, ქერი. ყველა ხალხი არ დათესავს. სოფლის მონავალი არ ალი: ჭარხალა, პამიდორი.*

*რომ დავკრავ ჭადს, ასე დავკრავ (ჯვრის ფორმას აძლევს).*

*თურქები ჭუჭყიანი ხალხია, ჩვენ დავასწავლეთ. ცხვარს კრაჭევდენ, ფუმფლს წყალში აგდებდენ. ეწერზე წვებოდენ, ეწერის ლოგინი იცოდენ. ჩვენ დავასწავლეთ ფუმფლის ლოგინი. ცარიელი იყო მიწაები, აართვეს. წელიწადში ხუთ-ექვს კაც კლავდენ.*

*ჩვენ ამის ბაირაღში რომ ვართ, თურქული სახელები იყო. მე რომ ქალაქში ჩამოვედი, თათრული არ ვიცოდი.*

*ერთ წელიწადში ერთ თვე დასვენებაზე არიან, თხილობაზე მოდიან.*

*თქვენი პრეზიდენტი გედეიცვალა, ჩემი დოკუმენტი გეიჭედა. რატომ გაჯიქდა ჩემნაირი კაცის საქმე? საბუთები ყველაფერი გამზადული მაქვს.*

*თქვენ ლაპარიკში ასი სიტყვიდან ორმოცს ვგნებულობ. შვილმა არ იცის (ქართული), ბადიშს დავასწავლი.*

უნიეს ილჩეს სოფელ გუზელიალიში (Güzelyalı, ძველი სახელი მიტრაბოლი) 400 ოჯახი ცხოვრობს. აქ სულ ქართველები ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ, გვიან მოსულა რამდენიმე თურქული ოჯახი. ყველანი ქედადან, სოფელ ჭარახმელადან არიან წამოსული.

სოფელში ყველა ჩვენებურია. აქაური ქართველები იხსენებენ, რომ საზღვარი ახალი გახსნილი ყოფილა და რამდენიმე მათგანი საქართველოში წამოსულა. აქაურ ქართველებს მათთვის უკითხავთ, ქართველები ხართო. მათ ვერ გაუგიათ რას ეკითხებოდნენ: *ჩვენ არ ვიცოდით, რა იყო. დედაბრები იტყოდენ, ქართველო შენო* (გაბრაზებისას). დღეს კი ყველა მათგანი ამბობს, რომ დედ-მამა ქართული (ქართველი) იყო, ლამაზი ლაპარიკი იცოდა.

*ბერები ილაპარაკებენ,* როცა ვკითხეთ, შვილებმა თუ იცოდნენ ქართული, გვიპასუხეს: *ბადიშები გვყავს, არცერთმა არ იცის ჩვენებური.*

ლექსიკური ერთეულებიდან ყურადღებას იპყრობს ***საძიგველი,*** რომელიც სანაყს ნიშნავს, აქედანაა მიღებული ზმნა *ძიგვა* (დანაყვა): *საძიგველში სიმინდ დავნაყევდით, ტოკვეცით ვძიგვავდით;* ***კუკუთი*** *ნაყოფს* ნიშნავს: *თხილი რომ კუკუთ გეიღებს, მოწვა;* ***ზიარაი*** *საზიაროს* ნიშნავს: *ზოგმა გაყიდა, ზოგმა ზიარაი* (საზიაროდ) *მისცა;* ***კო*** *მუხის* აღმნიშვნელია; გაქროლება მათ მეტყველებაში *განიავების* აღმნიშვნელია: *ღომ დავნაყევდით, ქარში გავაქროლებდით* (გავანიავებდით); *წელს ზმნიზედის* გამომხატველია ***წრეპულა***: ***წრეპულა*** *დაიწვა მაღლობაში;* გამართვას *გახარების* მნიშვნელობით იყენებენ: *ხილი, მეივა* (resp.: ხილი) *იქ, იაილაში არ გეიმართა* (იხარა).

ფონეტიკური თავისებურებებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

1. სრული რეგრესული ასიმილაცია (*ი→ უ, ა → უ*): *ჰუქუმეთ* (resp.: მთავრობას) *მ̄უცემიან; სკივრი უ̄ვსია.*

2. ნაწილობრივი რეგრესული დისტანციური ასიმილაცია (*ო→ ე*): *მევიტანო?*

3. ნაწილობრივი საურთიერთო რეგრესული ასიმილაცია (ა→ *ე*): *დეინახავ მანგალს?*

4. *ვ* და *მ* სონორთა მონაცვლეობა: *დამამიწყდა.*

5. დიალექტურ *მაგი* ფორმაში ამოვარდნილია *გ* ბგერა და ვიღებთ დიფთონგს: *მაი გ ზელია.*

მორფო-სინტაქსური თავისებურებანი:

1. თანხმოვანფუძიანი სახელები *-ებიანი* მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვაში სახელობითი ბრუნვის *-ი* სუფიქსს გვიჩვენებს: *სოფლიების მინისტრი იყო; საქონელს მეიყვანდა გემიებით.*

2. კუმშვად-კვეცადი სახელი *-ებიანი* მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვაში უკუმშველ-უკვეცელი ფორმითაა მოცემული: *ქარხანაები როგორ მუშაობს...*

3. უარყოფითი ნაცვალსახელის - *არავინ* - ფუნქციას მეტყველებაში მხოლოდ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი *ვინმე* ასრულებს: *აქ ვინმე არ იყო* (არავინ).

4. *-ამ* თემისნიშნიანი ზმნა I სერიის მყოფადის ხოლმეობითში შეკუმშული ფორმით, ხმოვნის გარეშეა წარმოდგენილი: *რძეს მემრე დაასხმიდენ.*

5. *-ავ* თემისნიშნიანი კი *-ევ* სუფიქსითაა წარმოდგენილი I სერიის მყოფადის ხოლმეობითის მწკრივში: *იმით დავბურევდით, საქონელი იმას არ ჭამს.*

6. *-ებ* თემის ნიშანი *-ობ* თემის ნიშნითაა წარმოდგენილი: *აქაურ ზღვაში ცურვანა იცოდე, სხვანაირად ტრიალობს.*

7. შუალობითი კონტაქტის მაწარმოებელი *-ევინ* სუფიქსი *ნ* ბგერის გარეშეა მოცემული: *ჰუქუმათი არ აკვლევიებს.*

8. ერთპირიან საშუალი გვარის ზმნასთან (მედიოპასივთან) ნომინატიური კონსტრუქციის ნაცვლად გვაქვს ერგატიული კონსტრუქცია: *მათ მოვიდენ აქა.*

9. *ქონა* ზმნა III სერიის I თურმეობითში *-ებ* თემის ნიშნითაა გავრცობილი: *დიდი ქონება ქონებია, სკივრი უ̄ვსია და წამ̄ულია.*

10. ადგილის ზმნიზედა აქ -*ზე* თანდებულიანი ფორმითაა წარმოდგენილი: *მეიტანეს აქზე* (აქ).

11. ადგილის ზმნიზედა მაღლა -*ში* თანდებულიანი ფორმითაა გადმოცემული: *მაღლობაში ჰიჩ* (resp.: საერთოდ) *არ ალი, გათოვლდა და თოვლმა დაწვა.*

**უნიეს ილჩეს სოფელ გუზელიალიში ჩაწერილი ტექსტის ნიმუში:**

*ქედადან არიან წამოსული ყველა, სოფელ ჭარახმელადან ვარ. აქ სულ ქართველები იყვენ, ცოტა თურქია, გვიან მოსულან. რათ ვუთხრა? რუსმა გამოაქცია, თორმეტი კაცი მოსულა. იქიდან წამოსულან, აქ მოსულან, დამჯდარან. დედეი გამოსულა იქიდან.*

*ჩემ დედეის ერთი ზროხა და ერთი სკივრი წამუღია. დიდი ქონება ქონებია, სკივრი უვსია და წამუღია. აქ ვინმე არ იყო, ჰუქუმეთ* (resp.: მთავრობას) *მუცემიან.*

*შენ ქართველი ხარო, მკითხა (საქართველოში მცხოვრებმა ქართველმა), მე არ ვიცოდი, რა იყო. დედაბრები იტყოდენ, ქართველო შენო* (გაბრაზების დროს). *მარტო ბერები ილაპარაკებენ, ოთხი ბადიში მყავს, არცერთმა არ იცის ჩვენებური.*

(სახლს) *ფედევრათი* (rep.: ყავარი) *დავბურევდით, ზოგი ეწერით დაბურევდა. საქონელი იმას არ ჭამს, წვიმას იკავებდა. სიმინდ დავნაყევდით, ქარში გავაქროლებდით. ღომ წყალში ვხარშავდით, რძეს მემრე დაასხმიდენ. ტოკვეცით ვძიგვავდით. ღომო მაღალ იერებზე* (resp.: ადგილებზე) *იყო, დუზებზე არ იყო* (resp.: სწორ ადგილებზე). *მევიტან, დეინახავ მანგალს? მაი გ ზელია* (ცული), *მაგხელა არ იქნებოდა.*

*წრეულ დეიწვა, მაღლობაში ჰიჩ არ ალი, გათოვლდა და თოვლმა დაწვა. თხილი რომ კუკუთ* (ნაყოფს) *გეიღებს, მოწვა. ხილი, მეივა* (resp.: ხილი) *იქ, იაილაში არ გეიმართა. (მიწა) ზოგმა გაყიდა, ზოგმა ზიარაი* (საზიაროდ) *მისცა.*

*გაწვიმდა, ღელეს წყალი ჩამოვიდა და აამღვრია. გუშინ ჩემი ხისიმის* (resp.: *ნათესავის) ონ სექიზ იაშინდა* (resp.: თვრამეტი

წლის) *დეიხჩო და მეიტანეს აქზე. აქაურ ზღვაში ცურვანა იცოდე, სხვანაირად ტრიალობს.*

*სოფლიების მინისტრი იყო, ცხვრები, ზროხები, ქარხანაები როგორ მუშაობს (ეს ევალებოდა). დედ-მამა ქართული იყო, ლამაზი ლაპარიკი იცოდა. საქონელს მეიყვანდა გემიებით, ძალიან მუშო (მუშა) იყო. ავად იყო და ფული არ ეიღო მთავრობისგან, ამნაირი კაცი მუჰამედი იყო.*

უნიეს ილჩეს სოფელი კუშჩა (Kuşça) ქართველებითაა დასახლებული. ისინი - ჩიკვაიძეები, ჭელიძეები, ლორთქიფანიძეები, პარსელიძეები - აჭარიდან, ქედადან, სოფელ ვაიოდან მოსულან: *ფესვი იქიდანაა, ვაიოდან. თექსმეტი მოსახლე მოსულა.*

სოფელში 100 ოჯახია და, როგორც დღეს უკვე ქართველებით დასახლებული ყველა სოფელი, განათლების მაღალი დონით გამოირჩევა. სოფელში 150 უმაღლესი განათლების მქონე პირია.

თვალშისაცემი იყო ის გარემოება, რომ ეთნიკური იდენტიფიკაციისთვის მხოლოდ ქართულს იყენებდნენ: ცოლი ქართულია (ცოლი ქართველია); რძალები ორივე ქართული მყავს.

სასკოლო ასაკის დადგომისას, ისევე როგორც სხვა რაიონებისა და სოფლების მოსახლეობის უფროსი და საშუალო თაობის წარმომადგენლებმა, აქაც არ იცოდნენ თურქული ქართველებმა და ამის გამო თურქები მათ *კოზაქს* ეძახდნენ: *კოზაქ გვეძახდენ, მ̄უმსლელი. თურქები გვიძახდენ. კოზაქი,* მათი განმარტებით, უცოდინარს, თურქული ენის არმცოდნეს ნიშნავდა.

ახლა კუშჩაში ყველა დაინტერესებულია ეთნიკური ენის სწავლით: *დაბიწყებული ვიყავით, ახლა ყველა დაინტერესებულია.*

კუშჩაში ქართველები ნათესავების ერთმანეთზე დაქორწინების მიზეზს იმით ხსნიან, რომ ადრე თურქებს თავიანთ ქალებს არ ატანდნენ, არ აქორწინებდნენ მათზე. ამიტომ ქორ-

წინდებოდნენ ნათესავები ერთმანეთზე. ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ თავიდან ეს ვითარება არ გვქონდა და უცხო მიწაზე ყოფნის სიმძიმე იყო მიზეზი ქართველებისთვის უჩვეულო ქორწინებისა: *აქ თათრებს რო გოგოს ვერ აძლევდენ, ვერ ატანდენ, ერთმანეთზე ქორწინდებოდენ და ახლა არ არი. ძველათ თავიდან არ იყო, მემრე დეიწყეს.*

ლექსიკაში შემონახულია ის სიმბოლური დატვირთვა, რომელიც *ცხრას* გააჩნია: *დედ-მამამ ცხრაჯერ რომ გამლახოს, მე იმას ვერაფერს ვერ ვეტყვი.*

შემონახულია აგრეთვე ლექსიკური ერთეული ***ცხრო***, რომელიც ციების აღმნიშვნელია, ასევე მწერის აღმნიშვნელი ლექსემა **კოღო**: *იქ ცხრო იყო, კოღო იყო ბევრი და იქაურობას გაექცენ.*

ფონეტიკური თავისებურებებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

1. ო→ე: მეგენატრება (←მოგენატრება): *ზამთარში ბადიშები მეგენატრება.*

2. ა→ე: დეიწყეს (←დაიწყეს): *ძველათ, თავიდან არ იყო, მემრე დეიწყეს.*

3. გვაქვს უმარცვლო *ჲ*: *იქაურობა დაანახვენ თავიდან.*

4. გვაქვს სუბსტიტუცია, *ვ* და *ბ* ბგერათა მონაცვლეობა: *დაბიწყებული* (დავიწყებული) *ვიყავით, ახლა დაინტერესებულია ყველა.*

5. მემზღვარები (←მეზღვაურები).

მორფო-სინტაქსური თავისებურებებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

1. კუმშვადი არსებითი სახელი უკუმშველი ფორმითაა მოცემული ქართველების მეტყველებაში: ***რძალები*** *ორივე ქართული მყავს.*

2. ირღვევა შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრულისთვის ნიშანდობლივი ყალიბი და მსაზღვრელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი: ***ჩემ შვილებმა*** *ქართული არ იცოდენ.*

3. მართული მსაზღვრელ-საზღვრულის შემთხვევაში მსაზღვრელს ჩამოშორებული აქვს ნათესაობითი ბრუნვის თან-

ხმოვნითი ელემენტი, რაც ხშირად გვაძლევს კომპოზიტს: *ზღვიპირზე* (ზღვის პირზე): *ზამთარში ზღვიპირზე მივიდოდით.*

4. შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრულის შემთხვევაში თურქული ენის გავლენით წყობა არის პოსტპოზიციური და საზღვრული ფუძის სახითაა წარმოდგენილი: *უნიე ქალაქის გვერდით*, იქ ცხრო იყო;

5. *დატოვება* ზმნისგან მიღებულ მიმღეობაში *დატეული* ძირისეული *-ოვ* ამოვარდნილია, *-ებ* თემის ნიშნის თანხმოვნითი ნაწილი დაკარგულია: *ოჯახი დატეული მაქ* (დატოვებული მაქვს).

სოფელ კუშჩაში ჩაწერილი ტექსტის ნიმუში:

*ჩვენი დედეები მოვიდენ, ფესვი იქიდანაა, ვაიოდან. თექსმეტი მოსახლე მოსულა. სამოცი წლის მემრე მოვიდა ერთი ძმა. რაცხა დააშავა და წამოსულა. იქაური სახელი დედულაჲ ერქვა, აქაური სახელი ხასანაჲ იყო. უნიე ქალაქი არი, იქაურობა დაანახვენ თავიდან, უნიე ქალაქის გვერდით. იქ ცხრო იყო, კოლო იყო ბევრი და იქაურობას გაექცენ. ზამთარში ზღვიპირზე მივიდოდით, მემრე აქა და ზაფხულში იაილაზე.*

*აქ თათრებს რომ გოგოს ვერ აძლევდენ, ვერ ატანდენ, ერთმანეთზე ქორწინდებოდენ, ახლა არ არი. თავიდან არ იყო, მემრე დეიწყეს. აქ (მეზობელ სოფელში) ერმენლებს* (resp.: სომხებს) *უცხოვრიათ. მემრე ჩხუბი ატყდა, მათმა ჯარში არ წევიდენ და გაყარეს. სკოლაში წასლი ხან კოზაქ გვეძახდენ, მუმსლელი. თურქები გვიძახდენ. მე იმათი დასწავლებული ვარ (მათგან ვიცი).*

*ჩემ შვილებმა ქართული არ იციან. ლისე* (resp.: ლიცეუმი) *რომ დაამთავრა, ნაცნობმა ჩამომართვა უფროსი ბიჭი, იმან იცის. ცოლი ქართულია, იმას ვერ დავასწავლე. რძალები ორივე ქართული მყავს. ახლა დაინტერესებულია ყველა; დაბიწყებული ვიყავით. არჩევნებში ვიყავი ორჯერ.*

ორდუს პროვინციის ფაცას ილჩეში (რაიონში) 12 სოფელია: კაბახდაღი (Kabahdağı), დუაიელი (Duayeli), მეჰმეთ აქიფი (Mehmet Akif), კარატაში (Karataş), ოლუქლუ (Oluklu), საჰლი (Sahhli), ჰოილუ (Hoylu), თოქლუბაში (Toklubaşı), ჩეიქერდაღი (Çeikerdağ), ქონაქბაში (Konakbaşı), დუგუნლუკი (Düğünlük), იუსუფლუ (Yusuflu).

ფაცას ილჩეში (რაიონში) დაახლოებით 25 000 ქართველი ცხოვრობს, ხოლო საკუთრივ ქალაქ ფაცაში დაახლოებით 5 000-ს ითვლიან.

მიიჩნევენ, რომ ფაცაში *ძველი ქართული* (ძველი ქართველები) არიან. აქ *აჭარიდან არიან, ჩურუქსუდან* (resp.: ქობულეთიდან) *არიან*; მაგალითად, მოწყობილების ოჯახი (3 ოჯახია კაბახდაღში) სოფელ ზედა სამებიდან, ქობულეთიდან არიან.

კაბახდაღში 250 კომლი ცხოვრობს და ჩურუქსუდან, ხუცუბანიდან წამოსულან: *ჩივიან ხუცუბანიდან ვართო*. აქ გავრცელებული *ჩივა, ჩივიან* ცხადად მიუთითებს, რომ აქაურები გურიიდან, ქობულეთიდან არიან და მათი მეტყველებაც, შესაბამისად, გურული მეტყველებაა.

სოფელში მესხიძეები, დიასამიძეები, ბეჟანიძეები, ქათამაძეები, კენჭიშვილები, ბაჯელიძეები, ელიაძეები, ინაიშვილები, მოწყობილები... ცხოვრობენ. ქართველებზე წინ აქ თურქებსა და რუმებს (resp.: ბერძნებს) უცხოვრიათ.

აქ ყველა მოსულს, ქართველების გარდა, *კაძახს* (შდრ.: ყაზახი) უწოდებენ: *კაძახი მუა*.

აღსანიშნავია, რომ სოფელში, ისევე როგორც მთელ ანატოლიაში, ქართველებზე ადრე აქ მცხოვრებ თურქული მოდგმის ხალხს სახლის, ჯამეს შენება, კერძების კეთება ქართველებისგან უსწავლიათ; რაც, ბუნებრივია, ეჭვს ძნელად უნდა იწვევდეს, თუ გავითვალისწინებთ და შევადარებთ ერთმანეთს ქართველებისა და თურქების ცხოვრების წესს, მატერიალურ და სულიერ კულტურას მიწათმოქმედი და მომთაბარე ხალხებისას. რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ

აქაურ მამასახლისს თავისი შვილებისთვის უთქვამს, თუ სახლს აშენებ, წადი და ნახე, ქართველი როგორ აშენებსო. ქართველები აგრეთვე აღნიშნავენ, რომ ისინი სუფთა ხალხია, სიბინძურეს ვერ იტანენ, რაც სხვებსაც დაასწავლეს.

ამ სოფელში, ისევე როგორც სხვა სოფლებში, უფროსი და საშუალო თაობის ადამიანებმა მხოლოდ ჩვენებური იცოდნენ, ქართველებიდან თურქული არავინ იცოდა და შემდეგ დაისწავლეს: *მე ბილა* (resp.: თითქმის) *ათ წლამდინ ჩვენებური ვიცოდი, თურჩა არ ვიცოდი. თურქჩა არაკაცმა არ იცოდა, მემრე დევისწავლეთ.* ახლა კი, რადგან მექთებში (resp.: სკოლაში) თურქულია, ენაც დაიკარგა.

სოფელში ათი წელიწადია, რაც ბავშვებს ინტენსიურად ასწავლიან ქართულს, როგორც წერას, ისე კითხვას, სახლებში ქართულად ელაპარაკებიან და ცდილობენ, როგორც შეძლებენ ისე, სასწავლებლად საქართველოში გამოგზავნონ: *ათი წელიწადია ბაღნებს ქართულას ვასწავლით. შვილებს ვასწავლით ჩვენებურას, ხდონილობენ. ახალდაბადულ ბაღნებს დასწავლა უნდათ. ბაღანაჲ წერავს, ჰემ წერვა იცის, ჰემ კითხვა იცის. სახლში ჩვენ ჩვენებურა ვლაპარაკობთ. იქანაჲ მე გამუგზავნე.*

ბავშვებს ათ წლამდე არ ასწავლიან ქართულს, შემდეგ თურქულის სწავლა რომ არ გაუჭირდეთ: *ათ წლამდი ჩვენებურა არ დავასწავლით, თურქჩა ისწავლა, მემრე დავასწავლით. ჩვენ სახლში ჩვენებური ნამეტარი არ დეილაპარაკება.*

რაც შეეხება ფაცას ქართველების ლექსიკას, აღსანიშნავია შემდეგი:

მეტყველებაში დღემდე ცოცხლობს ქართული მატერიალური კულტურის, საცხოვრებელი ნაგებობის აღმნიშვნელი ლექსემა ფაცხა: *ფაცხა გუკეთებიან.*

ლექსიკურ ერთეულს კარს აქ *სახლის, სახლ-კარის* მნიშვნელობა აქვს: *რატომ არ მოხვალთ კარში?* (რატომ არ შემოდიხართ სახლში?).

ეწერს აქ *გვიმრას* უწოდებენ: *აქანაი მოსულებს ეწერი წუფარიან* (ეწერით გადაუხურავთ). სალიტერატურო ქართულისგან განსხვავებით, სადაც *ეწერს* ნიადაგთან დაკავშირებით, მის დასახასიათებლად იყენებენ, აქ შენარჩუნებულია სხვა მნიშვნელობაც: *ისლოვან-გვიმროვანი ტყე.*

დღემდე იყენებენ შაშრამს (შაშკვლავი), ზაფრანი, პილპილაი, მაკიდო: *შაშრამი არი, ზაფრანა არი, პილპილაი არი, ფხალი არი, შავი ლობია იქნება*; იგინმა *მაკიდო არ იციან.*

შემონახულია გამძლე და არომატული მსხლის ჯიშის სახელი **ხაჭაჭურა** (ხეჭეჭურა): *სხალიდან აქინაი ხაჭაჭურა იციან.*

კვეთი: *საქონელი რო დაკლიან, იმიდან კვეთ გააკეთებდენ.*

არაკაცი უარყოფითი ნაცვალსახელის - *არავინ* - გამომხატველია: *არაკაცი* (არავინ) *არ წასულა.*

ქართული სალიტერატურო ენის დასავლური დიალექტებისთვის დამახასიათებელი **ჰაწაი** ერთადერთი ფორმაა *პატარას* მნიშვნელობით: *მემრე რა უქნიან, ჰაწაი ქერი* (ადგილი) *გუშლიან, ჰაწაი სიმინდი.*

ნამეტარი აქ, ისევე როგორც სალიტერატურო ქართული ენის დიალექტებში, ვითარების ზმნიზედის - *ძალიან* - გამომხატველია: *ჩვენებური ნამეტარი არ დეილაპარაკება.*

ასევე მყარადაა ფეხმოკიდებული გურული დიალექტის გახაზირება: *მე მცოდნოდა, საჭმელ გავახაზირებდი* (რომ მცოდნოდა, საჭმელ გავამზადებდი).

*სიზარმაცეს* შემდეგი ფრაზეოლოგიზმი გადმოგვცემს: **ახლა გვძინავს** (ახლა ვზარმაცობთ).

დასვენების, მოსვენების აღსანიშნავად ქართველები შემდეგ ფრაზეოლოგიზმს იყენებენ: **ჰაწაი ჰავა აიღეთ.**

ქართველები იმის აღსანიშნავად, რომ რაიმე საგანი, ნივთი ახლოს არ არის, ამბობენ, **გაქნობაზე არ ალი** (ახლოს არ არის): **დედეი სახლი გაქნობაზე არ ალი** (დედეს სახლი, ახლოს, ერთ გაქანებაზე, ერთ განძრევაზე, ანუ ახლოს არ არის).

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მასალის ჩაწერისას საწერი კალმის მელანი გათავდა და ახალ კალამს დავუწყე ძებნა, რის გამოც ჩვენმა მასპინძელმა მკითხა: კალემი დეგექნია? (კალამი გაგითავდათ). ამ შემთხვევაში ქართველებს ლექსემისთვის მნიშვნელობა გაუფართოვებიათ.

*ჩივის/ჩივიან* გავრცელებული ფორმაა აქაურთა მეტყველებაში *თქმა* ზმნის გადმოსაცემად, რაც ტიპურია გურული დიალექტისთვის: *ჩივიან, ხუცუბანიდან ვართო* (ამბობენ, ხუცუბანიდან ვართო); *ჩივიან, ორმოცდაათი წლის წინ იყო, ჩვენ ვერ მეგვესწრო, მასე ჩივიან.*

*თქმა* ზმნას ენაცვლება ლექსემა *თხრობა*: *აქანა დაჯექითო, უთხრობიათ* (უთქვამთ).

*თუ* ნაწილაკიანი ფორმა, ზემოაღნიშნულის გარდა, გამოიყენება თხოვნის მნიშვნელობით: დაჯექით თუ! - *დაბრძანდით!*

ფონეტიკური თავისებურებებიდან აღსანიშნავია:

*ვე* ბგერათკომპლექსი გვაძლევს *ო*-ს: *სულ დავსოლდი* (←*დავსველდი*).

იკარგება მესამე ირიბ-ობიექტური პირის ნიშანი *ჰ*: *აქანამ მოსულ ვინცხა ფარა ჟქონდა, საქონელი უყიდიან.*

*რ* ბგერის გაჩენა სიტყვაში *ბევრი*, შემდეგ ამ ბგერით გამოწვეული დისიმილაცია და ფუძისეული *რ* ბგერის *ლ* ბგერად გადაქცევა: *ბრევლი* (შდრ.: ბევრი).

მეტყველებაში უმარცვლო *ჲ* გვაქვს *ვ* ბგერის ნაცვლად და აგრეთვე *ძალიან* ზმნიზედაში *ი* ხმოვნის ადგილას: *გამეიხე, აქაჲრობა ძალჲან* ლამაზი ყოფილა.

*ვ* ბგერა *მ* ბგერითაა შეცვლილი: *საჭმელ გააკეთებენ, ამსილია. ვ* ბგერა ჩნდება: 1. ანლაუტში, *ო* ხმოვნის წინ: *ვორი* (ორი): *ვორი შესავალი აქვს, ერთი სახლის ოჯახის შესავალი იყო, მეორე მისაფირის* (სტუმრის); *ვოთხი* (ოთხი) ოდა იქნება; 2. ინლაუტში: *მაშვინ კანაფ ჭამდენ.*

*კიდევ* ნაწილაკი ფონეტიკური ცვლილების შედეგად დასავლური დიალექტების ნაწილისთვის ჩვეული *კიდო* ფორმით გვხვდება: *სახლი იქნება, კიდო მასე იქნება.*

იკარგება *მ* ბგერა თავკიდურ პოზიციაში: *აქანაჲ მოსულან, სუყველაჲ ჱშიერია.*

სრული რეგრესული ასიმილაცია ა→უ: *ვინცხას დუუთესია (დუ̄თესია), ჟანდარმამ დეიჭირა; ფაცხა გუუკეთებიან (გუ̄კეთებიან), ეწერი წუუფარებიან (წუ̄ფარებიან).*

ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია ა→ე: *ჟანდარმამ დეიჭირა.*

*-თვის* თანდებული ფონეტიკურად *-თვინ* ფორმადაა სახეცვლილი: *ჰუქუმეთ* (resp.: მთავრობას) *ჩუენთვინ მუ̄ცემიან, ყაბახებითვინ წუ̄რთმევიან.*

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი *ვიღაც* დასავლური დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკურად სახეცვლილი ვინცხა ფორმით გვხვდება: *კანაფიდან ძაფ ვიტყოდით, თოქუმ ჭამდენ, ახლა ვინცხას დუ̄თესია, ჟანდარმამ დეიჭირა.*

მორფო-სინტაქსური თავისებურებებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

1. ფუძეკვეცად სახელთა უკვეცელობა: *ეს ჩემი დაჲს ბაღანეა; პაწაჲ ჯამე... ქვაჲდან გუ̄კეთებიან.*

2. პირის ნაცვალსახელები, რომლებიც ფუძეთა სუპლეტურობით გამოირჩევა, ერგატიული კონსტრუქციის *იცის* ზმნასთან მოთხრობითი ბრუნვის *-მან* ფორმანტს დაირთავს: *იგინმა მაკიდო არ იციან, იგინიც მოხარშვენ, ფილავზე დაყრიან; მაგინმა სახლის კენარი არ იციან; აგინმა სიმინდის მარგლა არ იცოდენ.*

3. მიმართებითი ნაცვალსახელები *ვინც* და *რაც* გურული დიალექტისთვის დამახასიათებელი *ვინცხა* და *რაცხა* ფორმითაა დღემდე შემონახული: *ვინცხა ფუხარა* (resp.: ღარიბი)

*ყოფილა, იმას მ̄უქსევია* (მოუქსოვია); *ასი წლის მემრე რაცხა გინდათ, ის ქენითო.*

4. მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება რიცხვში: საზღვრული *-ებ*იანი მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი, ხოლო ატრიბუტული მსაზღვრელი *ნ*არიან მრავლობითში დგას: *აქ დიდვანი ხეები ყოფილა. დიდვანი* ფორმა დამახასიათებელია გურული დიალექტისთვისთვის.

5. მრავლობით რიცხვში მდგარი სუბიექტი, რომელიც მეტყველებაში გამოტოვებულია, ინვერსიული ზმნის *აქვს* III სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაში *-თ* ფორმანტის ნაცვლად *-ან*-ს წარმოგვიდგენს და ინვერსიულ რიგს ასწორებს: აქაურობას *აფერი ჯამე არ ქონებიან* (აქაურებს, აქ მაცხოვრებლებს არანაირი ჯამე არ ჰქონიათ).

6. იმდენად ჭრელი სურათია რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით, რომ თვით ერთსა და იმავე წინადადებაში მხოლობით რიცხვში მდგარი *ვინ* ჯგუფის სახელი ზმნას ხან მხოლობით რიცხვში ითანხმებს, ხანაც მრავლობითში: *ჩვენზე წინ თურქები იყვენ, რუმები* (resp.: ბერძნები) *იყო, ერმენლი* (resp.: სომხები) *იყო.*

7. განსაზღვრებით ნაცვალსახელთან - *ყველა* - გარდამავალი ზმნა მრავლობით რიცხვში გვაქვს, რასაც ამ ნაცვალსახელის სემანტიკა და მომდევნო ურთიერთობითი ნაცვალსახელი *ერთმანეთი* იწვევს: *ყველა ერთმანეთზე მ̄უხმარებიან* (ყველა ერთმანეთს დახმარებია).

8. მეტყველებაში გვხვდება II ხოლმეობითის ფორმები: *საქონელი რო დაკლიან, იმიდან კვეთ გააკეთებდენ.*

9. *-ავ* თემისნიშნიანი ზმნები შეკუმშულ ფორმებს გვიჩვენებს: *იგინიც მოხარშვენ, ფილავზე დაყრიან.*

10. მესამე სერიის I თურმეობითის ინვერსიულ ფორმებში მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაში მოსალოდნელი *-თ* სუფიქსის ნაცვლად უმთავრესად *-ნ* სუფიქსიანი ფორმები

გვაქვს: *მიწა მ̄უცემიან; ყაძახებითვინ წ̄ურთმევიან; ფაცხა გ̄უკეთებიან; ეწერი წ̄უფარებიან; ღერი გ̄უშლიან.*

11. მესამე სერიის I თურმეობითის ინვერსიულ ფორმებში მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაში მხოლოდ ერთხელ დავადასტურეთ *-თ* სუფიქსიანი ფორმა: *დაჯექითო, უთხრობიათ* (უთქვამთ).

12. *-ებ* თემისნიშნიანი *მოწონება* ზმნა მყოფადის მწკრივს *-ებ* თემის ნიშნის გარეშე და *დ-* სუფიქსით აწარმოებს: *ოცდახუთ წელიწადს მემრე ქალი თუ მოგწონდათ, აართვითო.*

13. დასავლური დიალექტებისთვის დამახასიათებელი ადგილის ზმნიზედა *აქანა* ბოლოში *ა* დართული ფორმითაა წარმოდგენილი: *აქანაა გაკეთებულია; აქანაა მოსულ ვინცხა ფარა ქონდა, საქონელ უყიდიან.*

14. ვითარების ზმნიზედები *საერთოდ, სულ* ჩანაცვლებულია თურქული *ჰიჩ* (resp.: საერთოდ, სულ) ერთეულით: *ჩვენებური ჰიჩ არ იციან თურქმა; სახლს გააკეთებენ, წინ ჰიჩ არაფერი არ არის.*

15. *-გან* თანდებული *-დან*-ადაა სახეცვლილი: *ჩვენდან დ̄უსწავლიან* ( ჩვენგან დაუსწავლიათ).

16. ვითარებითი ბრუნვის *-მდე* თანდებული *-მდინ* ფორმითაა მოცემული: *ერმენები ჩვენ მოსლამდინ წასულან.*

17. *რომ* კავშირის ფუნქციას ასრულებს თურქული მეტყველებისთვის დამახასიათებელი *-ია* ნაწილაკი, რომელიც, ჩვეულებრივ, ზმნას ახლავს ბოლოში: *იმას უბნებიან და თურმე და ჩვენ არ ვიცოდით, წელან ვთქვია.*

18. *-ც, კიდეც* ნაწილაკებს ცვლის თურქული *ჰემ/ხემ. ჰემ წერვა იცის, ჰემ კითხვა იცის* (წერაც იცის, კითხვაც იცის, კიდეც წერს და კიდეც კითხულობს); *ხემ მიეცით, ხემ აართვითო.*

კაბახდაღში ჩაწერილი ტექსტების ნიმუშები:

*ფაცაში ძველი ქართული არიან. აჭარიდან არიან, ჩურუქსუდან არიან. ჩვენ ჩურუქსუდან ვართო, ჩივიან. იქანაა*

*ბრევლი ყოფილა. იმიდან ჩივიან, ხუცუბანიდან ვართო, მასე ჩივიან. ჩვენზე წინ თურქები იყვენ, რუმები* (resp.: ბერძნები) *იყო, ერმენლი* (resp.: სომხები) *იყო. ერმენები ჩვენ მოსვლამდინ წასულან. დიასამიძე აქანაც არის, გაღმაც არის. ერთ კაც ზე ონ იქი* (resp.: *თორმეტი) დონუმი (მიწა) მუცემიან, ყაბახებითვინ წურთმევიან. აქ დიდვანი ხეები ყოფილა. გამეიხე* (გამოიხედე), *აქაჯობა ძალუან ლამაზი ყოფილა. აქანაც მოსულან, სუყველაც შიერია. მემრე რა უქნიან? პაწაც დერი გუშლიათ, პაწაც სიმინდი, პაწაც ბუდაც.*

*ფაცხა გუკეთებიან, ეწერი უფარებიან. აქანაც აფერი ჯამე არ ქონებიან, ჩვენდან დუსწავლიან. პაწაც ჯამე გუკეთებიან, მემრე დუშლიათ, ქვაციდან გუკეთებიან. იქიდან მოსულები ვინცხას ფული აქვს, იმას კარგი სახლი გუკეთებიან, ვინცხა ფუხარა* (resp.: ღარიბი) *ყოფილა, იმას მუქსევია, სუყველა ერთმანეთზე დუხმარებიან. ვოთხი* (ოთხი) *ოდა* (resp.: ოთახი) *იქნება: სალონში შეხვალ, მუთფაღი* (resp.: სამზარეულო), *ბათაღ ოდა* (resp.: საბინებელი), *ბაღნის ოდა. პაწაც სახლი იქნება, კიდო მასე იქნება* (სახლი პატარა რომ ყოფილიყო, მაინც ასე იქნებოდა). *ვორი* (ორი) *შესავალი აქვს, ერთი სახლის ოჯაღის შესავალი იყო, მეორე მისაფირის* (resp.: სტუმრის). *აქანაც მოსულ ვინცხა ფარა ქონდა, საქონელი უყიდიან, სახლის ქვეშა საქონლის დერი გუკეთებიან.*

*ათი წელიწადია ბაღნებს ქართულას ვასწავლით. ბაღანაც წერავს, ჰემ* (resp.: თან) *წერვა იცის, ჰემ კითხვაც იცის. ეს ჩემი დაბს ბაღანეა. სახლში ჩვენ ჩვენებურა ვლაპარაკობთ. იქანაც მე გამოუაგზავნე. ჩვენებური ვარ, ვიტყვი. მე ბილა* (resp.: თითქმის) *ათი წლამდინ ჩვენებური ვიცოდი, თურქჩა არ ვიცოდი. თურქჩა არაკაცმა არ იცოდა. მემრე დევისწავლეთ.*

*ახლა ქორწილი აქვს ამხანაგს, იმასთან წავიდა. მე თქვენთან ქორწილში მივედი, თქვენ სალონში ექცევით. აქაჯობა სულ ჩვენებურ საჰმელ გააკეთებენ, ამსილია. თქვენთან ხორცი ბრევლია, ჩვენთან ბრევლი არ ალი. შაშრამი არი, ზაფრანი არი,*

*ფხალი არი, შავი ლობია იქნება. აირანს* (resp.: დოს) *მოადუღებენ, აიჭრება, იმიდან ყველს გააკეთებენ. საქონელი რო დაკლიან, იმიდან კვეთ გააკეთებდენ. ისინი (თურქები) მოვლიან, ქართულის* (ქართველების) *ყავირმა* (ყაურმა) *ვჭამოთო. იგინმა მაკიდო არ იციან, იგინიც მოხარშვენ, ფილავზე დაყრიან, ჩვენ საჭმელ ვაკეთებთ. მაგინმა* (თურქებმა) *სახლის კენარი* (resp.: აქ: ეზო - ი.ღ.) *არ იციან, სახლ გააკეთებენ, წინ ჰიჩ* (resp.: საერთოდ) *არაფერი არ არის.*

*ალი ფაშას უთხრომია, ოცდახუთ წელიწადს არ მისცეთ ქალი (თურქებს), ოცდახუთ წელიწადს მემრე ქალი თუ მოგწონდათ, აართვითო (თურქებს), ჲეთმიშ ბეშ სონრა* (resp.: სამოცდათხუთმეტი წლის შემდეგ) *ხემ* (resp.: თან, კიდეც) *მიეცით, ხემ აართვითო, ასი წლის მემრე რაცხა გინდათ, ის ქენითო.*

*მუხტარის* (resp.: სოფლის თავის, უფროსის) *დაჲ ვარ. ზამფხულში აქა ვარ, ზამთარში ქალაქში ვარ. კაცი ორსულაჲ ვიყავ, მომიკტა. რატომ არ მოხვალთ კარში? პაწაჲ ჰავა აიღეთ. ჩვენ სახლში ჩვენებური ნამეტარი არ დეილაპარაკება. წერვა არ ვიცით, ენა დეიკარჭა. ახალდაბადულ ბაღნებს* (ახალგაზრდებს - ი.ღ.) *დასწავლა უნდათ. მე მცოდნოდა, საჭმელ გავახაზირებდი.*

*ხულოში გევედია, ბრევლი სახლი არ დიმინახია. ხულოში და ქედაში ბრევლი სახლი არ ალი, პაწაჲა. დღე-ხვალ იქანაჲ ქორწილია. მე წევდო მინდა. იქანაჲ პაწაჲ სახლი გავაკეთო მინდა. ახლა გვძინავს* (ვზარმაცობთ).

სამსუნის პროვინციის სალიფაზარის ილჩეში (რაიონში) ეთნიკური ქართველებით დასახლებული 7 სოფელი და 6 უბანია (resp.: უბანია): ქესთანე პინარი (Kestane Pinar), ფილენჯიკი (Filencik), ქარადერე (Karadere), მუსლუბეი (Muslubey), ბიჩმე (Biçme), ალან იენქინი (Alan Yenkin), იენი დოღანი (Yeni Doğan), ქართველებით დასახლებული უბნებია: ქუშჩუაზი (Kuşçuaz), ქარაბაში (Kara Baş), აიაზმა (Ayazma), სოიუქი (Soyuk), აზთეფე (Aztefe), მერკეზი (Merkez).

სალიფაზარში დაახლოებით 6000 – 7000-მდე ჩვენებური - ცენტერაძეები, პილპილაძეები, ჯინჭარაძეები, გოგიტიძეები, ჯაფარიძეები, ჰაჯი-ოღლები... ცხოვრობენ, რომლებიც *ორთა ბათომიდან* (resp.: შუა ბათუმიდან) და მაჭახლიდანაც (სოფელი ზედვაკე) არიან.

სალიფაზარის ჩვენებურებს საქართველოში მცხოვრები ქართველები თავიანთ და-ძმად მიაჩნიათ, ისინიც *აქაურები* (ქართველები) არიან, ჩვენი თავი არ დაუვიწყებიათ და საქართველოში მცხოვრებ ქართველებსაც არ უნდა დაავიწყდეთ ისინი; წუხან, რომ *ჩვენებურები* (საქართველოში) *ვინმეს არ აგონდება* (არავის არ აგონდება). *მე ქართველები მიყვარს, მეც ასე შემხედონ. ახლა მეც იქაური ვარ, მე შენი თავი არ დამივიწყნია, შენაც არ უნდა დაგავიწყდეს. იქაური ქართველები და ჩვენებურები და-ძმა არის. პაწა ბაღნებმა ერთმანეთი იცნონ.*

სალიფაზარში ოთხი წელიწადია, რაც საზოგადოება გაიხსნა, ქართველები აქ იკრიბებიან და უნდათ, რომ ეს საზოგადოება იყოს ენის შენარჩუნების ერთ-ერთი ფაქტორი, რომ *გავშვებმა ენა არ დეივიწყონ.*

სალიფაზარში გავიგეთ პირველად, რომ თურქები ბოლოკაები არიან. *ბოლოკაების* მნიშვნელობა, სემანტიკა ნათლად ვერ აგვიხსნეს ჩვენებურებმა, მაგრამ *დედები ისე ჩიოდენ, თურქები ბოლოკაები, კუდიანები არიანო.* ამრიგად, ლექსემა *ბოლოკაები* თავისი მნიშვნელობით, სემანტიკით ახლოს იდგა *კუდიანთან.* ბოლოკაებს ჩვენებურები არ უყვარდათ.

სალიფაზარის ილჩეს სოფელ აიაზმაში, სადაც 300 კომლი ცხოვრობს, 99 წლის ომერ ილმაზის გადმოცემით, საქართველოდან გადმოხვეწის მიზეზი მუსულმანობა და ლოცვის აკრძალვა, შეუძლებლობა ყოფილა. რუსები მათ მუსულმანობას, ლოცვას უკრძალავდნენ. ისინი *ორთა ბათომიდან* (resp.: შუა ბათუმიდან) ჯერ ჩარშამბაში მოსულან, მაგრამ იქაურობა არ მოსწონებიათ წყლისა და ტყის არარსებობის

გამო. შემდეგ აქ, ქალაქში მოსულან, წყალი ამოუღიათ, მაგრამ ცხენს არ დაულევია, ბოლოს კი ეს ადგილი უპოვიათ ტყეში, სადაც კარგი წყალი იყო და დარჩენილან.

ამიტომაც არის, რომ დღემდე ყველა ქართველი სოფლისკენ მიეშურება, როგორც კი დროს იშოვის ან კიდევ ზაფხულში, რადგან ქალაქს ვერ შეეჩვივნენ: *ვერ დევეჩვიეთ შეჰირში* (resp.: ქალაქში).

ბათუმიდან წამოუღიათ *მიწავაშლაჲ, ყავაღი ვაშლი, შავი ყურძენი, ბათუმის სხალი, ქლიავი, ტყემალი.*

ჩვენებურებმა დაასწავლეს კუდიანებს (თურქებს) სიმინდის გამარგვლა, სახლისა და ჯამეს გაკეთება (სანამ ჩვენებურებისგან დაისწავლიდნენ, მანამდე სახლში ლოცულობდნენ), მათ არც მაწვნისა და კარაქის კეთება სცოდნიათ. არც ბექმეზი იცოდნენ რა იყო, ჩვენებურებისგან უსწავლიათ მისი კეთებაც. ჩვენებურებს დიდი წვლილი მიუძღვით იქ დამხვდური ხალხის ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში.

სოფელში და, საერთოდ, ქართველებში დიდხანს შემორჩენილა ნიშნობისა და ქორწილის ტრადიცია: ქალს რომ დანიშნავდნენ, ორი თვის შემდეგ ქორწილს აკეთებდნენ. ქალი ჯორით მიჰყავდათ, მზითევს ატანდნენ, სკივრში ჩაუწყობდნენ და ვირს აჰკიდებდნენ. ქორწილი გათენებამდე გრძელდებოდა. სოფელი ბევრ საჭმელს აკეთებდა, ხორცეული ბევრი იყო სუფრაზე, ორ-სამ ხარს კლავდნენ.

ლექსიკიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ისეთი საინტერესო სიტყვა, როგორიც ხელწისქვილაა. ხელწისქვილა დასაფქვავი სიმინდი ან ხორბალი იყო, რომელიც წყალის წისქვილში მიჰქონდათ.

წუთხე მარილწყალია: *ქოთანში მარილიან წყალ ასხამდენ, წუთხეს.*

მიწავაშლაჲ ვაშლის ერთ-ერთი, *ჟავე* (მჟავე) სახეობა იყო.

ჩვენებურების ჲაღს (resp.: ცხიმს) ყორავოს უწოდებენ: *ჩვენებურების ჲაღს ეტყვიან, ყორავოს ეტყვიან. ჩვენს სახლებში თლათ ყორავო იქნება.*

აღსანიშნავია სიტყვა ხამი, რომელიც *ცუდს* ნიშნავს: *ტაიას თავზე ხამი ლეღვი ყოფილა, დუკრეფია, უჭამია, მოსლამდი მომკტარა.*

გაბრაზებისას იყენებდნენ ისეთ ფრაზეოლოგიზმს, როგორიცაა ღორის ნაგაზი: *შე, ღორი ნაგაზო.*

ფონეტიკური თავისებიდან აღსანიშნავია:

*დ* - მჟღერი ბგერის დაყრუება - დ → ტ: *მაშინ რამტონი ძროხა, რამტონი ცხვარი იქნებოდა?*

მეტათეზისი: *ხს→სხ. აქაური დერნეგი* (resp.: საზოგადოება) *ოთხი წელიწადია გავსხენით.*

*ვ* და *მ* ბგერების სუბსტიტუცია: *წვინდადან* (წმინდადან) *ჭადი ვაკეთებდით.*

*უ* ხმოვანი *ვი* ბგერათკომპლექსს გვაძლევს: *სახლში ლოცვილობდენ.*

*ო* ხმოვანი *ვი* ბგერათკომპლექსს გვაძლევს: *დედეი ეტყვიდა, მოკიდე ხელი ვაშლ.*

*ე→ო. რამდონ სიმინდ წეიღებდიო, უთქმია; კიდო იგინი სიმინდ თესავენ.*

ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული *მიძია* ბუძიად არის სახეცვლილი (ი → უ).

ფონეტიკური ცვლილებების შედეგად ურთიერთობითი ნაცვალსახელი *ერთმანეთი* სახეცვლილია ერთვანებად: *რატომ ერთვანებს ეხმარებიან, უთქმიან-დია.*

გრამატიკული თავისებურებებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

1. პირველ რიგში აქ აღსანიშნავია თხრობისას დროთა სრული აღრევა. თხრობისას, იმისდა მიუხედავად, ვითარება აწმყოს, წარსულს თუ მომავალს ეხება ან კიდევ საჭიროა თუ არა დროის გამომხატველი ყველა ფორმის გამოყენება, ჩვენებურები ერთმანეთის გვერდიგვერდ დროის ყველა ფორმას იყენებენ, რითაც სურათი და, შესაბამისად, თხრობა ჭრელდება: 1) II კავშირებითის ფორმა გამოყენებულია წარსული დროის გამოსახატავად, მყოფადის ფორმა უწყვეტლის მწკრივით გადმო-

საცემი განგრძობითისთვის, 2) დარღვეულია დროთა შეთანხმების წესები: *ოცი წელი გეიაროს* (ოცი წლის წინ), *მაშინ მოტაცნა არ იყო, მაშინ ჯორით მიყავდენ. ნიშან იქდენ, ორ თვეს მემრე ქორწილი უნდა ვქნა. ნეფე, დოდოფალი იყვენ. სკივრში ჩადებდენ (მზითევს), ვირს აკიდვენ* (აკიდებდნენ). *ახლა არ დარჩა მაგან. გელინი მეიყვან, გათენებამდი ქორწილი იყო, სოფელი საჭმელებ აკეთებდენ, ხორცი ბოლი იყო, ორ, სამ ხარ დაკლიან. მაშინ სიცხვილი იყო (მოფერება).*

2. კრებითი სახელი მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ -*ებ* ფორმანტს დაირთავს: *ცხვარებში შენ წადი.*

3. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იკარგება მიცემითი ბრუნვის ნიშანი -*ს*, მაგრამ თუ მიცემით ბრუნვაში მდგარი სახელი მოსდევს ზმნას, მაშინ ის ხშირად შენარჩუნებულია: *ვიყიდვიდით სიმინდის.*

4. მრავლობით რიცხვში მდგარი *ვინ* ჯგუფის სახელი ზმნას მხოლობით რიცხვში ითანხმებს: *იქაური ქართველები და ჩვენებურები და-ძმა არის.*

5. მესამე სუბიექტური პირის ნიშანი მრავლობით რიცხვში II სერიის წყვეტილის მწკრივში მოსალოდნელი -*ეს* სუფიქსის ნაცვლად -*ენ* სუფიქსია: *სიმინდ ვერ მარგლიდენ, ჩვენებურებმა დააწავლენ, ჩვენებურებმა სახლი გაკეთება დააწავლენ.*

6. სურათი სახელისა და რიცხვის შეთანხმების თვალსაზრისით იმდენად ჭრელია, რომ, ზემოთქმულის საპირისპიროდ, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელით - ზოგი - გადმოცემული სახელი იცის ზმნას მრავლობით რიცხვში შეითანხმებს: ***ზოგმა იციან, ზოგმა არ იციან.***

7. ვნებითი გვარის ზმნასთან სახელის ერგატიული კონსტრუქციაა წარმოდგენილი: ***ნახევარმა იქა დარჩა, ნახევარმა აქა დარჩა; ახლა არ დარჩა მაგან.***

8. ვნებითი გვარის ფორმისთვის დამახასიათებელი -*ებ* თემის ნიშანი იკარგება და მის ადგილას გვაქვს -*ვ*- ინფიქსი და ხოლმეობითის ფორმებისთვის დამახასიათებელი -*ი* სუფიქსი:

*რუსიას იმფერი დერი ქონებია-ქი, ინსანი* (resp.: ადამიანი) *გეიყინვის.*

9. შემორჩენილია უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმები: *ცხვრის მატყლიდან დაართვიდენ, ქალამან ჩევიცმიდით, ვიყიდვიდით სიმინდის.*

10. მომავალი დროის გამოსახატავად იყენებენ II კავშირებითის ფორმებს: *პაწა ბაღნებმა ერთმანეთი იცნონ* (პატარა ბავშვებმა ერთმანეთი გაიცნონ).

11. *-ამ* თემისნიშნიან ზმნას I სერიის მწკრივებში *-ამ* თემის ნიშნის გარეშე იყენებენ: *ზუბუნაძს ზედ იცვოდენ.*

12. *-ებ* თემისნიშნიანი ზმნისგან საწყისი *-ებ* თემის ნიშნის გარეშე და საწყისთა ერთი ჯგუფისთვის დამახასიათებელი *-ნ-* აფიქსითაა ნაწარმოები: *მაშინ მოტაცნა* (მოტაცება) *არ იყო.*

13. ადგილის ზმნიზედას შიგნით *-გან* თანდებულის სახეცვლილი ფორმა *-დან* ერთვის: *ცხელი ჭადის შიგნიდან* (შიგნით) *ჩადევი ლამაზათ.*

14. მიზეზის ზმნიზედა *რატომ* გურული დიალექტისთვის ჩვეული რაიზა ფორმითაა წარმოდგენილი: *რაიზა მომღალე* (რატომ დამღალე)?

სოფელ აიაზმაში ჩაწერილი ტექსტების ნიმუშები:

*ბაბოს მამა რისმან-აღა წამოვიდა ორთა* (resp.: შუა) *გათომიდან. იქიდან რატომ აქეთ წამოსულან? ჩვენ მუსლიმანი ვართ, ვერ დავდგებითო. არ ალოცვიებდენ. რუსები უშლიდენ, მუსლიმანი არ იყო დიე. უშლიდენ. გურჯისტანმა ნელ-ნელა ფეხზე დადგა. რუსიამ უთხრა გზაი მომეციო, თურქიამ არ მისცა. რუსიას იმფერი დერი ქონებია-ქი, ინსანი* (resp.: ხალხი) *გეიყინვის. რუს ქონებია მოტორიები. ორი ძმა იქ დარჩენილა, სამი ძმა აქ წამოსულა, მემრე გადავალ, გადმევიყვანო, მემრე კარები დუკლიტიან, ვერ გადმოსულა. იქაურმა ეინგრია* (აირდაირია). *ჩარშამბაზე გადმოსულან, იქაურობა არ მოწონებიან, წყალი და ტყე არ ყოფილა. თემიზ* (resp.: სუფთა) *ჰავას მიჩ-*

*ვეული არიან. ამოსულან აგნებში, ტყეში, წყალი კაა. შეჰირი ქვეით* (ქალაქის ქვემოთ) *ამუღიან, ცხენს უსმია, ამოსულან აგინებში.*

- *რამდენი გადმევიდა? ათი გამევიდა?*
- *ნამეტარია.*

*ოცი?*

*იქნება!*

*კუდიანები* (თურქები) *სიმინდ ვერ მარგლიდენ, მაშინ ფუხარა* (resp.: *ღარიბი) იყვენ, ჩვენებურებმა დააწავლენ. ჩვენებურებმა დააწავლენ ჯამეს გაკეთება. ჰად* (სად) *ლოცვილობდენ? სახლში ლოცვილობდენ კუდიანები. ჩვენებურებმა დააწავლენ. მემრე დეიწავლენ აქა. ჩვენებურებმა დაგვაწავლენ, რაფერ სიმინდ ჭრიანო. იგინებმა ბაილები არ იცოდენ, ჩვენებურებმა დააწავლენ.*

*მემრე ნამეტარი სიმინდი ავიღეთ. წყალის წისქვილი იყო, ხელწისქვილას წავიღებდით. წვინდადან სიმინდის ჭადი ვაკეთებდით. სიმინდის ჭად ვჭამდით. კეცში გამუაცხობდით, გააცხელებდენ, იმის შიგნით გამოცხვება ჰემ პური, ჰემ ჭადი* (resp.: პურიც, მჭადიც). *ცხელი ჭადის შიგნიდან ჩადევი ლამაზათ ერბო. ჩვენებურების ბაღს* (resp.: ცხიმს) *ყორავოს ეტყვიან. ჩვენ სახლებში თლათ ყორავო იქნება. ჩვენებურები გემრიელ აკეთებდენ. ქოთან ვიყიდავდით, იმაში ჟავეს ჩავდებდით. ყურძენის ქოთანი იყო, ვაშლის ქოთანი. აგინებმა* (თურქებმა) *ბექმეზი არ იცოდენ, ჩვენებურებმა დააწავლენ. აგნებს თეთრი ლობია ქონდენ.*

*შავი ყურძენი იქიდან გადმოსულა, ბათუმის სხალი იქიდან გადმოსულა, ყავაღი ვაშლი, ქლიავი, ტყემალი იქიდან გადმოვიდა. თხილი გადმეიტანეს, ლობია გადმეიტანეს; მიწავაშლაც ჟავე იყო. ტაიას* (resp.: ბიძის) *თავზე ხამი ლეღვი ყოფილა, დუკრეფია, უჭამია, მოსლამდი* (სახლში მოსვლამდე) *მომკტარა.*

*მაშინ რამტონი ძროხა, რამტონი ცხვარი იქნებოდა? ახლა იმას ვერ ვჩივი. მაშინ ოცი ცხვარი, ოცი თხა იქნებოდა, წველიდენ. თხაძს და ცხვარის ძეს არ გ̄ურევდენ. თხის ყველი დაჰა* (resp.: უფრო ი.ღ.) *იყო. ქოთანში მარილიან წყალს ასხამდენ, წუთხეს.*

*ცხვრის მატყლიდან დაართვიდენ, ზუბუნაძს ზედ იცვოდენ. წინდებ ვქსოვდით ცხვარის მატყლიდან. ძროხის საქონელის ტყავიდან ქალამან ჩევიცმიდით. არ ემეწვიეს დია* (რომ არ ამწვოდა).

*ჩვენებურაძ კაცები სიმღერას ჰემ ამბობენ, ჰემ სიმინდ ჭრიან. ესქიდენ* (resp.: *ძველი დროიდან) ბუძიაები სამობდენ* (resp.: *ცეკვავდნენ*). *ქალები ჩვენებურები ღმერობდენ. ხოჯაძ გადმეიყვანონ, დააწავლონ ლამაზა ჩვენებურაძ სამობა* (resp.: *ცეკვა*).

*ოცი წელი გეიაროს* (ოცი წლის წინ), *მაშინ მოტაცნა არ იყო, მაშინ ჯორით მიყავდენ. ნიშან იქდენ, ორ თვეს მემრე ქორწილი უნდა ვქნა. ნეფე, დოდოფალი იყვენ. სკივრში ჩადებდენ (მზითევს), ვირს აკიდვენ. ახლა არ დარჩა მაგან. გელინი მეიყვან, გათენებამდი ქორწილი იყო, სოფელი საჭმელებ აკეთებდენ, ხორცი ბოლი იყო, ორ, სამ ხარ დაკლიან.*

სოფელ აიაზმაში ჩაწერილი ლექსი:

*იგერ გაღმა ბალები,*
*ზედ ესულან ქალები,*
*ჩამოძ ძირში, უთხარი,*
*დიმიყლიჰენ თვალები.*

*თოფი მქონდა ჯანგარა,*
*ხან ვარდება, ხან არა,*
*მე ნალიაზე ვერ ავალ,*
*კიბეძს უ̄ყუდებელაძ,*
*მე ასკერში ვერ წავალ,*
*გოგვებ ჩ̄ეტებელაძ.*

სამსუნის პროვინციის, ჩარშამბას ილჩეს (რაიონის) 1‹ სოფელში - ჩათაღში (resp.: Çatağı) 300 კომლი, ქესთანე პინარში (Kestane Pinar) – 320 კომლი, კარა დერეში (Kara Dere) - 200 კომლი, იუკარი ქესთანე პინარში (Yukar Kestane Pinar) – 32( კომლი... ცხოვრობენ ქართველები, რომლებიც *ასი და ათი წელია მოსულან ზედვაკედან* (მაჭახელა): საითოშვილები, თემინდარისშვილები, ჰაჯიშვილები, იხტერ-ოღლები (ბერიძე), აჯალ-ოღლები, ჰაჯი ალი-ოღლები, შიშმან-ოღლები, ქოს-ოღლები...

ქესთანე პინარში შარინ-ოღლების, მელ-ოღლების, აბდი-ოღლების, სალი-ოღლების, თათუნ-ოღლების, სემიზ-ოღლების, უზბაშ-ოღლების, ქოს-ოღლების, უსტი-ოღლების, დემრა-ოღლების, ჩელ-ოღლების... 40 ოჯახი ცხოვრობს. ყველა აქ ჩამოთვლილი გვარის ხალხი ერთსა და იმავე დროს მოსულა აქ.

ფეჰმი უსტიაშვილი-უზალის მონათხრობის მიხედვით, მისი წინაპრები 200 წლის წინ კახეთიდან ქობულეთში მოსულან: ბაბუები ამბობდნენ, ჩურუქსუდან ჩამოსულა სამი ძმა: აიდინი, ილდირიმი, უზალი და მათი ორი ბიძაშვილი. ორი ბორჩხაში დარჩენილა, ერთი ძმა სტამბოლსა თუ ადაფაზარში წასულა, ხოლო ერთი ფეჰმი უსტიაშვილის ბაბუა, ანუ როგორც თვითონ უწოდებენ, მამას დედე ჩარშამბაში მოსულა და იქიდან წამოსულა ქესთანე პინარში. 1914 წელს უკვე აქ ყოფილან. მათი სოფლის გვერდით იუნანები (resp.: ბერძნები) და ერმენები (resp.: სომხები) ყოფილან. მალე ომი დაწყებულა. ჯარისკაცები მოსულან და ბერძნები და სომხები გაუყრიათ. ფეჰმი უსტიაშვილის ბაბუასთვის უთქვამთ, დაგვეხმარეო. ისიც წასულა ომში და იქ მოუკლავთ. მას ხუთი შვილი ჰყოლია და იმათი შთამომავლები დღესაც აქ და სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობენ.

მიზეზი ქართული ენის არცოდნისა აქაც ერთია: ბავშვებმა არ იციან ჩვენებური, რადგან ქალაქში იზრდებიან და დედებიც არ ელაპარაკებიან.

ლექსიკიდან აღსანიშნავია მადლი: *ინა მისვია, მადლიაო, ფეიჰამბერის გოგოებ დუდვიან და მადლიაო.*

ცხრო - ციება: ორი ძმა მყავს, რვაც მომკტარი არიან. ცხრო იყო, ესქიდე (resp.: ძველად) წამალი არ იყო.

წურვილი კერძის სახელია, მათი გადმოცემით ეს არის მოხარშული, გაწურული ფხალი, დანაყული კაკლით, ქინძით, მარილითა და ძმრით შეზავებული.

ჩვენებურ კერძებს უწოდებენ *ლობიას, ჟავე ლობიას* (მჟავე, დამჟავებულ ლობიოს), *ფხალს, მალახტოს, წურვილს, ჩვენებურს, ლეფსს, ფხალი ჩორბაჲს.*

შუადეხანი ფონეტიკურად სახეცვლილი შუადღეა: *ერთი დილაზე იქნება, მეორე შუადეხან* (შუადღისას).

მატყლის გაღენჯვას მატყლის დაჩეჩვას უწოდებენ: *მატყლ ავართმევდით, გავცხევდით წყალში, გავღენჯევდით.*

ცხვარის გაკნაჭვა ცხვრის გაპარსვაა: *მაისში ცხვარ გავკნაჭევდით.*

წურბელა: *მამამთილი წურბელას იკიდებდა, ატკივდებოდა ეს ძერები, იკიდებდა, ღელეში იყო წურბელები.*

ნაზარი ჩვენებურა თვალისცემაა: *ბაღანა იტირებს, იტირებს, თვალი ეცაო და ულოცვენ.*

ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული დედამთილი ქართველების მეტყველებაში შეკვეცილი დამთილი ფორმით გვაქვს: *ჩუკითხეო, დამთილი მეტყოდა.*

სრულად არის შემონახული ანატომიური *ლექსიკა: თავი, თმა, თვალი, თვალის კაკალი, წარბი, წამწამი, ტიტვირები, ყირყიტონი, ყია, გული, კლავი, ინდაყვი, ხელი, თითები, ფჩხილი, ფუში* (მუცელი), *მუხლები, კოჭები.*

ცარიელი ჭამე ნიშნავს კერძს არაფერი შეატანო და ისე ჭამო: *უჭადო ჭამე, ცარიელი ჭამე ფხალლობია.*

მდედრობითი სქესისადმი მიმართვის ფორმაა გო: *შენ დოხტური ხარ, გო?*

მორფო-სინტაქსური თავისებურებებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

1. როგორც არაერთხელ აღინიშნა, სამხრეთ შავიზღვისპირეთის ჩვენებურებში III პირის ნაცვალსახელთა სუპლეტური ფუძე ძალიან არის გავრცელებული იქ, სადაც მისი ადგილი არ არის, კერძოდ კი ნომინატიური კონსტრუქციის ადგილას, ზოგან კი ნომინატიური კონსტრუქცია მიცემით-ბრუნვიანი ფორმის ადგილს იჭერს: *მასა შიან ნიორი, ბიბერი* (resp.: წიწაკა), *ქინძი, ისინი ჩავყრი.*

2. იგივე შეიძლება ითქვას განუსაზღვრელობითი *ზოგი* ნაცვალსახელის შესახებაც, რომელიც ნომინატიურ ყალიბს გვიჩვენებს ინვერსიულ ზმნებთან და ამავე დროს ზმნას მრავლობით რიცხვში ითანხმებს *-ან* სუფიქსის საშუალებით: *შავი ლობიაი, ვადულებ წყალსა, მასა შიან ქინძი, პრასა, ნიორი, შიან ჩავჭრი, ზოგი არ უყვარან* (ზოგს არ უყვარს).

3. ზოგადად აქ სისტემატური ხასიათი აქვს რიცხვითი სახელის მიერ ზმნის მრავლობით რიცხვში შეთანხმებას: *რვაც მომკტარი არიან.*

4. განუსაზღვრელი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი *ბევრი* ზმნას მრავლობით რიცხვში შეითანხმებს: *ბევრი იყვნენ.*

5. ვნებითი გვარის მყოფადის მწკრივის ფორმებში *-ებ* თემის ნიშანი იკარგება და მის ადგილს ამ ზმნათა მოქმედებითი გვარის ფორმებისთვის დამახასიათებელი თემის ნიშანი იჭერს: *ლობიოს დავტეხავ, თენჯერეი შიან* (resp.: ქვაბში) *ჩავყრი, მეიხარშვის.*

6. ფუძედრეკადი ზმნები I სერიის მყოფადის მწკრივში II სერიის ფუძეს გვიჩვენებს და იმავდროულად *-ავ* თემის ნიშნითაცაა გავრცობილი: *მოხარშვილ ლობიას სინზე გავფინავთ.*

7. *-ავ* თემისნიშნიანი ზმნებისგან ვნებითი გვარის წარსული დროის მიმღეობა *-ილ* სუფიქსითაა ნაწარმოები მოსალოდნელი *-ულ* სუფიქსის ნაცვლად: *მოხარშვილი.*

8. ადგილის ზმნიზედის - *არსად* ნაცვლად ქართველები მხოლოდ *მე* ნაწილაკიან *სადმე* ფორმას იყენებენ: *გემევიპარეთ, სადმე არ წავსულვართ* (არსად წავსულვართ), *აქზეა ძველი სახლი.*

ჩათაღში ჩაწერილი ტექსტების ნიმუშები:

*გამევიპარე, მომიპარა კაცმა და წამომიყვანა. ბევრი იყვნენ და ბაბა არ მაძლევდა. ორი ძმა მყავს, რვაც მომკტარი არიან. ცხრო იყო. ესქიდე* (resp.: ძველად) *წამალი არ იყო. გამევიპარეთ, სადმე არ წავსულვართ, აქზეა ძველი სახლი. შვიდი ოთახია: მისაფირ ოდა* (resp.: სასტუმრო ოთახი), *იათაქ ოდა* (resp.: საძინებელი ოთახი), *მუთფაღი* (resp.: სამზარეულო), *სალონი.*

*მამამთილი წურბელას იკიდებდა. ატკივდებოდა ეს ჲერები, მე ვკიდებდი. ღელეში იყო წურბელები, ხელ ჩავყოფდი და დევიკავებდი, შუშეში ჩავყრიდი, წყალ ჩავასხამდი შიან და მამათილს მოვუკიდებდი.*

*გაღნებმა არ იციან ჩვენებური, შეჰირში* (resp.: ქალაქში) *არიან და დედაც არ ელაპარაკება.*

*შვილი კაია და გოგო შვილი უმფრო კაია, მოკტები, იტირებენ კარში: ნენე, ნენე; ბიჭი კაია ოჯაღისთვინ, კარი არ დაყაფანიშდება* (resp.: დაიკეტება).

*ვერ ვდგები შეჰირში, ვერა, რა ვიცი, არაბი* (resp.: მანქანის) *ხმებ ვერ ვუძლებ. ახლა უმფრო კაია, წინდაწინ რამე არ იყო, გზა არ იყო. ზამთარში თოვლი მოდის და არ დეიკავებს* (მალე დნება). *ვერ დევეჩვიეთ შეჰირში.*

*საბნის შიან* (შიგნით) *მატყლ ჩავყრიდი. მაისში ცხვარ გავკნაჭევდით, გავცხევდით წყალში, გავღენკევდით. ამელიკაში ჩავყრიდით, ასე გაფინავ ამელიკას, ზეიდან მატყლ დააფინავ, მემრე ასე გააგორვავ, მატყლი შიან დარჩება. წრე ̔ულ არ შემიკერია, მუხლები მტკივა. ოცდაათი საბანი შევკერე. ზუბუნებ შევკერევდი. ზუბუნი შიან ფანელას ვიცვამდი, ფანელას ვკერავდი მაქინაზე.*

*წრეჟლ თხილი დეიწვა სიცხისგან. ერთი ტონა არ გამოვა. თხილის მემრე სიმინდი არი საჭრელი.*

*ფხალი - ფხალი გა(რ)ეცხო უნა, ხელით ვღუჯავთ, წყალში ვადუღებთ, წყალი გუდაწურავ,რომ ადუღდება, მემრე თექრარ* (resp.: ისევ, კვლავ) *თიბილ წყალ დავასხამ ზეიდან, მასა შიან ლობიას ჩააყრი, სიმინდი ჩააყრი. მემრე ვნაყავთ, ვნაყავთ, ამოვლესავთ. მასა შიან ნიორი, ბიბერი, ქინძი, ისინი ჩავყრი, ერთიც ყორავოდ. დაასხამ სინზე, ჭამ.*

*წურვილი - ფხალ მოვხარშავთ, გავწურავთ, დავანაყავთ კაკალ წურვილზე. მარილი, ქინძი, სურინჯი, ეშქი* (resp.: ძმარი) *ჩაასხამ.*

*მალახტო - ლობიოს დავტეხავ, თენჯერეში* (resp.: ქვაბი) *ჩავყრი, წყალ დავასხამ, კარგა მეიხარშვის. კაკალ დავნაყავ კარქა, კაკალში შაშპრამ ჩავაყრი, დავნაყავ კარქა, მარილ დავაყრი, ჩავასხამ თენჯერეში, ამოურევ შიან.*

*ლობია - შავი ლობიად, ვადუღებ წყალსა, მასა შიან ქინძი, პრასა, ნიორი, ერთი სურუნჯი, ისინი შიან ჩავჭრი, ყორავო, ზოგი არ უყვარან. ადუღდება, თამამ* (გაკეთებულია - ი.ღ.).

*ჟავე ლობიაჲ - წვანე ლობიას მოვხარშავ, მოხარშვილ სინზე გავფინავთ, დავუსხავთ* (გავრეცხავთ) *გობში, ბიდონში ჩავყრით, წყალ დავასხამთ, მარილ დავაყრით, ბიბერ* (resp.: წიწაკას) *დავანაყავთ ზეიდან, დამჟავდება.*

*ლეფსი - ხახვი დაჭრი ლამაზათ, წვინდათ დაჭრი, თენჯერეში მოხალავ ჲაღში, ხორც ჩააყრი შიან, მეიხარშვის. დულარე, ადუღებულ წყალ დაასხამ. სიმინდი ფქვილ მოხრაკავ, კაკალ დაანაყავ, ქინძ ჩაანაყავ, გაკეთდა ლეფსი.*

*ფხალი ჩორბაჲ - ენ წინ ჩორბი ფხალ ჩაყრი თენჯერეში, დულარე წყალ დაასხამ, მეიხარშვის, ფქვილ ჩააყრი შიან, გინდა ჩააყრი ნიორი, ხახვ, გინდა არ ჩააყრი.*

შელოცვები:

1. *დაბეჩების* (შეშინებულის) *შელოცვა*:

აშინა, მაშინა,
რამ შეგაშინა,
გამოშიშინებულო,
შედი სულო და გულო.

შელოცვას რომ დაამთავრებს შემლოცველი, გულზე უნდა აკოცოს იმას, ვისაც უკითხავენ.

2. *ნაზარის* (თვალისცემის) *შელოცვა*:

ეგერ გაღმა წარე ბალი,
გამოვტეხე ორი ტანი,
გამოშპა მისი ორი თვალი,
სულსაპირად მონაჭარი,
ჩემი ლოცვა ლოცვა არი,
სასიკეთოდ მიერგებოდა.

ნაზარი ჩვენებურა თვალისცემაა. ბაღანა იტირებს, იტირებს, თვალი ეცაო და ულოცვენ.

ბაფრა (Bafra) სამსუნის ვილაიეთში შემავალი ქალაქია სამსუნიდან სინოპისკენ მიმავალ გზაზე, სადაც 200.000-სზე მეტი მოსახლეა. ბაფრაში სამი ქართული სოფელია: დიქენჯიკი (Dikencik), ორმანოსი (Ormanos), კუშკაიასი (Kuşkayas).

აქ მთავრდება სამსუნის ვილაიეთი და იწყება სინოპის ვილაიეთი. სინოპის მოსახლეობა 200.000-ია. აქედან დაახლოებით 40.000 ეთნიკური ქართველი სინოპის სოფლებში ცხოვრობს. ქალაქ სინოპის მოსახლეობის 35% ეთნიკური ქართველია.

ქართველები სინოპის 56 სოფელში (*ლალა, მელექშა, აჰმედიერი, სინერჯანი, გოლუ, ჰანგარი, ერიქლი, ოსმანიე, ქილიჩლი, იუვალი* (ძველი სახელი *ნუმანიე*)... ცხოვრობენ. ზოგიერთის აზრით, სოფლების რაოდენობა 59-მდეა. ქართველების ცენტრს სინოპის ვილაიეთში სოფელ აჰმედიერის (Ahmetyeri) უწოდებენ. სოფელი აჰმედიერი, რომელიც ქალაქ

სინოპიდან ოც კილომეტრში მდებარეობს, დღეს უკვე სინოპის შემადგენლობაში შედის.

სინოპის ქართველების შესახებ უნდა ითქვას, რომ ისინი არ გამოირჩევიან განსაკუთრებული რელიგიურობით, თვითონ ასე ახასიათებენ საკუთარ თავს, უფრო ზუსტად, ისინი, ამ მხრივ, ზომიერები არიან. სინოპელები თავიანთ თავს თანამედროვეებს, დროის მოთხოვნების მოპასუხე ხალხად მიიჩნევენ. სინოპიდან გამოსული პოლიტიკოსებიც ამ გზას ადგანან.

სინოპში მცხოვრებ ქართველებს არასდროს დაუმალავთ თავიანთი ეთნიკურობა, თავიანთი ქართველობა მაშინაც კი, როცა ამის თქმა არცთუ უხიფათო იყო.

სინოპში სამი წელია, რაც ქართველთა სათვისტომო არსებობს. ეთნიკურ ქართველთა საზოგადოებას *სინოპის ქართული კულტურისა და მეგობრობის ცენტრი ჰქვია.* საზოგადოებაში 170-მდე წევრია. საზოგადოება დაარსებულია ქართული კულტურის შენარჩუნებისა და მომავალი თაობებისთვის, ბავშვებისთვის ქართული ენის სწავლების მიზნით, რადგან აქაც „ღარჭებმა გნებულობენ და ვერ ლაპარაკობენ". ქართული ენის შემსწავლელი კურსები ჯერ არ არის გახსნილი, მაგრამ ფიქრობენ, რომ მალე გახსნიან. „დერნეგში" (resp.: საზოგადოებაში) ცუტა-ცუტა ვლაპარიკობთ, ლამაზათ ვერ ვლაპარიკობთ".

იმას, რომ ახალგაზრდებმა ქართული არ იციან, ქართველები თავიანთ თავს აბრალებენ, რადგან ერთის ცოლი ქურთია, მეორის აზერი (resp.: აზერბაიჯანელი), მესამის - არმენლი (resp.: სომეხი). ამ რეგიონში ჩვენებურთა უმეტესობა ეთნიკური ენის არცოდნის მიზეზად შერეულ ქორწინებებს ასახელებს: *ჩვენი ბურალია და ჩვენი დიდების ბურალია.*

ქართველები ეთნიკურობის გამოვლენის ერთ-ერთ ფაქტორად ქართული ცეკვის, *ხორონის,* ცოდნას მიიჩნევენ. ასევე დიდი სურვილი აქვთ, რომ თავიანთი შვილები ქართველებზე დაქორწინდნენ ეთნიკურობის, ენისა და კულტურის გადა-

სარჩენად. ერთმა სინოპელმა ქართველმა სიამაყით აღნიშნა, რომ ნენეს ეთნონიმ *ბათუმის* მიხედვით შექმნილი სახელი ბათუმელა ერქვა და *თურქულა ჰიჩ* (resp.: საერთოდ) *არ დეილაპარაკებდა.* თურქეთის ქართველებში (და არა მარტო ქართველებში) ცნობილი ქართველისა და ბევრი კარგი საქმის საფუძველჩამყრელის ტუფან ლომინაძის დიდ ბებიას თოთია ერქვა, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ადრეული, სკოლის პერიოდიდან მებრძოლ კამილ ოლგუნის (თავადიძის) ბებიის სახელი შუბნელაი ყოფილა.

სინოპში მცხოვრები ქართველები: შარაშიძეები, ფრანგიშვილები, მელიქიშვილები, თავაძეები, მემიაშვილები, აფხანიძეები, მალაყმაძეები, ჩელებ-ოღლები, ბაირახტარ-ოღლები, ჩავუშ-ოღლები, მუხთარ-ოღლები, საქართველოს სხვადასხვა ადგილებიდან - ართვინის ბორჩხადან (სოფელ ახაშენიდან), კლარჯეთიდან, ხებადან, ბათუმიდან, მაჭახლიდან, ქობულეთიდან (ჩურუქსუდან), აჭისთავიდან, ართვინიდან (სოფელი ნაჯვია - Fistikli), ქეთქეთიდან მოსულან აქ. ართვინიდან, სოფელ ნაჯვიადად მოსული ქართველების გვარია პატარა ბიჭები.... ყველაზე მეტი ბორჩხადან მოსულა. როგორც სინოპელი ქართველები ამბობენ, სინოპში ერთი სოფელია აჭარლების - თურქელის რაიონში, ხოლო სოფელ კოსელეთაშში (Koseletaş) ნახევარი შუახევიდან არის, ნახევარი კი მაჭახლიდან.

სინოპში აჭარლებს (აჭარიდან წამოსულებს) ჩვენებურების დათვებს ან ქართველების დათვებს უწოდებენ. მათი თქმით, *შუბნელები, მაჭახლები, ქობულეთლები, მარადიდელები არ არიან აჭარლები, შუახევი, ხულო, ქედა ნამდვილი აჭარლები არიან.*

აქაურ ქართველთა უმეტესობა სიამაყით აღნიშნავს, რომ მათი *მამები მოკტომამდინ გურჯულა ლაპარაკობდენ,* მაგრამ ოცი-ოცდაათი წლის შემდეგ აქ ჩვენებურს ვერ ილაპარაკებენ, დიდებმა იციან, ხოლო პატარებმა არა. ყურადსაღები იყო ერთი ქართველის კომენტარი ამ საკითხთან დაკავშირებით: *თქვენ*

*მოხვედით და იმიტომ ვლაპარაკობ ახლა გურჯულად.* თუ უფროსები ერთად მოიყრებიან, ჩვენებურად მაშინ ლაპარაკობენ, თუმცა ზოგჯერ ამ შეხვედრებისას ქართულ ენას მხოლოდ გამარჯობის თქმის ფუნქცია ეკისრება. წერა-კითხვა, თითო-ოროლა ადამიანის გარდა, არავინ იცის. არადა, სულ რამდენიმე ათეული წლის წინ სახლში მხოლოდ ჩვენებურად ლაპარაკობდნენ, ხოლო გარეთ – თურქულად. ქართველები იძულებული იყვნენ ბავშვებისთვის თურქული ესწავლებინათ სკოლისა და თურქეთის სახელმწიფოში სრული ინტეგრაციისთვის: *ოჯახში რომ წავედით, თურქულად* (თურქულად) *უნდა ივაზირო* (ილაპარაკო), *თურქულად* (თურქულად) *უნდა დაწერო.*

გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ახალგაზრდა თაობაში 100 კაციდან 20-მა იცის ქართული ენა, მხოლოდ მაჭახლელების ახალგაზრდა თაობამ, ბავშვებმა იციან ცოტა. ახალგაზრდები, რომლებსაც *ჭვიტებს* უწოდებენ, ოცი წლისანი არიან. საშუალო ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებიდან ძალიან ცოტამ იცის ენა. ოცი წლის შემდეგ მათი რაოდენობა გაიზრდება; მასწავლებლები რომ ჰყავდეთ, ეთნიკურ, წინაპრების ენას მალე ისწავლიან: **ქართველი ხოჯაები** (resp.: მასწავლებლები) იყოს, დავიწავლით.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ენა თუ დაიკარგა, *გურჯობა* მაინც დარჩება, ეთნიკური ცნობიერება არ შეიცვლება. რა შეინახავს ქართველობას, თუკი ენა აღარ იქნება? საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში სინოპელმა ქართველებმა იმ ფაქტორებზე გაამახვილეს ყურადღება, რომლებზეც სოციოლინგვისტიკაში მიუთითებენ:

1. ახალგაზრდების ერთმანეთთან დაახლოება, ქართველების ერთმანეთზე ქორწინება: *ორი შვილი მყავს: ერთი ბიჭი, ერთი გოგო. გელინი ქართველი, გარეთა* (გარეულთან, სხვასთან) *რა საქმე მაქ, გოგოც ქართველს გავატანე.*

2. ენის კურსების გახსნა: *შვილებმა არ იციან* (ჩვენებური). *ახლა ეძებენ, ახლა უნდანან* ენა, ჩვენებური. მათი აზრით, ეს ფაქტორები ქართველობის გადარჩენას უზრუნველყოფს.

რელიგიასთან დაკავშირებით ზოგიერთმა აღნიშნა: *ისე, დიდვანებ ჩვენზე არ დუწავლებიან, ჰრისტიანი, მუსლიმანი რითვინ გარჩეულან.*

სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქართველები გამოირჩევიან განათლებითაც. უმაღლესი განათლება აქ ბევრს აქვს მიღებული. ისინი სახელმწიფო მოხელეები, ინჟინრები, იურისტები... არიან.

სინოპში ჩავიწერეთ უნიკალური მასალა XX საუკუნის 50-იან წლებში პატარა ქართველების დისიდენტური საქმიანობის შესახებ კამილ ოლგუნისგან (თავადიძისგან). პატარა ქართველები პროტესტს გამოთქვამდნენ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის გამო და მის გათავისუფლებას ცდილობდნენ. ტექსტი, რომელიც კამილ ოლგუნისგან (თავადიძისგან) ჩავიწერეთ, უცვლელად, რედაქტირების გარეშე მოგვყავს ქვემოთ:

(გადავწყვიტეთ ი. ღ.) მოვიყაროთ და ვიკითხოთ ქართველები ვინები ვართ. წიგნები ვნახე, ერთი-ორი რაცხა ვნახე. იქ ხშირად წეროდა, სოციალ-დემოკრატებმა, ნოე ჟორდანიამ ახალი რესპუბლიკა ააშენეს. ისინი (ბოლშევიკები - ი. ღ.) ჩამევიდენ, გავგიჟდით. ვთქვით, ჩავამხოთ (რუსები - ი. ღ.), ავართვათო (საქართველო - ი. ღ). ოცდაექვს მაისში ერთად მეციყრებოდით, ღვინოს დავლევდით საქართველოს დღეს. ბავშვები ვიყავით, თორმეტი-ცამეტი წლის 1954 წელს. ხუთი, ექსი ვიყავით, ძალიან ცოტა ვიყავით. ჩემი და დაჯდა, ხელში ბაირაღი, ისე დავხატე; სემბოლია (სიმბოლური იყო - ი. ღ.). ქართული ნაციონალისტური მესაჟი (გზავნილი - ი. ღ.) იყო.

ლისეში (resp.: ლიცეუმში) ვიყავით, ჩვენ დავთქვით, მოვიყაროთ ოცდაექვს მაისში. ჩვენ საქართველოს წერილი უნდა დ̄უწეროთ. ვის უნდა დ̄უწეროთ? დავწერეთ, ჩვენ იქიდან ქართული წიგნები, ქართული დერნეგები (resp.: ჟურნალები) გამოგვიგზავნეთ. ჩვენ ის წერილი ჩავდეთ, ასე დავწერეთ: ტიფლის, გურჯისტან, სოსიალისტი რესპუბლიკა. მარკა დავათუთხლეთ (ნერწყვით დავაწებეთ - ი. ღ.), ჩავაგდეთ (საფოსტო ყუთში - ი. ღ.). ერთი თვე, ორი თვე, თბილისიდან პასუხი არ მომცეს. პოლისიდან (resp.: პოლიციიდან) მოვიდენ. მაგრამ წინდაწინ ერთი ქართველი კაცი (იყო - ი. ღ.), კამილს უთხარით, პოლისიდან უნდა მოვიდენო. მოვიდენ, რატომ დ̄უწეროთო (რატომ დაწერეთო - ი. ღ.). ჩვენ უთხარით, წიგნები, ჟურნალები (გვინდოდაო - ი. ღ.). ვინმეს იცნობთო. არა, უთხარით. რატომ იყრებითო ხანდახანო. ჩვენ უთხარით, ერთხელ მაისში, ის მაისი საქართველოს თავისუფლების დღეა. ჩვენ უთხარით (ვკითხეთ ი. ღ.), კომუნისტი კარგია (კომუნისტური წყობა კარგია - ი. ღ.)? თუ კარგი არ არი, ეს ანტიკომუნისტური ნახატია, უთხარით. (მითხრეს - ი. ღ.), კი, მაგრამ შენ სახში უნდა წახვიდე, ის ნახატი უნდა დაფხრიწო, ხალხი გაიფიქრავს, კომუნისტობა კარგია, ასე რამე არ ქნათ. ნახატ ავაფარე, მაგრამ ძალიან გამიკვირდა, ამ ხალხმა საიდამ იცის. წერილი გახსნეს (გაუხსნიათ ი. ღ.), წ̄უკითხავთ, თბილისში არ წასულა. ჩემი (ამხანაგის - ი. ღ.) მამა მოსამართლე იყო, ეს ჩემი შვილის (ამხანაგიაო - ი. ღ.), ჩემი კამილა (და ასე გადავრჩი - ი. ღ.).

ტუფან ლომინაძის დაკვირვებით, ახლა თურქეთში ერთგვარი მოდაა ეთნიკური წარმომავლობისთვის ხაზგასმა. ბავშვობაში ტუფან ლომინაძე მასწავლებელს შეუქია კარგი თურქულის გამო, რაზეც მის თურქ თანაკლასელს უთქვამს, ეს თურქი არ არისო. ადრე კი მაინცდამაინც სახარბიელო არ იყო ის ფაქტი, რომ თურქი, ანუ ეთნიკურად თურქი არ იყო

თურქეთში მცხოვრები ადამიანი, დღეს საპირისპირო ვითარება გვაქვს.

ტუფან ლომინაძისგან გავიგეთ აგრეთვე ერთგვარი თქმულება სტალინის შესახებ: რევოლუციამდე რამდენიმე წლით ადრე სტალინი ადაფაზარში გაქცეულა. ექვსი თვე დარჩენილა იქ და სადაც ცხოვრობდა, იმ ოჯახის გოგოსგან ეყოლა ერთი ბიჭი. იმის შთამომავლებს ჯუღაშვილებს უწოდებენ. ისინი ადაფაზარის რაიონის ქალაქ აქიაზში ცხოვრობენ. მათი თურქული გვარი იავუზია (Yavuz).

ისევე როგორც თურქეთში მცხოვრები სხვა ქართველები, სინოპის ქართველებიც ქორწილებს ძირითადად სოფლებში იხდიან ზაფხულობით, რათა *ყველა გურჯი ერთად იყოს* ამ დროს. სინოპში, უნიეში, ფაცაში ქორწილში საჭმელ-სასმელი იციან: *პურმარილი რომ არ იქნება, ისეთი ქორწილი არ იქნება, ხორონი რომ არ იცოდეს, ისეთი ქართველი არ იქნება.*

პირველად სინოპში გავიგეთ შავიზღვისპირეთში ესოდენ გავრცელებული სიტყვა ვეზიროობა, რომელიც *საუბარს* ნიშნავს. თუ იქაურ ქართველს უნდა რომ თქვას, *მოდი, ვილაპარაკოთ, დავილაპარაკოთ,* ის ამ შემთხვევაში ამბობს: ვივაზიროთ - *ვილაპარაკოთ, დავილაპარაკოთ,* დაევაზირე - *დაელაპარაკე.* როდის უნდა გავრცელებულიყო ეს სიტყვა საუბრის, ლაპარაკის მნიშვნელობით, უცნობია. ვეზირი არაბულად *მინისტრს* ნიშნავს და ის დიდმოხელეთა ტიტული იყო მუსულმანურ ქვეყნებში. ქართველების მეტყველებაში დადასტურებული *ვაზიროობაც* დიდმოხელეთა, მინიტრების დარ, მსგავს საუბართან უნდა იყოს დაკავშირებული.

ქართულად, ჩვენებურად ლაპარაკს ჩვენებური ვაზირი გადმოსცემს: სოფელში არიან ჩვენებური ვაზირი; ჩვენ სოფელში ჩვენებურა დეივაზირავ; ჩვენ ვაზიროობას ვეტყვით, იმათ მავაზირეს მე. *მათი აზრით, ლაპარაკი ქუჩური სიტყვაა, ვაზიროობა მაღალი სიტყვაა. ესენი* (ქართველები - ი.ღ.) *მარტო ვაზიროობას ხმაროობდენ.*

ყველა ეთნიკური ჯგუფისთვის დამახასიათებელია სიტყვები, გამოთქმები, მიმართვები, რომლებითაც ის ადვილად განირჩევა სხვებისგან, მით უფრო, თუ ეს ჯგუფი თავის ისტორიულ სამშობლოს მოწყვეტილია. ასეთი სიტყვები, გამოთქმები და მიმართვები მხოლოდ ეთნიკური ჯგუფის გაქრობასთან ერთად წყვეტს სიცოცხლეს. აქ ერთ-ერთ ასეთ ნიმუშად უნდა დავასახელოთ გამოთქმა: **რავაი ვთქვა ჭო?** (როგორ ვთქვა ბიჭო?).

ლალაში (ლალას უბნებია: 1. *ფრანქ მაჰალე*, 2. *თავუხჩუ მაჰალე*, 3. *ალთუნ ოღლი*, 4. *ყარაგულ ოღლი*) სულ ასი ოჯახი ცხოვრობს, აქედან 10 ოჯახი თურქებისაა, ხოლო ოთხმოცდაათი ქართველების.

სოფელ ავდანში (Avdan) 40 კომლი ცხოვრობს, ხებადან და ჩურუქსუდან (resp.: ქობულეთიდან) არიან მოსული. 30 კომლი ჩერქეზია, აბაზებიც, თურქებიც არიან. ზამთარში ცოტა რჩება. წინათ ჩერქეზებს გოგოს არ მიათხოვებდნენ, ახლა კი ჩერქეზები და ქართველები ერთმანეთში „გარევლია", ერთმანეთზე ქორწინდებიან.

ლექსიკიდან აღსანიშნავია:

**წვიტები** - ახალგაზრდები, უმცროსები.

მეტი გამოიყენება ზომა-ოდენობის *ხშირად* ზმნიზედის აღსანიშნავად: ახლა სოფლებში ჩვენებურები მეტი არ ვაზიროობენ (ახლა სოფლებში ჩვენებურები ხშირად არ ლაპარაკობენ).

**კარში** ნიშნავს გარეთ: *ნაკითხები არიან კარში* (სხვაგან, ამ ქალაქის გარეთ ისწავლეს).

ფონეტიკიდან აღსანიშნავია:

*ს* ბგერის ნაცვლად *ჰ* ბგერა გვაქვს სიტყვის თავკიდურ პოზიციაში: *ჰიდაურები ხართ-მეთქი, ჰად მიხვალთ?*

გრამატიკული თავისებურებებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

1. II სერიის წყვეტილის მწკრივის ფორმები *-ევ* სუფიქსიანია: წევიყვან*ევი* სახლში; ერთი ადრესი დავანახ*ევი*; ნათქვავი ილაჩი ვერ ევიღ*ევით* (ნათქვამი ვერ გავიგეთ).

2. *-ევ* სუფიქსიანია უწყვეტლის მწკრივის ფორმებიც: ჩასაცმელი იმიდან გეიკეთ*ევ*და; ფანელა ჩევიცმ*ევ*დით, ჩვენ შალვარი არ ჩევიცმ*ევ*დით; გზელი შიშეები იყო და დაფინ*ევ*დენ, გაყიდიდენ.

3. *-ევ* სუფიქსი ვლინდება აწმყოსა და მყოფადის მწკრივებში: რაცხაები ყიდ*ევ*ენ (←ყიდევენ); შალვარი გაბერილია, ისი ზედაჲ სოფელში ჩეიცმ*ევ*ენ კუდიანები.

4. იცის ზმნასთან ნომინატიური კონსტრუქცია გვაქვს: *ქალიც არ იცის ჩვენებური* (ქალმაც არ იცის ჩვენებური).

5. როგორც ცნობილია, ვნებითი გვარის მიმღეობა ქართულში *-ნა* პრეფიქსითა და *-ულ, -ილ* სუფიქსებით იწარმოება. ჩვეულებრივ, წარმოება ან მხოლოდ პრეფიქსულია, ან ოდენ სუფიქსური. ჩვენთვის საკვლევ რეგიონში შეგვხვდა მიმღეობის კომბინირებული, პრეფიქს-სუფიქსური წარმოება: მო-ნა-ს-ულ-ი, წა-ნა-ს-ულ-ი: *ჩვენ გათუმიდან მონასული არ ვართ, 40 კომლი ცხოვრობს, ხებადან, ჩურუქსუდან მონასული არიან; წანასულ-მონასული არ იყო.*

6. *-ამ* თემისნიშნიანი ზმნისგან ნაწარმოები ვნებითი გვარის წარსული დროის მიმღეობა ფორმაში *-ავ* თემის ნიშანს გვიჩვენებს: *ნათქვავი ვერ ევიღევი* (ნათქვამი ვერ გავიგე).

7. ინვერსიულ ზმნებში III სუბიექტური პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში *-თ* სუფიქსის ნაცვლად *-ნან* სუფიქსი გვაქვს: *შვილებმა არ იციან, ახლა უნდანან დაწავლა.*

8. ინვერსიულ *მაქვს* ზმნასთან შეწყობილი მხოლობით რიცხვში მდგარი ქვემდებარე ზმნა-შემასმენელს მრავლობით რიცხვში შეითანხმებს და პირისა და რიცხვის ნიშნად *-ან* სუფიქსს გვიჩვენებს: *მე სინოპში სოფელი მაქვან.*

9. უარყოფით ნაცვალსახელს *არაფერი* ენაცვლება რამე ნაცვალსახელი: *ჩოხას შიან რამე* (არაფერი) *არ ქონდა.*

10. თურქული ენის გავლენით *-ზე* თანდებული ჩანაცვლებულია *-გან* თანდებულის ფონეტიკურად სახეცვლილი *-დან* ფორმით: *ჩერქეზები აბაზადან ბევრი არიან* (ჩერქეზები აბაზებზე ბევრნი არიან).

სინოპში ჩაწერილი ტექსტების ნიმუშები:

სოფელი ავდანი:

*ოცი-ოცდაათი წლის შემდეგ ჩვენებურ ვერ ილაპარაკებენ. დიდებმა იციან და პატარებმა არ იციან. ჩემი მამა მოკტომამდინ გურჯულა ლაპარაკობდა. ორი ბიჭი მყავს (35 და 32 წლის), არ იციან. ქალიც (ქალმაც) არ იცის ჩვენებური. ერთი გელინი მაქ, მამაჲ გურჯია, ნენეჲ თურქია. უნდანან, ინტერნეტიდან იჯებიან, ვერ დეიწავლეს. თქვენ მოხვედით და იმიტომ ვლაპარაკობ ახლა გურჯულა. მე ვუყურებ (ტელევიზორს), სხვები არ უყურებენ, არ იციან, რას ამბობენ.*

სოფელი ლალა:

*ორმოცი კომლი ცხოვრობს, ხებადან, ჩურუქსუდან მონასული არიან. ორმოცი ჩვენებური ვართ, ოცდაათი კომლი ჩერქეზები არიან. ჩერქეზები აბაზადან ბევრი არიან, თურქებიც არიან. მე სინოპში სოფელი მაქვან. ზაფხულში მივალ, ზოგი არ მიდიან. ჩვენებურები და ჩერქეზები არევლი ვართ, წინდაწინ გოგო არ მივცემდით, ახლა გარევლია. ორი შვილი მყავს, ორი ბიჭი, ერთი გოგო. გელინი ქართველია, გარეთა რა საქმე მაქ (სხვასთან, გარეულთან რა საქმე მაქვს), გოგოც ქართველია (ქართველს გავატანე). შვილებმა არ იციან, ახლა ეძებენ, ახლა უნდანან. ასში ოცმა იცის გურჯული, ჩვენებური. ქლასქურიდან მონასულებმა იციან, ჩურუქსუდან მონასულებმა იციან. წვიტებმა არ იციან, მაჭახელელებმა წვიტებმა ცოტამ იცის. წინდაწინ სახლში ჩვენებურა, გარეთ თურქჩა (ვლაპარაკობდით). ოქულში რომ წაველით, თურქულაჲ უნდა ივაზირო, თურქულაჲ უნდა დაწერო.*

*რავაჲ ვთქვა ჭო? ელი და ხუთი* (resp.: ორმოცდათხუთმეტი) *წელია აქ ვართ, ჰეფ თურქჩა ვვაზიროთ. სოფელში არიან ჩვენებური ვაზირი. ახლა სოფლებში ჩვენებურები მეტი არ ვაზირობენ. ჩვენ სოფელში ჩვენებურა დეივაზირავ.*

*დუგუნზე* (resp.: ქორწილში) *გათენებამდინ იქნებოდა დუზ ხორუნი, ბულბულ ხორუნი. დედეები ჭიბონით ცეკვავდენ.*

*ჰუქუმეთში* (resp.: მთავრობაში) *ვისაქმე. ერთი არქადაში* (resp.: მეგობარი) *მყავდა, შავშეთლი, აინი ჩვენებური იცოდა. ქსევდა, ჩასაცმელი იმიდან გეიკეთევდა. ჩოხას შიან რამე არ ქონდა. ფანელა ჩევიცმევდით ზუბნის შიან. ჩვენ შალვარი არ ჩევიცმევდით. შალვარი გაბერილია, ისი ზედაი სოფელში ჩეიცმევენ კუდიანები. პონტულინს* (resp.: მომდგარი შარვალი) *სელისგან ქსოვდენ. ცხვარები იცით? ცხვარის მატყლის დაკნაჭევდენ, დააქსოვდენ, ხერტალზე ქსოვდენ.*

*სელის ზეიდან თობუმი იყო, იმიდან ჟაღს ხდიდენ. გძელი შიშეები იყო და დაფინევდენ, გაყიდიდენ. ფაბრიკაში ხდიდენ.*

*რაცხაები ყიდვენ* (საქართველოდან ჩამოსულები), *ჰიდაურები ხართ-მეთქი. ტიფლისიდან ხოჯა ყოფილა. ესენი წევიყვანევი სახლში. მათი დილიდან* (resp.: ენით) *რომ დაწერა, ნათქვავი ილაჩი ვერ ევიღევი* (მათი ნათქვამი ვერ გავიგე). *ერთი ადრესი დავანახევი იმა, მითხრა, რომ შენევე თუ მოხვალ, ჩემ ადრესზე მოდიო, იმ ადრესზე არ გაგაგზავნიო, ისინი კაი არ არიანო. იქნა ჩვენი ვაზირი?*

სოფელი იუვალი (Yuvali) სინოპიდან ოცდასამ კილომეტრშია. იუვალიში სულ ჩვენებურები ცხოვრობენ: წიგნაძეები (ბაირახტარ-ოღლები), მალაყმაძეები, ჩელებ-ოღლები, ქარაოსმან ოღლები. იუვალის ზედა მაჰალეში 11 სახლია, მალაყმაძე სამი კომლია.

მაჭახლიდან მოსული მალაყმაძეები თოფს აკეთებდნენ, მაჭახელას. მაჭახელაშიც და აქაც, შავიზღვისპირეთის სამხრეთში ყველაზე კარგს თოფს მალაყმაძეები აკეთებდნენ. ბაირახტარ-ოღლებიც აკეთებდნენ. ახლაც აკეთებს ერთ-ერთი მალაყმაძე.

იუვალიში მცხოვრებმა ქართველებმა აღნიშნეს, რომ პატარებს ენას ასწავლიან: **ჩემ პაწუნებ დავაწავლე ჩვენებური.**

სინოპის ქართველების ლექსიკიდან აღსანიშნავია შემდეგი:

მიმართვის ფორმა:

- **გამარჯობა!**
- **ღმერთმა გაგიმარჯოს!**

მიმართვის ფორმა გამარჯობა გასაკვირი და საგანგებოდ აღსანიშნი არ არის, მაგრამ პასუხად შემოგებებული ღმერთმა გაგიმარჯოს ყურს პირველად სინოპში მოხვდა. ენობრივი ვითარების შესწავლისას დეტალურად აღიწერება ნებისმიერი ენობრივი მოვლენა, მაგრამ ეთნიკურ ჯგუფთან ველზე მუშაობისას და მათზე სხვადასხვა სიტუაციაში დაკვირვებისას ერთი რამ ცხადი ხდება - კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური ჯგუფი, თუკი მას ეთნიკური ცნობიერება შერჩენია, გაქრობამდე მატარებელია ჯგუფისათვის დამახასიათებელი მიმართვის ფორმებისა შესაბამისი პასუხებით.

პირველად სინოპში გავიგონეთ და დავაფიქსირეთ ლექსიკური ერთეული გურული - სიმღერის სახელწოდება, რომელსაც მხოლოდ ნადის დროს მღეროდნენ: *გურული მღეროდენ, მარტო ნადის დროს იმღერებდენ, სოფელმა თელმა იციან.*

სამხრეთ შავიზღვისპირეთი ლამაზი ქართული//ჩვენებური სიტყვების საბადოა. აქ შეგვხვდა ისეთი საინტერესო და ლამაზი სიტყვა, როგორიცაა დაწიწინება - დატრიალება, ბრუნვა: *წყალმა მოცხო ჩარხს, ქვა დაწიწინდება* (დატრიალდება, იბრუნებს).

მოძმეს აქ *ძმას* უწოდებენ.

წრიპინა ქართველების ახსნა-განმარტებით ჭიბონის მსგავსი საკრავია.

მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებებიდან აქ აღსანიშნავია შემდეგი:

1. განსაზღვრებითი ნაცვალსახელის - *ყველას* ფუნქციას ზედსართავი სახელი (*მ)თელი* ასრულებს: *თელმა წევიდენ* (ყველა წავიდა).

2. ვითარებითი ბრუნვის ნაცვლად -*ზე* თანდებულიანი მიცემითი ბრუნვის ფორმაა გამოყენებული: სტუმრობაზე უნდა წევიდენ (სტუმრად უნდა წავიდნენ).

3. დარღვეულია შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმების წესები: *ჩემი ბაბომა ბორჩხადან მეიტანა.*

4. მედიოპასიური ზმნა II სერიის მწკრივებში სახელს (სუბიექტს) მართავს მოთხრობით ბრუნვაში: *თელმა წავიდენ.*

5. *-ავ* თემის ნიშანი იკარგება და მის ადგილას ჩნდება *-ი* სუფიქსი სავრცობიან მწკრივებში: *ხარით ხნიდენ; ხარი გუბემდენ, იმით ხნიდენ.*

6. *-თან* თანდებულს ზოგჯერ ენაცვლება *-ზე* თანდებული: *წევიდოდენ ერთმანეთზე* (წავიდოდნენ ერთმანეთთან).

სოფელ იუვალიში ჩაწერილი ტექსტები:

*გათუმიდან, მაჭახელიდან მოვედი, სოფელი მალაყმაძე. ბაბას ბაბო, ნენეი მოვიდა. სამი მოძმე მოსულა, ერთი გადაცლილა* (გარდაცვლილა), *ორი მოძმე გაბევრებულა. სინოპ წინ წასულან, არ უკადრიან ის ადგილი (სტამბოლში), ბევრი მწერი იყო, უკან დაბრუნებულან. ერთი დარჩა მაჭახელში, ხერთვის დარჩენილა. ვნახეთ, ამა არ თქვეს, ვინ ვართო. ზოგმა იკადრეს, ზოგმა არ იკადრეს.*

*ჩვენი ზედაი მაჰალეა იუვალის. მალაყმაძე სამი სახლია, თელმა წევიდენ. ისტამბულ ვცოცხლობ. დედეები თოფ აკეთებდენ, იქიდან მოტანილი. ჩემი ძმის ბიჭმა აკეთებს. მეც ვიცოდი. მაშინ მე პაწაი ვიყავი, ათი და ცხრა წლისა ვიყავი, წეველი იქიდან. ენ (resp.: ყველაზე) კაი თოფი დედეი და ძმა აკეთებდა. ბაირახტარ-ოღლებიც აკეთებდენ. ახლანდელებმა არ აკეთებენ.*

*ბევრი მოკრეფილები ერთ ვინცხას დეეხმარებიან, ათი, თხუთმეტი, ოცი წევიდოდენ ერთმანეთზე, თელზე დეეხმარებიან. ეგ არის ნადი, ბევრი მოკრეფილი ინსანი* (resp.: ხალხი). *გურული* (სიმღერის სახელია - ი.ღ.) *მღეროდენ. მარტო ნადის დროს იმღერებდენ. სოფელმა თელმა იციან. დეიკარქა. ჩემ პაწაწუანებ დავაწავლე* (ენა - ი.ღ.).

*ჩემი ბაბომა ბორჩხადან მეიტანა დიდი ქვა. წყალმა მოცხო ჩარხ, ქვა დაწიწინდება, მემრე ქვეშიდან ერთი ქვა, ზეიდან ერთი ქვა, პური ჩავარდება აქში, თორბაში, აქიდან ჩამოვა.*

სოფელ სინერჯანში, რომელსაც *უწიგნოების სოფელს* უწოდებენ, ბორჩხას ხებადან წამოსული წიგნაძეები ცხოვრობენ. მათ წინაპრებს იქ შვიდი კაცი მოუკლავთ. იქაურები შეწუხებულან და უთქვამთ, ესენი ყველას მოკლავენო, ამიტომ იქაურ ფაშას წიგნაძეებისთვის უთქვამს, აქედან წადითო. ხუთი ძმა წამოსულა იქიდან: ჰასანი, ჰუსეინი, აჰმედი, ემინა და ოსმანი. მათს მამას დურსუნა ჰრქმევია. დურსუნას მამა ქრისტიანი ყოფილა. პირველად დურსუნას მამას მიუღია მაჰმადიანობა; მათი გადმოცემით, რუსები რომ მოსულან, დურსუნისთვის უთქვამთ, *მაჰმადიანი უნდა გახდე და ბაირახტარი უნდა გახდეო, მეძრე მუციან ბაირახტრობა.* ისინი გემით ჩამოსულან სინოპში და თურქებს მათი შეშინებიათ, ისეთი ვაჟკაცები და გამბედავები ყოფილან. შემდეგ ამ სოფელში მოსულან, აქ მოუყრიათ თავი და გაბევრებულან, 30 ოჯახი ცხოვრობს მათი აქ. აქაც დაუშინებიათ თურქები. ამ გარემოებას იმით ხსნიან, რომ *სხვის ქვეყანაში ბეჩი* (გიჟი, გადარეული) *არ იყო, ისე არ იქნება.* თუ თავს არ დაიჭერ შესაბამისად, მაშინ აქეთ მოგერევიან და გაგთელავენ.

დღეს იმ ხუთი ძმის შთამომავლები სინოპში, ანკარაში ცხოვრობენ, სტამბოლში - შიშლის რაიონში 50-ზე მეტი ოჯახი იქნება; აქ ერთი ქუჩა წიგნაძეებისაა, 30-40 წელია აქ არიან. აქ ერთგვარი შედარებაც კი გააკეთეს იქაურმა ქართველებმა: როგორც *მაჭახლელები ცხოვრობენ კოლონიასავით შირინევლეში*, ისე ცხოვრობენ წიგნაძეებიც აქ, სტამბოლში, შიშლის რაიონში.

ლექსიკიდან აღსანიშნავია:

დიდი სისხლი წინაპარს ნიშნავს.

ფრინავა, რომელიც თვითმფრინავის აღმნიშვნელია: *ფრინავაზე მარტო დავჯდენა, ჩამოვიდე.*

ძალიან საინტერესო ერთეულია მაცივარი, რომელიც აქ, სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში გავრცელებული საყოფაცხოვრებო ნივთისგან განსხვავებით, კერძის - *საცივის* აღმნიშვნელია.

თაფლის ნიგოზი იგივე ჩურჩხელაა, წითელი პეპელაჲ კი პილპილია.

ღილკილოს უწოდებენ *ღილს*, ხოლო *ღილს* უწოდებენ ფრულს.

ბუკვა სახეს ნიშნავს: *ერთი ბუკვა არ გ¯უცინევდა* (ერთს არ გაიცინებდა).

სიტყვა *ქორწილისგან* ბუნებრივადაა ნაწარმოები ზმნის პირიანი ფორმა ვქორწილობთ, რასაც სალიტერატურო ქართულში შედგენილ-შემასმენლიანი ფორმა - *ქორწილი გვაქვს* ცვლის.

ძის დედას იმ ქალს უწოდებენ, რომელიც ადამიანს ძუძუს მოაწოვებს, თუ ბიოლოგიურ დედას რძე არა აქვს.

ფრაზეოლოგიზმებიდან აღსანიშნავია:

ჭკუა ფრენს - ჭკუა-გონება აკლდება.

სისხლის ართმევა - სისხლის აღება, რომლის პრეცენდენტი აქაც გვქონია.

ანდაზა - ძაღლი დაბერდება, ისეთი ღამეა - ძალიან გრძელი ღამეა.

ფონეტიკიდან აღსანიშნავია:

1. *-ვით* თანდებული *-ვეთ* ფორმითაა წარმოდგენილი (ი→ე): *კაცსავეთ ქალი იყო.*

2. *ვ→მ. მიწრო* (ვიწრო) *პანტოლონ ჩეიცვევდენ.*

3. *ვ→ნ.* მოქსონილი: *ჩექმაში ხელით მოქსონილი წინდა ეცვენ.*

4. *რ*-ს დაკარგვა სიტყვის შუაში: წვѳილი (წვრილი): *წვილი გაბდეს.*

სინერჯანში ჩაწერილი ტექსტები:

*დედამ უთხრა ბაბოს, ხვალ ბაირამია და ერთი დღე იმარხეო. ბაბომ უთხრა, ხვალ ჩიტებს საჭმელი უნა მივცენა, თუ არ შეჭამეს, ვიმარხებო. ჩიტებითვინ მიუცია საჭმელი, იმათ უჭამიათ და ბაბოს უთქვამს, დედა შენი ვაზიროზა* (resp.: ლაპარაკი) *ტყვილი ყოფილაო და არ იმარხა.*

*ბავშვი ვარ, სიზმარი ვხედავ, ჯვარი ეკლესია ვხედავ, გევიზარდე, კიდევ ვხედავ. სინირი* (resp.: საზღვარი) *რომ გეისხნა, ჯვარის ეკლესიაში წავედი. ისინი* (resp.: ქრისტიანები) *გევრი მიყვარს. ჩემი დიდი სისხლი ქრისტიანი იყო.*

*მაცივარი* (საცივი - ი. ღ.) - *ოთხი ქათამით ვაკეთავ, ჭადი ფქვილი წვინდა, იმის მემრე ძროხის ბაღით კარგა ფქვილი მოვხრაკავ. იმის მემრე ქათამი მოვხარშავ. ქათამის წვენით ჭადი ფქვილი მოვხარშავ. ნახევარი კილო ნიგოზი დავნაყავ, ჭადი ფქვილი რომ მოვხრაკავ, გუდურევ წითელი პეპელაი, ქინძი, ნიორი, გევრი უნა დანაყონა, ისინი გურევ ერთხელა* (ერთად), *ყვითელი ყვავილი არია, ზაფრანი როგოთით* (resp.: ელექტრო მანქანით), *თუ როგოთი არ გაქ, საცერში გახრისავ, წვილი* (წვრილი), *ლამაზი გახდეს. მემრე შიან* (შიგნით) *ხორცი უნა გუდურიო გახრესილში, ძვალი არ უნდა იყოს. ზეთი უნდა გამოწურო, ზეიდან უნდა დაასხა, წითელი და ყვითელი რომ გუ -რევ, ლამაზია* (*მაცივარს* ახალ წელს აკეთებდნენ სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქართველები).

*თუ გოგოობაში დეიხურევდა (თავზე), დაქორწილდებოდა, დეიხურევდა, თუ გოგოობაში არ დეიხურევდა, მემრეც არ დეიხურევდა. ენ წინ ერთი მიწა იყო, იმით თავი დეიბანდენ. ყურძენი წყალი მუა, ტანი მოჭრიდენ, ყურძენის წყალით პირი დეიბანდენ, ბუკი* (resp.: სახეს).

აქ დღემდე შემორჩენილია მამობილის ყოლა და მისი ფუნქცია-ვალდებულებები: მამობილი ბიჭის ბაბოს ნათესავი უნდა იყოს. *ქორწილს მამობილი უხდიდა. მამასავით იყო. ყველა ხარჯი მისი იყო. იმ მამობილმა ბიჭი დააქორწილოს, იმასაც სხვა უხდის ქორწილს* (მამობილის ბიჭს, თავის მხრივ, თავისი მამობილი უხდის ქორწილს - ი.ღ.). *მამის და მამობილის შვილები და-ძმასავეთ იყვენ. ერთმანეთის და-ძმანები რომ არიან, იმათი ქორწინებაც არ შეიძლება. მამობილს ნეფეს მამა ირჩევს.*

*დედა დეინახდა ქორწილობაში გოგოს, ბიჭს არ კითხევდა, ახლა ისე არ არის, უყვარან. ნეფე არ მიდიოდა ქალის*

*მოსაყვანად, მამობილი და მამობილის შვილები მიდიოდენ იმის მოსაყვანად. დედოფალი დაბურული ზის, მამობილმა ფული მიცეს, ადგება. დედოფალას ნეფეს გვერდით დააჯდუმლავს* (მამობილი - ი.ღ.). *დედოფალას და ნეფეს წინა მოხარშული ქათამი. ნეფემ და ტოლა ბიჭებმა უნდა მოიპაროს. მემრე მიდიან და ხორონი რომ გათავდება გვიან, მაშინ დაბრუნდება. პირველ დღეს ერთად არ დაჯდებიან ნეფე და დედოფალი. ნეფე ტოლა ბიჭებში დაჯდება, მეორე დღეს დაჯდებიან ერთად.*

*სოფელში იყოს, ქალაქში იყოს, ნეფე-დედოფალს თავზე სამჯერ ასე იჯებოდენ* (სამჯერ ჯვრის ფორმას გამოსახავდნენ - ი.ღ) *და იმის ქვეშ ერთბელა* (ერთად) *გაარონიებდენ. ახლაც არის. ჭადი დააკრევენ, ასე იქმენ* (ჯვარს გამოსახავდნენ - ი.ღ.). *ახლაც ასე იჯებიან. მეც დავაკრა, ხელი გაჩვეულია, მეც ასე ვიჯები.*

*ქორწილის მემრე დედოფალმა ოქრო და ცხვარი მისცეს მამობილს, დიდი ოქრო ეიღებს, დიდი ცხვარი ეიღებს* (მამობილი -ი.ღ.).

*ჩემმა ნათესავმა ახალი წლის თავზე ქორწილი გააკეთა და ორი კასრაი ღვინო დალიეს. ერთი დავმალე, ისიც უნახიან.*

აქვე დავადასტურეთ სისხლის აღების ფაქტი და ჩავიწერეთ ამასთან დაკავშირებული ამბავი: *გოდორიშვილების გოგო თავაძეების ბიჭზე დეინიშნა. მემრე გოდორიშვილებმა გოგო სხვას უნდა მივცეთო. თავაძეებმა გოგოს ბაბო და ბიძა მოკლეს. სისხლი უნდა ავართვათო. თავაძეების დიდმა გოგომ თქვა, კაცსავეთ ქალი იყო, იმან თქვა, კაცი უნდა მოვკლაო, მოკლიდა. იმან ქნა. ვინმემ პასუხი ვერ გაარონია* (ვერავინ გაბედა რამის თქმა - ი.ღ.). *ხუთი კაცი მოკვდა აქედან, იქედან. სისხლი სისხლია, გოდორიშვილებს უთქვამთ თავაძისთვის. სამოცდაათ წელს გაგძელდა. ჩემი ბაბოძს დედემ თქვა ეს სისხლი უნდა გათავდესო, შევარიგოთო. ასე მოხთა: ცხენის ზეიდან შიშა, კვარი წეიღონო, არ უნდა დაილაპარაკოს, ცეცხლი ისე დაანთოსო. დიდი ხარი დაკლას. ორასი ცხენოსანი ადამიანი წევდა ფეხით.*

*სულ ფიშტოები* (resp.: თოფები) *ისროლეს. ამით გათავდა სისხლი.*

სინოპის ვილაიეთის ერფელექის ილჩეში 20-მდე ქართული სოფელია (სახარაბაში, იენი ჩამქოი, მურღული, ჰამიდიე, აფდურაჰმანფაშა (ახლა ათბალი), გოქთაში, დეირმენჯილი, ჰასანდერე, ჩელენქოი, მეშედაღი, ჰამბარჯიქოი, ინჯირპინარი, სელბეი, ხათუნქოი, კილიჩლი...), აქედან მთლიანად ქართველებით დასახლებულად 6 სოფელს მიიჩნევენ, სადაც საშინაო ენა ქართულია, თუმცა სოფლების ჩამოთვლისას მათი რაოდენობა უფრო მეტი აღმოჩნდა: ვეისელი (Veysel), ჰამიდიე (Hamidye), დეირმენჯილი (Deyrmencili), აბდურაჰმანფაშა (Abdurrahmanpaşa (Atbal), იენი ჩამქოი (Yeni Çamköy), სახარაბაში (Saharabaşi), მურღული (Mürgül), ხოლო დანარჩენი სოფლები *კი გადარეულია* (შერეულია), სოფელში ერთი უბანი ქართულია, მეორე კი - თურქებისა.

ერფელექის მოსახლეობა სოფლებიანად 125.000-ია. აქედან 45% ქართველია, რომელთა ნაწილი ბორჩხადან, ნაწილი კი ბათუმიდან არის მოსული. ქართველების დიდი ნაწილი ქალაქებშია წასული, შიდა მიგრაციის ხარისხი ძალიან მაღალია.

სოფელ ვეისელში ქლასქურიდან წამოსული გობეროღლები, ბოლქვაძეები... ცხოვრობენ. კინცხურეთიდან სამი ძმა ქუჩუქ-აღა, ქესქინ-აღა, გენჯ-აღა წამოსულა, დღეს მათი შთამომავლები ცხოვრობენ აქ.

სოფელ დეირმენჯილში (უბანი, მაჰალე ინჯემეიდანში) ბორჩხადან, ქლასქურიდან, დევსქელიდან და მაჭახლიდან მოსულან: *ბაბოს ბაბოდ ბათომის სოფელ თიკნარიდან ბორჩხას მოსულა, იქიდან მოსულა აქ, ქლასქურიდან. სოფელში დევსქელიც არის, ქლასქურიც არის, მაჭახელიც არის.* ჯერ ერიქლიში დასახლებულან, შემდეგ კი გემით მოსულან აქ ბოლქვაძეები, აზნაურიძეები, დეიკიძეები, ბრეგვაძეები, ძელაბიძეები...

ამ სოფელში ადრე სომხები - „ერმენლები" ცხოვრობდნენ, ახლა აღარ ცხოვრობენ. ქართველებსაც სცოდნიათ აქ სომხური.

ახალგაზრდა თაობამ, სამწუხაროდ, აქაც არ იცის წინაპართა ენა: *ჩემ ბავშვებმა ბილე არ იციან. მიყურავს, რას მიყურავ-მეთქი* (მიყურებენ და არ ესმით); 30 წელს გადაცილებულმა ახალგაზრდებმა აქ ჩვენებური იციან.

სოფელში მათ მეტყველებაში გამორეულ თურქულ სიტყვებს შემდეგი ახსნა მოუძებნეს: *რუსჩა არის თქვენში გადარეული, ჩვენში თურქჩა არის გადარეული* (როგორც თქვენს მეტყველებაშია რუსული სიტყვები შერეული, ისე ჩვენს მეტყველებაშიც თურქული სიტყვებია გამორეული).

ლექსიკიდან აღსანიშნავია:

როგორც აღვნიშნეთ, მიმართვის ფორმად ჯერჯერობით რჩება ქართული, დიალექტური ჭო: *რას ეტყვიან ჭო?* (რას ეძახიან ბიჭო?); რაში დამჭირია ჭო? (რაში მჭირდება ბიჭო?).

დალოცვის ფორმა: *ღმერთმა კარგობა მოგცეს!*

დაძახების: **მოდ, დაჯექ აქა!**

ფრაზეოლოგიური გამოთქმა: კარიდან კარში გავიდა თვაარა (სახლიდან) გავიდა თუ არა...).

**ახლო პირ ადგა** - ახლახან ადგა, ახლა მოიშალა (მაგ.: ეს ტრადიცია).

**ყურში მაქვან** - მახსოვს.

**პასუხი შამოკრა** - სწრაფად გასცა პასუხი.

**ჩხლატუნი** *თოფის სროლას* ნიშნავს: *უჩხლატუნებია, წავა, ჟანდარმას ეტყვის.*

დახრესას დასრესის მნიშვნელობით იყენებენ: *კანაფი კარგა უნდა დახრისო, გასაცრელი არი, წვინდა გახადე.*

ახალამოყრილი მცენარის, ახალგამოღებული ნაყოფის აღსანიშნავად ჩვილის გვერდით იყენებენ ისეთ ლამაზ სიტყვას, როგორიცაა **ჩქნაფი**: *ბმელი ვერ მოხარშავ, მეტი ჩქნაფი, ჩვილი უნა იყოს.*

**ჭედება** ჭიდაობას ნიშნავს: *დუგუნზე ჭედება იქნებოდა.*

გაბღვერა შემოწყრომაა: *აქაურმა თურქებმა გიმიბღვირეს* (შემომწყრენ).

გაბურძგნა აქ ყველაფრის წართმევას, გატყავებას ნიშნავს: *თურქები გაბურძგნია, ყანები, საქონელი აართვეს, გატყავებიათ.*

კოპჭიანი - *სამხრეებიანს* ნიშნავს.

აქ დღემდე შემორჩენილია მახაროზელი, რომელიც ქართული ქორწილის ელემენტი იყო: *მახაროზელი გოგოს ტარაფია.*

საინტერესოა ისეთი სიტყვა, როგორიც ხორთუმია რეზინის მილის აღსანიშნავად: *ხორთუმი აიღე, შუშა დაბდგი.*

უხსენებელი გველს ეწოდება.

ჩიჩვირი *ტუჩის* აღმნიშვნელია.

ღარდო, რომელიც *ღარს* ნიშნავს: *ცოტა წყალი რომ წავა, ღარდო ვეტყვით.*

სოკოს სახელები: ქოქვაი - *შავია და დიდვანი,* ბოხოხვაი // წაბლის ქოქვაი, *წაბლებ მეისხმენ* (წაბლები მოისხამენ).

ბურწუმელაი, იგივე ეკალა, ნარიეკალაი. ქართველები სამივე ერთეულს იყენებენ მეტყველებაში.

ძილბუთი - ზუსტად ვერ დავადგინეთ, რა მცენარეა, მაგრამ ჩაგვაწერინეს როგორც ქართული ლექსიკური ერთეული.

მისებური - ფხალია, *ფხალსავე ამოვა.*

ასევე ხშირად იყენებენ შემდეგ ქართულ ლექსემებს: ჟღმარტლი, მარყვალაი, ჭინჭარი, ანწლი.

იმფხრი - გვიმრა.

კოლონია ოდეკოლონს ნიშნავს: *კოლონია* (ოდეკოლონს) *სმენ, ბევრ სვამ, იმ დუნიაზე წახვალ* (გარდაიცვლები).

ვითარების ზმნიზედა *როგორ* გადმოცემულია იმერჯევში გავრცელებული ფორმით: რა სოი გითხრა? (როგორ გითხრა?).

ფონეტიკური თავისებურებებიდან აღსანიშნავია, რომ ამ რეგიონებშიც, ისევე როგორც მარმარილოს ზღვის რეგიონებში, *სად, საიდან* და *სადმე*-ში თავკიდური ს ბგერა ჰ-თი იცვლება: *იმ დუნიას ჰად წახვალ? ჰაიდან მოხვალ, ბოსტანიდან მოხვალ?*

*მ* და *ნ* ბგერების მონაცვლეობა: *აწგვარიდან არ ალი.*

მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებანი:

1. I სერიაში გარდამავალი ზმნა პირდაპირ ობიექტს მიცემითი ბრუნვის ნაცვლად სახელობით ბრუნვაში მართავს: *თვალზე ნენე ნემსი დამიკიდებდა.*

2. საერთოდ, ტენდენციაა I სერიაში როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნასთან ერგატიული კონსტრუქციისა: *იმან მეტი კაი აკეთავს* (ის უფრო კარგად აკეთებს); *იმათ უკვირან ახლანდელი ხოჯები* (იმათ უკვირთ ახლანდელი ხოჯების).

3. აქტიურია აწმყოს ხოლმეობითის თავისებური წარმოების ფორმები: *ტურა მუა, ღორი მუა, მართლა ვკლით* (ტურა მოდის, ღორი მოდის, ვკლავთ).

4. ძალიან ხშირია მეტყველებაში II ხოლმეობითის ფორმები: *ქალამანი რამდენი ვიცვით.*

5. *-ავ* და *-ამ* თემისნიშნიანი ზმნები სავრცობიან მწკრივებში *-ევ* და *-ემ* ფორმანტებს გვიჩვენებს: *წისქვილში დაფქვევდენ, მე არ ვსვემდი და გავშინჯე.*

6. *-ი* თემისნიშნიანი ზმნა ვნებითი გვარის წარსული დროის მიმღეობის მაწარმოებელ *-ილ* სუფიქსსა და მოსალოდნელი *-ი* თემის ნიშნის ნაცვლად *-ობ* სუფიქსს გვიჩვენებს: *იმდონი მყოფნილობს* (იმდენი მყოფნის).

7. ინვერსიული *მაქვს* ზმნის ფორმაში III სუბიექტური პირის *-ს* სუფიქსის ნაცვლად *-ა* სუფიქსის ხმარებას სისტემატური ხასიათი აქვს: *მე მაქვა* (მაქვს).

8. კითხვით-განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი რამე შეკვეცილი ფორმითაა წარმოდგენილი: *ბატონო, რამ* (რამე) *გაქვს ზედ?*

9. *ა-* ზმნისწინს ენაცვლება *წა-* ზმნისწინი: *ერთი თავი წეგეტკინოს, იმან თავზე ხელ დამადებდა.*

10. *-ებ* თემის ნიშანი იცვლება *-ავ* თემის ნიშნით: *შარაფ გადავატრიალავ, გადმოვატრიალავ; ვითამაშავთ; იქიდან მიყურავს თვალებში.*

11. საერთოდ, თურქეთის ქართველების მეტყველება გამორჩევა კავშირების არქონით, მაგრამ თუკი იშვიათად კავშირი გვხვდება, ის აუცილებლად წინადადების ბოლოშია თურ-

ქული ki-ს (resp.: რომ) ანალოგიით: *იმდონი არ ვიცი რომ.* თურქული ki, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ქართული *რომ* კავშირის ნაცვლად გვხვდება ქართველების მეტყველებაში.

12. მეტყველებაში იყენებენ რთულ კავშირს თვაარა (თუ არა): *კარიდან კარში გავიდა თვაარა, ძივები გაწყდა;*

13. სხვათა სიტყვის -ო: *მემედი, რა ლამაზი ბიჭი გყავსო.*

დეირმენჯილში ჩაწერილი ტექსტები:

*ღმერთმა კარგობა მოგცოს! აქაური თლათ ქართველი ვართ. კინცხურეთში დუნიაზე* (resp.: სამყაროში) *მოვსულვარ. ბევრი სოფელი გადარეულია, სოფელში ერთი მაჰალე* (resp.: უბანი) *ქართულია, მეორე თურქებისაა. ოცი ქართული სოფელი იქნება, ბევრი სოფელი კუდიანები იყვენ, გურჯები ცემდენ (კუდიანებს), ჰაცხა კაი ცხენია, ჰაცხა კაი ძროხაა, აართმევდენ კუდიანებს. თურქები გრ̄ბურძგნია, ყანები, საქონელი აართვეს, გუ̄ ტყავებიათ. იმა* (თურქებს) *ეშინოდენ მეტი. ჰუქუმეთმა* (resp.: მთავრობამ) *ადგილი დამანახა, დავჯექით. ეს სოფელი თელი ხუთ თაანე თურქი ყოფილა, ისინი წასულან. კაი პური იჯებოდა. ჩვენ არ მყავან თხაები, ძროხები მყავან. ყანა მაქვანია, ანწლია, ჟღმარტლია, ჭინჭარია, ძილბუთია, მარყვალაია, მისებურია, ფხალსავე ამოვა; სოკოა - ქოქვაი, შავია და დიდვანი, ბოხოხვაია, ბურწუმელაი//ნარიეკალაი//ეკალა. დედამთილმა ბურწუმელაი იცოდა. არ წიმფდება, წვიმა რომ არ იყო. ხმელი ვერ მოხარშავ, თააზე* (resp.: ახალი) *უნდა იყოს, მეტი ჩქნაფი, ჩვილი უნა იყოს. მემრე ხახვი დავჭრით ლამაზათ, დავწურავთ, მემრე ისინი ჩავაყრით, მოვხრაკავთ. ელესას ვღმეროდით, გურულიც მაქვან.*

*ესენი ჩემზე დიდვანი არიან, მე იმფერი პაწაი ვარ, მარა ყურში მაქვან. იილბაშზე* (resp.: ახალ წელს) *ჰინდი დავკლავთ, შარაფ გადავატრიალავ, გადმოვატრიალავ.*

*მე ხოჯა ვარ, ამა არ ვიჯები. ხოჯა* (resp.: სასულიერო პირი) *ხარ, ვინმეს არ უნდა წეეკინკლო, გული კაი უნდა გქონდეს,*

*შენი მუსლიმანობაც ის არის, ჰრისტიანობაც ის არის. მიდი, კაცი დაკალი, რა გინდა იმ კაციდან? იმ დუნია ჰად წახვალ?*

*მაშინ სახში აკეთებდენ დუგუნ* (resp.: ქორწილს), *მოზვერ დაკლიდენ. დალევდენ შარაფ* (resp.: ღვინოს), *ბირა* (resp.: ლუდს), *რახი. მომსლელმა არ მეიტანდა. ქათამ დუ̄დებდენ (ნეფეს). აგერ სუფრა დადგა, აგერ შუშა* (resp.: ჭიქას), *რახი დადგეს. ორ დღე იყო დუგუნი ორმოცი წლის უკან. მოლას არ მოუშვებდით, უკითხე და იყავიო. დუგუნზე ჭედება იქნებოდა.*

*აკვან ხიდან აკეთებდენ, აქ არ იყო. შიბაქი ქონდა, შიბაქის ჩასასლელი ქონდა. შენ და მე არქადაში ვართ. შენ გიყვარს, ამასაც შენი თავი უყვარს. ეს ეტყვის, შენი გოგო უნდა ვითხოვო, აკვანზე შენ დანა დაცხე, იმანაც დაცხო.*

*მე ფირინჯიდან* (resp.: ბრინჯიდან) *ვაკეთებდი (რახს), ჰარფუზიდან იქნება, ხურმიდან იქნება, ყურძენიდან იქნება; თუ არ აადუღებ, შარაფი იქნება, თუ აადუღებ, რახი იქნება. დიდი ბიდონები არი, კარქა უნდა გამორცხა, წყალი უნდა აადუღო ნახევარზე მეტი, ხუთი კილო შაქარი ჩაყარე, ყურძენი ჩაყარე, ხორთუმი აიღე, ხორთუმი ცივ წყალში უნდა ჩადო, შუშა დუ̄დგი, თხუთმეტი დღე უნდა იდგეს, ლამაზად უნდა გაწურო. ლამაზად ჩაასხი შუშებში.*

*ქერ დაალპობდენ კარქა, დალპებოდა, გაახმობდენ თექრარ* (resp.: ისევ), *წისქვილაში დაფქვევდენ, წყალში პურ ზილვენ, მაია* (resp.: საფუარი) *უნდა ჩააყარო, ამჟავდება.*

*კანაფი კარგა უნდა დახრისო, გასაცრელი არი, წვინდა გახადე, თოზი* (resp.: მტვერი) *არ უნდა ქნა, სიგარაში გაახვევ. კოლონია* (ოდეკოლონს) *სმენ, ამა ბევრ სვამ, იმ დუნიაზე წახვალ.*

*ორი გოგო მყავს, თელმა იციან, ჯემალიმაც იცის, ენ დიდი ჯემალია ჩემი. ღარჩებმაც იციან ჩვენებური. გელინი* (resp.: რძალი) *გურჯია სოფლიდან. წინ-წინ ჩვენებურები ფაზლა* (resp.: ბევრი) *ჩვენებურებზე (ქორწინდებოდნენ). გურჯულის სამაზე* (resp.: ცეკვაზე), *სიმღერაზე თურქებმა გიმიწყრენ,*

*ჯინველოდ, ნინველოდ. მე ჰიჩ* (resp.: საერთოდ) *ოქულში* (resp.: სკოლაში) *არ გამგზავნა ჩემმა ბაბომ. მოკტა, სიზმარში უთხარ, შენ გიჯავდები, იტირა ჩემმა ბაბომა. ქართული დავკარგეთ. ძროხებსავით არ იციან ახალებმა. ჩემი ძმის ბიჭია ის ახალი, არ იციან. გამარჯობა-გაგიმარჯოს ჩვენ იქიდან დავისწავლეთ.*

*ახლაც არი (იარაღი), მარა დამალილია. ტურა მუა, ღორი მუა, მართლა ვკლით. მე მაქვა. ბევრი მთხოვეს, ჩემი დედე-ისგან დამრჩა. არქადაში* (resp.: ამხანაგი) *ხარ, თვალი დაგრჩა, უჩხლატუნე, წავა, ჯანდარმას ეტყვის. კოპჭიანი ჯანდარმები მოვლენ, ბატონო, რამ გაქვს ზედ? ჩვენ ისე ვიტყვით, შიფრით* (resp.: მინიშნებით), *ცარიელი ხარ თუ ავსილი ხარ.*

*უხსენებელი მოვკალი იმ თოფით. ვინმე არ იყო სახში, მე მოვკალი. შუადღე აქაპროზაში კაცი ვერ ნახავ. გეველი კარში, ხეზე ყურძენი მქონდა, იმ ხეზე დაგორგლებულა. ვესროლე, ნახევარი მოვწყვიტე, ნახევარი გევიდა ხეზე. იმას უკან შვიდი საათია, ავდექი, წვიმა გაწვიმდა. ხახვი უნდა დავარგა. მოვთხარე, მოვთხარე და კიდე ვთხრი. ასე ამეიხვა, დაგორგლებულა. იქიდან მიყურავს თვალებში, იმფერა თვალებში მიყურავს, იმგვარი შემებრალა. იმის უკან გველ ვერ ვხედავ.*

*ახლა თელი შეიშალენ. ადრე ლეჩაქი ასე მქონია* (მოშვებული და არა მოკოჭილი), *ახლანდელი გოგოები, თავები წუკოჭიათ, არ ვიცი ლოცულობენ. ადრე აბდეს აუღებელი ხოჯა დუგუნს არ დეიწყებდა. ახლა გაშმაკანმა* (resp.: პრემიერ-მინისტრმა) *ასე გამეილო. ხოჯებიც შეიშალენ. იმათ უკვირან ახლანდელი ხოჯები.*

*ყურძნის წვენიდან ტანს ვიბანდით, სიცხემ არ დაგწვას, იტყოდენ. ენ წინ* (resp.: ადრე) *ქალებმა პუდრა-მუდრა არ იცოდენ. ის (ჯიბლიბო) რომ გემევიდოდა თვალზე, ნენე ნემსი დამკიდებდა. ორი-სამი დღე იქნებოდა, მემრე წევიდოდა.*

*ერთი ძმა მომიკტა იშტე* (resp.: აი, ასე) *თვალი ცემიგან. ნენემა ტანი დაბანა, აკვანში დააწვინა. მოზობელი მოვიდა; მემედი, მემედი, რა ლამაზი ბიჭი გყავსო. იმან კარიდან კარში გავიდა თვაარა, ძივები გაწყდა, თეთრი, შავი ძივები იყო.*

*ხელზე რაცხა გამევიდა, ფეხზე რაცხა გამევიდა. ძმა მ̄უკტებადია, თმა არ მეიჭრიდენ, ორი თაანე* (resp.: ცალი) *დაიწნევდენ.*

შაირები:

1. გევეფეცხე, გემექცა,
ფუნცხლის ძირში წემექცა.
2. დედამთილისა და რძლის გაშაირება:
დედამთილი:
ეო თუ მეო,
ქალი კაცთა გზეო!
რძლის პასუხი:
დედამთილმა მითხრა, რომე
ლიფი (resp.: ლოგინი) დიმიგეო.
მე რა მაქ და რა დაგიგო,
ძაღლთან მიეგდეო.
3. ჭოროხ მიაქ ნაფოტი,
გემის ჩამონათალი,
მოდი, ჯანო, მითხარი
ჲაროს (resp.: შეყვარებულის) შემონათვალი.
4. ღელი გაღმა ქათამი,
გამოღმა მოკაკანავს,
ჯანოჲ (resp.: საყვარელი ადამიანი) რომ მომგონდება,
გულში გამაკანკალებს.
5. ჩიტი დამჯდარა (ხის) ტანზე,
თმა გუდ̄უწყია იანზე (resp.: გვერდით),
ჩემ ჯანოს რა უხდება,
შავი ურუბა (resp.: კაბა) ტანზე.
6. სახლი თავზე ტყემალი
კონკოლ-კონკოლ კიდია,
მუთოს გოგოს
ჰეი ამოლა, ჰეი ამოლა.

აბდურაჰმანფაშაში ქართველების ცხრა კომლი რჩება ზამთარში: ჭიატ-ოღლების, ჩავდარ-ოღლების, გოდორ-ოღლების, გულ-ოღლების. მათ ორმოცი დღე უვლიათ და ფეხით მოსულან აქამდე. *მოსულან და აქ დამჯდარან.* მათ აქ მცხოვრები თურქებისთვის, როგორც თვითონ ამბობენ, *რაჰათი* (resp.: მოსვენება) არ მიუციათ: *აქაურობა უჩვენებიათ, დამჯდარან აქ აფდურამანფაშაში. მოწონებიან ყანები-მანები, აქ ჩვენ დავჯდეთო, არ ამდგარან, დამჯდარან.*

აბდურაჰმანფაშაში ქართული ენის ცოდნის თვალსაზრისით სახარბიელო ვითარება არ გვაქვს, აქ ახალგაზრდები ვერც ლაპარაკობდნენ და არც ესმოდათ ეთნიკური ენა.

აბდურაჰმანფაშაში ჩაწერილი ტექსტის ნიმუში:

*ჩემი დედეი მოსულა იქიდან. გონჯი ინსნები არიანია, ლოცვა-მოცვა არ დომებიან. იმასაც ამდგარან. წამოსულან. ჩემი დედეი ბაბოს ბაბოი კუკულ-ოღლი იყო. სამი ძმა იყვენ: ერთი აჰმედი, მეორეც მამუდი, მესამეც ჰასანი. გაღმა სოფელიდან დაქორწილებულა მიერე (მეორე) ძმა. თელი ერთი სახლი გუ̄კეთებიან. სახლის გაკეთება ცოდნიან. ჩემი დედე ჰასანი უსტა ყოფილა. ხის სახლი იყო. დახეული ხიებიდან გუ̄ცეთებიათ, წიფელადან. სახლში ოთხი თაანე* (resp.: ცალი) *ოდა იყო. ქვეშ ახორი იყო, ძროხებ აბმიდენ. ქირამიტი* (resp.: კრამიტი) *აქ მათ მუ̄ჭრიათ, იქში მუ̄ჭრიათ. ქირამიტი დუ̄ხურებიან ზემოდან. ფურუნი* (resp.: თონე) *გუ̄ცეთებიან, დუ̄წვიან.*

*ძროხები ყავდათ. ყველას ხარები ყავდენ, ჯამუშები* (resp.: კამეჩები). *ტყეში შეშას ჭრიდენ. ოჯაღები* (resp.: ღუმელი) *იყო, ჰემ პურ გამოაცხებდენ, ჰემ გათბებოდენ.*

*წრევლ ჰიჩ არ გათოვდა. ყინვა არი. ხელზე საქმეს ვიჯებით, იაზმების კენარებს* (resp.: სუფრის *ბოლოებს) ვაკეთავ. კენარებ ძივით, ძაფით ვაკეთავ. მატყლი* (მატყლს) *ლოგინში ჩაყრიდენ, გამბასაც ჩავყრიდით. მატყლი კაი იქნება გამბიდან (მატყლი გამბაზე კარგია), გაათბობს. წყალში ვცხევდით* (მატყლს), *საპონით გავცხევდით. საქმე ბევრია.*

*ამდონს შეინახვენ, იმდონი მყოფნილობს* (რამდენსაც შეინახავენ, იმდენს ვიმყოფინებ). *მიყვარს, ამა* (resp.: მაგრამ) *კიბილი არ მაქვს, ვერ ვჭამ. მეტკინა, მეტკინა* (კბილი), *მუაგლეჯიე* (ამოვაღებინე) *დოხტორ. მეტკინა, ისინი მუაგლეჯიე.*

*შეჰირში რამ საქმე არ ალი, ზიხარ. ხელზე საქმეს იჯებიან* (ხელსაქმით არიან დაკავებული), *იარებიან, ჩაის სმენ.*

ერფელექის ილჩეს (რაიონის) სოფელ კილიჩლიში ქოსაშვილები 1882 წელს ბათუმიდან, სოფელ კაბალიდან მოსულან: *ერთ დიდ მატორში გაბოდ, ღარჭები, ახრაბაები* (resp.: ნათესავები) *მოსულან.* საქართველოდან რუსების შემოსვლის გამო გამოქცეულან.

აქ განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი სისხლით ერთობას, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რელიგია: *მე მოსლიმანი ვარ და რას ვეძებ? ერთი ჯამეში წავა, ერთი ეკლესიაში წავა. სისხლი ერთი მაქვან* ან კიდევ ნუ გეშინია, აქ შენი სისხლია!

ლექსიკიდან აღსანიშნავია:

ასანთებელა, რომელიც სანთებელას ნიშნავს.

წვერებიანი კაცი სასულიერო პირის აღსანიშნავად: *დეიყვირა წვერებიანმა კაცმა.*

თავის გაბუჟება - გაბრაზება: *რუსები მოსულან, ჩვენი თავი გაბუჟებია.*

საქართველოში მისვლა-მოსვლის შედეგად მათ მეტყველებაში რუსიზმებიც კი დასტურდება, მაგ.: ტამოჟნია.

ფონეტიკური პროცესებიდან აღსანიშნავია:

*ვ* ბგერის განვითარება: *ცოტვა იცოდა. ყანაში ვსაქმოდი, მაშვინ დევწავლე.*

მორფო-სინტაქსური პროცესებიდან უნდა აღინიშნოს:

1. მედიოპასიური ზმნით გადმოცემულ შემასმენელთან ქვემდებარე ერგატიულ კონსტრუქციას გვიჩვენებს: *კაცმა ხელით ჭამდა, ახლა მოდერნი გახდა.*

2. დროის ზმნიზედა, რომელიც ქართულში ნანათესაობითარი მიცემითი ბრუნვით არის გადმოცემული, აქ - *ზე*

თანდებულიანი ფორმით გვხვდება: *ბაბიას ღარჭობაზე მოსულან აქ* (მამას ბავშვობისას მოსულან აქ).

კილიჩლიში ჩაწერილი ტექსტების ნიმუშები:

*ტამოჟნია ავწიოთ, თურქული, ქართველი ერთად ვიყვეთ. მე მოსლიმანი ვარ და რას ვეძებ? ერთი ჯამეში წავა, ერთი ეკლესიაში წავა. სისხლი ერთი მაქვან. მე ჰაცხა კი ამოვალ, ქართველების ადეთ* (ადათი, ტრადიცია) *ვიცი. კომუნისტი წევდა, მიწა დაფანტენ. მიწა რატო არ გაქვენ? იმფერი მიწა გაქვენ, თესლი ჩავარდება, ამოვა.*

*ჩვენ ქორწილებზე კუდიანები არ მოვიდოდენ. ერთმანეთი არ უყვარდენ. დიდვანები კუდიანებ არ მუშვებდენ. ფერხულ აბაზა, ჩერქეზ ვისამებდით აკორდენით, კაცები, ქალები ერთხელა ვისამებდით.*

*დღეები სახელები გაქვენ: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი... ერთშაბათი ჰა წევდა, არ ვიცი.*

სინოპის ვილაიეთის აიანჯიკის ილჩეს (რაიონის) 3 სოფელში ცხოვრობენ ქართველები: 1. სახარაბაშში (Saharabaş) მაჭახლიდან მოსული ქართველები, 2. მესთანში (Mestan) - მარადიდიდან მოსული ქართველები, 3. ქირანჰარმანში (Kıranharman) - მარადიდიდან მოსული ქართველები. აიანჯიკის მოსახლეობა ათი ათას კაცს ითვლის. ჩამოთვლილ სამ სოფელში 150 კომლამდე ქართველი ცხოვრობს. სოფლებში ქართველების გვერდით თურქებიც ცხოვრობენ. აქ ადრე სომხებს უცხოვრიათ, რომლებიც სამოციან წლებში სტამბოლში გადასულან საცხოვრებლად. ზამთარში თითო სოფელში დაახლოებით 10-15 ოჯახი რჩება, რადგან სინოპში ყველას აქვს სახლი და ქალაქსა და სოფელს შორის მიდიმოდიან. აქაური ქართველები ეკონომიურად დაწინაურებული არიან.

სინოპის ვილაიეთის თურქელის ილჩეში ქართველებით დასახლებული სამი სოფელია: საზაკი (Sazak) – 15-20 კომლი,

ჰასანდაღი (Hasandağı) - 15-20 კომლი, სულუჩუკური (Suluçükür) – 15-20 კომლი.

კასთამონუს ვილაიეთის (Kastamonu Villayet) ჩათალზეითინის (Çatalzeytin) ილჩეს (რაიონის) სოფელი ჰამიდიე (Hamidye, Meydançık Mahale) ქართველების სოფელია. აქ ესმერიენთის, ავჯიენთის, ჰურიენთის, მამადიენთის, კასიენთის, ზოჰრეთის, ზრობეთის... 40 ოჯახი ცხოვრობს, რომლებიც ბათუმიდან, შუახევიდან, ჭარნალიდან და სხვა სოფლებიდან მოსულან. ისინი ერთმანეთის ნათესავები ყოფილან. ოჯახის უფროსმა ექრემ ერმა გვითხრა, რომ წყალწყურიდან არის, დედები იქიდან მოსულან და მოსული კაცის შვილიშვილია. სოფლის თურქული სახელი რომ ვკითხეთ, გვითხრა Balıklı-დან ვარო, Balıklı კი წყალსიმერის თურქული სახელია. ამდენად, სამხრეთ შავიზღვისპირეთი ჭრელ სურათს გვიჩვენებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოსულ ქართველთა შემადგენლობის მხრივ. ქართველების მოსვლამდე ამ სოფელში არავის უცხოვრია. აქ ტყე ყოფილა. სამშობლოდან აყრილი ქართველები ჯერ სტამბოლში წასულან, შემდეგ ადაფაზარში და ბოლოს აქ დასახლებულა 20 ოჯახი. ზამთარში 3-4 კომლი რჩება. აქაური ქართველები სინოპში, სტამბოლში, ანკარაში, იზმირში, კარაბულში ცხოვრობენ. 10 კომლი თურქელში წასულა: მამალოღლები, გოროხ-ოღლები, პაწი-ოღლები, ალი-ბაირახტაროღლები, იეთიმ-ოღლები, ჰაით-ოღლები...

აქვე უნდა გავიხსენოთ ერთი შემთხვევა, რომელიც ყურადღების ღირსია. სოფელში ერთ ქალს ვუთხარით, რომ ძალიან ლამაზი იყო, მან კი მოგვიგო, *გურჯი ვარ და... (იმიტომ).*

სოფელში უფროსმა და საშუალო თაობამ იცის ეთნიკური ენა, *ბადიშებს ესმით, ამა ვერ ლაპარაკობენ.* ბავშვებთან და ახალგაზრდებთან საუბრისას ყველა წუხდა და უფროსებს საყვედურობდნენ, რატომ *არ დაგვასწავლეთო.* უფროსებს კი, ისევე როგორც თურქეთის სხვა რეგიონებში მცხოვრები

ქართველების მსგავსად, თურქული ენა სკოლაში უსწავლიათ პირველ რიგში ჯოხის შიშით, როგორც ამას თვითონ აღნიშნავენ; ამას ემატებოდა ის გარემოებაც, რომ მასწავლებლები თურქები იყვნენ, რომელთაც პირდაპირ ევალებოდათ თურქულის სწავლება და პროპაგანდა: *ჩვენ მექთებში წეველით, თურქჩა არ ვიცოდი, მექთებში დევისწავლე, დასაღი* (resp.: საშიში, სახიფათო) *იყო ჯოხი. მოსული მუღალიმი* (resp.: მასწავლებელი) *თურქია, იმანაც ჩვენი ლაპარიკი არ იცის, ქითბებია* (resp.: წიგნებია), *დევისწავლეთ. ასე დავეჩვიეთ ჩვენ.*

ფონეტიკური თავისებურებანი:

განვითარებულია ფ ბგერა სიტყვის თავკიდურ პოზიციაში ს ბგერის წინ: *ფსკა ფუტკრის სახლია.*

სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში ნ ბგერა ზოგჯერ ჲ-შია *გადასული: ხანდახაჲ ვლოცვილობთ.*

რ ბგერის მ ბგერით შენაცვლება: *ქალაბან წყალში ჩადებენ, დამბილდება.*

*ჭამა* ზმნის პირიან ფორმაში განვითარებულია ვ ბგერა: *ლამაზა ვაკეთებ* (ყველს), *ვჭვამ, წინ-წინ სიმინდი ფქვილიდან ფაფას გააკეთებდენ, მუასობდით, მუასობდით, ვჭვამდით.*

ლექსიკიდან აღსანიშნავია შემდეგი:

ოჯახში თურქი რძლისა და სიძის აღსანიშნავად ლექსიკურ ერთეულს ბოლოკს იყენებენ: *ერთი გურჯია* (რძალი), *ორი ბოლოკია.*

ბოლოკს აქ *თურქებს* უწოდებენ, ხოლო კაბიანს - *ჩერქეზს,* რაც დედეებისგან, წინაპრებისგან დაუსწავლიათ: *ბოლოკ თურქებ ვეტყვით, ჩერქეზ კაბიან ვეტყვით. დედეებმა დაგვაწავლეს ბოლოკი. კუდიანი ბოლოკებია.*

ლექსემები თავაჲ, თავით, თავითები *თვითონ* განსაზღვრებითი ნაცვალსახელის გამომხატველია: *ქალაბან თავითები* (თვითონ) *გეიკეთებდენ, თავით* (თვითონ) *გეიკეთებდენ, მამაჩემი თავაჲ* (თვითონ) *გეიკეთებდა.*

აღსანიშნავია ყველის აღმნიშვნელი ლექსემები: ფშუნაჲ და გადაზელილი ყველი. ფშუნაჲ დაფშვნილი ყველია. ფშუნაჲს

კროჭებში ინახავდნენ. კროჭს ხისგან - ნაძვისგან, სოჭისგან აკეთებდნენ. თხის რძისგან დამზადებულ ყველსაც უწოდებენ აქ ფშუნაის; გადაზელილ ყველს, რომელიც გურიასა და აჭარაში (ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებშიც) საყოველთაოდ იყო ცნობილი, აქ *ნენეი აკეთებდა.*

წოვაი წათხია: *წოვაიში ყველსა შეინახევდენ.*

ფუნჩხაი კერძის სახელია, რომელსაც სიმინდის ფქვილისგან აკეთებენ ქართველები: *ჩვენი ფუნჩხაი არია, სიმინდი ფქვილიდან არია, ხარშოს ვეტყვით.*

ფუშიანი, ძიმე ფეხმძიმე ქალია: *მემრე ფუშიანი, ძიმედ დარჩებოდენ.*

წინწკალი ქართველების მეტყველებაში ნაპერწკლის აღმნიშვნელია: *ბერიკაცმა ქვებით ასე მიკითხა... წინწკალი გამუა, ყურმა გეიარა.*

მაწაკი გამონაყარს, მუწუკს ნიშნავს.

ქოჩრები *წინ რომ არის ჩამოყრილი* (თმა), *იმას ქვია.*

თხილამურები თოვლში სასიარულო ფეხსაცმელია: *გვალი თხილამურები იყო.*

შემონახულია სიტყვა კვარი: *კვარ ჭადზე დაასობდენ.*

აქ გვაქვს ადესაი ყურძენი და შავი ყურძენი.

მსხლის სახეობების აღმნიშვნელი სახელებიდან აღსანიშნავია საქართველოდან წამოღებული ბარაქაი სხალი: *დედეის ზაფხული ჭამითვინ ბარაქაი სხალი მუტანია.*

ლამაზად ყარს ნიშნავს *კარგი სუნი აქვს: ადესაი და შავი ყურძენი ლამაზად ყარს.* უცნაური დაკავშირებაა *ყარს* ზმნისა და ზედსართავი სახელისა - *ლამაზი.*

კარგად დამწიფებულ ნაყოფზე ამბობენ, რომ დამპალა - კარგად დამწიფებულა, კარგი დამწიფებული: *ბარაქაი სხალი დამპალა* (კარგად დამწიფებული) *გერმელია.*

აქ იმერეთში არაერთხელ დადასტურებულ მარჯილსაც იყენებენ იმერეთიდან წამოსული ქართველები: *მარჯილით შიშას მოვტანდით.*

სამუშაო იარაღი აღმნიშვნელი ფიწალი: *ფიწალით გავანი ავებდით.*

ჰერტალი, რომელზეც მატყლს ართავდნენ.

გუდა ტომარაა: *ნალიაში სიმინდი გურჩევლად, გახმა, მემრე დავნაყავდით, გუდაში ჩავყრიდით.*

შემონახულია სამოსის აღმნიშვნელი ლექსიკა: ***ჩოხა, კაბალაბი, პერანგი, ნიფხავი, წინდა***...

ბლაყვი აქაურთა განმარტებით *სულელს* ნიშნავს.

დროის ზმნიზედა *წინათ* წინავე ფორმადაა სახეცვლილი მეტყველებაში: *ჩემი კაცი შავშელია, წინავე მოსულ.*

მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

საჭურველობითის ფუნქციას მოქმედებითი ბრუნვის ნაცვლად გადმოსცემს *-ში* თანდებულიანი მიცემითი ბრუნვა: *ძველ-ძველი სკივრებია იქ,* ***ზრუგში*** (ზურგით) *მუტანიათ.*

ჩათალზეითინის (Çatalzeytin) ილჩეს (რაიონის) სოფელ ჰამიდიეში (Hamidye) ჩაწერილი ტექსტების ნიმუშები:

*ჩემი დედეს გაბოჲ მოსულა ბათუმიდან. აჭარელი არიან, მაჭახლელი არიან. გამოქცეულან ჩვენები. წინ-წინ აქ ერთი სოფელი ყოფილა, რუმები* (resp.: ბერძნები), *ერმენლები* (resp.: სომხები) *ყოფილან, ქილისები* (resp.: ეკლესიები) *ყოფილა.*

*ჩვენ მექთებში წეველით, თურქჩა არ ვიცოდით, მექთებში დევისწავლეთ. დასაღი* (resp.: საშიში) *იყო ჯობი. მოსული მუღელიმი* (resp.: მასწავლებელი) *თურქია, იმანაც ჩვენი ლაპარიკი არ იცის, ქითბებია* (resp.: წიგნებია), *დევისწავლეთ.*

*ჩვენი დიდი დედეჲ იქიდან წამოსლი ბან წამოუღია ყურძენის დასარგველი* (ვაზი). *ასე გძელი ტევნები ყოფილა: ადესაჲ ყურძენი და შავი ყურძენი. ლამაზად ყარს. გავაბევრეთ. ერთიც ბართნელაჲ სხალი მუტანია ზამთარში ჭამითვინ. ზაფხულში ჭამითვინ ბარაქაჲ სხალი მუტანია; მოსული შავი იქნება შიანა, დამპალა* (კარგი მწიფე, დამწიფებული) *გერმელია. ქეთენ სხალი იტყოდენ. დედეის კაკალიც მუტანია;*

*ინჯირები* (resp.: *ლეღვი*) *მ̄უტანია, დიდრან ტევნები ქონებია. ძველ-ძველი სკივრები ზრუგში* (*ზურგით*) *მ̄უტანიან.*

*ჩვენი ფუნჩხაჲ არია, სიმინდი ფქვილიდან არია, ხარშოს ვეტყვით. წინ-წინ სიმინდი ფქვილიდან ფაფას გააკეთებდენ, მუასობდით, ვჭვამდით. წინ-წინდელი ჟავეს ჩადებდენ: ფატლიჯან, ბიბერი* (resp.: *წიწაკა*), *კიტრი. წოვაჲ შიგან მარილია. წოვაჲში ყველსა შეინახევდენ. ჩვენ გურჯებმა იციან ჭადი, თურქებმა ბილე არ იციან. ჩვენი გურჯები სუფთა ყოფილან. იმათ (თურქებს) დ̄უსწავლიან გარცხვა, ბევრი სუფთა არ ალიან.*

*წინ-წინ საპონი არ ყოფილა. ლამაზ, სუფთა ადგილებიდან აწევდენ ნაცარსა. დიდრან ქვაბებ დადგემდენ, წყალ ჩაასხემდენ, ქვეშ ასე აანთობდენ ცეცხლსა, წყალი ადუღდებოდა, სუფთა ნაცრით წყალ გამოურევდენ. დეინაზილებდა ლამაზაჲ, თმებსა დეიბანდენ. ტურბას გარცხიდენ ნაცარის წყალიდან.*

*ქალაბან ჩეიცვემდენ, ჩომას* (resp.: *საქონლის*) *ტყავიდან აკეთებდენ, თავითები გეიკეთებდენ, თავით გეიკეთებდენ, მამაჩემი თავაჲ გეიკეთებდა. ქალაბან წყალში ჩადებენ, დამბილდება. მე მიყვარს ქალაბანი, ჰიჩ არ შემცხვება. გვალი თხილამურები იყო. ცოცხ, წკნელ შეკოჭვენ, გორგვალაჲ გააკეთებდენ, ფეხდასადგმელ ადგილ გააკეთებდენ, ფართოფართო გააკეთებდენ; თოკებით შეკოჭვენ ფეხზე, არ ჩეეფლობიან, ისე იარვენ.*

*ბევრ გათოვდება-ია, ბუქია. ყინავს, ჰემ რაფერ ყინავს. წინწინ ჩემ ბაღვობაში სამი მეტრი გათოვლდებოდა. ნიჩბებით გათხრიდენ, ძროხები წყალი სასმელაჲ წეიყვანდენ, ხარები, მოზრები, დეკევლი. პაწაჲ, ფუჩაჲ არ უშოვნია, მაშინ დეკევლია.*

*ბაღვი არ ეყოლებოდენ (ქალებს), დედაჩემი პაწაჲ დერგები დააწვენდა წელზე, კვარ ჭადზე დაასობდენ, მემრე წელზე დაადებდენ. შვილი ეყოლებოდა. დერგები დიდი იყო. სამჯერ დაადებდენ. მემრე ფუშიანი, ძიმედ დარჩებოდენ.*

*თქვენ თავ იმდენი არ ვჩივი* (თქვენზე ბევრს არ ვდარდობ). აქ ჩაწერილი შაირის ნაწყვეტი:

*შუაზე მიდის ჭოროხი,*

*შუტტი, ბიჭო, შუტტი.*

სოფელ თავუქჩუქოიში (Tavükçüköy), რომელიც სინოპის გარეუბანში მდებარეობს, თავაძეების გვარი თბილისიდან ბორჩხაში, სოფელ ზედუბანში მოსულა ჯერ, ხოლო აქედან თავუქჩუქოიში; როგორც თვითონ ამბობენ, დიდი მუჰაჯირობის შემდეგ, 1900 წლის შემდეგ წამოსულან. მათი ლაქაფი ალიხოჯას შვილებია.

სოფელში მოსახლეობის ნახევარი თურქია, ნახევარი კი - ქართველი. საუბრისას მასპინძელს, რაოდენობის დაზუსტების მიზნით, ვკითხეთ სოფელში რამდენი კომლი, რამდენი ოჯახი ქართველი ცხოვრობდა, ათი თუ მეტი, მან გაკვირვებულმა შემოგვხედა და გვითხრა რაიზა ჭო? ჩვენ ათიც ვართ და ხუთასიცო.

თურქები ქართველებს გიაურებს ეძახდნენ. აქ, თურქეთში მცხოვრები ბევრი ქართველისგან განსხვავებით, იციან, რომ ისტორიულ სამშობლოში ქრისტიანები ყოფილან.

დანანებით აღნიშნავენ, რომ ჩვენებური დაავიწყდათ. სანამ დედეები ცოცხლები იყვნენ, მარტო ჩვენებურს ლაპარაკობდნენ, ისინი წავიდნენ და *ჩვენებურიც წავიდა*. მათი აზრით, მეორე ენის დასწავლამ გაართულა ენის შენახვა.

კარგი ფრაზეოლოგიზმია მათ მეტყველებაში დადასტურებული *ჭკვაში მეიპარა - თავისი ჭკუით მოიპარა*.

მართალია, კვლევის ეს ნაწილი სამხრეთ შავიზღვისპირეთის რეგიონებსა და აქ მცხოვრებ ქართველებს ეხება, მაგრამ საჭიროდ მივიჩნევთ ის მასალებიც განვათავსოთ, რომლებიც ამ რეგიონებს არ ეხება, მაგრამ აქ ჩავიწერეთ ექპედიციისას 2014 წლის ზაფხულში:

სტამბოლში ეთნიკური ქართველები ძირითადად ბეიკოზის, შილეს, სეფარქოის, ბაქირქოისა და ბაჰჩევლერის რაი-

ონებში ცხოვრობენ. შიშლი ქრისტიანი ქართველების ცენტრად მიიჩნეოდა.

ბეიკოზი სტამბოლის ცნობილი რაიონია. აქ სამი ძალიან ცნობილი ქარხანა იყო და ქართველი მუჰაჯირები სხვადასხვა რაიონებიდან მოდიოდნენ სამუშაოდ. მუჰაჯირების ის ტალღა, რომელთა შთამომავლები დღეს აქ ცხოვრობენ, ხულოდან წამოსულა და გირესუნის ვილაიეთის ბულანჯაკის რაიონის 8 სოფელში დასახლებულა. ალი ქემალ ქედირის გადმოცემით, 1957 წელს აქ ბულანჯაკიდან ერთი ქართველი, თავისი ბიძა წამოსულა. 1962 წელს მას თავისი ძმა, ალი ქემალ ქედირის მამა წამოუყვანია. ქართველმა ძმებმა მუშაობა ფეხსაცმლის ქარხანაში დაიწყეს. სამუშაოდ წამოსული მუჰაჯირები აქ დასახლდნენ და გამრავლდნენ. აქ მოსულმა მუჰაჯირებმა შემდეგ ნათესავებიც ჩამოიყვანეს. მოსახლეობის უმეტესობა ბულანჯაკიდანაა. მეორე ნაკადი ჩამოსულა სამსუნის ვილაიეთის ჩარშამბას რაიონიდან. ართვინიდან და ორდუდან ჩამოსულებიც არიან. ბეიკოზის ერთი უბნისთვის გბელიწმინდა შეურქმევიათ.

საკითხი ქართული ენის ცოდნას რომ შეეხო, გვითხრეს, თქვენი საუბრის 40% გასაგებიაო; აღნიშნეს, რომ მათ უფრო დაავიწყდათ ეთნიკური ენა, ვიდრე გირესუნში დარჩენილ ქართველებს. ოჯახში მათი სასაუბრო ენა ქართულია.

ბეიკოზში 250.000 ათასი კაცი ცხოვრობს, აქედან დაახლოებით 220.000 ათასი მუჰაჯირი ქართველია. ქართველთა თექვსმეტი სათვისტომოს 80% შავი ზღვის რეგიონიდან წამოსული მუჰაჯირები არიან. ქართველებს უფიქრიათ და საზოგადოების დაარსება გადაუწყვეტიათ. 1997 წელს საზოგადოება დაუარსებიათ და მისთვის *ბეიკოზის ბათუმელთა ურთიერთდახმარებისა და კულტურული სოლიდარობის საზოგადოება* დაურქმევიათ (თავმჯდომარე ალი ქილიჩი - Ali Kılıç), რადგანაც მათი მიზანი ბათუმიდან და მისი რაიონებიდან გადმოსახლებულთა შეკავშირება იყო. საზოგადოების სიმბოლო ყურძენია. საზოგადოებას 365 აქტიური წევრი ჰყავს. ჰქონდათ

ქართული ენის შემსწავლელი კურსები და მასწავლებელიც ჰყავდათ საქართველოდან მოწვეული.

აჰმედ ფატიჰ აჯარისგან (ჭროღაშვილი (Ahmet Fatih Acar) - სტამბოლის მერიის საგარეო ურთიერთობების სამსახურის თანამშრომელი) სტამბოლში ჩავიწერეთ მასალები, რომლებიც შესაძლოა ერთადერთი ჩანაწერი აღმოჩნდეს ისტორიული ვითარების ერთი მცირე მონაკვეთის აღსადგენად:

ჭროღაშვილების გვარი სამცხე-საათაბაგოდან მოდის. როგორც ბატონმა აჰმედ ფატიჰ აჯარმა გვითხრა, მამას გვარი სტამბოლში იყო გადმოსახლებული, ხოლო დედას გვარი კი საფანჯაში. დედა უბიხია, საძი, გვარად ლაყა. გვარი ლაყა ოთხ სხვადასხვა ხალხში გვხვდება: ადიღეელებში, უბიხებში, ჩერქეზებსა და ქართველებში (მეგრელთა ეთნოგრაფიულ ჯგუფში).

ლახოშე ჭროღაშვილის ბებიას სოფელი ყოფილა სოჭში დედის მხრიდან, თურქეთში კი ბებიას სოფელი იანიქ ქოია (Yanık köy). იანიქ ქოიში ადრე უბიხურად და საძურად ლაპარაკობდნენ, 1970-იან წლებში დამთავრებულა უბიხურად ლაპარაკი. ჯარიმები ყოფილა დაწესებული უბიხურად ლაპარაკისთვის.

საფანჯაში ქართულ-ლაზურად მოსაუბრე ოჯახებიც არის, საფანჯელი ლაზები ბათუმიდან მოსული ლაზები არიან და არა რიზელი ლაზები, ამიტომაც იციან ენა.

საფანჯის სოფლებში - ულვიეში (Ulviye), ფევზიეში (Fevziye), იკრამიეში (Ikramiye), ჰაჯიმერჯანში (Hacımercan), მაჰმუდიეში (Mahmudiye), აქშოიში (Akşoy), დიბექტოშში (Dibektoş), ქურთქოიში (Kurtköy) ჩვენებურები და ლაზები ცხოვრობენ და, შესაბამისად, ჩვენებურად და ჭანურად ლაპარაკობენ, როგორც მთხრობელმა აღნიშნა.

ქართული აჰმედ აჯარს საფანჯაში უსწავლია. ბაბუას (დედის მამას) უსწავლებია მისთვის ქართული სოფელ ნაილიეში (Nailiye). ნაილიეში ხებადან მოსულან და სოფლის სახელიც იქიდან წამოუღიათ.

საბერძნეთისა და თურქეთის ომის დროს, 1920-იან წლებში ბერძნებს სოფელი ნაილიე აუღიათ, იქაური ხალხი აყრილა, ადაფაზარში წასულა და იქ დარჩენილა. ბერძნების წასვლის შემდეგ უკან დაბრუნებულან საფანჯაში. ნაილიე დანგრეული დახვედრიათ. საფანჯაში ძველი დროიდან ცხოვრობდნენ ბერძნები და სომხები. ბერძნებთან ერთად სომხებიც წავიდნენ. მათგან მიტოვებულ ცარიელ სახლებში ადაფაზარიდან უკან დაბრუნებული ქართველები შესახლებულან. შემდეგ თურქეთის სახელმწიფოს ქართველები გამოუყვანია ამ სახლებიდან და მათში საბერძნეთიდან დაბრუნებული თურქი მუჰაჯირები შეუსახლებია. ქართველებს თურმე ძალიან გაუჭირდათ და სხვადასხვა სოფლებში გაფანტულან.

ასევე აღსანიშნავია, რომ ბალიქესირისა და ბურსას საზღვარზე 12 სოფელია, სადაც ახალციხიდან გადასახლებული ქართველები ცხოვრობენ და მათ *აკალინ გურჯუსუს* (**Akalın Gürcüsü**), ანუ ახალციხელ ქართველებს უწოდებენ: *ორი დედე ადრე ჩამოვიდენ აქ* (საფანჯაში), არ გაყვენ (სხვებს), *მათ* (დანარჩენები) *ბალიქესირსა და ბურსაში წასულან. ჯერ ნაპირზე დასახლდენ* (ინებოლუში - კასთამონუს ვილაიეთი), *ცხელება იყო და მაღლა ამოვიდენ, აქ საფანჯაში დასახლდენ. ესენი მესხეთიდან არიან. ჩემი მამას ლაქაბი ჩაქირ-ოღლია* (ჭროღა თვალები ჰქონიათ და წაბლისფერთმიანები ყოფილან). *დედეები იუნანების სოფელში - ჩაქირლიში* (Çakir-öğlü) *დასახლდენ. სოფლის ისტორიული სახელი კი ჯივარტა ყოფილა.*

ქართველების გადმოცემით, შუა ანატოლიიდან გადმოუსახლებიათ თურქები ორდუსა და გირესუნში და ისინი ქართველებისა და ლაზების გვერდით გაქართველებულ-გალაზებულან (ისტორიული რეალობის მიუხედავად, რომ ლაზი იგივე ქართველი იყო, საქართველოს ერთ-ერთი ეთნოგრაფიული მხარის წარმომადგენელი, დღეს მათი ნაწილი თავს ქართველებისგან განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის წევრად მიიჩნევს), ფხალსა და ჭადს ჭამდნენ.

შესანიშნავი იყო ამ შემთხვევისთვის ტუფან ლომინაძის შეფასება: *ვირი რო მეიფიქრებს ცხენი ვარო, მაინც ვირია.* თუმცა ამ და სხვა ყველა მსგავს შემთხვევაში გადამწყვეტ სიტყვას ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა თვითაღქმა ამბობს.

ზემოთქმული რომ შევაჯამოთ და მეტ-ნაკლები სიზუსტით ჩამოვთვალოთ სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქართველებით დასახლებული რაიონები (სოფლების რაოდენობის მითითებით), შემდეგ სურათს მივიღებთ:

ოფში, სურმენესა და მაჩხაში (რიზეს იქით) ცხოვრობენ ქართველები. მათ არ იციან ეთნიკური ენა, მაგრამ შენარჩუნებული აქვთ ეთნიკური ცნობიერება.

გირესუნის ვილაიეთის საკუთრივ ქალაქ გირესუნში ძალიან ბევრი ქართველი ცხოვრობს, გიორელეს რაიონში 7 სოფელია ქართული, თირებოლუს რაიონში - 2, ესპრეში - 3, ბულანჯაკში - 7, ფირაზისის რაიონში 2. სამხრეთ შავიზღვისპირეთის მთელ სანაპიროზე მხოლოდ გირესუნშია თურქების დიდი მოსახლეობა.

ორდუს ვილაიეთის გიოლქოის რაიონში 4 სოფელია ქართველებით დასახლებული: ერთი სოფელი მაჭახლელებით არის დასახლებული, სამი - იმერჯეველებით; ქორგანის რაიონში 6 სოფელია ჩაქვიდან წამოსული ქართველებით დასახლებული; ფაცას რაიონში 16 სოფელია, უნიეში - 12, ცალკე რაიონად გამოიყო ჩაიბაში, სადაც ქართველებით დასახლებული 6 სოფელია.

სამსუნის ვილაიეთის თერმეს რაიონში 4 სოფელია ქართველებით დასახლებული, სალიფაზარის რაიონში 7, ჩარშამბას რაიონში 16-მდე სოფელია, თეფექოის რაიონში 3 სოფელია.

სინოპის ვილაიეთში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთმანეთისგან მცირედით განსხვავებული რაოდენობის სოფლებს ასახელებენ - 53-56-59: გერზეს რაიონში 7 სოფელია, ერფელექის რაიონში 26 სოფელია ქართველებით დასახლებული,

თვით სინოპის რაიონს 16 სოფელი ეკუთვნის, აიანჯიკის რაიონში 4 სოფელია, თურქელის ილჩეში ქართველებით დასახლებული სამი სოფელია: საზაკი (Sazak) – 15-20 კომლი, ჰასანდაღი (Hasandağı) 15-20 კომლი, სულუჩუკური (Suluçükür) – 15-20 კომლი.

კასთამონუს ვილაიეთის (Kastamonu Villayet) ჩათალზეითინის (Çatalzeytin) ილჩეს (რაიონის) სოფელი ჰამიდიე (Hamidye, Meydançık Mahale) ქართველების სოფელია.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ენა თუ დაიკარგა, ქართველობა მაინც დარჩება, ეთნიკური ცნობიერება არ შეიცვლება. თუმცა სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქართველთა უმეტესობა გადაჭრით ამბობს, რომ არცერთ ქართველს არ ეყოფა ცოდნა იმისა, რომ ქართველია, მათ ენა უნდა ისწავლონ: *ერთი ღარჭი მყავს, აგნებს და ვერ ლაპარაკობს. იცის, რომ ქართველი ვარ, ქართველის ცოდნა არ ეყოფა.* რა შეინახავს ქართველობას, თუკი ენა აღარ იქნება? მათი აზრით: 1. ახალგაზრდების ერთმანეთთან დაახლოება, ქართველების ერთმანეთზე დაქორწინება და 2. ენის კურსების გახსნა, ქართული ენის სწავლა ეთნიკურ ცნობიერებას, ქართველობას შეინახავს.

# ენობრივი ვითარება ისტორიულ ტაოში
## ქობაჲ (Kobak), ბალჯი (Balcili), ჴევაჲ (Biçakçilar)

„ისტორიამ საოცარი ხვედრი არგუნა ამ კუთხეს: აქ დაირწა ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი. ქართველი კაცის მოღვაწეობის ნაკვალევი ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვხვდება აქ: ციხეები, ეკლესია-მონასტრები, სამლოცველოები... მნახველს აოცებს ოთხთა ეკლესია, იშხანი, პარხალი, ოშკი, ხახული... მთის მწვერვალზე ნაშენი ციხე-კოშკები... ერთ დროს ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა ტაოს ქვეყანა და, შესაბამისად, ტაოური დიალექტი. დღეს კი ტაოური მეტყველება რამდენიმე სოფელშიღა გადარჩენილა. მასშიც ხელშესახებია თურქული ელემენტი... ტაოელთა დიდი ნაწილი გათურქებულა. მათი ასიმილაციის პროცესი გასულ საუკუნეში დასრულდა. მექართულე ტაოელთა ნაწილი თურქეთის შიგა პროვინციებში ბურსა, ადაფაზარი, სხვაგანაც გადასახლებულა“ (ფაღავა, 2013:254).

მრავალფეროვანი და საყურადღებოა ტაოელ ქართველთა ენობრივი და ეთნიკური იდენტობის გამოხატვის ფორმები.

როგორც ცნობილია, ტაოს ეთნიკური ქართველები მკვიდრნი არიან იმ ტერიტორიისა, რომელზეც ცხოვრობენ, რასაც ყოველთვის აღნიშნავენ: *არსაიდან არ მოვსულვართ, აქ ვცხოვრობდით.*

სამწუხაროდ, ტაოში ენის ცოდნის თვალსაზრისით უფრო რთული ვითარება გვაქვს, ვიდრე ქართველებით დასახლებულ თურქეთის დანარჩენ რეგიონებში. ქართული ენის გავრცელების არეალი დღეს ძირითადად ტაოს სამი სოფელი-თემია, სადაც ქართულად ლაპარაკობენ. მათივე დაზუსტებით, სახლში თურქულადაც ლაპარაკობენ და *გურჯულადაც*. ქართველების დიდი ნაწილი მამაპაპისეულ კარ-მიდამოში უკვე მხოლოდ ზაფხულობით ცხოვრობს.

ტაოს ქართველები თავიანთ თავს გურჯს უწოდებენ: გურჯი ვარ. საზღვრის გახსნის შემდეგ აღადგინეს მათ ეთნონიმი *ქართველი: აქ თუ დაიბადა, ქართველია. სოფელში თუ დაიბადა, გურჯობს* (ქართველობს) *და გურჯულიც იცის; აქ დევბადე, აქ გევზარდე, აქ უნდა მოვკვდე.*

კრებითი სახელი ქართველობა, შესაბამისად, ლექსიკური ერთეულით-გურჯობა-გადმოიცემა: *იქ ბევრი გურჯობა არიან.*

ტაოს ქართველები თვისტომთ ჩვენებურსაც უწოდებენ: *ჩვენებურა თუ შემეყრება, ითბოვს...*, რაც გვიანდელი ფაქტი უნდა იყოს. ეთნონიმ ჩვენებურს ისტორიული საქართველოს მკვიდრნი არ ხმარობდნენ. ეს ურბანიზაციის არნახულ ტემპს, დიდ თუ პატარა ქალაქებში ცხოვრებას უნდა გამოეწვია, სადაც ყველა ქართველი ერთმანეთისთვის უკვე ჩვენებურია.

ეთნიკურ ენას ტაოს მკვიდრი ქართველები გურჯულს (ქართულს) უწოდებენ, რომელიც ფონეტიკური ვარიანტებით გვხვდება: გურჯიჯა, გურჯუჯე, გურჯი: *ანა დილი* (resp.: მშობლიური ენა) *გურჯია*; ასევე *გურჯიჯას* სინონიმად ინტენსიურად იყენებენ ბოლო ათწლეულებში აღდგენილ ქართველი ენას, ქართული ენას, ქართულას.

აღნიშნავენ, რომ: *გურჯიჯა ადვილა ვიარენობთ* (resp.: ვლაპარაკობთ), ან კიდევ: *ენა გურჯიჯა ადვილა ბრუნაობს.*

ქართულის ცოდნის თვალსაზრისით აქაც იგივე ვითარება გვაქვს, რაც თურქეთის სხვა რეგიონებში:

1. 70 წელს გადაცილებული ქართველები, რომლებიც სოფლებში დაიბადნენ, გაიზარდნენ და ენა ქართულად აიდგეს, ბევრ მათგანს სკოლაშიც არ უვლია და განათლება არ მიუღია. მათთვის ერთადერთი საკომუნიკაციო ენა თავისივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან და ოჯახში ქართულია. მათ თურქული საკმაოდ გვიან ისწავლეს და უკვე აქტიურად იყენებენ ყოველდღიურად თურქეთში მცხოვრებ სხვა ეთნიკური ჯგუფის წევრებთან ურთიერთობისას. აქვე

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ასაკის ქალებმა ძალიან ცუდად იციან თურქული.

2. 50-60 წლის ქართველები, რომელთა უმეტესობა ასევე ისტორიული ტაოს სოფლებშია დაბადებული, ენაც ქართულად აიდგეს და სიმღერაც ქართული ესმოდათ ბავშვობაში. მათი გადმოცემით: *ოქულში რომ წავედი, თურქჩა (თურქული) მემრე დუეჩუ ენ (დავეჩვიე).* მათ განათლება თურქულ სკოლებში მიიღეს, მცირე ნაწილმა უმაღლეს საწავლებლებში; მათ სამსახურებსა და თურქულენოვან საზოგადოებაში უწევთ დროის დიდი ნაწილის გატარება; კარგად ლაპარაკობენ ქართულად, თუმცა ბევრი თურქული ნასესხობით: *ჩემთვის გურჯიჯა დაჰა ქოლაია* (ქართული *უფრო ადვილია*). ამ ასაკის ქართველთა დიდი ნაწილი უკვე თურქეთის ქალაქებში ცხოვრობს.

3. 30-40 წლის ქართველები, რომლებიც ქალაქებში დაიბადნენ, სკოლებიც ქალაქში დაამთავრეს, ამ ასაკის ქართველების დიდ ნაწილს უკვე უმაღლესი სასწავლებლები აქვთ დამთავრებული. გაფანტულად ცხოვრობენ თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში, მუშაობენ სხვადასხვა დაწესებულებებში, ჰყავთ თურქი მეგობრები. ქართველთა ეს ნაწილი დამტვრეული ქართულით საუბრობს. მათი საურთიერთო ენა ოჯახსა და საზოგადოებაში უკვე თურქულია.

4. 30 წლამდე ასაკის ქართველები, რომლებიც ვეღარ ლაპარაკობენ ქართულად. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ახალგაზრდა ქართველი მოწადინებულია უმაღლესი განათლება მიიღოს. კითხვაზე, იცოდნენ თუ არა ქართული ენა, პასუხი ყველა შემთხვევაში ცალსახა იყო: *გიგვიგნია და ვერ გვილაპარაკნია.*

გურჯიჯას (ქართულის) არცოდნას რამდენიმე მიზეზით ხსნიან: 1. ხშირად ანბანის, ანუ წერა-კითხვის უცოდინრობით: *გურჯიჯა ვიცი, ბევრ რამე ვერ მიმხდარვარ, ალფაბე არ ვიცი;* 2. თუ სოფელში არ დაიბადა და გაიზარდა, ქართული არ ეცოდინება: *აქ თუ არ დაიბადა, ქართულა არ ეცოდინება იმასა.*

ტაოს სამი თემის - ქობაჲს, ბალჯისა და ჯევაჲს სოფლებიდან ყველაზე კარგი სურათი ქართულის ცოდნის თვალსაზრისით ბალჯში გვაქვს. ამ სოფელში, გარდა იმისა, რომ უფროსი და საშუალო ასაკის ადამიანები ლაპარაკობენ ქართულად, ახალგაზრდებიც ურიგოდ არ მეტყველებენ და ამბობენ, რომ თურქული სკოლაში ისწავლეს. ბალჯში პატარებმაც იციან ქართულიც.

ტაოს ქართული მოსახლეობისთვის ანბანის, ანუ წერა-კითხვის არცოდნა სერიოზული დაბრკოლებაა.

ენობრივი ვითარების ასახვის თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებო მონაცემია ტოპონიმები, რომელთა მნიშვნელობა განუზომელია ისტორიული რეალობის შესაფასებლად. მიუხედავად იმისა, რომ ტაო-კლარჯეთის ტოპონიმებს არაერთი მეცნიერის ნაშრომი მიეძღვნა, ეს ნაწილი მუდამ ამოუწურავი და საგანგებო კვლევის საგანი იქნება. ჩვენ, ჩვენი მხრივ, შევეცადეთ ისტორიული ტაოს ტოპონიმთა იმ მცირე ნაწილის ფიქსაცია მოგვეხერხებინა, რომლის აღწერის შესაძლებლობაც გვქონდა. ეს ადგილების, ხევების, მთების, მდინარეების (ღელეების), ყანა-ჭალების, სათიბების სახელებია.

ქობაჲს ორი მაჰალე აქვს: 1. გაღმა ქობაჲ და 2. გამოღმა ქობაჲ.

ქობაჲში ჩაწერილი ტოპონიმები:

1. ადგილთა სახელები: *ვაკეკევი, სამსუროკევი, დიდღელე ბევი.*

*2.* მდინარის (ღელეს) სახელად დავადასტურეთ: *საწყელე ღელე.*

*3.* ყანა-ჭალების სახელები: *გებრის წყარო, ბიკრიეთი, ნასელავი, კოხოვრი, გორდნალი, გორდაჲ, ლელევრი, ძველაგარა, დიდვაკე, ქარსაღეთი ჭალები, ლეკნარი//ნეკნარი, ქათქეთი, გულია.*

*4.* მთების სახელები: *სავილვილო, თევნარი, მოგლესილი, დიდი მთა, ბოზალთი, კორნალათი, დაღარული.*

*5.* სათიბის სახელი: *ლოლოვრი.*

ქვაბაჲს ტოპონიმიის შესახებ საინტერესო მასალას გვაწვდის ე. დადიანი თავის სტატიაში „სოფელ ქვაბაის (თურქ. იუქსექობა) ტოპონიმია“: „ქვაბაიში სულ 130-მდე მიკროტოპონიმი ჩავიწერეთ. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ქართულია და წარმომავლობაც ნათელია. ქართული ტოპონიმების ნაწილს დროთა განმავლობაში გარეგნული (ფორმობრივი) იერსახე შეუცვლია, ამდენად, ძნელია მათი ამოსავალი, ქართული ძირ-ფუძეების ამოცნობა“ (დადიანი, 2014:49-50): *აგრისი, გზევნარი, აჲნიანჭალები, არყიაღელე, ახაჩა/აყაჩა, გარდიეთი ტყევნარი* (დადიანი, 2014:50), *გარდიეთი ჭალები, გარდიეთი ჯევი, გლენიჯე(ვ)ი, გაღმაჲ ტყე, გაღმელ თევნარი, გაღმელ ჭალა-ყანა* (დადიანი 2014:51), *დამპალწყარო, დიდვაკე, დიდჩაღილი, ერთი ხე* (დადიანი, 2014:52), *ვაკე, ვაკევნარი, დასაღი ტყე* (დადიანი, 2014:53), *კვერნალათი, ლერწმანიხევი/ნერწმანიხევი, მახათეთი, მორიპირი, ნაბიანჭალები, ნასილავი* (დადიანი, 2014:54), *ნეკნარიჯევი, სათოვლექეთქეთი ჭალები, სამურღულე* (დადიანი, 2014:55), *სანიკრიქეთი, საცორი, სახუნდავი, საყვერავი, ტყიძირი, უკანამთა/უკანა თა* (დადიანი, 2014:56), *უკანჭალები, ფიქალთავი, ქასახეთი ჭალები, ქოჲსი გზა, ჩათაღი* (დადიანი, 2014:57), *წითელთი, წითლობი, წისქვილები, ჭუვითჭალა, ჯამიანკილდე, ჯამიანწინე...* (დადიანი, 2014:58).

ჯევაჲს მაჰალეების (უბნების) სახელებად ინფორმატორებისგან ჩავიწერეთ: *ქონობანი, გასლეკარი,* რომელიც დაწკებული (დატკეპნილი) ადგილი ყოფილა, *გოდლეკარი, ჭედლიანკარი // ჭეილენკარი // ჭელენკარი // ჭელიანკარი, კრეეკარი // კრაეკარი,* რომელიც ჯევაჲს მკვიდრ ქართველთა გადმოცემით, კრავის კარს ნიშნავს. *კრეეკარს* ჯევაჲს გულს უწოდებენ; *დოლეჯიანკარი, დოლეკარი // დოღლეკარი, ვაჩეკარი,* რომელიც ეტიმოლოგიურად, ადგილობრივთა გადმოცემით, *ვაცებს* უკავშირდება, *ჰამდენკარი, ფიშნარჯევი // ფიჩნარჯევი, დევსეკარა, იეთი, სადგიყანა, ელიასჯევი, ქორი-*

*ეთი, დუალეკარი, გასლეკარი აგარა, შაბანიანკარი, ობლეკარი, სადგიყანა (სადგომყანა).*

ადგილების სახელები: *ჭორობაქეთი, კუპრიეთი, ინტკორი.*

ჴევაჲში ჭალების სახელებად ჩავიწერეთ: *წვერსიქითი, ნაჭალეჲ, ნაფაჴეჲ, ციცევლი, ფიჩხათი, დიდსათიბელი, საფურე, ერთპირაჲ, ჯიმჭკელავაკე, კორდისთაჲ, წინჭალები, ძირვანი, უზანკარი, შამბი, ლამბერისი, საჭვაკე, ფურექეთი, ნასხითი.*

მდინარეების (ღელეების) სახელები: *ფშაჴევი წყალი, საჩევღელე//სახჩევღელე, ფიჩხათი.*

ყანების სახელები: *წოწოლყანა, გაღმაჲ.*

მთების სახელები: *გურგუნექეთი, ნაცეჴვარი, ქესადგური, თავფესადგური, იორდამიწვერი, გუდასჴევი.*

ტყეების სახელები: *დიდვაკე, დამპალწყარო.*

წყაროების სახელები: *სუმანწყარო (სასმელი წყარო), დაფიქლული, შაიწყარო (შავი წყარო), თიბილაწყარო.*

ბალჯში მაჰალეების (უბნების) სახელებად დღემდე შემორჩენილია: *წითლეკარი, აბაზალა, ყარამანლარ, ჯუწეკარი, ლიტრევ, ონაჯათკარი, სავრიათი.*

ბალჯის ოდნავ ქვემოთ დასახლებულ ადგილს *ბალჯიბარი* ჰქვია, რომელსაც *ბარი* პირობითად შეიძლება ვუწოდოთ. როგორც ჩანს, ადრე ნამატი მოსახლეობა ბალჯში რომ ვერ დაეტია, ცოტათი ქვემოთ ჩავიდა და იქ დასახლდა, ადგილს კი პირობითად *ბალჯიბარი* (ბალჯის ბარი) უწოდა.

საინტერესო და საყურადღებოა *ბალჯის* ტოპონიმია:

ჭალების სახელები: *დიდჭალა, გაღმიჭალა, ჭანჭაჯი, კაპანეთი, ფაცაკი, ჭაყანა, გორამეთი, ნაფარაჴევი, საკენჭვანი, სერები, წისქვილკარი, ჯერდოჲ, ფესანკარაჲ, წყაროთვალი, გირძელი ჭალა, კარნალი, ვანეთი, მუჯლანი, ტყიბირი, მაღალევი, ქედიყანაჲ, ქედსიქითი, საფარაჴევი...*

ტყეების სახელები: *ქონქლიეთი, ტყევნარი, მეჯაქეთი, ჯარსაწველი, სამანჯაკო, ჯაშოთი.*

მთების სახელები: *ჯუჯუნაწვერი, ლაკატანა.*

სავრიათში ჩანჩქერს სახელად *წმიდა* ჰქვია.

რაც შეეხება ლექსიკას, უნდა აღინიშნოს, რომ 1. ნათესაობის აღმნიშვნელი ქართული ლექსიკა: *რძალი, სიძე, დედამთილი, მამამთილი, ღარჩი...* 2. ფლორის აღმნიშვნელი: *ნაძვი, სოჭი, კატარი, ვაშლი, სხალი, კაკალი, თხილი, ძეწანი, თუთა, ლობია, ცერცვი, ქინძი...* 3. ფაუნის აღმნიშვნელი: *ძროხა, ფური, ხოზო, ცხვარი, ვერძი, თხაჲ, ვაცი, კრავი, თიკანი, ქათამი, მამალი, კატა, ტურა, გელი* (მგელი), *დათვი, თაგვი, კალი* (კალია)... 4. სამუშაო იარაღების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: *საფუარჩქელი* (ფოცხი), *წალდი, თოხი, მანგალი, ნიჩაბი, ცული...* 5. მარცვლეულის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: *ჰური, ქერი, ჭვავი...* 6. რძის პროდუქტების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: *ძე* (რძე), *ერბო, ყველი, ნაწველი...* ხშირი გამოყენებისაა და არ სხვაობს სხვა რეგიონების ქართველთა მეტყველებისგან. ასევე ენის მცოდნე ყველა ტაოელი ქართველის მეტყველებაში აქტიურია შემდეგი ლექსიკური ერთეულები: *ცომი, ფქვილი, მარილი, ცეცხლი, ყანა, კალო, ბოსელი, აპეური, ბოსტანი, სათივე, თივა, ბზე, ბეღელი, დეფანი, კეცი, თიჯა, გოდორი, გუდა, ტიკი, საჩეჩელი, აკვანი, მაყარი...*

გვაქვს კრებითი სახელი ნახირი.

საქონლისთვის საღამოს დასაყრელ საჭმელს, თივას ვაჭშამს უწოდებენ: *ფურებ ვაჭშამი მეიტანა//ფურ საღამოზე დასაყრელი თივა მეიტანა.*

ყველაზე ნიშანდობლივი კი ის ლექსიკური ერთეულები და ფრაზეოლოგიზმებია, რომლებიც ტაოს ქართველებს შემოუნახავთ და რომელთაც დღეს ვერ ვადასტურებთ თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში: **გზაბაწარი** - ბილიკი, **ქვაბუქი** - ქარბუქი, **პაწაპუწაჲ** - გირჩები, **კალი** - ეკალი, **რთველი** - შემოდგომა, **ღარღალობს** - მწარედ ტირის, **თვალწყალი მოუვიდა** - ტირის, **გულიდამ ტირის** - გულამოსკვნილი ტირის, **ყავარზე გასლამდინ გათოვლდება** - ძალიან მალე მოვა თოვლი.

*წვავს* ზმნის მნიშვნელობით გვხდება ხრაკავს: *თივები დავ-ხრაკე.*

*მოაგროვებს* ზმნის მნიშვნელობით დასტურდება კრეფს: *საფუარჩჴელით თივა მოვკრიფე.*

*სტკივა* ზმნის მნიშვნელობით გვაქვს ენთება: *მუცელი ენ-თება.*

გრამატიკული თავისებურებებიდან აღვნუსხეთ მხოლოდ ისინი, რომლითაც გამორჩეულია ტაოელთა მეტყველება:

1. გვხვდება რთული სიტყვები, კომპოზიტები: *ჭალა-ყანაში* მივდივარ.

2. გვაქვს ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები თავკიდური ბგერის შეცვლით: *კალო-მალო, საჭმელი-მაჭმელი.*

*3.* იკარგება მიცემითი ბრუნვის ნიშანი: *პურ∅* ვაცხობთ; *ფუ-რ∅* მოვწველავ; *დედეებ∅ უქნიან ეს.*

4. -ი თემისნიშნიანი ზმნები: 1. შენაცვლებულია -ავ თემის ნიშნით: *დავჭრ-ავ-თ;* 2. -ამ თემის ნიშნით: *გავხსნ-ამ-თ*; -ებ თემის ნიშანს ენაცვლება -ავ ფორმანტი: *სახლებ ვაკეთ-ავ*; -ობ თემისნიშნიან ზმნებში -ობ სუფიქსს ენაცვლება -ავ: *ვილოც-ავ-თ*; -ებ თემის ნიშანი ხშირად იკარგება: *მანქანა გაფუჭ∅ულია.*

5. -ა - -ებ აფიქსები გამოიყენება შუალობითი კონტაქტის საწარმოებლად: *ის ბიჭი გვ-ა-ლოც-ებ-ს.*

6. საინტერესოა ტაოელთა მეტყველებაში დადასტურებუ-ლი რიცხვში მონაცვლე ზმნები: ვაწყობ - ვაწკარებ: *ვაწყობთ ერთ თაანეზე* (resp.: ცალზე) *ვიტყვით, ვაწკარებ ბევრ თაანეზე ვიტყვით.*

7. ყურადღებას იპყრობს ზმნის უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმები: *გახმობილი ქერსა გავშლიდით, ცერცვსა ვახ-მობდით, ცალ-ცალკე გავლეწვიდით, ხარებ ვაბმიდით, გავლეწვიდით. ქერ გავცრიდით, ვანიავებდით, წისქვილში წევღებდით, გომოვფქვიდით, ფქვილი შეიქნებოდა და პურ გუმუაცხობდით.*

8. ზმნის სრული ასპექტის გადმოსაცემად გავრცელებული ზმნისწინიანი ფორმის ნაცვლად არცთუ იშვიათია უზმნისწი-

ნო ფორმის გამოყენება: *იქ უბრიტეს* (გაუხვრიტეს) *ყური; არ სმიდა* (არ დალია).

9. ვითარების ზმნიზედას ძალიან ენაცვლება განუსაზღვრელი რიცხვითი სახელი ბევრი: ბევრი ძველი (ძალიან ძველი); ადგილის ზმნიზედები ზემოთ და ქვემოთ -*ში* თანდებულით გვხვდება: ქომოთობაში: *ქომოთობაში გვაქვ*, ზემოთობაში: *ზემოთობაში არ გვაქვ*.

10. -ში თანდებულს ენაცვლება: 1.-ა ფორმანტი: *ზაფხულ-ა* (ზაფხულში) *აქა ვარ*; 2. სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა: *ზამთრის* (ზამთარში) *ვარ*; 3. სახელის ფუძე: *ბურსა ვარ* (ბურსაში ვარ).

11. შემდეგ თანდებულს ენაცვლება უკან: *ჩემ უკან არ იციან გურჯიჯა*.

12. შე- ზმნისწინი რეგრესული ასიმილაციით გვაძლევს შო-ს: *შომოდით*.

ასეთია ძალიან მოკლედ ენობრივი ვითარება იმ ტერიტორიაზე, რომელიც ისტორიული ტაოს სახელითაა ცნობილი. ისტორიულ ტაოში (პარხლისწყლის ხეობა) ქართული ენა ჯერ კიდევ მოქმედი, ენერგეტიკულია, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი პირობაა ენის სიცოცხლისუნარიანობისთვის. ტაოში ქართული კვლავ არის ინფორმაციის გადაცემა-გავრცელების საშუალება, ენით კვლავაც შემონახულია ეთნიკური იერ-სახე. ამას კი უფროსი და საშუალო თაობის ქართველები უზრუნველყოფენ. მომავლის სურათის გათვალისწინებით კი ისტორიულ ტაოში (პარხლისწყლის ხეობა) ენობრივი ვითარება რთული იქნება. მოცემულ ეტაპზე ურბანიზაციის შეუქცევადი პროცესის წყალობით, რომელმაც სოფლის სიცოცხლე ტაოს (პარხლისწყლის ხეობა) მკვიდრთა დიდი ნაწილისათვის ზაფხულის პერიოდით განსაზღვრა, ეთნიკური ენა რეალური საფრთხის - გაქრობის წინაშე დგას. ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი, რომელმაც შემდეგ თაობას უნდა გადასცეს მამა-პაპათა ენა, ვეღარ მეტყველებს ქართულად, რადგან მიმდინარეობს ლინგვო-კულტურული ინტეგრაციის პროცესი;

თუმცა ამავე დროს შეინიშნება საპირისპირო ტენდენციაც: საზღვრის გახსნის, ხშირი მისვლა-მოსვლის შედეგად დღეს ბევრ ტაოელს უჩნდება სურვილი ქართული ენის სწავლისა, რასაც ნაბიჯ-ნაბიჯ ახერხებენ კიდეც.

# ტოპონიმები - არტანუჯის ისტორიული რეალობის ერთადერთი მოწმენი

როგორც ცნობილია, არტანუჯი ისტორიული საქართველოს, კერძოდ, კლარჯეთის უძველესი ქალაქია. არტანუჯის, როგორც დასახლებული პუნქტის, არსებობაზე ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში მიუთითებენ. კლავდიოს პტოლემაიოსის მიერ ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნის შუახანებში მოხსენიებული ქალაქი არტანისა (Aranissa) ძველ არტანუჯად მიაჩნიათ (გეორგიკა, 1952:80; პტოლემაიოსი, 1995:46, 59-60).

ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასალმა „იხილა კლდე შუა კლარჯეთსა, რომელსა ერქუა არტანუჯი და მოუწოდა არტავაზს, ძუძუმტესა მისსა, და დაადგინა იგი ერისთავად; და უბრძანა, რათა ააგოს ციხე არტანუჯისა... ხოლო არტავაზ აღაშენა ციხე არტანუჯისა“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955:177-178).

VIII საუკუნეში ციხე აოხრებული და მიტოვებული ყოფილა, რადგან „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით: „აშოტ კურაპალატმან პოვა კლდე ერთი, რომელ პირველ ვახტანგ გორგასალს ციხედ აღეშენა, სახელით არტანუჯი; და აოხრებულ იყო ბაღდადელისა მით ყრუობითგან. იგი განაახლა აშოტ და აღაშენა ეგრეთვე ციხედ, და წინა-კერძო მისსა ქუეშეთ აღაშენა ქალაქი. და აღაშენა ციხესა მას შინა ეკლესია წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955:377).

ამ დროიდან არტანუჯი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცენტრად და ბაგრატიონთა სატახტო ქალაქად იქცა.

XI საუკუნეში არტანუჯს დაუკარგავს ის პოლიტიკური როლი, რომელიც IX-X საუკუნეებში ჰქონდა, თუმცა კვლავ რჩებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ქალაქად. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, 1080

წელს ქალაქი თურქ-სელჯუკებს გადაუწვავთ (ქართლის ცხოვრება, I, 1955:319). XIII საუკუნიდან არტანუჯი ათაბაგთა გამგებლობაში გადასულა, ხოლო 1553 წელს ათაბაგ ქაიხოსრო II-ისთვის არტანუჯი ერზერუმის მმართველს ისქენდერ ფაშას წაურთმევია. ვახუშტის ცნობით „არს არტანუჯი, ქალაქი მცირე და ციხე მაგარი, კეთილშენი“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955:681).

1878 წელს რუსეთმა სან-სტეფანოს ზავით შეიერთა ოსმალეთის ტერიტორიის ნაწილი, მათ შორის ისტორიული საქართველოს განუყოფელი ნაწილი ტაო-კლარჯეთიც. 1921 წელს კი ყარსის ხელშეკრულების საფუძველზე საბჭოთა კავშირმა თურქეთს გადასცა ყოფილი ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი, ართვინისა და არტაანის ოლქები. არტანუჯი, ისტორიული კლარჯეთის უძველესი ქალაქი, თურქეთის საზღვრებში, ართვინის ვილაიეთში მოექცა.

გ. ყაზბეგის ცნობით, „სათლელიდან არტანუჯისაკენ მიმავალი გზა... გაჭიმულია კარგად დასახლებულ სივრცეზე და 25-30 ვერსის მანძილზე გვხვდება სოფლები: შინდობანი, ანაკლია, ჩივთლული, მოქთა, კარსინი, კონტრომი, სამწყალი, გვარაშენი და ბაცა. ოდნავ გვერდით რჩება სოფლები: ანაკერტი და ანჩა. სოფელი მოქთა შავშეთის უკანასკნელი პუნქტია. აქედან იწყება არტანუჯის კაზა“ (ყაზბეგი, 1995:90).

„პროვინცია არტანუჯი იწყება იალანუს-ჩამის ქედის გადასასვლელიდან, გობიხვეწიას მთასთან. შავშეთზე მიძღვნილ სტატიაში ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ამ ადგილის ხასიათზე და ჩვენი თხრობა დავიყვანეთ სოფელ ბაცამდე, სადაც შავშეთის დიდი გზა უერთდება ლივანისას და ართვინიდან არტანუჯში მიდის. ეს გზა თურქეთის საქართველოს აღწერებში ბათუმ-ყარსის გზატკეცილის სახელითაა ცნობილი“ (ყაზბეგი, 1995:98).

„სოფელ ბაცაში 25 კომლი ცხოვრობს, სახლები გაფანტულია ხრამის ორივე მხარეს, შავშეთის გზის გაყოლებით. სოფლის შუაგული შავი ზღვის დონიდან 3575 ფუტზე მდებარეობს. აქედან იწყება ერთი უწყვეტი დაღმართი არტანუჯისკენ,

რომელიც ხელის გულივით მოჩანს. ქალაქის ტოპოგრაფიული მდებარეობა ძალზე ორიგინალურია. იგი განლაგებულია მცირე სამკუთხოვან ფართობზე, არტანუჯ-ჩაის მარცხენა ნაპირზე, ღრმა ტაფობში, რომლის თავზე ყოველი მხრიდან დაკიდულია მაღალი კლდეები" (ყაზბეგი, 1995:99).

დღევანდელი არტანუჯი მცირედ სახეცვლილი ფორმით - არდანუჩ-ი (Ardanuç) ორ ნაწილად იყოფა: *იენი არდანუჩი* (Yeni Ardanuç), რომელიც გაშენდა მდინარე არტანუჯის წყლის მარჯვენა ნაპირზე, ვაკე ადგილას, XX საუკუნეში და *ესქი არდანუჩი* (Eski Ardanuç), რომელსაც ადაქალეს უწოდებენ და მდინარის მარცხენა ნაპირზე აღმართული კლდოვანი მთის ბაქანზე მდებარეობს. არტანუჯი 50-მდე სოფელს აერთიანებს.

რაც შეეხება არტანუჯის მოსახლეობას, შ. ლომსაძის ცნობით, ის შუა საუკუნეების ბოლომდე დიდწილად ქართული იყო. XVII-XVIII საუკუნეებში არტანუჯელი ქართველები ძირითადად გამაჰმადიანდნენ, ნაწილმა კი კათოლიკობა მიიღო. 1784 წლით დათარიღებულ ერთ კათოლიკურ ქადაგებათა წიგნს აქვს მინაწერი: „მე მონა მონათა მსახურმა პავლე არტანუჯელმა დიაკონმა დავწერე ეს უმცირესი ნაწერი" (ლომსაძე, 1979:236). ამ პერიოდში იწყება აქ კათოლიკე სომხების ჩამოსახლება და XIX საუკუნეში ისინი, სომხურენოვანი რიტის კათოლიკე ქართველებთან ერთად არტანუჯში უკვე აშკარა უმრავლესობას შეადგენდნენ.

საველე მუშაობისას მოპოვებული ინფორმაციით, ისტორიული საქართველოს ნაწილის არტანუჯის მკვიდრნი ამ ტერიტორიიდან 1946 წელს აუყრიათ და გადაუსახლებიათ თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში: „არტანუჯის მიდამოებში დღეს ფაქტობრივად ეთნიკური ქართველები აღარ მოსახლეობენ. როგორც ირკვევა, ისინი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბურსაში გადაასახლეს" (თოფჩიშვილი, 2010:146).

სტატისტიკით საკუთრივ დაბა არტანუჯში 6 000 მოსახლეა, თუმცა არტანუჯელთა გადმოცემით, რომლებთანაც შეხვედრის საშუალება 2010 წლის ზაფხულში თურქეთის ქალაქ

ბურსაში მოგვეცა, მუდმივად არტანუჯის სოფლებში 1500–2000 კაცი ცხოვრობს, ხოლო 5 000-მდე, ანუ არტანუჯელთა უმეტესობა ბურსაში ცხოვრობს, სადაც არტანუჯის კულტურის საზოგადოებაც კი აქვთ ჩამოყალიბებული. ისინი აგრეთვე ცხოვრობენ - ადაფაზარში, იზმირში, კირშეჰირში, ქონიაში, ამასიაში, მერზიფონში, აიდინში, სადაც დაახლოებით 30 წლის წინ გადასახლდნენ. დღეს სოფლების მიტოვების საბაბად ეკონომიკურ და კულტურულ მდგომარეობას ასახელებენ.

საზღვრების გადახედვის, შეცვლის შემდეგ, როდესაც ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი მეორე ქვეყნის შემადგენლობაში აღმოჩნდება, ბუნებრივია, ამ უკანასკნელის წინაშე დგება საკითხი ამ ტერიტორიაზე მოსახლე მკვიდრი ეთნიკური ჯგუფის მოსახლეობის ასიმილირებისა უფრო დიდ ეთნიკურ ჯუფთან, რაც მთელ რიგ სხვა ფაქტორებთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, ეთნიკურობის, ისტორიული მახსოვრობის წაშლას ითვალისწინებს და ტოპონიმიის შეცვლით იწყება.

არტანუჯი რომ ძველთაგანვე ქართველთა სამკვიდრო იყო, ამას, ზემოთ მითითებული წყაროებისა და ლიტერატურის გარდა, შესანიშნავად გვიჩვენებს სტატისტიკური მონაცემები კავკასიის მოსახლეობის შესახებ, რომელიც 1886 წლის საოჯახო სიების საფუძველზეა შედგენილი რუსების მიერ კავკასიის მოსახლეობის აღწერის შედეგად. ეს მონაცემები ძალზე საინტერესოა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ერთიანი საქართველოს დაშლითა და ქართველი ხალხის სხვადასხვა ეთნოგრაფიული ჯგუფების სხვადასხვა ხალხებად გამოცხადებით დაინტერესებული რუსეთი შემდეგ სტატისტიკას გვაწვდის: ართვინის ოკრუგში შემავალ არტანუჯის უბანში (resp.: участок) მცხოვრები ხალხების გრაფაში სულ ქართველთა 556 კომლია აღრიცხული (მამრობითი სქესის წარმომადგენელი - 1734 სული, მდედრობითი სქესისა კი - 1599), რაც თითქმის ორჯერ აღემატება ამ პერიოდში აქ

მოსახლე სომხურ მოსახლეობას - 304 კომლი (მამრობითი სქესის წარმომადგენელი - 829, მდედრობითისა - 739) (**Свод статистических данных о населении Закавказского Края извлеченных из посемейных списков 1893, 12**). ქვემოთ მოვიყვანთ ცხრილს, რომ სურათი უფრო ნათლად წარმოვადგინოთ:

| | წელი | ხალხი | კომლი | კაცი | ქალი | საერთო რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ართვინის ოკრუგი არტანუჯის უბანი | 1886 | ქართველები | 556 | 1734 | 1599 | |
| I. ანჩის სასოფლო საზოგადოება | 1886 | ქართველები | 215 | 615 | 572 | 1187 |
| 1. ანაგერტი | 1886 | ქართველები | 59 | 172 | 158 | 330 |
| 2. ანჩი | 1886 | ქართველები | 76 | 206 | 191 | 397 |
| 3. ანჩკორა | 1886 | ქართველები | 52 | 156 | 142 | 298 |
| 4. ოპისჭალა | 1886 | ქართველები | 28 | 81 | 81 | 162 |
| II. არტანუჯის სასოფლო საზოგადოება | 1886 | | 217 | 550 | 477 | 1027 |
| 5. არტანუჯი | 1886 | სომხები | 203<br>191 კომლი | 516<br>500 | 447<br>430 | 963<br>930 |
| 6. იშხანარი | 1886 | -------- | 14 | 34 | 30 | 64 |
| III. გუმიშხანის სასოფლო საზოგადოება | 1886 | | 1 | 2 | 6 | 8 |
| 7. ახიზა | 1886 | ქართველები | 1 | 2 | 6 | 8 |
| IV. კარსნის სასოფლო საზოგადოება | 1886 | ქართველები | 121 | 379 | 374 | 753 |
| 8. გოროშეთი | 1886 | ქართველები | 51 | 145 | 150 | 295 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 9. კარსნი | 1886 | ქართველები | 37 | 117 | 105 | 222 |
| 10. კონტრომი | 1886 | ქართველები | 18 | 61 | 63 | 124 |
| 11. სოლიანა | 1886 | ქართველები | 8 | 35 | 33 | 68 |
| 12. უსტამელი | 1886 | ქართველები | 7 | 21 | 23 | 44 |
| V. ლონგოთხევის სასოფლო საზოგადოება | | | | | | |
| 13. ლონგოთხევი | 1886 | ქართველები | 1 | 2 | 3 | 5 |
| VI. სამსხარის სასოფლო საზოგადოება | 1886 | ქართველები | 218 | 736 | 644 | 1380 |
| 14. ნორღიელი | 1886 | ქართველები | 32 | 103 | 101 | 204 |
| 15. პეტობანი | 1886 | ქართველები | 22 | 64 | 55 | 119 |
| 16. სამსხარ-წყალი | 1886 | ქართველები | 114 | 405 | 327 | 732 |
| 17. ჩიდილი | 1886 | ქართველები | 50 | 164 | 161 | 325 |

ეს სიები ფრიად საყურადღებოა შემდეგი გარემოების გამო: არტანუჯის უბნის ანჩის სასოფლო საზოგადოებაში შემავალ სოფლებში ანაგერტში, ანჩში, ანჩკორასა და ოპისჭალაში მხოლოდ ქართული მოსახლეობაა (1187 სული); ასევე კარსნის სასოფლო საზოგადოებაში შემავალი სოფლები - გოროშეთი, კარსნი, კონტრომი, სოლიანა, უსტამელი მთლიანად ქართველებითაა დასახლებული (753 სული); სამსხარის სასოფლო საზოგადოებაში შემავალ სოფლებში ნორღიელში, პეტობანში, სამსხარ-წყალში, ჩიდილში (1380 სული) მხოლოდ ქართველები მოსახლეობენ. გუმიშხანის სასოფლო საზოგადოებაში შემავალ სოფელ ახიზაში ერთი კომლი ქართველია აღრიცხული (8 სული), ასევე ერთი კომლი ქართველია აღრიცხული (5 სული) ლონგოთხევის სასოფლო საზოგადოებაში შემავალ სოფელ ლონგოთხევში.

საგულისხმოა საკუთრივ არტანუჯის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფელთა მონაცემები. ამ სიების მიხედვით არტანუ-

ჯის სასოფლო საზოგადოებაში, როგორც ზემოთ ვნახეთ, მთლიანად 217 კომლია აღრიცხული (1027 სული). სოფელ არტანუჯში - 203 კომლია აღწერილი (963 სული), აქედან 191 კომლი სომეხია (930 სული), ქართველთა გრაფა ცარიელია; არაფერია ნათქვამი, თუ ვინ არიან დანარჩენი 12 კომლის წარმომადგენლები. ასევე სოფელ იშხანარში 14 კომლია აღრიცხული (სული). იშხანარის შემთხვევაში საერთოდ გაურკვეველია, თუ რომელ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებიან ამ 14 კომლის წარმომადგენლები.

მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ თუკი ამ პერიოდისათვის ამ სტატისტიკური მონაცემებით არტანუჯის უბანში შემავალი 13 სოფლის (ანაგერტის, ანჩის, ანჩკორის, ოპისჭალის, გოროშეთის, კარსნის, კონტრომის, სოლიანას, უსტამელის, ნორღიელის, პეტობანის, სამსხარ-წყალის, ჩიდილის) მოსახლეობა მთლიანად ქართულია, საკუთრივ არტნუჯში (რომელსაც ამ სიებით სოფლის სტატუსი აქვს მინიჭებული) ამ დროისათვის ქართველი აღარ ცხოვრობს. არაფერია ასევე ნათქვამი ბაწას, ბიჯას, ჟუგოს, მაწალეხეთის, გუმიშხანის, ახარშიას, დიაკურმუჩის, კაშუხთის, მეწაგილის, ხერთვისის, შავგულიარის, გულიჯას, ხევას, ენირაბათის, ვართხელის, კლარჯეთის, ორტიზის, კაპტახორის, არავეთის, მუქერის, ციხას, უნუსხევის ქართული მოსახლეობის შესახებ, აქ ყველა გრაფა ცარიელია, რომელიც ქართველთა თუნდაც უმნიშვნელო რაოდენობაზე რომ მიუთითებდა, ხოლო საკუთრივ სოფელ არტანუჯში მხოლოდ სომხური მოსახლეობაა აღნუსხული.

ყველაზე მეტად არტანუჯი, როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ცენტრი, უნდა დაცლილიყო ქართველებისგან ან მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ პირობებში ჩაყენებით აქ მკვიდრ ქართველებს თავად უნდა ეთქვათ უარი ქართველობასა და ისტორიულ მახსოვრობაზე, რადგან ახალ ისტორიულ სინამდვილეში, ახალ რეალობაში სწრაფად მომხდარიყო აქ ქართველთა ნაკვალევის წაშლა, რაც, შეიძლება

ითქვას, წარმატებით განხორციელდა: არტანუჯელთა სულ რაღაც ორი თუ სამი თაობის განმავლობაში მოხდა ისტორიული მახსოვრობის წყვეტა თურქულ გარემოში სწრაფი ადაპტაციისთვის.

უაღრესად საყურადღებოა შესადარებლად რუსების მიერ 1910 წელს გამოცემული Кавказский Календарь, სადაც 1905, 1907, 1908 წლის მონაცემებია შეტანილი ქართველებით დასახლებული სოფლებისა და ქართველთა რაოდენობის შესახებ ბათუმის ოლქის ართვინის ოკრუგის არტანუჯის უბანში:

| | წელი | ხალხი | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ბათუმის ოლქი<br>ართვინის ოკრუგი<br>არტანუჯის უბანი | | | |
| 1. სოფელი ანაგერტი | 1908 | ქართველები | 354 სული |
| 2. სოფელი ანჩკორა | 1908 | მაჰმადიანი ქართველები | 278 სული |
| 3. სოფელი ანჩი | 1908 | მაჰმადიანი ქართველები | 337 სული |
| 4. სოფელი ახარში | 1908 | მაჰმადიანი ქართველები | 157 სული |
| 5. სოფელი ახიზა | 1908 | მაჰმადიანი ქართველები | 212 სული |
| 6. სოფელი ბაწა | 1908 | მაჰმადიანი ქართველები | 225 სული |
| 7. სოფელი ბოკა | 1908 | მაჰმადიანი ქართველები | 575 სული |
| 8. სოფელი ვართელია | 1907 | მაჰმადიანი ქართველები | 278 სული |
| 9. სოფელი ვართხელი | 1908 | მაჰმადიანი ქართველები | 159 სული |
| 10. სოფელი გელაშენი | 1908 | მაჰმადიანი ქართველები | 578 სული |
| 11. სოფელი გორაშეთი | 1908 | მაჰმადიანი ქართველები | 346 სული |
| 12. სოფელი გუმიშხანა | 1908 | მაჰმადიანი ქართველები | 856 სული |
| 13. სოფელი გულიჯა | 1908 | მაჰმადიანი ქართველები | 383 სული |
| 14. სოფელი დიაკურმუჩი | 1907 | მაჰმადიანი ქართველები | 361 სული |
| 15. სოფელი ენირაბათი | 1908 | მაჰმადიანი ქართველები | 180 სული |
| 16. სოფელი ჟუგო | 1908 | მაჰმადიანი ქართველები | 94 სული |

| | | | |
|---|---|---|---|
| 17. სოფელი იშკინარი | 1908 | მაჰმადიანი ქართველები | 121 სული |
| 18. სოფელი კაპტახორი | 1907 | მაჰმადიანი ქართველები | 763 სული |
| 19. სოფელი კაშუხთი | 1907 | მაჰმადიანი ქართველები | 65 სული |
| 20. სოფელი კლარჯეთი | 1907 | ქართველები | 658 სული |
| 21. სოფელი კონტრომი | 1907 | მაჰმადიანი ქართველები | 173 სული |
| 22. სოფელი კორენია | 1907 | მაჰმადიანი ქართველები | 177 სული |
| 23. სოფელი ლონგოთხევი | 1907 | მაჰმადიანი ქართველები | 613 სული |
| 24. სოფელი მაწალახეთი | 1907 | მაჰმადიანი ქართველები | 151 სული |
| 25. სოფელი მეწაგილი | 1907 | ქართველები | 161 სული |
| 26. სოფელი მუქერი | 1907 | მაჰმადიანი ქართველები | 335 სული |
| 27. სოფელი ნორღიელი | 1907 | მაჰმადიანი ქართველები | 140 სული |
| 28. სოფელი ოპისჭალა | 1908 | ქართველები | 109 სული |
| 29. სოფელი ორტიზი | 1907 | მაჰმადიანი ქართველები | 95 სული |
| 30. სოფელი პეტობანი | 1908 | ქართველები | 100 სული |
| 31. სოფელი სამსხარი | 1908 | მაჰმადიანი ქართველები | 831 სული |
| 32. სოფელი სოლიანა | 1905 | მაჰმადიანი ქართველები | 55 სული |

თუ 1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით არტანუჯში ქართველებით დასახლებული მხოლოდ 13 სოფელია აღრიცხული და ქართველთა რაოდენობა 3333-ით განისაზღვრება, Кавказский Календарь-ის მიხედვით 32 სოფელია აღნუსხული (მათ შორის ის სოფლები, რომლებშიც 1886 წლის აღწერის მიხედვით არცერთი ქართველი აღარ ცხოვრობს), სადაც ის ხალხი ცხოვრობს, რომელიც თავს ჯერ კიდევ ქართველად მიიჩნევს. მათი რაოდენობა ამ მონაცემების მიხედვით 9920-ია, რაც სამჯერ აღემატება 1886 წლის სიებით მოცემულ ციფრს.

თვალში საცემი და უაღრესად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ Кавказский Календарь-ის მიხედვით, 5 სოფლის: *ანაგერტის, კლარჯეთის, მეწაგილის, ოპისჭალის პეტობანის* მოსახლეობას ხალხის გრაფაში მიწერილი აქვს მხოლოდ ქართველები დანარჩენი სოფლების მოსახლეობისგან გან-

სხვავებით, რომელთაც ხალხის გრაფაში მიწერილი აქვთ მაჰმადიანი ქართველები. მხოლოდ ერთი სოფლის მოსახლეობის გასწვრივ რომ ყოფილიყო მიწერილი ქართველები, შესაძლოა გვეფიქრა, რომ შეცდომასთან გვაქვს საქმე, მაგრამ საუბარია 5 სოფლის მოსახლეობაზე. შესაძლებელია, რომ ანაგერტის, კლარჯეთის, მეწაგილის, ოპისჭალისა და პეტობანის მოსახლეობა კვლავ ქრისტიანია. ეს მონაცემები ამ მხრივაც ძალიან მნიშვნელოვანია. რ. თოფჩიშვილი მიუთითებს, რომ „1907 წლის მონაცემებით... ართვინის ოკრუგის რამდენიმე სოფლის მცხოვრებთ მიწერილი აქვთ არა „ქართველი - მაჰმადიანი", არამედ „ქართველი", რაც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ მათ ისლამი არ ჰქონდათ მიღებული. ასეთ სოფელთა შორის შეიძლება დავასახელოთ მანატბა და და ბაზგირეთი - იმერხევში, ანაგერტი და მეცაგილი - არტანუჯის მხარეს, ე.ი. კლარჯეთში, ბეშაული და კაბარჯეთი - ართვინის მხარეს" (თოფჩიშვილი, 2010:143).

არტანუჯში ქართული სოფლებისა და ქართული მოსახლეობის შესახებ მიუთითებენ მე-20 საუკუნის სამოცდაათიან წლებში: „XIX საუკუნის ბოლოს არტანუჯის უბანში იყო სოფლები: უნუსხევი, ხორაული, ხემოგრეთი, ბროშეთი, სამწყარო, ანჩი, ბიჭა, ზარარა, კლარჯეთი, სახრე, ვარცხელი, ლონგოთხევი, ხერთვისი და ა.შ." (გაჩეჩილაძე, 1972:535).

არტანუჯი ქართველებით იყო დასახლებული მთელი ისტორიის მანძილზე და, ბუნებრივია, ყველა დასახლებულ ადგილსა და ობიექტს, იქნებოდა ეს მდინარე, მთა, ყანა, ჭალა, სათიბი თუ საძოვარი, ქართული სახელი ერქვა. ტოპონიმია ყველგან პოლიტიკის ნაწილია, ამიტომაც მნიშვნელოვანია თითოეული ცვლილება, რომელიც მასთან არის დაკავშირებული, რადგანაც ის ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის ისტორიის შემცველია.

დღეს არტანუჯში დადასტურებულ ტოპონიმთა მცირე ნაწილი, რომლის ჩაწერაც ჩვენც ველზე მუშაობისას მოვახერხეთ, ძალზე მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ მხოლოდ ისინი

შემორჩნენ ისტორიას, როგორც ერთადერთი მოწმენი ქართველთა ოდინდელი მკვიდრობისა ისტორიული საქართველოს მნიშვნელოვან ციხე-ქალაქში.

როგორც მ. ბერიძე აღნიშნავს: „ზემოდან მითითებით, შეიძლება შეიცვალოს სოფლის, ქალაქის, მსხვილი ობიექტის სახელები, მაგრამ მიკროტოპონიმია უცვლელი რჩება, რადგან იგი მხოლოდ ადგილობრივი, ლოკალური მოხმარების სფეროს განეკუთვნება“ (ბერიძე, 2009:28).

როდესაც არტანუჯელებს ვთხოვეთ ჩამოეთვალათ არტანუჯში შემავალი სოფლების სახელები (არ მიგვინიშნებია ქართულ ტოპონიმიაზე), მათ ჩამოთვალეს: სამუსღარ (resp.: სამწყარო, სამწყალი), ანჭკორა, ანჩი, ბასა (resp.: ბაწა), მასალაჰეთი (resp.: მაწალახეთი), ჩიდილი, სოლუიანა, კარსნია, კონტრომი, ნურგიალ (resp.: ნორღიელი), პედომან (resp.: პეტობანი), გორეშეთ (resp.: გორეშეთი); ჩამოთვლა რომ დაასრულეს, დაამატეს, რომ ამ სოფლებს სახელები გადაერქვა და მათი ახალი თურქული სახელებია: Irmaklar, Anaslı, İncilli, Yolüstü, Naldöken, Bağlıca, Yaylarık, Kapıköy, Yolağzı, Çakırlar, Hisarlı, Kutlu, თუმცა ყოფაში ქართულ ტოპონიმიას იყენებენ. ამ მხრივ, საინტერესოა შედარება ისტორიული ტაოს ტოპონიმიასთან. ისტორიული ტაოს პარხლისწყლის ხეობის არა მხოლოდ ქართულ, არამედ შერეულ ეთნიკურ დასახლებებსა და თურქებით დასახლებულ სოფლებშიც ძირითადად ქართულენოვან მიკროტოპონიმიას ადასტურებენ.

ტოპონიმები, რომლებიც არტანუჯელებისგან ჩავიწერეთ და რომელთა რაოდენობა გაცილებით მეტი იქნებოდა გასულ საუკუნეში, ადგილის, მდინარის (ღელეს), წყაროს, ყანის, კორდის სახელებია. ამათგან ზოგის ეტიმოლოგია გამჭვირვალეა, ზოგისა კი ტრანსკრიბციის გამო ბუნდოვანია. წარმოების მიხედვით ეს ტოპონიმები პირობითად შემდეგ ჯგუფებად შეიძლება დაიყოს:

ა) სახელისგან ნაწარმოები ტოპონიმები:

1. ლაშეთი - ადგილისა და მდინარის (ღელეს), წყაროს სახელი (ჰიდრონიმი) არტანუჯში;

2. ნელათი - ადგილისა და მდინარის (ღელეს), წყაროს სახელი (ჰიდრონიმი) არტანუჯში;

3. ხერთვისი - ადგილის სახელი, ტოპონიმი არტანუჯში. ხერთვისი//ჴერთვისი მიკროტოპონიმი, სათიბების სახელია იმერჴევის სოფლებში - ჯოჯლევსა და ბაბგირეთში (ცეცხლაძე, 2000:201), ხერთვისი ყიშლას სახელია სოფელ იმფჴრევლში (ფუტკარაძე, 2007:94).

*არტანუჯიდან რომ ჩამოხვალ, ვაკეა, იქ ორი წყარო (ღელე) ჩამოდის; ერთ წყაროს (ღელეს) და იმ მხარეს, საიდანაც ის მოდის, ლაშეთი ჰქვია, მეორე წყაროს და ადგილს კი - ნელათი, ესენი სადაც ერთმანეთს ერთვის, იმ ადგილს, ხერთვისი ჰქვია.*

სპეციალურ ლიტერატურაში -ეთ სუფიქსი გამოყოფილია როგორც ერთადერთი მაწარმოებელი, რომელიც გეოგრაფიულ სახელებს აწარმოებს: „არეალი -ეთ მორფემისა ერთობ ვრცელია, მოიცავს საქართველოს დღევანდელ მიწა-წყალს მთლიანად, ზოგ კუთხეში მეტად, ზოგში ნაკლებად გვხვდება...“ (ღლონტი,1975:15). „-ეთ ძირითადი ტოპომორფემის ალომორფები: -ათ, -ოთ, -უთ, -ით ერთნაირადაა გავრცელებული აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში. ქართველური ტოპონიმია ხუთივე მოდელს იცნობს. ყველაზე უფრო პროდუქტიული და არეალით გავრცელებული -ეთ მორფემაა, სხვები, გარდა -ათ-ისა, ნაკლებად იხმარება (ღლონტი, 1975:21).

4. ჭალათი - ადგილის სახელი. „წყლის პირი ნაყოფიერი; წყლის პირი ტყიანი“ (ორბელიანი, II, 1993:397). ჭალათი -ა ხმოვანზე დაბოლოებული სიტყვის ნანათესაობითარი მრავლობითია. ჭალა ძალიან გავრცელებულია ქართულ გეოგრაფიულ სახელებში. „ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით საქართველოში ექვს სოფელს ჰქვია სახელად ჭალა გურიაში, აჭარაში, აფხაზეთში, იმერეთსა და რაჭაში... მთელ საქარ-

თველოშია გავრცელებული სოფლის კომპოზიტური სახელები, რომლებიც შეიცავენ ჭალა კომპონენტს: ჭალისთავი, ჭალატყე, ჭალახმელა, ჭალე, ჭალოვანი, სოფ. ჭალაუბანი და სხვა" (ბერიძე, 2009:37). ტაო-კლარჯეთის, კერძოდ, იმერჯევის ტოპონიმიაში ადასტურებენ შემდეგ მიკროტოპონიმებს: ჭალავენახი სათესი, საძოვარი (სოფ. დასამობი), ჭალათ სათესი (სოფ. ვერხვნალი, კუჭენი), ჭალათი საძოვარი, სათიბი (სოფ. უბე, ქოთეთრისი), ჭალები სათიბი (სოფ. სვირევანი), ჭალაკათი, ჭალაპირი, ჭალათ (სოფ. ქოფრუსუ), ჭალა-ყანა, ჭალა-ჭალათ, ჭალებ (ცეცხლაძე, 2000:234); ჭალათი ტოპონიმია სოფელ ზიოსში (ფუტკარაძე, 1993:289).

5. ლექათი - ადგილის სახელი არტანუჯში. -ეთ ტოპომორფემის -ათ ალომორფით არის ნაწარმოები ეს სახელი, რომელიც არტანუჯელთა მტკიცებით ქართული ტოპონიმია.

6. არავეთი - -ეთ სუფიქსით ნაწარმოები ადგილის სახელი არტანუჯში.

7. ურუთი - -უთ სუფიქსით ნაწარმოები ადგილის სახელი არტანუჯში. ამ ტოპონიმთა სტრუქტურა მაწარმოებლების მიხედვით ქართულია, მაგრამ ზუსტი ინტერპრეტაცია ძნელია.

8. თინარი - ყანის სახელი. სავარაუდოა, რომ ეს ტოპონიმი მცირეოდენი სახეცვლილებით მომდინარეობდეს თელნარისგან; ხის აღმნიშვნელ სახელს დაერთვის მცენარეული საფარისათვის დამახასიათებელი -ნარ სუფიქსი. თელები, თელიანი ბევრი ადგილის სახელად გვხვდება საქართველოში. თინარი დღეს არტანუჯში ყანის სახელია, „სულ არ არის აუცილებელი ადგილზე, რომელსაც თელა ჰქვია, იდგეს თელა, ან იყოს თელების ტყე. ეს სახელი შეიძლება ერქვას მინდორს ან ისეთ ტყეს თუ ბაღს, სადაც დღეისათვის ეს მცენარე აღარ არის, მაგრამ იყო ოდესღაც. ასეთი შემთხვევები ქართულ ტოპონიმიაში ბევრია" (ბერიძე, 2009:32). იმ ადგილზეც, რომელსაც დღეს თინარს უწოდებენ, ადრე თელა ან თელების ტყე იყო.

9. ზვარე - ყანის სახელია არტანუჯში; იგივე მზვარე, მზიანი მხარე: „მზვარის და ჩრდილის მიხედვით მხარეთა განსაზღვრა

ხდება ორ მთას შუა მდებარე პუნქტიდან“ (ჯიქია, 1950:191). ზუარეთი სათიბის სახელია შავშეთ-იმერხევში, სოფელ მიქელეთში (ცეცხლაძე, 2000:56).

10. წითელა - ყანის სახელია არტანუჯში. წითლობი (წითელი მიწა) მიკროტოპონიმად დასტურდება იმერჴევში, სოფელ შოლტისხევში (ფუტკარაძე, 2007:70). სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, წითელა ბალახია - ბუმელა (ორბელიანი, II,1993:377). იმ ადგილზე, რომელსაც წითელას უწოდებენ, ეს ბალახი უნდა ყოფილიყო, ალბათ, გავრცელებული და სახელიც აქედან შეერქვა.

11. სანათი - კორდის სახელი, ნაწარმოები -სა პრეფიქსით; სამნათიო მიკროტოპონიმია იმერხევში, სოფელ შოლტისხევში (ფუტკარაძე, 2007: 72). „ბაზმა და ცეცხლი“ (ორბელიანი, II, 1993:45).

12. აგარა - ყანის სახელი არტანუჯში; „სადგური საზაფხულო“ (ორბელიანი, II, 1993:39).

13. თუალ - ყანის სახელი არტანუჯში; „ესე არს სახედველი ცხოველთა“ (ორბელიანი, II, 1993:312). ტოპონიმი ფუძის სახით არის წარმოდგენილი თურქული ენის გავლენის გამო.

14. მაღნარი - ადგილის სახელია არტანუჯში, ნაწარმოები მცენარეული საფარისათვის დამახასიათებელი -ნარ სუფიქსით.

რაც შეეხება ტოპონიმებს:

15. კილაჯეთი (resp.: კლარჯეთი)

16. სახრე

17. ჰენიკათი (resp.: ხენიკეთი)

18. მუქერი

19. მეჯეგილი (resp.: მეწაგილი)

20. საგარა (resp.: ზაღარა) - ეს სოფლების სახელები იყო არტანუჯში და მას დღემდე იყენებენ, ხშირ შემთხვევაში ძალზე სახეცვლილი ფორმით, თუმცა ჯერჯერობით შესაძლებელია ქართული ტოპონიმის ამოცნობა.

21. საკანტი ყანის სახელია არტანუჯში. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, „საკათიელი (საკანტიელი) ძნელის მსგავსი“ (ორბელიანი, II, 1993:32). საკანტი ან ძნელად მისადგომი, ძნელად მისასვლელი ყანის სახელი უნდა ყოფილიყო ან კიდევ მეორე ვარაუდით, „ეს არის საქეთი (Saket), რომელიც *3* დაკარგული საქვეთია... გადატანითი მნიშვნელობით საქვე//საქვები დატერასებულ მინდვრებს, სათიბს ან ყანებს ჰქვია და საქეთი სწორედ ასეთი ადგილი უნდა იყოს... იძულებული ვარ დავუშვა მეორე ვარაუდი, რომ საქეთი არის საკეთი. ასეთი ტოპონიმები, საქეთი, სარეკი და სხვა დაკავშირებული იყო სამონადირეო ტერმინოლოგიასთან და შესაბამის ტოპონიმიასთან. ამიტომ, თუ ადგილი ვიწრო გასავალია და ადგილობრივ მცხოვრებთა მტკიცებით მსგავს რამესთან არის დაკავშირებული, შეიძლება ეს აზრი უფრო სწორი აღმოჩნდეს (ბერიძე, 2009:44-45).

22. ქობალევ არტანუჯში დადასტურებული ქართული ტოპონიმია, რომელიც ყანას ჰქვია დღეს. ქობალევურთ სათიბის სახელად დასტურდება შავშეთ-იმერხევის ტოპონიმიაში (ცეცხლაძე, 2000:65).

23. ახოლარ - „ახო - საყანური გაკაფული“ (ორბელიანი, I, 1993:85). ტოპონიმი ნაწარმოებია ქართული ენის ლექსიკურ ერთეულზე თურქული ენის მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი -ლარ სუფიქსის დართვით. ახო სათესების სახელია იმერხევის სოფლებში: ზიოსი, უბე, ჯინალი, დასამობი, წეთილეთი, ხევწრული (ცეცხლაძე, 2000:46).

ბ) ზმნის ფუძისგან ნაწარმოები ტოპონიმები:

24. სარბიელა - ყანის სახელი, რომელიც ნაწარმოებია რბის ზმნისაგან -სა პრეფიქსისა და -ელ სუფიქსის საშუალებით, რომელსაც -ა სუფიქსი დაერთვის. „-ა სუფიქსი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმანტია საკვლევი რეგიონის ტოპონიმიაში. იგი დაერთვის როგორც მარტივ, ისე რთულ ფუძეებს. გვხვდება მეორე მაწარმოებლად, აწარმოებს კნინობით, დანიშნულების, წარმომავლობის, ქონების აღმნიშვნელ

გეოგრაფიულ სახელებს“ (ცეცხლაძე, 2000:52-53). სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: სარბიელი - სარბენელი ადგილია (ორბელიანი, II, 1993:49).

25. სადგომ ყანის სახელი. „დასადგომელი ადგილი“ (ორბელიანი, II, 1993:25). დგომა ზმნისგან -სა პრეფიქსით ნაწარმოები ტოპონიმი, რომელიც ფუძის სახით არის წარმოდგენილი არტანუჯელთა მეტყველებაში.

26. წუსლია - ყანის სახელი არტანუჯში. ტოპონიმად ძალზე იშვიათად გვხვდება ზმნის პირიანი ფორმა. შესაძლოა, რომ ეს იყოს წასვლია ზმნისგან მიღებული, რომელსაც ახლდა ობიექტი. ამ ობიექტის გაგება უკვე დაკარგულია. სავარაუდოდ, ეს შეიძლება იყოს სული. „ზემო იმერეთში დადასტურებული ტოპონიმი *სულღებული* ამას გვიდასტურებს, რომ ამ მნიშვნელობის სახელი შეიძლება ტყეს და საძოვარს ერქვას“ (ბერიძე, 2009:56).

გ) ზმნიზედისგან ნაწარმოები ტოპონიმი:

27. შორა - ყანის სახელი არტანუჯში. ნაწარმოებია ზმნიზედისგან -ა სუფიქსის დართვით.

დ) კომპოზიტური ტოპონიმები; ამ ტიპის ტოპონიმებში შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა:

- მართულ-მსაზღვრელიანი ტოპონიმები, სადაც მსაზღვრელი სრული ფორმით, ნათესაობითი ბრუნვის *-ის* ნიშნით არის წარმოდგენილი:

28. ჭალის აგარა - ყანის სახელი არტანუჯში. ეტიმოლოგია გამჭვირვალეა - ტყიან, წყლის პირას არსებული საზაფხულო სადგომი.

29. ლომის აგარა - ყანის სახელი არტანუჯში.

- მართულ-მსაზღვრელიანი ტოპონიმი, სადაც მართული მსაზღვრელი წარმოდგენილია ნაწილობრივ შეკვეცილი ფორმით, ნათესაობითი ბრუნვის *-ის* ნიშნის თანხმოვნითი ნაწილი *-ს* დაკარგულია, ასევე დაკარგულია ტოპონიმის მეორე ნაწილის, მოქმედებითი გვარის მიმღეობის მაწარმოებელი *-მ* პრეფიქსი:

30. კაციჭამელი - ყანის სახელი არტანუჯში (კაცის მჭამელი).

- მართულ-მსაზღვრელიანი ტოპონიმი, სადაც მსაზღვრელი წარმოდგენილია ფუძის სახით, ნათესაობითი ბრუნვის *-ის* ნიშანი მთლიანად მოკვეცილია:

31. დათვჭალა - ყანის სახელი არტანუჯში (დათვის ჭალა).

მართული მსაზღვრელ-საზღვრულისგან მიღებული ტოპონიმი, სადაც მსაზღვრელიც და საზღვრულიც წარმოდგენილია ფუძის სახით:

32. ახოთავ - ყანის სახელი არტანუჯში (ახოს თავი).

- შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრულისგან მიღებული ტოპონიმი, სადაც მსაზღვრელიც და საზღვრულიც წარმოდგენილია ფუძის სახით:

33. სამუსღარ - ადგილის სახელი არტანუჯში. ეს ტოპონიმი, რასაკვირველია, სამწყაროს, სამწყალის სახეცვლილი ფორმაა.

- კომპოზიტური ტოპონიმი, რომელიც მიღებულია ზმნიზედისა და არსებითი სახელის შერწყმის შედეგად:

34. ზედვაკე - ყანის სახელი არტანუჯში. ზედვაკე//ზედვეკა სათესის სახელად გვხვდება შავშეთ-იმერხევში: ბაძგირეთსა და ტბეთში (ცეცხლაძე, 2000:75); ზედვაკეები ჭალების სახელია მანატბაში (ფუტკარაძე, 2007:130).

- კომპოზიტური ტოპონიმი, რომლის მეორე ნაწილი ქართული ძირია:

34. ჯამან ღელეთი - ადგილის სახელი არტანუჯში.

ასევე ქართულ ტოპონიმებად მიიჩნევენ არტანუჯელები შემდეგ ერთეულებს: წიმაქი, სამერლა, მოროდათი, ირმეთული, კოშლარი, მოლოსა, რომლებიც შემდგომ კვლევას საჭიროებს: „დროთა განმავლობაში ფონეტიკური ცვლილებებისა და შინაარსის გაბუნდოვანების გამო მისი ფორმა ისე იცვლება, რომ თავდაპირველი მნიშვნელობა ხშირად ამოუცნობი ხდება. ამდენად, ტოპონიმი, თავისი ბუნებით მეორეულია. მისთვის მთავარია ამა თუ იმ ობიექტის აღნიშვნა, ობიექტზე მითითება და მისი გამოყოფა სხვა ობიექტთაგან. ამასთანავე, რაც უფრო დაცილებულია ტოპონიმის ფორმა მისი თავდაპირველი ფორ-

მისგან (აპელატივისგან), მით უფრო დიდია მისი ტოპონიმიკური ბალა“ (აფრიდონიძე, 1989:53).

ზემოჩამოთვლილი ტოპონიმები, რა თქმა უნდა, მცირე ნაწილია იმ სახელებისა, რომლებიც არტანუჯის ტერიტორიაზე გვხვდებოდა და გვხვდება დღესაც; თუმცა უახლოეს მომავალში, სავარაუდოდ, მათგან აღარაფერი დარჩება. ამ მცირე ნაწილის აღნუსხვა კი, ჩვენი აზრით, საშური საქმე იყო, რადგან ისინი ისტორიის გარკვეულ მონაკვეთს ჰფენს შუქს და აქ ქართველთა განსახლების უტყუარ მოწმეებად გვევლინება.

# ენობრივი ვითარება მარმარილოს ზღვის რეგიონში

საქარიას პროვინცია: ჰენდეკის რაიონი (Hendek), კარასუს რაიონი (Karasu), ქოჯაალის რაიონი (Kocaali), არიფიეს რაიონი (Arifiye), საფანჯას რაიონი (Sapanca), გეივეს რაიონი (Geyve), აქიაზის რაიონი (Akyazı), ყარაფურჩეყის რაიონი (Karapürçek); ბურსას პროვინცია: ინეგოლის რაიონი (Inegöl), გემლიქის რაიონი (Gemlik), იზნიქის რაიონი (Iznik); ქოჯაელის პროვინცია: იზმითი (Izmit), გოლჩუკის რაიონი (Gölçük)

ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფის სულის წიაღში მოიპოვება ერთადერთი, განუმეორებელი წყარო, რომელიც ეხმარება მას იდენტობის გამოხატვაში, ეხმარება დარჩეს ისეთი, როგორიც არის და თქვას სათქმელი ისე, როგორც ამას ვერ იტყვის ვერცერთი სხვა ეთნიკური ჯგუფი მსოფლიოში.

ნ. ს. დორიანი წერს: „ხალხი და ენა - რა შეიძლება იყოს უფრო მარტივი და ადვილად გასაგები? იდეალურ შემთხვევაში ეს მართლაც ასეა. არსებობს კონკრეტული ადგილი, სადაც ცხოვრობს კონკრეტული ჯგუფი ხალხისა, რომელიც კონკრეტულ ენაზე ლაპარაკობს. მათ აქვთ სახელი თავიანთი თავისა და საკუთარი ენის გამოსახატავად. ეს სახელი მხოლოდ მათი კუთვნილებაა და ამ სახელით არ არსებობს არცერთი სხვა ხალხი და არც ეს ენაა მშობლიური სხვა რომელიმე ხალხისთვის. თუ თქვენ მათ იპოვით, ისინი გეტყვიან, ვინ არიან და რომელ ენაზე ლაპარაკობენ“ (Dorian, 1999:25).

ეს თავი იმ ტიპის სოციუმის ენობრივ ვითარებას ეხება, რომელიც ისტორიაში ქართველი მუჰაჯირების სახელითაა ცნობილი. ნებისმიერი ეთნიკური ერთობის თვითშეგნების შესწავლას, ჩვენს შემთხვევაში კი ქართველ მუჰაჯირთა ენობრივი და ეთნიკური იდენტობის საკითხების გააზრებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ენა, ისევე როგორც ყველა სხვა

შემთხვევაში, ქართველი მუჰაჯირების შემთხვევაშიც პირუთვნელად ასახავს მათ დამოკიდებულებას საგნებისა და მოვლენებისადმი. რამდენადაც ტრაგიკული და მწარეა ისტორია ქართველი მუჰაჯირების აყრისა და გასახლებისა, იმდენადვე მრავალფეროვანი და საყურადღებოა მათი ენობრივი და ეთნიკური იდენტობის გამოხატვის ფორმები.

მუჰაჯირი არაბული სიტყვაა და ნიშნავს სამშობლოდან წასვლას, გასახლებას სხვა მხარეში. მუჰაჯიროზად მიიჩნევა ის გასახლება, რომელიც ხდებოდა კავკასიაში რუსეთის მიერ შემოერთებული მიწა-წყლიდან მე-19 საუკუნის დასაწყისიდან. ქართველ მუჰაჯირთა შესახებ ისტორიული ცნობებიც ძალზე მწირია და შესაბამისი სამეცნიერო გამოკვლევებიც. ქართველ მუჰაჯირთა პრობლემატიკას შეეხო ზ. ჭიჭინაძე, შ. მეგრელიძე, ა. ფრენკელი, ხ. ახვლედიანი, ვ. იაშვილი, ჯ. ჩხეიძე, ვ. სიჭინავა, ნ. კახიძე, გაზეთები: „დროება“, “Обзор”, “Кавказ”, ”Голос”. ჩამოთვლილთაგან ყველაზე ვრცლად ამ საკითხზე ზ. ჭიჭინაძე და შ. მეგრელიძე მსჯელობენ. ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავს: „რაკი გადასახლების შესახებ ისტორიული ცნობები არ გვაქვს, ამიტომ მგზავრობის დროს, ზეპირი ამბები ვკრიბე ამის შესახებ. არ არის ისეთი კუთხე ქართველ მაჰმადიანთა, რომ იქ მოხუცებულთ არ ეამბნათ ცნობები მასზედ, თუ ძველად ოსმალთ მათ ხეობიდამ რამოდენა ხალხი აჰყარეს და გადაასახლესო“ (ჭიჭინაძე, 1912:25).

ცნობილია, რომ მუჰაჯიროზის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო ოსმალეთი, რომელიც ცდილობდა რაც შეიძლება მეტი ხალხი აეყარა და გაესახლებინა ოსმალეთში რუსეთის მიერ დაკავებული მაჰმადიანებით დასახლებული კავკასიის ტერიტორიიდან. „1859 წელს, რუსეთის მიერ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ ჩეჩნები, დაღესტნელები და ოსები ოსმალეთისაკენ დაიძრნენ. შემდეგ გადასახლების პროცესმა მოიცვა დასავლეთ კავკასია, სადაც კულმინაციას 1863-1864 წწ. მიაღწია. დასავლეთ კავკასიის ხალხები: მრავალრიცხოვანი ადიღები (ჩერქეზები), უბიხები,

აბაზები, ყუბანისპირელი ნოღაელები, ყარაჩაელები ოსმალეთში გადასახლდნენ. აღსანიშნავია, რომ ცენტრალური და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიიდან გადასახლებულთა რიცხვი შედარებით მცირე იყო, რადგან დაღესტან-ჩეჩნეთისათვის ოსმალეთი შორს იყო, ხოლო ოსები და ბალყარელები რუსეთის წინააღმდეგ ომში არ მონაწილეობდნენ. რაც შეეხება დასავლეთ კავკასიის ხალხებს, ზოგიერთი მათგანი (მაგ. უბიხები) მთლიანად აიყარა და ოსმალეთში გადასახლდა. ამრიგად, კავკასიელ მთიელთა ძალდატანებითი გადასახლება ოსმალეთში, რუსეთის მიერ კავკასიელ მთიელთა მიერ გატარებული გენოციდის პოლიტიკის გაგრძელება იყო.

მუჰაჯირობის პროცესმა აფხაზეთიც მოიცვა. 1864 და 1867 წლებში განხორციელდა აფხაზთა მასობრივი გადასახლება ოსმალეთში, რომლის მიზეზებიც იყო რუსეთის მიერ დასავლეთ კავკასიის დაპყრობა და კავკასიის ომის დამთავრება, აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და რუსული მმართველობის დამყარება, მხარის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, აფხაზეთში საგლეხო რეფორმის გატარებისათვის მზადება და 1866 წლის ანტირუსული აჯანყება.

1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის მსვლელობისას, 1877 წლის აგვისტოში კიდევ მოხდა აფხაზთა მასობრივი ძალდატანებითი გადასახლება ოსმალეთში" (ხორავა, 2014:8).

შ. მეგრელიძე თავის გამოკვლევაში მიუთითებს, რომ „ეს ხალხი მას სჭირდებოდა ჯარის გასაძლიერებლად, დაპყრობილ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასაქრობად, მუდმივი ომებით, სხვადასხვა ტომთა ურთიერთდარბევებითა და ხოცვა-ჟლეტით შეთხელებული მცირე აზიის მოსახლეობის შესავსებად, რუსეთის მოსაზღვრე რაიონების საიმედო ელემენტით დასასახლებლად" (მეგრელიძე, 1964:4). ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ რუსეთის მმართველობის დამყარების პირველ წლებში აჭარაში მწვავე პოლიტიკური ვითარება შეიქმნა; ხალხი მიწას ვერ ამუშავებდა, რასაც მოუსავლიანობა და შიმშილი დაერთო, გავრცელდა დაავა-

დებანი, გახშირდა სიკვდილიანობა; შფოთი და მღელვარება გამოიწვია კამერალური აღწერის ჩატარებამ, რომელიც ხალხმა ახალი გადასახადების გატარებისა და ჯარში გაწვევის ნიშნად მიიღო; რუსეთის მიერ გატარებული ღონისძიებები (როგორიც იყო სასამართლო პროცესზე ქალის მოწმედ გამოცხადება, სისხლის აღების წესის აკრძალვა და სხვ.) ეწინააღმდეგებოდა ხალხში საუკუნეების განმავლობაში მყარად ფესვგადგმულ ტრადიციებს, ამას თან ერთვოდა ცარიზმის მოხელეთა დამოკიდებულება და ურთიერთობა ხალხთან, რითაც ისარგებლეს ოსმალო მოხელეებმა და ბათუმის ოლქის მოსახლეობას დაურიგეს თურქეთში დაბეჭდილი ბროშურები, რომლის მიხედვითაც რუსეთის მმართველობის ქვეშ დარჩენილი ყველა მაჰმადიანი სულით და ხორცით წაწყმდებოდა და ედემს ვერ ეღირსებოდა („დროება", 1980, № 100). ამას ემატებოდა ის გარემოებაც, რომ „თურქთა ბატონობის მთელ პერიოდში აჭარაში არ შექმნილა კულტურის არცერთი კერა, არ იყო საერო ხასიათის არცერთი სკოლა და თურქთა ბატონობის სამასი წლის მანძილზე მოსახლეობა დაბეჩავებამდე მივიდა. ამიტომ ისეთ პოლიტიკურ და ეკონომიურ ვითარებაში, როგორშიც აჭარა აღმოჩნდა რუსეთის მმართველობის დამყარების პირველ წლებში, თურქეთის აგიტაცია ადვილად იკიდებდა ფეხს და დამაჯერებელი ხდებოდა გაუნათლებელი და რელიგიის მორწმუნე ხალხისათვის" (მეგრელიძე, 1964:21).

მუჰაჯირობის ოფიციალური ვადა იყო 1879 წლის 3 თებერვლიდან 1882 წლის 3 თებერვლამდე, მაგრამ თურქებმა მოსახლეობის გასახლება აჭარიდან გაცილებით ადრე, რუსეთის ჯარის აჭარაში შესვლამდე დაიწყეს. 1879 წლის გაზაფხულზე წასულა მუჰაჯირთა პირველი ნაკადი; პირველი ნაკადის გასახლება იმავე წლის შემოდგომამდე გაგრძელებულა და ამ დროს წასულა მუჰაჯირად აჭარის მოსახლეობის საერთო გასახლებულთა უმეტესი ნაწილი. 1880 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ისევ გაგრძელდა გასახლება, 1881

წლის გასახლება უფრო მაჭახლიდან, მურღულიდან და შავშეთიდან მომხდარა.

ზ. ჭიჭინაძე გადასახლებულთა რაოდენობის შესახებ თავისი ნაშრომის სხვადასხვა გვერდზე განსხვავებულ ციფრებს ასახელებს, ხოლო გადასახლებულთა საერთო რაოდენობას, რომლის შესახებაც ცნობა ბათუმის მუფთის - ჰასან ეფენდი გვერდაძეს მიუწოდებია, 150 000-ით განსაზღვრავს (ჭიჭინაძე, 1964:146-147); რადგანაც გადასახლებულთა რაოდენობის შესახებ ოფიციალური დოკუმენტი არ გაგვაჩნია, ეს ციფრი რეალობას, შესაძლოა, ზუსტად ვერ ასახავდეს. გაზეთ „დროების" მიხედვით, აჭარიდან გადასახლებულთა რაოდენობა 10 000 სულით განისაზღვრება („დროება", 1882, № 38).

შ. მეგრელიძე ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ აჭარაში, კერძოდ, კი ქვემო აჭარის რამდენიმე სოფელში, მთლიანად აფხაზები ცხოვრობდნენ და მათი ძირითადი ნაწილი მთლიანად გადასახლდა. გადასახლებულ აფხაზთა რაოდენობას ის მუჰაჯირობასთან დაკავშირებული მასალების შესწავლის შედეგად 2-3 ათასით განსაზღვრავს. გარდა ამისა, ბათუმის ოლქში ცხოვრობდნენ ლაზები, რომელთა ნაწილი, 2 000 კაცი, აჭარაშიც იყო. შ. მეგრელიძე გადასახლებულთა რაოდენობას აკლებს 4 000 კაცს და აგრეთვე იმ ქართველთა რაოდენობას, რომლებიც დაუბრუნდნენ სამშობლოს და აჭარიდან გასახლებული ქართველი მოსახლეობის რაოდენობას 5 000-ით განსაზღვრავს (მეგრელიძე, 1964:53-54).

ყველაზე დიდი ნაწილი გადასახლებულა ქობულეთიდან; შედარებით ნაკლები გადასახლებულა ჩაქვის მახლობლად მდებარე სოფლებიდან და გონიოს უბნიდან, ხოლო ზემო აჭარიდან გადასახლებულთა რაოდენობა სრულიად უმნიშვნელო ყოფილა და მათი უმრავლესობაც უკან დაბრუნებულა.

ნ. კახიძე წერს: „უპირველესად ქედს ვიხრით იმ მუჰაჯირთა წინაშე, ვინც ამ ტრაგედიის მსხვერპლი გახდა. ამასთანავე მადლიერებით ვიხსენებთ თურქეთში მცხოვრებ მუჰაჯირთა

შთამომავლებს, რომლებიც მრავლად სახლობენ თურქეთის სხვადასხვა ვილაიეთებსა და სოფლებში და რომლებმაც დღემდე შეინარჩუნეს წინაპართა ტრადიციები, მშობლიური ქართული ენა, წეს-ჩვეულებები, ქართული თვითმყოფადი მატერიალური და სულიერი კულტურის ფასეულობანი" (კახიძე, 2008:15).

მიუხედავად იმისა, რომ მუჰაჯირობის დროს გადახვეწილ ეთნიკურ ქართველთა ხსოვნამ ბევრი რამ შემოინახა, დანამდვილებით, დაზუსტებით მაინც ძნელია თქმა იმისა, ეთნიკური ქართველები თურქეთის სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში პირველად როდის გამოჩნდნენ და დამკვიდრდნენ. ერთი რამ, რაც ყველა ეთნიკური ქართველის მეხსიერებას შემორჩა ამ ფაქტთან დაკავშირებით, ეს არის ცოდნა იმისა, რომ ისინი ჰიჯრით 93 წელს წამოვიდნენ საქართველოდან. გარემოებას ართულებს ისიც, რომ მთქმელი, მთხრობელი ცოტაა.

ჩვენი მიზანი მუჰაჯირ ეთნიკურ ქართველთა შემთხვევაში მათი სხვა ეთნიკური ჯგუფებისგან გამოცალკევება, ენობრივი ვითარებისა და თვითშეგნების ასახვა იყო.

მარმარილოს ზღვის რეგიონის ქართველების ყოფა-ცხოვრება, ეთნიკური და ენობრივი იდენტობა საფუძვლიანი კვლევის საგნად დღემდე არ ქცეულა. არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ საქართველოდან რუსეთ-ოსმალეთის პოლიტიკის შედეგად აყრილი და თურქეთის სხვადასხვა მხარეებში გადასახლებული ეთნიკური ქართველები დიდი ხნის განმავლობაში დაეძებდნენ ისტორიული სამშობლოს მსგავს ტყიან და წყლიან ადგილებს, რაც ზოგჯერ სამ წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ისინი ძირითადად სოფლებში სახლდებოდნენ. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში კი ურბანიზაციის არნახული პროცესის გამო, რასაც, ბუნებრივია, სოფლების მასობრივი დაცლა მოსდევს, მკვლევარებს ეთნიკურ ქართველთა ისტორიის, ენის, მათი ყოფისათვის დამა-

ხასიათებელი, მატერიალური თუ სულიერი კულტურის ამსახველი აურაცხელი მასალა გამოეცალათ ხელიდან.

მიუხედავად ზემოთქმულისა, მარმარილოს ზღვის რეგიონის ქართველები ძვირფას და ჯერაც დიდ ინფორმაციას გვაწვდიან თავიანთი მძიმე ისტორიული მემკვიდრეობის, ძველი თუ ახალი ყოფის, ეთნიკური და ენობრივი იდენტობის შესახებ. ჯერ კიდევ ბევრი ქალაქი და სოფელია შესასწავლი და ეს, რაც შეიძლება უმოკლეს პერიოდში უნდა მოხერხდეს, რათა ბევრი ინფორმაცია, რომელიც უნდა შემორჩეს საქართველოს ისტორიის ფურცლებს, სამუდამოდ არ დაიკარგოს. დაწვრილებით უნდა აღინუსხოს ყველა ქალაქი და სოფელი, სადაც ისინი არიან განსახლებული, უნდა დაიწეროს, რა შემორჩა და რა დაკარგა მათმა ისტორიულმა მეხსიერებამ. ჩვენ გარკვეული ნაწილის აღწერა და ანალიზი მოვახერხეთ.

ჩვენ მიერ ქვემოთ მოცემული სტატისტიკური მონაცემები, მასალა და ანალიზი დღევანდელი ვითარების ამსახველია.

მარმარილოს ზღვის რეგიონში მუჰაჯირობის დროს ქობულეთიდან, ბათუმიდან, ზემო აჭარიდან, ართვინის ვილაიეთში შემავალი ხეობებიდან და სოფლებიდან აყრილი ეთნიკური ქართველები ცხოვრობენ.

დღეს მუჰაჯირ ქართველთა დიდი ნაწილი ბურსას პროვინციის ინეგოლის რაიონსა და ინეგოლის სოფლებში ცხოვრობს: სულჰიეში (ეთნიკური ქართველები - 70 კომლამდე, აფხაზები - 5 კომლი), ჰაირიეში (მთლიანად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული - 130 კომლამდე), ჰილმიეში (მთლიანად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული - 150 კომლამდე), მურათბეიში (მთლიანად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული 40 კომლამდე), თუფექჩიყონაღში (მთლიანად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული - 120 კომლამდე), გულბახჩეში (მთლიანად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული 100 კომლამდე), ბახჩეკაიაში (მთლიანად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული - 25 კომლამდე), ჩაილიჯაში (მთლიანად ეთნიკური

ქართველებითაა დასახლებული - 40 კომლამდე), ფევზიეში (მთლიანად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული - 50 კომლამდე), ჰამიდიეში (მთლიანად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული 50 კომლამდე), ჰასანფაშაში (მთლიანად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული - 100 კომლამდე), ჩიფთლიქში (მთლიანად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული 70 კომლამდე), ელმაჩაიში (ეთნიკური ქართველები 40 კომლამდე), ყარაყადიში (ეთნიკური ქართველები 50 კომლამდე, მესხეთიდან გადმოსახლებულები – 8 კომლამდე), ბაჰარიეში (ეთნიკური ქართველები - 9 კომლამდე, ბოსნიელები - 16 კომლამდე), ერიქლიში (ეთნიკური ქართველები - 30 კომლამდე, დანარჩენი ახალციხიდან მოსული ე.წ. ახისკალია), ფინდიკლიში (ეთნიკური ქართველები - 20 კომლამდე, დანარჩენი ჩერქეზია), გუნეი ქესთანეში (ეთნიკური ქართველები - 20 კომლამდე, დანარჩენი აფხაზია), ყარაჯაყაიაში (ეთნიკური ქართველები - 15 კომლამდე, აფხაზები - 2 კომლი, დანარჩენი თურქია), ჰაჯიყარაში (ეთნიკური ქართველები 20 კომლამდე, ჩერქეზები - 70 კომლამდე), დაბა იენიჯეში (ეთნიკური ქართველები - 100 კომლამდე, დანარჩენ მოსახლეობას პომაკები, ბულგარელები, ბოსნიელები და თურქები წარმოადგენენ).

საკუთრივ ინეგოლის მოსახლეობა 177,617-ია, ხოლო სოფლებიანად 229,812; აქედან მოსახლეობის 35%-მდე ეთნიკური ქართველია. თურქეთში ზუსტი მონაცემები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა რაოდენობის შესახებ ძნელი მოსაპოვებელია გარკვეულ მიზეზთა გამო. ამიტომ ეს ციფრები ზუსტი არა, მაგრამ რეალობასთან შეძლებისდაგვარად მიახლოებულია.

საბაჰატინ ბაშთურქის (ვახტანგიძე) გადმოცემით, დაახლოებით 1867 წლისთვის თავისი დიდი პაპა ოსმალთა იმპერიის ჯარში მსახურობდა, ფადიშაჰის სასახლეს იცავდა. ერთხელ ფადიშაჰს სხვა ტანსაცმელი გადაუცვამს და ისე

გამოსულა მცველების დასათვალიერებლად, უნდოდა შეეტყო, თუ როგორ ასრულებდნენ მცველები თავიანთ მოვალეობას. იმ ღამით მორიგე მცველი ქართველი ვახტანგიძე ყოფილა. ფადიშაჰს უთქვამს, სასახლეში უნდა შევიდეო. ვახტანგიძეს გადაცმული ფადიშაჰისთვის უთქვამს, როგორც კი გაინძრევი, გესვრი და მოგკლავო. მეორე დილით ფადიშაჰს ერთგული მცველისთვის ასისთავობა უბოძებია. 1887 წელს დაახლოებით 20 კომლი აჭარიდან სტამბოლს ჩასულა. ასისთავ ვახტანგიძისთვის შეუტყობინებიათ მათი ჩამოსვლის ამბავი. ვახტანგიძემ არ იცოდა სად დაებინავებინა სამშობლოდან აყრილი ქართველები. გახსენებია, რომ ინეგოლში ერთი ქართველი ყადი იყო და მისთვის შეუტყობინებია ეს ამბავი. ყადის უთქვამს, ჩემთან გამოგზავნე ეს ხალხიო. 20 კომლი გემით სტამბოლიდან მუდანიაში ჩამოსულა, ხოლო იქიდან ურმით, რომელსაც „ხარის არაბას“ უწოდებენ, ინეგოლში ჩამოუღწევიათ. ყადის ჩამოსული ქართველებისთვის უთქვამს, აქ ერთი ადგილია, წადით, ნახეთ, ტყე, წყალი, კორდი თუ მოგეწონებათ, დასახლდითო. ქართველებს მოსწონებიათ ეს ადგილი, დასახლებულან ამ ადგილას და მისთვის ბახჩეკაია უწოდებიათ. ამდენად, მუჰაჯირ ქართველთა პირველი ნაკადი ინეგოლში გადმოცემით 1887 წელს გამოჩენილა. ამის შემდეგ 10 კომლი მოსულა კიდევ აჭარიდან, ყადის ისინი კორდიან, საძოვრებიან ადგილას დაუსახლებია და ამ სოფლისათვის თავისი სახელი ყარაყადი (Karakadi) უწოდებია. ბახჩეკაიას შემდეგ, საბაჰატინ ბაშთურქის ნაამბობის მიხედვით, მუჰაჯირმა ქართველებმა დაარსეს ალაჩამი (Alaçam). ალაჩამის შემდეგ გაჩნდა სოფლები: საადეთი (Saadet) (ყოფილი ფაზარალანი), შემდეგ კი ჰილმიე (Hilmye). მეჰმეთ გულფეკინის (გულაშვილი) გადმოცემით, სოფელი ჰილმიე ჰილმიე დედემ დააარსა, რომელმაც სოფელს თავისი სახელი უწოდა. ჰილმიე დედე ჭვანადან იყო და ყველა ჭვანელი იქ მიდიოდა. არსებობს სხვა ვერსიაც, ჰილმიე დედე რომ დღევანდელ სოფელ ჰილმიეში ჩავიდა, მას უკვე იქ სოფელ ბახჩეკაიადან წასულ

მუჰაჯირ ქართველთა 10 კომლი დახვდა და სოფელს თავისი სახელი შემდეგ უწოდა. ჰილმიეს შემდეგ ქართველთა სხვა სოფლები: მეზითი (Mezit), თუფექჩიყონაღი (Tufekçikonağ), გულბახჩე (Gülbahçe)... გაჩნდა.

მთხრობელთა გადმოცემით, როგორც ეს მათ წინაპრებისგან გაუგონიათ, 1923 წლამდე გაგრძელებულა მუჰაჯირ ქართველთა პირველი ნაკადის სამშობლოდან აყრა და თურქეთში გადასახლება. მუჰაჯირ ქართველთა მეორე ნაკადი, რომელიც რაოდენობრივად ბევრი არ იყო, ინეგოლში 1931 წელს ჩამოსულა აჭარიდან; 1938 წელს უჩამფიდან (შუახევი) ერზრუმში წასულა 100 კაცი და იქაურ სასტუმროში გაჩერებულან. ამ დროს გარდაცვლილა ათათურქი. ქართველები შეშინებულან, უკან რომ დავბრუნდეთ, დაგვხვრეტენო, აქ კი ვინ გვიპატრონებსო. 100 კაციდან ორი ინეგოლში მოსულა; ერთი მათგანი ქალაქში დარჩენილა, ხოლო მეორე კი, გვარად ველიაძე, ბახჩეკაიაში ასულა. ამის შემდეგ კი 1941 წელს 20 კაცი წამოსულა ერთი სოფლიდან (გოგაძეებიდან შუახევი), დაუტოვებიათ ოჯახები და ერზრუმში დარჩენილან 3 თვე, იქიდან კი ყველანი ინეგოლში გამოუშვიათ; ინეგოლიდან ბევრი ბახჩეკაიაში ასულა, ნაწილი კი ჰილმიეში, ერთი წლის შემდეგ კი უმეტესობა ბახჩეკაიადან და ჰილმიედან დიარბაქირში გადასახლებულა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ინეგოლში დამკვიდრებული მუჰაჯირები ხაზგასმით მიუთითებენ, რომ მუჰაჯირობის დროს „წამოსვლა იყო, გამოქცევა არ იყო“, ანუ მათ ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით უფლება ჰქონდათ აყრილიყვნენ მამაპაპეული საცხოვრებელი ადგილებიდან და თურქეთში გადასახლებულიყვნენ, ხოლო „გამოქცევა“ ზოგის გადმოცემით 1927 წელს დაიწყო, როდესაც ეთნიკურ ქართველთა პირველი ნაკადი გამოიქცა, ხოლო ზოგის ინფორმაციით გამოქცევა 1939 წელს დაიწყო, რომელიც 1942 წელს დამთავრდა. ნეჯათ ქუფჩიოღლუს (დავითაძე) გადმოცემით, რომელიც მას პაპისგან მოუსმენია, 1941 წელს გამოიქცნენ:

გაბაიძეები (ხულო, სოფ. ხიხაძირი), ფუტკარაძეები (შუახევი, სოფ. ოლადაური, სოფ. ლომანაური), დიასამიძეები (ბათუმი), თურმანიძეები (შუახევი, სოფ. წაბლანა), დავითაძეები (ტბეთი), გოჩიტიძეები (ტბეთი). ამავე გადმოცემით, ერთ წამოსვლაზე 1500 კაცი წამოსულა. ეს ყველაზე ვრცელი ინფორმაციაა, რომელიც ინეგოლელ მუჰაჯირთა ხსოვნამ შემოინახა აყრის, გადასახლებისა და გაქცევის შესახებ.

მუჰაჯირთა უმეტესობა თავდაპირველად ხოფასა და ტრაპიზონში ჩერდებოდა და აქედან ანაწილებდნენ მათ ოსმალეთის სხვადასხვა, უმეტესწილად კი ისეთ ადგილებში, სადაც, ცუდი კლიმატისა და მოუსავლიანობის გამო, აუტანელ პირობებში ჩავარდნილან. ის ფაქტი, რომ ქართველი მუჰაჯირები ინეგოლში პირველად 1887 წელს გამოჩნდნენ, იმით უნდა აიხსნას, რომ 1879 წლიდან მოყოლებული ამ პერიოდამდე ისინი ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ, რათა ისეთი ადგილი ეპოვათ, სადაც დადგომა და ცხოვრება შესაძლებელი იქნებოდა, რადგან „თურქეთი ომში დამარცხებული ქვეყანა იყო და ეკონომიკურადაც დაუძლურებული. მას საკუთარი მოსახლეობისთვის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაც არ შეეძლო, არათუ მუჰაჯირებზე ზრუნვა“ (კახიძე, 2008:14).

როგორც ცნობილია, ეთნიკურ-ენობრივი კონტაქტები მრავალმხრივი და, აქედან გამომდინარე, რთული ცნებაა. თანამედროვე თურქეთი მრავალეთნიკურია, იგი მრავალი ეთნოსის შერევის შედეგადაა წარმოქმნილი; მათ ისეთი სახელმწიფო შექმნეს, რომელშიც ყველა ეთნოსის წარმომადგენელი თურქად მიიჩნევდა თავს, რათა თავიდან აეცილებინათ მუდმივი დაძაბულობა სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა შორის. ყველა მოქალაქეს, განურჩევლად ეთნიკურობისა, ძლიერი სახელმწიფოს შექმნისათვის უნდა ებრძოლა, მათ შორის ეთნიკურ ქართველებსაც.

ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ეთნოსად მიიჩნევენ ამა თუ იმ ხალხს, მაგრამ „არა უბრალოდ ხალხის ჯგუფს, არამედ იმ

ხალხს, რომელიც თავის თავს გამოაცალკევებს სხვა ხალხებისგან ენობრივი და კულტურული ნიშან-თვისებებით... ეთნოსისათვის (ხალხისათვის) ყველაზე მთავარი დამახასიათებელი ნიშან-თვისება არის ეთნიკური თვითშეგნება“ (თოფჩიშვილი, 2005:42).

ინეგოლსა და ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებში მცხოვრებ ქართველთა უმეტესობამ მამა-პაპათაგან გადმოცემით იცის, თუ საიდან, რომელი სოფლიდან არიან წამოსულები. ჰაირიეში ყველა ეთნიკური ქართველი მაჭახლიდანაა, მურათბეისა და ჰასანფაშაში ჩაქვიდან, ჰილმიეში უმეტესობა შუახევის რაიონის სოფელ ჭვანადანაა, ყაზელში ყველაზე მეტი ღორჯომიდანაა, ხოლო დანარჩენ სოფლებში - შუახევიდან (სოფლები: ნენია, ნიგაზეული, ჭალა, ჭვანა, ფურტიო, ჩანჩხალო, ოლადაური, ლომანაური, ჯუმუშაური, წაბლანა, ბაბოშვილები, ტბეთი, დღვანა, ბარათაული, გოგაძეები, წყაროთავი, გოგნიაური, წაბნარეთი, შუბანი, გუნდაური, კობალთა, მაწყვალთა, ქვახეთი), ხულოდან (რიყეთი), ქედადან (ზუნდაგა), გონიოდან და აჭარის სხვადასხვა სოფლებიდან; შესაბამისად, ინეგოლის ქართველები სოფლებსაც ასე ანაწილებენ: **აჭარელი** (აჭარლების) სოფელი, **მაჭახელი** (მაჭახლელების) სოფელი, **ჩაქველი** (ჩაქველების) სოფელი, ასევე ანაწილებენ ამ სოფლების მცხოვრებთაც: **აჭარელია, მაჭახელია, ჩაქველია.**

რაც შეეხება გვარებს, ქართველთა ნაწილმა კარგად იცის საკუთარი გვარი, ისევე როგორც იმ სოფლის სახელი, რომლიდანაც თავისი მამა-პაპა წამოსულა. ჩვენ მიერ ჩაწერილი გვარებია ჰაირიეში: *ხინკილაძე, მალაყმაძე, მიმინაძე, ძველიშვილი//ქოქოლაძე, გურგენიძე, ლეკიშვილი// ლეკირაშვილი, გელაშვილი, ქავთარაძე, კირკიტაძე*... მურათბეიში *ჩიბურდანიძე, ქავჯარიძე, ფართოშვილი, ონაძე, გურანიძე, ბასილაძე, კონწალიძე, აფაქიძე, ეწერაშვილი, მემიშაშვილი, მემედალიშვილი*... თუფექჩიყონაღში - *ფუტკარაძე* (სოფლის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ფუტკარაძეა),

*დუმბაძე, თავდგირიძე, მაკარაძე, მელაძე, დავითაძე, დეკამაძე...* საადეთში - *ჭაღალიძე, მამულაძე, ცეცხლაძე, ქათამაძე, დიასამიძე, ტაკიძე, ვახტანგიძე, გელაშვილი, ჩოგაძე...* ბახჩეკაიაში: *ჰაჯიშვილი, ვახტანგიძე...* ჰილმიეში: *გულაშვილი, ბერიძე, ჟავანიძე//ჟავანაძე, დავითაძე, ჭაღალიძე, ნახევარიშვილი...* ყაზელში - *მეკეიძე, ბერიძე...* ჩიფთლიქში - *ბერიძე...* სულჰიეში - *გუნდაძე, თავდგირიძე, აბაშიძე, მაკარიძე, ლომაძე, გოგიტიძე, დუმბაძე, ქამადაძე, მამულაძე, დავითაძე, ფუტკარაძე...* ყარაყადიში - *მამალაძე, დიასამიძე, მაკარიძე, ბერიძე.*

ნებისმიერი ეთნიკური ერთობა, ისევე როგორც ესა თუ ის ეთნოსი, მუდმივად ვითარდება. ეთნიკური ჯგუფი, რომელიც განვითარებას წყვეტს, ქრება. ზემოთ, არსებულ წყაროებზე დაყრდნობით, ვისაუბრეთ იმ ისტორიულ პირობებზე, რომლის შედეგადაც ქართველთა ერთი ნაწილი სხვის მიწა-წყალზე დასახლდა. ბუნებრივია, ქართველთა ეთნიკური ჯგუფიც გადასახლების შემდეგ მუდმივად იცვლებოდა. რადგანაც ეთნიკური ჯგუფისთვის მთავარი და განმსაზღვრელი ფაქტორი თვითშეგნებაა, რომლის საფუძველზეც ეთნიკური და ენობრივი იდენტობის კონსტრუირება ხდება, საინტერესოა ამ კუთხით იმ ქართველთა ეთნიკური და ენობრივი იდენტობის კვლევა, რომლებიც ოდითგანვე არ იყვნენ პატრონები იმ ტერიტორიისა, რომელზეც ცხოვრობენ და არც ენობრივ უმცირესობად მიიჩნევიან.

ბურსას პროვინცია, ისევე როგორც თურქეთის სხვა პროვინციების უმეტესობა, მრავალეთნიკურია, აქ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობისა და სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები ცხოვრობენ, მაგრამ თურქეთის მოქნილი პოლიტიკის წყალობით ყველა თურქია. ყველა ეთნიკური ჯგუფი ეთნიკურ თვითშეგნებას ეთნონიმით (თვითსახელწოდებით) გამოხატავს. როგორ გამოიცალკევებენ ეთნიკური ქართველები თავიანთ თავს სხვებისგან, რა ლექსიკური ერთეულები დასტურდება მათ მეტყველებაში ეთნიკური და

ენობრივი იდენტობის გამოსახატავად? ეს საინტერესოა, რადგანაც, როგორც ჯ. ფიშმანი მიუთითებს, „ჩვენი ცოდნა საკუთარი იდენტობის შესახებ არ არის ინვარიანტული, მაგრამ იცვლება შემთხვევიდან შემთხვევამდე“ (Fishman, 1999:153).

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეთნიკურ ქართველებში, ჩვენი დაკვირვებით, აქ სამი ჯგუფი გამოიყოფა: 1. ქართველები, რომლებიც ყოველთვის ხაზგასმით მიუთითებენ თავიანთი ქართული წარმომავლობისა და ენის შესახებ, რაც ყველაზე არსებითი და ძვირფასია მათთვის; 2. ქართველები, რომელთათვისაც ყველაზე დიდი მნიშვნელობა რელიგიას ენიჭება, მაგრამ ყოველთვის აღნიშნავენ, რომ გურჯები (ქართველები) არიან; 3. ქართველები, რომლებიც ასიმილირებული არიან თურქულ ეთნოსთან და მათთვის უკვე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ეთნიკურ წარმომავლობას.

ეთნიკური ქართველები თავიანთ თავს ჩვენებურს, თელი ჩვენებურს (მთლიანად ჩვენებურს), გურჯს, ანუ გურჯისტანიდან (საქართველოდან) მოსულს უწოდებენ. ასევე უწოდებენ მათ სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები: თურქები, აფხაზები, ჩერქეზები, ქურთები, ბოსნიელები, ბულგარელები და სხვები. *სხვებს ვეუბნებით, გურჯები ვართ და ეს გურჯობა ყველაზე მაღალი რამეა აქ.* მათი აზრით, *თუ გურჯი ხარ, უნდა თქვა, თუ არ იტყვი, მაშინ ადამიანიც არ ხარ.* იმ ქართველების // გურჯების შეფასებით, რომელთათვისაც გურჯობა ყველაზე აღმატებული ცნებაა, *ჩვენმა შვილმა რომ თქვას, გურჯი არ ვარ, მის თავ ჩამოაგდებს.* შესაბამისად, სოფელიც გურჯია, ანუ ქართულია. ასევე ინტენსივობით იყენებენ თვითშეგნების გამოსახატავად შესიტყვებებს: გურჯის სისხლი ვარ, ჩვენი სისხლის კაცია. უფროსი თაობის ეთნიკური ქართველები მიუთითებენ, რომ თურქები მათ გიაურსაც უწოდებენ, მათი მუსულმანობის მიუხედავად. ეთნონიმ ქართველის გამოყენება სირცხვილად მიიჩნეოდა, რადგან იგი არამუსლიმანს ნიშნავდა. ქართველიშვილოს

გაბრაზების ჟამს იყენებდნენ და ის, რასაკვირველია, უარყოფითი კონოტაციის შემცველი იყო. ეთნონიმ ქართველის ხმარება აქ დაახლოებით 30 წლის წინ დაიწყო და, შესაბამისად, ახალი ლექსიკური ერთეულებიც გაჩნდა: ქართული (ქართველი), გაწურული ქართველი, სუფთა ქართველი. რესპოდენტებმა დაკონკრეტებისგან თავი შეიკავეს, მაგრამ აღნიშნეს, რომ ეთნიკური ქართველებით დასახლებული სამი სოფლის მოსახლეობა იტყვის ქართველი ვარ, ხოლო დანარჩენები იტყვიან, მუსლიმანი ქართველი ვარ. საქართველოში მცხოვრები ქართველები კი თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვის ქართველი გურჯები არიან, რითაც ერთგვარად მიანიშნებენ სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრების შესახებ.

საინტერესოა ის ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც ქართველები სხვა ეთნიკური ჯგუფის წევრებისა და განსაკუთრებით კი მუჰაჯირობის დროს კავკასიიდან წასულების აღსანიშნავად იყენებენ თავიანთი თავის მათგან გასამიჯნავად. დიდ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ აფხაზებს ისინი აბაზებს უწოდებენ და ვერცერთი შემთხვევა ვერ დავადასტურეთ ეთნონიმ აფხაზის ხმარებისა. აბაზა მათთვის გურჯისტანში (საქართველოში) გვიან მოსულია. აფხაზების აღსანიშნავად იყენებენ აგრეთვე ლექსემა კაბიანს. ამგვარად, აფხაზის აღსანიშნავად გამოიყენება ორი ლექსიკური ერთეული: აბაზა და კაბიანი. ქართველების გადმოცემით, ინეგოლში კაბიანი სოფლებიც (აფხაზების სოფლები) არის. ჩერქეზს ინეგოლელი ქართველები ჩერქეზს, ჩეჩენს და იუნან თობუმს უწოდებენ; მათი აზრით, ბერძნები რომ ზღვაში ჩაყარეს, ანუ თურქეთიდან განდევნეს, ისინი ბერძნებს ეხმარებოდნენ და აქედან შემორჩათ მათ ეს სახელი, ხოლო თურქებს კუდიანებს უწოდებენ, რასაც ორგვარ ახსნას უძებნიან - პირველი სამოსთან, კერძოდ კი შარვალთან არის დაკავშირებული, ხოლო მეორე განმარტებით ვინც ჩვენებური, ანუ ქართული არ იცის, კუდიანია. ლაზებს ჭანებს უწოდებენ; ოღონდ ლაზებს, რომელთაც

ჭანებს უწოდებენ, განარჩევენ ე.წ. მოხთი, ქომოხთი ლაზებისგან. მოხთი, ქომოხთი ლაზებს ტრაპიზონელ და რიზელ ლაზებს უწოდებენ, რომლებმაც ენა იციან და მათი აზრით, ესენი კარგი ლაზები არიან, რადგან ენა შეინახეს, ხოლო ინეგოლში მცხოვრებმა ლაზებმა ენა არ იციან. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ლაზებთან მიმართებით ეთნიკურ ქართველთა უმეტესობა ხაზგასმით მიუთითებს: *ლაზი არ ვარ, ქართველი ვარ; ქართული ჩვენ ვართ, ისინი ქართულა არ ლაპარაკობენ, ანადილი* (დედაენა) *ლაზურია.* ცნობილია, რომ თურქეთში მცხოვრები ლაზები, ყოველ შემთხვევაში მათი დიდი ნაწილი (რომლებიც ისტორიულად ეთნიკური ქართველები არიან), კატეგორიულად ემიჯნებიან აზრს ქართული წარმომავლობის შესახებ: *ლაზი ვარ, ქართველი არ ვარ.* ამის საპირისპიროდ, იქაურ ქართველთან თუ ლაზების შესახებ ჩამოვარდა საუბარი, ყველა თაობის წარმომადგენელი, თუკი სხვა შემთხვევაში მოერიდებოდა ეთნონიმ ქართველის ხმარებას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყოველთვის ამბობს: *ქართველი ვარ.* ეს ფაქტი მნიშვნელოვანია, რადგანაც ქართველი, რომელიც თავის ისტორიულ მიწა-წყალზე აღარ ცხოვრობს და ეთნონიმ ქართველის გამოყენებას თავს არიდებდა რელიგიური ფაქტორიდან გამომდინარე, თავს ყოველთვის ქართველს უწოდებს ლაზებთან მიმართებით.

გარდა ამისა, მათთვის უცხოა ჩვენში ესოდენ გავრცელებული და შეუწყნარებელი *თურქი ქართველი.* ამ ხელოვნური შესიტყვების გამოყენება მათ გაორებასა და გულისტკივილს იწვევს: *ქართულა ვლაპარაკობ, გურჯი ვარ.*

თავისებური დამოკიდებულება აქვთ ქართველებს მესხეთიდან გადასახლებულთა მიმართ, რომელთაც ახისკალს ან კიდევ, რაც ნიშანდობლივია, *მესხ თურქს* უწოდებენ და არა *თურქ მესხს,* რასაც ენობრივი მომენტი უდევს სარჩულად. ისინი, მესხები, საქართველოს უძველესი კუთხის მკვიდრნი იყვნენ, მაგრამ რადგანაც ქართული დაივიწყეს, თურქები

გახდნენ. ყველა ეთნიკური ქართველისთვის ისინი *მესხი თურქები* არიან და მესხურა ლაპარაკობენ. როგორც გაირკვა, *მესხურა* იგივე თურქულია, ოღონდ ცუდი. რესპოდენტები მიუთითებენ: *ახისკალები ამბობენ, გურჯი ვარ, ყაზელში ფოცხოვოდან მოვიდნენ, მაგრამ იმათ ქართულა არ იციან, თურქი არიან; ყაზელში ფოცხოვოდან მოვიდნენ ახისკალები, მესხი თურქები იყვნენ და აქ გურჯები გახდნენ.* გულბახჩეშიც ასე მიიჩნევენ: *აქ ჩვენებურები დასახლდნენ, შემდეგ მესხეთიდან წამოსული თურქები მოვიდნენ, გადაერივნენ ჩვენებურებში, ჩვენებური ისწავლეს.* ამიტომაც უწოდებენ მათ გადარეულ (შერეულ) მესხებს ან კიდევ გარეულ მესხეთელებს. ასეთივე მდგომარეობაა ალმაჩაიშიც. თუ გულბახჩეში, ყაზელსა და ალმაჩაიში ეთნიკურმა ქართველებმა მათ ენის სწავლა აიძულეს (ასეც ამბობენ, იძულებული იყვნენო), ყარაყადიში პირიქით მოხდა, 7-8 კომლმა გარეულმა მესხეთელმა სოფელში *გურჯული დალია.* თვითონ ეს ჯგუფი როგორ ახდენს საკუთარი თავის იდენტიფიკაციას, ეს ცალკე კვლევის საგანია და შესწავლას საჭიროებს, მაგრამ ამ ჯგუფის წევრთა აზრით, რომლებთანაც ჩვენ გვქონდა ურთიერთობა, *ჩვენ მესხებ გვიძახიან, 93 წელს (ჰიჯრით) წამოვედით მესხეთიდან, ჩვენ გურჯები ვართ.* ამგვარად, ისინი თავს ქართველებად //გურჯებად მიიჩნევენ, ასევე ფაქტია ის გარემოებაც, რომელზეც ინეგოლელი ქართველები მიუთითებენ, მათ ჩვენებური, ქართულა არ იცოდნენ, იძულებული იყვნენ და დაისწავლესო.

როგორც აღვნიშნეთ, ქართველები არ არიან მკვიდრები იმ ტერიტორიისა, რომელზეც ცხოვრობენ, ამ ფაქტორის გამო მათ განსაკუთრებული განცდა აქვთ ისტორიული სამშობლოს მიმართ. აქაური ქართველებისთვის საქართველო, ან გურჯისტანი მემლექეთია, სამშობლოა; ცნობიერებაში ასე ასხვავებენ თურქეთსა და საქართველოს: ვათანი - თურქეთია, სამშობლო - გურჯისტანია. ქართული ლექსიკური ერთეული სამშობლო მათთვის მხოლოდ საქართველოს აღმნიშვნელია, ხოლო

*ვათანი*, რომელიც ასევე სამშობლოს ნიშნავს, თურქეთია. საქართველოს დედა-სამშობლოსაც უწოდებენ. ფორმულირება ასეთია: მე გურჯი ვარ, მემლექეთი გურჯისტანია, მაგრამ თურქეთის ვათანდაში (მოქალაქე) ვარ, შესაბამისად, თურქეთი ვათანია, მემლექეთი - საქართველოა.

რაც შეეხება ჩვენებურის ცოდნის ხარისხს, ისევ ქართველებს დავიმოწმებ. მათი აზრით, სადაც კი ქართველები ცხოვრობენ, იქიდან ყველაზე კარგი ქართულით ინეგოლში ლაპარაკობენ: „დედეები იტყოდენ, ინეგოლი პატარა საქართველოა“. ზემოჩამოთვლილი სოფლებიდან ყველაზე კარგად და ლამაზი ქართულით ჰილმიეში, ბახჩეკაიაში, ყაზელში, თუფექჩიყონაღში, სულჰიეში, გულბახჩესა და საადეთში ლაპარაკობენ. ბახჩეკაიელმა ქართველმა მეჰმედ ოზჯანმა, რომელიც შესანიშნავი ქართულით მეტყველებდა, ხუმრობით მითხრა: *მე იმათ ლაპარიკს არ ვკადრულობ* (იგულისხმება ჰაირიეს, მურათბეისა და ჰასანფაშას ქართველები). ეს სოფლები ინეგოლს ზედ ებმის და ქალაქთან სიახლოვის გამო „ჩვენებურა ლამაზა ვერ ლაპარიკობენ“. გარდა ამისა, ჰაირიეს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი გერმანიაში ცხოვრობს და სოფელში მხოლოდ მცირე დროით, ზაფხულობით ჩამოდის. როდესაც რესპოდენტებს ვკითხეთ სოფლებს შორის მეტყველების სხვაობის თაობაზე, გვიპასუხეს: *იმათი* (იგულისხმება ჰაირიელები) *გაწეწილია, ჩვენი კი მოკლეა. ჰაირიემ თქვენიავეთ გაწეწილი ლაპარაკი იცის, ჩვენ ქისა* (resp.: მოკლედ) *ვლაპარიკობთ.* სოფლებს შორის დასტურდება მთელი რიგი სხვაობები ქართული ლექსიკური ერთეულების გამოყენების თვალსაზრისით.

ბურსას პროვინციასა და ინეგოლზე საუბარს ვერ დავამთავრებთ, ორიოდე სიტყვა რომ არ ვთქვათ იმ უდიდეს ქართველსა და მოღვაწეზე აჰმედ მელაშვილზე (Ahmet Özkan), რომლის ცხოვრებამ და მოღვაწეობამ წარუშლელი კვალი დატოვა თურქეთში მცხოვრებ ქართველებზე; ადამიანზე, რომელმაც გამოაღვიძა ჩვენებურთა თვითშეგნება,

დაწერა საქართველოს ისტორია თურქულ ენაზე ჩვენებურთათვის, თარგმნა მხატვრული ნაწარმოებები, „ვეფხისტყაოსნის“ დიდი ნაწილი და გამუდმებით ესაუბრებოდა ქართველებს მშობლიური ენის მნიშვნელობის შესახებ. აჰმედ მელაშვილი პირველი ქართველი იყო, რომელმაც მძიმე პერიოდში თურქეთში ჩვენებურების საზოგადოება დააარსა ბურსას პროვინციის ქალაქ ინეგოლში. საზოგადოების დაარსების მიზანი ისტორიის, ენის, კულტურის, ტრადიციების შენარჩუნება-შენახვა იყო. „გუნურ გულთეკინ (მიშა გულიაშვილი): მთავარი ის არის, რომ სხვა ქვეყანაში წასულსა და მცხოვრებს ენა არ უნდა დაგავიწყდეს, კულტურა და შენი წესები უნდა გახსოვდესო“ - სულ გვმოძღვრავდა. სწორედ ამიტომაა, რომ მუჰაჯირობის დროს ჩამოსული ხალხი, რომელსაც არაფერი ებადა, ფეხზე დადგა. იმასთან ერთად ვიყავით და სწორ გზას ვხედავდით. „იკითხეთ, ისწავლეთ, ვინ ხართ, რა სისხლის ხართ, რა ჯიში გაქვთ, სულ გახსოვდეთო“. მისი საუბრის შემდეგ სახლში გავრბოდი და რუკას ვუყურებდი. თბილისს იქ ვნახულობდი, მაგრამ საქართველოს დედაქალაქი რომ იყო, არ ვიცოდი. მაშინ ის საბჭოთა კავშირის პატარა ქალაქი ჩანდა და რუსეთი მეგონა. მერე აჰმედ ბეისთან საუბარში გავიგონე, რომ საქართველო აქ, ჩემს რუკაზეა და მას ჩემი სამშობლო ჰქვია“ (კალანდია, 2010:59).

აჰმედ მელაშვილზე ეს მცირე ჩანართი თავისივე კრედოთი - „ჩვენი ვალი ის არის, რომ იაფად არ წავიდეთ, ბევრი საქმე გავაკეთოთო, მერე კი რაც მოხდება, მოხდებაო“ (კალანდია, 2010:164) და საფლავზე ამოკვეთილი სიტყვებით უნდა დავასრულოთ: „მე უკვდავებისთვის კი არა, ჩემი ხალხისთვის ვიცხოვრე“.

დიდია დამსახურება ვახტანგ მალაყმაძისა (Hayri Hayrioğlu), რომელიც ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეში დაიბადა. ვახტანგ მალაყმაძემ (Hayri Hayrioğlu) 1968 წელს აჰმედ მელაშვილთან ერთად გამოსცა წიგნი „გურჯისტანი“, თურქულად თარგმნა იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?!,

თარგმნა და ორ ტომად გამოსცა „ქართული საბავშვო ზღაპრები“ და მუჰამედ ვანილიშისა და ალი თანდილავას „ლაზების ისტორია“. ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას შრომების მიხედვით მოამზადა „საქართველოს ისტორია“.

ინეგოლის საზოგადოება და ყველა ინეგოლელი ქართველი დღემდე შესანიშნავად ახერხებს ქართველობისა და ქართული ტრადიციების შენახვას და იმავდროულად ყოველ წელს არაერთ ქართულ საქმეს უყრიან საფუძველს. წლების განმავლობაში საზოგადოების თავმჯომარე და ბევრი ქართული საქმის თავკაცი მამია დუმბაძე (Mehmet Nuri Tayyar) გახლდათ, ახლა კი წინაპართა საქმეს ომერ ფარუკ დემირტაში (Ömer Faruk Demirtaş) აგრძელებს.

საქარიას პროვინციის ჰენდეკის (Hendek) ილჩეში (რაიონი) მოსახლეობის რაოდენობა 100 000-ია, აქედან 20-25%-ს ეთნიკურ ქართველს ითვლიან. საკუთრივ ქალაქ ჰენდეკში ქართველებით დასახლებული სამი უბანია.

ჰენდეკის ილჩეში (რაიონში) ქართველებით დასახლებული 20 სოფელი აღვნუსხეთ: 1. გულდიბი (Güldib) – 150 კომლი, 2. მურადიე (Muradiye) – 50 კომლი), 3. ჰიჯრივე (Hicrive) – 100 კომლი, 4. შევკეთიე (Şevketiye) – 150 კომლი, 5. ესენთეფე (Esentepe) – 150 კომლი, 6. ჰუსეინშეიხი (Hüseyinşeyh) – 200 კომლი, 7. ნურიე (Nuriye) – 100 კომლი, 8. იკრალიე (Ikraliye) – 200 კომლი, 9. ბალიქლიიჰსანიე (Balıklıihsaniye) – 100 კომლი, 10. თექერლექსულეიმანიე (Tekerleksüleymaniye) – 200 კომლი, 11. გუნდოღანი (Gündoğan) – 150 კომლი, 12. იკრამიე (Ikramiye) – 200 კომლი, 13. კიზანლიკი (Kızanlık) – 100 კომლი, 16. სერვეთიე (Servetiye) – 100 კომლი, 17. ჰამითლი (Hamitli) – 100 კომლი, 18. ნუზჰეთიე (Nüzhetiye) – 50 კომლი, 19. კარაჩოკეკი (Karaçökek) – 100 კომლი, 20. ბიჩქატიკი (Bıçkatik) – 200 კომლი.

ჰენდეკში ლაზების 2 სოფელია: კაფანჯიკი (Kapancik) და აკოვა (Akova); კარადერეში (Karadere) ლაზები და ბერძნები ცხოვრობენ; აბაზებით დასახლებული სოფლებია: 1. კალაიკი

(Kalayık), 2. ჩაკალიკი (Çakallık) და 3. სარიერი (Sarıyer); იარიჯაში (Yarıca) აბაზები და ბერძნები ცხოვრობენ; ჩერქეზების სოფლებია: 1. კარგალი ჰანბაბა (Kargalı hanbaba) და 2. უზუნჯაორმანი (Uzuncaorman).

ჰენდეკში მურღულიდან არიან მოსული; ჰენდეკელთა წინაპრები ბათუმიდან, ზემო აჭარიდანაც მოსულან აქ. სოფელ ლუთფიე კოშკის ქართველები ამბობენ, რომ „დიდვანები ბათუმიდან მოვიდენ. ოთხი ჰაანე (resp.: კომლი//ოჯახი) მოსულა. ართვინიდან ფეხით ჩამოსულან სამსუნამდი".

ჰენდეკის ქართველებს შენარჩუნებული აქვთ ეთნიკური ცნობიერება. აქ მცხოვრები ყველა ეთნიკური ქართველი თავს *გურჯად* მიიჩნევს და მუჰაჯირობის დროს წამოსული ქართველების აღსანიშნავად შექმნილ სიტყვას *ჩვენებურს* იყენებს თავისი ეთნიკური ჯგუფის წევრების აღსანიშნავად: ჩვენებური ვარ. შემორჩენილი აქვთ ქართული გვარები: *კირვალიძე, ბოლქვაძე, ლორთქიფანიძე, აბაშიძე, ცისკარიშვილი...*

რაც შეეხება ენობრივ ვითარებას, ქართველების აღნიშვნით, ზემოჩამოთვლილი ოცი სოფლიდან ქართულად კარგად ლაპარაკობს 9 სოფლის - გულდიბის, ჰიჯრივეს, იკრალიეს, ბალიქლიიჰსანიეს, თექერლექსულეიმანიეს, გუნდოღანის, იკრამიეს, კიზანლიკის, ლუთფიე კოშკის მოსახლეობა. ამ სოფლებში ახალგაზრდა თაობას, ბავშვებს ესმით ქართული, მაგრამ ვერ ლაპარაკობენ. დანარჩენ სოფლებში კი, როგორც თვითონ მიუთითებენ, *ენა ასიმილირებულია.*

1. როცა ამ სოფლებში ქართველები თავს იყრიან, მათი სასაუბრო ენა ძირითადად თურქულია; 2. ძირითადად მოხუცები ლაპარაკობენ აქ ქართულად, საშუალო და ახალგაზრდა თაობა ვეღარ ლაპარაკობს წინაპრების ენაზე: *არიგავს და ვერ ლაპარაკობს*; 3. არ ხდება ენის გადაცემა ახალი თაობისათვის; არის სოფლები, სადაც 15-20 წლის ახალგაზრდებს ესმით ქართული, მაგრამ საერთო სურათს ეს ოდნავადაც ვერ ცვლის; 4. ამ რაიონში ქალები უფრო კარგად ლაპარაკობენ

ქართულ ენაზე, ვიდრე მამაკაცები; 5. აქაც ყველა ხაზს უსვამს ბებიისა და ბაბუის ფაქტორს: *არ მყავს, არ ყავან, ზორ* (resp.: ბევრს) *არ ვლაპარაკობთ;* 6. ადრე ქართველები ცდილობდნენ ქართველებზე დაქორწინებულიყვნენ, დღეს კი ახალგაზრდები უკვე სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებზეც ქორწინდებიან, რასაც თვითონვე *არევას* უწოდებენ: *მე ჩვენებური უნდა ვითხოვო-მეთქი, ბიჭებმა არ იწდომეს. ბაბოჟ არ მომკტარიყო, არ იქნებოდა, ახლა ავერიენით.*

ისტორიული სამშობლოს ტოპონიმებს, ადგილთა სახელებს ჰენდეკის ქართველები ახალ სამკვიდრებელში ვერ გადაიტანდნენ, მაგრამ უცდიათ უბნების, მდინარეების (ღელეების), ყანების, ადგილების სახელები გაექართულებინათ. ეს გარკვეულწილად მოუხერხებიათ ისე, როგორც ეს შესაძლებელი იყო. საილუსტრაციოდ სოფელ ლუთფიე კოშკის, სადაც მუშაობისა და დაკვირვების საშუალება მოგვეცა, მასალას მოვიტანთ.

სოფელ ლუთფიე კოშკის მაჰალეები (resp.: უბნები) ჰენდეკის ქართველებს ასე გაუნაწილებიათ: 1. *გაღმა მაჰალე, 2.იქითა მაჰალე, 3. ზემო მაჰალე.* რასაკვირველია, ამ უბნების სახელებს დიდი კვლევა-ძიება არ სჭირდება წარმომავლობისა და სტრუქტურის თვალსაზრისით. მაგრამ საკითხის ისტორიისათვის ამ ფაქტსაც, როდესაც სრულიად უცხო გარემოში მოხვედრილი ქართველი ცდილობს ქართული ელემენტი შეიტანოს მიკროტოპონიმში და ამით სხვა ფაქტორებთან ერთად ხაზი გაუსვას ეთნიკურობას, დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ყანების სახელებიც. აქ ორი ჯგუფი შეიძლება გამოვყოთ: 1. მიკროტოპონიმი ნაწარმოებია თურქული და ქართული ლექსიკური ერთეულების საშუალებით: *ჰენდექბევი, აბუჯი ყანა, გოლი ყანა*... 2. მიკროტოპონიმი მთლიანად ქართული წარმოებისაა: *ტყიპირი ყანა, ღელეყანა, ჩალეული ყანები*...

მდინარეების (ღელეების) სახელებიც ქართული წარმოებისაა: *ქომო ღელე, ჰენდექბევის ღელე, განაყოფი ღელე*...

ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა: *გაბოდ, ნენედ, დედამთილი, ღარჭი, ბიჭი, გოგო, გაღანა//ბაღანე, რძალი - შვილის ცოლია, გადიში...*

თვეების აღმნიშვნელი სიტყვები, თითი-ოროლა გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველგან თურქული ერთეულებითაა შეცვლილი. ლუთფიე კოშკში კი მეტყველებაში *აპრილი* დავადასტურეთ: *აპრილში* ვთესავთ.

შემონახულია ფერთა აღმნიშვნელი ლექსემები: *თეთრი, შავი, წითელი, ყვითელი, წვანე* (მწვანე).

შემოდგომას აქ თველს ეძახიან, რაშიც კარგად ჩანს ეთნიკური ისტორიის ნაწილი: *თველამდინ შეშები მოვა. დაჭრავ, ზამთრისთვინ ჰაზირია* (resp.: მზადაა).

ანატომიური ლექსიკა: *თავი, გული, მუცელი, ფაშვი, თვალი, წარბი, ცხვირი, ყია, გული, ხელი, თითი, ჭლიკი, ფეხი, თმა, ყური, კპილები, ენა, ტიტვირი, წელი, ზრუგი, სისხლი...*

ქართული ყოფისათვის დამახასიათებელი მოვლენების, საგნებისა თუ ნივთების სახელები, რომლებიც დღემდე შემორჩენიათ: *ქორწილი, სახლი, კიბე, ნავი, ფეხსაცმელი, თოხი, ცული, ნიჩაფი, ეჩო, გაღჩეული, კეცი, ჭაბრაკი, ხერტალი, კვირისტავი, სავარცხელი, ლეგენი, კალათი, გოდორი, ძივი* (მძივი), *გამბა, ბაფი...*

ფაუნის აღმნიშვნელი ლექსიკა: *დათვი, ტურა, მგელი, ძროხა, ფური, ქათამი, ფუტკარი, ბუზი...*

ფლორის აღმნიშვნელი ლექსიკა: *ლობიო, სიმინდი, აყირო, კიტრი, ხახვი, ნიორი, ყურძენი, სხალი, ლეღვი, ვაშლი, კაკალი, ტყემალი, თხილი...* მსხლის ჯიშები: *ზაფხულა სხალი, ზამთარა სხალი, პანტა სხალი...* ვაშლის ჯიშები: *მჭახე ვაშლი, გემელი ვაშლი...* ტყემლის ჯიშები: *შავი ტყემალი, მწვანე ტყემალი...* კაკალი ორგვარია: *კერკეტა კაკალი, მაგარი კაკალი... თხილი გვალი* და *წოწორაძა.*

ზედსართავ სახელთა გამოყენების მხრივ არავითარი სხვაობა არ გვაქვს; პატარას აღსანიშნავად პატინა გვაქვს: *ეს*

*პატინა გიჭისია.* იგივე შეიძლება ითქვას ნაცვალსახელთა შესახებაც.

თვლის სისტემა ერთიდან ათამდე უცვლელია: *ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი...* ათის ზემოთ კი ნარევი ფორმები გვხვდება: *ათი და ერთი* (თერთმეტის აღსანიშნავად), *ათი და ორი* (თორმეტის აღსანიშნავად)...

მორფოლოგიური თავისებურებებიდან საინტერესო და აღსანიშნავია:

კითხვითი *-ა* ნაწილაკი მათ მეტყველებაში: *გშიანა საჭმელი?*

მარმარილოს ზღვის რეგიონში ეთნიკურ ქართველებთან მუშაობამ ცხადყო, რომ ენის როგორი კონსერვაცია და იზოლაციაც უნდა მოხდეს, ის, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, ყველა შემთხვევაში ცდილობს და ახერხებს ახალი და საინტერესო ფორმების შექმნას თავისი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით. ამის ერთ-ერთი ნიმუშია მყოფადის წარმოება: მყავდებიან (მეყოლება).

სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში *-ს* სუფიქსი, ჩვეულებრივ, დაკარგულია.

გავრცელებულია *-ავ* თემისნიშნიანი წარმოება: *-ავ* თემის ნიშანი ენაცვლება *-ი* თემის ნიშანს: *ღამეში გეიარავ, გამოიარავ, დაბეჩდები; -ებ* თემის ნიშანს: *ძველ სახლში ვიჯექით, ამა* (resp.: მაგრამ) *ახალს ვაკეთავდით; დეილაპარაკავს, მოვადუღავ შექერ, გავათბელავ შოთებ; -ობ* თემის ნიშანს ენაცვლება *-ებ* თემის ნიშანი: *მოსურდება, მოვლენ, გამოვაცხებ, ჩავაწყებ შოთებ;*

*-ავ* თემის ნიშანი ნაზმნარ სახელებში იქ გვხვდება, სადაც არ უნდა გვხვდებოდეს: *დასაწოლავი ლოგინი.*

გვაქვს შუალობითი კონტაქტის წარმოება: *ჩემ ბიჭ დავათესიე ლობიო.*

სხვათა სიტყვის ნაწილაკები: *შენ სოფელი მოგიხთება-მეთქი; ქანსერი გაქვსო, მითხრეს.*

ჯეროზის ზმნიზედის აღსანიშნავად გამოყენებულია ქართული ენის დიალექტებში გავრცელებული *პირი: ოთხი პირ დაქორწინდა* (ოთხჯერ დაქორწინდა).

ფრაზეოლოგიზმებიდან დავადასტურეთ: *გულში გემიარა* (გავიფიქრე): *გულში გემიარა, ღარჩი მინდა დევნახო, ახლო იყოს, ფუხარა იყოს.*

მომრავლებულია კალკები: *ძილიდან ადგა* (გაიღვიძა), *აყიროს მიცემა დაუწყია* (ზრდა), რომელთა გვერდითაც ასეთ ქართულსაც გაიგებთ საქართველოს უნახავი ხალხისგან: ღელეები დეილია (დაშრა).

ლუთფიე კოშკში ჩაწერილი ტექსტის ნიმუში: *აპრილში ვთესავთ. ჩემ ბიჭ დავათესიე ლობიო, აყირო, სიმინდი დავარგე, კიტრი დავარგე, ხახვი, ნიორი ზამთარში უნდა დავარგა თოვლის ქვეშ. მაშინ დიდვან თავი იჯება. კიტრი გვიან დავარგე. სიმინდი ოცი დღის მემრე იქნება. აყიროს მიცემა დაუწყია. ზაფხულა სხალი ახლა ჩამოცვინდება, ახლა იჭმება.*

*იილბაშზე აყირო მოხარშევდენ, ბერექეთი იქნება, საჭმელებ გავაკეთებდით, სინორსა; კვერცხებ ჩატეხავდენ საინში, იმას მემრე ფურის ძაღს დაასხამ, შოთებ გავაკეთევდით.*

საქარიაში ეთნიკური ქართველებით დასახლებული შემდეგი რაიონი კარასუს (Karasu) რაიონია. კარასუს მოსახლეობა 57 000-ია. კარასუს რაიონის ცენტრში *აზიზიეს* (Azizye) უმანი ქართველების უბანია. კარასუში ქართველების ოთხი სოფელია: კოზლუქი (Kozluk), ლანა (Lana), დემირაჩმა (Demiraçma), გურჯუ ქოი (Gurcu Köy//Köy Yeri).

კარასუს ქართველები მარმარილოს ზღვის რეგიონში ყველაზე ადრე მოსულად მიიჩნევენ თავს, რაც ამ რეგიონში დასახლებულ ქართველთათვის დამახასიათებელია. აქაურები ბათუმიდან (მარმარილოს ზღვის რეგიონის ქართველების უმეტესობა თავს ბათუმიდან მოსულად მიიჩნევს), ქობულეთიდან, ხელვაჩაურის სოფელ გვარადან, ქეთქეთიდან, კირნათიდან... ჩამოსულან. რადგან ამჯერად ყველა სოფლის

დაწვრილებითი აღწერა ვერ მოხერხდა, ცხადია, ეს ისტორიული სამშობლოს სოფლების მცირე ჩამონათვალია. შემდგომი კვლევა ამ ტოპონიმთა რაოდენობას კიდევ უფრო გაზრდის. მუჰაჯირობის დროს ქართველები, რომლებიც *ბათუმიდან რუსიას გამექცენ, დაბეჩდენ და გამეიქცენ,* სამი წელი ეძებდნენ ამ ადგილს. ჯერ სამსუნში დამდგარან, შემდეგ ჰენდეკში, ჰენდეკიდან კი აქ მოსულან, რადგან წყალი აქ დაუნახავთ.

კარასუში ჩაწერილი რამდენიმე ქართული გვარი: *სალაძეები, ცინცაძეები, ავჯიშვილები.*

კარასუს ქართველებმა თავი ასე წარმოგვიდგინეს: ქართული ვარ, ქართველი ვარ, გურჯი ვარ: *მე ქართული მეჩვენება* (ვარჩევ, გამოვარჩევ ქართველებს).

ეთნიკურობის აღნიშვნის, გამოხატვის დატვირთვა აქვს შემდეგ ქართულ ლექსემებს: სისხლი, კალო-კარი, მიწა, ნალია: *მე წავედი ბაბოს კალო-კარზე, სამი ოყა მიწა ავიღე და წამევიღე. მე ქართველი ვარ, ჩემი სისხლი თქვენი სისხლია, თქვენი გადაბრუნებულობა მწყინს; სამი ნალია ქონდა ბაბას: ერთში აბლი, მეორეში ვაშლი, მესამეში - სიმინდი.*

განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ტოპონიმ ბათუმს, რომელიც მათი წინაპრების დაბადების ადგილია: *ბაბა ბათუმის წინ ტიროდა* (ბათუმის ხსენებისას), *ჩემი დაბადილი ჯერი, კალო-კარი დევნახონაო* (უნდა დავინახოო); *ბაბამ მაგნებია, ბათუმი ასეაო, ასეაო. ბათუმი რომ დევნახე, მე ვიტირე; ბათუმზე მეტი კაი ქალაქი არ არი.*

ეთნიკური ენის აღსანიშნავად ქართულასა და ქართველურას იყენებენ. რაც შეეხება ენობრივ სიტუაციას, მიაჩნიათ, რომ *ჩვენ კაი ქართულა ვიცი.* ასევე აფასებენ მარმარილოს რეგიონის ენობრივ სიტუაციას და მიაჩნიათ, რომ კარგად ლაპარაკობენ ბურსაშიც: *ბურსას კაი ლაპარაკობენ.* თუმცა კარგად ლაპარაკობს მხოლოდ უფროსი და საშუალო ასაკის ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ *ნენე, ბაბა სახლში ქართულა ლაპარაკობდენ; ჩემი დიდი ნენე ქართველურა*

*მილოცავდა, ჭკვაში დამრჩა, გაღანა ვიყავი მაშინ.* თუ უფროსი და საშუალო თაობის ქართველებმა სკოლაში წასვლამდე თურქული არ იცოდნენ, მათმა შვილებმა დღეს ქართული ენა ან სრულებით არ იციან აქ ან *უკეთეს შემთხვევაში აგნებენ და ვერ ლაპარაკობენ.*

ქართული ენის დაკარგვის ასეთი დაჩქარებული პროცესი სულ რაღაც ოციოდე წელს ითვლის, პერიოდს, რასაც თურქეთის რესპუბლიკის სწრაფი ეკონომიკური აღმავლობა, ურბანიზაციის არნახული მასშტაბი უკავშირდება და რასაც ქართველების სოფლებიდან ქალაქებში გადაბარგება, ქართული ენის გამოყენების გაიშვიათება მოჰყვა.

საუბრისას ვცდილობდით თვითონვე დაესახელებინათ ქართველებს ენის არცოდნის მიზეზები, რაც მარმარილოს ზღვის რეგიონის სხვადასხვა ადგილას ერთმანეთისგან არ განსხვავდებოდა. კარასუს ქართველების აზრით: 1. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია ეკონომიკური მდგომარეობით: *ჩვენ ფულმა მომშალა, ჩვენ გაძღომა არ ვიცით. კაი გურჯი თქვენ ხართ. ჩვენ გონჯი ვართ;* 2. ქორწინების ფორმით: *ენ წინ ამ მაჰალეში სხვა გოგოს არ ითხოვდნენ. მე ქართველი გელინები მინდოდა, არ ითხუეს. ახლა ბადიშს ვეხვეწები, ბათუმიდან მეიყვანოს*; 3. ქართველების უმეტესობა ქართულ სატელევიზიო გადაცემებს უყურებს და განასხვავებენ თბილისისა და ბათუმის ტელევიზიების მეტყველების ტემპს. *ტელევიზიონში მალ-მალა ლაპარაკობენ,* რაც ხელს უშლით, მათი აზრით, *დაჰა კაი ენის* (resp.: უფრო კარგი ენის) გაგებაში.

მათ მეხსიერებას შემოუნახავს ის, რომ მათი მამა-პაპები წმინდა ქართულით ლაპარაკობდნენ: *ჩემი ბაბა მოზრძანდი, დაბრძანდის იტყოდა, დაჯექი - სირცხვილიაო.*

შემოუნახავთ ფრაზეოლოგიზმები: სიტყვა გუუვა ხელიდან (სიტყვა ეთქმის), ჩემი სულიდან, გულიდან არის (ჩემი სული და გულია); დალოცვის ფორმა: გაბევრდით, დიდი გახდით, კაი გახდით.

იმედს აქ ის გარემოება იძლევა, რომ ახალგაზრდების დიდი ნაწილი მოწადინებულია წინაპრების ენა ისწავლოს: *ახლა-ახლა გადიშებს ქართულის დასწავლულობა უნდათ.*

ქართველებით დასახლებული შემდეგი სოფელი მელენიპირია (Meleniağz), რომლის ერთი ნახევარი დუზჯეს რაიონს ეკუთვნის, ხოლო მეორე ნახევარი ქოჯაალის რაიონში შედის. მელენიპირის ნახევარია დასახლებული ქართველებით: *სოფელი შერევლია.* აქ ქართველების დაახლოებით 250-300 კომლია. მელენიპირში ძირითადად მაჭახლის სოფელ მირვეთიდან არიან მოსულები. სიმონეთიდანაც მოსულან. მელენიპირი მარმარილოს ზღვის რეგიონში ერთი-ერთი სოფელია, სადაც ქართულად კარგად ლაპარაკობენ, თუმცა მიიჩნევენ, რომ თვითონაც არ იციან ნორმალურად *ანადილი* (resp.: მშობლიური ენა): *ძალიან ვერ ვცდილობთ.* ისევე როგორც მარმარილოს ზღვის სხვა რეგიონების ქართველები, აქაურებიც (40-50 წლის) ამბობენ, რომ სკოლაში წასვლისას თურქული არ იცოდნენ და *„ორეთმენები (resp.: მასწავლებლები) მირტყამდენ და არ მალაპარაკებდენ ქართულა, რატომ გურჯი დეისწავლე, რატომ თურქულა არ დეისწავლეო“.* ბავშვებიდან ქართულად ლაპარაკი აქაც მხოლოდ იმათ შეუძლიათ, რომელთაც ბებიებთან ჰქონდათ ხშირი ურთიერთობა; ხოლო სადაც დედა თურქია, იქ, ბუნებრივია, ბავშვებმა არ იციან ქართული. მათი აზრით, *ენა დედამ უნდა დაგასწავლოს, გარეთადამ მოსულმა ქალებმა არ იციან.* ამ მდგომარეობის გამო, ქართველებმა აღნიშნეს, რომ *შარშან ცოტა შავაწუხეთ ღარჭები, დეისწავლეთ-მეთქი თქვენი ენა.*

ქართველების უმეტესობას უმაღლესი განათლება აქვს მიღებული, როგორც თვითონ იტყვიან *ნაკითხები არიან.*

აქ იცოდნენ ნადი, რომელიც დღეს აქა-იქ თუ შემორჩა: სიმინდის ნადი მაქვენ, სახლის ნადი მაქვენ, თხილის გაქუჩვის ნადი, ტყის გახსნის ნადი. *სოფელმა ერთმანეთს დეეხმარებოდენ სახლი აშენებაში. ფუნდამენტი იყო, მერე ხეები დაანყობდენ, მერე დასხმული იყო ტალახი, გახმობა დეიწყებოდა,*

*აგური გახდებოდა, ხელით დაქსელავდენ. სახლი ჭილობათი იყო დახურული, მერე კერამიტით. უწინდელი სახლები თელი წაბლისა იყო, სხვა არ უძლობს, დალპობა.*

ამ მასალიდანაც შესაძლებელია მცირე მორფოლოგიური ანალიზის გაკეთება:

მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი *-ებ* ფორმანტის ხმოვნითი ელემენტის მოკვეცა: *ხები* (←ხეები).

ნათესაობითი ბრუნვის *-ს* სუფიქსის მოკვეცა: *დეეხმარებოდენ სახლიჲ აშენებაში.*

ერგატიული კონსტრუქცია ვნებითი გვარის ზმნებთან: *სოფელმა ერთმანეთს დეეხმარებოდენ.*

*-ებ* თემის ნიშნის: 1. *-ობ* სუფიქსით ჩანაცვლება: *სხვა არ უძლობს (←უძლებს), დალპობა (დალპება); 2.-ავ თემის ნიშნით შენაცვლება: ავადუღავდით (←ავადუღებდით), გავაკეთავდით (←გავაკეთებდით).*

მარმარილოს ზღვის რეგიონის ქართველებისთვის დამახასიათებელია კითხვით სიტყვებში, ადგილის ზმნიზედებში *ს-* ბგერის *ჰ-*თი ჩანაცვლება: *ჰაცხა წავა, იქაური ხდება.*

მარცვლეული კულტურების აღმნიშვნელი ლექსიკა: *პური, ჭვავი, სიმინდი...*

ლობიო რამდენიმე სახისაა: *ღომი ლობია იქნებოდა; ღომი ლობია* შავი და ყვითელი იქნებოდა; *ბაშარი ლობია; წიპლაჲ ლობია მოვხრაკავდით ნახშირ ზეიდან.*

შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული სამშობლოდან წაღებული კერძები და მათი აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები იქ მცხოვრები ქართველებისთვის განუზომელი მნიშვნელობის მატარებელი და ეთნიკურობის უდიდესი გამომხატველია, ისევე როგორც მატერიალური კულტურის გამომხატველი *ნალია* და *აბორი.* ველზე მუშაობისას და საუბრისას საგანგებოდნენ გვეკითხებოდნენ: *ფხალლობია იცით? მალახტო იცით?* დადებითი და სასურველი პასუხის მიღებისას კომენტარის სახით დაამატებდნენ, რომ ამდენი ხნის განშორების შემდეგაც *აინი* (resp.: ერთნაირი) *ვყოფილვართ.*

ჩავიწერეთ აგრეთვე ლექსემა *შექერყამიში, რომელიც სიმინდის ხეს გავს. შექერყამიში* შაქრის ლერწამი უნდა იყოს. *მაქინაში გავჭრავდით, ნახშირში დიდვან გოგში ავადუღავდით, ბექმეზ გავაკეთავდით.*

ხეების სახელები დღემდე *ცაცხვი, ცხემლა, წაბლი, წიფელა, ნაძვია...*

ყურძნის სახეობები: *აჯარული ყურძენი, თეთრი ყურძენი, შავი ყურძენი.*

*ტყამალი* (ტყემალი) - *ბურკა ტყამალი.*

მსხლის ჯიშების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: *ნაპირავი სხალი,* რომელიც *ადრეული სხალია;* გვაქვს ზემოაღნიშნული *ზაფხულა სხალი, ზამთრის სხალი.* ვაშლის ჯიშები - *ჟავე ვაშლი, პანტო ვაშლი, გემო ვაშლი, ტკიბილი ვაშლი.* ჟოლა (თუთა) - თეთრი ჟოლა, შავი ჟოლა. გვაქვს ბლისა და ლეღვის აღმნიშვნელი ლექსემები.

ისტორიულ სამშობლოს მოწყვეტილი ეთნიკური ჯგუფის ენა დროთა განმავლობაში ბევრ რამეს კარგავს, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ბევრ საინტერესო სიტყვასაც ქმნის, რაც ენობრივი გლობალიზაციის ეპოქაში, სადაც გზა ხსნილი აქვს სესხებას და არა შექმნას, იშვიათი მოვლენაა. ამ თვალსაზრისით, სიტყვაქმნადობის კარგ ნიმუშებად უნდა მივიჩნიოთ ფიფინაჲ - წყალში მოხარშული პურის ფქვილი და შაქარი; ბესმაგანა//ბემაგანა - რძეში მოხარშული მაკარონი, რომელსაც მარილსაც ურთავენ.

ნადში *ქართულადაც მიუმღერავდენ:*
ბაღჩაშია ბიბრები (resp.: წიწაკა),
გაღმაში თეთრი ბროხა,
ღელე-ღელე ევიარე,
მოყრილან დედაბრები,
იმან რადა მეიწველოს,
ღელე ტალახიანი იყო,
დედაბრებო, თქვენ წადით,
შენ იქა და მე აქა,

ერთი გოგო დევინახე,
გამოგზავნეთ გოგოები.
რომელმა გეისვენოთ.
ბუგი ტალახიანი იყო.

ჰაიდა წავიდეთ ადაში,
ჩავჯექ, მივალ ბულუთში,
იგიღონა კუმაში,
მე დუნია ვისერიო,
ჩაგაცვანა დუგუნზე,
მარტუა წევხარ ლუგუნში,
გიყურონა სამაში.
რა ბრალი ხარ გოგო.

ქართველებით დასახლებული შემდეგი სოფელი დემირაჩმაა (Demiraçma), რომელშიც 250 კომლი ცხოვრობს. დემირაჩმაში აჭარიდან (მირვეთიდან, მარადიდიდან, სიმონეთიდან...) გადმოსახლებული ლონკროძე (აქ ბევრია ლონკროძე), ფარტენაძე, კავაზ-ოღლი, ბაქარაძე, დევაძე, ბაკურიძე, პარცვაძე, კარასან-ოღლი, ხალხ-ოღლი... ცხოვრობენ.

დემირაჩმას ქართველებმა ეთნიკურ იდენტობაზე საუბრისას აღნიშნეს, რომ ადრე ამბობდნენ თავიანთ მუჰაჯირობას, ახლა კი აღარ მიიჩნევენ თავიანთ თავს მუჰაჯირებად: *უწინ ვლაპარაკობდით, მუჰაჯირი ვარო, ახლა არა. ერთი სოფლიდან რომ ადგება და მეორეში წავა, მუჰაჯირია.*

გურჯი და ლაზი მათთვის ერთია: უწინ ორი-სამი კაცი ხარის არაბაზე დამჯდარან. უკითხვან, ლაზი ვინ არი, გურჯი ვინ არი. ლაზი და გურჯი ერთკენაი (ერთია). როცა სხვა ეთნიკურ ჯგუფებზე ჩამოვარდება საუბარი, ქართველზე წინ არავინ დგას: *ერთი გურჯი მირჩევნია ათ და ბუთ* (თხუთმეტი) *ჰემშინს.*

ქართულად უფროსი თაობა ლაპარაკობს კარგად. *ბერიკაცებმა ცოტა იცოდენ თურქჩა, ბერიქალებმა სულ არ იცოდენ.* აქ

ენის დაკარგვის უმთავრეს მიზეზად ასიმილაციის ფაქტორს ასახელებენ: თურქზე გათხოვილი ქალისა და შემოსული თურქი რძლების გამო ამბობენ, *დევიკარგვით, 40 წლის შემდეგ გურჯი არ დარჩებაო; დედა არ მყავს ქართველი და ქართულა არ ვიცი.*

თემისნიშნიანი ზმნები მესამე სერიის I თურმეობითში უთემისნიშნო წარმოებას გვიჩვენებს: *გუთავია* (გაუთავებია), *გუ-კაფიან* (გაუკაფავთ).

თემის ნიშანი იკარგება უწყვეტელშიც: *ღომი ლობიას კვერცხის უკეთდით* (უკეთებდით).

გვაქვს *ნა*-პრეფიქსით ნაწარმოები წარსული დროის მიმღეობები: *ნატირალი იყავი.*

ხატოვანი სიტყვა-თქმები: *ჟუჟუნ თვალი; გული უფრინდება.*

დაწყევლის ფორმულა: *ღმერთმა ნუ გაგახარა!*

კარასუს რაიონის ქართველებით დასახლებულ შემდეგ სოფელს **გურჯუ ქოის** (resp.: ქართული სოფელი) უწოდებენ (თურქული სახელი Köy Yeri). აქაურების გადმოცემით, *იქიდან* (საქართველოდან - ი.ღ.) *გიაურს გამოუშვია მუსულმანები. ეს რუმებიდან დარჩენილი სოფელია. რუმები იუნანები (resp.: ბერძნები) იყვნენ, თურქულა ლაპარაკობდენ. მერე ჩვენ მოვედით. სხალაძეებიდან მოვედით.*

სოფელში 35 კომლი ცხოვრობს: ბერბერ-ოღლები, ბეგოღლები, ჭახი-ოღლები, გულაები.

სოფელი უნდა დაიტბოროს, მოსახლეობა უნდა აიყაროს და სხვაგან უნდა გადასახლდეს. ქართველები ამბობენ: მეორე მუჰაჯირობას ვაკეთებთო, რაც ახალი და ამავე დროს მათი ისტორიის მომცველი ხატოვანი, ფრთიანი ფრაზაა. ასევე ფრაზეოლოგიზმია ეთნიკური ქართველების გულიდან ამოხეთქილი: *ჩემი გული იქიდან არი* (ჩემი გული იქ არის).

თითოეული სოფელი გამორჩეულია მარმარილოს ზღვის რეგიონში. ამ სოფელში ყურადღება მიიქცია კნინობითის -ა

სუფიქსით ნაწარმოებმა ზედმეტსახელებმა: *ჩაქუჩაი, წოწოლაი.*

საინტერესოა ლექსიკური ერთეული მართვი, რასაც იხვის, ბატისა და ინდაურის ჟუკს უწოდებენ, ხოლო ჟუჟულს უწოდებენ ქათმის წიწილას. პიპილოს ეძახიან ბიბილოს, ჩინჩახვი კი *ჩიჩახვის* ნარიანი ვარიანტია.

დაჭიკება ჩხუბის აღმნიშვნელია: *ეჭიკებიან* (ჩხუბობენ).

ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული არიფიეს ილჩეს სოფელი ყიშლაჩაი (Kışlaçay, მეორე სახელი - Yeni Köy). ხებადან და ზედობანიდან რომ ჩამოვიდნენ, მაშინ უწოდეს Yeni Köy.

ქართველები რომ მოსულან, აქ ტყე იყო და აბაზები ცხოვრობდნენ. ქართველები და აბაზები ვერ მორიგებულან, რის შედეგადაც აბაზები აქედან წასულან, ხოლო ქართველებს სოფელი გაუშენებიათ: *ჩვენ რომ მოვედით, აბაზებთან ვერ შეფერდენ და წასულან. ტყე იყო და სოფელი დუ̄ყენებიან.*

ყიშლაჩაიში ქართველების 150 კომლი ცხოვრობს. აქ თხუთმეტამდე გვარია დაახლოებით. ყიშლაჩაის ქართველთა აზრით, თურქეთში ქართველებზე კარგი არავინ არის. ყველაზე განათლებული ქართველები არიან. ნათესავები აქ ერთმანეთზე არ ქორწინდებიან. ზამთარში სოფელი ცარიელდება. ერთერთმა ქართველმა თქვა: *აქაურობა დაჩასავეთ მაქვს,* რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს ხშირი სტუმარია და რუსიზმიც შეუთვისებია. საქართველოში ნამყოფი ხალხი აბაზას გვერდით ეთნონიმ აფხაზსაც იყენებს.

ეთნიკური იდენტობის გამოსახატავად თანაბრად იყენებენ: ჩვენებურს, გურჯს, ქართველს, ქართველურს: *ჩემი ბადიშის ცოლი ქართველურია.*

სოფელი თელი გურჯია; მაგრამ ვისაც დედა ქართველი არ ჰყავს, ის ყიშლაჩაის ქართველების აზრით, აღარ არის ქართველი. დედის ფაქტორს, როგორც ჩანს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეთნიკური იერ-სახისა და ენის შენარჩუნების საქმეში.

ენა და ენობრივი სიტუაცია მტკივნეული საკითხია აქაურებისთვის: *ჩვენებურს ვკარგავთ, ჩვენი ლაპარიკი გავაგდეთ* (ჩვენს ენაზე ლაპარაკი მივატოვეთ), *ჩვენი საქმე გავათავეთ.* მძიმე თვითშეფასებაა. როდესაც უფროსი თაობის ქართველებს ვკითხეთ, ახალგაზრდები ლაპარაკობდნენ თუ არა ქართულად, ერთ-ერთმა პასუხად მოგვიგო: ის არ მკითხო, აგნებენ და ვერ ლაპარაკობენ. ეს დიდი ბრალი მიქნია, ქართული არ დავასწავლე.

იმედს იძლევა ახალგაზრდების დამოკიდებულება ენისა და ქართული ცეკვების შესწავლისადმი. ცეკვა ამ რეგიონის ქართველებისთვის ენასთან ერთად ეთნიკურობის ყველაზე ძლიერი გამოხატველია. სოფელში ცეკვის მასწავლებელი მოუყვანიათ, ახალგაზრდებს უფროსი თაობისთვის უსაყვედურიათ, რატომ ადრე არ დაგვასწავლეთო ცეკვა. ქართველები დანანებით ამბობენ, ვერ წავწიეთ წინ ბავშვებიო. მათ ეამაყებათ, რომ ბავშვები ცეკვავენ: *ჩემი ბადიშები ფერხულობენ, ჩვენ არ ვიცოდით.* ახალგაზრდების სურვილმა და განწყობამ შეიძლება გადამწყვეტი სიტყვა თქვას ქართული ენის გადარჩენის საქმეში.

ყიშლაჩაის ქართველები ამბობენ, საქართველოში რომ ჩამოდიან, ესმით *სოფლების* ლაპარაკი (იგულისხმება აჭარის სოფლების მეტყველება), ხოლო ქალაქურ მეტყველებაში, მიაჩნიათ რომ, რუსულია შერეული: *სოფლებისას ვაგნებ (ლაპარაკს), თქვენ რუსების გადაგერიათ.*

ყიშლაჩაიში ქართველებს ადგილებისთვის ქართული სახელები შეურქმევიათ: წისქვილის კარი, ნაღომარი, კორდები.

ცივწყალი ტყის სახელია, ღელე-ბოსტანი ყანის სახელია.

მორფოლოგიური თავისებურებებიდან აღსანიშნავია:

1. ზოგჯერ ხმოვანფუძიან კვეცად სახელთა უკვეცელობა: *წაბლის ხეედან ქსოვდა; ხუთი ქუჩაედან ხებაა;*

2. მიცემითი ბრუნვის *-ს* სუფიქსის დაკარგვა: *გოდორო მოქსოვდა; დედეი ყველაფერო გააკეთებდა.*

3. მრავლობითი რიცხვის *-ნენ* ფორმანტის ნაცვლად *-ენ*-ის ხმარება: *შეფერდენ, გუწვენ, გადმოყრიდენ, წევდენ, მოვდენ, წვენ შეინახევდენ, შეხედავდენ, დაჯდენ.*

4. ერგატიული კონსტრუქცია გარდამავალ ზმნასთან I სერიაში: *ზოგმა მის სახლში აკეთავს* (ზოგი მის სახლში აკეთებს);

5. ორპირიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილი გარდამავალი ზმნები I თურმეობითში მრავლობითი რიცხვის *-თ* სუფიქსის ნაცვლად *-ნ* სუფიქსს გვიჩვენებს: *(ქართველებს) სოფელი დუყენებიან;*

6. ფუძედრეკადი ზმნის ორი თემის ნიშნით გაფორმება ერთდროულად: *ძაფ გაბლიჩვებენ* (გახლეჩენ);

7. *-ებ* თემის ნიშნის *-ავ* თემის ნიშნით ჩანაცვლება: *ნანა დედამისს უყურავს* (უყურებს); *-ი* თემის ნიშნის *-ებ* თემის ნიშნით შენაცვლება: *არ გაზარდებენ* (გაზრდიან);

8. მოქმედებითი გვარის მიმღეობა მოსალოდნელი *მო-* პრეფიქსისა და *-ე* სუფიქსის ნაცვლად *-ელ* სუფიქსითაა ნაწარმოები, რაც საინტერესო ვარიანტია სალიტერატურო ქართულში არსებული ფორმისა: *ფეხბურთის თამაშობელი* (მოთამაშე) *ბიჭია.*

9. წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობის ფორმებში *-ულ* სუფიქსის ნაცვლად *-ილ* ფორმანტის ხმარება: *დაფანტილი;*

ლექსიკიდან უნდა აღინიშნოს:

ყველაზე დიდ ინტერესს ქართველთა მეტყველებაში ზმნის ფორმები იქცევს. თუ სახელთა სესხება გარკვეულწილად შეუზღუდავია, მით უფრო ახალი საგნებისა და მოვლენების აღსანიშნავად, ზმნების გამოყენების შემთხვევაში ეს უკიდურესი იშვიათობაა. აქ მაქსიმალურად რეალიზდება ქართული სიტყვაწარმოებისათვის დამახასიათებელი მოდელები. შეიძლება ერთგვარი პარალელი გავავლოთ: სოფელში ქართველის გარდა არავის უშვებენ, მიწას და სახლს უცხოებზე არ ყიდიან, სოფელი და ქართველობა რომ არ მოიშალოს: *ჩვენ სოფელში მოსვლა უნდა ყველას, დევსახლოთნაო, არ ვუშვებთ,* ასევე არ

უშვებს ქართული ზმნა უცხო ლექსიკურ ერთეულებს ჩვენებურთა მეტყველებაში, ან შემოსვლისა და დამკვიდრების შემთხვევაში ქართული აფიქსებით აფორმებს მას.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. საინტერესო სიტყვაშემოქმედებაა მათ მეტყველებაში დადასტურებული გამონიავება, რაც *გამოგდებას, გამოყრას* ნიშნავს: *რუსებმა ჩერქეზები გამოანიავეს იქიდანო.*

*აწიწინავდა დატრიალებას* ნიშნავს: *წყალი დეეჯახებოდა ჩარხს, ჩარხი აწიწინავდა* (ჩარხი ტრიალებდა).

ლექსიკური ერთეულის - შეფერების გამოყენება *მორიგების* ნაცვლად: *აბაზებთან ვერ შეფერდენ* (მორიგდნენ); *გაფერება* კი *გალამაზებას* ნიშნავს: *შენ გააფერე* (შენ გაალამაზე); *შე-* და *გა-* ზმნისწინთა მონაცვლეობით ერთსა და იმავე ფუძესთან სხვადასხვა სემანტიკური მნიშვნელობა გვაქვს მოცემული. დაყენება ნაცვლად გაშენებისა: სოფელი დუყენებიან (გაუშენებიათ).

ლექსემა წმინდას გამოყენება: *წმინდა ხაშარ გაპობდა და გოდორ მოქსოვდა;* საჭამელი *მოსავლის* მნიშვნელობით. კაპანი *აღმართს* ნიშნავს; ფეშველაჲ (ფეხშიშველა).

ფრაზეოლოგიზმებიდან აღსანიშნავია შენ წყალში დეიყლარჭე (შენიანებში, შენიანებისთვის დაიხარჯე).

ყიშლაჩაიში ჩაწერილი ტექსტის ნიმუში:

*საჭამელი ბოვრი არ არი წრეულ. ზაფხული მალე მოვდა, მალე სიცივე იქნა, ჩიჩეგები (resp.: ყვავილები) მოწვა.*

*ბუთი ქუჩადან ხებაა. აქ მოსლი ხან ტყე იყო, სოფელი დ¯უყენებიან. ჩვენ რომ მოვედით, აბაზებთან ვერ შეფერდენ და წასულან. ამ თურქიეში ქართველებზე კარგი არავინ არი. შვიდი ბადიში მყავს, ქალი მყავს, გურჯია. ბაბაანემ (resp.: ბებიამ) გამზარდა, ორნახევარი წლისა ვიყავი. ბაბაანე ჭანი იყო. ჩემი ბადიშის ცოლი ქართველურია. ჩვენ სოფელში მოსვლა უნდა ყველას, დევსახლოთნაო, არ ვუშვებთ. ერთი*

*ფოლკლორი მოვიყვანეთ, აქაურმა ბავშვებმა ხელი წამავლეს, რატომ ჩვენ არ დაგვასწავლეთო.*

ქართველებით დასახლებული შემდეგი ილჩე (resp.: რაიონი) საფანჯას ილჩეა. საფანჯაში ბევრი ქართველია, მაგრამ ზუსტ რაოდენობას ვერ ასახელებენ. საფანჯაში ადრე მხოლოდ ქართველები და, როგორც თვითონ ამბობენ, ლაზები ცხოვრობდნენ. 20-25 წელია, რაც სხვებიც მოვიდნენ. საფანჯას ცენტრში იმ მაჰალეს, რომელშიც ქართველები ცხოვრობენ, *იენი მაჰალე* (Yeni Mahale) ჰქვია, ასევე არის *ჯამი ჯედითის* მაჰალე (Camii Cedit), სადაც 150-200 კომლი ქართველი ცხოვრობს.

საფანჯაში ოთხი ქართული სოფელია: გულდიბი (250 კომლი), მაჰმუდიე (40 კომლი), მურადიე (15 კომლი), ერდემლი (15 კომლი). ადრე ქართველებით დასახლებული მეხუთე სოფელიც იყო - ქირქფინარი, რომელიც ახლა საფანჯას მაჰალეა (უბანია).

საფანჯას ქართველები *გათუმიდან, მარადიდიდან, ხებადან* მოსულან: შავ-ოღლები, არაბ-ოღლები, თავშან-ოღლები, შაინ-ოღლები, ერსოი-ოღლები, იმამ-ოღლები, სერდარ-ოღლები, ნაზალ-ოღლები...

საფანჯას ცენტრში მცხოვრები ქართველები ამბობენ, რომ ადრე ეს ადგილი ჭაობი ყოფილა და ქართველებს აუთვისებიათ. მათ მიაჩნიათ, რომ ჰენდეკელი ქართველები უფრო კარგ ქართულს ლაპარაკობენ, ვიდრე ისინი. ჩვენს მეტყველებას კი ასე აფასებენ: *ჩვენ თურქჩე გვაქვან გარევლი, თქვენ რუსჩა.*

საფანჯაში ქართველებით დასახლებული ყველაზე დიდი სოფელი გულდიბია. გულდიბში ყველა ქართველია. გულდიბის ქართველთა გადმოცემით, კირნათიდან და კობალეთიდან მოსულან. ამბობენ, რომ ბევრი არ იციან, მაგრამ უფრო ადრე ზოგი კახაბერიდან მოსულა. კახაბერში რუსის ჯარისკაცებს ქალისთვის ცუდი თვალით შეუხედავთ. ამის გამო, ქართველებს რუსები დაუხოცავთ. ქართველები გაუციმბირებიათ. შემდეგ განვითარებული მოვლენებით კი ქართველების ნახევარი ჭოროხს გაღმა დარჩენილა, ნახევარი კი გამოღმა. ვინმე

რომ მოკვდებოდა, ერთმანეთს სიმღერით აგებინებდნენ. აქ რომ მოსულან, ჯერ ტყეებში იყვნენ. ამ ადგილას სხვები ცხოვრობდნენ. ქართველებს აქედან ყველანი გაუშვიათ და სახლები გაუკეთებიათ.

გულდიბში აქვთ *ძენგლი*, ანუ მეტსახელი. გულდიბში შემდეგი ძენგლები ჩავიწერეთ: კახაბერიძე, მოლოგინძე, წითელაძე.

რაც შეეხება ენობრივ ვითარებას: 1. ეთნიკურ ენას დედის ენასაც უწოდებენ ჩვენებურისა და გურჯულის გვერდით; 2.უფროსი თაობა, როგორც წესი, კარგად ლაპარაკობს ქართულად; 3. თავშეყრის ადგილებში, თუკი უცხო ვინმე არ გამოერიათ, ქართულად ლაპარაკობენ; 4. მათი აზროვნებისა და ფიქრის ენა ქართულია: *გურჯულად ვფიქრობ, მარტო რომ ვარ, გურჯულად დევილაპარაკებ;* 5. ქართულ ტელეარხებს უყურებენ: *მე ვუყურავ ქართულა.* 6. რესპოდენტთა დიდ ნაწილს ოთხი შვილი ჰყავს და არცერთმა არ იცის ეთნიკური ენა. ეს ვითარება უფრო მძიმეა, რადგან ქართველი ახალგაზრდები მუდმივად აქ ცხოვრობენ. საფანჯას ფაბრიკები, სადაც ისინი მუშაობენ, სოფელთან ახლოს არის.

ენის არცოდნის მთავარ მიზეზად აქაც დედის ფაქტორი სახელდება: *ზოგმა ჭანი ითხოვა, ზოგმა ჩერქეზი, სახლში გურჯულად არ ლაპარაკობდენ და არ იციან, დედის ენა ცოტა იციან.* ამას თან ერთვის თურქული სკოლის ფაქტორი. ეთნიკური ენის არცოდნის გამო ძლიერ წუხან ახალგაზრდები, რომელთაც უნდათ რომ იცოდნენ წინაპართა ენა და, ისევე როგორც ყველა სოფელში, მოსურნენი არიან გაიხსნას *მექთები*, სადაც ქართულს ისწავლიან. ისინი, ქართულის არცოდნის გამო, საყვედურობენ უფროს თაობას, რომელიც, თავის მხრივ, ამატებს: *ჩვენებური ვილაპარაკეთ, გაწუხთენ ღარჭები. ღარჭებს უნდანან. აქაც გასხენით ერთი მექთები.*

მორფოლოგიური თავისებურებებიდან აღსანიშნავია:

1. ხმოვანფუძიან კვეცად სახელთა უკვეცელობა: *სიბირი აისკენ წუ̄ყვანიან; ახლა ბედამ გაკეთული სახლი არ დარჩა; ძე*ს (რძის) ფულ მიცემდენ.

2. მიცემით-ბრუნვიანი კონსტრუქციის სახელობით-ბრუნვიანი კონსტრუქციით ჩანაცვლება: *ნადზე ჩვენებური* (ჩვენებურს) *იმღერებდენ;*

3. ვნებითი გვარის წარსული დროის მიმღეობის ფორმებში მოსალოდნელი მაწარმოებლის ნაცვლად *-ომ* თემის ნიშნისა და *-ილ* სუფიქსის გამოყენება: *ტყეებში დაჯდომილან;*

4. ქვემოთ ადგილის ზმნიზედის *ქვეით* ფორმით ხმარება: *კახაბერი ყოფილა ქვეით.*

5. უარყოფითი *არ* ნაწილაკის გამოყენება *ვერ* ნაწილაკის ნაცვლად: *მე არ მევესწარი დედეს.*

გულდიბში ჩაწერილი ტექსტის ნიმუში:

*იმდონი ვერ ვაფერავ. კირნათიდან და კობალეთიდან მოსულან. ენ წინ* (resp.: ყველაზე ადრე) *კახაბერი ყოფილა ქვეით, კახაბერიდან მოსულან. კახაბერიძე იქაური ძენგლია. ჩემი ძენგლი* (resp.: მეტსახელი) *მოლოგინძე, წითელაძეა. კირნათ ავლაჲ კახაბერი სოფელი ყოფილა. რუსის ასკერებს ქალისთვის გონჯი თვალით შუუხედავს. გურჯები სიბირიაისკენ წუ̄ყვანიან. ნახევარი ჭოროხს გაღმა დარჩენილა, ნახევარი აქეთ. ვინცხა რომ მოკვტებოდა, სიმღერას იტყოდენ. ტყეებში დაჯდომილან. აქაურობა დუ̄ნახიან, გუ̄ცეთებიან სახლი. აქ მომსლელებს თელი გუ̄შვიან. ნადზე ჩვენებური იმღერებდენ. ზოგმა ჭანი, ჩერქეზი ითხოვა, სახლში გურჯულა არ ლაპარაკობდენ და არ იციან, დედის ენა ცოტა იციან. ჩვენებური ვილაპარაკეთ, გაწუხთენ ღარჭები. ღარჭებს უნდანან. აქაც გასხენით ერთი მექთები* (resp.: სკოლა). *მარტო რომ ვარ, გურჯულად დევილაპარაკებ. თუ დაბანჯი* (resp.: უცხოელი) *არ გაგვერია, გურჯულად ვლაპარაკობთ.*

შემდეგი ილჩე გეივეს ილჩეა (Geyive Ilçe), სადაც ქართველებით დასახლებულ სოფელ ნურიოსმანში (Nuriosman)

ქართულად ბრწყინვალედ მოსაუბრე ქართველებს შევხვდით. ნურიოსმანში ოთხი უბანია: მალაბა (Malaba), უზუნდერე (Üzündere), ორთამაჰალე (Ortamahale), გაღმა მაჰალე.

ნურიოსმანი მარადიდიდან წამოსული ქართველებითაა დასახლებული: წითელაძეებით, ქოლათ-ოღლებით, მეზინ-ოღლებით, გოლოთ-ოღლებით, ანდი-ოღლებით, ბურკ-ოღლებით, ქიბარ-ოღლებით, კოჯამან-ოღლებით.

ენობრივი ვითარების შესახებ საუბარს იმ ქართული ტოპონიმებით დავიწყებთ, რომლებიც აქაურ ქართველებს ისტორიული სამშობლოს ტოპონიმთა ანალოგიით შეუქმნიათ. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია სოფლის მდინარის (ღელის) სახელი **პატინა ჭოროხი**; **ბათუმი**, სახლითავი ადგილების სახელებად; **გიაურების ყანები**, **შავი ყანა**, **ჩავლილი ჭალა** - ყანების სახელებად.

მათი იდენტობა მათივე ნათქვამი ერთი წინადადებით გამოიხატება: **ჩვენი ჭკუა** იქაურობაშია (ჩვენი ფიქრი და გონება სულ საქართველოშია); *ინსანმა* (resp.: ადამიანი, ხალხი) *მისი ინსანსა ეძებსა* (ყველა თავისიანს ეძებს).

აქ ძალიან დიდხანს შემორჩა ნადი: *ყანებში მეზობლები წევიდოდით, მოვთოხნიდით, გურჯიჯე იმღერებდენ, ჯინველო ნანაას იმღერებდენ.*

**ჯინველო ნანაა** მარმარილოს ზღვის რეგიონში **ხორონთან** ერთად, რომელსაც კაცები ცეკვავენ, იდენტობის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მარკერია.

ნურიოსმანი სხვა სოფლებისგან იმით გამოირჩევა, რომ აქ ქართული ენის მცოდნეთა ასაკი გაახალგაზრდავებულია: უფროსი და საშუალო თაობის ადამიანებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ოცი წლის და ოც წლამდე ასაკის ახალგაზრდებიც კარგად მეტყველებენ, ვერ ლაპარაკობენ ბავშვები, თუმცა ყველაფერი ესმით.

როგორც სხვა დანარჩენ რეგიონებში, აქაც მიაჩნიათ, რომ ყველაზე კარგად ენა მათ იციან: *ყველაზე კარგი ქართული ჩვენ ვიცით.* წერა-კითხვა არავინ იცის (2013 წლის მონაცემებით);

თავშეყრისას მხოლოდ ქართულად საუბრობენ; მათი ფიქრის ენა ქართულია: *გურჯუჯე ვფიქრობ, არაფჩა ვლოცულობ*; ქართულ ტელეარხებს ძალზე ხშირად უყურებენ ქართველები, მაგრამ წუხან, რომ დიქტორთა სწრაფი მეტყველების გამო ბევრს ვერ იგებენ.

ქართულად ლაპარაკი ყველას ბაბაანემ (resp.: ბებიამ), ნენემ და ბაბამ ასწავლეს. ბავშვობის ასაკში, როგორც თვითონ ამბობენ: *ლაპარაკი ბაბაანემ დაგვასწავლა; მე ნენესთან დავჯდებოდი, ბაბასთან დავჯდებოდი, ვილაპარიკებდი, ახლა არ ლაპარაკობენ.*

ბაბაანეებისა და, საერთოდ, უფროსი თაობის წასვლასთან ერთად ჩვენებურის მდგომარეობაც უკან-უკან წავიდა: *ბაბაანეები მოკტენ, გურჯული დაილია.*

მიუხედავად ზემოთქმულისა, აქაურ ქართველებს მიაჩნიათ, რომ აქ ქართული სულ იხმიანებს: *ასი წელია არის, მერეც იქნება.* ეს დამოკიდებულება, შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანია ეთნიკური ენის გადარჩენისთვის. ამიტომაც სურთ, რომ გაიხსნას სკოლა, სადაც შეძლებენ *დედის ენის* სწავლას: *ოქულები* (resp.: სკოლები) *იყოს, ყველა ჩვენი ფეხით წავალთ.*

საერთო მაჩვენებლის მიხედვით, აქ ლიცეუმი და უნივერსიტეტი ბევრს აქვს დამთავრებული, ოცდახუთ წლამდე ასაკის ბევრი ახალგაზრდა სწავლობს უნივერსიტეტში.

მათ მეტყველებაში დღემდეა შემორჩენილი ქართველთა ყოფა-ცხოვრებისათვის დამახასიათებელი და სამუშაო იარაღების აღმნიშვნელი ლექსიკა: *ხარმანკალო, კეცი, საცერი, მიწის დერგი* (თიხის ჭურჭელი), *ჩიბუხი* (რძის მოსარეკი ჯოხი), *საფეიქრო*, (საქსოვი დაზგა), *ძაფი, კანაფი, შიშები* (საქსოვი ჩხირები), *ჯილღა, მანგალი, წალდი, ტაბიკი, საბელი...*

საინტერესოა კნუტისა და ინდაურის ჭუკის სახელდება, ქართველები შეეცადნენ არ გამოეყენებინათ თურქული ლექსიკური ერთეულები და კნუტს, *ცინდალს* კატის ღარჩი უწოდეს, ხოლო *ინდაურის ჭუკს* ჰინდის ღარჩი.

მათ მეტყველებაში დასტურდება თევზის სახეობების აღმნიშვნელი შემდეგი ლექსიკური ერთეულები: *ლოქო, მურწა, საზანი.*

ამინდის აღსანიშნავად დღემდე ქართული ენის დასავლური დიალექტების ნაწილში გამოყენებული *ტაროსი* იხმარება; მარცვლეულის *განიავების* აღსანიშნავად *ქროლვას* იყენებენ: სამანი გახდებოდა დიდვანა, *უქროლებდით* ქარში; *გაფუება* გამოხატულია *გასუქება* სიტყვით: ცომი *გასუქდებოდა* შიანა.

მორფოლოგიური თავისებურებებიდან აქ მხოლოდ იმაზე შეჩერდებით, რაც ამ რეგიონის სხვა სოფლებში არ დაგვიფიქსირებია:

1. ემფატიკური -ა სუფიქსის გამოყენება: ინსანსა ეძებსა;

2. ერგატიული კონსტრუქცია მოქმედებითი გვარის ზმნებთან I სერიაში: *ინსანმა მისი ინსანსა ეძებსა* (ყველა თავისიანს ეძებს);

3. უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმების გამოყენება: ტარით *დავაბმიდით, ჩავასხმიდი* რძეს; ძაფ *დაართვიდენ*, ხარებ *ჩუბმიდით;*

*4. თემის ნიშანთა შენაცვლება: ობ-ს ენაცვლება -ებ თემის ნიშანი: გავახმებდით (←გავახმობდით); -ებ თემის ნიშანს ცვლის -ავ თემის ნიშანი: იოგურტსა შევაყენავთ ჩვენ (←შევაყენებთ).*

*5. -ავ ფორმანტს ენაცვლება -ევ სუფიქსი: დავაფქვევდით (←დავფქვავდით), ჩიბუხით მოვრეკევდით (←მოვრეკავდით), ძროხას შეხედევდენ.*

6. სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკის გამოყენება: *კაი დააფქვიოსო.*

ნურიოსმანში ჩაწერილი ტექსტის ნიმუში:

*სახნელს ჯილღას ვეტყოდით. პურს ორაღით* (resp.: *ნამგლით*) *ვიღებდით. ტარით დავაბმიდით, მოვჭრიდით. წალდით ეკლებს ვჭრიდით. ხარმანკალო იყო, ხარმანკალო*

*სოფლისა იყო; ხარებით ჯარებით ასე. სამანი გახდებოდა დიდვანა, უქროლებდით ქარში. საცერი ვეტყოდით, იმაში ჩავყრიდით, გავცრიდით, გავწვიდი წყალში, გავახმებდით, დავაფქვევდით. დიდი მიწის კეცები მქონდა, წითელი კეცები გვქონდა. პურ კეცში გამოვაცხობდით. კეცებ შიშაზე დავამხობდით. ცომი გასუქდებოდა შიანა. პურს პურს ვეტყოდით, სიმინდის გამომცხვარს მჭადს, ღომი ვიცოდით, სუთლი-მუთლის ვეტყოდით, ძეში ხარშავდენ. ყველი ძეისაა, იოგურტსა შევაყენავთ ჩვენ. მიწის დერგი მქონდა, ჩავასხმიდი ძეს, ჩიბუხით მოვრეკევდით, ჯაღი იქნებოდა. ცხვარი მეზობლებს ყავდა, მოზვერი, ცხენი, თხაჲ. ცხვარიდან ძაფ მოქსოვდენ. ძაფ დაართვიდენ, მურგვზე დაატრიალებდენ, შიშებით ქსოვდენ. კანაფის ტყავ გავაძრობდით, ტყავისგან საბელ დავგრეხდით. საფეიქროზე ქილიმ მოვქსოვდით. ნადი ვიცოდით, ყანებში მეზობლები წევიდოდით, მოვთოხნიდით, გურჯიჯე იმღერებდენ, ჯინველო ნანაჲს იმღერებდენ.*

ქართველების შემდეგი სოფელი რეშადიე (Reşadiye) აქიაზის ილჩეშია (Akyazı). სოფელი მხოლოდ ქართველებითაა დასახლებული. სოფელში ქართველების 150 კომლი ცხოვრობს. ზამთარში ყველა აქ რჩება, რადგან სოფელი ქალაქთან ახლოს არის, დღისით იქ მუშაობენ და საღამოს სოფელში ბრუნდებიან. აქაურთა გადმოცემით 1870-იან წლებში არიან წამოსული და 1890 წელს სოფელი უკვე დასახლებულია. სოფელში ქართველების მოსვლისას, როგორც ჩანს, აბაზები ცხოვრობდნენ, რადგან, გადმოცემით, *ჩვენები და აბაზები ყოველდღე ერთმანეთს ეჩხუბებოდენ: ეს ყანა ჩემია, არა ჩემია. ახლა კარგი ურთიერთობა გვაქვს.* აქ ბათუმიდან და ხატილადან მოსულან. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ხატილადან წამოსულ ქართველებს შევხვდით. მათ აღნიშნეს, რომ ხატილადან წამოსული ქართველების ერთი სოფელი ბურსაშია. მაშინ ხატილაში 300 ოჯახი ყოფილა, ერთი სოფლისგან ხუთი სოფელი გაშენებულა. *იქ სომეხები მოსულან, საზღვრის იქიდან მოსულან ერმენლები. ღამით დადიოდენ. ჩვენი ბერიკაცები (2-3) დუკლიან.*

*ძროხები თელი წუყვანიან. ამდგარან და წამოსულან დედები.* ქართველები საცხოვრებლად ვარგისი ადგილის ძებნა-ძებნით მოსულან აქ. ჯერ სხვა ადგილას გაჩერებულან, მაგრამ იქ ბევრი კოღო ყოფილა. აქ კი წყარო უნახავთ და დამდგარან. პირველად შვიდი ოჯახი მოსულა. რეშადიეში მცხოვრები ქართველების გვარებიდან ამჯერად შემდეგის დაფიქსირება შევძელით: *ჭიშკარ-ოღლი, ბოსტანჯი-ოღლი.*

საინტერესოა ქართველობის//გურჯობის შენახვის ტრადიცია. სოფელში სხვა ეთნიკური ჯგუფის წევრებს არ უშვებენ, აქ მიწას სხვა ეთნოსის წარმომადგენელებზე არ ყიდიან. მხოლოდ ერთი ოჯახი ყოფილა სხვა ეთნიკური ჯგუფისა და ამრეზილად უყურებდნენ. მათი აზრით, თუ სოფელი გურჯია, გურჯის წესი კანონია. თუ გოგო სხვა ეთნიკური ჯგუფის წევრს მისთხოვდება და სიძე აქ დასახლებას მოინდომებს, ნებას არ რთავენ; მიიჩნევენ, რომ გოგოს მიცემა საკმარისია. თუ რძალი შემოდის გარედან, მაშინ ამბობენ: **გურჯის სახლში შემოვიდა,** აქ რჩება და, შესაბამისად, ქართველის წესსა და კანონს დაემორჩილება.

ერთ-ერთი ქართველის ოჯახში სტუმრობისას, მასპინძელმა *სანდალიეზე დაბრძანდითო,* გვითხრა, რასაც ცოლის კომენტარი მოჰყვა: *სანდალიე არ არის, სკამია.*

საქართველო მათთვის მემლექეთია, ხოლო ქართული ენის აღსანიშნავად ქართველის ენასაც და ქართულსაც იყენებენ.

სოფლის ნახევარი ავსტრიაში ცხოვრობს. თავიანთი საზოგადოება აქვთ და იქ იყრიან თავს. ახალგაზრდებს უკან დაბრუნება არ უნდათ. თუ ქართველებს ავსტრიაში ეკითხებიან წარმომავლობის შესახებ, პასუხობენ, რომ თურქეთის ქართველები არიან: *ავუსტურიაში თუ მკითხეს ვინ ბარო, ვეუბნებით თურქეთის ქართველი ვარო.*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეშადიეში *ქართველის ენაზე* შესანიშნავად მეტყველებენ, თუმცა მიიჩნევენ, რომ ცოტა იციან და თან წმინდა ქართული არ იციან: *ჩვენი ქართული ამდენია, ძალიან წმინდად არ ვიცი;* შემდეგი ყურადსაღები

გარემოება მათი შენიშვნა იყო: ჩვენ მამას უკან შემცხვებიან თურქულა ლაპარაკი სახლში (//ჩვენი მამა-პაპების შემდეგ სირცხვილია თურქულად ლაპარაკი სახლში); მაგრამ ენის ცოდნის ხარისხი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სხვა სოფლის მონაცემებისგან ბევრად არ განსხვავდება: ვინც დღეს 50 წლისაა, მათ სკოლაში წასვლისას თურქული ენა არ იცოდნენ: *სკოლაში წავედი, მასწავლებლები ლაპარაკობს, რას ლაპარაკობს, არ ვიცი;* არაფერს ვამბობთ უფროსი თაობის ადამიანებზე; 30-40 წლის ასაკობრივი ჯგუფიც ძალიან კარგად ლაპარაკობს, 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს კი *ესმით, არიგვენ და ვერ ლაპარაკობენ;* ქართველები თვითონვე მიუთითებენ, რომ სოფელში თუ იქნები, ლაპარაკი გეცოდინება, თუ ქალაქში იქნები, დაგავიწყდება.

ავსტრიაში მცხოვრებ ქართველთა შვილებმა ქართული ენა სოფელში დარჩენილებზე უკეთ იციან, რადგან იქ გერმანული ენის გარემოცვაში ოჯახში ქართულად ლაპარაკობენ და ქართულ ტელეარხებს უყურებენ.

ქართველები განასხვავებენ სხვადასხვა დიალექტურ მეტყველებას, თავიანთ მეტყველებას კლარჯეთულს უწოდებენ: *აჭარიდან მოსულის ლაპარაკს ვარიგავთ. ჩვენ კლარჯეთი გვეტყვიან, ჩვენი სხვაა, აჭარული სხვაა.* კლარჯეთულში *ლელას* იტყვიან, აჭარულში კი *მელას*, კლარჯეთულში *ყიას* ამბობენ, აჭარულში კი *ყელს*; *ყელ* ჩვენ *წინდის ყელ* ვეტყვით, კლარჯეთულში *ფეხშველას* ამბობენ, აჭარულში *ფეხშიშველას*.

ფრიად საყურადღებო იყო კიდევ ერთი გარემოება, კერძოდ, რეშადიეს ქართველებმა აღნიშნეს, რომ აქაური ლაზების მეტყველება ესმით, ხოლო საქართველოს ეთნოგრაფიული კუთხის - სამეგრელოს მცხოვრებთა მეტყველება არ ესმით: *ჩვენ აქაურ ლაზურ ვაგნებთ, იქაურ მეგრულ ვერ ვაგნებთ.* მათი ნათქვამიდან ჩანს, რომ მათთვის *ლაზი* და *მეგრელი* და, შესაბამისად, *ლაზურიც* და *მეგრულიც* მათთვის ერთია, თურქეთში მცხოვრები ლაზების დიდი ნაწილის შეხედულებისგან განსხვავებით.

სოფელში ქართულად წერა-კითხვა იცის რამდენიმე ადამიანმა. ოსმან ოქურმა (იმამიშვილმა, 50 წლის) თქვა, რომ სოფელში ზოგიერთმა ასაკოვანმა ადამიანმა წერა-კითხვა იცოდა, თვითონ კი ათი წლის იყო, სახლში წერა-კითხვა რომ დაასწავლეს. სოფელში მეორე მსოფლიო ომის დროს მოსულან ჰუსეინა, მეჯიდა, მაირა ბერები, რომლებმაც წერა-კითხვა იცოდნენ, მათ დაუსწავლებიათ სოფლის მცხოვრებთათვის წერა-კითხვა. საერთოდ, იმ დროს 50 კომლი მოსულა და ორ სოფელში დასახლებულან.

ქართველების აზრით, *აჭაური ქართული* რომ გადარჩეს, ტელევიზია სჭირდებათ.

ისევე როგორც მარმარილოს ზღვის დანარჩენ რეგიონებში, ქართველები თურქებს აქაც *კუდიანებად* მოიხსენიებენ, აფხაზებს *ჩაჩიანებად*, ხოლო ჩერქეზებს *ჩერქეზებად*.

ეს სოფელი ტოპონიმიითაც გამორჩეული აღმოჩნდა. მამაპაპების მიერ ადგილებისთვის შერქმეული სახელებიდან შემდეგი დასტურდება: ნაპურავი, ნაფეტვარი, ახო//ახოები, პლატეები (//ფლატეები), ზომოყანა, აბანო.

რეშადიე ლამაზი ქართული სიტყვების საბადოცაა:

კარ-მიდამო ქართველებისთვის კარ-ნალიაა; სახლში საჭურჭლე ოთახს სამზარეულოს უწოდებენ, საკდომი ოთახი ის ოთახია, სადაც იკრიბებოდნენ, საწოლი ოთახი - საძინებელი. შემონახულია ლექსემები: ბელელი, ნალია, სადღობელი, დერგი, ნადი. ბაბილო - ტალავერია; *ყურძენი დარგული ყანა არი, იმა ვენახ ვეტყვით;* მდინარეს წყაროს უწოდებენ; წუწებს ეძახიან *თმებს*, კულუნი კი *კოლოა*; პაწაობა - *ბავშვობის ხანა: ჩვენი პაწაობის დროს მთელი სოფელი დეესვენებოდა მეზობლის სახლი გავაკეთოთო.* დრანები - *ჩვენი ძველები, დიდვანები* (//წინაპრები); თამაშის ნაცვლად *ბუდლობას* იყენებენ, რომელიც ქართულ ლექსემად მიაჩნიათ: *მიკვირს, როცა ქართველები ამბობენ, ვითამაშოთო, თამაშობა თურქულია, ქართულა ვიბუდლოთ.*

ფრაზეოლოგიზმები: მოცურდი - ახლოს მოიწიე; თვალი აახილეს - *გონს მოეგნენ.*

მორფოლოგიური თავისებურებანი:

1. III ირიბ-ობიექტური პირის ნიშნების ჰ-სა და ს-ს დაკარგვა: *ქართულს მგავს; ოთხი ფეხი მქონდა; ძეს ფული მიმცემდენ;*

2. მეტყველებაში გავრცელებულია *-ულ* და *-ილ* სუფიქსიანი მიმღეობები, რომლის წინაც მოსალოდნელი თემის ნიშანი არ გვხვდება: *გაკეთული სახლი, მოხვეწული ჯამე, გაკეთილი* ბორბალი;

3. *-ი* თემის ნიშანი ჩანაცვლებულია *-ავ* თემის ნიშნით: *მე იმ ფოტოს მოვძებნავ*, *-ავ* თემის ნიშანს ენაცვლება *-ებ* თემის ნიშანი: *სიმინდს დაარგებდენ.*

რეშადიეში ჩაწერილი ტექსტების ნიმუშები:

*ჩვენ ხატილადან მოსულები ვართ. მაშინ ხატილაში სამასი ოჯახი ყოფილა. იქ სომეხები მისულან, ჩვენი ბერიკაცები დუ კლიან, ღამით დადიოდენ. ძროხები თელი წუყვანიან. ამდგარან და წამოსულან.*

*ჩვენები და აბაზები ერთმანეთს ეჩხუბებოდენ: ეს ყანა ჩემია, არა, ჩემია. აბაზებს დაავიწყდათ ენა. აჭარიდან წამოსულის ლაპარაკს ვარიგავთ. ჩვენ კლარჯეთი გვეტყვიან, ჩვენი სხვაა, აჭარული სხვაა.*

*სოფელში სხვა არ უნდა შუშვა. აქ სხვაზე მიწის გაყიდვა არ არის. თუ სოფელი გურჯია, გურჯის წესი კანუნია. ჩემი დედე გემლიქიდან მოსულა, სახლი დუდგია, დარჩენილა. დედეი ყველაფერ გააკეთებდა. ახლა ხედამ გაკეთული სახლი არ დარჩა. ბევრი გაკეთული ჯამე იყო; მოხვეწული იყო. მე იმ ფოტოს მოვძებნავ.*

*ხიდამ გააკეთებდენ, გაყოფდენ, სიმინდ, პურ ჩავყრიდით, ხაროს ვეტყოდით. ნალია იყო სიმინდის ჩასაყრელი, ოთხი ფეხი ქონდა, მაღალზე იყო. ჩვენი პაწაობის დროს თელი სოფელი დეესვენებოდა (//მოიყრებოდა), მეზობლის სახლი გავაკეთოთო.*

*მე თურქჩა მექთებში დევსწავლე. ჩვენი ქართული ამდენია, ძალიან წმინდად არ ვიცი. ახალგაზრდებს ესმით, არიგვენ და ვერ ლაპარაკობენ.*

აქვე ჩავიწერეთ ნაღრძობის შელოცვა: *ადამ გეექცა, / სისხლი ჩეექცა, / ქვას ქვეშ გორდებოდა, / ჩემი კითხვა გერგებოდა.*

ყარაფურჩეყის რაიონის სოფელი ფელეკლი (**Felekli**) ადრე სულ ქართველებით ყოფილა დასახლებული, ახლა სოფელში, მათ გარდა, სხვა ეთნოსის წარმომადგენლებიც ცხოვრობენ, როგორც ქართველები იტყვიან: *ახლა სოფელი გარევლია.* ფელეკლიში დღევანდელი მონაცემებით 60 კომლი ქართველი ცხოვრობს.

ფელეკლის ქართველები ბათუმის შუახევიდან, ტომაშეთიდან და კობალთიდან არიან წამოსული. სამშობლოდან რომ გადმოხვეწილან, უკითხავთ, სად დავსახლდეთო. ადაფაზარში მათთვის ადგილი მიუციათ, ადაფაზარიდან ამ სოფელში ამოსულან, სადაც მიწაც კარგი იყო და წყალიც, ამიტომ აქ დარჩენილან და დასახლებულან ხემშიაშვილები, ფუტკარაძეები და სხვა ქართველები.

ფელეკლის ქართველებიც თავიანთ იდენტიფიკაციას *ჩვენებურით* ახდენენ, თუმცა ისინიც ბურსის ქართველთა მსგავსად თავიანთ თავს მუჰაჯირებს არ უწოდებენ. *მუჰაჯირი* მათთვის ბულგარისტანიდან, ბოსნიადან მოსულია, ხოლო თვითონ *მუჰაჯირობის დროს არიან სამშობლოდან წამოსული.*

ისტორიულ სამშობლოსთან ურთიერთობის აღდგენამდე ეთნონიმი ქართველი მათთვის დადებითი მნიშვნელობის მატარებელი არ იყო: *ფინთ* (resp.: ცუდ) *ბავშვებს ეტყოდენ ქართველიშვილო.* ამავე მნიშვნელობით იყენებდნენ მემლექეთიდან მოსული ბერები და დედაბრები მოსკოვი შვილოს (resp.: რუსი): *მოსკოვი შვილო, ღმერთმა ნუ გაგაბაროს!* ამ ფრაზაში მათი წარსულია არეკლილი. ისინი ხომ ცარისტული რუსეთის პოლიტიკის „წყალობით“ აიყარნენ სამშობლოდან, მიატოვეს მამაპაპისეული კერა და წლობით იხეტიალეს ახალი საცხოვრისის საძებრად.

ოჯახში უფროსი თაობის ქართველები მხოლოდ ქართულად ლაპარაკობენ: *სახლში სულ ჩვენებურა ვლაპარაკობ, თურქჩა ვერ ვილაპარაკებ.* უმცროსი თაობის მეტყველება და ენობრივი ვითარება არაფრით განსხვავდება სხვა რაიონებისა და სოფლების მეტყველებისგან.

სოფელში ძალიან ბევრია უმაღლესი განათლების მქონე.

ჰკუა-გონებას ქართველები **ჰკუა-ხაპერს** უწოდებენ: *ჰკუა-ხაპერი დიდი გაქ.*

ფრაზეოლოგიზმებია: **დუნიაზე აქ მოვსულვარ** (აქ დავბადებულვარ, აქ მიცხოვრია); **რაფერ დააღამე?** (როგორ გაატარე წუთისოფელი?).

დალოცვის ფორმებია: **ღმერთმა ბევრი გაცოცხლოს! ღმერთმა კაი ბედი მოგცეს!**

კალკი: **პაპიროზის სმა** (სიგარეტის მოწევა): *სიმწარისგან პაპიროზის სმა დ̄წყია.*

მორფოლოგიური თავისებურებანი:

1. კუმშვად სახელთა უკუმშველობა: *აკვანით* მომიყვანეს; *ტყემალის წყალი ვაკეთავ;*

2. მიმართულების გამომხატველ *-ში* თანდებულიან ფორმას ცვლის ფუძით წარმოდგენილი სახელი: *აქედან გურჯისტან* (საქართველოში) *გაგ ზავნა გაბომა;*

3. III სუბიექტური პირის ნიშნის დაკარგვა: *სოფელში უკითხველი არავინ არიჲ; ჩემი პაწაჲ გოგო დარდი მაქჲ;*

4. III ირიბ-ობიექტური პირის ნიშნების *ჰ*-სა და *ს*-ს დაკარგვა: *მექთუბი* (resp.: წერილი) ჯიბეში *ჲქონია ჩადებული, მის ცოლ სხვა ჲყვარებია;*

5. III სერიაში III სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაში *-თ* სუფიქსის ნაცვლად გვაქვს *-ნ* ფორმანტი: *მოკტენიხან უნახიან;*

6. მეტყველებისთვის დამახასიათებელია უკავშირო შეერთება: *გათომიდან გამოსულან, უკითხავთ, სად დავჯდეთო, ადაფაზარში ლერი მ̄უცემიან. იქიდან აქეთ გამოსულან. ამოსულან ამ სოფელში, მიწა კაი იყო, წყალი იყო.*

დროის ზმნიზედა გამოხატულია *ბან* ლექსემით: *მოკტენიბან უნახიან* (სიკვდილის ჟამს, დროს უნახავთ).

ფელეკლიში ჩაწერილი ტექსტის ნიმუში:

*ბათომიდან გამოსულან, უკითხავთ, სად დავჯდეთო, ადაფაზარში ძერი მ̄უცემიან. იქიდან აქეთ გამოსულან. ამოსულან ამ სოფელში, მიწა კაი იყო, წყალი იყო. დალაგდენ.*

*ჩემი დედე შვახევიდან წამოსულა, ბათომის შვახევიდან; ტომაშეთიდან, კობალთიდან არიან. აკვანით მომიყვანეს, ფუტკარაძე ვარ. ჩემ ნენეს გოგო დარჩენია. ნიშანლი ყოფილა* (resp.: დანიშნული ყოფილა), *მემრე წამუალთო, ისე უთხრომია. მემრე კარი დაყაფანებულა* (resp.: დაკეტილა). *ნენე იტყოდა: დილით ამოსული მზე შენ გიყურებს ჩემო გოგო, ღამის ამოსული მასკლავები შენ გეჩხირება, მე რად მინდოდა თურქიეში. სიმწარისგან პაპიროზის სმა დ̄უწყია. ბაბომ მექთუბი დ̄უწერა. სიკტილამდე ჩემ ნენეს მექთუბი ძუძუში ქონია ჩადებული. მოკტენიბან უნახიან. აქედან გურჯისტან გაგ ზავნა ბაბომა.*

*დუნიაზე აქ მოვსულვარ. არ მომიწადინებია იქ წასლა. ჩვენ ჩვენებური ვართ, ის მუჰაჯირია (ბულგარისტანიდან მოსული). ფინთ ბავშვებ ეტყოდენ - ქართველიშვილო. მოსკოვი შვილო, ღმერთმა ნუ გაგახაროს! - მემლექეთიდან მოსულმა დედაბრებმა იცოდენ; სახლში სულ ჩვენებურა ვლაპარაკობ, თურქჩა ვერ ვილაპარაკებ. ღარჩები იგნებენ, ვერ ლაპარაკობენ.*

ბურსას ვილაიეთის ქართველებით დასახლებული შემდეგი ქალაქი გემლიქი (**Gemlik**) და მისი სოფლებია: ჰამიდიე (**Hamidiye**), ჰაიდარიე (**Haydariye**), სელიმიე (**Selimiye**), ჰაირიე (**Hayriye**).

გემლიქის სოფელ ჰამიდიეში (**Hamidiye**) *დოქსან უჩის* (resp.: ოთხმოცდაცამეტის), როგორც თვითონ უწოდებენ თავიანთ თავს, მუჰაჯირთა 80 კომლი ცხოვრობს. სოფელი სულ ქართველებითაა დასახლებული. ისინი ართვინიდან, ადაგულიდან არიან მოსულები. თავდაპირველად ამ ადგილებში ერთი მოხუცებული კაცი მოსულა, ვისთვისაც უთქვამთ, რომელი ად-

ბილიც მოგეწონებათ, იქ დარჩითო. თავდაპირველად გემლიქში მისულა, მაგრამ ბევრი ბუზის გამო არ მოსწონებია იქაურობა. შემდეგ აქ (resp.: ჰამიდიეში) ამოსულა ის ბერიკაცი, მოსწონებია აქაური ადგილები. აქ ტყე ყოფილა, მოუყვანია ათი კაცი, ხელოსნები, მოუჭრიათ ხეები, გაუკეთებიათ სახლები. შემდეგ წასულან და ქალები და ბავშვებიც ამოუყვანიათ და დასახლებულან. შემდეგ კი მაჭახლისა და ბორჩხას სოფლებიდანაც - ხებადან, წითურეთიდან, ებრიკადან, ნეჯვიადან, კასიმეთიდანაც, არავეთიდანაც - მოსულან.

იდენტობის გამოსახატავად გემლიქში *ჩვენებურზე* ხშირად *ქართველს* იყენებენ: *ქართველი არიან.* ერთმანეთისგან განარჩევენ *გადარეულ,* ანუ ისეთ ქართველს, რომელსაც დედა ქართველი არ ჰყავს და *სუფთა ქართველს,* რომელსაც ორივე მშობელი ქართველი ჰყავს: *ეს გადარეული ქართველია, ჩემი ბაღნები სუფთა ქართველი არიან.*

ეთნიკური ენის მდგომარეობის შესახებ საუბარს იმით იწყებენ, რომ მათ მამა-პაპებს თურქული არ სცოდნიათ: *ჩვენ დედეებ თურქჩა არ ცოდნიან.*

ეთნიკურ ენას ქართულას უწოდებენ. ბუნებრივია, რომ ჩვენებურის გამოყენება ეთნიკური და ენობრივი იდენტობის გამოსახატავად აქ მუდამ იარსებებს, მაგრამ სულ რამდენიმე წლის დაწყებული ქართული//ქართულას ესოდენ ხშირი გამოყენება ცალსახად მიუთითებს ისტორიული მახსოვრობის სიძლიერესა და უწყვეტობაზე.

სოფელში ჯერ კიდევ ოცი წლის წინ თურქული არ სცოდნიათ: *ოცი წლის უკან ჩვენ სოფელში თურქულა არ იცოდენ, მერე, მერე სკოლაში წევიდენ, დეილაპარაკეს.* აქ, ცხადია, იგულისხმება არა თურქულის სრული არცოდნა, არამედ ის გარემოება, რომ უმეტესწილად ქართულად ლაპარაკობდნენ, რადგან სოფელში იყვნენ მუდმივად. დღეს კი, სამწუხაროდ, *სოფელში წვიტები* (ახალგაზრდები) *აღარ დგებიან.*

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ეს სოფელიც გამორჩეულია ენისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, რასაც მათივე სიტყვები ამყარებს: სახლში თუ ქართულა არ დევილაპარიკეთ, სხვაფრათ მოგვიდის, ანუ ქართული ცნობიერება და სამყაროს აღქმა ქართულით, ეთნიკური ენით, ანა დილით (resp.: მშობლიური ენით) ხდება.

რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფებს, აქ შემდეგი განაწილება გვაქვს: 1. 60-70 წლის და ამ ასაკს გადაცილებული უფროსი თაობის ქართველები ლაპარაკობენ ძალიან კარგი, შეურეველი ქართულით; 2. 40-დან 50 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი ლაპარაკობს კარგად; 3. 30-იდან 40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში 3-4-იდან ერთს შეუძლია კარგად ლაპარაკი; 4. როგორც თვითონ მიუთითებენ, *სულ წვიტებს, 20 წლის და 20 წლის ქვემოთ ავიწყდებიან. გენჯებმა* (resp.: ახალგაზრდებმა) *იციან და ძალიან არ იციან.*

დასკვნა ამ შემთხვევაშიც ერთია: *მეიშალა გურჯიჯა.*

ქართველებს აქაც შეურქმევიათ ყანებისთვის ქართული სახელები თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში: ***მაღლაყანა, ზეგნები, ვაკე, ხამები, ჯოშქულყანა, ბერბეყანა; ბელენგურსა*** და ***ყაზანგულსაც*** ქართულ ტოპონიმებად მიიჩნევენ.

მდინარეებისთვის (ღელეებისთვის) ***ზეგნების ღელე*** და ***ყაზანგულის ღელე*** შეურქმევიათ, ხოლო ყანისთვის ***ნაფუზარი.***

მორფოლოგიური თავისებურებანი:

1. რთული სიტყვის წარმოება *ფუძის* გაორმაგებით: დამჯდარან *მშიერი-მიერი, ზმნისწინის* შეცვლით: იმას *წასლა-მოსლა* უყვარს;

2. უარყოფითი ნაცვალსახელის ნაცვლად *-მე* ნაწილაკიან კითხვით ნაცვალსახელთა გამოყენება: *ვინმე* (resp.: არავინ) არ იყო;

3. *ნ*იანი ვნებითის ნაცვლად *დ*ნიანი ვნებითი გვარის ფორმათა წარმოება: *რომელი მაჰალე მოგწონდება, იქ დარჩით,*

4. ინვერსიულ ზმნებში III ირიბ-ობიექტური პირის ნიშნის დაკარგვა: *არ მოჰწონებიან; ჩვენ დედეებ თურქჩა არ ჰცოდნიან; ფარა თუ ჰქონდენ; სიმღერა არ მოჰგონებია;*

5. მრავლობითი რიცხვი *-თ* სუფიქსის ნაცვლად გამოხატული *-ნან* სუფიქსით: *გენჯები* (resp.: ახალგაზრდები) *არ კითხულობენ, არ უნდანან;* გამოხატულია *-ენ* სუფიქსით: ეშინიოდენ (ეშინოდათ);

6. I თურმეობითის მწკრივში III პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაში მოსალოდნელი *-თ* ფორმანტის ნაცვლად *-ნ* სუფიქსის გამოყენება: *არ მოწონებიან; სახლები გუ̄ეთებიან; ღარჭები მუ̄ყვანიან; თურქჩა არ ცოდნიან;*

7. III სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის *-ნენ* სუფიქსის ნაცვლად *-ენ* სუფიქსის გამოყენება: *ქსოვდენ, იცოდენ; წევიდენ;*

8. მეტყველებაში იყენებენ *რომ* კავშირს *რაც* კავშირის მნიშვნელობით: *ათი წელიწადი გეიარა, რომ პარტიაში ვარ;*

9. *-ავ* თემის ნიშნის ნაცვლად *-ევ* სუფიქსის გამოყენება: *ვაფქევთ; გავკნაჭევდი; დაწნევდენ; -ი* თემის ნიშანი შენაცვლებულია *-ავ* სუფიქსით: *ვყიდავთ, -ობ* თემის ნიშანი *-ებ* სუფიქსით: *აცხებენ, -ავ* თემის ნიშანი შენაცვლებულია *-ებ* სუფიქსით: *აბრუნავს; -ებ* თემის ნიშანი კი *-ავ* თემის ნიშნით: *ვაკეთავ;*

10. კითხვითი ნაწილაკის ფუნქციით იყენებენ *-ო*-ს: *ესო?*

11. კავშირი, რომელსაც ხშირად იყენებენ, *თუ* კავშირია: *ფარა თუ ქონდენ, ღმერთი არ მოაგონდებიან;*

12. *უნდა* ნაწილაკი შეკვეცილი *ნა* ფორმით შერწყმულია ზმნასთან: *მოკტენამდინ ისაქმონა* (სიკვდილამდე უნდა ისაქმო);

13. მეტყველებაში, ჩვეულებრივ, იყენებენ *-ც* ნაწილაკიან ფორმებს: *მაისში გავკნაჭევდით, ერთიც ეილულშია* (resp.: სექტემბერი);

14. სხვათა სიტყვის *-ო* ნაწილაკის ფუნქციას ასრულებს *-ა*: *ფუხარა* (resp.: ღარიბი) *მოკტი, ნუ ხარა;*

ფორმაწარმოების თვალსაზრისით ყურადღება მიიპყრო საწყისის წარმოებამ. სალიტერატურო ქართულში *-ი* ფორმანტით ნაწარმოები საწყისი აქ *-ა* მორფემითაა ნაწარმოები: ლაპარაკვა; ფორმაში გვაქვს აგრეთვე *-ავ* თემის ნიშანი, რადგანაც შესაბამისი პირიანი ზმნა *-ავ* სუფიქსითაა გაფორმებული: *ილაპარაკავს*. *-ავ* თემისნიშნიანი ზმნები კი საწყისის ფორმებს *-ა* სუფიქსით აწარმოებენ.

ქართველების მეტყველებაში ნასესხებ ზმნათა რაოდენობა თითზე ჩამოსათვლელია და რასაც იყენებენ, ის ნაწილი მთლიანად ქართული მოდელითაა წარმოდგენილი ზმნისწინის, საარვისო ქცევის მაწარმოებელი ფორმანტისა და თემის ნიშნის გამოყენებით: *სკამები დავასირავოთ* (resp.: დავაწყოთ); *დაფუბარავდენ* ( resp.: გაღარიბდნენ).

სინტაქსური თავისებურებებიდან აღსანიშნავია: 1. ორპირიანი გარდამავალი ზმნის ფორმასთან ერგატიული კონსტრუქცია I სერიაში: *წყალმა აბრუნავს*; 2. ორპირიან გარდამავალ ზმნასთან პირდაპირი ობიექტი I სერიაში წარმოდგენილია სახელობით ბრუნვაში: **პური** აცხებენ კეცზე; **ხახვი** გატეხავ.

მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობის ნაირგვარი ვარიანტები გვაქვს: 1. შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრული: *ერთი ბარდალი* (resp.: ჭიქა) *წყალი მიე;* 2. შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრულის კომპონენტები ფუძის სახითაა წარმოდგენილი: *გონჯ ინსნებ ძაღლ უძახი; ჩვენ დედეებ* თურქჩა არ ცოდნიან; *იმის ლაპარაკვა* (იმისი ლაპარაკი); 3. მართული მსაზღვრელ-საზღვრული, სადაც მსაზღვრელს მოკვეცილი აქვს ნათესაობითი ბრუნვის თანხმოვნითი ნაწილი: სახლში ვაშლიø ძმარი გააკეთა; გარე *ტყემალი წყალი* ვაკეთავ.

რიცხვში ურთიერთობის თვალსაზრისით აღსანიშნავია შემდეგი: 1. შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, რომელიც არსებითი სახელითაა გადმოცემული, რიცხვში ვერ ეთანხმება მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილ ზმნურ ნაწილს: ისინი ქართველი არიან (ისინი ქართველები არიან); 2.-*მე* ნაწილაკიანი კითხვითი ნაცვალსახელი, რომელ-

საც უარყოფითი ნაცვალსახელის ფუნქცია აქვს შეძენილი, ზმნა-შემასმენელს მრავლობით რიცხვში ითანხმებს: *ვინმე არ ზიან შიგნი, დანგრევლია*; 3. განუსაზღვრელობით რიცხვით სახელთან *ბევრი* არსებითი სახელი შეწყობილია მრავლობითი რიცხვის ფორმით: *ბევრი ვაშლებია აქა.*

სიტყვაწარმოება დიდი და საინტერესო ნაწილია ქართველების მეტყველებისა, რასაც არაერთი მაგალითი ცხადყოფს; მაგალითად, *მო-* ზმნისწინითა და *სა-* პრეფიქსით *ყვარ* ფუძისგან უწარმოებიათ მოგვისაყვარა ზმნა: *ჰემ მოგვისაყვარა, ჰემ გვითხრა, ჩეიმღერეთო* (resp.: თან მოგვესიყვარულა, თან გვითხრა, ჩაიმღერეთო).

*დეილლაფუნავს*, რომელიც *და-* ზმნისწინითა და *-ავ* თემის ნიშნითაა ნაწარმოები, იმ ადამიანზე იტყვიან, რომელმაც ცურვა კარგად არ იცის.

ასევე *მი-* ზმნისწინითაა ნაწარმოები *მივატყლუჭოთ*, რომელიც *მიდგმას* ნიშნავს: *ესენი ასე მივატყლუჭოთ.*

*გა-* ზმნისწინით არის ნაწარმოები გაკრული, რომელიც *გიჟს* ნიშნავს: *ეს ცოტა გაკრულია.*

*გა-* ზმნისწინითაა ნაწარმოები გაგულიანებული, რომელიც გაბრაზებას ნიშნავს: *ეს გაგულიანებულია რაცხა.*

*-ავ* თემის ნიშნითაა ნაწარმოები ქრილავს ზმნა: *ქარმა ქრილავს.*

გაძეხვენ *ძღომას* ნიშნავს.

რაც შეეხება ლექსიკას, შემორჩენილია ლექსიკური ფონდის ყველა ძირითადი სიტყვა, ბირთვი უცვლელად. ქართული ენის უძველესი ლექსიკური ფონდიდან შემონახული გვაქვს:

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: *სახლი, ჯარგვალი სახლი, ფუზე* (ფუძე), *ბეღელი, ახორი, წისქვილი...* ადამიანისა და ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: *კაცი, ქალი, ბოვში, ბაღანა, ღარჩი* შვილის (გოგო, ბიჭი) აღსანიშნავად; გოგოს აღსანიშნავად იყენებენ *პრატი, ციცაი, ბახალა, გოგო, ნენე, ბაბოი, სიძე...* ფლორის აღსანიშნავად: *პური, ქერი, თუთა,*

*კაკალი, ვაშლი, სხალი (გოქსული სხალი), ტყემალი, ხახვი, ნიორი...* ფაუნის აღსანიშნავად: *ძროხა, ფური, ცხვარი, გელი* (მგელი), *ქათამი...* ასევე აქტიურ ლექსიკურ ფონდს განეკუთვნება: *სოფელი, ყანა, ტყე, ღელე, თოკვი, საფენი, წელიწადი, წყალი, წინდა, ლაში* (პირი), *კოხი* (დიდი ქვა)... საყოფაცხოვრებო ნივთები: *კეცი, საფექრო, ხერტალი, ჭაღი* (საქსოვი ჩხირი)...

უფროსის, პატივსაცემი ადამიანის აღსანიშნავად ერთ-ერთ შემონახულ ლექსში დავადასტურეთ **ბატონი**, რომელიც მეტყველებაში აქ უკვე აღარსად გვხვდება:

**ვაიმე, ნენევ ბატონო,**
**თიბილ ჭადთან მაწონო.**

*კარგობის* ნაცვლად **კაჲობას** ამბობენ: *მოკლენ, რატომ კაჲობა ქნაო.*

**ნიკორა ფური** - შუბლზე თეთრნიშნიანი ფური.

ფრაზეოლოგიზმებია: **დ̄უდგეს ყური** - *ვერასოდეს ვერაფერი გაიგონოს*; **პირი გევისწორო** - *პირის გემო მომივიდეს*; *სიძე, ქათამი ზლიძე* (მიირთვი).

ასევე ჩაწერის ღირსად მივიჩნიეთ მათ მიერ ნათქვამი: **გამეცინება ლამაზად** (გულიანად).

ქართველებმა აღნიშნეს, რომ დედეები (წინაპრები, მამაპაპანი) ეუბნებოდნენ: **ინგვარი რაცხა თქვი, შიგანა თურქჩე არ იყოს, თელი გურჯიჯა იყოს.** ამის ნიმუშად ჩაგვაწერინეს:

თავდაღმართზე მირბიან
პირნიკორა ფურები.

ვაიმე ნენევ, ბატონო,
თიბილ ჭადთან მაწონო.

ღელე-ღელე ავიარე,
ღელე ტალახიანი,
ერთი გოგო დევინახე
ძუძუ ტალახიანი.

სოფელ ჰამიდიეში (გემლიქი) ჩაწერილი ტექსტების ნიმუშებია:

ჰეჲკიდე დუნიაო (მთელი ქვეყანა შენია),
რაჲ გინდა ნურიაო,
გელი ბოლი (ადგილის სახელი) კოხები(დიდი ქვები),
შენი ნაჭამი ჯოხები.

ე, ჩემო დიდო მერთო (ღმერთო),
ჯიბეში - ფული,
ბელელში - პური,
ახორში - ფური,
მერაში - სური,
მეზარში - ნური,
ჯერნეთში - ქური,
მემეცი, ვინცხაჲ ამითვინ
ამინ არ იტყვის,
დუუდგეს ყური.

*ართვინიდან, ადაგულიდან არიან მოსული. ერთი ბაშლი (resp.: ასაკოვანი) კაცი მოსულა. რომელი მაჰალე (resp.: უბანი) მოგწონდება, იქ დარჩიო. გემლიქში მისულან, არ მოწონებიან. არ მომწონდაო აქაო, ბუზები არიან აქაო. აქაურობა სოფელი არ ყოფილა. აქ ამოსულა ის ბერიკაცი. აქაური ბერები (resp.: ადგილები) დუნახია. მოწონებია. მუყვანებია ონ თანე (resp.: ათი) კაცები, უსტები (resp.: ხელოსნები). ვინმე (resp.: არავინ) არ იყო, ტყეებია აქაურობა. აქ მოსულან, დამჯდარან მშიერი-მიერი. ხე მუჭრიან, ჯარგვალი სახლები გუკეთებიან. მერე წასულან და*

*ღარჭები, ქალები მ̄უყვანიან. მერე მაჭახელის, ბორჩხას სოფლებიდან: ხება, წითურეთი, ებრიკა, ადაგული, ნეჯვია, კასიმეთი, არავეთიდან მოსულან. ჩვენ დედეებ თურქჩა არ ცოდნიან. სახლში თუ ქართულა არ დევილაპარიკეთ, სხვაფრათ მოგვიდის. ჩემი დედეი, მამაი სახლში ქართულა დეილაპარაკებს. ოცი წლის უკან თურქულა არ იცოდენ. მერე, მერე სკოლაში წევიდენ, დეილაპარაკეს. სოფელში წვიტები აღარ დგებიან. სულ წვიტებს, ოცის ქვემოი ავიწყდებიან.*

*ცხრები გავკნაჭევდით, ხერტალზე დაწნევდენ, თოკვი გახდებოდა. მოქსოვდენ. მაისში გავკნაჭევდით, ერთიც ეილულში (resp.: სექტემბერში). მე მარტოი ვარ, ვერ ვწველი. ახლა ჩვენ ვყიდავთ. ენ წინ (resp.: ძალიან ადრე) საფენი ვქსოვდით, წინდები ვქსოვდით, ქუდი. წინდებ ჭაღებით ქსოვდენ.*

*ქერ ვაჭმევ ცხრებსა. ჰურ ვაფქვევთ წისქვილში. ელექტრი (resp.: ელექტრო) არი ახლა, უწინ წყალისა იყო. წყალმა აბრუნავს, ქვა ბრუნავს, აფქვევს იმას. მოზილავ, ჰური აცხებენ კეცზე. ბევრი ვაშლებია აქა. ახლა ქალმა სახლში ვაშლი ძმარი გაკეთა. გარე (გარეული) ტყემალის წყალი ვაკეთავ.*

*ფარა (resp.: ფული) თუ ქონდენ, ღმერთი არ მოაგონდებიან, დაფუხარავდენ, ღმერთო მომარჩინე* (თუ ფული აღარ ექნებათ, გაღარიბდებიან, ღმერთი მაშინ მოაგონდებათ).

*ნური დედეი ყოფილა, ჯარში წასულა გელი ბოლში; იმითვინ გ̄უკეთებია სიმღერა, ჩვენაც გიგვიგონია. ჩვენაც ვმღერით. ნური დედეი შეგვეფეთა, ჰემ მოგვისაყვარა, ჰემ გვითხრა, ჩეიმღერეთო, გევიგონოო.*

გემლიქის სოფელ ჰაიდარიეში (Haydariye) ჩვენებურების 120 კომლი ცხოვრობს. ადრე უფრო ბევრნი ყოფილან, მაგრამ ახლა ქალაქებში - ბურსაში, გემლიქში, სტამბოლში წასულან. ჰაიდარიეს მცხოვრებნი ჩაქვიდან, მახინჯაურიდან და დიდჯამედან (რომელიც, მათი აზრით, ართვინში უნდა იყოს) არიან: *ჰაიდარიე ართვინიდან გამოვიდა. ართვინი ბათუმში იყო, ბათუმი დაჰა (resp.: უფრო) დიდი იყო.* პირველად ჰაიდარ-ბეი მოსულა, თავდაპირველად გემლიქი შეუთავაზებიათ მისთვის

და როდესაც დაიწუნა ეს ადგილი, სხვა ქართველებთან ერთად აქ დასახლებულა. პირველად მათი სოფელი, ჰასანფაშა და მურათბეი დასახლებულა. ათი წელი მიდი-მოდიოდნენ საქართველოსა და თურქეთს შორის საკუთარი ფუძიდან აყრილი ქართველები და ბოლოს, მათი გადმოცემით, რუსეთსა და თურქეთს ერთმანეთისთვის უთქვამთ: *აქედან წამოსული შენ არ გარგებს, იქიდან წამოსული ჩვენ არ გვარგებს, ჩუკლიტიან* (დაუკეტავთ). *მუსლიმანი ვიყავი, აქანაჲ გამოვედით.*

დღეს სოფლიდან ბევრი გერმანიაში, ბევრი კი ჰოლანდიაშია წასული. ზოგი დაბრუნდა, ზოგი კი იქ დარჩა.

*ჰაიდარიეში აფაქიძეები, ჩიჯავაძეები, ლამპარიძეები, ბექირ-ოღლები* (რომლების ადრე *კოხიძეები* ყოფილან), *ფატიკ-ოღლები, ბარაკ-ოღლები...* ცხოვრობენ.

ჰაიდარიელები თავიანთ თავს ასე ახასიათებენ: ჩვენ თლათ ქართველი ვარ, ეს დუნია ქართული დუნია არი. მათი აზრით, ქართველები იმდენად გამოირჩევიან სხვებისგან თავიანთი თვისებებითა და ღირსებით, რომ დღეს თურქეთში ბევრი იბრალებს ქართველობას და სხვები ბეჩდებიან ჩვენგან. ამიტომ სხვანი მოდასავეთ იტყვიან, ქართველი ვარო.

საგულისხმო იყო ქართველების ნათქვამი თითქმის საუკუნე-ნახევრის შემდეგ: აქანაჲ თურქი ვერ გავხდი და კიდევ უფრო მტკივნეული ჩანართი, რომელსაც ერთგვარი შიში უდევს საფუძვლად იმ ქართველებისთვის, რომლებიც საქართველოში ჯერ ვერ ჩამოსულან: იქანაჲ გურჯი ვერ გავხდი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს განწყობა მათ ისტორიულ სამშობლოსთან შეხვედრიდან ძალიან სწრაფად უქარწყლდებათ. დღევანდელ პირობებში, როცა ძალიან სწრაფად ადაპტირდება ერთი გარემოდან მეორეში, ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში სხვადასხვა მიზეზით გადასახლებული ადამიანი, აქანაჲ (თურქეთში) თურქი ვერ გავხდი ცხადად გვიჩვენებს, რომ თუ ეთნიკური ჯგუფის განწყობა მიმართულია იდენტობის შენარჩუნებისკენ, ის ამას ახერხებს. ამის ნიმუში დღევანდელ მსოფლიოში ის-

ტორიულ სამშობლოს მოწყვეტილი არაერთი ეთნიკური ჯგუფია.

თავიანთ ქართველობას//გურჯობას უსვამენ ხაზს მაშინაც კი, როცა, როცა ფეხბურთის მატჩი მიმდინარეობს: *ფუტბოლ რომ თამაშობენ, მე გურჯისტანს დევკავებ, გურჯისტანმა მეერიოს უნდა.*

რაც შეეხება ენობრივ ვითარებას, აქაც ილევა ჩვენებური. სოფელში ბავშვებს ვერ ასწავლეს, ამიტომ ქალაქში წაიყვანეს, იქ კი, ბუნებრივია, თურქულად ისწავლეს ყველაფერი, იქ დარჩნენ და ქართულ ენობრივ სამყაროსაც ნელ-ნელა გაუუცხოვდნენ. მეორე ფაქტორი აქაც სხვა ეთნიკური ჯგუფის წევრზე დაქორწინებაა. უფროსი თაობის ქართველებს *ქალები* (ცოლები) ქართველები მოჰყავდათ, ახლა სხვებიც მოჰყავთ: *დიდვანებ ქალები ქართველი გვყავს. ბაღნებ სხვაჲ მოყავან.*

ვინც სოფელში დარჩა საცხოვრებლად, მან შესანიშნავად იცის ქართული.

ჰაიდარიეში უკეთ ლაპარაკობენ ქართულად, ვიდრე ჰაირიეში. საუბრისას თითქმის არ იყენებენ თურქულ სიტყვებს. თვითონვე ავლებენ პარალელს და ამბობენ, ინეგოლის ჰასანფაშას სოფელში რომ ლაპარაკობენ, ისე ლაპარაკობენ აქაც. სოფელში *პაწუან ბაღვებმა არ იციან* ეთნიკური ენა, ამიტომ ილევა ჩვენებური.

ენის დაკარგვა კი ეთნიკური იდენტობის დაკარგვას გამოიწვევს, რასაც საინტერესოდ გადმოსცემენ: *ნელ-ნელა კუდიანი გავხდენა,* ანუ გათურქება მათთვის ენის დაკარგვასთანაა დაკავშირებული. კუდიანს თათრებს უწოდებენ. თათარი თურქია.

ლექსიკის თვალსაზრისით საინტერესოა ჰაიდარიესთვის შერქმეული სახელი. მას *შიშაძს სოფელს* უწოდებენ, რადგან ხე-ტყე ბევრია და შემოსავლის ძირითადი წყაროა.

სკოლას *მასწავლებელს* უწოდებენ სხვაგან ესოდენ გავრცელებული *მექთების* გვერდით: *მასწავლებელში* (სკოლაში) *დეისწავლიდა.* იყენებენ ლექსემა *წუთხეს*: *მარილი წუთხეა.* ქარ-

თული სალიტერატურო ენის დიალექტების მსგავსად გავრცელებულია *პაწუანი*, რომელიც *პატარას* ნიშნავს.

ჰაიდარიეში ჩაწერილი ტექსტის ნიმუში:

*ართვინი ენ (resp.: უფრო) წინ ქართველების ყოფილა. ართვინი ბათუმში იყო, ბათუმი დაჰა (resp.: უფრო) დიდი იყო. ჰაიდარიე ართვინიდან გამოვიდა. მუსლიმანი ვიყავი, აქანაჲ გამოველდით. ას ორმოცი წლის წინ დასახლებურვათ. ჰაიდარბეი ქვიებია, იქიდან გუმ̄უზ ზავნიათ და მისი (სახელი) დ̄ურქმია. ენ წინ, ამ ტყეის უკან, გემლიქი მ̄უცემიან. გემლიქში ზეითინი უჭამიათ წარე. ზეიდან მარილი მ̄უყრიათ წუთხე. მემრე ჩამოვდენ აქ.*

*ყანიები გვაქ, ფარას არ იგებს. ტყეს ვჭრით, შიშას ვჭრით, შიშაჲს სოფელია. მოთხრა ზორია (resp.: ძნელია). აქანა ფულ ვერ იგებ. ენ წინ ჩვენი სოფელი, ჰასანფაშა და მურათბეი დასახლდა. ათი წელი მიდი-მოდიოდნენ, მერე უთქვამთ: აქედან წამოსული შენ არ გარგებს, იქიდან წამოსული ჩვენ არ გვარგებს, ჩ̄უკლიტიან.*

*ჩვენ თლათ ქართველი ვარ. აქანაჲ თურქი ვერ გავხდი, იქანაჲ გურჯი ვერ გავხდი. სხვანი მოდასავეთ იტყვიან, ქართველი ვარო. ეს ქართული დუნია არი, ბეჩდებიან ჩვენგან. ფუტბოლ რომ თამაშობენ, მე გურჯისტან დევკავებ, გურჯისტანმა მეერიოს უნდა.*

*სოფელში პაწუან ბაღვებმა არ იციან, ჩვენებური ილევა. აქ ვერ ვაკითხვეთ ბაღვები, ქალაქში წევიყვანეთ, იქ თურქულა იკითხეს, დარჩენ, ქალი მეიყვანეს; დიდვანებ ქალები ქართველი გვყავს. ბაღნებ სხვაჲ მოყავან. ნელ-ნელა კუდიანი გავხდენა. თათრებ კუდიან ვეტყვით, ჩვენი თავი ჰიჩ (resp.: საერთოდ, სულ) არ უყვარან. ეს სოფელი ავართვით, ჩვენი თავი არ უყვარან. გრექი (resp.: ბერძენი) უფრო კაი იყო ქართველებზეო. მოვერიოთო, ჩვენ ვერ მოგვერიენ.*

გემლიქის შემდეგ ქართულ სოფელში - ჰაირიეში (Hayriye) და, როგორც აქაური ქართველები მიუთითებენ, სელიმიეში

(Selymyie) ლივანიდან, ართვინიდან მოვიდნენ; ისინი სანათისიდან, ადაგულიდან, დევსქელიდან, ვალაშიდან (ახლანდელი Alacaköy), სინკოთიდან, ბორჩხას შემოგარენიდან მოსულან, როცა *რუსი მოსეულა ოსმანლის. დოქსან უჩის* (resp.: ოთხმოცდაცამეტის) *მუჰაჯირები* ვართ. ფალაზ-ოღლი, უსტაამედ-ოღლი, ქეფჩა-ოღლი, მულუსმან-ოღლი, მურად-ოღლი, ლახან-ოღლი ბორჩხის სოფელ არავეთიდან, კაიაბეგ-ოღლები კი დევსქელიდან არიან. ადრე აქაური ქართველებიც გემლიქში მიუყვანიათ და აქედან დაფანტულან. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ტყეში ყოფილან, შემდეგ კი მთავრობას ეს ადგილი უჩვენებია, ეს *დერი ¯ულიან და სოფლები დ¯ედგიან.*

სოფელში ზაფხულობით 60-70 კომლია, ზამთრობით 20 კომლი რჩება, ბურსაში, სტამბოლში, გემლიქში მიდიან. სოფელში მოხუცები რჩებიან ძირითადად.

ჰაირიე და სელიმიე ადრე ერთი სოფელი ყოფილა და შემდეგ გაყოფილა. სოფლებისთვის ქართული სახელები დაურქმევიათ, მაგალითად, სელიმიეს ადრინდელი სახელი *დავჯანა* ყოფილა, მაგრამ ქართული სახელების შერქმევა და გამოყენება სახიფათო ყოფილა და გამოუცვლიათ.

სოფელში ყველა ქართველია. ადრე სხვა მილეთის ხალხზე არ ქორწინდებოდნენ, ახლა კი აქ ასში შეიძლება ოცი სხვა ეთნიკური ჯგუფისა იყოს. მიუხედავად ამისა, შვილები ყოველთვის ბაბოს ტარაფ (resp.: მამის) დაიჭირვენ. თუ ქართველმა არნაუტი შეირთო ცოლად, შვილი ქართველობს, ხოლო თუ ქართველის ქალი არნაუტმა ითხოვა, შვილი არნაუტი ვარო, იტყვის. თუ ქართველ ბავშვს, რომელიც ქალაქში იზრდება და ქართული არ იცის, ჰკითხავენ, ვინ არის, მას მხოლოს ერთი პასუხი აქვს: *გურჯი ვარ.*

თავიანთ თავს *ჩვენებურს* უწოდებენ; თუკი ვინმე ისტორიული სამშობლოდან ეწვევათ, ერთმანეთს გადასძახებენ: *ჩვენებიდან მევიდენ.* ქართველები იმის აღსანიშნავად, რომ სამშობლო საქართველოა, იყენებენ ფრაზეოლოგიზმს: *მე ბაირალი*

*იქ მაქ* (სამშობლო საქართველოა - ი.ღ.). ჩვენი ექსპედიციის წევრები რომ დაინახეს, *მოდთო, - დიგვიძახეს.*

გემლიქში, ისევე როგორც ქართველებით დასახლებულ სხვა ადგილებში, ქართველი ყოველთვის ქართველის მხარეს იჭერს: *გემლიქში ერთმა გურჯმა წეიკინკლოს, თელი იქ ვართ. თუ გურჯი გურჯს წაეკინკლენ, დიდვანები შეარიგებენ.*

ინტერესს იწვევს მათი დამოკიდებულება ლაზებისა და აბაზებისადმი, ორივე თავისიანად მიაჩნიათ ქართველებს, *ჩვენ ინსანს* (resp.: ხალხი) უწოდებენ და ცდილობენ დაეხმარონ: *ჩვენ, გურჯები, ლაზ დევიჭირავთ* (გავიტანთ - ი.ღ.), *აბაზას დევიჭირავთ, ჩვენკენაო* (ჩვენიანიანია - ი.ღ.) *ვეტყვით, ერთმანეთს დევეხმარებით. თურქმა და აბაზამ წეიკინკლოს, აბაზას მევეხმარებით. ჩვენი ინსანი ჩვენი ინსანი უნდა იყოს, არ ვაცემიავთ. აბაზა და ლაზი წეიკინკლვის, გავარევთ, შევარიგავთ.* თავისებური დამოკიდებულება აქვთ სომხების მიმართ, რასაც ისტორიულად თავისი მიზეზი აქვს: *ვინმე გუჭლიანდებოდა გაბოდ, ეტყოდა სომეხოო* (მამა თუ ვინმეს გაუბრაზდებოდა, ეტყოდა, სომეხოო).

მშობლიური ენა ჩვენებურია, თურქული ამათაც სკოლაში ისწავლეს. ქართულად ლაპარაკი სახიფათო იყო, რადგანაც შემდეგ სპეციალურად შერჩეული ადამიანები მათ სახელებს იწერდნენ და სკოლის ხელმძღვანელობას გადასცემდნენ, რის შედეგადაც ქართულად მოლაპარაკე ქართველებს ცემდნენ.

თურქული მათთვის სახელმწიფო ენაა და შესანიშნავად იციან, მაგრამ როგორც თვითონ აღნიშნავენ, მათი თურქული განსხვავდება ადგილობრივთა მეტყველებისგან. ისინი „მოტეხილი" თურქულით მეტყველებენ, რის გამოც თურქები ქართველებს სხვებისგან გამოარჩევენ: **მოტეხილი ლაპარაკი გვაქვენ, თურქი გააგნებს, შენ თურქი არ ხარო.**

*ღარჭები* (შვილები) აქაც *აგნებენ და ვერ ლაპარიკობენ.* ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ახალგაზრდები ენის არცოდნის მიუხედავად ქართველობენ: *ენა არ იცის, გურჯი ვარო იძახის.*

*პატინი ღარჩი დაიჭირეს, ენა არ იცის, უკითხავ* (უკითხავთ), *თურქი ბარო, გურჯი ვარო, უთქმია.*

სოფელში კარგად აქვთ შემონახული თვლის ათობით-ოცობითი სისტემა: *ათიც ვიცით, თორმეტიც ვიცით* (სხვა სოფლებში *ათი და ორი* თორმეტის აღსანიშნავად, *ათი და სამი* ცამეტის აღსანიშნავად...); *ასიც ვართ და ორასიცო.*

ყველაზე დიდ ინტერესს აქაც ლექსიკა და სიტყვაწარმოება იწვევს: მათთვის *ცხვრის ბეწვი მატყლია, თხისა კი ბალანი,* ორივეს ერთად კი *თმას* უწოდებენ: *თხის თმადან ქილიმებ* (resp.: ხალიჩებს) *გავაკეთავდით ძირს დაგობისთვინ; წინდები თხის თმადან, ცხვარის თმადან იყო მოქსოვილი, თხის ბალანიდან. თოკვი* აქ *ძაფის* აღსანიშნავად და ამ ლექსემის პარალელურად გამოიყენება მეტყველებაში: *თოკვი გაარუნიავდენ* (ძაფს გაატარებდნენ, ძაფით შეკერავდნენ); *ხერტალი ქვემოდან დააწიწინავ* (დაატრიალებ, დააბრუნებ); *აქვანამდი აქამდე* ზმნიზედის აღმნიშვნელია: *აქვანამდი მოქსოვილი იყო, უკნიდან გაკერული არ იყო.*

ზემოაღნიშნული ლექსემების გარდა, დღემდე შემორჩენილია შემდეგი ლექსიკური ერთეულები: *საფექრო, კვირისტავი, ხერტალი, ტყავი, მოზვერი...*

დასახლება *დაბმა* ლექსემითაა გამოხატული: ჩვენი სოფელი აქ *დეება* (resp.: დასახლდა). როცა ცუდი ამინდია, ქარბუქია, ამბობენ: *თოვლი თოვს, ბუქი ტაროსი.*

კალკირებულია *გამდიდრების* აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმი: *ჯიბეები ეივსო.*

მორფოლოგიური თავისებურებებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

1. კუმშვად სახელთა უკუმშველობა და კვეცად სახელთა უკვეცელობა, რასაც რეგულარული ხასიათი არა აქვს, რადგან პარალელური ფორმები გვერდიგვერდ, ერთსა და იმავე წინადადებაში გვხვდება: წინდები თხის *თმადან, ცხვარის* თმიდან იყო მოქსოვილი;

2. მიცემითი ბრუნვის *-ს* სუფიქსის დაკარგვა, თუ სიტყვას წინადადებაში ბოლოკიდური პოზიცია არ უჭირავს: *ძაფისთვინ კანაფ დათესდენ*. სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში მიცემითი ბრუნვის ნიშანი ზოგჯერ წარმოდგენილია: *ვაჭრევიავდით ხეებს;*

3. მიცემით-ბრუნვიანი კონსტრუქცია ჩანაცვლებულია სახელობით-ბრუნვიანი კონსტრუქციით: *თოკვი* (თოკს) *გაარუნიავდენ*;

4. სალიტერატურო ქართულში ფუძედრეკადი ზმნების დიდი ნაწილი *-ავ* თემის ნიშნის დართვის ტენდენციას იჩენს, მაგრამ გარკვეული ნაწილი ყოველთვის უთემისნიშნოდაა წარმოდგენილი. მარმარილოს ზღვის რეგიონის ქართველების მეტყველებაში ზმნათა ეს ნაწილიც თემის ნიშნით გვხვდება: *იმას დაფინავდა* (გაშლიდა);

5. თემის ნიშანთა შენაცვლება: *-ი* თემის ნიშანს ენაცვლება *-ავ* თემის ნიშანი: *დაჭრავ ტყავ*; *-ებ* თემის ნიშანი შენაცვლებულია *-ავ* თემის ნიშნით: *დაასვალავ წყალში*; *ვაჭრევიავდით ხეებს*; ქილიმებ *გავაკეთავდით* ძირს დაგობისთვინ; *-ებ* თემის ნიშანს *-ობ* თემის ნიშანი ენაცვლება: ნელა *აკეთობენ;*

6. ზმნა-შემასმენლის აღწერითი წარმოება თურქული ენის გავლენით: *იარა გემიხთებოდა* ფეხი (მეტკინებოდა, დამიავადდებოდა);

7. ვნებითი გვარის მიმღეობათა სუფიქსების მონაცვლეობა: იქ კაკლები *გახთილა* (გამხდარა); უკნიდან *გაკერული* (გაკერილი) არ იყო;

8. ხშირია *და-* ზმნისწინის გამოყენება მოსალოდნელ სხვა ზმნისწინთა ნაცვლად: *დაგატყვილეს* (მოგატყუეს?)?

ჰაირიეში ჩაწერილი ტექსტის ნიმუში:

*ართვინიდან, ლივანიდან, სანათისიდან, ადაგულიდან, დევსქელიდან მოსულან. რუსი მოსეულა ოსმანლის. ჰუქუმეთმა აქაურობა დაანახა დიდვანებს. ენ წინ (resp.: ყველაზე ადრე) გემლიქში მ̄უყვანია, არ მოწონებიან, აქაც არ ვიჯექით ენ*

*წინ, ტყეში ვიყავით, გემლიქში ავადობა ყოფილა. ჩვენ ღარჭებმა არ იციან, რიზე ნახევარმა, ტრაბზონმა ლაზი ლაპარაკი იციან. ღარჭები აგნებენ და ვერ ლაპარიკობენ. ენა არ იცის, გურჯი ვარო, იძახის. ჩემი ქალი ბურსას გაზდილია და არ იცის. სამი წლის თორუნი* (resp.: შვილიშვილი) *მყავ და ლაპარაკობს. ნენემაც იცის, ღარჭმაც იცის და ლაპარაკობს.*

ბურსას პროვინციის იზნიქის რაიონში ქართველებით დასახლებულ 9 სოფელს გამოყოფენ: ელმალი (Elamlı), სიღიჯჰისარი (Sığıchısar), ფაშაპინარი (Paşapınar), ქირინთი (Kırıntı), ჰაჯიოსმანი (Hacıosman), უზუნ ჩაირი (Uzun Çayır), ჩამლი ბოღაზი (Çamlı Boğaz), სარისუ (Sarısu), ქურთლუჯა (Kürtlüca), ზოგმა კი ქართველთა განსახლების არეალი აქ 5 სოფლით შემოსაზღვრა - ელმალი (Elmalı – 140 კომლი), ჰაჯიოსმანი (Hacıosman 80 კომლი), ქირინთი (Kırıntı – 45 კომლი), ქურთლუჯა (Kürtlüca – 70 კომლი), ჯანდარლი (Candarlı - აქ მცირე რაოდენობით ბულგარეთიდან მოსული მუჰაჯირები არიან, დანარჩენი კი ქართველია). საერთოდ კი, იზნიქსა და მის მიმდებარე სოფლებში ათი ათასი გურჯი ცხოვრობს, ისინი აქ გაფანტული არიან.

გადმოცემით ხუთნი ძმანი ყოფილან კოკოლ-ოღლები; ორი იქ (საქართველოში) დარჩენილა, სამი აქ წამოსულა. სამი ძმიდან ერთი ინეგოლში წასულა, ერთი დუზჯეს და ერთი იზნიქში მოსულა. იზნიქში *ავადმყოფობა ყოფილა* და მთაში ასულან. იქ ადგილისთვის ქართული სახელი - *ჩანჩხერი* დაურქმევიათ.

რადგან ენობრივი ვითარების აღწერისას ყოველ სიტყვას მნიშვნელობა აქვს, გვინდა გავიხსენოთ, როგორ გამოხატეს გულისტკივილი გარდაცვლილი ქართველის გამო, რომლის ცხედარიც ჩვენ წინ ჩაატარეს იზნიქის ცენტრში ქართველებთან საუბრისას: *ერთი გურჯი ნაკლები იქნა.*

იზნიქის ქართველების ყველა თაობა ლაპარაკობს ეთნიკურ ენაზე, რასაც იმით ხსნიან, რომ სახლში, ოჯახში მხოლოდ

ქართულად ლაპარაკობენ: *ჩვენ იმიტომ ვიცით, რომ სახლში ქართულა ვლაპარაკობთ, დამიწყება არ გვაქ იმისთვინ.*

ელმალიში დიდაჭარიდან - ხულოდან, ღორჯუმიდან, ტაკიძიდან, აგარიდან, ჭვანიდან მოსული ქართველები - ჭვანი-ოღლები, ტაკიძეები, ხულელები//ხულელ-ოღლები, ჭინკალ-ოღლები, ჭყარტი-ოღლები, ნენი-ოღლები, მამალ-ოღლები, კოთხ-ოღლები, მარი-ოღლები, მევლუდ-ოღლები, რაში-ოღლები, ელიმ-ოღლები, ბექირ-ოღლები, გელიჯ-ოღლები, თათარ-ოღლები, ლეზი-ოღლები, დელმემედ-ოღლები, ისმაილ-ოღლები, დემირჩი-ოღლები... სახლობენ. სოფელში ზამთარ-ზაფხულ 140 კომლი ცხოვრობს.

ელმალის ქართველებმა აღნიშნეს, რომ მარტო *ამ სოფელში არიან ერთად ღორჯუმელები და აჭარლები.* აქ აჭარასა და აჭარლებში *დიდაჭარა* იგულისხმება.

სოფელი ელმალი იმითაც არის გამორჩეული, რომ აქ ხის ძველი ჯამეა, რომელიც საქართველოდან გადმოხვეწილმა *დედეებმა ააშენეს.*

ელმალიში და, საერთოდ, ბურსას პროვინციაში მიაჩნიათ, რომ თურქეთის ქართველებიდან ყოველი მეოთხე ბურსას მაცხოვრებელია.

საუბრისას მასპინძლებმა ერთი იქაური მაღალჩინოსანი ქართველის შესახებ შენიშნეს, რომ *ქართველ არ ცნობილობს ჩვენი ქართველი* (ქართველს ვეღარ ცნობს ჩვენი ქართველი). ექსპედიციის ერთ-ერთმა წევრმა ჰკითხა, როგორ იტყვით თქვენს თავზე, ვინ ხართო, მათ უპასუხეს: *ქართველი ვართო;* როცა კითხვა გაუმეორეს, *ქართველი ვარ* - ასე იტყვითო, მაშინ დაამატეს: *გურჯს* ვიტყვით. *ჩვენ ერთი სისხლი ვართ, სისხლი უნდა მოძებნო, ქართველი ქართველია. შენ სისხლი ქართველი ხარ, უთხარ ქართველი ხარო. ჩვენ საქართველოს კარქობა გვინდა, რელიგია გააგდეთ* (რელიგიის მიუხედავად), *ჩვენ ერთი ინსანი ვართ.*

ერთმა ქართველმა სიამაყით აღნიშნა, რომ ერთ-ერთი დღესასწაულისას „ბავშვებ ქართული ჩოხა ჩავაცვი“. ჩოხას

მათთვის ეთნიკური თვალსაზრისით დიდი დატვირთვა აქვს. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ქართველების მაღალ სოციალურ სტატუსს: *ყველა მინისტრი ქართველია,* თუმცა დანანებით აღნიშნავენ, რომ ქართულად არ გააკეთებინეს აბრა საზოგადოების კარზე, რადგან, სიფრთხილის მომენტიდან გამომდინარე, მიიჩნიეს, რომ ეს კარგის მომტანი არ იქნებოდა მათთვის.

ზემოთქმული ყურადსაღებია ეთნიკური ჯგუფის ერთიანობის, ისტორიული მახსოვრობის უწყვეტობის თვალსაზრისით. ის ფაქტი, რომ ასეთ მოკლე დროში მათ გააერთიანეს ეთნონიმები *გურჯი* და *ქართველი* და მათ შორის რელიგიური ნიშნის მიხედვით სხვაობა მოშალეს, მათი ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობის მქონეა. მათი აზრით, არ შეიძლება ეთნიკური ჯგუფის გახლეჩა პარტიული და რელიგიური მიკუთვნებულობის მიხედვით: *ჩვენი ხალხი დარჩა შუაში* (გაურკვეველ მდგომარეობაში - ი.ღ.).

ელმალის „ქართული ტოპონიმებიდან“ აღსანიშნავია: *ღორჯუმი სერები, აჭარა სერები.*

ელმალიში ყველა ახალგაზრდა ლაპარაკობს ეთნიკურ ენაზე, ათი წლის ბავშვებმაც იციან, *სმენულობენ* და ვერ ლაპარაკობენ, მაგრამ უფროსი თაობის ადამიანები ამბობენ: *წერა-კითხვა არავინ იცის, არ ეინტერესება, არ სჭირია.* თურქული მათაც (40-55 წლის ადამიანები) სკოლაში წასვლის შემდეგ უსწავლიათ.

მათი აზრით, ორმოცდაათი წლის შემდეგ ენა აღარავის ეცოდინება, *დეიკარგვის. თუ ენა გინდებიენ, წეიყვანეთ ბავშვები და დაასწავლეთ* - ეს იყო ქართველების პასუხი აქ ენის მომავლის შესახებ.

ექსპედიციის განმავლობაში, როცა სოფელ-სოფელ დავდიოდით, ქართველებს მთელი დღეების განმავლობაში ვესაუბრებოდით და ამ გზით მასალებს ვკრებდით, ზოგჯერ ვფიქრობდით, რომ ლექსიკის დიდი ნაწილი გამქრალი იყო მათი მეტყველებიდან, რასა/ც მეორე დღეს სხვა სოფლების მასალა

მთლიანად აქარწყლებდა. ასეთი იყო ელმალის შემთხვევა, მთლიანად შემონახული და უცვლელია ქართული ლექსიკის ყველა ძირითადი უბანი: *ასე გამობედო ზაფხულში, ნისლი დაიდება მზიან სერებზე, სულ რომ იწვის ბურსა, აქ სულ ქარი ქრის, ისინი ბლები არიან, ესენი ქლიავები და ზღმარტლი არიან, უცემიან, უტყეპიან, გაქცეულან, წასულან.*

ყველის ჭირნიქაას ბორანოს (კერძია) უწოდებენ.

*ჭკუა მაქ* - მახსოვრობის აღმნიშვნელია: *ჭკუა მაქ, ესენი მოგვაგონდა*; კლდიან ადგილს *კობი* ჰქვია; *თავადობა* უფროსობაა: *დედემ თავადობა* (resp.: muhtar - სოფლის უფროსობა) *ქნა*; *გაწირვა* მარტო დატოვებაა: *მე ღარჭი უნდა ავწიო და გაგწირო* (მარტო დაგტოვო - ი.ღ.) *შენ.*

ფრაზეოლოგიზმები: ცხელი წყალი დემესხა ზედა *გაწბილების* აღმნიშვნელია; იქ რომ მიგყავს მამალი, ჩამოაგდე ერთი დედალი - შენ რომ შენთვის იქით ბევრი მიგაქვს, ერთი აქეთაც გამოიმეტე.

გრამატიკული თავისებურებებიდან აღსანიშნავია:

1. კითხვით წინადადებაში კითხვითობის ფუნქციით *თუ* კავშირის გამოყენება: *აქ რომ იყო თუ ის ბაღვი?* (აქ რომ იყო ის ბავშვი? - ი.ღ.);

2. საინტერესოა იმ ზმნათა უწყვეტლის მწკრივის ფორმების წარმოება, რომელთაც ამ მწკრივის ფორმები არ გააჩნიათ: *ასსა ხუთი წელი უკლიოდა* (კლდა);

3. ინვერსიულ ზმნას - *აინტერესებთ ცვლის ე-* პრეფიქსით ნაწარმოები *ეინტერესებიან: აქ ფული ეინტერესებიან;*

4. *-ებ* თემის ნიშანს ენაცვლება *-ავ* თემის ნიშანი და ვიღებთ ზმნის საინტერესო ფორმას *უწილავს: მთავრობა იმას არ უწილავს* (არაფერს მისცემს);

5. *გა-* ზმნისწინს ცვლის *წა-* ზმნისწინი: *ვერ წეეკარებო.*

აღსანიშნავია მოქმედებითი გვარის მიმღეობის წარმოება ქართულ ლექსიკურ ერთეულზე თურქული *-ჯი* სუფიქსის საშუალებით: ჭიდავჯი (მოჭიდავე): *ჭიდავჯი იყო.*

ქოჯაელის (Kocaeli) პროვინციის ქალაქ გოლჩუკში, სადაც აბრეშუმის გზა გადიოდა და შემოჰქონდათ აბრეშუმი ბაღდადიდან, ჩინეთიდან, დაახლოებით 20 უბანია. ყველა უბანში ცხოვრობენ ქართველები. აქ ქართველები მოსახლეობის 70%-ს შეადგენენ.

2013 წლის ექსპედიციის პერიოდში გოლჩუკის ქართველებმა ქართველებითა და ლაზებით//ჭანებით დასახლებული 20 სოფელი ჩაგვაწერინეს: 1. ჰამიდიე (Hamidiye), სადაც ბორჩხადან (Borçka) წამოსული ქართველები და აგრეთვე ლაზები//ჭანები ცხოვრობენ, 2. სირეთიე (Siretiye), სადაც მურღულიდან (Murgul) წამოსული ქართველები ცხოვრობენ, 3. მამურიე (Mamuriye), სადაც მურკივეთიდან (Murkivet) წამოსული ქართველები ცხოვრობენ, 4. ჰასანიე (Hasaniye), სადაც ცოცხობადან (Sochoba) წამოსული ქართველები ცხოვრობენ, 5. ნიმეთიე (Nımetıye), სადაც ცოცხობადან (Sochoba) წამოსული ქართველები ცხოვრობენ, 6. უმიე (Ümmiye), სადაც *ჰაწაჲ ცოცხობადან* წამოსული ქართველები ცხოვრობენ, სოფლის ნახევარი ლაზებით//ჭანებითაა დასახლებული, 7. მესრურიე (Mesruriye), სადაც ჩხალადან (Çhala) წამოსული მოხთი ლაზები//ჭანები ცხოვრობენ, 8. ლუთფიე (Lütfiye) მთლიანად ქართველებით დასახლებული სოფელია, 9. შევკეთიე (Şevketiye) მთლიანად ქართველებით დასახლებული სოფელია, 10. იჯადიე (Icadiye (Alimezar) მთლიანად ქართველებით დასახლებული სოფელია, 11. ირშადიე (Irşadiye (Beyluk) მთლიანად ქართველებით დასახლებული სოფელია, 12. ესქი ფერჰადიე (Eski Ferhadiye (Çaydak) მთლიანად ქართველებით დასახლებული სოფელია, 13. ნუსრეთიე (Nusretiye (Döşema), რომელიც მთლიანად ქართველებითაა დასახლებული, 14. იენი ფერჰადიე (Yeni Ferhadiye), სადაც ბევრი ქართველი და ცოტა ლაზი//ჭანი ცხოვრობს, 15. აივაზპინარი (Ayvazpinarı), სადაც ნახევარი ქართველი და ნახევარი ლაზი//ჭანია, 16. ჰისარეინი (Hisareyn) (Asar köy), სადაც ცოტა ქართველი და ცოტა *მანავლები*, ანუ კუდიანები ცხოვრობენ, 17. იჰსანიე (Ihsanie), სადაც ბევრი ქართველი და

სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებიც ცხოვრობენ, 18. პანაირი (Panayır), სადაც ენის არმცოდნე ლაზები//ჭანები ცხოვრობენ, 19. სელიმიე (Selimiye), სადაც ბევრი ჭანი//ლაზი და ცოტა ქურთი ცხოვრობს), 20. სოფულარი (Sofular), სადაც მოხთი ლაზები//ჭანები ცხოვრობენ.

ჰამიდიეს ხეობაში სულ ქართველები ცხოვრობენ. ჰამიდიე ყველაზე დიდი სოფელია, 150-კომლიანი, ზამთარში 100 კომლი რჩება. ამ სოფელს ადრე *ბორჩხა* ჰრქმევია, ჰამიდიე ახალი სახელია. *გათუმიდან ბორჩხას, ართვინის ბორჩხადან კი, პირდაპირ ბორჩხას შიგნიდან მოსულან აქ 1878 წელს ქართველიშვილები//გურჯუ-ოღლები, ჰაჯი-ოღლები, გაშალ-ოღლები, კერაბ-ოღლები და ელიბეშ-ოღლები, რომლებიც ფა-ფაზიშვილები არიან, აბდულ-ოღლები, მოლალ-ოღლები, ჩი-ლოსმან-ოღლები, ჩილინ-ოღლები, ზობ-ოღლები* შემდეგ მო-სულან, როცა სოფელი უკვე დასახლებული იყო. აბდულლაჰ ზორლუს (ზობ-ოღლის) გადმოცემით, ბაბუამისი ოსმალეთის იმპერიის ბოლო სულთანთან დაახლოებული პირი და მნიშ-ვნელოვანი ფიგურა ყოფილა. ისინი ჰასან-ფაშას დაუსახლებია აქ. სოფელში 10 მოსახლიდან ერთი ჭანი-//ლაზია: *კვერნ-ოღლები, ლაზამედები, ჯელლეთ-ოღლები, ჭანომერები, ორ-ჭელები. ჭანებმა ლაპარიკვა არ იციან.* ისინი უკვე ქარ-თველებთან ასიმილირებული არიან და *ერთი-ორმა დიდ-ვანებმა იციან, იმათაც ბევრი არ იციან.* ამ ლაზებს *მოხთი ლა-ზებს* უწოდებენ. ქართველები და მოხთი ლაზები ძმებივით არიან.

ჰამიდიე, აქაური ქართველების თქმით, მემლექეთს, გურჯ-ისტანს ჰგავს: *მემლექეთი ჲერია* (სამშობლოს მსგავსი ადგილია - ი.ღ.).

ჰამიდიე გამორჩეულია ჰიდრონიმიითაც: *გურჯ-ოღლების წყალი, ჭიტალ-ოღლის ღელე, თომას ღელე, ლომან-ოღლის წყალი, ელიბეშ-ოღლების წყალი, დემირჩ-ოღლების წყალი, კამპარას ღელე.*

მიკროტოპონიმები: *ზიარი ყანა, ხამი ყანა, გაღმა ყანა, ბალიანი ყანა, ჩანახლი, დანგული, სუსა...*

ჰამიდიეში ქართულად წერა-კითხვა იცის ოთხმა ადამიანმა და აქაც, ისევე როგორც მთელ რეგიონში, 45-50 წლის ასაკის ადამიანებმა თურქულად წერა-კითხვა მხოლოდ სკოლაში წასვლის შემდეგ ისწავლეს.

ჰამიდიეში ერთმანეთისგან განარჩევენ აჭარის ლეჰჩეს (resp.: დიალექტი, მეტყველება), მურღულის ლეჰჩესა და ბორჩხის ლეჰჩეს: *აჭარა სხვა ლეჰჩეა, მურღულიდან მოსულები სხვას ლაპარაკობენ, ბორჩხას სხვასა; მურღული ფურს ამბობს, ჩვენ ძროხას ვიტყვით.*

*ხბოს* აღსანიშნავად შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს იყენებენ: *პუჭინა, ხობო, ფხო;* ასევე განასხვავებენ *მოზვერსა და დეკეულს* ზემოჩამოთვლილი *ლეჰჩეების*, მეტყველებების მიხედვით.

სოფელ შევკეთიეში (Şevketiye) ეთნიკურ ქართველთა 38 კომლი ცხოვრობს, ზამთარში ნახევრდება. სოფელში მურკივაძეები, უზნაძეები, კულალ-ოღლები, კავაზ-ოღლები ცხოვრობენ. ზუსტად არ ახსოვთ, საიდან არიან მოსულები და ამბობენ, რომ ბორჩხადან, მურღულიდან, შავშეთიდან წამოსულან.

შევკეთიეში ქართულად ლაპარაკი უფროს თაობასაც უჭირს, ახალგაზრდებმა და ბავშვებმა ქართული საერთოდ არ იციან.

რამდენიმე ადგილს შემოუნახავს წინაპართა მიერ დარქმეული ქართული სახელები: *გაღმა ქედი, ვაკე, თხინალი...*

მორფოლოგიური პროცესები აქაც სხვა სოფლების იდენტურია:

1. ინიანი ვნებითი გვარის ზმნებს ენაცვლება დონიანი ვნებითის ფორმები: *ცოტა მეისვენოს, მოღალდა;*

2. *-ებ* თემის ნიშანს ენაცვლება *-ავ* თემის ნიშანი: *ვიმღერავდი, ჰმელი ლობია დაამზადავდენ;*

3. ვნებითი გვარის წარსული დროის მიმღეობებში ჩვეულებრივია თემის ნიშნის დაკარგვა და მაწარმოებელ -ილ//-ულ სუფიქსთა შენაცვლება: *დამწიფული* ბალი (დამწიფებული); მაღლიდან *გადაბურილი* (გადაბურული, დახურული) იყო;

4. *თუ* კავშირის გამოყენება კითხვითი სიტყვის ფუნქციით: ბიჭი მოვდა *თუ*? (ბიჭი მოვიდა?).

თურქული ნასესხობები ქართულ ყალიბშია ჩასმული, ქართული ზმნის მოდელისთვის დამახასიათებელი აფიქსებითაა ნაწარმოები: ***აბლა გ ზები არ დაყაფანიშდება.***

*რომ* კავშირს რეგულარულად ენაცვლება ამავე მნიშვნელობის მქონე *კი//ქი* (resp.: ki) კავშირი, რომელსაც წინადადებაში ქართული *რომ* კავშირისგან განსხვავებული პოზიცია უჭირავს: *კაცი არ ყავს კია, სახლი დ̄უდგმიან* (კაცი რომ არ ჰყავს, სახლი აუშენეს).

აქაურთა მეტყველებაში ჩვეულებრივია მარმარილოს ზღვის რეგიონის ქართველებისთვის დამახასიათებელი ხმოვნის შეცვლით მიღებული ფუძეგაორკეცებული სახელები: *ღამე-ღუმეში* ვაკეთავდით; *ღარჭი-ღურჭიანმა* ქალებმა რა გაეკეთებნა (რა უნდა გაეკეთებინათ)? ფუძის გაორკეცებით, ზმნისწინისა და თემის ნიშნის დართვით მიღებული რთული სიტყვა: წვიმა-გაწვიმების *წინ ქუბის.*

ლექსიკიდან აღსანიშნავია ***დოდოფალი ნადი,*** რომელიც დიდი ნადის, თავმოყრის აღმნიშვნელია: *დოდოფალი ნადი ვიცოდით.* ნადში მღეროდნენ: *შარშანდელი სიმღერა/ნეტავ ბევრი მემღერა; გალმა ქედზე წყალი ვსვი,/ოქრეთი* (resp.: დამწიფებული) *ბალი მინდა,/ნენე დამაქორწილე,/ბაბოს წინ ძალი მინდა.*

ლექსემა *ფურცელს* აყვავების სემანტიკაც აქვს (შდრ.: ქართული ენის დიალექტებისთვის დამახასიათებელი *ფურცელი გამოიღო*): *აქა ფურცელი არ იყო და იქ დომათესი იყო* (აქ ყლორტიც არ იყო გამოღებული, აყვავებულიც არ იყო და იქ უკვე პომიდორი იყო მოწეული).

ჩაის სმისას ექსპედიციის ერთ-ერთმა წევრმა ჰკითხა მასპინძელს, თქვენ რატომ არ მიირთმევთო, მან პასუხად მიუგო: *ჯერ თქვენ გაგათაოთ და მას უკან* (ჯერ თქვენ მოგისტუმროთ, ჯერ თქვენ დაგალევინოთ ჩაი და მე მერე მივირთმევო - ი.ღ.).

შევკეთიეში ჩაწერილი ტექსტის *ნიმუში:*

*ოცი და ათი და ვრა კომლია. ნახევარი ბოშია* (resp.: ცარიელია). *ზაფხულში მოდიან. ჩემი დიდი ნენე მოხთი ლაზი იყო. ნენემა იცოდა გურჯული. ჩემი დედამთილიც იქიდან ურთვიან. გელინები მევიყვანეთ ჭანებიდან, გურჯი გახდა. მამამთილმა დუგუნი* (resp.: ქორწილი) *ქნა; სამი-ოთხი დღე დუგუნი იქნებოდა წინ. ტყეის უკან აჯარა სოფელია, შვიდი წელი მამამთილ არ დეელაპარიკებიან* (რძლები).

*გურჯისტან ჩვენი თავი ილაპარიკეთ. მალე წადთ, მალე მოდთ.*

ქოჯაელის პროვინციაში 12 რაიონია. ქართველები ქოჯაელის თორმეტივე რაიონში ცხოვრობენ, მაგრამ ქართველების ცენტრი გოლჩუკია. იზმითში მცხოვრებ ქართველთა უმეტესობა გოლჩუკიდანაა.

ქართველების სოფელ დოშემეში (Doşeme, ახლანდელი ოფიციალური სახელი Nuzhetiye) 300 კომლი ეთნიკური ქართველი და მცირე რაოდენობით ლაზები ცხოვრობენ. ზამთარში სოფელი ნახევრდება.

დოშემეში მურღულის სოფლებიდან: ჯანსულელიდან, კორდეთლიდან, ოზმალიდან, ლომიკეთიდან, ბაგებიდან *ჩიტოღლების (ჩიტიანი), წუწისანების, ყანჩელ-ოღლების (//ყანჩელისანი), ხალისანების, თათარ-ოღლების, სერთ-ოღლების, სეიფ-ოღლების, ქესერ-ოღლების* 63 კომლი მოსულა. ესენი ყველანი მურღულიდან არიან მოსულები. *დამ-ოღლები* არავიდან მოსული ჭანები არიან, *მემრე გურჯი გახდნენ, ახლა აინი* (resp.: ერთნი) ვართ. ამიტომ ამ სოფელს *მურღულ ვეტყვით.* აქედან შემდეგ სხვა სოფლებში: იენი ფერჰადიეში, ესქი ფერჰადიეში,

ლუთფიეში, სირეთიეში (Yeni Ferhadiye, Eski Ferhadiye, Lütfiye, Siretiye) განსახლებულან მურღულელი ქართველები.

სოფელში შემორჩენილია 130 წლის წინ აშენებული ხის ჯამე, რომელიც ქართველებს აქ მოსვლისა და დამკვიდრების ჟამს აუშენებიათ.

სოფლის მოსახლეობის 70% ჯერაც ცდილობს ქართველზე დაქორწინდეს. სოფელში ყველა *ნაკითხი*, ანუ განათლებამიღებულია; ბევრი გერმანიასა და ავსტრიაში მიდის, მაგრამ იქ არ რჩება სამუდამოდ.

ქართველები სოფელში სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს არ უშვებენ: *აქ მ̄უშვათ, ჩვენ ამაყენებენ* (აქ რომ შემოვუშვათ, ჩვენ გაგვყრიან), რასაც ამყარებს ამ სოფელში დადასტურებული ქართული ტოპონიმები: *წისქვილი ჯვი, ჯინჭველი ჯვი, სოფლის თავი, დიდყანა, ვაკეყანა, ღელეყანა, კაპანი ყანა.* მათ დარჩენიათ აგრეთვე ადრე აქ მცხოვრებ სომეხთა ყანები, რომელთა სახელდება შემდეგია: *სომეხების ყანა, ქირქოლის ვენაჯი, აკოფოსის ყანა, მირალის ყანა.* შენიშნავენ, რომ თუკი ქართველები დედებს გააბრაზებდნენ, ისინი შვილებს ასე მიმართავდნენ: *სომეხის შვილო.*

მარმარილოს ზღვის რეგიონის ქართველთა მეტყველება რომ ერთგვარი არ არის და აქ რამდენიმე დიალექტია წარმოდგენილი (იმის მიხედვით, თუ საიდან არიან წამოსული), ამას მოწმობს დომეშელ ქართველთა სიტყვები: *აქ აჭარელების სოფელია, იმათი ლაპარაკი თქვენსავეთ არის, იმას ჩვენ ვერ გავაგნებთ. ისინი, აჭარელები, ართვინიდან მოსული არ არიან.*

უფროსი თაობის ქართველები, შეიძლება ითქვას, ბრწყინვალედ საუბრობენ ქართულად, მაგრამ *ღარჩები აგნობენ* და *ბადიშებმა ჰიჩ* (resp.: საერთოდ) *არ იციან* (შვილებს ესმით და შვილიშვილებმა საერთოდ არ იციან). *არ იციან იმათმა, დაავიწყდებათ.*

ლექსიკიდან ყურადღება მიიპყრო ლექსემა *გამჩენელმა*, რომელსაც *ღმერთის* აღსანიშნავად იყენებენ; შემონახული აქვთ ლექსემა *ფერჯული*: *ბერები ეჯიბრებოდნენ მღერვაში,*

*ფერჯულში, ყლარჭვა ხრჩობის აღმნიშვნელია: იმსისხო სიზმრები ვნახე, დილამდი მყლარჭეს; პაწიწვანი პატარას აღმნიშვნელია: პაწიწვან-პაწიწვანი წყლებია, დიდი ღელე არ არი.*

დოშემეში ჩაწერილი ტექსტის ნიმუში:

*ამ სოფელ მურღულ ვეტყვით. ბაჰჩეში სომეხები ცხოვრობდენ, იმათ ყანები ქონდენ, ისინი ათათურქმა გადენა, წევდენ, ისტამბულ ზიან. მოვლენ, მეიარდენ, წავლენ, ოცი წელიწადია არ მოვლენ, ჩვენ დაგვრჩენ.*

*უწინ ჩემ ნენემა, ბაბომა ვინცხა მეიწონებდა, იმას ვითხოვდით, ჰიჩ არ დეინახევდი. ენ ბევრი ამ სოფელშია ნაკითხი. თელი ნაკითხი არიან, ღარჭებ აკითხებენ. ცოცხობიდან ზოგი მიდის ალმანიაში, ავუსტურიაში. ბაირამზე მოვლენ, ქორწილებზე მოვლენ, ნენეჲ, ბაბოჲ მოკტენ, მოვლენ; ერთმანეთი მიყვარან, ქომშები (resp.: მეზობლები) მიყვარან. თუ ვინმე ავად გახთება, მივალთ, არ წევიკინკლებით. ჰამიდიე წეიკინკლება, ჩვენ არ წევიკინკლებით. ერთმანეთ უჩუმალა მოკლიან.*

როგორც კვლევამ გვიჩვენა, ქართველებისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სისხლით ქართველობას, რასაც ასე გამოხატავენ: „სისხლით არ მოიშლება გურჯობა“, „მე გურჯი ვარ, სისხლი იქიდან მოდის“ და სულით ქართველობას, რომელსაც შემდეგნაირად გამოხატავენ: „შიგნით გურჯი ვარ“. უნდა აღინიშნოს, რომ სისხლით გურჯობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აქაური ქართველების უდიდესი ნაწილისთვის: გურჯულა არ დამისწავლია, მაგრამ გურჯი ვარ; ენა რომ არ მქონდეს (ენა რომ არ ვიცოდე), მაინც გურჯი ვარ; რომ გაჭრა, გურჯი გამოდინდება სისხლი. აქ გვინდა დავიმოწმოთ მ. ფაღავას მიერ ჩაწერილი ანალოგიური მასალა: „- ხელი რომ გამიჭრათ, ჩემი სისხლი ქართულად დაწერავს...“ (ფაღავა, 2013:137).

მიუხედავად ზემოთქმულისა, ენა, შეიძლება ითქვას, ერთადერთი კონცეპტია მუჰაჯირობის დროს წასულ ქარ-

თველთათვის თურქეთში, რომელიც სისხლისა და სულისაგან განსხვავებით მათი იდენტობის გარეგანი, ფაქტობრივი ამსახველია. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ როდესაც იქაურ ქართველს ვეკითხებით, რომელია მშობლიური ენა მისთვის, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე გვპასუხობს ჩვენებური, გურჯული, ხოლო კითხვაზე, თუ რა არის თურქული მისთვის, პასუხად მოგვიგებს - მეორე ენა: ჩვენი ანადილი (მშობლიური ენა) ჩვენებურია (ქართული - ი.ღ.), მეორე ენა - თურქული, ანადილიმი ქართულაა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პასუხი გამოკითხვის შედეგად მივიღეთ არა მხოლოდ იმ ქართველებისგან, რომელთათვისაც „გურჯობა ყველაზე მაღალი რამეა“ და ქართულადაც ჩინებულად მეტყველებენ, არამედ ახალგაზრდა ქართველების იმ ნაწილისგანაც, რომლებიც დამტვრეული ქართულით საუბრობენ ან კიდევ ესმით, მაგრამ ჯერ არ უსწავლიათ ქართული.

ქართულს, მშობლიურ ენას (ანადილს) შემდეგი ლექსიკური ერთეულებით აღნიშნავენ: ჩვენებურა//ჩვენებური, გურჯულა //გურჯული//გურჯი//გურჯიჯა, ქართულა//ქართულაი//ქართული, ქართველურა. აქვე უნდა მივუთითოთ, რომ დღეს ყველა მათგანს ინტენსიურად იყენებენ, მაგრამ *ჩვენებურს//ჩვენებურას* სიმბოლური მნიშვნელობა აქვს და უპირატესობა ენიჭებოდა და ენიჭება დღესაც, ის განსაკუთრებით ძვირფასია მათთვის. ამ ტერმინის საშუალებით ახდენენ თვითიდენტიფიკაციას, ტერმინის, რომელიც მათ სხვებისგან გამოარჩევს თურქეთში. თუ ქართველებისთვის ეთნიკურობა ძირითადი ჩარჩოა, რომელსაც მათი იდენტობა ეფუძნება, მაშინ ენა ამ იდენტობის გამომხატველი უმთავრესი საშუალებაა. ჩვენებური//გურჯულა//ქართულა//ქართველურა მათი ღირებულებების, სტერეოტიპების, ურთიერთობების გამომხატველია. ჩვენებური მოიცავს ადამიანური ურთიერთობების ყველა სფეროს, რასაც შემდეგნაირად გამოხატავენ: ენა გურჯიჯა მექცევა (ქართულისკენ გამირბის).

როგორ გამოხატავენ ქართველები იმ ფაქტს, რომ ენა მათთვის, ისევე როგორც ბევრი ეთნიკური ჯგუფისთვის მსოფლიოში, მათი ეთნიკურობის მთავარი მარკერია? აქ, უპირველეს ყოვლისა, მინდა ინეგოლსა და ინეგოლის სოფლებში ჩაწერილი მასალებიდან, რასაც იქაურ ქართველებთან საუბრისას ვიწერდი, დავიმოწმო შემდეგი: „ჩვენ მუჰაჯირ არ გვეტყვიან, ბულგარისტანიდან, ბოსნიადან, იუგოსლავიიდან და ზოგ იერიდან (resp.: ადგილიდან) მოსულს მუჰაჯირ ეტყვიან. ჩვენ აბაზას მუჰაჯირ არ ვეტყვით, აბაზას ვეტყვით, ისინი ჩვენ გურჯ გვეტყვიან, მუჰაჯირ არ გვეტყვიან. ჩერქეზს მუჰაჯირ არ ვეტყვით. ვისაც დედაენა გვაქვს, ენა რომ შენახული გვაქვს, ასე გვეტყვიან. ვისაც ენა არა აქვს, მუჰაჯირ ვეტყვით“. როგორც მოყვანილი ნაწყვეტიდან ჩანს, ქართველები ხაზგასმით მიუთითებენ, რომ თავიანთ თავს მუჰაჯირებად არ მიიჩნევენ და არც სხვები უწოდებენ მათ მუჰაჯირებს, რადგანაც ენა შემოინახეს, რომელსაც დედაენას უწოდებენ. აღმოჩნდა, რომ მათთან არსებობს ცნება „გერჩექ მუჰაჯირისა“ (resp.: ნამდვილი მუჰაჯირისა). მათი აღქმით, „გერჩექ მუჰაჯირი“ (ნამდვილი მუჰაჯირი) ის არის, ვინც ჰიჯრით 93 წელს გადაახტა და ენა დაკარგა. ამგვარად, მარკერი, რომელიც ქართველს, აფხაზსა და ჩერქეზს სხვა, ნამდვილი მუჰაჯირებისგან გამოარჩევს, ენაა. აქვე უნდა დავამატოთ ისიც, რომ ინეგოლში არცერთ ეთნიკურ ქართველს, ვინც თავს ქართველად მიიჩნევს, არ უთქვამს, რომ მუჰაჯირია; როდესაც ამ საკითხს შევეხებოდით, პასუხი ყოველთვის ასეთი იყო: *მუჰაჯირობის დროს წამოველით* ან კიდევ *ჩვენებურებს 93-ის მუჰაჯირებ გვეტყვიან (გვიწოდებენ). 93-ს თუ გადაახტა, გერჩექ მუჰაჯირია. მუჰაჯირი ბოსნიაკია, არნაუტია.*

საკუთარ ფესვებს მოწყვეტილი, სხვა ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფის ენისადმი დამოკიდებულების აღწერა ძალზე რთულია. დიდი ქვეყნების ენობრივი პოლიტიკისა (როდესაც ქვეყანაში მხარდაჭერა მხოლოდ ოფიციალურ ენას აქვს და არცთუ სასურველია მცირე ეთნიკური ჯგუფების

ენების წახალისება) და თანამედროვე კომუნიკაციების შესაძლებლობების გათვალისწინებით, რამაც სოფელს თავისი სახე დაუკარგა, ყველა მკვლევარი ამა თუ იმ მცირე ეთნიკური ჯგუფის ენის კვლევისას მხოლოდ უიმედო სურათს ელოდება. თუ პრაქტიკული თვალით შევხედავთ, თვით მცირე ეთნიკური ჯგუფის წევრებისთვისაც ეთნიკური ენის სწავლა, იგულისხმება მე-3, მე-4... ა.შ. თაობის წარმომადგენლები, არაფრისმომცემია. ჩვენც ამგვარ სურათს ველოდით თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მესამე, მეოთხე და მეხუთე თაობის წარმომადგენლებთან შეხვედრებისა და საუბრებისას ენების გამაუჩინარებელ, მყლაპველ 21-ე საუკუნეში, როდესაც წინაპრების ენის შესახებ მხოლოდ ხსოვნაა შემორჩენილი. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მხოლოდ ჩვენებური, ანუ წინაპრების ენა აკავშირებს თურქეთის ეთნიკურ ქართველებს თავიანთ ისტორიულ მემკვიდრეობასთან, რომელსაც ვერავითარი სხვა მარკერი ვერ ენაცვლება. ენაა ერთადერთი შეუცვლელი კომპონენტი მათი ეთნიკურობის გაცხადებისა.

თუ რა არის ქართველებისთვის ჩვენებური//გურჯულა//ქართულა//ქართველურა, ამის საილუსტრაციოდ ისევ ჩაწერილ მასალას მოვიხმობ:

*ჩვენ გურჯობას ენით გამოვხატავთ.*

*ქართველურა ვლაპარიკობთ, ჩვენ თავ მუჰაჯირ არ ვეტყვით, გურჯი ვარ ვიტყვი.*

*ნამუს ვინახავთ, ჩვენებურ რომ ვლაპარაკობთ.*

როგორც ვხედავთ, ჩვენებური მათი ქართველობა//გურჯობა და ნამუსია, ხოლო ენის დაკარგვა, მათი აზრით, ქართველობის//გურჯობისა და ადამიანობის დაკარგვას ნიშნავს:

*ვინცხამ ენა დაკარგა, გურჯი არ არის.*

*გურჯობის დაკარგვა ინსნობის (ადამიანობის) დაკარგვაა.*

*ენა როცა დაიკარგება, ქართველობაც დაიკარგება.*

*ვისაც ქართული დაამიწყდება, გაცდეს (მოკვდეს - ი.ღ.) მაშინ!*

აქვე მინდა დავიმოწმო დიალოგი ხანში შესულ კაცსა და ახალგაზრდას შორის:

*ჩვენებურა იცი?*
*არა!*
*მაშინ რაგას გურჯი ხარ?*
*გურჯი ვარ.*
*ენა იცი?*
*არა!*
*მოთავებულა!*
*გურჯიჯა იცი?*
*არა!*
*აბა, რაფელი გურჯი ხარ?*

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ცხადად გვიჩვენებს, რომ ქართველებმა შეძლეს სწორი ორიენტირის შენარჩუნება საკუთარი იდენტობის გადასარჩენად.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ: „ენობრივი კოლექტივების სიცოცხლისუნარიანობა მოიცავს პოლიტიკურ, ისტორიულ, ეკონომიკურსა და ლინგვისტურ საკითხებს, რომლებიც გასათვალისწინებელია სოციოფსიქოლოგიურ მსჯელობასთან ერთად... ენობრივი კოლექტივის ეკონომიკური სტატუსი (ენობრივი ჯგუფის გავლენის ხარისხი ეკონომიკურ ცხოვრებაზე მოცემულ რეგიონსა და ან საზოგადოებაში), ენობრივი უმცირესობის მონაწილეობის ხარისხი ეკონომიკურ ყოფაში... სოციალური სტატუსი ახლოს დგას ეკონომიკურთან და ძირითადად გამოიხატება იმაში, თუ რამდენად მაღალია საკუთარი თავისადმი ამ ენობრივი ჯგუფის პატივისცემის ხარისხი... სოციოისტორიული სტატუსი არის მნიშვნელოვანი ენობრივი ჯგუფისათვის, რომლითაც იგი თავს განისხვავებს დანარჩენებისგან ისტორიის საფუძველზე. ბევრი ეთნოლინგვისტური ჯგუფი საკმაო პერიოდითაა დაშო-

რებული თავის ისტორიულ ამოსავალს, მაგრამ ისტორიულ კავშირებს შეუძლია მობილიზება საერთო სიმბოლოებით ინდივიდებისა, რომლებიც ერთმანეთსაც შესაძლოა საკმაოდ არიან დაშორებულნი აწმყოში“ (ტაბიძე, 2005:147-148). ეთნიკური ქართველები მოცემულ რეგიონში დაწინაურებული არიან ეკონომიკური თვალსაზრისით, აქაურმა ქართველებმა, შეიძლება ითქვას, უმოკლეს ხანში მოახერხეს დუხჭირი ცხოვრებისგან თავის დაღწევა და ფეხზე დადგომა. ქართველები მაღალი სოციალური სტატუსითაც გამოირჩევიან, რეგიონის ცხოვრებაში მათ სიტყვას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ყველა, ვინც ამ საკითხით დაინტერესდება, ზერელე დაკვირვებითაც კი შეამჩნევს, რომ ჩვენებურმა (ქართულმა) გაუძლო დროს ყოველგვარი მხარდაჭერის, თვით ძალზე მოკლევადიანი კურსების არარსებობის პირობებში და მისი შენარჩუნება დღემდე შეძლეს ეთნიკურმა ქართველებმა; მაშინ როდესაც, უამრავი პროგრამის მიუხედავად, დიდ სახელმწიფოებში ტიტულოვან ეთნოსთა ენების გარდა სულ უფრო და უფრო ძნელდება სხვა, არცთუ მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფთა ენების შენარჩუნება ამ სახელმწიფოთა ინტერესებიდან და მიზნებიდან გამომდინარე და, რაც მთავარია, მკაფიოდ განსაზღვრული ენობრივი პოლიტიკის შედეგად.

რა განაპირობებს ქართულის შენარჩუნებას თურქეთის ქართველებში? პასუხი შეიძლება ასეთი იყოს: ეთნიკური ჯგუფის განწყობა წინაპრების ენისადმი, განწყობა იმისა, რომ *ქართულათი, ჩვენებურით* შეიძლება საკუთარი იერ-სახის, იდენტობის შენარჩუნება უცხო მიწაზე.

აქვე უნდა დავამატოთ ისიც, რომ ნებისმიერი სიტუაციისა და მოვლენის აღწერა ცვალებადია. ჩვენს შემთხვევაში, როდესაც ვლაპარაკობთ თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ეთნიკური და ენობრივი იდენტობის შესახებ, აღწერა, როგორც რეალური სურათის დადგენის ფორმა, ცვალებადი იქნება როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი თვალსაზრისით. თუ-

კი გასული საუკუნის 50-იანი წლებისათვის ქართველთა ეთნიკური და ენობრივი იდენტობის საკითხების შესწავლისას ეთნიკურ ქართველთა რაოდენობას დიდი და გარკვეული მნიშვნელობა ექნებოდა ენის შენახვა-შენარჩუნების თვალსაზრისით, დღეს ენობრივი ასიმილაციის პირობებში, როდესაც თურქული სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა შორის ურთიერთობის ენაა, მხოლოდ ეთნიკური ჯგუფის სიდიდე-სიმცირე არაფრის მთქმელია. დღეს ეს ქართველების განწყობაზეა დამოკიდებული, რომელთათვისაც ენა მათი იდენტობის განუყოფელი ნაწილი, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მათი იდენტობაა. ამის დამადასტურებელია ფაქტი, რომ ქართველების ის ნაწილი, რომელმაც ბავშვობა ქალაქში გაატარა და არა სოფელში და რომელთა ასაკი 20-დან 30 წლამდე მერყეობს, აღნიშნავენ, რომ ქართული 18 წლის შემდეგ ისწავლეს, რადგანაც *ენა ბრუნდება ანადილისკენ* (მშობლიურ ენას ვუბრუნდებით).

ქართულის ცოდნის თვალსაზრისით და სხვადასხვა რეგიონის მონაცემთა შეჯერების საფუძველზე საბოლოოდ შემდეგი ასაკობრივი ჯგუფები შეიძლება გამოიყოს:

1. 80 წელს გადაცილებული ქართველები (და განსაკუთრებით ქალები; მათი რაოდენობა დიდი არ არის), რომელთაც ცუდად იციან თურქული და ძირითადად ქართულ ენაზე ლაპარაკობენ.

2. 60-75 წლის ქართველები, რომელთაც ცხოვრება სოფლებში აქვთ გატარებული, ძირითადად ქართულად ლაპარაკობენ. მათი თავშეყრის ნებისმიერ ადგილას სასაუბრო ენა მხოლოდ ქართულია; თურქულს იმ შემთხვევაში იყენებენ, როდესაც სხვა ეთნოსის წარმომადგენლებთან უხდებათ ურთიერთობა ან კიდევ საზოგადოებრივ ცხოვრებაში იღებენ მონაწილეობას რაიმე ფორმით. ამათგან გარკვეულ ნაწილს სკოლაშიც არ უვლია მიზეზთა გამო.

3. 35-50 წლის ქართველები, რომელთაც განათლება თურქულ ენაზე მიიღეს. ეს ნაწილი მიუთითებს, რომ თურქული მხოლოდ სკოლაში წასვლის შემდეგ ისწავლეს, რაც მათ პრო-

ბლემებს უქმნიდათ და თითო კლასში ზოგჯერ ორ-ორ წელს ატარებდნენ;

4. რაც შეეხება 35 წლამდე ასაკის ქართველებს, აქ შემდეგი ქვეჯგუფები შეიძლება გამოიყოს:

1. ჯგუფი, რომელიც ლაპარაკობს ქართულად და ეთნიკურ ენაზე ურთიერთობა მათთვის პრობლემა არ არის;

2. ჯგუფი, რომელიც დამტვრეული ქართულით ლაპარაკობს;

3. ჯგუფი, რომელსაც ესმის რასაც ეუბნებიან, მაგრამ ვერ ლაპარაკობს;

4. ჯგუფი, რომელსაც არ ესმის ქართულად არცერთი სიტყვა და, შესაბამისად, ვერც ლაპარაკობს;

5. ჯგუფი, რომელმაც ქართული 18 წლის შემდეგ ისწავლა.

ზემოჩამოთვლილი ყველა ჯგუფისთვის მშობლიური ენა ჩვენებურია, იმათი ჩათვლით, ვინც ქართულად ვერ ლაპარაკობს, მაგრამ თავს ქართველად//გურჯად მიიჩნევს. განსხვავება აღქმაშია: დიდი ნაწილის აზრით, *თუ ენა არ იცი, რაღა გურჯი ხარ?* ნაწილის აზრით *კი გურჯობა სისხლით არ მოიშლება*. როცა ამ უკანასკნელთ ჩვენებურის არცოდნის მიზეზს ვეკითხებოდით, თითქმის ყველა მათგანი დედის ფაქტორზე მიუთითებდა: *ანა (დედა) არ მელაპარაკებოდა ჩვენებურად*, ან კიდევ *ანა გურჯი არ იყო*. ზოგმა კი გვითხრა, დედა რომ ქართულად არ მელაპარაკებოდა, ამიტომ ქართული 18 წლის შემდეგ ვისწავლე, მინდოდა ჩემი ენა მცოდნოდაო. რაც შეეხება თურქულს, ისინი მას დღემდე თათრულს უწოდებენ: *თათრულა ლაპარაკობს; მე თათრულა მეორე კლასში დევისწავლე; მე თათრულა არ გამიგონია.*

მარმარილოს ზღვის რეგიონის ქართველები თავიანთი ენის შესახებ აღნიშნავენ, რომ მათი წინაპრები ასი წლის წინ როგორი ქართულითაც ლაპარაკობდნენ, თვითონაც ისეთივე ქართულით საუბრობენ დღეს: ჩვენ მაშინდელი ქართველები *ვართ, ასი წლის წინ რაც დარჩენილა, იმას ვლაპარაკობთ*. მათი

აზრით, მეტყველებაში ბევრი უცხო სიტყვაა შემოტანილი: *ჩვენი ქართულად გარეცხილია, შემოტანილი სიტყვები გვაქვს*; ამის გამო, მიუთითებენ: *ჩვენი ქართველურა გადაქცეულია, გადაბრუნებულია; ჩვენი ენა მეიშალა.* ამ კუთხით ერთგვარ შედარებასაც კი აკეთებენ იმერჯეველ ქართველებთან: *„იმერხევლებმა, შავშელებმა რაფრათ დაისწავლეს, ისე ლაპარაკობენ, ჩვენ გადავბრუნდით“.* მას შემდეგ, რაც თურქეთ-საქართველოს საზღვარი გაიხსნა და მისვლა-მოსვლა დაიწყო, იმ ქართველთა მეტყველება, რომლებიც საქართველოში დადიან, გამდიდრდა ქართული ლექსიკური ერთეულებით.

უცხო მიწაზე მცხოვრებ ქართველთა ენობრივი და ეთნიკური იდენტობის საკითხების კვლევამ და დაკვირვებამ გვიჩვენა განწყობა, რაც ქმნის ენერგიას წინაპრების ენის იმ კონცეპტად გადასაქცევად, რომელიც ეთნიკურ ჯგუფს ანიჭებს ძალას იდენტობის შესანარჩუნებლად.

# ლექსიკის სესხების ერთი თავისებურების შესახებ თურქეთის ქართველთა მეტყველებაში

„არცერთ შემოსევას, არცერთ ბარბაროს დამპყრობელს არ მიუყენებია იმოდენა ზარალი ისტორიული ზემო ქართლის (სამცხე-საათაბაგოს) კუთხეებისათვის, რაც მუჰაჯირობამ მოუტანა. ძირძველი ქართული მიწა დაიცალა მოსახლეობისგან. თითქმის დაცარიელდა კოლა, არტაანი, შავშეთი, კლარჯეთი, ლივანა, მურღული, მაჭახელი, ტაო, აჭარა, ქობულეთი. დაცარიელებულ სოფლებში გაჩანაგდა მეურნეობა, ბევრი სოფლის სახსენებელი სამუდამოდ წაიშალა. საარქივო ცნობები გვატყობინებენ, რომ 1879 წლის გასახლების შემდეგ ქობულეთში ორი ათასი მცხოვრებიდან ხუთასამდე დარჩა, ხოლო მახლობელი სოფლები სრულიად გავერანდა და გაპარტახდა. იყო სოფლები, სადაც არც ერთი სული აღარ დარჩენილიყო. მაგ. კვირიკე-ქობულეთში, არსენაული-ქედაში, ერეგუნა-მურღულში...“ (ფუტკარაძე, 1993:9; მეგრელიძე, 1964:48).

ეს თავი თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ლექსიკის ერთ თავისებურებას შეეხება. თუკი ენა ყველაზე მკაფიოდ და მძაფრად გამოხატავს ეთნოსის სულს აწმყოსა და მომავლის განუმეორებელი სინთეზით, ლექსიკა ყველაზე ადრე აღიქვამს ეთნოსში მიმდინარე ცვლილებებს, თავისებური რეაქცია აქვს მათ მიმართ. ამდენად, ლექსიკაში ასახული ყველა ცვლილება, თუნდაც უმნიშვნელო, ერთ-ერთი ძირითადი ასპექტია ყველა ეთნოსის ისტორიისა და ეთნიკური სახის შესაქმნელად. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, როცა საკითხი ისტორიულ საცხოვრისს, ენობრივ და კულტურულ სივრცეს მოწყვეტილ ეთნიკურ ჯგუფს ეხება.

თურქეთის მოსახლეობა ეთნიკური სიჭრელით გამოირჩევა. თურქეთში ბევრი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებმა - თურქებმა, ბერძნებმა, ბულგარელმა პომაკებმა, აფხაზებმა, ჩერქეზებმა, ქურთებმა, არნაუტებმა, ბოსნიელებმა,

გოშებმა... - მოიყარეს თავი. ეს ამ ტერიტორიაზე მცხოვრებთა არასრული ჩამონათვალია. აქ ქართველები სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებთან ერთად ცხოვრობენ.

ქართველებს მთელი ისტორიის მანძილზე მუდმივი და სხვადასხვაგვარი ენობრივი და კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ სხვა ეთნოსის წარმომადგენლებთან. ისინი ყოველთვის ეძებდნენ ფორმებს ამგვარი ურთიერთობისთვის, ამიტომაც კულტურულ-ენობრივი კონტაქტები, ლექსიკური შეხვედრები კაცობრიობის ისტორიასავით ძველია. კულტურულ-ენობრივი კონტაქტები და ლექსიკური შეხვედრები, როგორც ცნობილია, სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით ხორციელდებოდა, მაგრამ როგორც სხვადასხვა ფაქტისა და მონაცემის ანალიზი გვიჩვენებს, ამგვარი ურთიერთობის რეზულტატი ყოველთვის დამოკიდებული იყო, არის და იქნება იმ პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ხასიათზე, რომლებიც მათ შორის არსებობს.

დღეს აღარავინ კამათობს იმაზე, რომ არათუ მრავალეთნიკურ, არამედ ისეთ გარემოშიც კი, სადაც ორი ეთნიკური ჯგუფის წევრები ხვდებიან ერთმანეთს, ენობრივი ინტერფერენციის ხარისხი განუზომლად მაღალია. დღევანდელი ურბანიზაციის პირობებში ეს პროცესი თითქმის შეუქცევადია.

ენათმეცნიერებაში არსებობს ცნება ენობრივი თუ დიალექტური „კუნძულისა" (Domaschnew, 1994b:323-328) ეთნიკურ ჯგუფებში, რომლებიც კომპაქტურად მოსახლეობენ სხვა ენობრივ, უცხოენოვან გარემოში. ცნობილი გერმანისტი პ. ვაიზინგერი აღნიშნავს, რომ ენობრივი კუნძულის ქვეშ იგულისხმება მცირერიცხოვანი ენობრივი კოლექტივი სხვა საზღვრებში, უფრო მსხვილ, უცხოენოვან ტერიტორიაზე (Weisinger, 1983:900-930).

გ. პროტცე ენობრივ კუნძულს განიხილავს როგორც ნაწილს, გამოყოფილს ძირითადი კომპაქტური ენობრივი ტერიტორიიდან უცხო ენითა და კულტურით, რომელიც ამგვარ პირობებში ენობრივი და კულტურული ურთიერთობის თვალსაზ-

რისით საინტერესო თვითმყოფად ცხოვრებას ინარჩუნებს (Protze, 1969:95).

მიუხედავად იმისა, რომ ენობრივი თუ დიალექტური კუნძულის მცხოვრებნი ენობრივი და კულტურული თვალსაზრისით საინტერესო თვითმყოფად ცხოვრებას ინარჩუნებენ, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ ენობრივ კოლექტივებს უკვე ცოტა აქვს საერთო როგორც თავის ენობრივ სამშობლოსთან, ისე თავის გარემომცველ უცხოენოვან სამყაროსთან. ახალ გარემოში, უცხოენოვან სამყაროსთან მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარებისას ამგვარი „კუნძულების" მცხოვრებნი იღებენ ამ ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს და მათს ყოფასა და ენაში დღეს, თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, არათუ ნელ-ნელა, არამედ დაჩქარებული ტემპებით იცვლება ბევრი რამ, რომლებიც თვალშისაცემია ნებისმიერი დამკვირვებლისა თუ მკვლევრისათვის. ამიტომ საჭიროა ისეთი გზებისა თუ საშუალებების ძიება, რომლებიც ხელს უწყობს ეთნიკური ჯგუფის მიერ ენის შენარჩუნებას.

სპეციალურ ლიტერატურაში კარგად არის შეფასებული ის რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემო, რომელშიც ქართველები ცხოვრობდნენ. გასათვალისწინებელია ეთნიკურ ქართველთა ცხოვრების სპეციფიკური პირობები, იმ ჯგუფისა, რომელიც მოწყვეტილია ისტორიულ სამშობლოს, დარღვეული აქვს თავისი ეთნოსის სხვა წევრებისათვის დამახასიათებელი კულტურული სივრცე და კულტურულ ღირებულებათა სისტემა.

სწორედ ამგვარ ენობრივ კუნძულს ქმნიან ისტორიულ სამშობლოს მოწყვეტილი ეთნიკური ქართველები თურქეთში, რომლებიც ახალ ენობრივ გარემოში აღმოჩნდნენ; გარემო, რომელსაც ბუნებრივად უნდა შეეზღუდა ქართული ენის ლექსიკის გამოყენების სფერო თურქული ენის მასალის გამოყენებისა და გაძლიერების ხარჯზე.

რა განაპირობებს ქართული ლექსიკისა და საერთოდ ქართული ენის შენარჩუნებას იმ ხალხის მეტყველებაში, რომლის რამდენიმე თაობა არასოდეს ყოფილა საქართველოში? ამ თვალსაზრისით რამდენიმე გარემოებაა საინტერესო. „სხვადასხვა ხალხების და მათი ენების შერევა-ასიმილაციის ხელისშემშლელ არაერთ ფაქტორზე მიუთითებენ მეცნიერებაში. უპირველეს ყოვლისა, ასახელებენ ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებს. დიდი მთები, ხეობები, განიერი მდინარეები, უდაბნოები... ხელს უშლიდნენ ორი ან რამდენიმე ხალხის (ეთნოსის) ეთნიკურ და ენობრივ კონტაქტებს. იქ, სადაც ასეთი ხელისშემშლელი პირობები არ იყო, ისტორიულად ორი ეთნოსის საკონტაქტო ზონაში ყოველთვის გვქონდა შერეული მოსახლეობა, რაც ხშირად ერთი ეთნოსის მიერ მეორე ეთნოსის ასიმილაციას იწვევდა“ (თოფჩიშვილი, 2005:192-193). ენათა შეურევლობის მიზეზად ბევრ ფაქტორს ასახელებენ, მაგრამ ამჯერად ყურადღებას ერთ ასპექტზე შევაჩერებთ. ეს გახლავთ ლექსიკის სესხების თავისებური ტიპი.

თურქული ენა უკვე განუყოფელი ნაწილია თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფისათვის და მჭიდროდ არის დაკავშირებული ყოველდღიურ ყოფასთან და იმ საგნებისა და მოვლენების ნომინაციასთან, რომლებიც საერთოა ერთ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხისათვის; და მაინც თურქული ენის ლექსიკის გავლენის თვალსაზრისით უნდა გამოიყოს რამდენიმე ჯგუფი:

1. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ლექსიკა, რომელიც უკავშირდება ოფიციალურ სფეროს, საერთო-სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, რომელიც საერთოა ყველა ჯგუფისათვის. ეს ლექსიკური ერთეულებია: *ჯუმჰურიეთი* (cumhuriyet „რესპუბლიკა), *ჰუქუმეთი* (hükümet „ხელისუფლება“, „მთავრობა“), *დევლეთი* („სახელმწიფო“), ვათანი (vatan „სამშობლო“), *ვათანდაში* (vatandaş „მოქალაქე“), *სიიასეთი* (siyaset „პოლიტიკა“), *მაქემე* (makhem „სასამართლო“), *გუმრუქი* (gümrük „საბაჟო“),

*ზაბიტა* (zabita „ინსპექცია“), *ანლაშმა* (anlaşma „შეთანხმება“), *ჰუდუთი* (hudut „საზღვარი“), *დევლეთ ჰასთანე* (devlet hastane „სახელმწიფო საავადმყოფო“), *მექთები* (mektep „სკოლა“), *ჰაქი* (hakkı „უფლება“), *მალი* (mal „ქონება“, „საკუთრება“), *ჟანდარმა* (jandarma „ჟანდარმერია“, „ჟანდარმი“), *რესმი* (resmî „ოფიციალური“, „სახელმწიფოებრივი“), *სეჩიმი* (seçim „არჩევნები“), *რაპორი* (rapor „მოხსენება“), *იზინი* (izin „ნებართვა“, „შვებულება“), *ბელედიე* (belediye „მუნიციპალიტეტი“), *ემნიეთი* (emniyet „უსაფრთხოება“, „უშიშროება“), *სოზლეშმე* (sözleşme „შეთანხმება“, „კონტრაქტი“)...

2. მეორე ჯგუფში თავმოყრილია პროფესიისა და სოციალური სტატუსის აღმნიშვნელი ლექსიკა: *მემური* (memur „ჩინოვნიკი“, „მოსამსახურე“, „თანამდებობის პირი“), *მუდური* (müdür „მმართველი“, „უფროსი“, „დირექტორი“, „ხელმძღვანელი“), *მუხტარი* (muhtar „მამასახლისი“), *იაზარი* (yazar „მწერალი“), *ჰაქიმი* (hakim „მოსამართლე“), *მუენდისი* (mühendis „ინჟინერი“), *ჯერაჰი* (cerrah „ქირურგი“), *ხოჯა* (hoca „მასწავლებელი“, „მოძღვარი“), *ასკერი* (asker „მეომარი“, „ჯარისკაცი“), *უსტა* (usta „ოსტატი“, „სპეციალისტი“, „ხელმარჯვე“, „გამოცდილი“), *ნობეთჩი* (nöbetçi „მორიგე“, „მცველი“), *დაფიჩი* (yapişçisi „მშენებელი“), *დარდიმჩი* (yardımcı „დამხმარე“, „მოადგილე“, „თანაშემწე“), *სინემაჩი* (sinemaci „კინემატოგრაფი“), *ჰემშირე* (hemşire „ექთანი“)...

3. მესამე ჯგუფში გამოიყოფა ვაჭრობასთან, მრეწველობასთან დაკავშირებული ლექსიკა და აგრეთვე ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც უკავშირდება სხვა ეთნოსთან თანაცხოვრებასა და თურქულ ყოფით რეალიებს: *სანაი* (sanayi „მრეწველობა“, „ინდუსტრია“), *მალზემე* (malzeme „მასალა“), *ჰესაბი* (hesap „ანგარიში“), *ფარა* (para „ფული“), *ბორჯი* (borç „ვალი“), *ფაიზი* (faiz „პროცენტი“), *ჰასილი* (hasil „დამუშავებული, რაფინირებული საქონელი“), *თუჯარი* (tüccar „ვაჭარი“), *გეჩიმი* (geçim „საარსებო საშუალება“), *ჲერი* (yer „მიწა“, „ადგილი“), *საჰიბი* (sahip „პატრონი“, „მფლობელი“), *ლოკანტა* (lokanta

„რესტორანი“), *ალიშვერიში* (alişveriş „ყიდვა-გაყიდვა“, „ვაჭრობა“), *ფატურა* (fatura „ანგარიში“), *თალები* (talep „მოთხოვნა“, „კომერციული მოთხოვნა“), *თაქიმი* (takım „ჯგუფი“, „კომპანია“), *თაჰისათი* (tahsisat „კაპიტალდაბანდება“, „დოტაცია“), *თალიმათი* (talimat „ინფრასტრუქტურა“)...

თითქმის საუკუნე გადის ათათურქის რეფორმებიდან, რომლებმაც უზრუნველყო თურქული ენის საყოველთაო გავრცელება თურქეთის მთელ ტერიტორიაზე და, ბუნებრივია, ეთნიკური ჯგუფის ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული სფერო საოჯახო ენით ან კიდევ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ყოფით ვერ შემოიფარგლებოდა. ასეთ პირობებში თურქული ენის ყოვლისმომცველი გავლენა თუნდაც ეთნიკურ ქართველთა იმ თაობაში, რომელსაც თურქულ სკოლაშიც კი არ უვლია, განუზომლად დიდია. ამასთანავე თუ გავითვალისწინებთ ისეთ რეგიონებში ცხოვრებას, რომლებშიც რამდენიმე ეთნოსის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი და სხვადასხვა ენათა თუ დიალექტთა შერევის გარდაუვალი პროცესები მიმდინარეობს, ცხადია, რა სირთულის წინაშე იდგნენ ქართველები, რომელთაც ყველა გზა უნდა მოესინჯათ ეთნიკური სახის შენარჩუნებისთვის. ერთ-ერთ ასეთ ძირითად საშუალებად უნდა დარჩენილიყო ეთნიკური ენის ლექსიკის დიდი ნაწილი, რომელსაც ისინი საოჯახო ყოფასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებდნენ. ეთნიკური ენის ლექსიკის არსებითი ნაწილი უნდა შენარჩუნებულიყო, რადგან თუკი ისტორიულ სამშობლოს მოწყვეტილი ეთნიკური ჯგუფი საოჯახო ყოფასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში ეთნიკური ენის ლექსიკის დიდ ნაწილს ცვლის, იქ ყველა სხვა სისტემურ თავისებურებაზე მსჯელობა, ფონემური შედგენილობა იქნება ეს თუ გრამატიკული წყობა, ყოველგვარ აზრს მოკლებულია.

ამიტომაც ცდილობდნენ ქართველები არ დაერღვიათ ძირითადი ლექსიკური ქსოვილი და თურქული ლექსიკიდან, რომელიც თანდათანობით, მაგრამ მყარად იკიდებდა ფეხს

მათს საოჯახო ყოფასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში, უმეტესწილად ისეთი სიტყვები ესესხებინათ, რომლებიც ახალი რეალობისა და ცნებების ამსახველი იყო. დაკვირვებამ გვიჩვენა, ზღვარი ლექსიკის ამ უბნებს შორის ისეა გავლებული ქართველთა მეტყველებაში, რომ ლექსემები: *დედის ენა, სისხლი, ხორცი, სოფელი, თოვლი, სიცოცხლე, ვაზი, სული, წყალი, ქორწილი, სტუმარი, პური, ყანა, სიკვდილი, სირცხვილი, მთა, კორდი, ხევი, მეზობელი, კაცი, ქალი, დედამთილი, მამამთილი, ბაღვი, პრატი, წისქვილი, ტბა, საბძელი, კარი, ტირილი, დედაბერი, ვარია, მიწა, ფხალლობიად, კერჩხილობიად, კორკოტი, ჭიმური, ჭადი, კეცი, სამზერო, მზითვალი, კრავი, კაკუნა, ნიკორა, ლერწიდოდოფალი, მარწყვი, ჟოლი, ნარკოკობა, ვაშლი, სხალი, ცაცხვი, თელა, წაბლი, თხილი, კაკალი, მაყუალი, ნეკერი, ნაკუერცხალი, ბეღელი, ნალია, ნადი, ხვიმირი, დათვი, (მ)გელი, თაგვი, კორწიალა, წყარო, (რ)ძე, ფაჩხი (ფიჩხი), ციცა, ცეცხლი, ჭიაყელა, გზე, გულული, ცხრილი, გული, თვალი, ოფლი, ღვარი, ღელე-ღურდანი...* და უამრავი ლექსიკური ერთეული, რომლებიც მათი ეთნიკური ენის ლექსიკის ძირითადი ნაწილია, საოჯახო ყოფასა და საკუთარი ეთნიკური ჯგუფის წევრებთან ურთიერთობისას უცვლელია. ეს ლექსიკა კვლავაც მყარი და ჩაუნაცვლებელია თურქული ლექსიკური ერთეულებით. თუ ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალას შევადარებთ შ. ფუტკარაძის მიერ მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ჩაწერილ მასალებში ასახულ ლექსიკას, ამ მხრივ სიტუაცია უცვლელია. ქართველთა განმარტებით ეს სურათი არ უნდა შეიცვალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ენა „გადაირეცხება“, ენის მოშლა ამ პროცესით დაიწყება.

დღეს დიდი სოციალური ცვლილებების ეპოქაში ენობრივი კონტაქტების სოციოლინგვისტურ ასპექტებზე ყურადღების გამახვილება დიდ მნიშვნელობას იძენს. თურქული ლექსიკის სესხების თავისებური ტიპი, რომელმაც უზრუნველყო ქართველთა მეტყველებაში ქართული ენის ლექსიკის შენარჩუნება,

ერთი ასპექტია იმ პროცესისა, რომელიც მიმდინარეობს არა იზოლირებულად, არამედ ცოცხალი და პროდუქტიული ურთიერთობით მეორე ენასთან, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ენობრივი ურთიერთობების რეზულტატის განუმეორებლობას.

# ეთნიკური ენის შენარჩუნების ფაქტორები თურქეთის ქართველებში

ქართული ენა ეთნოსისთვის, ეთნიკური ჯგუფისთვის დამახასიათებელ სხვა მაიდენტიფიცირებელ მარკერებთან ერთად თურქეთის ქართველებს ერთ ეთნიკურ ერთეულად აყალიბებს. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა დღემდე შეინარჩუნეს ქართული ეთნოსისთვის დამახასიათებელი ბევრი ნიშანი, ენა მათთვის განსაკუთრებული კულტურული კონტექსტის მატარებელია.

როგორ შეძლეს თურქეთის ქართველებმა ქართული ენის შენარჩუნება? ქართული ხომ არავითარი ოფიციალური სტატუსით, უპირატესობით არ სარგებლობდა დღემდე თურქეთში?

1. ყველაზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მას იყენებს როგორც ისტორიული საქართველოს ძირძველ ტერიტორიებზე - ტაოში, კლარჯეთში, შავშეთ-იმერჰევში... ასევე თურქეთის სხვადასხვა პროვინციებში - მარმარილოს ზღვისა და სამხრეთ შავიზღვისპირეთის ვრცელ ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკური ქართველები. ქართული საკომუნიკაციო საშუალებაა მთელი ეთნიკური ჯგუფისათვის.

2. ქართული ენა გადაეცემოდა და გადაეცემა ბავშვებს, თაობიდან თაობას. ქართულ ენას აქ ოჯახებში ფუნქციონირება არ შეუწყვეტია.

3. ეთნიკურ ქართველთა ნაწილს არ შეუცვლია საცხოვრებელი ადგილი. ისინი თავიანთი წინაპრების მიწა-წყალზე, საკუთარ ტერიტორიაზე ცხოვრობენ (თურქეთის ეს რეგიონები ისტორიული საქართველოს შემადგენელი ნაწილი და, შესაბამისად, ქართველი ხალხის განსახლების არეალი იყო და არის დღესაც - ტაო, კლარჯეთი, შავშეთ-იმერჰევი...), რისი უტყუარი მოწმეც აქ დღემდე შემორჩენილი ტოპონიმებია, რაც ეთნიკურ ქართველთა ამ რეგიონებთან უეჭველი კავშირის

დამადასტურებელია. აქ დღემდე შემორჩენილია აგრეთვე ისტორიული ციხეები, ქრისტიანული არქიტექტურის უნიკალური ძეგლები, ხიდები, რომელთა სახელები ქართველთა მდიდარი ისტორიული წარსულითაა დატვირთული.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ სხვა ფაქტორებთან ერთად ენა ცოცხალია მანამ, სანამ არსებობას განაგრძობს ტოპონიმებში, სანამ ადგილთა სახელები შემოინახავენ მას. რასაკვირველია, დღეს ადგილთა სახელები ოფიციალურად თურქულია, მაგრამ ტაოში, კლარჯეთში, შავშეთ-იმერჯევში ქართული ტოპონიმიკის მდიდარი პანორამა გვაქვს.

ენა თავისი არსებობის კვალს სუბსტრატის ფორმით ტოვებს, განსაკუთრებით ლექსიკაში (Dimmendaal, 1989:25; Sasse, 1992:18). ქართულ ტოპონიმებს, რომელთაც ველზე მუშაობისას ვიწერდით, ტაოს, კლარჯეთის, ბორჩხის, მურღულის... ყველა სოფელში დიდი რაოდენობით იპოვით: *ქობაჲ, ჴევაჲ, ბალჯი, ბალჯიბარი, ბეგრის წყარო, ბიკრიეთი, ნასელავი, კოხოვრი, გორდნალი, გორდაჲ, ლელევრი, ჭანჭაჯი, კაპანეთი, ფაცაჯი, გორამეთი, ნაფარაჴევი, საკენჭვანი, სერები, წისქვილკარი, ჴერდოჲ, ფესანკარაჲ, წყაროთვალი, მურკივეთი, ცოცხობა, ბოსელთა, კვინტაული, ზედუბანი, ზელიეთი, თხილაზორი, კატაფჯია, კვარჩხანი, კინცხურეთი, კირსა, ნიგია, ომანა, ორჯი, ოფუჯა, ოჭორჯი, საბავრი, უზრუმა, უკარნერე, ქართლა, ღვია, შუახევი, ჩარბიეთი, ჭინკური, ხეგა, ხინწკანა, არჭვა, ბაგა, ადუჩა, აგარა, ბუჯური, გურბენი, დურჩა, დიალეთი, გევლი, გოგლიეთი//გოგილიეთი, ერეგუნა, ისკები, კაბარჯეთი, კასიმეთი, კორიდეთი, ლომეკეთი, ტრაპენი, ქვამჭირეთი, ქობეკეთი, ქამილეთი, ფოროსეთი, ჩხალა, ქორთუკეთი, ქურა, ყავრიეთი, ჭილავრი, ძანცული, წყალყა, ბუდიეთი, ხახური, ხორსოლო, ჯანსული, ხერთვისი, ლაშეთი, ნელათი, ჭალათი, ზვარე, წითელა, მაღნარი, თუალ...*

იმერჯევის სოფლებში იპოვით: *შერთული, შარაბული, სინკოთი, ჩაქველთა, დასამობი, ბრიგალარა, დავლათი, ოთკლდე, სვირევანი, ჯვარისჯევი, ჩიბისჯევი, ბაზგირეთი,*

*ზიოსი, ჯევწვრილი, დაბა, უბე, ჩიჯორი, თეთრაკეთი, არდიასწმინდა, წყალსიმერი, შოლტისჯევი, გზათა, წეთილეთი, ხოხლევი, ზაქიეთი, მაჩხატეთი, მანატბა, აგარა, იმფჯრევლი, ქოქლიეთი, დიობანი, ივეთი, გამეშეთი, დავითეთი, ფარნუჯი, დიდმერე, რიოლეთი, გოგიეთი, გომთა, ჯვარები, ჩიხვტა*; „შავშეთში ოიკონიმები (სოფლის სახელები) მთლიანად ქართული იყო: *ანკლია, ვერხნალი, ზენდაბა, მოქვთა, მორობოზი, მოხოგანი, სინგოთი, ხანთუშეთი, თურმანიძე, ციკეთი*... (თოფჩიშვილი, 2010:143); *ცხრაწყარო, წიქარული, საჭინკე, ნავახტანგული, შინდნარევი, სანაფოტე, ვენახძირაა, სამებათი, წყაროთხევი, ქვიშნობები, წითელაძირი, კარჩხალი, მინდიეთი, ტბათი, გაღმოურიენთი, საკრავე, უწყლოფერდი, შიშველფერდი, მელისაკუნტალაი, საკენჭო, ღარიჰირთი, დიდფერდი, ელიაწმინდა, ნასახლევი, ჩიტიყანა*... (ფუტკარაძე, 1993; ფუტკარაძე, 2007, ცეცხლაძე, 2000).

ისტორიული სამშობლოდან აყრილ და თურქეთის სხვადასხვა რეგიონებში მუჰაჯირობისა და სხვადასხვა პერიოდში გადასახლებულ ქართველებს მარმარილოს ზღვის რეგიონსა და სამხრეთ შავიზღვისპირეთში ისტორიული სამშობლოს ტოპონიმების ანალოგიით ადგილებისთვის ქართული სახელები შეურქმევიათ: *გათუმი, სახლითავი* - ადგილების სახელებად, *გძელიწმინდა* სტამბოლში, ბეიკოზის ერთ-ერთი უბნის სახელად, *გიაურების ყანები, შავი ყანა, ჩავლილი ჭალა* - ყანების სახელებად. მამა-პაპათა მიერ აქ ადგილებისთვის შერქმეული სახელებიდან უხვად დასტურდება: *ნაჰურავი, ნაფეტვარი, ახო//ახოები, ჰლატეები (//ფლატეები), ზომოყანა, აბანო*... ტიპის ტოპონიმები.

ზემოთ ჩამოთვლილი სახელები ამთლიანებს იმ ხალხსა და მიწას, რომლის მკვიდრნიც ისინი არიან. რამდენადაც ენა ეთნიკური იდენტობისა და კულტურული მემკვიდრეობის ცენტრალურ ნაწილად მიიჩნევა, ტოპონიმებით შემონახული და სიცოცხლეგაგრძელებული ენა ერთ-ერთი გზაა ეთნიკური ჯგუფისა და კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად.

4. ფლორისა და ფაუნის, მდინარეებისა და მთების აღსანიშნავად დღემდე ქართული ლექსიკური ერთეულები გამოიყენება. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია სოფლის მდინარის სახელი *პატინა ჭოროხი.*

5. ქართველებით დასახლებული სოფლები ბევრი ლეგენდის, ზღაპრისა თუ სხვადასხვა გადმოცემის სამშობლოა, რომლებიც ეთნიკური ჯგუფის ისტორიის მნიშვნელოვან მომენტებს ასახავს. „შავშელ-იმერხეველებს თამარ მეფე ახსოვთ; მას უკავშირებენ ყველა ხიდის, ციხის აგებას. ისევე როგორც საქართველოს ყველა მხარეში, მიაჩნიათ, რომ თამარ მეფის საფლავი აქ არის. იმერხეველი მთხრობელი გვარწმუნებდა, რომ „სხლობანს წევს თამარა. ველიდან უნდა შეიარო სხლობანს. წამალი უჭამია და იქ დაწოლილა“ (თოფჩიშვილი, 2010:143).

როგორც ნ. დორიანი აღნიშნავს, ეს გადმოცემები, რომლებიც ესოდენ განუზომელი მნიშვნელობის მატარებელი და ფუნდამენტურია ეთნოსის თვითშეგნების გამოსახატავად, უცილობლად საუკეთესო საშუალებაა მისი ბუნების, ხასიათის გადმოსაცემად, თუკი ენა, რომელზეც ეთნოსი მეტყველებდა, სხვა ენითაა ჩანაცვლებული. ასევე უმთავრესი კულტურული მნიშვნელობის საუფლო, ღვთის სადიდებელი, საგალობლების, საგმირო, გენეალოგიასთან დაკავშირებული ამბების, ეთნოსის სულიერი ღირებულებების გამომხატველი კონცეფციების გადმოცემა, რომლებიც წინაპრის ენობრივი მემკვიდრეობით არის მოღწეული, იმავე სიცხადითა და სიღრმით სხვა ენით ძალზე ძნელი ან კიდევ სულაც შეუძლებელია (Dorian, 1999:32).

6. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ეთნიკური ჯგუფის განსახლების სოფლური ბუნება, ურბანული ცენტრებიდან მოშორებით ცხოვრება. ეთნიკურ ჯგუფს, რომელიც ურბანული ცენტრებიდან მოშორებით ბინადრობს, უკეთესი საშუალება ეძლევა ენის შესანარჩუნებლად. როდესაც ეთნიკური ჯგუფი ურბანული ცენტრებისგან იზოლირებული აღარ იქნება, მათს ენაზე

გავლენას სხვა ენა მოახდენს. დღეს თურქეთში ურბანული ცხოვრების სწრაფი და შეუქცევადი ტემპი ამცირებს ქართულ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვს.

*თათრული*, როგორც თვითონ უწოდებენ თურქულ ენას, უფროსი თაობის ქართველებმა ქალაქში ჩამოსვლამდე და სკოლაში წასვლამდე არ იცოდნენ: *მე ქალაქში რომ ჩამოვედი, თათრული არ ვიცოდი.* ხოლო მათზე, ვინც ამბობს, რომ სკოლაში წასვლის დროს თურქული იცოდა, ამბობენ, რომ *ისინი ტყვილობენ* (იტყუებიან). თუმცა გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ სასკოლო ასაკის დადგომისას თურქული ენა არ იცოდა 40 წლის ახალგაზრდების დიდმა ნაწილმაც. ეს ვითარება შენარჩუნდა მანამ, სანამ სოფელი არ მოიშალა და ქალაქში არ გადმობარგდნენ საცხოვრებლად.

ამ პერიოდში კი გაიხსნა საქართველო-თურქეთის საზღვარი, რამაც ენა, ქართველების აზრით, დავიწყების საფრთხისგან იხსნა: *ენის დავიწყობის დროზე გაიხსნა საზღვარი.* საქართველოში მცხოვრები ქართველების საუბრის ყურისგდებისას ამბობენ, რომ *თქვენ ლაპარიკში ასი სიტყვიდან ორმოცს ვგნებულობთ.* უფროსების აზრით, ახალგაზრდებს ქართული არ აინტერესებთ, შვილებმა არ იციან, მაგრამ ცდილობენ შვილიშვილებს დაასწავლონ.

დღეს როცა თურქეთში მცხოვრები ქართველები ამბობენ, ახალგაზრდებმა ქართული არ იციანო, ეს შეიძლება გადაჭარბებულ შეფასებად მიიჩნიოს ბევრმა; მაგრამ ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა არ იცის ეთნიკური ენა ისე, როგორც ის იციან მათმა მამებმა და მეორეც, მათი წილი საგრძნობლად მცირეა უკვე. ეს არის მათი გულისწუხილი და საფიქრალი. მართალია, დღეს ბევრი ცდილობს ქართულის სწავლას, მაგრამ მათი რაოდენობა იქ მცხოვრები ახალგაზრდა ქართველების ნახევარიც არ იქნება. ზემოთქმული სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მათი ეთნიკური ცნობიერება, თვითაღქმა ამ ციფრის პირდაპირპროპორციული იქნება. მათი უდიდესი ნაწილი,

ენის არცოდნის მიუხედავად, თავისი შთამომავლობით ქართველი//გურჯი იქნება.

7. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ენის შენარჩუნებას უზრუნველყოფს, ამ ენაზე მოლაპარაკეთა კონცენტრაციის ფაქტორია (Fishman, 1972:126; Edwards, 1992:50; Mesthrie, 1994; Bradley, 1998:54). ეთნიკური ჯგუფი კონცენტრირებული, კომპაქტურად დასახლებული უკეთ ინახავს ენას, ვიდრე იმავე რაოდენობის ჯგუფი სხვადასხვა ადგილზე გაფანტული. სხვადასხვა ადგილას გაფანტული ხალხი ამცირებს შესაძლებლობას ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის გადაცემისა იმ ენით, რომელზეც საუბრობენ. ქართველები თურქეთში ყველგან კომპაქტურად სახლობენ, როგორც თავიანთ ისტორიულ მიწა-წყალზე, ასევე თურქეთის სხვადასხვა რეგიონებში, თან მათ მიერ დასახლებულ სოფლებში სხვა ეთნიკური ჯგუფის წევრები ვერ სახლდებიან, სოფლებს *გარევლ არ გახდიან*, ამიტომ მათ მიერ ათვისებულ ადგილებში სოფელი თელი გურჯია, რითაც ეთნიკურ და ენობრივ იდენტობას ინახავენ.

8. ეთნიკურ ქართველთა ცხოვრების წესი: ქართველებმა შეინარჩუნეს ცხოვრების ტრადიციული წესი, რომელიც აგრეთვე უკეთ ინახავს ენას: „შავშეთ-იმერხევი ეთნოგრაფიულად ძალიან ჰგავს აჭარას. პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ სამეურნეო ყოფა თითქმის ანალოგიურია. ხნავდნენ ხის სახვნელით, რომელსაც აქ „არუნას“ უწოდებდნენ. მასში უღელ ხარს აბამდნენ... საცხოვრებელი სახლები ხისგან იყო და დღესაც არის აშენებული. მისი პირველი სართული საქონლისთვის იყო განკუთვნილი და მას *ახორი* ეწოდებოდა. მეორე სართული საცხოვრებელი იყო, ხოლო მესამე დაბალი სართული ორი ნაწილისგან შედგებოდა ერთ ნაწილს ერქვა „მარანი“, მეორეს - „ბეღელი“... იმერხევში ბოლო დრომდე აკეთებდნენ ჭურებს... შავშეთ-იმერხევში პურს, ჩვეულებრივ, კეცებში აცხობდნენ... ეთნოგრაფიული მასალებით დას-

ტურდება დიდი ოჯახების არსებობა“ (თოფჩიშვილი, 2010:143-145).

9. ქორწინების ფორმა: ადრე ქართველები ცდილობდნენ ქართველებზე დაქორწინებულიყვნენ, დღეს კი ახალგაზრდები უკვე სხვა ეთნიკური ჯგუფის წევრებზეც ქორწინდებიან: *ენ წინ ამ მაჰალეში სხვა გოგოს არ ითხოვდნენ. მე ქართველი გოლინები მინდოდა, არ ითხუეს. ახლა ბადიშს ვეხვეწები, გათუმიდან მეიყვანოს.* შერეული ქორწინება იმ რიგის ფაქტებთან ერთად განიხილება, რომლებიც საფრთხეს უქმნის ენას (Schmidt, 1990:15; Zepeda, Jane, 1991:138,141; Dixon, 1991:245; Campbell, 1994:196; Brezinger, 1997:276; Crawford, 1997:57; Kane, 1997:241). ცხადია, ერთი ენობრივი ჯგუფის წევრებს შორის ქორწინებას დიდი წვლილი შეაქვს ეთნიკური ჯგუფის ენის გადარჩენის საქმეში, რასაც შერეული ქორწინების შემთხვევებზე ვერ ვიტყვით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ისტორია და ენა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. ენა აკავშირებს მათ თავიანთ ისტორიასთან, წარსულთან, რომელიც აურაცხელი ბრძოლებისა და ომების მატიანეა.

ენა მათი კულტურაა. როგორც ფიშმანი აღნიშნავს, კულტურის უდიდესი ნაწილი ენაშია და გამოხატულია ენით (Fishman, 1972:128).

განუზომელია თურქეთში მცხოვრებ ქართველთათვის ეთნიკური ენის - ქართული ენის მნიშვნელობა, რომელიც მაინტეგრირებელ როლს ასრულებს მათთვის. ქართულ ენას აქ სიმბოლური დატვირთვა აქვს, ის თავისი ინტეგრაციული ფუნქციით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართველთა დღემდე მოღწევა-გადარჩენისა და იერ-სახის შენარჩუნებისთვის.

P.S. დიდ მუშაობას ეწევიან ქართული დიასპორის მიერ კომპაქტური დასახლებების ადგილებში შექმნილი კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოებები: სტამბოლის *ქართუ-*

*ლი კულტურის ცენტრი* (თავმჯდომარე ფეჰმი უზალი-უსტიაშვილი - Fehmi Uzal), ტუფან შაფაკ ლომინაძე (Tufan Şafak Lominadze), სეზენ გონენჯ ოქჯანი (Sezen Gonenc Okcan), *ქართული კულტურის სახლი* (თავმჯდომარე ერდალ ქუჩუკი-ელიზბარ ცივნარიძე - Erdal Küçük), მოადგილე ნური ანარი (დუმბაძე - Nuri Anar)), *ქართული ხელოვნების სახლი* (იბერია ოზქან მელაშვილი - İberia Özkan), *საქართველოსთან მეგობრობის საზოგადოება* (თავმჯდომარე ალი რიზა ალთუნელი - Ali Riza Altunel), *თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდი* (გენერალური დირექტორი მევლუდ ართვინლი - Mevlüt Artvinli, მმართველი საბჭოს შემადგენლობაში შედიან თურქეთის ცნობილი ბიზნესმენები, საზოგადო მოღვაწეები: ისმეთ აჯარი - İsmet Acar, ერგუნ ათაბაი - Ergun Atabay, ალი ნიჰათ გოქიითი - Ali Nihat Gökyiğit), *სტამბოლის ქართული სავანე*, რომელსაც სიმონ ზაზაძე (Simon Zazadze) ხელმძღვანელობდა.

*სინოპის ქართული კულტურისა და მეგობრობის საზოგადოება* (თამჯდომარე სელამეთინ უნალი - Selamettin Ünal), *ბათუმ-აჭარის სოციალური ურთიერთდახმარებისა და სოლიდარობის საზოგადოება* (თავმჯდომარე ადემ იაზიჯი - Adem Yazıcı), *უნიეს აჭარელ ქართველთა მეგობრობისა და კულტურის საზოგადოება* (თავმჯდომარე მემედ ალი გურსოი - Mehmet Ali Gürsoy) და სხვ. დიდი მუშაობა გასწია მწერალმა ქევსერ რუჰიმ (Kevser Ruhi), რომელმაც მოამზადა თურქეთის განათლების სამინისტროსთვის ქართული ენის სწავლების პროგრამა, რითაც ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა მოხდა და თურქეთის ქართველებს მშობლიური ენის სკოლაში შესწავლის შესაძლებლობა მიეცათ.

*ინეგოლის კავკასიური ფოკლორის საზოგადოება* (თავმჯდომარე ომერ ფარუკ დემირტაში - Ömer Faruk Demirtaş), *ქოჯაელის ქართულ-კავკასიური კულტურის ცენტრი* (ხელმძღვანელი აბდულლაჰ ზორლუ Abdullah Zorlu), *დუზჯეს ქართული კულტურის საზოგადოება* (თავმჯდომარე აიდინ

კუბილაი - Aydın Kubilay), *გოლჯუქის კავკასიური კულტურისა და თანადგომის საზოგადოება* (თავმჯდომარე მურათ სევიმი - Murat Sevim), *ორჰანგაზის კავკასიური კულტურისა და თანადგომის საზოგადოება* (თავმჯდომარე ზექერია კაფლანი - Zekeriya Kaplan), *იზნიქის გათუმელთა კავკასიური საზოგადოება* (თავმჯდომარე ქადირ იუქსექი - Kadır Yüksek), *ჰენდექის გათუმელთა კულტურის საზოგადოება* (თავმჯდომარე ჯიჰათ ფეჰლივანი - Cihat Pehlivan), *ადაფაზარის (საქარია) ქართული თემი* (ხელმძღვანელები ერდოღან შენოლი - Erdoğan Şenol, მედიჰა ილდიზი - Mediha Yıldız, ფევზი ჩელები - Fevzi Çelebi) (წურწუმია, 2016: 271-273).

## Georgians in Turkey – Language Situation

## Resume

The following book is a detail account of the history of ethnic Georgians in Turkey, it is an attempt to draw out the role of language and ethnicity in this group.

Traditionally, the Georgian people inhabited Georgia, as well as Turkey, Iran and Azerbaijan.

The people called Georgians are mother-tongue speakers of Georgian language. Due to some historical and political factors, a fair number of Georgians for centuries has been living in Turkey. It is surprisingly, that Georgians the ethnic language, they used, had survived for so long and completely its original Georgian character. Georgian language still survives in Turkey in spite of centuries of oppression.

It is hard to know precisely how many people speak the Georgian language in Turkey.

The majority of those who speak Georgian language live in the historical-ethnographic parts of Georgia: Imerkhevi, Tao, Klarjeti, Shavsheti, Erusheti, Kola, Artaani, as well as in Marmara Sea and South Black Sea Regions, in urban and industrial areas: Istanbul, Ankara, Hendek, Adafazari, Karasu, Kocaali, Arifiye, Sapanja, Geyve, Akyazi, Karapurchek, Bursa, Inegol, Gemlik, Iznik, Izmit, Golchuk, Gonen, Giresun, Gyorele, Tirebolu, Espre, Bulanjak, Pirazis, Ordu, Giolkoy, Korgan, Patsa, Unye, Chaybash, Samsun, Terme, Sali Pazar, Charshamba, Tepekoy, Sinop, Gerze, Erfelek, Ayanjik...

Language situation in the above-mentioned regions has been researched under the guidance of the following scheme: self-identification of the ethnic group, language identification of the given ethnic group, geographic description of the research territory, main characteristics of

the landscape, statistic data of the population – number of population according to the regions, number of speakers who considers the Georgian as the native language, main linguistic characteristics: phonetics, morphology, syntax, language contacts with other ethnic groups.

The ethnic Georgians identified themselves as the citizens of Turkey and ethnic *Gurjis* (resp.: *Georgians*). In this way they could distance themselves from the other Georgians, living in Georgia. Opening the frontiers in 1990s, the ethnic group began to identify themselves with the ethnonym *Georgian*, having a sense of historical continuity, that is more powerful than time.

All ethnic Georgians in Turkey are bilingual, speaking both Turkish and Georgian languages.

In the process of the Turkish-only policy *Gurjija* (resp.: the Georgian language) is *ana dilim* (resp.: mother tongue) and *turkche is mili dilim* (resp.: state language) for the ethnic Georgians. They consider themselves to be the inhabitants of this historical land.

Ethnic Georgians are known here primarily by their use of language, traditions, life-style, songs and dances.

Georgian language serves as an identity marker here and like other traditional things (houses, cuisine, working tools ...) identifies the people who belong to a certain group. Although many things, behaviors can mark identity, language is the only one for ethnic Georgians that usually carries extensive cultural context.

The question to ask is: how they have been successful in retaining their language? Georgian language has no official standing, no social dominance in Turkey?

1. Perhaps the most important is use of language in the ethnic group as a whole. Georgian language is used as the vehicle of communication in the ethnic group as a whole.

2. Georgian language is transmitted to children, it is learned by children in a fair number of families. If a given language is no longer transmitted to the children of the ethnic group as a whole it may be considered dead. Georgian language did not cease to be used in families here.

3. The part of ethnic Georgians have not changed the territory. They live in their traditional territory (those were the part of Georgia before). They still occupies its traditional land, therefore geographical features have Georgian language names that reflect the ethnic Georgians connection to the region. There are historical castles, cathedrals, chapels in the villages which also have names rich in meaning and history for the ethnic Georgians.

It should be noted that language is alive as long as it survives in place names. Indeed officially the place names are Turkish now. But historical parts of Georgia: Imerkhevi, Tao, Klarjeti, Shavsheti, Erusheti, Kola, Artaani are home to a rich panorama of Georgian place names.

Place names of Georgian origin are found in every village. These names embraces the land and the people as one. Georgian language is considered to be a very central part of their cultural heritage and ethnic identity and language survives in place names is one of the ways to maintain their heritage and identity in terms of language.

4. The plants, animals, mountains, rivers have Georgian names that suggest their local use.

5. The villages of ethnic Georgians are home to many myths, legends, stories and tales that relate important points in the group's history.

6. It is important to point out ethnic group's rural nature of residence. There was a distance from urban centers. The ethnic group in isolation from cities has a better chance of maintaining its language. The situation has been changed recently.

7. One of the first thing that provides language maintenance there is a factor of concentration, dispersion of speakers. The concentrated ethnic

Georgians with a dense population better preserves its language.

8. Life ways of ethnic Georgians: ethnic Georgians retain its traditional way of life that preserves its language better.

9. Marriage patterns: intermarriage has not been common among Georgians. Marriage between members of the same language group is more likely to contribute towards the presentation of the language concerned than a mixed marriage. The situation seems to have been mixed marriage here, but it has not been common among the ethnic Georgians.

Why do ethnic Georgians save their language since they have no political, economic or global relevance? Because the value of traditional language is in integrative function. Georgian language has a symbolic value, an integrative function in that it plays an important role in maintaining the group's identity.

All toponyms appear to be the Georgian in the historical parts of Georgia.

The basic lexis is completely preserved, grammatical structure is invariable; the ability to create new words by the patterns and affixes, characterizing for the ethnic language, is very interesting; the ethnic Moslem Georgians preserve lexis related to Christianity in their speech.

The elder generation speak the pure Georgian language. Most of them have never been to Georgia and have learned the Turkish language only at school.

Due to unceasing urbanization process, after 20-30 years the state of the ethnic language knowledge will be deplorable. But relation of any ethnic group to the ethnic language is unique in every case. So no one can assert convincingly what will be changed in the life of the ethnic group, how it will change its relation to the language. Social nets and relations with the historical homeland are the excellent examples by which many ethnic Georgians have learned or improved the knowledge of the ethnic language. In addition to this, in 2015 in Turkey a law was

passed by which Georgian language will be learned at school, if there is considerable number of ethnic Georgian pupils.

According to ethnic Georgians in Turkey, people, history and language are closely connected here. They know who they are by the language they speak. It joins them to their history and their past which is so full of struggles. **Language is their culture and future.**

# გამოყენებული ლიტერატურა:


1. აფრიდონიძე, 1989 - შ. აფრიდონიძე, რთული შედგენილობის მიკროტოპონიმთა მართლწერისათვის. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი V, გამომცემლობა *მეცნიერება*, თბ., 1983, გვ. 48-58.

2. ბაგრატიონი, 1941 - ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოს, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, გამომცემლობა *საბჭოთა საქართველო*, თბ., 1941.

3. ბერიძე, 1988 - გრ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, გამომცემლობა *საბჭოთა საქართველო*, თბილისი, 1988.

4. ბერიძე, 2009 - ე. ბერიძე, ნიგალის ორი სოფელი, ჩვენი სულიერების ბალავარი, *შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის* გამომცემლობა, ბათუმი, 2009.

5. ბერიძე, 2012 - მ. ბერიძე, ზველი და მისი შემოგარენი, *ახალციხის უნივერსიტეტის გამომცემლობა*, ახალციხე, 2012.

6. ბერიძე, 2009 - მ. ბერიძე, თურქეთში შემორჩენილი ქართული ტოპონიმები, გამომცემლობა *ნეკერი*, თბილისი, 2009.

7. ბრედლი, 1998 – D. Bradley, Minority language policy and endangered languages in China and Southeast Asia. In: *Studies in endangered languages*, Kazuto Matsumura (ed.), Tokyo: *Hituzi Syobo*, 1998, pp. 49-83.

8. ბრეზინგერი, 1997 – M. Brezinger, Language contact and language displacement. In *The handbook of Sociolinguistics*, F. Coulmas (ed.), Malden: *Blackwell*, 1997, pp. 273-85.

9. გაჩეჩილაძე, 1972 - რ. გაჩეჩილაძე, ქართული მოსახლეობა თანამედროვე თურქეთში, კრებული *მიმომხილველი*, 6-9, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა*, თბ., 1972.

10. გეორგიკა, 1952 - გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, ნაკვ. II, გამოცემა, თარგმანი და განმარტებები ს. ყაუხჩიშვილისა, *საქართველოს სსრ*

*მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა და სტამბა*, თბ., 1952.

11. გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961 - ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა*, თბ., 1961.

12. გოგებაშვილი, 1958 - ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 6. *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა*, თბ., 1958.

13. დადიანი, 2014 - ე. დადიანი, სოფელ ქვაბაის (თურქ. იუქსექობა) ტოპონიმია. ონომასტიკური კრებული, *სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა*, ახალციხე, 2014, გვ. 49-61.

14. დე ვოსი, 1975 – G. De Vos, Ethnic Pluralism: Conflict and Accomodation. In Ethnic Identity: Cultural Continuities and Change, G. De Vos and L. Romanucci-Ross (ed.), California: *Palo Alto: Mayfild Publishing Company*, 1975, p. 9.

15. დიქსონი, 1991 – R. M. W. Dixon, The endangered languages of Australia, Indonesia and Oceania. In *Endagered Languages*, R. H. Robins and E. Uhlenbek (eds.), Oxford and New York: *Berg*, 1991, p. 245.

16. დიმენდაალი, 1989 – G. J. Dimmendaal, On Language death in Eastern Africa. In *Investigating obsolence: Studies in language contraction and death (Studies in the Social and Cultural Foundations of Language 7)*, N. Dorian (ed.), Campridge: *Cambridge University Press*, 1989, pp. 1-25.

17. დომაშნევი, 1994 – A. Domaschnew, Deutsche Mundarten in Rußland. Zur Erforschung russiche. Spra-cheinflüsse auf die rußlanddeutsche Mundarten//Zeitschrift für germanistische Linguistik. 22. München, 1994(b), S. 320-333.

18. დომაშნევი, ბუიუკლიანი, 2002 - А. Домашнев, М. Буюклян, Влияние На Островной Язык (Диалект) Инонационального Языка Окружения, Встречи Этнических Культур В Зеркале Языка, *Наука*, Москва, 2002, стр. 202-205.

19. დორიანი, 1973 – N. C. Dorian, Grammatical change in a dying dialect. Language, 49 (2), pp. 413-438, 1973.

20. დორიანი, 1978 - N. C. Dorian, The Fate of Morphological complexity in language death: Evidence from East Sutherland Gaelic. Language 54 (3), pp. 590-609, 1978.

21. დორიანი, 1999 - N. C. Dorian, Linguistic and Ethnographic Fieldwork. In *Handbook of Language and Ethnic Identity*, J. A. Fishman (ed.), New York and Oxford, *Oxford University Press*, 1999, pp. 25-41.

22. დროება, 1880, 1882 – გაზეთი „დროება", 1880, № 100; 1882 № 38.

23. ედვარდსი, 1992 – J. Edwards, Sociopolitical aspects of language maintenance and loss: Towards a typology of minority language situations. In *Maintenance and loss of minority languages*, W. Fase, K. Jaspaert and S. Kroon (eds.), Amsterdam, *John Benjamins*, pp. 37-55.

24. ვაიზინგერი, 1983 – P. Wiesinger, Deutsche Dialekte biete außerhalb des deutschen Sprachgebiets: Mittel – Südost und Osteuropa (mit einem Anhang von Heinz Kloß)//Dialektologie. Ein Handbuch zur deutschen und allgemeinen Dialektforschung, Zweiter Halbband, Berlin, New York: *Walter de Gruiter Verlag*, 1983, S. 900-930.

25. ვორდჰოფი, 1987 – R. Wardhaugh, Languages in competition: Dominance, Diversity and Decline, Oxford, UK, New York, NY, USA, B. Blackwell, London, England: A. Deutch (Basil Blackwell in Association with Andre Deutsch), 1987.

26. ზეპედა, ჯანი, 1991 – O. Zepeda, H. H. Jane, The conditions of Native American Languages in the Unitied States. In *Endagered Languages*, R. H. Robins and E. Uhlenbek (eds.), Oxford and New York: *Berg*, 1991, pp. 135-155.

27. თოფურია, 1925 - ვ. თოფურია, ქართლური, *არილი*, ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული, *ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა*, ტფილისი, 1925.

28. თოფჩიშვილი, 2005 რ. თოფჩიშვილი, ეთნოისტორიული ეტიუდები, წიგნი I, გამომცემლობა *ენა და კულტურა*, თბ., 2005.

29. თოფჩიშვილი, 2010 - რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, გამომცემლობა *უნივერსალი*, თბ., 2010.

30. იმნაიშვილი, 1974 - გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, გამომცემლობა *მეცნიერება*, თბ., 1974.

31. იმნაიშვილი, 1988 - გრ. იმნაიშვილი, ძველი ქართული ენის საყრდენი დიალექტის ზოლური სხვაობების ისტორიისათვის, იკე, ტ. 27, გამომცემლობა *მეცნიერება*, თბ., 1988.

32. იმნაიშვილი, 1982 - ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა*, თბ., 1982.

33. Кавказский Календарь, 1910 – Кавказский Календарь, Тифлись, 1910.

34. კალანდია, 2010 - გ. კალანდია, აჰმედ მელაშვილი - ჩვენებურთა ბელადი, გამომცემლობა *შპს სეზანი*, თბ., 2010.

35. კახიძე, 2008 - ნ. კახიძე, მუჰაჯირობის ასახვა ქართულ პრესაში (გაზეთ „დროებაში" აჭარაზე დაცული ცნობების მიხედვით), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები, II, *შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის* გამომცემლობა, ბათუმი, 2008.

36. კემპბელი, 1994 – L. Campbell, Language death. In *The Encyclopedia of Language and Linguistics*, R. E. Asher & J. M. Y. Sympson (eds.), Vol. 4, Oxford, New York: *Pergamon Press*, 1994, pp. 1960-1968.

37. კეინი, 1997 – D. Kane, Language death and language revivalism: the case of Manchu. Central Asiatic Journal, 1997, pp. 231-249.

38. კრაუსი, 2001 – M. Krauss, Mass language extinction, and documentation: The race against time. In *Lectures on Endangered Languages: 2 – from Kyoto conference 2000* (Endangered Languages of the Pacific Rim C002), Osamy Sakiyama (ed.), Osaka: Osaka Gakuin University, 2001.

39. კროუფორდი, 1996 – J. Crawford, Seven hypotheses on language loss: Causes and cures. In *Stabilizing indigenous languages*,

Gina Cantoni (ed.), Flagstaff: Center for Exellence in Education, *Northen Arizona University*, 1996, pp. 51-68.

40. ლომსაძე, 1979 - შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები, გამომცემლობა *მეცნიერება*, თბ., 1979.

41. Марр, 1910 – Марр Н. Дневник поездки в Шавшетию и Кладжетию, см. Тексти и разыскания по армяно-грузинской филологии. Кн. 7. С.-Петербург. 1910.

42. მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956 - ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა*, თბ., 1956.

43. მარტიროსოვი, 1972 - ა. მარტიროსოვი, ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა*, თბ., 1972.

44. მეგრელიძე, 1964 - შ. მეგრელიძე, აჭარის წარსულიდან, გამომცემლობა *საბჭოთა საქართველო*, თბ., 1964.

45. მესთრი, 1994 – R. Mesthrie, Language maintenance, shift and death. In *The Encyclopedia of Language and Linguistics*, R. E. Asher et al (eds.), Vol. 4, Oxford, New York: *Pergamon Press*, 1994, pp. 1988-1993.

46. ნიჟარაძე, 1961 – შ. ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, გამომცემლობა *საბჭოთა აჭარა*, ბათუმი, 1961.

47. ორბელიანი, 1991 - ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, გამომცემლობა *მერანი*, თბ., 1991.

48. ორბელიანი, 1993 - ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, გამომცემლობა *მერანი*, თბ., 1993.

49. პაული, 1991 – A. Pawley, Vanishing languages of the Pacific: What price progress? Slightly revised text of seminar talk to Department of linguistics, The Faculties. The Australian National University, April 3, 1991, 7.

50. პროტცე, 1969 – H. Protze, Die Bedeutung von Mundart, Umgangssprache und der Hochsprache in deutschen Sprachinseln

unter Berücksichtigung sprachlicher Interferenz//Wissenschaftiche Zeitschrift der Universität Rostock, 1969, Gessellschafts- und sprachwissenschaftliche Reiche. Heft 6-7. S. 595-600.

51. პტოლემაიოსი, 1955 - კ. პტოლემაიოსი, გეოგრაფიული სახელმძღვანელო, ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი და განმარტებები ნ. ლომოურისა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა*, თბ., 1955.

52. როგავა, 1945 - გ. როგავა, აორისტისა და კავშირებით მეორის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის „ევ" სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში, სმამ, 6, № 8, თბ., *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა*, 1945.

53. რუშდი, 1989 (a) – A. Rouchdy, Persistance or tip in Egyptian Nubian. In *Investigating Obsolescence. Studies in Language Contraction and Death*, Nancy C. Dorian (ed.), *Cambridge University Press*, Cambridge, 1989 (a), pp. 91-102.

54. Свод статистических данных о населении Закавказского Края извлеченных из посемейных списков, Тифлись, 1893.

55. სპოლსკი, 1995 – B. Spolsky, Conditions for language revitalization: A comparison of the cases of Hebrew and Maori. Current Issues in Language and Society 2(3), 1995, p. 177-201.

56. ტაბიძე, 2005 - მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, გამომცემლობა *ქართული ენა*, თბ., 2005.

57. Taoklarjeti.com/index.php,history/geography-of-tao-klarjeti

58. ფაღავა, 2013 - მ. ფაღავა, შავშური ჩანაწერები, გამომცემლობა *ჰოროსი XXI*, თბილისი, 2013.

59. ფიშმანი, 1972 – J. A. Fishman, Language and Nationalism: Two Integrative Essays, Rowley, Mass.: Newbury House Punlishers, 1972, pp. 126-127.

60. ფიშმანი, 1977 – J. A. Fishman, Language and Etnicity. In *Language, Ethnicity and Intergroup Relations*, Howard Giles (ed.), London: Academic Press, 1977, pp. 15-27.

61. ფიშმანი, 1985 – J. A. Fishman, Language maintenance and

ethnicity. In *The Rise and Fall of the Ethnic Revival: Perspectives on Language and Ethnicity* (Joshua A. Fishman et al.), Berlin: Mouton de Gruyter, 1985.

62. ფიშმანი, 1999 – J. A. Fishman, Sociolinguistics. In *Handbook of Language and Ethnic Identity* (ed. Joshua A. Fishman), New York: Oxford University Press, 1999.

63. ფუტკარაძე, 1993 - შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, I, ბათუმი, *აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა,* 1993.

64. ფუტკარაძე, 1993 შ. ფუტკარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით. სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართველურ ენათა განყოფილება; შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 1993.

65. ფუტკარაძე, 2007 - ტ. ფუტკარაძე, იმერხევის მეტყველი მიწა-წყალი, *ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა,* ქუთაისი, 2007.

66. ქც 1955 - ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, *სახელგამი,* თბ., 1955.

67. ღლონტი, 1975 - ალ. ღლონტი, მცხეთის ტოპონიმია, *საბჭოთა საქართველო,* თბ., 1975.

68. ღლონტი, 1983 - ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები, *საბჭოთა საქართველო,* თბ., 1983.

69. ყაზბეგი, 1995 - გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, გამომცემლობა *აჭარა,* ბათუმი, 1995.

70. Шанидзе, 1957 – Шанидзе А. Принципи класификации грузинских диалектов. Труды обьединенной научной сессии Академии Наук Закавказских республик по общественным наукам. Баку. 1957, стр. 828-832.

71. შმიდტი, 1990 – A. Schmidt. The loss of Australia's Aboriginal Language Heritage. Canberra: Aboriginal Studies Press, 15, 1990.

72. შოშიტაშვილი, 2014 ნ. შოშიტაშვილი, სამეურნეო-ყოფითი კულტურა შავშეთ-იმერხევში. ზაქარია ჭიჭინაძის 160 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, 27-29 ივნისი, 2014, გვ. 83-84.

73. ჩიქობავა, 1936 - არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, *სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, სახელგამის მე-3 სტამბა*, ტფ., 1936.

74. ჩოხარაძე, 2009 - მ. ჩოხარაძე, ქართული ენა და ეროვნული იდენტობის ზოგიერთი საკითხი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, ჩვენი სულიერების ბალავარი, ბალავარი, ბათუმი, 2009.

75. ცეცხლაძე, 2000 - ნ. ცეცხლაძე, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათუმი, გამომცემლობა *აჭარა*, 2000.

76. ცეცხლაძე, 2004 – ნ. ცეცხლაძე, ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმიიდან, გამომცემლობა *აჭარა*, ბათუმი, 2004.

77. Tsunoda, 2006 – T. Tsunoda, Language Endangerment and Language Revitalization. An Introduction. Mouton de Gruyter, Berlin-New-York, 2006.

78. ძიძიგური, 1970 - შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა*, თბ., 1970.

79. ძოწენიძე, 1973 - ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა*, თბ., 1973.

80. წურწუმია, 2016 - ზ. წურწუმია, თურქეთელი ქართველები, აფხაზები და ლაზები დღეს, ქართული ალმანახი, ტომი I, *მირკანი*, თბ., 2016.

81. ჭიჭინაძე, 1912 - ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში, მუჰაჯირი-ემიგრაცია, *ი. ა. მანსვეტაშ-*

*ვილის გამოცემა, არ. კერესელიძის სტამბა*, თფ., 1912.

82. ჯიქია, 1950 - ს. ჯიქია, სამცხე-სათაბაგოს ტოპონიმიკისა და ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი, სტალინის სახელობის თსუ შრომები, XLI, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა*, თბ., 1950.

83. ჯორბენაძე, 1989 - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, *მეცნიერება*, თბ., 1989.

84. ხორავა, 2014 - ბ. ხორავა, აფხაზთა მუჰაჯირობა, გამომცემლობა *არტანუჯი*, თბილისი, 2014.

85. ხუბუა, 1932 - მ. ხუბუა, ზემოაჭარულის ენობრივი მიმოხილვა, ბათომი, 1932.

# მთხრობელები და ინფორმატორები:

ნური გუნეში (Nuri Güneş - 70 წლის), ისმაილ ფანჩიძე (Ismail Yılmaz-82 წლის), Ayhan Işık (ბადრი იშხნელი, 41 წლის), საბით აიდინი (Sabit Aydın - 84 წლის), ათანურ აქილდიზი (Atanur Akyıldız – 58 წლის), ნაზირ აქილდიზი (Nazır Akyıldız – 53 წლის), ისმაილ დავლაძე (Ismail Yazıcı - 62 წლის), აიშე ორალი (Ayşe Oral – 72 წლის), აჰმეთ თემური (Ahmet Temur – 53 წლის), ბაჰატინ ორალი (Bahatin Oral -68 წლის), იზაფეტინ არსლანი (Izapettin Arslan – 48 წლის), ენდემ არსლანი (Endem Arslan – 70 წლის), ნესიმე გუნეში (Nesime Güneş - 85 წლის), არსლან ჯაჰითი (Arslan Cahit – 66 წლის), ეროლ არსლანი (Erol Arslan – 52 წლის), ქენან იაშარი (Kenan Yaşar- 42 წლის), ერდემ იაშარი (Erdem Yaşar – 35 წლის), გალიფ ქარცივაძე - 37 წლის, ზექიე ქურდიკიძე 38 წლის), ზოჰრე თემური (Zohre Temur (51 წლის)...

შადი კავაზოღლი (Şadı Kavazoğlu – 68 წლის), შაჰინ ყავაზიშვილი, მიქელაძე (Şahin Kavazoğlu - 74 წლის), ასიეთ ტონიაოღლი (Asyet Tonyaoğlu – 72 წლის), ქენან ჩავუშოღლი (Kenan Çavuşoğlu), სადიკ ოზერი (Sadık Özer – 61 წლის), Erdal Kılıç (ხუნდაძე), ფატმა ღვედ-ოღლი (Fatma Çılıngır – 47 წლის), კადირ ილმაზი (Kadır Yılmaz), ნური ილმაზი (Nuri Yılmaz – 74 წლის), ჯემილ ილდირიმი (Cemil Yıldirim – 78 წლის), ნაზიე გუნაი (Nazye Günay).

ისმაილ თურგუთი (Ismaıl Turğut – 83 წლის), ჰაჯი ალი აიდინი (Haci Ali Aydin – 83 წლის), რეჯებ ჩილინგირი (Recep Çilingir – 43 წლის), იქმეთ დეღიკიძე (Ikmet Keskin – 70 წლის), ილმაზ თურქი (Yılmas Türk – 60 წლის), აიჰან აიდინი (Ayhan Aydin – 48 წლის), ჰასან აიდინი (Hasan Ayıdin – 38 წლის), ოსმან ქერესთეჯი (Osman Kerestec – 52 წლის), მევლუდ გოქდემირი (Mevlut Gökdemir – 48 წლის), შერიფ ქესქინი (Şerif Keskin),

ფატუმ ჩავუშოღლი (Fatume Çavuşoğlü- 83 წლის), სამიე შეიხოღლი (Samiye Şeyhoğlü – 73 წლის)...

Tufan Şafak Lominadze (ტუფან ლომინაძე, 57 წლის), Fefmi Uzal (უსტიაშვილი, 54 წლის), Kamil Olgun (თავადიძე, 72 წლის), Abdullah Zörlü (არჩილ ზოიძე, 42 წლის), Ali Riza Altun (დარბაზიშვილი), Ismet Midiloğlu (მედელაშვილი, 71 წლის), Mehmet Ütü (უთუ-ოღლი, ბერიძე, 56 წლის), Osman Öztürk (ხოხოტაიშვილი, 64 წლის), Osman Delaloğlu (ნაგერვაძე, 87 წლის), Ahmet Küyüncu (დევაძე, 82 წლის), Ahmet Güvenkaya (ბეჟანიძე, 75 წლის), Adem Yazici (50 წლის), Adem Ylmaz (62 წლის), Ömer Ylmaz (ვაშალომიძე, 99 წლის), Caviz Genc (ბერიძე, იხტერ-ოღლი, 75 წლის), ფატმა გენჩი (წლის), Recep Özer, Selamet Aıdın, Sabri Ylmaz (შარაშიძე, 74 წლის), Nemzı Kaya (მემიაშვილი, მემი-ოღლი, 74 წლის), Kuçuk Nevzat (63 წლის), Sabri Gül (აფხანიძე, 72 წლის), Kadir Doğru (მალაყმაძე, 78 წლის), Mustafa Özgenç (ბრეგვაძე, 82 წლის), Resmye Özgenç (თავაძე, 83 წლის), Selahattin Gümüş (გობერ-ოღლი, 60 წლის), Yüsüf Özgenç (ბრეგვაძე, 71 წლის), Recep Demir (ბარაქ-ოღლი, 78 წლის), Şerafettin Şahin (80 წლის), Ekrem Er (60 წლის), Fatma Er (55 წლის), Aişe Er (50 წლის), Muzaffer Şimşek (თათარ-ოღლი), Selahattin Özkaya (კუკულ-ოღლი, 88 წლის), Emrye Özkaya (55 წლის), Hikmetöğlü (დეიკიძე), Yüsüf Özdemir (ქოსაშვილი), Ahmet Fatih Acar (ჭროღაშვილი, 34 წლის), აიშე წიგნაძე, დავუთ კაპტანი (Davut Kaptan), ორჭან ბერიძე (ემინოღლი), Şevket Akılöğlü (ჭკვიანიშვილი, 54 წლის), Recep Başkıran (ველი-ოღლი, 86 წლის), Ali Kemal Kılıç (კირპიჩ-ოღლი, 53 წლის), Alı Ilham Başkıran (36 წლის), Cemil Yumsel (34 წლის), Nuri Dik (46 წლის), Mevlut Onat (ქობულაძე, 68 წლის)...

Nazire Aydin (80 წლის), Fatma Küçükpoyraz (73 წლის), (Nezaha Küçükpoyraz (40 წლის), Ilhan Küçükpoyraz (57 წლის), Nuray Pehlivan (31 წლის), Mehmet Toraman (19 წლის), Dursun Sarikaya (41წლის), Ahmet Toraman (48 წლის), Mehmet Sarikaya (60 წლის), Hava Sarikaya (51 წლის), Nursel Batmaz (40 წლის),

Mikai Batmaz (21 წლის), Yaşar Balci (18 წლის), Fatma Sarikaya (38 წლის), Mustafa Yelkenci (დიასამიძე, 50 წლის), Orhan Albayrak (კავაზ-ოღლი, 51 წლის), Sezan Gönenç Okcan (ბაირამ-ოღლი (ბარამიძე), 52 წლის), Eyup Uzun (სულთანიშვილი, 53 წლის)...

ჩვენი მეგზური, ინფორმატორი და მთხრობელი თურქეთში მცხოვრები ძალიან ბევრი ქართველი იყო, რომელთაც ძალისხმევა არ დაუშურებიათ ჩვენ დასახმარებლად და სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში, რეგიონიდან რეგიონში დაგვყვებოდნენ თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მატერიალური და სულიერი კულტურის, ენობრივი ვითარების შესახებ მასალების შესაგროვებლად. ყველა მათგანის სახელისა და გვარის დაფიქსირება, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა. ამ წიგნში მხოლოდ მათი უმცირესი ნაწილია ჩამოთვლილი. თურქეთში მცხოვრებ ყველა ქართველს დიდ მადლობას ვუხდით გაწეული დახმარებისთვის.

# საძიებელი


ა
აარდერე 102
აბაზალა 182
აბანო 73,76,250,299
აბასთუმანი 14
აბდურაჰმანფაშა 163
აბრამიენთი 24
აბურთული 33
აბუშაქარი 34
აბუჯი ყანა 226
აგარა 21,24,31,32,36,64, 73,75,180,182,200,202, 299
ადაგული 64,72,73,74, 77,254,262,266,269
ადაფაზარი 12,144,174, 177,252,305
ადაქალე 189
ადუჩა 64,73,298
ავაზანყანა // ავაზანყანები 34,35
ავანა 64,74
ავდანი 147
ავსტრია 248,249,279
აზერბაიჯანი 11
აზთეფე 125
აზიზიე 229
ათათურქი 53,214,294
ათაბაი ერგუნ 304
ათბალი 155
აიაზმა 125,126,130,132
აიანჯიკი 12,165,176
აიდინთეფე 103
აივაზპინარი 274
აკვანა 34
აკოვა 224
ალაზნიკარი 75
ალან იენქინი 125
ალაჩამი 87,213
ალთუნ ოღლი 145
ალთუნელი ალი რიზა 304
ალმაჩაი 221
ამასია 190
ამიერკავკასია 62
ანაგერტი//ანაკერტი 188,191,193,194,196
ანაკლია//ანკლია 188,299
ანარი ნური (დუმბაძე) 304
ანატოლია 89,174
ანდრიანწმინდა //არდიასწმინდა 21,299
ანიეტი 75
ანკარა 12,151,166
ანჩა//ანჩი 65,188,191, 192,193,194,196,197
ანჩკორა//ანჭკორა 191,192,194,197
არავეთი 193,199,255, 262,266
ართვინი13,14,19,24, 27,61,62,63,86,87,140, 172,188,190,191,194,196, 211,254,261,262,265,266, 269,275,279
ართვინლი მევლუდ 304
არიანე 15
არია 75
არია ღელე 74
არიფიე 12,205,237
არსიანი 19
არტანი//არტაანი 12,16,19,75,188,289
არტანისა 187
არტანუჯი//არდანუჩი 14,187,188,189,190,191, 192,193,194,196,198,204
არტანუჯის წყალი 189
არქიმანდრიტი ადამი (ახალაძე ვახტანგ) 15
არჭვა 64,73,298
არავეთი//არჭავეთი 193,199,255,262,266
ასამბიეთი 33
ასკილვანა 35
აქბაბა 103
აქიაზი 12,205,247
აქშოი 173
აფრიდონიძე შუქია 204
აფრიკა 15
აფხაზეთი 198,207
აშამეთი 76
აშოტ კურაპალატი 187
აჭარა 14,16,23,62,198, 208,209,271,272,276,289, 302
აჭარა სერები 272
აჭარის წყალი 61
აჭისთავი 140
ახალდაბა 20,64,72,73, 74,75,77,118,125
ახალმეიდანი 76
ახალციხე 174,212
ახარშია//ახარში 193,194
აჭალშენი//ახაშენი// აჭარშენი 34,74,140

ახალჭალა 34
ახვლედიანი ერლომ 104
ახვლედიანი ხარიტონ 206
ახიზა 191,192,194
ახო//აჯო 36,203,250,299
ახოები//აჯუები 34,250,299
ახოთავ 203
ახოლარ 201
აჯარი აჰმედ ფატიჰ (ჭროღამვილი) 173
აჯარი ისმეთ 304
აჰმედიერი 138

ბ

ბაბოშვილები 216
ბაბუმკარი 76
ბაგა 64,72,73,74,75,78, 298
ბაგები 278
ბაგინი 64,65,70,73,74, 75,77
ბაგინის ღელე 73
ბაგრატიონი ვახუშტი 61
ბათუმი//ბათომი 24,58, 63,88,101,126,127,131, 140,146,150,155,164,166, 169,173,188,194,208,209, 211,215,225,230,231,241, 244,247,252,262,265,275, 299,303
ბაიდინი 87
ბაკო 19
ბალაზე მაჰალე 35
ბალიქესირი 12,174
ბალიქლი 166
ბალიქლიიჰსანიე 224,225
ბალჯი 177,180,182,298
ბალჯიბარი 182,298
ბანაკნა 64
ბარათაული 216
ბარდნალი 74,76
ბარელთა 34
ბარნოვალი 75
ბარცჯუნა 76
ბასლეკარი 181
ბასლეკარი აგარა 182
ბაფრა 138
ბაქირქოი 171
ბაღდადი 274
ბაშთურქი საბაჰატინ (ვახტანგიძე) 213
ბაშქოი 75,102
ბაშქოი ღელე 74
ბაძგირეთი// ბაზგირეთი 23,24,31, 35,38,298
ბაცა//ბაწა//ბასა 16,26, 36,91,163,183,188,193, 194,197,209,220,276,288, 293
ბახჩეკაია 211,213,214, 217,222
ბაჰარიე 212
ბაჰჩევლერი 171
ბებრის წყარო 180,298
ბეიკოზი 30,172,299
ბელეშავრი 75
ბელტიეთი 24
ბენდები 34
ბერავლი 34
ბერბეყანა 256
ბერიძე გრიგოლ 54,56
ბერიძე ეთერ 73
ბერიძე მერაბ 30,197, 199,201,202
ბერიძე ორჰან 93,100
ბერლინი 214
ბერძენიშვილი ნიკო 224
ბექირ-ოღლები 271
ბეღლევანი 64
ბეშაული//ბეშაული 62,196
ბზათა 25,299
ბითავკალო 75
ბიკრიეთი 180,298
ბილკევრი 34
ბიჩკატიკი 224
ბიჩმე 125
ბიჯა//ბიჭა 193,194,196
ბოგილი 74
ბოზალთი 180
ბორჩხა 16,24,50,52,56, 57,63,65,66,72,73,74,75, 77,86,133,140,150,151, 155,171,255,262,266,275, 276,277
ბორცუნათი 33
ბოსელთა//ბოსელთი 36,72,75,298
ბოსტანათი 34
ბრედლი დეივიდ 302
ბრეზინგერი მათიას 303
ბრიგალარა 298
ბრილი 36
ბროშეთი 196
ბუდიეთი 64,74,298
ბულანჯაკი 12,93,94, 100,172
ბუმბულიწვერი 75
ბულულაი 34
ბურდნალი 74

ბურსა 12,87,174,177, 178,185,189,190,205,211, 217,223,230,247,254,262, 266,271,272,273
ბულარეთი 72
ბულალეთი 76
ბულნალი 75
ბუჯე 34
ბუჯური 64,67,73,76, 298

გ
გადაღმა ღელე 37
გადაჭრილი 34
გალგოთი 34
გამეშეთი 35,299
გამორჯიკა 73
გამოღმა ქობაი 180
განაყოფი ღელე 226
განაყოფური 34
გარყლობა 19,20
გაღმა მეჰელე 73
გაღმაი 181,182
გაღმა ქედი 276
გაღმა ქობაი 180
გაღმიჯალა 182
გაღმობანი 72
გაჩეჩილაძე რევაზ 196
გევლი 64,298
გეივე 12,205,243
გელაშენი 194
გემლიქი 12,205,251, 254,261,262,265,266,267, 269,270
გენაჯევრი 34
გერზე 12,175
გერმანია 26,222,263,279
გვალეები 35
გვარა 229
გვარაშენი 188
გვერდწმინდა 33
გზაკეთილი 72
გზელა 34
გზელქეთი 35
გზელყანა 75
გიაურების ყანები 244,299
გიგინეიშვილი ივანე 49
გიოლქოი 12,102,175
გიორელე 12,94,175
გირესუნი 12,88,93,94, 100,101,172,175
გირძელი ჭალა 182
გობიხვეწია 22,188
გოგაძეები 214,216
გოგებაშვილი იაკობ 23
გოგლიეთი//გოგილიეთი//გოგიეთი 64,66,71, 73,74,298,299
გოგნიაური 216
გოდლეკარი 181
გოლი ყანა 226
გოლუ 138
გოლჩუკი 12,86,205, 274,278
გომთა 299
გონენი 12
გონთჰევის ღელე 73
გონიეთი 33
გონიო 209,216
გორა 75
გორამეთი 182,298
გორაღელე 33
გორგაძე მეჰელე 36
გორგიწმინდა 75
გორდაი 180,298
გორდნალი 180,298
გორიჰევი 75
გორაშეთი//გოროშეთი //გოროშეთ 191,192, 193,194
გოქთაში 155
გოქიითი ალი ნიჰათ 304
გოჩიენთიუბანი 24
გოჩივაკე//გორჩივაკე 34
გუბე 74
გუგუცურის უბანი 65
გუდასჰევი 182
გუზელიალი 102,111, 113
გულბახჩე 211,214,221, 222
გულდიბი 224,225,241, 242
გულთეკინ მეჰმეთ (გულაშვილი) 213
გულია 180
გულიაშვილი მიშა (გულთეკინ გუნურ) 223
გულიყანა 75,76
გულიჯა 193,194
გულპინარი 103
გუმიშხანა//გუმიშხანი 191,192,193,194
გუნდაური 216
გუნდოღანი 224,225
გუნეი ქესთანე 212
გუნეში ნური 47
გურბენი//გურბინი 64,72,75,78,298
გურგუნექეთი 182
გურია 117,168,198
გურსოი მემედ ალი 304
გურჯისტანი 130,143, 222,223,254,264,265,278

გურჯ-ოღლების წყალი 275
გურჯუ ქოი 229,236
გძელიწმინდა 172,299

დ
დაბა 19,21,23,33,36, 212,299
დაბაკეთილი 20
დაბლა ზეგანი 74
დადიანი ეკატერინე 181
დავით აღმაშენებელი 187
დავითეთი 299
დავითიძე 36
დავლათი 36,298
დავჯანა 266
დათვისორე 34
დათვჭალა 203
დამპალყანა 76
დამპალწყარო 182
დამუდერე 93,100
დამფალი 64,65,75
დანანიყური//დანალიყური 76
დანგრეულები 34
დარგულა 73
დარითავი 34
დასამობი 23,24,32,33, 36,199,201,298
დაფიქლული 182
დაღარული 180
დაყრილი 72
დედოფლიწყარო 34
დე ვოსი ჯორჯ 9
დევაძე 21
დევაძეები 36
დევიეთი 36
დევიეთღელე 36
დევსეკარა 181
დევსქელი 63,64,67,68, 69,70,72,73,74,77,80,155, 266,269
დეირმენჯილი 155
დემირაჩმა 229,235
დემირტაში ომერ ფარუკ 224, 304
დემირქაფი//დემირყაფი 22
დემირჩ-ოღლების წყალი 275
დერცელი 14
დიაკურმუჩი 193,194
დიალეთი 64,298
დიარბაქირი 214
დიბე კიბაბური 76
დიბექტოში 173
დიგიეთი 36
დიდაჭარა 271
დიდვაკე 181,182
დიდი მთა 74,180
დიდი ტყე 74
დიდველი 36
დიდმაჰალე 72
დიდმერე 299
დიდნაკვერავი 75
დიდსათიბელი 182
დიდტყია 33
დიდფერდი 299
დიდღელე 35,73
დიდღელე ჭევი 180
დიდყანა 279
დიდჩაირი 76
დიდ ჩიჯორ 36
დიდჭალა 182
დიდჯამე 262
დიმენდაალი გერიტ 298
დიობანი 24,33,37,299
დირბერ-ოღლები 65
დიქენჯიკი 138
დიქსონი ბობ 303
დოდოფალა ღელე 33
დოლაბიძის უბანი 65
დოლეკარი//დოღლეკარი 181
დოლეჯიანკარი 181
დომაშნევი ანატოლ 290
დორიანი ნენსი 205,300
დოღლანურები 34
დოშემე 278,280
დოშემედიბი 103
დუაიელი 117
დ'უალეკარი 182
დუგუნლუკი 117
დუზჯე 232,270,304
დუმბაძე ნოდარ 103
დურები 65
დურჩა 64,65,73,74,76, 298
დღვაბიე 36
დღვანა 216

ე
ებრიკა 64,65,73,255,262
ეგრისო//ეგრისუ 75
ედვარდსი ჯონ 302
ევროპა 14,26
ეირიბუჯაკი 103
ელიაწმინდა 299
ელიასჭევი 181
ელიბეშ-ოღლების წყალი 275
ელმალი 270,271,272, 273
ელმალიქი 102
ელმაჩაი 212
ენირაბათი 193,194

ერგე 61
ერდემლი 241
ერეგუნა 64,289,298
ერზრუმი//ერზერუმი 188
ერთპირაი 182
ერიქლი 155,212
ერუშეთი 12
ერფელექი 12,155,164, 175
ესენთეფე 224
ესპრე 12,94,175
ესქი ფერჰადიე 274,278
ექინჯიკი 103
ეწერი 72

ვ
ვადიყანა 75
ვაზრია 64
ვაიზინგერი პიტერ 290
ვაიო 114,116
ვაკე 256,276,277
ვაკეები 34
ვაკეყანა 76,279
ვაკეჰევი 180
ვალაშენი//ვალაში 64,266
ვანეთი 182
ვანი 72
ვანითავი 74
ვანილიში მუჰამედ 224
ვარაჯიბული 73
ვართელია 194
ვართხელი//ვარცხელი 193,194,196
ვასაჯის უბანი 65
ვაშლიყანა 76
ვაშლოვანი 73
ვაჩალეთი 34
ვაჩანეთური 35
ვაჩეკარი 181
ვახტანგ გორგასალი 187
ვაჯთივღელე 73
ვეისელი 155
ველი 20
ველიწვერი 75
ვენახძირაი 299
ვერხნალი 299
ვორდჰოფი რონალდ 9

ზ
ზაზაძე სიმონ 304
ზარარა 196
ზაქიეთი 21,23,33,36, 299
ზაღლაძე 26
ზეგანთი 74
ზეგანი 74
ზეგნები 74,256
ზეგნების ღელე 256
ზედა ვაკე 35
ზედვაკე 75,76,203
ზედა მარადიდი 64
ზედა მაჭახელა 19
ზედა სამება 117
ზედაი სოფელი 36
ზედუბანი//ზედობანი 64,237
ზელიეთი 64,72,298
ზემბადეთი 73
ზემო აჭარა 14,62
ზემოენთი 26
ზემო ზიოსი 35
ზემო იმერეთი 202
ზემო მეჰელე 36
ზემო ქოროსეთი 73
ზემო ქურა 72
ზენეფეთი 75
ჯეინი ჰილ, ზეპედა ოფელია 303
ზვარე 199,298
ზიოსი 21,23,32,33,35, 201,299
ზიარეთი 76
ზიოსური ღელე 35
ზომოთხილები 76
ზომოი მაჰალე 72
ზომოყანა 250,299
ზომოჯამი 76
ზორლუ აბდულლაჰ (ზუბალაშვილი არჩილ) 275,304
ზუარეთი 200
ზუნდაგა 216

თ
თავკალი 75
თავუქჩუქოი 171
თავუხჩუ მაჰალე 145
თავფესადგური 182
თამარ მეფე 300
თანდილავა ალი 224
თარანგელა სერი 34,37
თაფლიძე 65
თბილისი//ტიფლისი 143,148,171,231
თევნარი 181
თეთრაქეთ//თეთრა-კეთი 36,299
თეთრობი//თეთრუბი 31,74
თეთრუები 65
თეთქეთი 73
თექერლექსულეიმანიე 224,225
თენარა 74
თერმე 12,175
თეფეორენი 101

თეფექოი 12,94,99,102, 175
თექე 103
თექქირაზი 103
თეჯჯიეთი 76
თიბილაწყარო 182
თიკალთა 75
თიკნარი 155
თინარი 199
თიოღლი მაჰალე 73
თირებოლუ 12,94,175
თომას ღელე 275
თორთუმი 90
თოფურია ვარლამ 49,54
თოფჩიშვილი როლანდ 4,23,189,196, 292,299,300,303
თოქლუბაში 117
თოჯინეთი 75
თრიმლების უბანი 65
თუალ 200,298
თურმანიძე 299
თურქეთი 11,12,13,14, 15,26,27,28,29,30,31,39, 40,41,44,60,61,63,66,69, 71,87,88,89,90,94,103, 108,140,141,158,166,174, 177,178,179,188,189,208, 210,215,217,219,221,222, 248,271,283,285,289,292, 294,297,299,301,302,304
თურქელი 140,165,176
თუფექჩიყონაღი 214
თხილაზორი 64,65,72, 75,77
თხილაზორის თა 74
თჯილვანა 75
თხინალი 276

ი
იაზიჯი ადემ 304
იაილალი 102
იალანუსჩამი 19,188
იანიქ ქოი 173
იარიჯა 225
იაშვილი ვლადიმერ 206
იენი მაჰალე 241
იზიშა მეჰელე 36
იზრიკა 65
იზრიქლი 65
იეთი 181
იელკენჯი მუსტაფა 86
იენი დოღანი 125
იენი ფერჰადიე 274,278
იენი ჩამქოი 155
იენიჯე 212
ივეთი 24,26,299
იზმითი 205
იზმირი 166,190
იზნიქი 12,205,270,305
იკრამიე 174,224
იკრალიე 224,225
ილდიზი მედიჰა 305
ილმაზი ომერ 126
იმერეთი 198,202
იმერჯევი 12,14,16,19, 23,24,26,27,31,37,38,41, 46,47,48,58,88,157,168, 198,199,200,297,298,302
იმნაიშვილი ივანე 54
იმნაიშვილი გრიგოლ 55,56
იმჯრი 72
ინაწმინდა 33,37
ინებოლუ 174
ინეგოლი12,205,211, 212,214,216,222,223, 224, 264,282,304
ინკურ ფატიჰ მაჰალე 103
ინტკორი 182
ინჯემეიდანი 155
ინჯირპინარი 155
იორდამიწვერი 182
ირანი 11
ირმეთული 203
ირშადიე 274
ისკები 64,73,76,78,298
ისკების წყალი 74
ისქენდერ ფაშა 188
იუვალი 138,148,150
იუკარი ქესთანე პინარი 133
იუნუს ემრე 94
იუსუფელი 90
იუსუფლუ 117
იუქსექი ქადირ 305
იუჯელერი 102
იფჭრევლი//იმფჭრევლი 24,299
იფჭრუვანა 34
იშიკი აიჰან (იხშიენთი) 46
იშკინარი//იშხანარი 191,193,195
იშხანი 90
იჯადიე 274
იჰსანიე 274

კ
კაბალი 164
კაბარჯეთი 64,74,196, 298
კაბარჯეთის ღელე 74
კაბახდაღი 117,123
კავკასია 206
კავჯიენთი 26
კაირანკილტე 72

კაკვენოღლი მაჰალე 73
კაკლები 75
კაკლოვანი 72,73
კალავატი 73
კალაიკი 224
კალანდია გიორგი 223
კალობაღი 75
კალოყანა 75
კამპარას ღელე 275
კანწალიეთი 73
კაპანეთი 182,298
კაპანი ყანა 279
კაპტახორი 193,195
კარაბული 166
კარადერე 224
კარავათი 20,33
კარანჩხიეთის მთა 74
კარანჩხიეთ ღელე//კალანჩხიეთ ღელე 73,74
კარასუ 12,205,229,230, 231,236
კარატაში 117
კარაჩოკეკი 224
კარგალი ჰანბაბა 225
კარეთიფერდი 34
კარზევენახი 75
კარნალი 182
კარსინი//კარსნი// კარსნია 188,191,192, 193,197
კარტნალი 75
კარჩხალი 19,21,61,299
კასთამონუ 88,166,174, 176
კასიმეთი 64,65,76,255, 298
კასრათი 75
კატაფხია 64
კატრიანსერი 34
კატროვანი 75
კაფანჯიკი 224
კაფლანი ზექერია 305
კაშუხთი 193,195
კაციჭამელი 203
კახაბერი 241,242,243
კახეთი 133
კახიძე ნოდარ 206,209, 210,215
კეინი დანიელ 303
კემპბელი ლილ 303
კერწენი 74
კვარჩხანი 64,298
კვინტარჩი//კვინტაული 64,72,298
კვირისთავათი// კვირისთავი 34,43
კიდილ ქვაბი 74
კიზანლიკი 224,225
კილდიანი 75
კილდიზირი 75
კილიჩლი 155,164,165
კინცხურეთი 64,155, 298
კირნათი 229,241,243
კირსა 64,86,298
კირშეჰირი 190
კლარჯეთი 12,15,19, 28,49,89,140,180,187, 188,193,195,196,200,249, 251,289,298
კლანცააჯო 34
კობალევურთ 201
კობალეთი//კობალთა// კობალთი 241,243
კოდელა 74
კოდის წყალი 34
კოდლიყანა 76
კოზლუჭი 229
კოთელაი 34
კოლა 12,16
კონტაჰევი 72
კონტრობი//კონტრომი 75,188,192,193,197
კოპიზურა 36
კორდები 238
კორდისთაი 182
კორენია 195
კორიდეთი//კორდეთ- ლი 64,65,74,76,278,298
კორიდეთის ღელე 74
კორნალათი 180
კოსელეთაში 140
კოშლარი 203
კოწალეთი 36
კოხოვრი 180,298
კრეეკარი//კრაეკარი181
კროუფორდი ჯეიმს 303
კუბილაი აიდინ 305
კუზიეთი 75
კუნძავლი ქედი 74
კუპრიეთი 182
კურკულაი 34
კურტუმელა 74,75
კუშკაიასი 138
კუშჩა 114,116

ლ

ლაზეთი//ლაზისტანი 14,15
ლაკატანა 182
ლალა 138,145,147
ლალიყანა 75
ლამბერისი 182
ლანა 229
ლაშეთი 198,298
ლახომე 173
ლეგთა 75
ლეკნარი//ნეკნარი 180

ლელევრი 180,298
ლენინი ვლადიმერ 99
ლექათი 199
ლექსა 74
ლიბან მეჰელე 36
ლივანა//ლივანი//
ლიგანა//ნიგალი 14,16,
19,48,61,62,63,64,65,70,
188,266,269,289
ლიტრეე 182
ლოდნარა 34
ლოთავი 72
ლოლოვრი 180
ლოლო-ოღლების
მაჰალე 35
ლომანაური 215,216
ლომან-ოღლის წყალი
275
ლომეკეთი//ლომიკე-
თი 64,73,74,278,298
ლომინაძე ტუფან
(შაფაკი) 89,143,304
ლომის აგარა 202
ლომიჯი ღელე 74
ლომსაძე შოთა 189
ლონგოთხევი 192,195,
196
ლუთფიე 274,279
ლუთფიე კოშკი 225,
226

მ

მადენი 73
მალაბა 244
მალაყმაძე 150
მალაყმაძე ვახტანგ
(ჰაირი-ოღლუ ჰაირი)
223
მამურიე 274
მანატბა 24,25,26,31,38,
47,196,203,299
მარადიდი 63,64,67,68,
69,70,72,80,92,165,235,
241,244
მარანათი 34
მარი ნიკო 48,54
მარმარილოს ზღვის
რეგიონი 12,15,28,157,
210,211,228,229,231,232,
233,236,244,269,277,279,
288,299
მარტიროსოვი არამ 48,
49,55
მაღალევი 182
მაღლა ზეგანი 74
მაღლა ყანა 256
მაღნარი 200,298
მაღრიყანა 75
მაჩხა 175
მაჩხატეთი 24,33,299
მაწალეხეთი//მასალა-
ჰეთი 193,197
მაწყვალთა 216
მაჭახელა//მაჭახელი
16,19,48,80,90,133,148,
150,155,216,262,289
მახინჯაური 262
მაჰმუდიე 173,241
მეგრელიენთი 24
მეგრელიძე შანშე 206,
207, 209
მეზითი 214
მეიდანჩიკი 24
მელაშვილი აჰმედ
(ოზქანი აჰმედ) 222,223
მელაშვილი იბერია
(ოზქანი) 304
მელენიპირი 232
მელექმა 138
მელისაკუნტალაი 299
მერბედავი//მერბედავ-
ლი 34
მერესწყალი 36
მერზიფონი 190
მერიგადასაველი 34
მერლოვანი 72
მესაბუდარა 75
მესთანი 165
მესთრი რაჯენდ 302
მესრურიე 274
მესხეთი 174,212,221
მეშედაღი 155
მეჩეთიუბანი 24
მეწაგილი//მეჯეგილი
193,195,196,200
მეჯაქეთი 182
მეჰმეთ აქიფი 117
მთიანი ლაზისტანი 15
მინდიეთი 299
მირვეთი 232,235
მიქელავი 76
მიქელეთი 31,33
მილმაყანა 75,76
მიჯელჰიენთი 24
მოგლესილი 180
მოდული 75
მოლოსა 203
მოროდათი 203
მორობოზი 299
მოსკოვი 252,254
მოქთა//მოქვთა 188,299
მოღობილი 34
მოჰვენა 74
მოხობანი 299
მუდანია 213
მურადიე 224,241
მურათბეი 211,216,222,
263,265
მურკიევეთი 64,72,274,
298

მურღული 61,63,64,65, 66,67,68,69,70,71,72,73, 74,75,76,77,78,80,87,155, 209,225, 274,276,278,289
მუსლუბეი 125
მუქერი 193,195,200
მუჰლანი 182
მცირე აზია 207

ნ
ნაბეღლავი 72
ნაბეღლავის მთა 74
ნაბოკვარი 75
ნაბოსტნი 34
ნაბრინჯევი 74
ნაბუკვარი 75
ნაბუკვარათი 34
ნაგომავი ღელე 74
ნადიკვარა 75
ნავახტანგული 299
ნაილიე 174
ნაკალოებ 35
ნაკალოვები 75
ნაკირავლები 74
ნაკირები 75
ნალიკარი//ნარეკალი 75
ნამუკვარი 75
ნამყნარა 75
ნაოსპარი 31,34
ნაპურავი 250,299
ნაუვია//ნაჯვია//ნეჯვია 74,87,140,255,262
ნარვანი 34
ნარმანი 90
ნასაბზევი 34
ნასაბძლევი 34
ნასახლევები 34
ნასახლევი 31,75,299
ნასელავი 180,298
ნასელვარი 75
ნასერსვალი 75
ნასიმინდვარი 34
ნასჴეთი//ნასხითი 75,182
ნატირიფევი 75
ნაფარაჴევი 73,182,298
ნაფაჴეი 182
ნაფეტვარი 76,250,299
ნაფლატი 34,35
ნაფლატითავი 35
ნაფუზარი 76,256
ნაფუზრები 36
ნაფუზრითავი 35
ნაფურნევი 31,34
ნაქერავი 72
ნაქერავის ღელე 73
ნაქურთევი 34
ნაღომარი 238
ნაძ˚უნარა 72
ნაცერცვალი 34
ნაცეჴვარი 182
ნაჭავლები 35
ნაჭალეი 182
ნაჭარვალი 35
ნაჭვავი 74
ნაჭოები 75
ნაჯიელთი 34
ნელათი 198,298
ნენია 216
ნიგაზეული 216
ნიგია 64,65,74,298
ნიკაწმინდურები 35,37
ნიმეთიე 274
ნიოლეს 36
ნიჟარაძე შოთა 56
ნიფხაურა 36
ნორღიელი//ნურგიალ 193,195,197
ნუზჰეთიე 224
ნურიე 224
ნურიოსმანი 243,244, 246
ნუსრეთიე 274

ო
ობლეკარი 182
ოზმალი 64,278
ოზჯანი მეჰმედ 222
ოთიგი 64
ოთკლდე//ოტკილდე (ოთხკლდე) 36,298
ოლადაური 215,216
ოლგუნი კამილ (თავადიძე) 140,142
ოლთისი 19
ოლური 90
ოლუქლუ 117
ომანა 64,298
ონაჴათკარი 182
ოპისჰალა 191,192,193, 195,196
ორბელიანი სულხან-საბა 198,200,201,202
ორდუ 12,88,89,100, 102,106, 117,172,175
ორთამაჰალე 244
ორმანოსი 138
ორსულა ღელე 37
ორტიზა//ორტიზი 193,195
ორჯი 64,72,298
ორჰანგაზი 305
ორჰანიე 87
ოსმალეთი 61,188,206, 207,210,275
ოსმანიე 87,138
ოფი 175
ოფუები 35
ოფუჯა 64,298

ოქრობაგეთი 21,33
ოქური ოსმან (იმამიშ-ვილი) 250
ოქჯანი სეზენ გონენჯ 86,304
ოხვათი 64,65,
ოხორჯი 64,298
ოჯორჯიეთი 76

პ
პანაირი 275
პანტნავი 34
პარხალი 62,177
პარხლისწყლის ხეობა 185,197
პატინა მთა 74
პატინა ჭოროხი 244, 300
პეტობანი//პედომან 192,193,195,196,197
პეტრული 65,73,74,76
პირდაპირი 74
პლატეები//ფლატეები 250,299
პონტოს ქედი 61,63
პროტეე ჰელმუტ 290
პტოლემაიოსი კლავდიოს 187

ქ
ქავეთვაკე 34
ქორდანია ნოე 142
ქუგო 193,194

რ
რაბათი 24
რაჭა 198
რევაზიენთი 24
რემადიე 247,248,249, 250,251
რიზე 175,270
რიოლეთი 299
რიყეთი 216
როგავა გიორგი 54
როინიძეები 65
რუსეთი 61,92,142,188, 190,206,207,208,210,211, 213,223,252,263
რუჭი ქევსერ 304

ს
საადეთი 213,217,222
საბადური 35
საბადური ქედი 74
საბავრი 64,298
საბეგიჯვარი 36,37
საბერძნეთი 174
საბუთიათი 34
საბულთე 75
საბჭოთა კავშირი 188, 223
საგარა//ზაღარა 200
სადგიყანა//სადგომყა-ნა 182
სადგომ 202
სადგომარი 75
სადევაკევი 34
სავარცკალა 75,78
სავილვილო 180
სავლინე 34
სავრიათი 182
საზაკი 165,176
სათივრები 34
სათიჯინვერი 35
სათლელი 19,20,23,188
სათლელისწყალი 20
საკანაფე 75
საკანტი 201
საკაჯე//საკაჟე 35
საკენჭვანი//საკენჭო 182,298,299
საკმელეთი 73
საკრავე 299
საკრიღელე 34
სალიფაზარი 12,125, 126,175
სამანჯაჭო 182
სამარცხო 72
სამებათი 299
სამეგრელო 249
სამერლა 203
სამზიარები 34,37
სამზორე 64,73,74
სამთაწყარო 73
სამსუნი 12,88,89,125, 133, 138,172,175,225,230
სამსუროკევი 180
სამწყალი//სამწყარო// სამსხარი//სამუსღარ// სამსხარ-წყალი 188,192, 193,195,196,197,203
სამხოსლო 75
სამცხე-საათაბაგო 173, 289
სამხრეთ შავიზღვისპი-რეთი 12,15,28,89,90,91, 93,94,95,103,142,149, 153,166, 175,176,297
სანათი 200
სანათისი 266,269
სანაფეტვრე 35
სანაფოტე 31,35,299
სანგლიაფერდი 34
სანეგვიათი 34
სანელიენთი 35
სარბიელა 201
სართლუა 34
სარიაბირი 34
სარიერი 225

სარისუ 270
სარიჯარიკი 103
სარფი 92
სასილაძირები 75
სასულუძმე 75
სატურეთი 75
საფანჯა 12,173,174,205, 241,242
საფარაჯევი 182
საფურე 182
საქართველო 11,12,13, 21,27,32,39,44,48,66,88, 104,126,142,143,168,193, 210,220,238,248,263,270, 271,288,297,301,304
საქარია 12,205,224,229, 305
საყავრიეთი 75
საყანებელა 34
საჩევღელე//სახჩევღელე 182
საცირავი 75
საცხვრე 36
საძირე ყანა 76
საწყელე ღელე 180
საწურათჯევი 75
საჭალიმეთი 74
საჭვაკე 182
საჭინკე 299
სახარაბაში 155
სახლითავი 244,299
სახლუკანა 34
სახრე 196,200
სახუნდარი 34
საჯვეწელი 73
საჯვარეთი 72
საჰლი 117
სევიმი მურათ 305
სეიდაბადი 87
სელბეი 155
სელიმიე 254,265,275
სერები 182,298
სერვეთიე 224
სერი 76
სეტი 73
სეფარქოი 171
სიმონეთი 232,235
სინათი 34
სინგოთი//სინკოთი 20, 33,34,266,298,299
სინდვრი 75
სინერჯანი 138,151,152
სინოპი 12,88,89,91,138, 139,144,148,155,165,176
სირეთიე 274,279
სიღიჯჰისარი 270
სიჭინავა ვ. 206
სოილემეზე 103
სოიუქი 125
სოლიანა//სოლუიანა 192,193,195,197
სოფლის თავი 279
სოფულარი 275
სოჭა 34
სოჭებიძირი 76
სოჭი 168
სტალინი იოსებ 144
სტამბოლი 92,172,173, 213,303,304
სტრაბონი 14
სულუჩუკური 166,176
სულღებული 202
სულჰიე 211,217,222
სუმანწყარო 182
სურევანი//სვირევანი 20,24,33,35,46,199,298
სურევნი თა (სურევანის მთა) 36
სურმენე 175
სუსა 276
სხალთა 14
სხალნარი 34
სხოლოფუნა 75

ტ

ტაბიძე მანანა 285
ტაიარი მეჰმედ ნური (დუმბაძე მამია) 224
ტაკიძე 271
ტალახლო ქედი 74
ტანაჭრო 75
ტაო 12,15,16,19,28,49, 60,177,178,179,184,188, 199,289,297,298
ტარიაძირი 34
ტბეთი//ტბათი 20,74, 215,216,299
ტევრი 74
ტეფთიბარ 36
ტომაშეთი 254
ტრაპენი 64,66,73,76, 86,298
ტრაპიზონი//ტრაბზონი 270
ტრეალი 74
ტუზური 34
ტურაშვილი დათო 104
ტყევნარი 182
ტყემალათი 72
ტყიავრი ღელე 33
ტყიათი 34
ტყიპირი ყანა 226
ტყიძირი 182

უ

უბე 21,23,36,201,299
უბური ღელე 36
უზანკარი 182
უზრუმა 64,298
უზუნდერე 244

უზუნი ეიუფ (სულთანიშვილი) 68
უზუნ ჩაირი 270
უზუნჯაორმანი 225
უკანმერე 72,73
უკარნერე 64,298
ულეველა 34
ულვიე 173
უმიე 274
უმუშაკარი 33
უნალი სელამეთინ 304
უნიე 12,91,102,103,104,106,111,114,116,144,175
უნუსხევი 193,196
ურუთი 199
უსტამისი//უსტამელი 23,36,192,193
უსტიამვილი ფეჰმი (უზალი) 92,133,304
უქუჩთილა 34
უღელტეხილა 74
უღელტეხილი ღელე 33
უჩამფა 214
უწყლოფერდი 299
უხედი 20

ფ
ფარეჯი 74
ფარნუჯი 36,299
ფაფართი 41
ფაფაქი 34
ფაღავა მამია 25,35,36,41,42,177,280
ფაშაპინარი 270
ფაში მაჰალე 73
ფაშოკარები 34
ფაჩვიეთი 75
ფაცა 12,91,102,117,118,123
ფაცაჯი 298
ფევზიე 173,212
ფელეკლი 252,254
ფესანკარაჲ 182,298
ფეჰლივანი ჯიჰათ 305
ფილანევი 34
ფილენჯიკი 125
ფინდიკლი 212
ფირაზისი 12,94,99,175
ფიქალეთი 33
ფიქალის მთა 74
ფიქლები 34
ფიშმანი ჯოშუა 9,218,302
ფიშნარჯევი//ფიჩნარჯევი 181
ფიჩხათი 182
ფიჯვნარა//ფიჯნარი 34,76
ფოროსეთი 64,298
ფოტოჯირი 74
ფოცხოვი 90,221
ფრანქ მაჰალე 145
ფრენკელი აკაკი 206
ფურექეთი 182
ფურტიო 216
ფუსკოვრისერი 34
ფუტკარაძე ტარიელ 198,200,203
ფუტკარაძე შუშანა 23,31,32,48,49,50,60,199,289,199
ფშაჯევი წყალი 182
ფხიკიური 20,21

ქ
ქავთარაძე ივანე 49
ქათავრა 34
ქათიჯვარი 35,37
ქათქეთი//ქეთქეთი 73,140,180,181,229
ქაიხოსრო II 188
ქამილეთი 64,298
ქარაბაში 125
ქარადერე 125
ქარაფიზირი 75
ქართლა 64,65,70,72,74,75,298
ქარსაღეთი ჭალები 180
ქამკალიენთი 26
ქედა 94,97,99,100,107,110,111,125,140,216
ქედიკარი 34
ქედირი ალი ქემალ 172
ქედიყანაჲ 182
ქედსიქითი 182
ქესადგური 182
ქესთანე პინარი 125
ქვაბიკარი 34
ქვაბლიან-ჩაის ხეობა 14
ქვადიდი 73
ქვამჭირეთი 64,74,75,298
ქვაშედებულ 76
ქვახეთი 216
ქვედაჲ მეჰელე 35
ქველა 75
ქვემო ზიოსი 35
ქვიშნობები 299
ქილისეთეფე 72
ქილიჩი ალი 172
ქილიჩლი 138
ქირანჭარმანი 165
ქირინთი 270
ქირქფინარი 241
ქლასქური 63,64,68,70,73,80,148,155
ქლასქურის წყალი 73

ქობაი 177,180,298
ქობალევ 201
ქობაქი 74
ქობულეთი//ქობლეთი 88,107,109,110,117,140, 145,209,289
ქობეკეთი 64,298
ქომობანი//ქომო უბანი //ქონობანი 72,73,181
ქომო მეჰელე 73
ქომო ღელე 226
ქონაქბაში 117
ქონია 190
ქონქლიეთი//ქოქლიეთი 182,299
ქორგანი 12,102,175
ქორთუკეთი 64,298
ქორიეთი 181-182
ქოროსეთი 73
ქოსქაია 72
ქოქირდი ღელე 73
ქო
ქლიეთი 32
ქოქლითი 75
ქოქლუკი 103
ქოცანაჯეთი 75
ქოჯაალი 12,205,232
ქოჯაელი 12,205,274, 278,304
ქუნჩა 34
ქურა 64,72,298
ქურდიეთი 75
ქურთლუჯა 270
ქურთნარა 75
ქურთქოი 173
ქუფჩიოღლუ ნეჯათ (დავითაძე) 214
ქუშუდერე 103
ქუშჩუაზი 125
ქუჩუკი ერდალ (ცივნარიძე) 304

ღ

ღალიშკარი 74
ღარიპირთი 299
ღელეყანა 226,279
ღეჭავრი 34
ღეჯაბირი//ღიჯაბირი 34
ღვია 64,298
ღვიძლაბირი 34
ღლონტი ალექსანდრე 76,198
ღნია 75
ღობეკარი 34
ღობერკეთი 67,73
ღორჯომი//ღორჯუმი 216,271
ღორჯუმი სერები 272
ღოღობეთი 72

ყ

ყავრიეთი 64,298
ყაზანგული 256
ყაზანგულის ღელე 256
ყაზბეგი გიორგი 14,15, 19,20, 21,22,61,62,63,64, 188,189
ყაზელი 216,217,221, 222
ყარაგულ ოღლი 145
ყარამანლარ 182
ყარაფურჩეყი 12,205, 252
ყარაყადი 100,101,212, 213,217,221
ყარაჯაყაია 212
ყარსი 188
ყვირალა 19,20,22
ყიშლაჩაი 237,238,240
ყორნალი 74
ყურდიდი 64,73
ყურმელაბირი 76
ყურწყალი 75

შ

შაბანიანკარი 182
შავგულიარი 193
შავი ზღვა 88,89,90,91, 173
შავი ყანა 244,299
შავრუფი 76
შავტყე 35
შავშეთი 12,13,15,19,21, 22,23,24,27,32,33,62,90, 188,276,289
შავშეთის წყალი 23
შავწყალათი 36
შაიწყარო 182
შალამეთი 76
შალიკიშვილების მაჰალე 72
შამბი 182
შანიძე აკაკი 48
შარაბული 298
შაქარეთი 72
შაქვათლიენთი 33
შეკეთიე 224,274,276, 278
შენოლი ერდოღან 305
შერთული 298
შველა˙ური 72
შვიდელა ღელე 37
შილე 171
შინდნარევი 299
შინდობანი 188
შირინევლე 151
შიშველფერდი 299
შიშლი 151,172
შმიდტი ანნეტ 303

შობელა მეჰელე 36
შოვალი 76
შოლტისჴევი 25,31,200, 299
შორა 202
შოშიტაშვილი ნოდარ 16-17
შ'უაგულე 73
შუაი მეჰელე 35
შუაჭალები 34
შუახევი//შ'უაჴევი 64, 72,140,166,214,215,216, 252,298
შუბანი 216
შუღლიეთი 73
შუშა 62

ჩ
ჩავლილი ჭალა 244,299
ჩათალზეითინი 166, 169,176
ჩათალ თეფე 103
ჩათალ პინარი 103,107, 110
ჩათაღი 133,136
ჩაიბაში 12,103,175
ჩაილიჯა 211
ჩაკალიკი 225
ჩალეული ყანები 226
ჩამაჴეთი 73
ჩამბაში 94
ჩამლი ბოღაზი 270
ჩამოყარო ღელე 74
ჩანახლი 276
ჩანჩხალო 216
ჩანჩხერი 270
ჩარბიეთი 64,298
ჩარშამბა 12,126,130, 133,172,175
ჩაქველთა 298
ჩაქვი 209,262
ჩაქვიზე 36
ჩაქირლი 174
ჩეიქერდაღი 117
ჩელები ფევზი 305
ჩელენქოი 155
ჩვარები 20
ჩიბო ღელე 73
ჩიდილი 192,193,197
ჩივთლუღი 188
ჩილაშვილი ფარნა-ბექა (ჩილოღლუ ფაჰ-რეტინ) 103
ჩინეთი 274
ჩიტა'ური 72
ჩიტა'ური ღელე 73
ჩიტიყანა 299
ჩიფთლიქი 212,217
ჩიქობავა არნოლდ 54
ჩიხვტა 299
ჩიჯისჴევი 23
ჩიხორი//ჩიჯორი 21,31, 33,299
ჩოხარაძე მალხაზ 71
ჩურუქსუ 117,123,133, 140,145,146
ჩხალა 64,67,68,69,70, 80,274,298
ჩხეიძე ჯ. 206
ჩხალეთი 74
ჩჯამარეთი 76

ც
ცაცხვიძირი 75
ცეცხლაძე ნუგზარ 32-33,198,199,200,201,202, 203,217,299
ციდვაკე 75
ციდვაკეს ღელე 73
ციველი 299
ციცვყალი 238
ციცევლი 182
ციხა 193
ციხისძირი 20,107,110
ცოცხობა 72,274,280
ცხადა'ური 75
ცჴემნარა 75
ცხილვანი 75
ცხრაწყაროთი//ცხრა-წყარო 34,299

ძ
ძანცული 64,298
ძაღლიპირა 35
ძველაგარა 180
ძირვანი 182
ძიძიგური შოთა 49,54
ძნელი 35
ძოწენიძე ქეთევან 54

წ
წაბლანა 215,216
წაბნარეთი 216
წალკოტა 33
წარიაძირი 34
წეთილეთი 20,299
წვერსიქითი 182
წითელა 200,298
წითელაძირი 299
წითელმიწა 75
წითლეკარი 182
წითურეთი 255,262
წითურიძვალი 75
წიკათიენთი 26
წიმაქი 203
წინჭალები 182
წისქვილიკარი//წისქვილკარი//წისქვილის კარი 34,182,238, 298

წისქვილიყანა 76
წისქვილი ჯევი 279
წიფლიზირი 76
წიქარეთი 73
წიქარული 34,299
წიქვავი ღელე 73
წმიდა 182
წოწოლყანა 182
წუბლივაკე 76
წუმპო 74,75
წუნიარისი 100
წურწუმია ზაზა 305
წუსლია 202
წყავნარი 101
წყალსიმერი 24,25,33, 36,166,299
წყალყა 64,298
წყალჩხური 75
წყალწყური 166
წყაროთი//წყაროთა 75,100,101
წყაროთავი 219
წყაროთვალი 34,182, 298
წყაროთხევი 299
წყაროწინა 34

ჭ
ჭაბუკთი 75
ჭადუკეთი 73
ჭაია 34
ჭალა 76,199,216
ჭალათი 32,34,198,298
ჭალებიციხე 34
ჭალეთი 20
ჭალიმნარი 76
ჭალის აგარა 202
ჭანდრებიძირი 76
ჭანკურა სერები//ანკურასერი 34
ჭან^ურაძირი 75
ჭანჭაჯი 182,298
ჭარახმელა 111,113
ჭარნალი 166
ჭაყანა 182
ჭედელავრი 34
ჭედლიანკარი//ჭეილენკარი//ჭელენკარი//ჭელიანკარი 181
ჭენჭაძირი 34
ჭენჭიკალო 75
ჭეღი 75
ჭეღო 73
ჭვანა 100,101,213,216, 271
ჭილავრი 64,298
ჭილაძე ოთარ 104
ჭილვანი 72
ჭინკასჭევი 72
ჭინკური 64,298
ჭინჭორა ქედი 74
ჭიტალ-ოღლის ღელე 275
ჭიტა^ური 75
ჭიღორა 34
ჭიყოვრა 34
ჭიჭინაძე ზაქარია 64, 206,209
ჭიჭო 76
ჭომათჭევ ღელე 73
ჭოროხი 23,32,61,63,64, 171,244
ჭოროხაქეთი 182
ჭოჭე 33,35
ჭუბუნა 76

ხ
ხათუნქოი 155
ხაიფეთი 79
ხამები 256
ხანთუშეთი 299
ხატილა 87,247,251
ხატიჯვარი 35,37
ხაფავრა 34
ხაჭიკეთი 76
ხახვილეთი 73
ხახული 90
ხახური 64,298
ხაჯალიძე 26
ხება 63,64,68,70,72,80, 86,140,145,146,151,173, 237,238,240,241,255,262, 298
ხევა 193
ხევწვრილი//ხევწრული//ჰევწვრილი 21,23, 27,31,32,33,34,35,36,299
ხელვაჩაური 229
ხემოგრეთი 196
ხერთვისი 150,193,196, 198,298
ხეჭავრი 34
ხინწკანა 64,298
ხიხაძირი 215
ხორავა ბეჟან 207
ხორაული 196
ხორსოლო 64,298
ხოსროლ-ოღლი 73
ხოფა 215
ხოხლევი 299
ხუბუა მაკარ 54
ხულო 125,140,172,215, 271
ხუცუბანა//ხუცუბანი 107,117,120,124

ჯ
ჯავრა 34
ჯამი 76
ჯამყური 76

ჰარათი 75
ჰარისსაკლავი 36
ჰარსაწველი 182
ჰარშოვანი//ჰაშროვანი 74
ჰაშოთი 182
ჰაჭიკეთი 76
ჰევაჲ 33,177,181,182, 298
ჰევაღელე 73
ჰევწვრილის ღელე 36
ჰერდოჲ 182,298
ჰეცვიკალი 75
ჰვაჯრევლაჲ 34
ჰმელი ღელეები 73
ჰოპლევი 24
ჰუწეკარი 182
ჰუჰუნაწვერი 182

ჯ
ჯავახიშვილი ივანე 224
ჯამან ღელეთი 203
ჯამი მეჰელე 36
ჯამი ჯედითის მაჰალე 241
ჯანაშია სიმონ 224
ჯანდარლი 270
ჯანევლა 76
ჯანსული//ჯანსულელი 64,73,278,298
ჯავრიეთი 35
ჯამეკარი 72
ჯევიზდერე 102
ჯევულ-ქორუჯულარი 66
ჯვარები 299
ჯვარისჴევი//ჯვარიჴევი 24,36,37,298
ჯივარტა 174
ჯიმიჴოვრა//ჯიმუჴორა 34
ჯიმუჴიენთი 24
ჯიმფულასერი 34
ჯიმშერეთი 73
ჯიმჭკელავაკე 182
ჯინალი 19,201
ჯინჭველი ჴევი 279
ჯიქია სერგი 200
ჯორატყე 74
ჯორბენაძე ბესარიონ 48
ჯოშქულყანა 256
ჯუანშერი 187
ჯˆუანჯე 72
ჯუმუშაური 216
ჯურღმულათი 34
ჯუხუმერე 73
ჯღელიფეთი 72

ჰ
ჰაიდარიე 254,262,263, 264,265
ჰაირიე 211,216,222, 223,254,265,266,269
ჰამბარჯიქოი 155
ჰამიდიე 86,155,166,176, 254,255,261,274,275,276, 280
ჰამითლი 224
ჰამდენკარი 181
ჰანგარი 138
ჰასანდაღი 166
ჰასანდერე 155
ჰასანიე 274
ჰასანფაშა 212,216,222, 263,264,265
ჰაჯიმერჯანი 173
ჰაჯიყარა 212
ჰაჯიოსმანი 270
ჰენდეკი 12,205,224, 225,226,230
ჰენდექხევი 226
ჰენდექხევის ღელე 226
ჰენიკათი//ხენიკეთი 200
ჰიზარბაში გუნლუქი 103
ჰიზარბაში ყუმარლი 103
ჰილმიე 211,213,214, 216,217,222
ჰისარეინი 274
ჰიჯრივე 225
ჰოილუ 117
ჰოლანდია 263
ჰუსეინშეიხი 224




saungeo@gmail.com
facebook.com/saunje publishing
Tel: 214 1 214; 239 55 87; 239 71 88